ალექსეი

ლაისტი

სპეტრიელის ტელი

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი
გამომცემლობა
„ლიტერატურა და ხელოვნება"
თბილისი
1963

ნიგნი შეადგინა, ბოღოსიტყვაობა და შენიშვნები დაურთო
თეიმურაზ ფირაღიშვილმა.

„შორეული თვისიანი" უწოდა ჯერ კიდევ უცხოეთში მოღვაწე არტურ ლაისტს ილია ჭავჭავაძემ.

არტურ ლაისტი იყო ქართველი ერის მეგობარი, რომელსაც გულით უყვარდა ჩვენი ხალხის სულიერი კულტურა, მისი ბუნება.

ეს კრებული შეიცავს წერილებს მაძღვნილს საქართველოს ისტორიისადმი და ქართული ლიტერატურისადმი.

ეროვნული ფიქრები ილია ჭავჭავაძეზე

პირველად ილიასთან

ილია ჭავჭავაძე პირველად ვნახე და გავიცანი 1885 წელს, მაშინ პოეტი მხოლოდ 45 წლისა იყო. კვლავ ძლიერი ჰქონდა გონება, ნიჭი, ლიტერატურისა და პოეზიის სიყვარული, მშვენიერების შეცნობისა და მისით აღტაცების უნარი. როცა ილიას დავუახლოვდი, შევიგენი—რაოდენ დიდი სულისა და ნათელი ჭკუის კაცი იყო. ხალხში, ჩვეულებრივად, სრულ სიმშვიდეს იჩენდა. არასოდეს ცდილობდა უცნობ საზოგადოებაში ვინმე თავისი ცოდნითა და გონებით მოეხიბლა. ერთი სიტყვით, არ სურდა თავი ვინმესთვის შთლიანად გაეცნო. სულ მოკლე ხანში ჩემთვის ნათელი გახდა მისი მდიდარი ბუნება. ჩვენი ერთგული, შეუბღალავი მეგობრობა ილიას სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე გვაერთებდა.

მასთან ყოველდღე დავდიოდი, ამიტომაც შემთხვევა მეძლეოდა გავცნობოდი ყველა მაშინდელ ლიტერატორს და ბევრ სხვასაც. ილია იმ ხანებში გულგრილად ეკიდებოდა თავისი ყოველთვიური ჟურნალის „ივერიის“ გამოცემას, მაგრამ როდესაც „დროების“ დახურვის შემდეგ, „ივერია“ ყოველდღიურ გაზეთად გადაკეთდა, ილიას ახალგაზრ-

დობამ კვლავ გაიღვიძა, პოეტი სრულიად გამოიცვალა და დიდი მხნეობით შეუდგა ახალი გაზეთის რედაქტორობას.

ქართველთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში „ივერიამ“ სიცოცხლის ახალი ნაკადი შეიტანა. გაზეთში თანამშრომლობა დაიწყო ბევრმა ახალმა პოეტმა და ლიტერატორმა. „ივერიამ“ შესამჩნევად გააფართოვა გაზეთის მკითხველთა წრე. აქ იბეჭდებოდა არა მარტო კარგი შეთაური წერილები, არამედ საინტერესო ფელეტონები და ხშირად საინტერესო ლექსებიც. მათ ილია აღტაცებით მიკითხავდა ხოლმე. უხაროდა, რომ ქართულ ლირიკას ასე მკვიდრად გაედგა სასიცოცხლო ფესვები. დიდი სურვილი მქონდა, ჩემი თანამემამულე ევროპელებისათვის სრულიად უცნობი ქართული ლიტერატურა გამეცნო. ილია ფიქრობდა, რომ მე უნდა შემედგინა ქართულ ლექსთა კრებული გერმანულ ენაზე. ჩვენ ორთავენი გულმოდგინედ შევუდექით ამ საქმეს. იმხანად ქართულ ენაში მაინცდამაინც გაწაფული არ გახლდით, ამიტომ ილია სიტყვა-სიტყვით მითარგმნიდა ქართულ ტექსტს, რაც სრულიად არ ამახინჯებდა არც აზრსა და არც ლექსის პოეტურ სილამაზეს. ჩემი პირველი კრებულის დიდი ნაწილი საგურამოში ვთარგმნე. აქ პოეტის ძველი სახლის აივანზე ვისხედით ხოლმე. აქედან ერთი მხრით არაგვის მშვენიერი ხეობა და კავკასიონის ქედი მოჩანს, მეორე მხრით საგურამოს მთებია ამართული.

ნეტარხსენებულნი არიან ეს დღენი!.. ილია სადეკლამაციო ტონით ლექსებს ლექსებზე მიკითხავდა, დროდადრო თავისი სამშობლოს პოეზიის სილამაზეზე მიმითითებდა. წყნარად, დარბაისლურად და ჭეშმარიტი გზით შევყავდი მას ახალ ქვეყანაში, აღმოსავლეთის იმ ჭიშკარში, რომელიც ყმაწვილობიდანვე მიზიდავდა. ილია ხშირად შეწყვეტდა ხოლმე თარგმნას და ქართული ენის სხვადასხვა თავისებურებებზე შეუდგებოდა საუბარს, ან რომელიმე ხალხურ ჩვეულებას ახსნიდა. ბაასი და საუბარი შუაღამემდე მიატანდა, ვიდრე ირგვლივ საიდუმლო მყუდროება დაისადგურებდა.

შორიდან არაგვის ხმაური ისმოდა. ილიას ხმა და ღირსშესანიშნავი აზრები ჩემს გულს განსაკუთრებულ სიამეს

ჰგვრიდა. ძლიერ უყვარდა მწერლობა, მთელი საათობით დაუსვენებლად შეეძლო ყური ეგდო ლიტერატურული საუბრისათვის. დიდი გულისყურით მისმენდა, როცა სიტყვას პოეტებზე ჩამოვაგდებდი. მთხოვდა, განმეგრძო მასთან საუბარი, გამეზიარებინა ნაფიქრი და ნაგრძნობი.

ამ შთაბეჭდილებათა გამო, მე მალე შემიყვარდა ეს ლამაზი კუთხე საქართველოსი; საგურამო ჩემთვის უსაყვარლესი ადგილი გახდა ამ ქვეყანაზე. ეს ტყით მოსილი მთები, რომლებიც მიდამოს განსაკუთრებულ იერს აძლევენ და მთელი წლის განმავლობაში ნაირგვარი სილამაზით ხიბლავდნენ ადამიანის თვალს. განსაკუთრებული იყო საგურამოს ზაფხული. ამ დროს აქ ბულბულის სტვენა გახშირდებოდა და შორიდანაც მთის წყაროთა საიდუმლო ლიკლიკი მოისმოდა. სიცხეში, როცა ფრთოსანთა ხმა მიწყდებოდა, ჭრიჭინა თავის სტვირს მომართავდა და გააბამდა თავისებურად. არა მარტო პაპანაქება დღისით, არამედ ღამითაც არ ისვენებდა. მისი ხმა პოეტურად აცხოველებდა გარემოს. ვინ იცის, რამდენჯერ დავმტკბარვართ მე და ილია საგურამოში მზის ჩასვლით. ნასადილევს, როდესაც მუხრანის მხრიდან ილია ღრუბლებს შენიშნავდა, აივანს აღარ შორდებოდა: მზის ჩასვლის სანახაობას ელოდა ხოლმე. იმ დროს ბუნების სურათი თავისი განსაკუთრებული სიმშვენივრით, მართლაც, იტაცებდა ადამიანს. სწორედ ასეთი სურათი აქვს ილიას აღწერილი „განდეგილში“.

ილიას ბუნება უყვარდა, როგორც ნამდვილ პოეტს. მე სულ სხვანაირად მიყვარდა ბუნება. ილიას მოსწონდა ბუნების მთლიანი სურათები; ტყეში სეირნობა, იქ ცალკეული ხეედების ძებნა ილიას არ იზიდავდა. ძლიერ იშვიათად თუ დავითანხმებდი, ცოტა მაინც გაგვესეირნა. ბუნებაში ილიას უფრო მეტად მთლიანი ხედები ხიბლავდა. ამ დროს ტკბებოდა და უდრტვინველ ოცნებას ეძლეოდა პოეტი.

თავისი ბაღის გაშენებისათვის ილია ვერ იცლიდა. თავდაპირველად აქ რამდენიმე ცაცხვი, წაბლი და იასამნის ბუჩქიც დარგო. მერე კი ბაღზე აღარ უზრუნვია.

გაზაფხულზე ხეები და ბუჩქები საამური ყვავილებით

მოირთვებოდა. თუმცა ილიას მათზე ნაკლებად უხდებოდა ფიქრი, მაგრამ ზოგიერთ ხეს განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდა. სახლის უკანა ეზოში მაღლობზე დარგული კაკლის დიდი ხეები, რომლებიც პოეტის სამყოფელის უმთავრეს სამკაულს შეადგენდა, ყველაზე ძვირფასი იყო მისთვის. აქ ჩრდილში ხშირად სიამოვნებდა ჩამოჯდომა. აქვე მიირთმევდა სადილს, მეტადრე, როცა სტუმრები ეწვეოდნენ, განსაკუთრებით კი თავის დღეობაზე — 20 ივლისს.

რამდენი საამო სიტყვა წარმოთქმულა აქ, ბებერი კაკლის ქვეშ! რამდენჯერ უმღერიათ მგრძნობიარედ...

ილიას უყვარდა სტუმრები, უხაროდა, როცა საგურამოში დიდი საზოგადოება და მეზობელი გლეხობა შეიკრიბებოდა დღეობაზე. მასპინძელი დიდის ამბით უხვდებოდა მათ...

ილიას მახლობლები

ილია პირველად 1884 წელს გავიცანი, იგი ახალბებუთოვის ქუჩის კუთხეში ცხოვრობდა, სადაც ცეცხლის მქრობელი რაზმი იყო. მალე ამავე ქუჩაზე ზუბალაშვილის სახლში გადასახლდა. ეს ბინა თუმცა დიდი არ იყო, მაგრამ, სამაგიეროდ — ნათელი და მოხერხებული. მე აქაურობასთან დაკავშირებით ბევრი სასიამოვნო მოგონება დამრჩა. ილია მაშინ შედარებით ახალგაზრდა და ხალისიანი იყო, ასეთივე გახლდათ ილიას მეუღლე ოლღაც. ოლღა ყოველ წელიწადს სახლში სხვადასხვა ნივთებს ამზადებდა ალეგრისათვის. ალეგრი „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ სასარგებლოდ იმართებოდა.

ილიას მეგობრები იმ დროს ყველანი ცოცხლები იყვნენ და ხშირადაც ნახულობდნენ მას. ყველაზე ახლო ნ ი კ ო ც ხ ვ ე დ ა ძ ე ცხოვრობდა. ცხვედაძე ძლიერ გატაცებული იყო პედაგოგიური მოღვაწეობით და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ საქმეებით. ოცნებობდა სათავადაზნაურო გიმნაზიის განვითარებაზე. ეს იყო იშვიათი პატიოსანი და დაუ-

ღალავი მოღვაწე. ნიკო ცხვედაძე მტკიცე, ურყევი ხასიათისა იყო; მას მრავალგვარ საქმეს ანდობდნენ ხოლმე, რომელთა შესრულებისას ის ყოველთვის სინდისით ხელმძღვანელობდა. მართლაც რომ ბაკვირველი ადამიანი იყო. ქართველ მასწავლებელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ შორის ბევრი მინახავს ცხვედაძის მსგავსი შესანიშნავი, მშვიდი და საქმის მოყვარული პიროვნება.

ნიკო ცხვედაძესთან ლაპარაკის დროს შალე გაიგებდით, რა იზიდავდა მას ყველაზე უფრო: მისი საუბარი მუდამ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ ანდა საოთავადაზნაურო სასწავლებელს დასტრიალებდა თავს. პირველის სიღარიბეს უჩიოდა, საზოგადოების ბევრ წევრს გადასახდელი არ შეჰქონდა. სხვა წყარო კი მას არ გააჩნდა. ვინ ფიქრობდა მაშინ თავისი ქონების ნაწილი კულტურულ და საქველმოქმედო საქმეებისათვის ეანდერძებინა? მე მგონია, ქველმოქმედების გავრცელებას თვითონ ნიკო ცხვედაძეს დიდად შეუწყო ხელი. ბოლო დროს კულტურული საქმეებისათვის ხელის შეწყობის მიზნით ქონების ნაწილის გაღება ბევრი ქართველისათვის ზნეობრივ მოვალეობად გადაიქცა.

ილია ჭავჭავაძეს ძლიერ უყვარდა ნიკო ცხვედაძე და პატივისცემითაც ეპყრობოდა საზოგადო და კეთილშობილურ საქმეებში დაუღალავი შრომისა და უმწიკვლო ხასიათის გამო.

ილია არანაკლებ პატივისმცემელი იყო ი ა კ ო ბ გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი ს ა, მაგრამ მას, ცოტა თუ ბევრად, კრიტიკულადაც უყურებდა. გოგებაშვილი, დიდი ჭკუის მეუხედავად, თავისნათქვამა და ხანაც ბავშვივით ჟინიანი იყო. ეს განსაკუთრებით ეტყობოდა მის ლიტერატურულ მოღვაწეობას. საერთოდ, გოგებაშვილს მტკიცე და შეურყეველი ხასიათი ჰქონდა. ამასთან, ძლიერ გულკეთილიც იყო, რაც კი შეეძლო, ყველას ეხმარებოდა. მისი პატიოსნება ყველამ იცოდა. ილია ხშირად აქებდა გოგებაშვილის ნიჭსა და მოღვაწეობას. ამას ხომ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოში საბავშვო მწერლობის დაფუძნებისათვის. აქებდა მის დამოუკიდებლობას ამ საქმეში.

გოგებაშვილი მუდამ აუმჯობესებდა თავის წიგნებს და ამნაირად შეჰქმნა ფრიად უსაჭიროესი სახელმძღვანელოები ქართველ ბავშვთათვის.

გოგებაშვილი საქართველოში პირველთაგანი იყო, რომელიც თავისი წიგნების შემოსავლით ცხოვრობდა. ეს წიგნები იყო მისი შვილებიც. დღედაღამ მათ გაუჯობესებაზე ფიქრობდა და ამავე დროს გამუდმებით მუშაობდა პედაგოგიკაში, რასაც დიდი სარგებლობა მოჰქონდა საქმისათვის.

მთელი ოცდარვა წლის განმავლობაში იაკობ გოგებაშვილთან ურთიერთობა არ შემიწყვეტია, ხშირად მივდიოდი მასთან. იაკობს ერთი ნაკლი შევამჩნიე — ნაკლებად იცნობდა პრაქტიკულ ცხოვრებას. იგი უფრო თეორეტიკოსი იყო და კაბინეტში მომუშავე მეცნიერი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, თავისი ნიჭისა და ბუნებრივი ალღოს წყალობით რამდენიმე ისეთი წიგნი შეჰქმნა, რომლებშიაც გამოცდილებაცა ჩანს და ცხოვრების ცოდნაც.

იაკობ გოგებაშვილი ილიას მხოლოდ საქმის გამო ესტუმრებოდა ხოლმე. მაგრამ არ მახსოვს, რომ ის ოდესმე მასთან სადილად ან ვახშმად დარჩენილიყო; საზოგადოდ, იაკობი არავისთან დადიოდა. ასეთი კაცი იყო—თავისას კმარობდა და სხვისგან არაფერს ილებდა. და თუ მოხდებოდა, რომ საჩუქარზე უარი აღარ ეთქმოდა, ცდილობდა სამაგიერო გადაეხადა.

დიახ, გოგებაშვილი ფაქიზი და ნათელი პიროვნება იყო, ნამდვილი პედაგოგი-მწერალი. იგი თავის სიცოცხლეში მუდამ სწავლობდა და სხვასაც ასწავლიდა. არ მახსოვს, რომ კითხვაში ან წერაში არ ყოფილიყო გართული. რამდენიმე წლის მანძილზე თითქმის ყოველდღე ათ საათს და ზოგჯერ მეტსაც მუშაობდა. ხშირად გვიან ღამითაც მინახავს თავის საწერ მაგიდასთან მომუშავე. საზოგადოდ, გოგებაშვილს მშვიდი და წყნარი ცხოვრება უყვარდა. მისი ტრფიალი მხოლოდ სამშობლო და პედაგოგიკა იყო.

ოთხმოციან წლებში ილიას ხშირი სტუმარი იყო ვ ა ნ ო მ ა ჩ ა ბ ე ლ ი, მას ლიტერატურულ ასპარეზზე მოღვაწეობითა და ბანკში მუშაობით დაუახლოვდა. ვანო მაჩაბელი ნიჭიერი კაცი იყო. ლიტერატურაში სერიოზული მისწრა-

ფებები ჰქონდა, რაც დაამტკიცა შექსპირის დრამების თარგმნამ, „დროებაში“ თანამშრომლობამ და ამავე გაზეთის რედაქტორობამ. მაჩაბელს საფუძვლიანი განათლება ჰქონდა მიღებული, იცოდა გერმანული, ფრანგული ენები. ვანო დასავლეთ ევროპის ქვეყნებშიაც იყო ნამყოფი, გონებრივი მომზადება საკმაო ჰქონდა სალიტერატურო მოღვაწეობისათვის. ვანო მაჩაბელი მწერლობაში დიდ მისწრაფებასა და სიყვარულს იჩენდა; როგორც შექსპირის დრამების მთარგმნელს, რა თქმა უნდა, თეატრი უყვარდა: 1886—1887 წლების ზამთრის სეზონში თითქმის ყოველ კვირას დავდიოდით ერთად ქართულ თეატრში, სადაც აღტაცებაში მოვყავდით ვასო აბაშიძის, მისი მეუღლის საფაროვას, გაბუნიას, კოტე მესხის, ყიფიანის, გუნიასა და სხვების ორიგინალურ თამაშს. მართალია, მათ ხშირად თავიანთი როლები ზეპირად არ იცოდნენ, მაგრამ მაინც ჩინებულად თამაშობდნენ, არა შაბლონურად. ვანო მაჩაბელი ყურადღებით ადევნებდა თვალყურს მათ თამაშს, მაგრამ სცენის ხელოვნების ისეთი მცოდნე მაინც არ იყო, როგორც „სამშობლოს“ ავტორი დავით ერისთავი. დავითიც ხშირად დადიოდა ჩვენთან ერთად თეატრში. ვანოს მოსწონდა თამაშის კომიკური მხარე და ბევრსაც იცინოდა ხოლმე. დავით ერისთავი უფრო თავშეკავებული იყო და კრიტიკულად უყურებდა მსახიობების თამაშს.

თეატრის რეჟისორად მაშინ ვ ა ს ო თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი იყო, წყნარი, მუდამ მომღიმარი კაცი. ძლიერ რბილი ხასიათის ადამიანად მეჩვენებოდა. მოთმინებიდან ადვილად არ გამოდიოდა, ყოველთვის სხვებს უთმობდა.

ვანო მაჩაბელი ძლიერ მშველოდა „ვეფხისტყაოსნის“ გერმანულად გადათარგმნაში. მასთან გავიცანი ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ყ ა ზ ბ ე გ ი (მოჩხუბარიძე); მაშინ უკვე თვალისჩინი აკლდა. გარეგნობითაც მოხუცს ჰგავდა, თუმცა 40 წელს ვერად არ იყო გადაცილებული. მის ზოგიერთ მოთხრობას უკვე ვიცნობდი და, რასაკვირველია, ძლიერ საინტერესო იყო მასთან საუბარი საკუთარ თხზულებათა და, საზოგადოდ, ლიტერატურაზე, მაგრამ ყაზბეგი ისე დაეთრგუნა ავადმყოფობას, რომ ხალისიანად ვეღარ გამოგყვებოდა ლაპარაკში.

ვანო მაჩაბელთან თითქმის ყოველდღე იკრიბებოდა ახალგაზრდობა, რომელიც ლიტერატურას ან საზოგადოებრივ საქმეებს ემსახურებოდა. მოდიოდნენ ისეთებიც, რომელთაც თავი მოჰქონდათ ისე, თითქოს რაიმეს გამკეთებლები იყვნენ, საქმით კი მხოლოდ მჭევრმეტყველებაში ვარჯიშობდნენ. ვანო ხანდახან უჩიოდა მათ, დროს მართმევენო. როგორც შევამჩნიე, ახალგაზრდობის ასეთი ხშირი შეკრებილობა, მართლაც, აკარგვინებდა ვანოს დროს. მას შემდეგ კი, როცა „მისმა მეგობრებმა“ ვანო ბანკის საქმეების გამო ილიასთან ბრძოლის ქსელში გააბეს, იგი სრულიად ჩამოშორდა ლიტერატურას, რომელიც ასე ძლიერ უყვარდა.

ილია წინამძღვრიშვილი

ილია წინამძღვრიშვილი 1885 წელს გავიცანი, საგურამოში, ჩემი პირველი ჩამოსვლისას, მას თავის მამულ წინამძღვრიანთკარში, ის იყო, სამეურნეო სკოლა დაეარსებინა. იშვიათად შემხვედრია ადამიანი, რომელიც მისებრ სულითა და გულით ერთგული ყოფილიყო მოყვასისა და მთელი სიცოცხლის მანძილზე მასავით დაუღალავად ემუშაოს წამოწყებული საქმის დასაგვირგვინებლად. წინამძღვრიშვილმა თავის სკოლას არა მარტო დრო და ღონე, არამედ მთელი თავისი ქონება შესწირა, თვითონ კი მეტისმეტად უბრალოდ ცხოვრობდა, ბევრ რამეზე უარს ამბობდა, დაბრკოლებას არ დაგიდევდათ, ოღონდაც კი სარგებლობა მოეტანა საკუთარ სკოლაში მოსწავლე ღარიბი გლეხების შვილებისათვის. ყოველწლიურად აუმჯობესებდა სკოლას, აფართოებდა მის ბაღსა და შენობას. ისეთი კულტურის სასოფლო-სამეურნეო კერა შეჰქმნა, რომლის მსგავსი საქართველოში არ მოიძებნება. სამწუხაროდ, ილია წინამძღვრიშვილის ესოდენ სასარგებლო საქმემ შესაფერისი თანაგრძნობა და დახმარება ვერ მოიპოვა. ამ წამოწყებას ან მარტოოდენ კრიტიკოსები, ან უბრალო კეთილისმსურველები ჰყავდა. ნამდვილი მფარველები კი ძალიან ნაკლებად.

პეტრე უმიკაშვილი, ნიკო ხიზანიშვილი და გიორგი წერეთელი

ილია ჭავჭავაძის სახლში გავიცანი პეტრე უმიკაშვილი, ნიკო ხიზანიშვილი და გიორგი წერეთელი. ესენი თავისებური ადამიანები იყვნენ.

კეთილ, პატიოსან და მოკრძალებულ პეტრე უმიკაშვილს ლიტერატურა ძლიერ უყვარდა, მისმა შრომისმოყვარეობამ და კეთილსინდისიერებამ დიდი სარგებლობა მოიტანა. პეტრეს თვისებები სწორედ მისაბაძი მაგალითი უნდა ყოფილიყო ყოველი ლიტერატორისათვის; რასაც კი დაიწყებდა, საფუძვლიანად, მოთმინებითა და სიყვარულით აკეთებდა. ხშირად მუშაობის დროს ჭამა და მოსვენებაც კი ავიწყდებოდა.

1887 წელს პეტრე უმიკაშვილი რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენაში მონაწილეობდა. მაშინ ამ პოემას გერმანულად ვთარგმნიდი და ზოგიერთი ადგილის გასარკვევად ბევრჯერ მიმიმართავს მისთვის.

ერთხელ მოთმინებიდანაც გამომიყვანა. შუაღამისას ერევნის მოედნით შინისკენ მივეშურებოდი. გზაზე უმიკაშვილს შევხვდი; ვანო მაჩაბელთან ყოფილიყო „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის სხდომაზე. პეტრემ მაშინვე ამ საგანზე დამიწყო ლაპარაკი, ერთი საათი მელაპარაკა. ჯერ გულდინჯად ვუგდებდი ყურს, მერე კი ველარ მოვითმინე და პირდაპირ ვუთხარი, პირველის ნახევარია და დასაძინებლად წავიდეთ-მეთქი. მან გაიცინა და გატაცებული ლაპარაკი შეწყვიტა.

პეტრემ გაჯავრება, საერთოდ, არ იცოდა, მაგრამ ყოველგვარი უსამართლობა აღელვებდა; მიუხედავად მოკრძალებული ხასიათისა, სადაც კი საჭიროდ დაინახავდა, თავის აზრს ყოველთვის პირდაპირ გამოთქვამდა.

უმიკაშვილის პირდაპირსა და პატიოსან ხასიათს ზოგიერთი არ აფასებდა, ზოგი კი მისი დიდსულოვნებით სარგებლობდა. ამისთანებს ყოველთვის მშვიდობიანი ხუმრობით უპასუხებდა ხოლმე, თუმცა მათი რიცხვი მცირე იყო, უმეტესობა უმიკაშვილს პატივისცემით ეპყრობოდა.

სულ სხვაგვარი ხასიათი ჰქონდათ ნიკო ხიზანიშვილსა და გიორგი წერეთელს. ორივე ოთხმოციანი წლების განმავლობაში დიდ მონაწილეობას ღებულობდა ქართულ ლიტერატურულ საქმიანობაში. ნიკო ხიზანიშვილი ილიამ პატიოსან და ენამახვილ ადამიანად გამაცნო, კონსტანტინე მუხრანბატონმა კი როგორც „ბურსაკი"—სემინარიელი. ორივენი მართალი იყვნენ: რამდენადაც ნიკო ჭკვიანი იყო, იმდენად აკლდა გარეგნული ბრწყინვალება. ისე მგონი, პირველი ქართველთაგანი გახლდათ, რომელიც ქართული კანონებისა და საქართველოს ისტორიის ცალკეული ეპოქების კულტურის გამოკვლევას შეუდგა. მაგრამ ნიკოს ნიჭმა ვერ გამოიღო ნაყოფი, საკმაო დროს ანდომებდა კამათს და ხშირადაც ამარცხებდა ხოლმე თავის მოწინააღმდეგეებს.

ილიას ნიკოსთან ყოფნა უყვარდა, აფასებდა მის ცოდნასა და გონებამახვილობას. ხიზანიშვილთან კაცი მართლაც არ მოიწყენდა. როცა სერიოზულ თემაზე ლაპარაკობდა, აშკარა იყო, რომ საგნის არსს სწვდებოდა. მასთან ბაასისას ხშირად მიფიქრია, რამდენი სარგებლობის მოტანა შეეძლო ლიტერატურისა და მეცნიერებისათვის ამ კაცს, სისტემატურად რომ ემუშავა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს თვისება არა ჰქონდა. ხან დღე და ღამეს ასწორებდა, ხან კი მთელი კვირაობით ხელს არ ჰკიდებდა კალამს.

ამ მხრივ ნიკო ხიზანიშვილი ილიას ჰგავდა; ილია ხშირად თავდავიწყებით მუშაობდა, მთლად გადაიღლებოდა და ასეთი გატაცების შემდეგ ოდნავ გულგრილობას მიეცემოდა ხოლმე.

უკანასკნელი მოთხრობა — „ოთარაანთ ქვრივი" ილია ჭავჭავაძემ ხუთ დღეში დაწერა. ამ თავის ხანგამოშვებით გულგრილობას ილია თვითონ დასცინოდა, ერთხელ კიდეც მითხრა: მე სწორედ კამეჩის ხასიათი მაქვს; ამ კარგ ცხოველივით ძლივს ვიწყებ მუშაობას, მაგრამ როცა ურემს გავწევ, მაშინ კი მიმაქვს, სანამ სრულებით არ მოვიქანცებიო...

როგორც ვთქვი, ნიკო ხიზანიშვილი კარგი და მხიარული კაცი იყო, მაგრამ მარტო ოხუნჯობით როდი ართობდა მოსაუბრეებს, მათ ხშირად იტაცებდა თავისი გამოკვლევებითა

და აზრებით. ბევრჯერ რამდენიმე ზედგამოჭრილი სიტყვით ნიკო საოცრად ზუსტად, მაგრამ დაუნდობლად ახასიათებდა ხოლმე ზოგიერთს და ამ მოსწრებული ლაპარაკით გვაცინებდა.

ერთხელ მე, ილია ჭავჭავაძე და ნიკო საგურამოში წავედით. დიასახლისი ქ-ნი ოლღა სადილად მიგველოდა. უკვე ხუთი საათი იყო, რომ მივედით. ნიკო, ჩვეულებრივ, მადიანად შეექცეოდა. საღამოს 9 საათზე, როდესაც ჩაის მაგიდას მივუსხედით, ნიკოს დაავიწყდა, რომ ნასადილევი იყო და ყურში ჩამჩურჩულა: მადაზე ვარო. რამდენიმე წუთის შემდეგ ქ-ნი ოლღა დაეკითხა, ხილს ხომ არ ინებებთო. —მადლობას მოგახსენებთ,—მიუგო მან, — მე ხილს მხოლოდ ვახშმის შემდეგ გიახლებითო.

რადგანაც გვიან ვისადილეთ, დიასახლისი ვახშმის მომზადებას არ შედგომოდა, მაგრამ ხიზანიშვილს უმალვე მიუხვდა. და მაშინვე შეუდგნენ მწვადების შეწვას. მე და ილიას კი ამან სიცილი მოგვგვარა.

გრიგოლ ვოლსკი

აღარ მახსოვს 1895 თუ 1896 წელი იყო, ახალი წლის წინადღით თბილისიდან ბათუმს მივემგზავრებოდი. თბილისის ირგვლივ მთები დაეთოვა. სადგურისკენ მიმავალმა მტკვრის გაყინული ნაპირები შევამჩნიე. ერთი სიტყვით, ზამთრის ცივი დღე იდგა, მაგრამ დილით, როდესაც მატარებელი ბათუმს მიუახლოვდა და ფანჯრიდან გადმოვიხედე, თბილოდა. მზე ირგვლივ ოქროსფერ სხივებს აბნევდა, მცენარეები ჰყვაოდა. თბილისის ზამთარი ბათუმის გაზაფხულმა შეცვალა.

პირველი ნაცნობი, რომელსაც მე ბათუმის ქუჩაზე შევხვდი, გრიგოლ ვოლსკი იყო. იგიც გაეხალისებინა გაზაფხულის თბილ ამინდს, თუმცა რაღაც ჩუმი ნაღველი მაინც დაჰკრავდა: ვოლსკის თბილისის გარეშე ცხოვრება არ შეეძლო. იმ დროს ის როტშილდის ქარხანაში ექიმად მუშაობ-

და. პოეტი ვოლსკი და ქარხნის ექიმი?! სწორედ ასე გახლდათ! ამ თანამდებობას მრავალ წელს ასრულებდა. ბათუმის ქვაფენილებს სერავდა პოეტი და ხანდახან რამდენიმე საათით პარკში ზღვის საყურებლად დადიოდა. ის ექიმი იყო, თუმცა არავითარი სწრაფვა არ აკავშირებდა ამ საქმესთან. მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწუხდა, პროფესიის არჩევაში შეცდომა მომივიდაო.

კერძო პრაქტიკა არ ჰქონდა და არც შეიძლებოდა ჰქონოდა, რადგან მედიცინით სრულიად არ იყო დაინტერესებული. ბედად, ქარხნის ექიმის ადგილი იშოვნა, თორემ სხვა არავითარი სახსარი არ გააჩნდა. როგორც ქარხნის ექიმს შეეფერებოდა, თავისი მცირე ჯამაგირით ღარიბულად ცხოვრობდა.

დამშეულის, დაუოკებელი ოცნებით მიილტვოდა გრიგოლ ვოლსკის ფიქრები თბილისის ქართული ლიტერატურული ცხოვრებისაკენ.

ასე გაატარა ვოლსკიმ მრავალი წელი ამ სამრეწველო ქალაქში, და ქართული ლიტერატურისათვის მაშინ ძალიან ცოტას თუ აკეთებდა. როცა ვოლსკი თბილისში გამოჩნდა, იგი უკვე მოტეხილი იყო. სიმხნევე და ხალისიანი განწყობა, რაც ახალგაზრდობაში ახასიათებდა, აღარ შემორჩენოდა.

ვოლსკი უთუოდ ნიჭიერი და ძლიერი შესაძლებლობის ქონე პოეტი იყო, მაგრამ მას ცხოვრებამ ადრე მოამსხვრია ფრთები.

ერთი დღე სოფელში

ილია ჭავჭავაძესთან ერთად ხშირად დიდი მწუხარებით გახსენებ ბევრ სხვა ქართველ მოღვაწეს, რომლებიც ახლა ცოცხლები აღარ არიან. ეს ადამიანები ძლიერ საჭირონი იყვნენ საზოგადოებისათვის. ოთხმოციანი წლების მეორე ნახევარში ილია ჭავჭავაძის წყნარი და მშვიდი ცხოვრება არაფერს დაურღვევია, ძალიან იყო გართული „ივერიის“ სარედაქციო საქმიანობით. მაშინ, საზოგადოდ, მისი ყურა-

ღება უმთავრესად ლიტერატურული საკითხებისადმი იყო მიპყრობილი. სტუმრები ილიას თითქმის ყოველდღე ჰყავდა. მათთან ის, ჩვეულებრივად, ლიტერატურასა და სხვადასხვა ხალხების კულტურაზე საუბრობდა ხოლმე სიამოვნებით. მისი ბაასი ყოველთვის დარბაისლური, სასიამოვნო და მომხიბლავი იყო.

მე ყოველდღე დავდიოდი ილიასთან, რაც საშუალებას მაძლევდა მისი მდიდარი ბუნება, ფართო ცოდნა და ნგრძნობიარე სული ახლო გამეცნო. მასთან არასოდეს მომიწყენია; ილია ნათელი ოპტიმიზმით უყურებდა კაცობრიობის პროგრესს.

ჩვენს საუბრებს ხშირად მხიარული ელფერი ეძლეოდა, როცა კონსტანტინე მუხრანბატონი და ვანო მაჩაბელი ღებულობდნენ ხოლმე მონაწილეობას მასლაათში.

დიღომში, კონსტანტინე მუხრანბატონისას, მხატვარი გიგო გაბაშვილი გავიცანი: ეს იყო, მგონი, 1887 წლის ზაფხულს. თბილისში სწორედ ამ დროს ჩამოვიდა ლაზარევის ინსტიტუტის პროფესორი ილია ოქრომჭედლიშვილი. ივანე მუხრანბატონმა მის პატივსაცემად სადილი გამართა. დიღომში ილია ჭავჭავაძესთან ერთად წავედი მისი საკუთარი ეტლით. ერთ დალმართზე, დიღმის დუქანთან ცხენებმა გაგვიტაცეს, მეეტლე დაიბნა, ილია კი კოფოზე შეხტა, მეეტლეს აღვირი გამოსტაცა და, როგორც იყო, ცხენები დააოკა. სახიფათო გზაზე მას არასოდეს იპყრობდა შიში. ხანდახან, როცა ღამით გვიხდებოდა მოგზაურობა, ილიას თვითონ მიჰყავდა ეტლი, ანდა გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს მეეტლეს და რჩევას აძლევდა.

სადილობისას გაბაშვილის გვერდით ვიჯექი. ზოგიერთი მისი სურათი ნანახი მქონდა. ვურჩიე, მხატვრობაში გასავარჯიშებლად მიუნხენში პროფესორ ბრანდთან წასულიყო. ეს უკანასკნელი პოლონელი ხალხის ცხოვრების ამსახველი სურათებით იყო ცნობილი. გ. გაბაშვილმა მითხრა, პეტერბურგის პროფესორებმაც იგივე მირჩიესო. პატრიარქალური ცხოვრების ამსახველი ჟანრი, ჩემი ღრმა რწმენით, ძლიერ შეეფერებოდა მხატვარ გიგო გაბაშვილის ნიჭს. მან თავის შემოქმედებაში, სამწუხაროდ, ეს მხარე ძალიან ნაკლებად

განავითარა და ხელი უფრო სხვა თემებს მოჰკიდა. რა სიმაღლეს მიაღწევდა ამ ჟანრში მისი ნიჭი ივ ტილოდან ჩანს, რომელზეც სამი თბილისელი მოქალაქეა გამოსახული. ეს სურათი დავით სარაჯიშვილის სახლში ინახებოდა... მახსოვს, 1903 წელს დავით სარაჯიშვილთან სტუმრობისას როგორი აღტაცებით უყურებდა ამ სურათს გერმანელი მეცნიერი და მწერალი გოტფრიდ მერცბახერი, შესანიშნავი შრომის „Aus den Hochregionen des Kaukasus"-ის ავტორი...

ნასადილევს ილია ჭავჭავაძესთან ერთად საგურამოსაკენ გავემგზავრე. თუმცა ამ დღიდან ოცდაოთხმა წელმა განვლო, დღევანდელივით მახსოვს თიბათვის ის მშვენიერი საღამო და მზის ჩასვენების სურათი არაგვის ხეობაში.

თითქმის ყოველ წელს, გაზაფხულიდან შემოდგომამდე, ყოველ შაბათს საგურამოში ავდიოდით. გზაში ბუნების სიმშვენიერით ვტკბებოდით, მეტადრე საგურამოსთან აზიდული ტყიანი მთების სურათით. როგორც კი ამ მომხიბლავ ადგილს მივუახლოვდებოდით, ილია ყოველთვის პოეტურ გუნებაზე დგებოდა.

— ოჰ, ჩემს მეგობრებთან და თქვენთან ერთად აქ რომ მთელი წლობით მამყოფა, — ამეტყოდა ხოლმე ის,—კარგი წიგნები, ზოგჯერ სასიამოვნო სტუმარი!.. ეს საკმარისია... სხვა არა არის რა საჭირო.

საგურამოში ილია ნაადრევ ზაფხულს ან შემოდგომაზე მიდიოდა.

„ივერიის" რედაქციაში

1886 წლის იანვრის პირველს ილია ყოველდღიურ გაზეთ „ივერიის" გამოცემას შეუდგა. ამან მის ცხოვრებაში სასიამოვნო მრავალფეროვნება შეიტანა. ახალი წლის წინა ღამეს ილიას ბინაზე დიდძალი საზოგადოება შეიკრიბა ახალი წლისა და ახალი გაზეთის შესაგებებლად.

დიახ, ამ ახალი და დიდი გაზეთის გამოსვლა მნიშვნელოვანი ამბავი იყო ქართველთა ცხოვრებაში; მოუთმენლად ელოდნენ მის გამოსვლას ისეთებიც, რომლებიც მანამ-

დე გულგრილად უყურებდნენ ქართულ გაზეთს. ილიას დიდი სახელი ჰქონდა მოხვეჭილი და, რასაკვირველია, ახალ „ივერიიდან“ ბევრსაც მოელოდნენ.

თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს მოლოდინი გამართლდა, რადგან დიდი ფორმატის ახალმა გაზეთმა, საუკეთესო ქართველ მწერალთა თანამშრომლობის მეოხებით ერთბაშად წასწია წინ ქართული ლიტერატურა და სიცოცხლე შეიტანა ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

„ივერიის“ მთავარი თანამშრომლები იყვნენ: გიგო ყიფშიძე, ილია ბახტაძე, დავით ერისთავი, ნიკო ხიზანიშვილი, ვაჟა-ფშაველა, ბაჩანა და ალექსანდრე ნანეიშვილი. „ივერია“ ბევრ ცნობას იძლეოდა, მაგრამ, უეჭველია, ყველას მაინც ვერ აკმაყოფილებდა; მაშინ „ივერია“ ერთადერთი ქართული გაზეთი გახლდათ, თავისი მიმართულება ჰქონდა და არც შეიძლებოდა იმ დროს ყოფილიყო მთელი ქართველი ხალხის საზოგადოებრივი აზრის გამომხატველი. ილია, რასაკვირველია, თავის აზრსა და მიმართულებას იცავდა; მისი მახლობელი თანამშრომლებიც, ცოტა თუ ბევრად, მისი აზრის მომხრენი იყვნენ. საზოგადოებრივ ასპარეზზე ახლად გამოსული ახალგაზრდების ნაწილი კი ამ აზრს არ იზიარებდა და „ივერიის“ ოპოზიციას შეადგენდა, იგი თვალსაჩინოდ იზრდებოდა. მას შემდეგ ათ წელზე მეტი გავიდა, ვიდრე ახალი მკვიდრი ორგანიზაცია ჩამოყალიბდებოდა. ამ დროისათვის სახალხო მწერლებიც გამოჩნდებოდნენ. არ შეიძლება ითქვას, რომ ილია მათ ასპარეზზე გამოსვლის გამო კმაყოფილი იყო. მას ახარებდა პროგრესის ყოველგვარი ახალი გამოვლენა, მაგრამ არ მოსწონდა ზოგიერთი ახალი მწერლის უკიდურესობა.

ილია ხანდახან წამიკითხავდა დამახასიათებელ ადგილებს ახალგაზრდა მწერლების თხზულებებიდან ან საგაზეთო სტატიებიდან. ხშირად ვეთანხმებოდი, რომ ავტორს გატაცების გარდა არა ეტყობოდა რა. ბოლოს, როცა ქართველი ხალხის საზოგადოებრივი ცხოვრება უფრო განვითარდა, ქართველ მწერალთა რიცხვიც გაზარდა და განათლებულთა წრეც გაფართოვდა, ილია უკვე იშვიათად, მხოლოდ ზოგი-

ერთ მოვლენას თუ გაიცხავდა ხოლმე, საზოგადოდ, იგი ამ პროგრესით კმაყოფილი იყო.

„ივერიის“ რედაქციაში მე გავიცანი გ რ ი გ ო ლ ვ ო ლ ს კ ი, დედა ქართველი ჰყავდა, მამა—პოლონელი. ბუნებით ნამდვილი ქართველი იყო. ეს კაცი არ ეკუთვნოდა შერეული ქორწინებით წარმომდგარ შთამომავლობას, რომელიც კარიერისა და თავისი კერძო ნივთიერი სარგებლობისათვის უფრო ძლიერ ერს ემხრობა. ვოლსკი ცდილობდა იმ ხალხთან ყოფილიყო განუყრელად, რომელთა შორისაც ის დაიბადა და ვისი პოეტიც გახდა. ვოლსკის ლექსებში არიან ისეთები, რომლებიც მკითხველზე ღრმა შთაბეჭდილებას სტოვებენ. ერთ-ერთ ლექსში პოეტი თავისი მომავალი სიკვდილის შესახებ წერს და სამშობლოს მიმართავს. უეჭველია, ეს ლექსი მრავალი საუკუნე იცოცხლებს. სამშობლოს სიყვარული მასში იშვიათი სილამაზითა და ძლიერებით არის გამოხატული. ვოლსკი კეთილშობილი ადამიანი იყო და მის მისწრაფებათაც კეთილშობილური სხივი აციმციმებდა.

„ივერიის“ რედაქციაში მოდიოდა ხოლმე აგრეთვე პოეტი რ ა ფ ი ე ლ ე რ ი ს თ ა ვ ი, რომლის ლექსები ილიას განსაკუთრებით იმიტომ უყვარდა, რომ ისინი სოფლის ცხოვრებას ეხებოდნენ. ილია სოფელში ხედავდა ქართული ეროვნული ცხოვრების სულს. მოსწონდა გლეხთა ყოფაცხოვრების რაფიელისეული აღწერა, თუმცა ამ ლექსებში შიგადაშიგ პოეზიის სიმწირე ჩანდა .

მახსოვს ილიას აღტაცება გლეხთა ცხოვრების ამსახველი სურათების კითხვისას, რა ცხადად მეღავნდებოდა, რომ სოფელი უყვარდა. დიახ, ილიას თბილისზე მეტად სოფელი უყვარდა, მაგრამ სამსახურის გამო ხანგრძლივად უხდებოდა ქალაქში ყოფნა. ამიტომ რაფიელ ერისთავიც სოფელზე ხშირად ესაუბრეჰოდა და ამით დიდ სიამოვნებას ანიჭებდა ხოლმე. თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში რაფიელ ერისთავი იშვიათად მიდიოდა ილიასთან — მასთან, ვინც მხურვალე მონაწილეობა მიიღო მოხუცი პოეტის იუბილეში. მაგრამ რაფიელის იუბილეზე ილიამ ისიც თქვა: ასეთ პატივისცემას დაუძლურებული მოხუცისა, რომელსაც სხე-

ული და გონება უკვე მოშლილი აქვს, აზრი არა აქვს და არასასიამოვნო შთაბეჭდილებასაც სტოვებსო. ილია, საერთოდ, იუბილეების წინააღმდეგი იყო. ცერემონიალი, ადრესების კითხვა და სხვა უაზრო თავშესაქცევრად მიაჩნდა. კმაყოფილი იყო, რომ მისი იუბილე არ შედგა და რამდენიმე საათით ჩინელი ბოლდიხანივით უძრავად ერთ ადგილზე ჯდომა და ბრტყელ-ბრტყელი სიტყვების მოსმენა ასცდა.

1888 წელს ილია ფრეილინის ქუჩაზე გადასახლდა, მაგრამ აქ დიდხანს არ უცხოვრია. მეორე წელს ნიკოლოზის ქუჩაზე თავისი დის—ელისაბედ საგინაშვილის სახლში დაბინავდა. აქ 1901 წლამდე დაჰყო. მთელი ამ დროის განმავლობაში ილია ცხარე მოღვაწეობას ეწეოდა „ივერიაში". რაკი ბანკის საქმეები ნებას არ აძლევდა პირადად ეწარმოებინა გაზეთი და რედაქტორობაც გაეწია, ამ ძნელ საქმეებს სხვებს ანდობდა ხოლმე: ჯერ დავით მიქელაძეს („მეველეს"), შემდეგ—გრიგოლ ყიფშიძეს და ბოლოს ალექსანდრე სარაჯიშვილს მიანდო.

დავით მიქელაძე იყო ნამდვილი იმერლის ტიპი, ლაპარაკში მოუღალავი, ტემპერამენტითა და ხასიათით განსხვავდებოდა მძიმე, საფუძვლიანსა და მტკიცე გიგა ყიფშიძისაგან, რომელიც ქართლელის საუკეთესო ტიპს წარმოადგენდა. დავით მიქელაძე თავისებურად წარმოისახავდა და შეადგენდა გაზეთის „დღიურ ამბებს". ილიასთან ამის შესახებ არასოდეს მილაპარაკია. საზოგადოდ, ვერიდებოდი კიდეც ილიასთან „ივერიის" და მისი თანამშრომლების კრიტიკას.

„ივერიის" რედაქციაში რამდენიმე წელს მუშაობდა ერთი საუკეთესო პიროვნება, ეს იყო მ ა ქ ს ი მ ე შ ა რ ა ძ ე. ის 1887 წელს ილიას ლაქიად ჰყავდა. ამ ადამიანმა თავისი რიგიანობითა და შრომისმოყვარეობით მალე ილიას სრული ნდობა დაიმსახურა. ილია მას სხვადასხვა საქმეებს ანდობდა ხოლმე. შარაძე ვეგეტარიანელი და დიდი ღვთისმოშიში კაცი იყო. მან პატარა წიგნაკიც დაწერა, სადაც აღწერილი აქვს თავისი ზნეობრივი ცვლილება, რომელსაც მიაწერდა მცენარეულ საჭმელზე გადასვლას. რამდენიმე ხანს შარაძე, როგორც მახსოვს, „ივერიის" სტამბაში ასოთამწყობად და

გაზეთის კორექტორადაც მუშაობდა, ბოლოს ბერად შედგა ზედაზნის მონასტერში. აქ დიდხანს არ დარჩენილა, დაბრუნდა და თბილისში გარდაიცვალა კიდეც.

ნიკოლოზის ქუჩაზე ილიასთან უფრო ნაკლებად დადიოდნენ სტუმრები. ვანო მაჩაბელი ცხადლივ ეწეოდა მის წინააღმდეგ ბრძოლას. ასე უნდოდათ მაჩაბლის მეგობრებს, რომლებიც მრავალი წელი ოპოზიციაში ედგნენ ილიას, რაც საქმისთვის უსარგებლო იყო, ხოლო ვანო მაჩაბლის ჯანმრთელობის საზიანო. მე ილიას საუბარში შევამჩნიე, რომ უკმაყოფილო იყო და ამაზე ლაპარაკსაც ერიდებოდა.

აკაკი წერეთელმაც უკლო სიარულს ილიასთან, ილიას სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ორივე მგოსანი კვლავ ხშირად ხვდებოდა ერთმანეთს დავით სარაჯიშვილის სახლში. წინანდებურად საუბრობდნენ, თუმცა მათ საუბარს თავდაჭერილობა ემჩნეოდა.

ილიას სახლში მომსვლელთა რიცხვმა შესამჩნევად იმატა იმის შემდეგ, რაც ილია ახალ ბინაზე დასახლდა. ძველ სტუმრებს — ნიკო ცხვედაძეს, იაკობ გოგებაშვილს, ეკატერინე გაბაშვილს, ანასტასია თუმანიშვილ-წერეთლისას, ნიკო ხიზანიშვილს, პეტრე უმიკაშვილს, სტ. ჭრელაშვილს, ანტონ ფურცელაძეს, გიორგი წერეთელს, ლევან ჯანდიერს, დავით ბარათაშვილს, დავით სარაჯიშვილს ახალი სტუმრებიც მიემატნენ; ესენი იყვნენ: გრიგოლ ვოლსკი, ნიკო ღოღობერიძე და მრავალი სხვა.

ნიკო ცხვედაძე ამ დროს აპირებდა დიდი შენობის აგებას სათავადაზნაურო გიმნაზიისათვის. მან მხოლოდ 1897 წელს შესძლო მიეღო გერმანიიდან სხვადასხვა სასწავლებლების ალბომი შენობათა გეგმით და იმ დღიდანვე ენერგიულად შეუდგა თავისი გეგმის განხორციელებას, რომლის სირთულემ ბოლოს დიდი უსიამოვნება მიაყენა. იშვიათად შემხვედრია ადამიანი, ვინც ასე ფანატიკურად ყოფილიყო იდეით გატაცებული, როგორც ნიკო ცხვედაძე. ტყუილად კი არ უწოდეს მას „სკოლის ფანატიკოსი“.

იაკობ გოგებაშვილი უფრო ხშირად „ივერიის“ რედაქციაში მოდიოდა, ვიდრე ილიას ბინაზე. იმ წლებში ის ძლიერ იყო გატაცებული სასკოლო საქმეების ირგვლივ

წარმოებული პოლემიკით. თავისი წერილების ბეჭდვას და კორექტურას თვითონვე ადევნებდა თვალყურს. საერთოდ, ძველი ჩვეულების თანახმად, იაკობი მახლობელი მეზობლების გარდა არავისთან დადიოდა, თუმცა კარგი ნაცნობების მისვლა უყვარდა. წელიწადში ერთხელ ნადიმსაც გადაიხდიდა, რომელზედაც, სხვათა შორის, აკაკი და ილიაც იყვნენ ხოლმე. გოგებაშვილი მაშინ ისევ ძველ ბინაში ცხოვრობდა, მამადავითზე, „პრიუტის“ ქუჩაზე და იქვე გარდაიცვალა 1912 წელს. ეს ბინა ძლიერ მოსწონდა. ნათელი, მზიანი და მყუდრო იყო მისი სამყოფელი. აქ იაკობი ოც წელზე მეტი ცხოვრობდა და რამდენიმე წლის დაძაბული მუშაობის შემდეგ აქვე მოუსწრო სიბერემ. იაკობი ხედავდა, როგორ თანდათან ჩამოაშორა სიკვდილმა ახლო მეგობრები, გრძნობდა, აღარც მე მიწერია გრძელი დღეო. აღსასრულს, როგორც ნამდვილ ბრძენს შეშვენის, დამშვიდებითა და უშფოთველად მოელოდა. უკანასკნელი ორი ზამთარი გარეთ იშვიათად გამოდიოდა, მაგრამ ხარობდა მოხუცი, როცა ბრწყინვალე მზე მის ოთახებს გააშუქებდა და სასადილო ოთახის ფანჯარასთან იადონი გალიაში სიმღერას მოჰყვებოდა. ეს ფრინველი იაკობს ბევრ ფარულ სიამოვნებას ანიჭებდა, ხოლო როცა ფრთოსანი მოწყენილი იყო და დუმდა, მოხუციც მოიწყენდა ხოლმე.

ნიკო ღოღობერიძის გარდაცვალებამ იაკობი ძლიერ შეაწუხა. მაშინ მან ჩუმი და ნაზი ხმით მითხრა: არტურ, ყველა ჩვენი მეგობარი სამარისაკენ მიდის, ჩემიანებში მხოლოდ რამდენიმე კაცი დარჩა. მოდი ხოლმე ჩემთან ხშირად! უეჭველია, მეც მალე მოვშორდები წუთისოფელსო... მართლაც ასე მოხდა. ამ სიტყვების შემდეგ ხუთმა თვემ განვლო და იაკობიც გარდაიცვალა. გაქრა ეს ბრწყინვალე პიროვნება, ეს პატიოსანი, უმწიკვლო ადამიანი.

ილიას ოჯახში უფრო იშვიათი სტუმარი იყო მწერალი ქალი ეკატერინე გაბაშვილი, რომელიც იმ დროს დიდ მონაწილეობას იღებდა მწერლობაში, ილია პატივს სცემდა ეკატერინეს და აფასებდა როგორც მის მოთხრობებს, ისე საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც. ეკატერინე გაბაშვილს ყოველთვის მშვიდად და ღირსეულად ეჭირა თავი. თავისი

მოთხრობებისა და ღვაწლის შესახებ არსად არაფერს ამ-ბობდა, მაგრამ თუ როგორ აფასებდა და პატივს სცემდა მას ქართველი საზოგადოება იქიდან ჩანს, რომ აუარებელი ქა-ლი და კაცი იკრიბებოდა მის სახლში ეკატერინობა დღეს.

ილიას მეუღლესთან — ოლღასთან ძლიერ ხშირად მო-დიოდა ანასტასია თუმანიშვილის ასული, რომელიც შემდეგ მისთხოვდა გიორგი წერეთელს. იგი ოთხმოციან წლებში საბავშვო მწერლობის დარგში მოღვაწეობდა და ეს საქმე უყვარდა კიდეც. თავის სახლში, ბარიატინსკის ქუჩაზე, ანასტასია თუმანიშვილი ხანდახან პატიჟებდა იმათ, ვინც მწერლობაში მონაწილეობას იღებდა. 1885 წელს იქ გავი-ცანი პეტრე მირიანაშვილი. იგი ახალი ჩამოსული იყო პა-რიზიდან და დიდი გულმოდგნებით მუშაობდა ქართული გრამატიკისა და ზოგიერთ სალიტერატურო საკითხის გა-მოკვლევაზე. პეტრე მირიანაშვილიც იმ სიმპათიურ ქარ-თველ მასწავლებელთა ტიპს ეკუთვნის, რომლებზედაც ხში-რად გვქონდა ლაპარაკი. განა ასეთივე სიმპათიურ ადამიანს არ წარმოადგენდა ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა, ეს მშვიდი ადამიანი, საბავშვო ჟურნალის დაუღალავი რე-დაქტორ-გამომცემელი. იგი ნამდვილი მაგალითი იყო სხვა ქალებისათვის.

გიორგი წერეთელი იშვიათად მოდიოდა ილიასთან, მაგ-რამ მე სწორედ ილიას სახლში გავიცანი 1885 წელს, გერ-მანიიდან დაბრუნების შემდეგ, სადაც მას რამდენიმე წელი გაეტარებინა. მომწონდა მისი ცოცხალი ტემპერამენტი და მხიარული იუმორი.

1887 წელს ზაფხულში სტუმრად ვიყავი რგანში, ჭიათუ-რის მახლობლად, ნიკო ღოღობერიძის მამულში, სადაც შა-ვი ქვის მადანი იყო. ამ მამულს განაგებდა მაშინ ლავრ. მგელაძე. მე და მგელაძემ ბევრი ვიმოგზაურეთ. ამ მოგზაუ-რობის დროს გავიცანი ზემო იმერეთის საუცხოო ბუნება და მისი სოფლის ცხოვრება, რომელიც ისე მომეწონა, რომ რგანშივე დავწერე მოთხრობა „ვარო". ეს მოთხრობა 1888 წელს დიდ გერმანულ ჟურნალ „Ueber Land und Meer"-ში დაიბეჭდა.

რგანში ჩემი ყოფნის დროს გიორგი წერეთელი ჩამო-

ვიდა. ჩვენ საჩხერეში წავედით ერთად. იქ სანდრო წერეთელს ვესტუმრე, ორი კვირა დავრჩი. ამ ბრწყინვალე დღეებიდან მეხსიერებაში დამრჩა სანდრო წერეთლის მეუღლის — ელისაბედის პიროვნება. ეს გახლდათ მეტად სიმპათიური, სტუმართმოყვარე, ტიპიური ქართველი ქალი, რომლისას თავს იყრიდნენ მეზობლები — შეძლებულნიც და ღარიბნიც. როგორც მახსოვს, ელისაბედი მთელი საწერეთლოს სული და გული იყო. და მართლაც, თავისი მიმზიდველი თვისებებით იგი სასიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებდა ყველაზე.

მაშინ საჩხერეში ჯერ კიდევ არ იყო აღმოჩენილი მადანი, მემამულენი უზრუნველად ცხოვრობდნენ და ბევრმა გაფლანგა კიდეც თავისი ქონება. მათი ამგვარი ყოფა ყურადღებას იპყრობდა. მხოლოდ როგორც წარსულის გადანაშთი, როგორც სურათი იმ მომაკვდავი დროისა, რომელიც რკინიგზის გაყვანისა და შავი ქვის მადნის აღმოჩენის შემდეგ გარდაიქმნა და გამოცოცხლდა.

ჩემს მეხსიერებაში აღიბეჭდნენ ამ მემამულეთა ფართო სახლები, მათი ზნე და გართობანი. საჩხერიდან პირდაპირ საგურამოში წავედი. ილიას ჩემი შთაბეჭდილებები გავუზიარე. დიდი ყურადღებით მომისმინა, თუმცა იმერთა ცხოვრებას ილია გრძნობდა, მაგრამ ზოგი რამ ჩემი შეხედულებებიდან მისთვის ახალი აღმოჩნდა. დასასრულ, იმერთა ცხოვრებამ მასალა მომცა მოთხრობა „ნინო ვარაპანიძე“ დამეწერა, რომელიც 1895 წელს დაიბეჭდა ერთ გერმანულ ჟურნალ „Roman Bibliothek“ -ში. ეს მოთხრობა ერთი წლის შემდეგ ვანო მაჩაბელმა გადმოთარგმნა და ჟურნალ „მოამბეში“ დაბეჭდა.

1884 წელს, ივნისში, როცა პირველად მივედი „სამშობლოს“ ავტორის დავით ერისთავის სახლში, ნატო გაბუნიამ იქ ანტონ ფურცელაძე გამაცნო, მის კოჭლობაზე მიმითითა და მითხრა, ეს ჩვენი ბაირონიაო.

ანტონ ფურცელაძეს შემდეგში ხშირად ვხედავდი, ილიასთან მოდიოდა და ხანდახან საგურამოშიც ამოდიოდა ეტლით: ფურცელაძე ქართული მწერლობისა და პოეზიის დიდი მოყვარული იყო. ამასთან ძალიან უნდოდა სამაგალი-

თო თხზულებები შეექმნა, თუმცა ნიჭი ხელს არ უწყობდა. ილია მოურიდებლად ეუბნებოდა, საამისო ნიჭი არ შეგწევსო. ეს, რასაკვირველია კამათს იწვევდა. ანტონს გული არ მოსდიოდა, მაგრამ თავისი ნაწერების დაცვას მაინც ცდილობდა, თუმცა ამ პაექრობისას წარმატებას ვერ აღწევდა. მით უფრო, თუ მას ნიკო ხიზანიშვილიც ესწრებოდა. ხიზანიშვილი თავისი მახვილი ენითა და მოსწრებული სიტყვებით ანტონს იარაღს აყრევინებდა. ამ შემთხვევისათვის დამახასიათებელია ნიკო ხიზანიშვილის შემდეგი მახვილსიტყვაობა, რომელიც ილიას თვითონვე უამბო:

მგონი, ნიკო ხიზანიშვილი და ანტონ ფურცელაძე სამკურნალოდ გერმანიაში ერთად წასულიყვნენ. როცა მატარებელი ბერლინს მიახლოებოდა, ფურცელაძეს უთქვამს: ჩემი დრამა „გიორგი სააკაძე" თან მომაქვსო. ამ დრამას ანტონი დიდად აფასებდა, თუმცა იგი სცენისათვის გამოუსადეგარი იყო. —ჩემს დრამას გერმანულად გადასათარგმნელად მივცემ და, უეჭველია, რომელსამე თეატრში წარმოადგენენო,—უთქვამს ანტონს.

— არა, შენს პიესებს ვერ წარმოადგენენ, — მიუგია ნიკო ხიზანიშვილს.

— რატომ?

— იმიტომ, რომ შენს დრამაში ოცდაათი აქლემია სცენაზე გამოსაყვანი. აქ სად იშოვნიან ამდენ აქლემებსო? — უპასუხია ნიკო ხიზანიშვილს, რომელსაც ძლიერ უყვარდა გულსაკლავი სიტყვები და ულმობელი კრიტიკა...

როცა ნიკო ხიზანიშვილი სერიოზულ გუნებაზე დადგებოდა, მისი ლაპარაკი ძლიერ საინტერესო იყო. სწრაფად და სწორად მსჯელობდა ადამიანთა და საგანთა შესახებ. ილიას ამის გამო მასთან ყოფნა უყვარდა და ცინიკურ სიტყვებსაც აპატიებდა, რასაც ნიკო ხანდახან ჩაურევდა სერიოზულ ლაპარაკში.

როცა ნიკო ხიზანიშვილი ზოგიერთ ქართველ მოღვაწესა და მწერალს თავისებური სუსხით შეეხებოდა და დაახასიათებდა, მე და ილია ეჭვში შევყავდით მისი კრიტიკული მახვილის მკვეთრ მოქნევას...

ნიკო ხიზანიშვილს დაკვირვების დიდი ნიჭი ჰქონდა, მიხ-

ეედრილობასაც იჩენდა და მარჯვე კრიტიკოსიც იყო, მაგრამ მის კრიტიკას სალიტერატურო მნიშვნელობა აკლდა ზოგიერების უქონლობის გამო. თუკი ვინმე არ მოსწონდა, დაუნდობლად შოლტავდა.

ილიას ცხოვრებაში სარაჯიშვილსაც თვალსაჩინო ადგილი ეჭირა. ყმაწვილობიდანვე მეგობრული განწყობილება ჰქონდათ. მაგრამ მის სახლში ილიამ მხოლოდ 1890 წლიდან დაიწყო ხშირი სიარული.

დავით სარაჯიშვილი იყო ქართული მრეწველობის დამფუძნებელი, მრავალი მოსწავლე ახალგაზრდისა და საგანმანათლებლო დაწესებულების მფარველი. დავითი განათლებული კაცი იყო, უყვარდა საზოგადოება და განათლებული პირები. ილიასა და დავით სარაჯიშვილს შორის მეგობრული განწყობილება მუდამ სუფევდა; თუმცა ბევრ რამეში ერთმანეთს არ ეთანხმებოდნენ და ხშირადაც დავობდნენ. სარაჯიშვილს, როგორც მრეწველს, თავდაპირველად უნდოდა, რომ ქართველთა შორის ხელოსნობა, მრეწველობა, ვაჭრობა და სოფლის მეურნეობა განვითარებულიყო. რადგან ყველა ეს ძლიერ ნელა მიიწევდა წინ, ხშირად პესიმისტურ გუნებაზე დგებოდა და ქართველთა უარყოფით თვისებებზე მიუთითებდა ხოლმე. ამის გამო ილიასა და დავით სარაჯიშვილს ხშირად კამათი მოსდიოდათ, მაგრამ ეს პაექრობა ყოველთვის მშვიდად მთავრდებოდა.

დავით სარაჯიშვილთან, საზოგადოდ, ბევრი მსჯელობა ყოფილა ცხოვრების, საზოგადოებრივსა და სამეცნიერო საკითხებზე. ილიას უყვარდა აქ დასწრება და სხვების აზრის გაგება.

დავით სარაჯიშვილი და მისი მეუღლე ეკატერინე ცდილობდნენ, რომ თავიანთი სახლი ქართველთა საზოგადო ცხოვრების ცენტრად ექციათ, და მართლაც, ასე იყო მას შემდეგ, რაც ახალ სახლში გადავიდნენ, სერგეევის ქუჩაზე. ისინი იღებდნენ პოეტებს, მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს. ასე რომ, აქ პატარა წრე იკრიბებოდა ქართველთა გონებრივი ცხოვრების წარმომადგენლებისა. მაგრამ ეს წრე მაინც არ გაფართოებულა, რადგან, ბოლოს სარაჯიშვილის სტუმრებს შორის ისეთები გამრავლდნენ, რომლებსაც არა-

ფერი ჰქონდათ საერთო გონებრივ ცხოვრებასთან. სარაჯიშვილის მშვენიერი სახლი რამდენიმე წლის განმავლობაში სასიამოვნო საკრებულო ადგილი იყო ზოგიერთი ქართველი მოღვაწისათვის. დავ. სარაჯიშვილის გარდაცვალების შემდეგ ამ სახლმა დაკარგა თავისი ხასიათი. ასე გაქრა ეს კერა, რომელიც დიდი გემოვნებითა და სიყვარულით ააგეს.

კვლავ ერთი დღე სოფელში

ეს იყო სწორედ იმ დროს, როცა თბილისში ჰყავის თეთრი მაგნოლიები და ბროწეულის წითელი ყვავილები. ერთმა მეგობარმა დაგვპატიჟა თბილისის მახლობელ სოფელში. მე ყველაზე ადრე მივედი, რადგან მიყვარს ბუნება დილით, როცა ჯერ კიდევ გრილია ჰაერი და სიჩუმეც არ დარღვეულა.

ძველი სახლი იყო, წარსული საუკუნის ოცდაათიან წლებში აშენებული. მისი თეთრი კედლები ახალს ჰგვანდნენ, სახლის სიძველეს მხოლოდ გაშავებული კრამიტის სახურავი, აივანი და კარები ამჟღავნებდნენ. სახლს პატარა ბაღი მოსდევდა, სადაც ორი მიმოზის ხე იდგა, მისი ნაზი ყვავილები ყოველ წელს ახარებდნენ ჩემს გულს. აქვე იყო დიდი კაკლის ხე, განიერი, ჩრდილუხვი. კაკლის ქვეშ ზაფხულობით სასადილო მაგიდა იდგა.

ხეებს თავს დაჰყურებდა მაღალი კვიპაროსი. ამ ბაღში ჰყვაოდა ქართული წითელი ვარდის ბუჩქები, მათი სურნელება მთელ მიდამოს აკეთილშობილებდა. მე მიყვარს ეს ვარდები, სწორედ ამ ვარდს გულისხმობდნენ ძველი ქართველი პოეტები, როდესაც უმღერდნენ „ვარდსა და ბულბულს“: ამ ლამაზი ვარდების რამდენი თაობა ჰყვაოდა და ჭკნებოდა საუკუნეების განმავლობაში. რამდენი სახელოვანი და უსახელო პოეტი შეასხამდა მათ ქებას და რამდენი ლამაზი ასული დამღეროდა ამ ლექსებს! ვარდები, ლამაზი ქალები, ბულბული—ესენი ცხოვრობდნენ და ხიბლავდნენ ერთმანეთს და განქრნენ უკვალოდ... მაგრამ ლექსები და

სიმღერები კვლავ დარჩნენ და დღესაც ახარებენ ქართველის გულს.

ეს იყო პატარა, უბრალო ქართული ბაღი, მაგრამ ლამაზი და კოხტა: იგი წააგავდა მეფე ერეკლეს დროის თბილისის ბაღებს. სახლიც სწორედ შეეფერებოდა: მისი მორთულობა მოგაგონებდათ ძველ ქართულ სახლებს: ტახტები, მუთაქები, ხალიჩები შეადგენდა ამ სახლის მთავარ მოწყობილობას, მხოლოდ სასადილო ოთახში იყო ევროპული ავეჯი, რომელიც არაფრით არ იზიდავდა ადამიანის ყურადღებას.

სასადილო ოთახი დიდი იყო, რადგან სახლის პატრონი სტუმართმოყვარე კაცი გახლდათ. იგი ხშირად უმასპინძლდებოდა სტუმრებს. სუფრადწვეულნი აქ მუსაიფობდნენ და მღეროდნენ. ხანდახან კამათობდნენ კიდეც, მაშინდელი ქართველების ჩვეულებისამებრ.

იმ დილით, როცა მე მივედი, სუფრა კაკლის ქვეშ გაეშალათ: ჩვენ შევექეცით რძიან ჩაის, ქართულ პურსა და ყველს. აქ გახლდათ სამი მაღალი ტანის ქართველი, ორი მათგანი ისე აჩქარებულად ჭამდა და სვამდა, თითქოს რკინიგზის სადგურზეა და მატარებელზე უგვიანდებაო. ესენი იყვნენ პატივცემული იაკობ გოგებაშვილი და ნიკო ცხვედაძე, შავ სერთუკებში გამოწყობილები. თუმცა ორივენი ერთმანეთს წააგავდნენ, მაგრამ განსხვავებაც დიდი იყო, ორივენი ქართლელი მღვდლის შვილები იყვნენ, სწავლობდნენ სემინარიაში, საიდანაც გამოიყოლეს სემინარიელის დალი. ეს მათ მთელი სიცოცხლის განმავლობაში ემჩნეოდათ. ისინი ერთმანეთს ახალგაზრდობაში დაუმეგობრდნენ; უყვარდათ საქართველო, სამოღვაწეოდ მასწავლებლის ასპარეზი აირჩიეს, მაგრამ გოგებაშვილმა მალე თავი გაანება მასწავლებლობას და დაწერა პირველი ქართული სახელმძღვანელოები, რომლითაც დღესაც მრავალი ქართველი ბავშვი სწავლობს წერა-კითხვას. ნიკო ცხვედაძეს დიდი მოთმინება და ნებისყოფა ჰქონდა, უყვარდა მუშაობა, ყველა ამის მეოხებით მან ქართული გიმნაზიის დიდი შენობა ააშენა (ახლანდელი უნივერსიტეტი). ორივე მეგობარი გრძნობდა, რომ მხოლოდ ქართული აღზრდით შეიძლება მშობლიური კულ-

ტურის ამაღლება. ისინი იყვნენ ქართული სკოლის ფანატიკოსები და მისი ნამდვილი შემქმნელები—ეს იყო მათი სიცოცხლის მიზანი.

მაშინ (1886 წ.) ისინი ახალგაზრდები იყვნენ. მათ გვერდით იჯდა რაფიელ ერისთავი, მალალი ტანის მოხუცებული, თეთრწვერა, დინჯი კაცი. იგი არც თავისი გარეგნობითა და არც ლაპარაკით განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას არ სტოვებდა, მაგრამ ნამდვილი პოეტი იყო და როცა გოგებაშვილი და ცხვედაძე გატაცებით კამათობდნენ, ის დინჯად ათვალიერებდა გარემოს და სტკბებოდა მისი სილამაზით. ირგვლივ ფრინველების ჭიკჭიკი ისმოდა.

მალე ჩვენს საზოგადოებას ახალი სტუმრები მოემატნენ. ესენი იყვნენ: ილია ჭავჭავაძე და მისი მარჯვენა ხელი—გიგო ყიფშიძე, ვაჟა-ფშაველა და ვანო მაჩაბელი. არაჩვეულებრივი ყმაწვილკაცები იყვნენ — ორი თავადი და ორი მღვდლის შვილი. ილია ნელა, ფრთხილად გადმოვიდა ეტლიდან. ვიდრე შემოგვიერთდებოდა, თვალი მიმოავლო არემარეს, შემდეგ დინჯად მოუახლოვდა სუფრას და ღიმილით უთხრა გოგებაშვილს, შენი აქ ყოფნა მიკვირსო. რას მოასწავებს ეს ამბავი, რომ თბილისი მიგიტოვებიაო.

იმ დროს ქართველებში ბევრი იყო გოგებაშვილისთანა, ვინც მთელ თავის სიცოცხლეს თბილისში ატარებდა და ბორჯომში თუ გაემგზავრებოდა საზაფხულოდ. ილია ჭავჭავაძემ და ვანო მაჩაბელმა თან მოიტანეს ქართული იუმორი. ილია ეხუმრებოდა გოგებაშვილს და მაჩაბელიც შველოდა. ჩქარა ყველა გაემხიარულდით.

ვანო მაჩაბელი და ვაჟა-ფშაველა ერთმანეთის საწინააღმდეგო პოლიუსს წარმოადგენდნენ. ვაჟა-ფშაველას ჩოხა-ახალუხი ეცვა, და თავისი გარეგნობით არაფრით განსხვავდებოდა აღმოსავლეთ საქართველოს ჩვეულებრივი მკვიდრისაგან. ის გლეხი ან აზნაური გეგონებოდათ. ვაჟა თავის გარეგნობას არავითარ ყურადღებას არ აქცევდა, როგორც ყველა მაშინდელი სემინარიელი. ვანო მაჩაბელი მასთან შედარებით ევროპელი ფრანტი იყო. ვაჟა-ფშაველა მთელ თავისი პოეზიის სიმდიდრეს პირველყოფილ ფშაურ გარემოდან და თავისი მთიანი სამშობლოს ბუნებიდან იღებდა. ვანო

მაჩაბელი კი ცდილობდა, რაც შეიძლება ბევრი გადმოენერ-
გა დასავლეთ ევროპის გონების ნაჭირნახულევი ქართულ
ნიადაგზე.

მალე აკაკი წერეთელი, ანტონ ფურცელაძე და პეტრე
უმიკაშვილიც მოვიდნენ. აკაკი მეედიდურად მოვიდა მაგიდას-
თან და როგორც გონების სამყაროს მპყრობელს შეეფერე-
ბოდა, ცდილობდა მაშინვე სათავეში ჩადგომოდა სჯა-ბაასს.
იმავე წუთს რამდენიმე ჭკუამახვილი სიტყვა გადმოისროლა,
რამაც დიდი ხარხარი გამოიწვია, თვითონ კი სერიოზული
სახე შეინარჩუნა.

ანტონ ფურცელაძემ, ჩვეულებისამებრ, როგორც კი
შეამჩნია, საუბარი სხვა საკითხებს შეეხო და არა ლიტერა-
ტურასო, მოითხოვა, რომ ილია ჭავჭავაძეს დაეწყო ლიტე-
რატურაზე ლაპარაკი.—მე ვიცი, შენ არ შეგიძლია ულიტე-
რატუროდ ცხოვრება, მაგრამ ლიტერატურას კი შეუძლია
გასძლოს უშენოდო, იხუმრა ილიამ. ბოროტად არავის გაუ-
ცინია. სადილი მხიარულად მიდიოდა.

მაშინდელ დროში ეს მწერლები შეადგენდნენ ერთ
მთლიან ოჯახს და სრულიადაც არ ფიქრობდნენ პარტიებად
დაყოფას.

ჩქარა ავიშალენით და სასეირნოდ გავემართეთ. იქვე
ახლო, მთის ძირას მწვანეზე დავსხედით. გავყურებდით მინ-
დორს, საიდანაც მოისმოდა ახალგაზრდა გლეხის სიმღერა.
იმდენად მოგვეწონა ეს სიმღერა, რომ ერთ ხანს მთლად
გავყუჩდით და გატაცებით ვუგდებდით ყურს. შემდეგ ილია
გლეხს გამოელაპარაკა. გლეხის პასუხებში გამჭრიახობა
ჩანდა.

—აი, რამოდენა საუნჯე იღუპება სოფელში ტყუილ-
უბრალოდ, — შენიშნეს ზოგიერთებმა და ყველა ჩავფიქრ-
დით.

სადაც ვისხედით, იქიდან ორი ქართული სოფელი მოჩან-
და — დანგრეული, მობრეცილი მიწური სახლები; მწვანე არ
ჰაჰანებდა. ორივე სოფელი ძალიან საწყალობელი შესახე-
დაობისა იყო.

გონებრივი აღორძინებისათვის აუცილებელი მატერია-

ლური დოვლათის შექმნა ამ დროის საქართველოს ქონებრივ საშუალებას აღემატებოდა.

ჩვენ ნელ-ნელა დავბრუნდით უკან, ამოვუარეთ მარანს, რომლის გვერდით იდგა ლეღვისა და ბროწეულის ხეები — ეს ქართული ბუნების პირმშოები.

შემდეგ ხილის ბაღში შევედით: დავათვალიერეთ ბოსტანი, იქვე ახლო მდინარე მოშხუოდა. ყველაფერი ლაღად ხარობდა აქ: მწვანე კიტრი, პამიდორი, ბადრიჯანი, ხახვი, ლობიო, მწვანილი, სტაფილო და ბოლოკი. ჩვენი იქ ყოფნის დროს მებაღემ ბოსტანი მორწყო. გარეთ გზაზე ორი სახედარი ძოვდა ბალახს. კამეჩებისა არ იყოს, სახედრებიც ქართლის სოფლის კუთვნილებას წარმოადგენდნენ.

კაკლის ქვეშ სუფრა გაშლილი დაგვიხვდა, ორ დიდ თეფშზე დაჭრილი ქართული პური ეწყო. დავსხედით თუ არა, ყველა პურის ჭამას შეუდგა. სადილი ქართული იყო. ჩიბირთმამ ყველა დაანაყრა. ქართველები თავიანთი საჭმელების დიდი პატრიოტები არიან, ამიტომ სტუმრებს პირში ნერწყვი მოუვიდათ, როცა სუფრაზე ტოლმა — მწვანე ვაზის ფოთოლში გახვეული ხორცი, შემწვარი ვარიები და ქართული ღვინო მოიტანეს. ღვინო მაინცდამაინც მაგარი არ გახლდათ. როგორც შეეფერებოდათ სერიოზულ და დარბაისელ მოღვაწეებს, ცოტას სვამდნენ, არ მღეროდნენ — დროს სასიამოვნო მუსაიფში ატარებდნენ.

მზე ოქროს სხივებს გვაფენდა, ჩვენ გარშემო მერცხლები დაფრინავდნენ, მახლობელ ბაღში ორი მებაღე მღეროდა, იქვე ღობის გადაღმა კი ნაკადულის ჩუხჩუხი ისმოდა.

ამ ქართულ სუფრას ყველაზე მეტად დარბაისელი ქართველების წმინდა ქართული საუბარი ამშვენებდა.

ილია და გლეხობა

საინტერესოა ილიას ურთიერთობა გლეხკაცობასთან. მრავალი წლის ზაფხულის რამდენიმე კვირა საგურამოში გამიტარებია და ამგვარად მქონდა საშუალება ახლო დავკვირვებოდი ილიას დამოკიდებულებას მუშასთან და გლეხკაცთან. თქმა არ

ულდა, ილია დიდი მეგობარი იყო გლეხებისა, რომელთადმი უანგარო, გადაჭარბებული სიყვარული მას ხშირად ხდიდა გლეხის მიკერძოებულ მეგობრად; ილია თავგამოდებით იცავდა გლეხკაცის ღირსებას. მე თვითონ ვიყავი მოწმე ილიას უზომო აღშფოთებისა, როცა მან ერთხელ შემთხვევით დაინახა, როგორ გაარტყა სტაროსელსკების მოურავმა რომელიღაც მეცხვარეს. ამ შემთხვევის შემდეგ რამდენიმე საათი ვეღარ დამშვიდდა ილია; აღელვებული ლაპარაკობდა, მეცხვარეს ისეთივე ღირსება აქვს, როგორც ყველა ადამიანსო. საგურამოს და სხვა მეზობელი სოფლების გლეხკაცებში ილიას ჰყავდა მეგობრები, რომლებიც ხშირად ეწვეოდნენ ხოლმე მას და ილია მთელი საათობით ესაუბრებოდა, მასპინძლობას არ აკლებდა.

დღეობაზე მასთან ასამდე გლეხკაცი მოდიოდა. ილია უანგაროდ იყო კმაყოფილი მათი სიამოვნებითა და მხიარულებით. მართალია, ილიას ჰყავდა საყვარელი გლეხკაცები, მაგრამ არც დანარჩენებს აკლებდა თავის მეგობრობას და პატივისცემას. ერთი სიტყვით, ილია არც საქმით ღალატობდა „კაცია ადამიანსა?!“ „გლახის ნაამბობსა“ და „ოთარაანთ ქვრივში“ გამოთქმულ აზრს.

ილიას მოსამსახურეთა შორის ბევრი თავისებური ტიპი იყო. ისინი დიდხანს ემსახურებოდნენ ილიას საგურამოში. ერთი მათგანი იყო უფროსი მუშა, ადგილობრივი გლეხკაცი, სახელად გიორგი. დინჯი, ჩუმი ადამიანი გახლდათ. გიორგის თავის დღეში არ დაუკარგავს სიმშვიდე: იმის პირიდან ლანძღვა არ ამოსულა, პატიოსნებით და კეთილშობილებით სავსე იყო ეს კაცი. დილიდან საღამოვდე დაუღალავად ტრიალებდა ოჯახში და თვალყურს ადევნებდა მუშებს, მაგრამ მისი ხმა არავის გაუგონია. ასეთივე წყნარი და გულკეთილი იყო მეღორე სანდრო, ახალგაზრდა მხიარული ბიჭი, რომელიც არა მარტო ადამიანებს, საქონელსაც კი უყვარდა.

ილიასთან ერთი მოხუცი ბერო მსახურობდა, არ ყოფილა შემთხვევა, ერთი კაპიკიც რომ დაკარგულიყო სახლში. ეს უზომოდ ახარებდა ილიას. საზოგადოდ, ყველა ის მოვლენა, რაც გლეხკაცის დადებით მხარეს მოწმობდა, დიდ სიხარულსა და სიამაყეს ჰგვრიდა. ილიას უყვარდა აგრეთვე გლეხური

სიმღერა. ხშირად საგურამოში აივანზე წიგნით ხელში მდგარი მახლობელ ბაღში მომუშავე ბიჭების სიმღერას სიამოვნებით უსმენდა. ილიას განსაკუთრებით ურმული უყვარდა, მეტაღრე ღამე. მეურმის ცხოვრება ძლიერ აფიქრებდა, უთანაგრძნობდა ადამიანს, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლე ფეხდაფეხ დასდევდა ზანტ კამეჩებს და უსმენდა ურმის ჭრიალს.

ილია ღრმად აკვირდებოდა სოფლის ცხოვრებას და დიდი ცნობისმოყვარეობით ელაპარაკებოდა ყველას. მისი მოსაუბრეთაგანი იყო ერთი მედუქნეც, რომელიც საგურამოს ახლო-მახლო ცხოვრობდა. როდესაც ილია საგურამოში ჩამოდიოდა, მედუქნე მაშინვე ეახლებოდა „ფეშქაშით“ — ახალი თევზით ან ნანადირევით და გადაუშლიდა სოფლის ახალ ამბებს. რა თქმა უნდა, ილია ყოველთვის უხვად ასაჩუქრებდა „ფეშქაშის“ სამაგიეროდ, როგორც თვითონ ამბობდა ხოლმე: მედუქნის ერთ კვერცხში მე ვიხდი ერთ ქათამს, მაგრამ რა ვუყოთ, აღმოსავლეთის ადათი ეს არისო. იგი დიდი პურ-მარილით უხვდებოდა ყველა სტუმარს, უბრალოდ და ერთნაირად, მიუხედავად მათი წოდებისა და ხარისხისა. მისი სტუმარი უმთავრესად ქართველი მწერალი, საზოგადო მოღვაწე ან უბრალო ხალხი იყო, ხოლო ეგრეთ წოდებული არისტოკრატია იშვიათად მოხვდებოდა ხოლმე მის სახლში. თვითონ ილიაც არიდებდა მათ თავს.

ილია საგურამოში

ადამიანის დასახასიათებლად, მისი გემოვნების, ჩვეულებებისა და გასართობ საშუალებათა გასაცნობად მნიშვნელობა აქვს მის საცხოვრებელ ბინას, მით უფრო, თუ ეს ბინა თვით ამ ადამიანის მიერ არის შექმნილი და რამდენიმე წელსაც აქ უცხოვრია. ციცერონს აგარაკი ტუსკულუმში ჰქონდა, რომის ახლო და იქვე დაწერა „სიბერე“. აქ მას სოფლის ცხოვრების სიმშვენიერე აქვს აღწერილი. გოეთეს სახლი და ბაღი ვაიმარში ჰქონდა, რომელსაც უამრავი მნახველი ჰყავს და ბევრ საინტერესო ცნობას გვაწვდის მწერლის გემოვნების, საყვარელი საქმიანობისა და გართობათა შესახებ. ციცერონის სახ-

ლიდან გარდა კედლებისა არა დარჩენილა რა. ჩვენ იქ ვხედავთ მხოლოდ ერთს: არც თუ ისე ლამაზ მთას, რომელიც რომის გარშემო მინდორ-ველსა და თვით რომს დაჰყურებს. ძველი რომაელისათვის, ვინც ცხოვრებას პირდაპირ, რეალისტურად უყურებდა, ვისაც პოეზია ნაკლებად აღაფრთოვანებდა და თავისებურად ესმოდა, ეს გადასახედიც საკმაო იყო. მას თვალწინ ეშლებოდა ქალაქი, საითკენაც მიისწრაფოდა მთელი მისი გონება და სურვილები. გოეთეს სახლი ვაიმარში წარმოდგენას გვაძლევს გოეთეზე, როგორც ადამიანზე; ის იყო მშვიდი პოეტი, ბრძენი და დიდებული მოაზროვნე, რომელიც ბევრ სასიამოვნოს პოულობდა ვაიმარის მშვენიერ შემოგარენში.

რომ მოვინდომოთ, კიდევ ვიპოვით სხვა პოეტებისა და მწერლების სახლებს, მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ ილიას.

ილიას მშობლიური სოფელი ყვარელი, სადაც მან ყრმობა და თითქმის სიჭაბუკეც გაატარა, განსაკუთრებული სილამაზით არ არის შემკული. ეს დიდი სოფელი ვიწრო ხეობაშია მოქცეული. მემამულეთა და გლეხების სახლ-კარი ერთიმეორეზე მჭიდროდ არის მიკრული; ეზოსა და ბაღებისათვის ვრცელი ადგილის უქონლობის გამო აქ მხოლოდ თითო-ოროლა მემამულესა და გლეხს თუ აქვს სახლთან პატარ-პატარა ბაღები.

სახლ-კარს, სადაც ილია დაიბადა და ბავშვობა გაატარა, სილამაზე აკლია; ეზო ფართოა და შიგ არც ერთი ხე არა დგას, სადგომი სახლიც დაბალია და სივრცეს მოკლებული. შუა ეზოში ახლაც ვამჩნევთ სქელკედლებიან ძველებურ კოშკს, სადაც ლეკების შემოსევის დროს მთელი ოჯახობა აფარებდა ხოლმე თავს.

აქ გაატარა ილიამ თავისი სიცოცხლის პირველი ხანა. აქ, ორი ქვეყნის — საქართველოსა და დაღესტნის საზღვარზე მიიღო ილიამ ქვეყნისა და სიცოცხლის პირველი შთაბეჭდილებანი. აქვე ბავშვობისას ისმენდა ილია სხვადასხვა ამბებს ლეკებთან თავისი ნათესავებისა და გლეხობის ბრძოლის შესახებ. რასაკვირველია, ამ ამბებს დიდი გავლენა ჰქონდა ბავშვის ფანტაზიაზე.

კიდევ უფრო ძალოვნად მოქმედებდა ილიაზე საუცხოო

ბუნება, რომელიც გარს ერტყა ყვარელს. ჩრდილოეთით ბურჯის უკან ახლაც აღმართულია ხშირი ტყით შემოსილი მაღალი მთები. ხეობაში ვიწრო ბილიკი ჩანს, რომელსაც მგზავრი უცხო მხარეში, დაღესტანში მიჰყავს. ამ ტყეში რაღაც საიდუმლოება მეფობს; არემარე ღრმა სიჩუმით არის მოცული, მყუდროებას მხოლოდ ფრინველთა ჭიკჭიკი და ნაკადულთა ჩხრიალი თუ არღვევს. სამხრეთით, ყვარლის ვრცელ ზვრებს იქით, ათასფრად აჭრელებული მზიანი მხარე იშლება; ეს არის საუცხოო ალაზნის ველი, რომელიც ილიას ძლიერ უყვარდა და რომლის სიმშვენიერით ყოველთვის აღტაცებული უნდა იყოს ყველა, ვისაც ეს ველი უნახავს. აქ ყველაფერი თვალწინ გეშლებათ, ნათელი ადგას აფერადებულ ველს. მაშინ, როდესაც სოფლის ჩრდილოეთი მხარე საიდუმლოებით არის შემოზღუდული. თუ რომელიმე მახლობელ მთის მწვერვალზე ახვალთ, რომელიც უზარმაზარ კედლად არის აქ აღმართული, და იქიდან გადაიხედავთ ქვევით, თვალწინ გადაგეშლებათ ალაზნის ველი, თელავიდან სიღნაღამდე — ქიზიყამდე გადაჭიმული ეს ფერწერული, ხეთა ტევრებით მდიდარი მწვანე ველი. ისე მშვენიერია იქაურობა, რომ მისი აღწერა არავითარ კალამს არ შეუძლია. ამ ველისა და მახლობელი მთების მშვენების გარდა თვალს რაღაც ჯადოსნური სინათლე იტაცებს, რომელიც ყოველდღე სხვადასხვანაირად იცვლება. კახეთი საუცხოოა ბინდისას, მზის ამოსვლისა და ჩასვლისას, მთვარიან ღამეშიც, როცა მთელ ალაზნის ველს ვერცხლისფერი სხივები დაკაშკაშებს.

ილია გრძნობდა კახეთის ბუნების ამ სიმშვენიერეს და მის მოგონებასაც კი აღტაცებაში მოჰყავდა. კახეთმა მისცა ილიას მასალა თავისი მოთხრობებისათვის — „კაცია ადამიანი?!“ „გლახის ნაამბობი“. ამ მოთხრობების გმირები კახეთის სინამდვილიდან არის აღებული, რადგანაც საქართველოს სხვა პროვინციების ცხოვრებას მაშინ ილია ისე კარგად ჯერ კიდევ არ იცნობდა... შემდგომ იგი უკვირდება საქართველოს სხვადასხვა კუთხესაც და მისი მხატვრული ხედვაც ფართოვდება. ილია კახეთს გაშორდა, მაგრამ მისი აზრი და გონება ხშირად კვლავ მისკენ მიისწრაფოდა და ნაზი გრძნობით იგონებდა თავის საშობლო მხარეს, მან კიდეც დაწერა უმშვენიე-

რესი ლექსი „ალაზანს“, რომლის მსგავსი კახეთის შესახებ არც მანამდე და არც შემდეგ არ დაწერილა. საკვირველია, რომ ასეთი საუცხოო-მხარე, როგორც კახეთია, იშვიათად იზიდავს ქართველ პოეტებსა და მხატვრებს: ქართულ პოეზიაში კახეთს მხოლოდ მეორეხარისხოვანი ადგილი უჭირავს, მხატვრობაში კი სრულიად არა ჩანს.

მას შემდეგ, რაც ილიამ საზოგადო მოღვაწეობა დაიწყო, მშობლიური კერა კარგა ხანს აღარ იზიდავდა. აქ ილია სტუმრად თუ მოვიდოდა, მამაპაპეული სახლი მოკლებული იყო სიმშვენიერესა და მორთულობას.

პოეტი ილია საზაფხულოდ დასასვენებელ ადგილს ეძებდა და იპოვა კიდეც საგურამოში, თავისი მეუღლის ოლღას მამულში; აქ ილიამ ერთ მაღლობზე, ზედაზნის მთის ტყიან კალთაზე, ააშენა სახლ-კარი და თავისი საზაფხულო რეზიდენცია მოაწყო, მაგრამ მისი კეთილმოწყობა კარგა ხნით დაგვიანდა. 1884 წელს, როცა საგურამოში პირველად ჩავედი, ილიას ოთხოთახიანი პატარა სახლი ძველთაძველ ბინას მოგაგონებდათ, ამ დროს ბაღში ბუჩქებიც ტანმორჩილი იყო; ცაცხვის ხეივანიც, რომელიც შემდეგ ბაღის მშვენებად იქცა, ჯერ კიდევ არ იძლეოდა ჩრდილს. თვითონ ილიას მცენარეთა მოვლა არ ეხერხებოდა. შემდეგ მათი მოვლა-პატრონობა მე ვიკისრე. სახლის გვერდზე, კაკლის წინ მაშინ დაქანებული ადგილი იყო, ხოლო მერე გავასწორეთ ეს ადგილი და მილით წყალი რომ გამოვიყვანეთ, აღმოსავლური ყაიდის შადრევანიც მოვაწყვეთ.

მართალია, ამის შემდეგაც ილიას სახლს ბევრი ნაკლი ჰქონდა, მაგრამ აქ ყოფნა მაინც სასიამოვნო იყო. ყოველ ზაფხულს, კვირა-უქმე დღეს და სამსახურიდან თავისუფალ დროს ილია საგურამოში ატარებდა. აქვე იყრიდნენ თავს სხვადასხვა ადგილებიდან მოსული სტუმრები. ძველი ქართული სტუმართმოყვარეობა მტკიცედ იყო დაცული; სტუმარს აქ გულუხვი მასპინძელი უხვდებოდა და საგურამოდან უკმაყოფილო არასოდეს ბრუნდებოდა. ეს პურადობა ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, ილიას და მის მეუღლეს უწმინდეს მოვალეობად მიაჩნდათ, თუმცა იგი ხშირად ძვირად უჯდებო-

დათ, მაგრამ მისი უარყოფა და ხარჯების შემცირება მაინც არ სურდათ.

ამ მშვენიერ კუთხეში, სადაც ქალაქის დაუსრულებელი ხმაური ვერ აღწევდა, ილიას სასურველი სტუმარი ძლიერ აამებდა ხოლმე. მით უფრო, როცა სტუმარი მასთან სიამოვნებას გრძნობდა. შაბათობით, როცა ილია, ჩვეულებრივ, საგურამოში მიდიოდა, რომ კვირა და ზოგჯერ ორშაბათიც იქ გაეტარებინა, ხშირად რამდენიმე კაციც მიჰყავდა თან. ოთხმოციან წლებში აქ იყო ხოლმე მთლად ჭაღარა რაფიელ ერისთავი, გიგო ყიფშიძე — ილიას მარჯვენა ხელი „ივერიის“ გამოცემაში, როცა ეს გამოცემა ერთთვიური ჟურნალი და შემდეგ ყოველდღიური გაზეთი იყო: აქ მოდიოდნენ განსვენებული ალექსანდრე ყიფშიძეც — გიგო ყიფშიძის ძმა, იონა მეუნარგია, ილია ბახტაძე, ვლადიმერ მიქელაძე, ვალიკო გუნია, ვანო მაჩაბელი, აკაკი წერეთელი, აქვსენტი ცაგარელი, საბავშვო ჟურნალ „ნობათის“ რედაქტორი ანდრია ღულაძე, ნიკო ხიზანიშვილი, პეტრე უმიკაშვილი. ილიას აქ თითქმის ყოველ კვირას მოინახულებდა ხოლმე თავის საყვარელ სოფელში გზად მიმავალი საუკეთესო და სარწმუნო მეგობარი ილია წინამძღვრიშვილი, რომელიც ილიას გარდაცვალების შემდეგ განუწყვეტლივ უწევდა მზრუნველობას მის საცოდავ ქვრივს.

ყველა სტუმარი, ვინც კი ილიასთან იკრიბებოდა საგურამოში, მონაწილეობას იღებდა ლიტერატურისა და საგამომცემლო საქმეში. სტუმარ-მასპინძლის სასაუბრო საგანს, რასაკვირველია, უფრო ხშირად მწერლობა წარმოადგენდა...

სტუმრების უმრავლესობა დასასვენებლად მოდიოდა, ხან ახალ ლექსებს კითხულობდნენ, ხან გაზეთის სტატიებს, მსჯელობა მეტწილად საადგილმამულო ბანკის გარშემო ტრიალებდა, რომელშიც მონაწილეობას უმთავრესად თავადაზნაურობა ღებულობდა. საუბრის საგანი იყო აგრეთვე ყოველდღიური გაზეთი „დროება“ და მისი დახურვის შემდეგ— „ივერია“. „ივერიაცა“ და „დროებაც“ საკუთარი, განსაკუთრებული თვალსაზრისით ეხებოდა ქართველების ცხოვრებას; ასევე დაინტერესებულები იყვნენ თეატრითაც, რომელსაც

იმ დროს ცოტა მაყურებელი ჰყავდა. ქართველი ინტელიგენციის რიცხვი პირველ ხანებში მცირე იყო, მაგრამ ილია ამბობდა, ქართველთა გონებრივი და კულტურული ძალა იზრდება, საზოგადოებრივ სარბიელზე განათლებულ მუშაკთა რიცხვი ძლიერ მრავლდებაო...

— მთელი ეს ახალი თაობა, ყმაწვილები, რომლებიც ყოველწლივ გამოდიან ცხოვრების ასპარეზზე, მოდიან ქვევიდან, გლეხთა წრეებიდან, ეს ძლიერ სასიამოვნოა,—ხშირად მეუბნებოდა ილია ოთხმოციან წლებში. მაგრამ, ბოლოს, როცა დაინახა, რომ ეს ახალი ყმაწვილკაცობა ბევრ რამეში აღარ ეთანხმებოდა, ილიაც იშვიათად ლაპარაკობდა მათზე, თუმცა ეს პროგრესი მაინც ახარებდა.

ოთხმოციან წლებში საზოგადო მოღვაწეთა წრე პატარა გახლდათ, მაგრამ მასში ზოგი თავდადებული მშრომელი და დაუღალავი მუშაკი იყო, როგორც, მაგალითად, ნიკო ცხვედაძე და იაკობ გოგებაშვილი. ამათგან საგურამოში ყოფილა ხოლმე ნიკო ცხვედაძე, გოგებაშვილი კი არასოდეს.

საგურამოში ყოველ 20 ივლისს ილიას დღეობაზე დიდი სტუმრობა იმართებოდა. ამ დღეს თავს იყრიდნენ ნაცნობები და მეგობრები თბილისიდან, გლეხები და მემამულეები ახლომახლო სოფლებიდან, ჩამოდიოდნენ ილიას პატივისმცემლები კახეთიდან და იმერეთიდანაც. იმართებოდა დიდი დღესასწაული, ძველებური და უნაკლო, სასმელ-საჭმელი ტრადიციული და ქართული იყო: მრავალფეროვანი, უხვი, ნაირ-ნაირი, საგურამოს ღვინო ჭავლივით მოჩქეფდა. რასაკვირველია, სუფრა გაშლილი იყო გარეთ, უზარმაზარი კაკლის ხის ქვეშ, იქვე მახლობლად ბალახზე ისხდნენ მწკრივად ჩამომსხდარი გლეხები. ილიას სადღეგრძელოს გარდა ძლიერ ხშირად ვრცელ სიტყვებსაც წარმოთქვამდნენ ხოლმე; ამბობდნენ მის საქებარ ლექსებსაც; ამას სიმღერაც მოჰყვებოდა. აქ თავის საყვარელ სიმღერებს მღეროდა ნატო გაბუნია, სახუმარო სიტყვებს ამბობდა კოტე მესხი, განდეგილი (დომინიკა ერისთავისა) ლექსებს კითხულობდა, სხვები ლეკურს უვლიდნენ. მხიარული შექცევა ბინდამდე გრძელდებოდა. ამ დღეს ილია ჩვეულებრივზე უფრო მხიარული იყო ხოლმე, ამდენი სტუმარი და მათი მხიარულება ილიას ახარებდა.

თბილისიდან მოსული სტუმრები ღამის გასათევად რჩებოდნენ და კვლავ გაშლილ სუფრას სავახშმოდ მოუსხდებოდნენ. მათი სიმღერა ღამის მყუდროებას არღვევდა, მხიარული გამოძახილი იჭრებოდა ზედაზნის დაბურულ ტყეში.

როცა ილიაობა დასრულდებოდა და სტუმრები წავიდწამოვიდოდნენ, საგურამოში კვლავ სიჩუმე და მყუდროება დაისადგურებდა. ილია მთელი თვე რჩებოდა საგურამოში. მეც ხშირად რამდენიმე ხნით ვრჩებოდი მასთან. ილია ივიწყებდა ქალაქის საქმეებს, ისვენებდა და მეურნეობასაც ეწეოდა, თუმცა ეს საქმეები მას ნაკლებად ესმოდა. ილიას ხუმრობით მეურნეობის მოყვარე დილეტანტს ვეძახდი და, მართლაც, ის დილეტანტი იყო ამ საქმეში. მეურნეობას ვერ აწარმოებდა: სამეურნეო შენობები ცუდ მდგომარეობაში ჰქონდა, ილია არ ზრუნავდა თავის მეურნეობაზე. მხოლოდ ერთი რამისათვის ზრუნავდა — ეს იყო მანქანები, რომელთა მუშაობა სიამოვნებასა ჰგვრიდა. ბევრი მათგანი შემდეგ უძრავად ეყარა საბძელში. მხოლოდ ერთი ცხენით სამკელი და სალეწი მანქანა მუშაობდა კარგა ხანს და დიდი სარგებლობაც მოჰქონდა. ილია მთელ დღეს კალოზე ატარებდა, მაგ შორიდან დაინახავდით კალოზე ძნებსა და ბზეს შორის თეთრ საზაფხულო ტანისამოსში, პაპიროსით ხელში. ხანდახან ძლიერ მაკვირვებდა მისი მოთმინება, როცა პაპანაქება სიცხეში რამდენიმე საათის განმავლობაში კალოზე მუშაობას დაჰყურებდა ხოლმე. კალოობის შემდეგ ილიას მეურნეობის ხალისი ეკარგებოდა, ხანდახან მხოლოდ ბაღში თუ შეივლიდა. საღამო ხანს, როცა ნახირი სოფელში ბრუნდებოდა, ილია მუდამ აივანზე გამოდიოდა და სოფელში დაბრუნებულ ნახირს შეჰყურებდა. დიახ, ილიას უყვარდა სოფლის ცხოვრება.

დროთა განმავლობაში ილიას კარ-მიდამო საგურამოში უფრო და უფრო მშვენდებოდა, ხეები და ჩირგვები წამოიზარდა და მხოლოდ ერთადერთი სახლი არ შეესაბამებოდა გარემო ბუნების სიმშვენიერეს. 1892 წლიდან ილიამ გადაწყვიტა აეშენებინა ქვითკირის სახლი. ამ საქმეს მოჰკიდა ხელი და ბოლოს 1894 წელს დაასრულა კიდეც. სახლი მართლა ლამაზი, ფართო და მოწყობილი გამოვიდა. ილია, რო-

გორც ყმაწვილი, ისე შეხაროდა ამ სახლს. ახლა მთელ სახლ-კარს, არემარეს სხვა სახე მიეცა. უბრალო საზაფხულო სახ-ლი კი არ იყო, არამედ ფართო სასახლე სხვადასხვა მოწყო-ბილობებით. მოზრდილ ხეებიანი ბაღი შორიდან პარკად მო-გეჩვენებოდათ. ილიას ძლიერ უყვარდა ეს ხეები, რომლებიც მის თვალწინ გაიზარდა. ამ ხეებში ილიას რჩეულებიც ერია — ერთი მაღალი ჭადარი, ორი ლამაზი წაბლის ხე და მთელი ხეივანი უხვჩრდილიანი ცაცხვებისა. ილია კიდეც ამაყობდა ამ ხეებით და საუბრის დროს ხშირად იგონებდა გოეთეს სიტყვებს: „მან ქმნა კეთილი საქმე, ვინც დარგო და აღზარდა რამდენიმე ლამაზი ხეო“. ყველაზე უფრო ილიას მაღალი ვერცხლისფერი ჭადარი მოსწონდა, რომელიც წინა აივნის ერთ-ერთ ბოლოში იდგა. ეს ხე ძლივს გადაარჩინეს მოჭრას სახლის აგების დროს. ბაღში აუზი უფრო გააფარ-თოეს და სახლის წინ კაკლის ხის ქვეშ შადრევანი მოაწყვეს, რომლის ჩუხჩუხი ღამის სიჩუმეში ადამიანს სმენას უტკბობ-და; ვენახიც და ხეხილის ბაღიც გაფართოვდა, გალამაზდა; ატმის, ვაშლისა და მსხლის ყვავილებით მორთული ქვემოთა ხეხილის ბაღი საუცხოო სურათს წარმოადგენდა გა-ზაფხულზე.

დიახ, ილიას სოფლის სასახლე თანდათან დამშვენდა. აკაკის სახლი საჩხერეში, რომელიც ვინახულე 1887 წელს და რომლის სილამაზე ბევრჯერ მიქია ილიასთან, ახლა ვერ შეედრებოდა ილიას საგურამოსეულ სახლს.

აკაკის სახლი ტყიანი ხეობის თავთან ჩრდილოვან, თით-ქოს საიდუმლოებით მოცულ ბაღში დგას და ხეების მწვანე, მდიდარი სამოსელიდან ნათლად და სასიამოვნოდ გამოიყუ-რება. მაგრამ მისი მდებარეობა ისეთია, რომ არემარე თვალს ეფარება მაშინ, როცა საგურამოს სახლის აივნიდან სამი მხრით თვალუწვდენელი მშვენიერი სურათი გადაგეშლებათ წინ. მე ვამბობ ზემო აივნიდან, სადაც ილიას კაბინეტია მო-თავსებული. დასავლეთით მუხრანის ველი და შორს მდინა-რე ქსანი მოჩანს. ხოლო ახლო — არაგვი. შემდეგ გადა-გეშლებათ მყინვარწვერით დამშვენებული კავკასიონის ქედი და საქართველოს სამხედრო გზა; აღმოსავლეთით კი — წი-ნამძღვრიანთკარი და ერწოს არემარე. ქვემოთა აივნიდან

სანახაობა უფრო შეზღუდულია, მოჩანს ხშირი ბაღი, სადაც გაზაფხულობით იასამნის ბუჩქები ჰყვავიან, ზაფხულობით კი ვარდები და ათასნაირი ყვავილები.

სახლი და სხვა შენობებიც მწვანეში იყო ჩაფლული. ვინც ქვემოდან სოფლის გზით ამოდიოდა, კარ-მიდამოს თითქმის ვერა ხედავდა; მის თვალწინ გადაიშლებოდა ბაღ-ვენახებით შემკული ნამდვილი სამოთხე, რომელსაც თავს ადგა მაღალტყიანი ზედაზნის მთები.

რამდენჯერ ავსულვართ ორივენი ამ გზით, ხან ეტლით, ხანაც ფეხით. და ამ მწვანე სამოთხის სიმშვენიერეს აღ-ტაცებაში მოვუყვანივართ. რამდენჯერ შევჩერებულვართ გზადაგზა და ამოოხვრით გადაგვიხედავს ამ დიდებული სა-ნახაობისათვის. რამდენადაც ხანში შედიოდა ილია, იმდენად უფრო სწუხდა, რომ ბოლოს და ბოლოს უნდა გამოსთხოვე-ბოდა ამ საუცხოო მხარეს, სადაც მან მთელი თავისი სი-ცოცხლე ბედნიერად, მშვიდად და მდიდარი პოეტური აღ-მაფრენით გაატარა... აქ, ამ გზაზე, გარდაცვალებამდე რამ-დენიმე წლით ადრე, ილიამ აღტაცებითა და თან ფარული ნაღველით მითხრა, ასეთ ადგილას კაცს ორასი წლის სი-ცოცხლე მოგინდებაო. ილიამ ამ ახალ სახლში მთელი თორ-მეტი წელი გაატარა ზაფხულის თვეები სტუმართა შორის სიამოვნებითა და ბედნიერებით. მისი პატივისმცემლები ხშირად მიდიოდნენ საგურამოში, ხანდახან უცხოელებიც ესტუმრებოდნენ ხოლმე.

1897 წლის ივლისში საგურამოში ილიასთან სტუმრად იყვნენ ცნობილი ექიმი-პროფესორი ბერტელიონი პარიზი-დან, პროფესორი ბოსკო რომიდან და რუსი მწერალი ვა-სილ ველიჩკო. სტუმრებისთვის რომ ესიამოვნებინა, ილიამ მოაწყო ურმით მოგზაურობა ზედაზნის მონასტერში, სადაც ხის ქვეშ მწვანეზე ვისადილეთ. ჩვენ თვალწინ გადაშლილი იყო მცხეთა, არაგვისა და მტკვრის შესართავი და თბილისი. კავკასიონის მთებმა ყველაზე მეტი აღტაცება პროფესორ ბოსკოს მოჰგვარა. იგი დაბრუნებისას მცხეთაში ავიდა მაღ-ლა მთაზე, რომ ერთხელ კიდევ დამტკბარიყო მყინვარის დიდებული სურათით.

1898 წელს საგურამოში ილიას ეწვია ბერლინის უნი-

ვერსიტეტის პროფესორი კარლ ლემან-ჰაუპტი, ავტორი სერიოზული გამოკვლევებისა წინა აზიის წარსულიდან. ქართველ პოეტთან ყოფნა მან დაწვრილებითა და საინტერესოდ გადმოგვცა ჯერ გერმანულ ჟურნალ „Die Hilfe“ -ში და შემდეგ კავკასიიდან სპარსეთ-მესოპოტამიაში მისი მოგზაურობის ვრცელ აღწერაში. როცა ილია 1900 წელს ბერლინში იყო, მან ინახულა პროფესორი ლემან-ჰაუპტი, რომელიც ილიასადმი წრფელი გრძნობით იყო გამსჭვალული. ილიას ტრაგიკული სიკვდილის გამო მან ბერლინის ერთ დიდ გაზეთში ნეკროლოგი მოათავსა ილიას პიროვნებისა და მისი მოღვაწეობის შესახებ. მანვე დაბეჭდა ცნობები ერთ თავის წიგნში.

1900 წლის ივნისში, საგურამოში ილიას გულის ხუთვა (ასთმა) მოსდიოდა, ამიტომაც დავით სარაჯიშვილი და მისი მეუღლე ეკატერინე დაჟინებით ურჩევდნენ ბერლინში წასვლას პროფესორ ლეიდენთან, რომელიც ევროპული მეცნიერების ერთ ვარსკვლავად ითვლებოდა. ბერლინიდან ილია გამოჯანმრთელებული დაბრუნდა, მაგრამ არ ასრულებდა იმ რეჟიმს, რომელიც პროფესორ ლეიდენმა დაუნიშნა. ორი-სამი წლის შემდეგ მისი ჯანმრთელობა გაუარესდა; სიბერისაგან განკურნება ილიას შეუძლებლად მიაჩნდა. ხშირად იმეორებდა შოთა რუსთაველის სიტყვებს: „სიბერე მჭირს, ჭირთა უფრო ძნელიაო“ საზოგადოდ, ილია ზომიერად ცხოვრობდა, მაგრამ დიეტას არ იცავდა, ეს კი ცავლენას ახდენდა მის ორგანიზმზე. საგურამოში ყოფნა ილიას ყოველთვის ძალას მატებდა. უკანასკნელ ხანებში, უფრო მას შემდეგ, რაც ბანკის საქმეებს თავი დაანება, ცდილობდა უფრო მომეტებულად თავის საყვარელ სოფელში ეცხოვრა.

საგურამოში ილიას სახლის გარშემო ბუნება თანდათან ლამაზდებოდა, ხეებმა ტანი აიყარეს. ილიას კი სიბერე ერეოდა და სიცოცხლის სიამეც უნელდებოდა. ბოლოს მისი ტრაგიკული დასასრულიც მოვიდა. და ზღაპრული, საუცხოო „მწვანე სამოთხე“ ყველამ მიივიწყა, იქითკენ აღარავინ იხედება, მაგრამ ქართული ლიტერატურის ისტორიაში საგურამო მაინც დაიჭერს ღირსსახსოვარ ადგილს.

ილიას პირადი ცხოვრება

ილია ჭავჭავაძე მშვენიერი მოსაუბრე იყო, მაგრამ საზოგადოებაში ლაპარაკი არ უყვარდა და უპირატესობას მხოლოდ მახლობელ წრეს აძლევდა. უფრო სასიამოვნო საუბრები მახსოვს, როცა ორი ან სამი შევიყრებოდით ერთად. ანდა მარტო მე ვიყავი მასთან, რაც საკმაოდ ხშირად ხდებოდა. პირველი გაცნობიდანვე მე და ილია ისე დავუახლოვდით ერთმანეთს, რომ რაც უნდა საჭირო საქმით ყოფილიყო გართული, მაინც მიმიღებდა. მეც მუდამ სიამოვნებით ვსარგებლობდი ამით. მრავალი წლის განმავლობაში თითქმის ყოველდღე რამდენიმე საათი ვისხედით ერთად და ვსაუბრობდით.

როგორც ყოველი ქართველი, ილიაც საუბრის მოყვარული გახლდათ, მაგრამ თავდაჭერილი და ჭკვიანი კაცი იყო და სხვების ყურისგდებაც უყვარდა.

თითქმის ყოველთვის, როცა კი ვეწვეოდი, ილია თავის სამუშაო ოთახში ან კითხულობდა, ანდა რასმე აკეთებდა, მაგრამ როცა დამინახავდა, მაშინვე თავს მაღლა აიღებდა, სათვალეს მოიხსნიდა და მზად იყო საუბრისთვის.

ჩვენი საუბარი, რასაკვირველია, უფრო ხშირად ლიტერატურას ეხებოდა, რადგან ილიას ისე არა უყვარდა რა, როგორც პოეზია და საერთოდ, მწერლობა.

ქართველი პოეტების შესახებ ილია თუმცა კრიტიკულად, მაგრამ სამართლიანად მსჯელობდა. გულწრფელად უყვარდა რაფიელ ერისთავი და აფასებდა მის „სოფლის სურათებს“, რომლის თემა ახალი იყო ქართულ ლიტერატურაში.

— პოეზია შიგ ცოტაა, მაგრამ ცხოვრების როგორი სინამდვილეა და რამდენი სიმართლეა,—გულთბილი გრძნობით იტყოდა ხოლმე ილია რაფიელის ნაწერებზე.

ილია ვაჟა-ფშაველას ძლიერ მაღლა აყენებდა, მასში ხედავდა ბუნებრიობის ორიგინალურ სიდიადეს, ყოვლისშემძლე ბუნების მიერ გრძნობით დაჯილდოებულს. ოთხმოციანი წლების დასასრულს ილია ხშირად ბეჭდავდა „ივერიაში“ ვაჟა-ფშაველას ლექსებს და ყოველთვის აღტაცება-

ში მოდიოდა, როცა ხმამაღლა წამიკითხავდა ან მესაუბრებოდა ვაჟა-ფშაველას ნაწერებზე.

ხშირად, როცა ჩის სამუშაო ოთახში შევსულვარ, ილია შემდეგი სიტყვებით მომეგებებოდა: კარგი საჩუქარი მაქვს თქვენთვისო, და წამიკითხავდა ვაჟა-ფშაველას რომელიმე ახალ ლექსს.

დიდად აფასებდა ბაჩანას ზოგიერთ ლექსს. არ დამავიწყდება ის წუთი, როცა აღტაცებული ილია პირველად კითხულობდა ბაჩანას ლექსებს „მუხას“ და „ბინდი მთაში“. ეს იყო, როგორც მახსოვს, 1887 წელს, როცა ილია ბებუთოვის ქუჩაზე ცხოვრობდა და მთელ დროს გაზეთ „ივერიის“ რედაქტორობას ანდომებდა. ამ დროს ილია ძლიერ გატაცებული იყო პოეზიითა და ლიტერატურით და ხარბად ეტანებოდა ევროპის საუკეთესო მწერლების თხზულებებს. მათში გენიალობის, პოეტობისა და ჭეშმარიტად მოაზროვნის გამომხატველად ილიას გოეთე მიაჩნდა, რომელსაც ზოგიერთი მხრით ბაირონსაც კი ამჯობინებდა.

— თქვენი ოლიმპიელი!.. ოჰ, რამდენი აზრთა და გრძნობათა ძალა ჩანს მასში,—ხშირად უთქვამს ილიას გოეთეს შესახებ.

— დიახ, გოეთე ოლიმპიელია, მაგრამ მიკვირს, რომ თქვენ — ქართველი, იმას შილერზე უფრო მაღლა აყენებთ?!—ვუთხარი ერთხელ ილიას, როცა საუზმის შემდეგ ორივე აივანზე ვისხედით და არაგვის საუცხოო ნაპირების სილამაზით ვტკბებოდით.

— განა ვერ ატყობ, რომ ჩემს აზრებში ბევრი რამ ინდოევროპულიაო, — მითხრა მან და ხანგრძლივი საუბარი დაიწყო აღმოსავლეთზე.

— აღმოსავლეთს არ შესწევს იმგვარი ფილოსოფოსობა, როგორც ის ევროპელს ესმის;—განაგრძო ილიამ.—ადამიანის ცხოვრებასა და საგნებზე ცივი, ფხიზელი მსჯელობა გრძნობათა დაუხმარებლად, მგონია, შეუძლებელია აღმოსავლეთში.

ამ საუბრის შემდეგ მცირე ხანი გავიდა და თბილისში გერმანულად ნათარგმნი ფირდოუსის „შაჰნამე“ წავიკითხე. წაკითხულის ძლიერი შთაბეჭდილებით შეპყრობილმა

ილიას ეუთხარი: ამ პოემაში ბევრი ისეთი ადგილია, რომელიც თავისი ტრაგიზმით შექსპირს მოგვაგონებს-მეთქი.

— არა მგონია, მას შეეძლოს შექსპირის ტრაგიზმის სიმაღლის მიწვდომა, — მომიგო ილიამ.

ამაში ნაწილობრივ სიმართლეც იყო, თუმცა ფირდოუსის ღირსება სწორედ ტრაგიკულ ძალაშია, მაგრამ იგი ეპიკური პოეტი იყო და არა დრამატურგი.

საზოგადოდ, ილიას სპარსული პოეზია არ მოსწონდა, ამბობდა, მრავალ საუკუნეთა განმავლობაში მან ცუდი გავლენა მოახდინა ქართულ მწერლობაზე, რაღაცნაირი ქალური გულჩვილობა და აზრთა გარყვნილობა შემოიტანაო.

ამიტომ ილიას არ უნდოდა, რომ ქართველი მწერლები სპარსულ მწერლობას დაწაფებოდნენ. პირიქით, მას სურდა ქართული ლიტერატურა აღმოსავლეთის გავლენისაგან გაენთავისუფლებინა და გაეევროპელებინა. ამას თვითონაც უწყობდა ხელს. იგი არა მარტო ლიტერატურის, არამედ საზოგადოდ, ცხოვრების ევროპიზაციის მომხრეც იყო... თავად კი, მიუხედავად ევროპული განათლებისა, სულით და გულით მუდამ ქართველად დარჩა.

1900 წელს, როცა ილიამ გერმანია და ავსტრია მოიარა, დიდი ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა და უკვირდებოდა გერმანელების ცხოვრებასა და კულტურას. ყურადღებას აქცევდა ყველა წვრილმანს, მაგრამ ღვიძლი სამშობლო, საქართველო ყოველთვის ძლიერ იზიდავდა თავისკენ. უცხოეთიდან დაბრუნებული ილია, თბილისს რომ უახლოვდებოდა, ისე მოიხიბლა საყვარელი ქალაქის ხილვით, რომ თვალებზე ცრემლიც კი მოადგა. ამას ილია სრულიად მოურიდებლად მიამბობდა ხოლმე და თან დასძენდა: ყმაწვილობაშიაც გამომიცდია სამშობლოს მოშორებით გამოწვეული ნაღველი, მაგრამ ისე ძლიერ არა როგორც ეხლა, მოხუცებულობის ჟამსო.

როგორ უყვარდა ილიას თავისი მშობლიური კუთხე — ყვარელი, ეს სხვათა შორის, იმ მოთხრობიდან და ლექსებიდანაც ჩანს, რომლებშიც დიდი აღტაცებით და მომხიბლაობითაა აღწერილი ალაზნის მშვენიერი ველი.

არა ნაკლებ უყვარდა ილიას საგურამო, სადაც სამო-

ცდაათიან წლებში მან ერთი მშვენიერი ადგილი აირჩია საბოსახლოდ. ეს საუცხოო კუთხე ილიას საყვარელი საზაფხულო ადგილი იყო, მისი Tuskulum, სადაც იწვევდა არა მარტო ურიცხვ ქართველებს, არამედ უცხოელებსაც. ისინი ისევე, როგორც თვითონ ილია, აღტაცებულები იყვნენ ტყეში ჩაფლული არემარეთი და მისი საუცხოო სანახაობით. არა ერთ უცხოელს აუწერია საგურამო და სტუმართმოყვარე ქართველი პოეტის სახლში გატარებული დრო.

საგურამოს ვრცელი აღწერილობა მიუძღვნა ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორმა კარლ ლემან-ჰაუპტმა თავის კაპიტალურ შრომაში: „Armenien einst und jetzt" აქ სხვათა შორის, აღწერილია მისი მოგზაურობა კავკასიაში. მეც ჩემს ორ წიგნში საკმაოდ მაქვს დასურათებული ეს უმშვენიერესი კუთხე, სადაც მრავალი ზაფხული გაუტარებია განსვენებულ ილიას.

ამ კუთხის ერთი დამამშვენებელთაგანია ბებერი, უზარმაზარი კაკლის ხე, რომლის მახლობლად 70-იანი წლების დამდეგს ილიამ ააგო პატარა, ერთსართულიანი სახლი. სახლთანვე მოაწყო ცაცხვის ხეივანი.

1884 წელს, როცა პირველად მოვედი -საგურამოში, ცაცხვები უკვე მოზრდილი იყო, მაგრამ ბოლოს, რაკი ყოველ გაზაფხულობით ახლად შევკვეცავდი, ცაცხვებიც მალე იზრდებოდა. ეს ძველი სახლი სულ ოცდახუთი წელიწადი იდგა, 1894 წლამდე. მანამდე, ვიღრე ილიამ გადაწყვიტა ახალი სახლის აგება. თუმცა კი ილიას ეს სადა ოთახები და აივანი, სადაც მან თავისი სიცოცხლის საუკეთესო დღენი გაატარა, ძლიერ უყვარდა. ეს სასიამოვნო მოგონებანი არ განქრებიან, ახალს სახლში ამ მოგონებებით ვისიამოვნებო,— ამბობდა ილია ახალი, ლამაზი სახლის აგების დროს.

ორივე სიხარულით ველოდით იმ სასიამოვნო დროს, როცა მთის კალთაზე შეფენილ ტყეში ცხოვრებას დავიწყებდით. ახალი სახლის აგება რომ დამთავრდა, ილიას სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, ყმაწვილური აღტაცებითა და ბედნიერებისაგან ათრთოლებული ხმით მითხრა: „ისე მოხარული ვარ ამ საქმის კეთილად დაგვირგვინებითა და

ამ მშვენიერი სახლით, თითქოს ჩემს სიცოცხლეში ამის მეტი არა გამეკეთებინოს რაო“.

— დიახ, ეს სახლი ერთ კარგ ლექსად ღირს, მეტად კი არა-მეთქი,—მივუგე მე.

— მეტად არა?—ღიმილით მკითხა ილიამ.

— რასაკვირველია, არა, პირიქით, მე მგონია, თქვენი „ბინდი ალაზნის ველზე“ მეტად ფასობს. ამ სახლის ქვაც ალარ დარჩება, ეს მშვენიერი ლექსი კი ისევე მოხიბლავს უცხოელს, როგორც ქართველს-მეთქი.

ილიას მაშინ უკვე ჭალარა ერია, მაგრამ ჯერ კიდევ მხნე და ჯან-ღონით სავსე იყო. ჩვენ ორივეს აქ, ამ ფართო ოთახებში ბევრი სასიამოვნო დღე გაგვიტარებია, ახალი სახლის ჩრდილოვანი აივნიდან ყურს ვუგდებდით შადრევნის შხუილს და ღამით არაგვის ბუტბუტს.

მაგრამ ილიას მხოლოდ თორმეტი წელი არგუნა ბედმა დამტკბარიყო ამ ბედნიერებით.

ილიას წლითიწლობით მხნეობა და სიცოცხლის ხალისი აკლდებოდა. ახლა უკვე ხუთ წელზე მეტია, რაც ილია საშუდამოდ განისვენებს. საგურამოს მშვენიერი სასახლე, სადაც ჩვენ დაუსრულებლად ვმსჯელობდით პოეზიასა და მშვენიერებაზე, კაცობრიობის ისტორიაზე და მის ღირსშესანიშნავ ამბებზე, ზეგარდმო მადლით ცხებულ ადამიანთა ღვაწლსა და სიდიადეზე, ახლა უკვე ცარიელია და უყურადღებოდ მიტოვებული, მხოლოდ საქართველოს მზე აფრქვევს ოქროს სხივებს უპატრონო ბაღს.

— რისთვის ააგო ილიამ ასეთი სასახლე მოხუცებულობის ჟამს, როცა შვილიც კი არა ჰყავსო? — ამბობდნენ ზოგიერთები.

მაგრამ განა ის ბედნიერება, რომელიც ილიამ ცხოვრების უკანასკნელ წლებში მოიპოვა, არ ღირდა ამ სახლად?

ვის შეუძლია მშვიდად განსაჯოს სხვისი საქმე, მით უფრო ისეთი პოეტისა, როგორიც იყო განსვენებული ილია? განა შეუძლია ვინმეს უარყოს, რომ სასიამოვნოდ მორთული სახლი მშვენიერი ბაღით საუკეთესო საჩუქარია მოხუცისათვის? ხოლო ვინც თვითონვე ააგებს ასეთ თავშესაფარს, იგი ბრძენია და მისი საქციელიც ჩვენი ბუნებისა და არსებობის აზრის დამამტკიცებელია.

ილიას გარეგნობა და ხასიათი

დრო მიდის და ამასთან ერთად ილიას ცხოვრების სურათებიც თანდათან ქრება, ისინი ჯერ კიდევ არ არიან შესაფერისად აღწერილნი, რადგანაც ასეთი რამ მხოლოდ მხატვარსა და პოეტს ძალუძს. ვიდრე ისინი გამოჩნდებოდნენ, საჭიროა მასალების მოგროვება. ოც წელზე მეტ ხანს თითქმის ყოველდღე ვხვდებოდი ილიას, მრავალი საინტერესო რამ მაქვს დაგროვილი და ყოველივე ეს მინდა გავუზიარო მკითხველს. მაგრამ უნდა ვაღიარო, ჩემი მოგონებანი მოკლებულია კავშირსა და ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას.

პირველი შეხვედრის დროს ილია ვერ ახდენდა მნახველზე ისეთ შთაბეჭდილებას, როგორსაც ჩვეულებრივ პოეტისაგან მოველით. მის კეთილშობილურ სახეზე არ იხატებოდა თვალთა პოეტური ბრწყინვალება, სხვა პოეტებსა და მხატვრებს რომ აქვთ ხოლმე, მაგრამ ილიას თვალთაგან გამოკრთოდა ნათელი არაჩვეულებრივი ჭკუისა. დიახ, ილია მნახველზე მტკიცე ჭკუა-გონების პატრონის შთაბეჭდილებას სტოვებდა, თუმცა პოეტობისას ვერას შეამჩნევდა კაცი პირველ შეხვედრაზე. ილიას აკლდა სიმკვირცხლე და კისკასი ტემპერამენტი, როგორც ეს ჩვეულებრივ სხვა პოეტებს აქვთ. გატაცება მასში მხოლოდ ლაპარაკის დროს ნელ-ნელა იჩენდა თავს. ილია ჩვეულებრივ მშვიდი იყო, გარეგნულად მაინც, რადგან იშვიათი უნარი ჰქონდა თავშეკავებისა. ძლიერ გულამღვრეულიც რომ ყოფილიყო, მაინც დამშვიდებული გეჩვენებოდათ; ხოლო ვინც დაახლოებით იცნობდა, ილიას თვალებში შეეძლო ამოეკითხა, რა ხდებოდა მისი სულის სიღრმეში.

ილია მშვიდი და თითქმის აუღელვებელი იყო, იგი სხვების მიმართ არ ამჟღავნებდა თავის ძლიერ გრძნობებს, თავდაჭერილი იყო როგორც სიამოვნებაში, ისე მწუხარებაშიც. ხასიათის ამ თვისებებით ილია გოეთეს მოგვაგონებს, რომლის პოეზიაც მას ძლიერ მოსწონდა და უყვარდა.

ილია მისალმების დროსაც ზედმეტს არაფერს იტყოდა, მანდილოსნებთანაც კი ზომიერი იყო, მათდამი განსაკუთრე-

ბულ ლტოლვას არ უკარნახებდა მისი ზრდილი და ფაქიზი გრძნობა. ილია არც ყმაწვილობაში იქნებოდა ქალების თავდაუჭერელი მოტრფიალე. იგი ყოველთვის ჭკვიანი იყო და საკუთარ ღირსებასაც მაღლა აყენებდა. ილია არ ცდილობდა იაფი საშუალებით გავლენა მოეხდინა გარშემო მყოფებზე.

მისი ჭკუა და ძლიერი ნება გრძნობას მუდამ იმორჩილებდა და ამ მხრივ არასოდეს უღალატია თავის თავისათვის. ამიტომ, შეიძლება ვთქვათ, რომ ილიამ თავისი როლი, რაც ყმაწვილობაში წილად ხვდა, ძლიერ კარგად შეასრულა. მეგობრული საუბრის დროს ხშირად მეუბნებოდა, ვგრძნობ ჩემს ნაკლსა და ვწუხვარ, რომ გამოსწორება არ შემიძლიანო. მისი აზრით, საკუთარი ნაკლი ზოგადქართული იყო; მის დაოკებას შეძლებისდაგვარად ცდილობდა. მოხუცებულობაში, როდესაც ნებისყოფა მოუდუნდა, ხასიათის სისუსტეც აშკარად შეეტყო...

ილიასათვის უცხო იყო წოდებრივი სიამაყე: ყველას უბრალოდ და მეგობრულად ეპყრობოდა, და თუკი დასჭირდებოდა ვინმესთვის თავისი უპირატესობა ეჩვენებინა, ამას თავისი მახვილი აზრითა და სწორი მსჯელობით ახერხებდა.

ამ მხრივ ილია საკმაოდ მგრძნობიარე იყო. თუ თავისი აზრი საფუძვლიანად მიაჩნდა, ენერგიულად იცავდა და ადვილად არავის დაუთმობდა. მაგრამ სხვის აზრსაც ხალისით ჰოისმენდა, თუკი საქმე მისთვის უცნობ საგანს შეეხებოდა.

ილიასთან საუბარი

ილია სასიამოვნო მოსაუბრე იყო, მაგრამ მოუღალავი მოლაპარაკე კი არა, მისი საუბრის სიმშვენიერე ლამაზ ფრაზებში არ გამოიხატებოდა, არამედ ლამაზსა და მახვილ აზრებში. როცა ილია ვინმესთან საუბრობდა, დამშვიდებით ისმენდა მის აზრს, ხოლო როცა მოსაუბრე გაათავებდა თავისას, ილიასაც მზად ჰქონდა მოკლედ მოჭრილი პასუხი. თავის საუბარს ილია ხშირად იუმორით აზავებდა და ზოგჯერ ნაკვესებსაც ჩაურთავდა ხოლმე. იუმორი დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა მას და ხალისიანადაც ისმენდა სახუმარო

ლაპარაკს. თვითონაც უყვარდა ხუმრობა არა მარტო გასართობად, არამედ სულიერი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, მძიმე გონებრივი მუშაობის შემდეგ დასასვენებლად.

ხშირად, როცა ბანკის საქმიანობაში იყო გართული ან „ივერიისათვის“ რაიმე სტატიას წერდა, შევიდოდი მის სამუშაო ოთახში, ავიღებდი გაზეთს ან წიგნს, მივჯდებოდი კუთხეში და ჩუმად ვკითხულობდი, რომ მუშაობაში ხელი არ შემეშალა. ილია კალამს მაშინვე დადებდა და ღიმილით მოჰყვებოდა ლაპარაკს, სახე გაუბრწყინდებოდა. ჩვეულებრივი მისალმების შემდეგ ჩვენ ხშირად ვერთობოდით საუბარში, სახეზე დაღლილობა და ნაღველი უმალ უქრებოდა. ამ დროს ისვენებდა და რამდენადაც უფრო ვებმებოდით რომელიმე სასიამოვნო საკითხისა ან საგნის გამო საუბარში, იმდენად მეტ სულიერ სიამოვნებას ვგრძნობდით ორივე. ილიას ძლიერ უყვარდა ეს საუბრები და რაღას არ შევხებივართ მრავალი წლის განმავლობაში! რასაკვირველია, ქართული და მსოფლიო ლიტერატურის საკითხები ორივეს ყველაზე უფრო გვიზიდავდა. მაგრამ ხშირად ისტორია და სხვადასხვა ერთა ცხოვრებაც იყო ჩვენი საუბრის თემა.

მე და ილიას ძლიერ გვიყვარდა მოგზაურობის აღწერილობანი. მეტადრე თუ ამ აღწერილობათა ავტორი ნამდვილად დაკვირვებული კაცი იყო. გარდა იმისა, რომ მოგზაურობათა აღწერილობის კითხვა მიყვარდა, მომივლია კიდეც მრავალი საინტერესო ქვეყანა, ამ დარგში ყოველთვის გამოულეველი სასაუბრო მასალა გვქონდა. ილია ძლიერ სწუხდა, რომ თავის სიცოცხლეში ცოტა ემოგზაურა. მართლაც, ილიას ყმაწვილობის დროს ქართველები, საზოგადოდ, იშვიათად თუ მიისწრაფოდნენ უცხოეთში. ამას, ერთი მხრივ, ენის უცოდინარობაც უწყობდა ხელს. ამ ნაკლს ილია თავის თავსაც ამჩნევდა და სინანულით უყურებდა იმათ, ვინც უცხო ენები იცოდა. ენა,—იტყოდა ილია,—ხალხის გონებრივი და ზნეობრივი საუნჯის გასაღებია. რომელიმე ერის შესწავლა მხოლოდ იმას შეუძლიან, ვინც მისი ენა იცისო.

ილიას ძლიერ იზიდავდა აგრეთვე ენების ფსიქოლოგია

და ხშირად ამბობდა ქართულ ანდაზებს, რომლებშიც ისახეობოდა ქართული ხასიათი და ქართველი ხალხის სული. გლეხების უბრალო საუბარში ხედავდა ხალხის ფსიქოლოგიას და მსოფლმხედველობას. ამიტომაც უყვარდა ილიას გლეხებთან საუბარი. საგურამოში მთელი საათობით ესაუბრებოდა გლეხებს და აღტაცებული რჩებოდა მათი ხატოვანი ენით. საერთოდ, ილიას გლეხთა ცხოვრება პოეტურ წარმოდგენათა და აზრთა სალაროდ მიაჩნდა და დიდი ხალისითაც კითხულობდა ყველაფერს, რაც კი ამ წყაროდან გამომდინარეობდა. მაგალითად, რაფ. ერისთავის, ვაჟა-ფშაველას, ბაჩანას და თედო რაზიკაშვილის ლექსებს, ნიკო ხიზანიშვილის მიერ შეკრებილ ხალხურ ლექსებს, პეტრე უმიკაშვილის გამოცემულ ხალხურ ანდაზა-გამოცანებს და სხვ. ვაჟა-ფშაველას ლექსებს ილია აღტაცებაში მოჰყავდა. როცა კი ვაჟა დასაბეჭდად გამოგზავნიდა რაიმე ახალ ლექსს, ილია მაშინვე მიზიარებდა თავის აღტაცებასა და შაცნობდა ფშაველი მგოსნის ახალ მარგალიტს.

ვაჟა-ფშაველაში ილია ხედავდა ძველი დროის მთელი ქართველობის პანთეისტურ რწმენათა და შეხედულებათა განხორციელებას. ილიას აკვირვებდა ვაჟას ბუნებისადმი ძლიერი გრძნობა. თვითონ ილიამ ვერ შესძლო ვაჟასებრ ჩაწვდომოდა ბუნებას, თუმცა ბუნება ილიასაც ძლიერ უყვარდა და ცდილობდა მისი არსით გამსჭვალულიყო.

ერთხელ, როცა საგურამოში ვაპირებდი წასვლას, ილიამ მითხრა, თან მომყავს მესამე მეგობარი, რომელიც ძლიერ გაგვართობსო. ეს მესამე მეგობარი აღმოჩნდა გერმანელი ბიზეს „ბუნების შეგრძნების განვითარების ისტორიის“ თარგმანი, რომელშიც ავტორი გვიმტკიცებს, როგორი ნელი ნაბიჯით უვითარდებოდა ადამიანს ბუნების შეგრძნება, როგორ ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ ძველი თაობები ბუნების სიმშვენიერეს და ამ გრძნობას მოკლებულნი რამდენ სიამოვნებას ჰკარგავდნენ. ამ მშვენიერსა და საუცხოო წიგნს მე და ილია ვკითხულობდით საგურამოში, სადაც ბუნება მდიდარია და სადაც ტყე და მთა ალერსიანად ხიბლავს თვალს. ეს იყო გაზაფხულზე, საღამოობით, როცა ბაღები-

დან და ტყიდან ბულბულთა მშვენიერი სტვენა საამოდ ეფინებოდა არემარეს.

— არა, ძველ ხალხს არ განუცდია ნამდვილი ბედნიერება,—თქვა ერთხელ ილიამ ამ წიგნის კითხვის დროს,—რამდენად მაღალ სიამოვნებას ანიჭებს ადამიანს ბუნების ცხოვრება და მისი სურათების მშვენიერება. ყველა ეს ჩვენი წინაპრებისათვის არაფერი იყო: მათ არ შეეძლოთ ბუნებასთან საუბარი.

დიახ, ილიას უყვარდა ბუნებასთან საუბარი, უყვარდა ოცნება, როცა ბუნების სიმშვენიერეს შეჰყურებდა და ამაში იმდენ ბედნიერებას პოულობდა, რომ ძლიერ უხალისოდ შორდებოდა ამ პასიურ ჭვრეტას.

ილია ღრმა მოხუცებულობაშიც ბევრს კითხულობდა არა მარტო ლიტერატურულ თხზულებებს, აგრეთვე სამეცნიერო შრომებსაც. მისი ცოდნის სალარო ძლიერ მდიდარი და მრავალფეროვანი იყო. ყველაფერი აინტერესებდა, რაც კი კაცობრიობას ეხებოდა. ქებას უძღვნიდა გოეთეს უნივერსალურ ცოდნას.

თანამედროვეებს ილია კარგად იცნობდა და ხშირად ახასიათებდა: ილიამ იცოდა მათი მისწრაფებანი და სუსტი მხარეებიც. ეს მის საკუთარ თვისებასაც შეადგენდა. ცოდნით კი მათგან ილიას ვერავინ შეედრებოდა.

ოთხმოციან წლებში პეტრე უმიკაშვილი თბილისის უძველეს ნაწილში, ანჩიხატის ტაძრის მახლობლად ცხოვრობდა. სიძველეთა ძეგლების სიყვარულის გამო ილია ხშირად აქებდა პეტრე უმიკაშვილს. ილია პატივს სცემდა აგრეთვე ნიკო ხიზანიშვილს იმ შრომისათვის, რომელიც მან საქართველოს სიძველეთა გამოკვლევას უძღვნა. ნიკო ხიზანიშვილი ილიას თავისი ხუმრობით ხშირად ართობდა, თუმცა ზოგჯერ ილიასაც გაკენწლავდა ხოლმე. ნიკო ხიზანიშვილი მღვდლის შვილი იყო და ამით თავი მოჰქონდა. ის ხშირად აღიზიანებდა ილიას თავადური წარმოშობის გამო. ამ ენამოსწრებულობას ილიაც ღიმილითა და ხუმრობითვე უპასუხებდა. არც ერთი შემთხვევა არ მახსოვს, რომ ილიას გული მოსვლოდეს ნიკო ხიზანიშვილის მწარე ოხუნჯობაზეც კი.

ილიას მაინცდამაინც არ უყვარდა ზოგიერთი ახლად შემოღებული რამ, უპირატესობას ძველს, თუნდაც უხერხულს აძლევდა, თუკი მას რაიმე სილამაზე ჰქონდა და წინაპართა ცხოვრებას მოაგონებდა. მაგალითად, ეტლით სიარული უფრო მოსწონდა, ვიდრე რკინიგზით: როცა თავისუფალი დრო ჰქონდა, თბილისიდან საგურამოში მუდამ ეტლით დადიოდა. — ახდილ ეტლში, ზომიერი სიარულის დროს მთელი არემარე და ბუნების სურათები სხვადასხვაგვარად გეშლება თვალწინ, ვიდრე რკინიგზის ვაგონიდანო,—ბევრჯერ უთქვამს ილიას საგურამოში ჩვენი ხშირი მოგზაურობის დროს.

ილიას გზის მრავალფეროვანი სანახაობები და სურათები მოსწონდა. მუდამ კმაყოფილი იყო, როცა მისი ოთხი თეთრი ცხენი წყნარი ნაბიჯით მიდიოდა მზიან გზაზე. სიამოვნებასა ჰგვრიდა მცხეთის არემარე, ვერცხლისფრად მოელვარე არაგვი და საგურამოსა და ზედაზნის მთები. მას ძლიერ უყვარდა ეს ისტორიული ადგილები, აკვანი საქართველოს ქრისტიანობისა. მოგზაურობის დროს ყოველთვის მიამბობდა ხოლმე ამ ადგილებთან დაკავშირებულ ისტორიულ ამბებსა და ლეგენდებს.

პოეზიისა და სიტყვაკაზმული მწერლობის სიყვარულმა იმდენად შეიპყრო ილია, რომ დრამატული ხელოვნების, მუსიკისა და ხელოვნების სხვა დარგებისათვის დრო არ რჩებოდა, თუმცა ხელოვნების ამ დარგების შესახებაც კითხულობდა თხზულებებს, თუკი ისინი ნიჭიერად იყო დაწერილი.

დიდებული დრამატურგების,—შექსპირისა და შილერის წაკითხვას მეტ უპირატესობას აძლევდა, ვიდრე მათ წარმოდგენათა ხილვას სცენაზე. სიამოვნებით ისმენდა ქართული თეატრის ირგვლივ გამართულ სჯა-ბაასს, განსაკუთრებით თუ პიესა ქართული ყოფის გამომხატველი იყო. ილიას უფრო სასცენო ტიპები აინტერესებდა. შეიძლება ითქვას, ამ შემთხვევაში მის ყურადღებას უფრო ყოფა-ცხოვრების გამომხატველი ტიპიური მხარე იზიდავდა, ვიდრე თვითონ დრამატული ხელოვნება.

ილია მხატვრობას უფრო ნაკლებად იცნობდა, თუმცა ხალისიანად კითხულობდა დიდი მხატვრების ბიოგრაფიებს და ეცნობოდა მათ ქმნილებებს. უყვარდა ლამაზი, ისტორიული სურათები, რომლითაც დამშვენებული იყო ილიას სამუშაო კაბინეტი თავისი დის ელისაბედის სახლში. ეს ქართული ისტორიული სურათები ილიამ საგანგებოდ დაახატვინა მხატვარ გიგო გაბაშვილს. ილია ხშირად სტკბებოდა ამ სურათების ცქერით და ქებით იხსენიებდა გიგო გაბაშვილს, ამ თავისებურ, ნაყოფიერ მხატვარს. რა იცოდა მაშინ ილიამ, რომ გარდაცვალების შემდეგ გიგო გაბაშვილი მის სურათს დახატავდა, რაიც გიგომ ილიას სიცოცხლეში ვერ მოახერხა.

ილიას უყვარდა ხალხური სიმღერები და როცა საგურამოში თავისი სახლის აივანზე ჩამოჯდებოდა, სიამოვნებით უგდებდა ყურს ბაღში მომუშავე გლეხების სიმღერას. ილია რომ მართლა ძლიერ გრძნობდა ხალხური სიმღერების სიმშვენიერეს, იმ მომხიბვლელ ლექსებში ჩანს, რომელშიც აღწერილია ალაზნის ველი, სადაც ურემი—

მიჭრიალებდა, გზას აღვიძებდა
და ნაღვლიანად მასზედ მეურმე
მწუხარ სიმღერას დაჰღუღუნებდა.
ღუღუნი იგი ჩამრჩენია გულს,
მწუხარე არის, ვით გლოვის ზარი,
მაგრამ თუ ნაღველს მოპბერს დაჩაგრულს,
უკუ ჰყრის კიდეც, ვით ღრუბლებს ქარი.

თვითონ ილია არასოდეს არ მღეროდა. ძლიერ იშვიათად თუ მინახავს, როგორც სხვებს სჩვევიათ ხოლმე, რომელიმე საყვარელი ჰანგი თუნდაც დაბალი ხმით ემღეროს. მაგრამ მას განსაკუთრებით უყვარდა ზოგიერთი ჰანგი.

80-იან წლებში პროფესორმა ილია ოქრომჭედლიშვილმა ილიას აჩუქა ლამაზი, ავტომატურად მოსამართავი საკრავი. ეს საკრავი ყოველ ზაფხულს ილიას საგურამოში მიჰქონდა და მთელი საათობით ისმენდა მის ხმას. ბოლოს, თავისი სიცოცხლის მიწურულში, ერთი ქართული სიმღერა შეუ-

ყვარდა, ხშირად მოიწადინებდა ხოლმე მის დაკვრას გრამოფონზე. ეს სიმღერა ასე იწყება:

სული მიწუხს,
გულიც მასთან ღონდება;
თვალს ავახელ —
ცრემლები არ მშორდება... და სხვ.

ამ სიმღერის ნაღვლიანი კილო, რაც თავადაც ძლიერ მომწონდა, ისე გაუჯდებოდა გულში ილიას, რომ რამდენჯერმე უნდა გაეშეორებინათ ზედიზედ. როცა ილია ამ სიმღერას ისმენდა ან იჯდა ან ჩაფიქრებული იდგა ამ დროს სახეზე რაღაც იდუმალი მწუხარება ეხატებოდა, მიხვდებოდით, ილია მოხუცებულობას გულისტკივილით გრძნობდა. ენანებოდა, რომ მისი საამქვეყნო სიცოცხლე მთელი თავისი მშვენიერებით დასასრულს უახლოვდებოდა.

ერთ შემოდგომის კვირას, ნასადილევს, ჩვენ ორივე ბინდით მოცულ ოთახში ვისხედით. ჩემმა მოწაფემ დავითმა გრამოფონი მომართა, რომ საყვარელი სიმღერა „სული მიწუხს“ დაეკრა. ილიამ უცბად მითხრა: ჩვენ ორივეს გვიყვარს ეს მშვენიერი ჰანგი, ორივეს ძვალ-რბილში გაგვიჯდა და ამიტომ შეიძლება ეს ჰანგი გახდეს შენთვის საუკეთესო საშუალებად ჩემს მოსაგონებლად. ჩემი სიკვდილის შემდეგ ხშირად იმღერეთ ეს ჰანგი და მაშინ, უეჭველად მოიგონებთ თქვენს მეგობარს და იმ მშვენიერ დღეებს, რომლებიც ერთად გაგვიტარებიაო. ილიას მოსაგონებლად, რასაკვირველია, ეს ჰანგი ჩემთვის არ არის საჭირო, მაგრამ მისი სიკვდილის შემდეგ თითქმის ყოველდღე რამდენჯერმე დაბალი ხმით ვმღერი და ამასთან ერთად ვიგონებ ილიას მწუხარე სიტყვებსაც.

მახსოვს კიდევ სხვა სიტყვებიც, რომლებიც თითქოს სიკვდილის მოახლოების წინაგრძნობას, მოასწავებდა. ილიას სიკვდილამდე ერთი კვირით ადრე საგურამოში ვიყავი, სადაც ილიას მაშინდელი მეფუტკრე მებაღეობასაც მისდევდა. სწორედ იმ დღეებში დაემყნო მრავალნაირი ხეხილი. ერთ დილას მეფუტკრემ ილიას სთხოვა, დამყნილი ხეები ენახა.

ჩვენც წავედით ბაღში. მეფუტკრემ სათითაოდ გვიჩვენა ნამყენები და აგვიხსნა, რა ჯიშის მსხალი და ვაშლი დაემყნო. აქებდა ხილის კარგ თვისებას. ბოლოს, როცა გაათავა, ილიამ გაიღიმა და უთხრა: ეგ ყველაფერი კარგი, მაგრამ ნუთუ გგონიათ, რომ ამ ნამყენების ნაყოფს მოვესწრებიო? ცოტა რომ მოვშორდით, ილიამ ჩუმად მითხრა: „საკვირველი კაცია, არც კი დაფიქრებულა, რა ცოტა ხნის სიცოცხლე დამრჩენიაო“.

ეს სიტყვები ილიამ ნელი და ნაღვლიანი ხმით წარმოთქვა. შევხედე, მწუხარე სახე ჰქონდა! მოხუცებულობის დაღი ისე არასოდეს დასტყობია, როგორც ამ დილას, როცა შემოდგომის მზე აშუქებდა მის სახეს, ხოლო სევდიანი თვალები მოწყენილად გაჰყურებდნენ საშემოდგომოდ გაყვითლებულ ზედაზნის ტყეს.

ამის შემდეგ რაღაც მძიმე წინაგრძნობა მაწუხებდა, ოთხი დღე კიდევ დავრჩი საგურამოში, ღამე ძილი არ მეკარებოდა. ილია ძლიერ დაღვრემილი იყო, ამას უბრალო ოჯახურ უსიამოვნებას ვაწერდი. მაგრამ ფაქტი, რომელიც ილიას მოკვლის შემდეგ რამდენიმე თვის მერე გადმომცა მისმა საცოდავმა მეუღლემ ოლღამ, იმის დამამტკიცებელია, რომ ილიას სიკვდილის წინ წინაგრძნობა არ უსვენებდა. იმ საბედისწერო ხუთშაბათს, როცა ილია თბილისიდან საგურამოში ბრუნდებოდა, მეეტლესთვის ჩვეულებრივად ებრძანებინა წიწამურში გაჩერება და ცხენებისთვის წყლის დალევინება. ამას მოუნდა თურმე სულ ათი წუთი. მეეტლე შემჯდარა კოფოზე და უცდიდა ბრძანებას წასულიყო, მაგრამ ილია ჩუმად დადიოდა აქეთ-იქით ჩაფიქრებული და თითქოს წასვლას არ აპირებდა. ოლღა მარწმუნებდა, ილია მთელი საათი ასე დადიოდა, შემდეგ ეტლში ჩუმად ჩაჯდა, ეტლიც გაექანა საგურამოსკენ და თხუთმეტი წუთის შემდეგ ილიაც მოკლესო. რა გრძნობა აკავებდა მას ასე დიდხანს წიწამურში?

დიახ,—ბევრი რამ არის ისეთი ცასა და ქვეყანაზე, რაც სიზმრადაც არ მოლანდებიათ ჩვენს ფილოსოფოსებსო, — თქვა შექსპირმა. ილიას თვითონ არა სჯეროდა წინაგრძნობი-

სა, არც ცრუმორწმუნეობისა სწამდა რა. მაგრამ არც ეს ფაქტი და არც მისი სამწუხარო ნაღვლიანობა საგურამოში უკანასკნელად არ შეიძლება სხვა რამეთი აიხსნას, თუ არა წინაგრძნობით.

„ივერიის“ გაზეთად გამოშვება

1885 წელს ერთი ქართული გაზეთი „დროება“ გამოდიოდა ვანო მაჩაბლის რედაქტორობით. გაზეთი პატარა ფორმატის იყო, ხუთასი თუ ექვსასი ხელმომწერი ჰყავდა. ამ წელს შემოდგომაზე ეს გაზეთი გუბერნატორის განკარგულებით დაიხურა. ქართველი საზოგადოება უგაზეთოდ დარჩა. მხოლოდ ერთთვიური ჟურნალი „ივერია“ არსებობდა, რომელსაც ილია ჭავჭავაძე რედაქტორობდა.

„დროების“ დახურვამ ააღელვა ყველა მაშინდელი ლიტერატორი. ამ საკითხზე ილიას ბჭობა ჰქონდა ლიტერატორებთან და დათანხმდა, რომ „ივერია“ გამოსულიყო ყოველდღიურ გაზეთად მისი რედაქტორობით. იმავე დროს გადაწყდა, — თანამშრომლებად გარდა ამ ლიტერატორებისა, მოწვეული ყოფილიყვნენ ყველა ის გარეშე პირებიც, რომლებსაც ლიტერატურულ საქმიანობაში შეეძლოთ მათთვის მხარი მიეცათ.

მალე რედაქციაც შედგა, მაგრამ მთავრობა მაინცდამაინც არ ჩქარობდა ნებართვის მიცემას. ნებართვა დეკემბერში მიიღეს.

ახალი გაზეთის უმთავრესი თანამშრომლები იყვნენ: ილია ჭავჭავაძე, დავით ერისთავი („სამშობლოს“ ავტორი), რაფიელ ერისთავი, გიგო ყიფშიძე, ილია ხონელი (ბახტაძე), ვაჟა-ფშაველა, ბაჩანა, იაკობ გოგებაშვილი და ვანო მაჩაბელი. ილია და მისი თანამშრომლები ცდილობდნენ „ივერია“ ყოფილიყო ისეთი გაზეთი, რომელიც შინაარსითა და მრავალფეროვნებით მკითხველს დააკმაყოფილებდა. ამიტომ ევროპის ამბებს ყურადღება ეთმობოდა, ცნობებს მათ შესახებ პირდაპირ საზღვარგარეთული გაზეთებიდან იღებდნენ. ნებართვის მიღების შემდეგ გადაწყდა გაზეთ „ივე-

რიის“ პირველი ნომერი 1886 წლის იანვრის პირველს გამოსულიყო.

ახალი წლის ღამეს ახალი გაზეთის შესახვედრად ილიასთან ორმოცამდე კაცი შეიკრიბა, რომელთაგანაც მაგონდება: ვანო მაჩაბელი, რაფიელ ერისთავი, დავით ერისთავი, დიმიტრი ბაქრაძე, გიგო ყიფშიძე, ნიკო ცხვედაძე, ნიკო ლოლობერიძე, ასათიანი (მაშინდელი ქუთაისის ქალაქის თავი), პეტრე უმიკაშვილი და სხვ.

სწორედ ღამის 12 საათზე სტამბიდან მოიტანეს დიდი ფორმატის ახალი გაზეთის რამდენიმე ეგზემპლარი. ამ ღამეს პირველად ახალი გაზეთის სადღეგრძელო დასცალეს ღვინით სავსე ჭიქები, შემდეგ „მრავალჟამიერი“ შემოსძახეს და მერე კი რედაქციის რომელიღაც წევრმა ხმამაღლა დაიწყო კითხვა სტატიებისა და ლექსების.

„ოთარაანთ ქვრივი“

1886 წლის ზამთარში ილიამ რამდენიმე დღეში დაწერა თავისი უკანასკნელი მოთხრობა „ოთარაანთ ქვრივი“. ამ დროს ხშირად მესაუბრებოდა საზოგადოდ მოთხრობის მნიშვნელობის შესახებ. როცა „ივერია“ გააფართოვა და გადააქცია ყოველდღიურ დიდ გაზეთად, იგი ფიქრობდა გაზეთში დიდი ადგილი დაეთმო ქართული ორიგინალური მოთხრობებისათვის. — მოთხრობა ცხოვრების სწორი ანარეკლი უნდა იყოსო,—იტყოდა ხოლმე ილია. ქართველთა ცხოვრებაში მრავალ თავისებურ ორიგინალურ ზნეობრივ ტიპებს ხედავდა და იმედიც ჰქონდა, რომ ახალგაზრდა ქართველი მწერლები თავისებურ საინტერესო ლიტერატურას შექმნიდნენ.

თვითონ ილიამ პირველმა გვიჩვენა გზა „ოთარაანთ ქვრივით“, პირველმა თვითონ მოგვცა ნიმუში ახლებური პროზისა, მაგრამ მისი ზრახვები უფრო შორს მიდიოდა. ფიქრობდა, რომ ქართველ მწერლებს ისეთი გზა უნდა აერჩიათ, რომელიც მათ მშვენიერების შემცველ თხზულებამდე მიიყვანდა.

ილიას აზრით, ქართველთა ცხოვრება ძლიერ ჰგავდა ესპანელებისას. ეს აზრი მას შემდეგ დაებადა, რაც ესპანური მოთხრობები გადაიკითხა და გულდასმით დაუკვირდა „დონ კიხოტს“. მეც სიამოვნებით ვიზიარებდი ილიას აზრს... რამდენიმე კვირის განმავლობაში ჩვენ ბევრს ვსაუბრობდით ქართულ ტიპებზე, ქართული ცხოვრების თავისებურებაზე და ქართველი დონ კიხოტების შესახებაც...

ესპანურ მოთხრობებში ხშირად შეხვდებით გრანდის ტიპს, ეს არის ქონებას მოკლებული, გაღატაკებული აზნაური, რომელსაც თავი აზნაურობით მოაქვს. ეს ტიპი ილიას ძლიერ აინტერესებდა, რადგან ასეთ გაფცქვნილ-გაღატაკებულ გრანდს საქართველოშიც ბევრს ხედავდა.

— რამდენი სასაცილო რამ და რამდენი თავისებურება არის,—იტყოდა ხშირად ილია და ძლიერ სურდა, რომ აღმოჩენილიყო ნიჭიერი ქართველი მწერალი, რომელიც ამ ტიპის შესახებ კარგი მოთხრობის დაწერას შესძლებდა.

ილიას აინტერესებდა ქართლ-კახელი მოურავისა და მემამულის ტიპები, ამგვარები გაზაფხულზე მრავლად ჩამოდიოდნენ თბილისში მაშინდელ საბანკო კრებებზე დასასწრებად. ილია ყოველთვის ამჩნევდა ჩამოსულთა შორის ამ წოდების ფრიად საინტერესო წარმომადგენლებს. აქ იყვნენ ჩინებული „ძველის დროის მემამულეთა“ ტიპები, რომელთა მოდგმა ახლა უკვე გამქრალია. მეტად სამწუხაროდ მიმაჩნია, რომ მაშინვე არ ჩავიწერე ყველაფერი—როგორ ახასიათებდა მათ ილია. ასეთ შებატონეებს, ქართულად გამოწყობილებს, ილია ხანდახან სადილად პატიჟებდა და მეც მათი გაცნობის შემთხვევა მეძლეოდა. თავაზიანი ლაპარაკი, სადა ხუმრობა სასიამოვნო და ორიგინალურ იერს აძლევდა მათ.

საუბრისათვის თავშესაქცევი მასალა აუარებელი იყო. ამ მასალების თვისება და ხასიათი ამტკიცებდა, რამდენს და როგორ სერიოზულად ფიქრობდა ილია ქართული ცხოვრების ყოველგვარ მოვლენათა შესახებ და როგორ ბეჯითად ზრუნავდა ქართული მწერლობის აყვავება-განვითარებისათვის.

უკანასკნელი დღეები ილია ჭავჭავაძისა

21 აგვისტოს საგურამოში რომ მივედი, არ მიფიქრია, რომ უკანასკნელად ვნახავდი ჩემს ძვირფას მოხუცებულ მეგობარს და ამით გათავდებოდა ჩვენი ხანგრძლივი, ნათელი და შეურყეველი მეგობრობა... იმ დღეს მზე მხიარულად ანათებდა საგურამოს მთებს, ტყესა და ბაღებს. მყუდრო სახლი ალერსით გამოიყურებოდა მწვანე ხეებში.

მეგობრული ღიმილით მომეგება ილია და ჩვეულებრივად მკითხა, რამდენი ხნით მეწვიეო. ხანმოკლე სტუმრობა არ უყვარდა და ხშირად უფრო მეტი ხნით დარჩენა მომიხდებოდა ხოლმე, ვიდრე ვფიქრობდი.

ილია დაღონებული იყო, ჯანის სისუსტეს უჩიოდა. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დიტრიალებულ ამბებზე ფიქრობდა.

საზოგადოდ, ენერგიის სისუსტე და ის სიფიცხე შევამჩნიე, რაც მოხუცებულობას სჩვევია, შევნიშნე აგრეთვე, სხვასთან ყოფნის და ლაპარაკის წინანდებური ხალისი აღარ ჰქონდა. ხანდახან საღამოობით აივანზე დიდხანს იჯდა გაჩუმებული. უწინ ჩემი ერთი მხიარული სიტყვა გაართობდა ხოლმე, ახლა კი ამაო იყო ყოველი ცდა. ჩემი უკანასკნელად ყოფნისას მთელი ექვსი დღის განმავლობაში ვეღარ ვნახე ღიმილი მის სახეზე.—ცოტა გავისეირნოთ—ვუთხარი ერთ საღამოს,—მოციონი ძალიან სასარგებლოა-მეთქი.

— რაღა უნდა იყოს სასარგებლო, როცა ორიოდე წლის სიცოცხლეღა დამრჩენია—მიპასუხა ილიამ ჩაფიქრებით.

დიახ, ვერ ვიცანი ილია, აღარ იტაცებდა ბუნება, აღარ ართობდა საუბარი და ერთხელაც აღარ ამოუღია ხმა მწერლობის შესახებ. მისი სულიერი განწყობილების ზეგავლენით მეც დავკარგე მხნეობა. მაგონდებოდა გარდასული დრო და მასთან ერთად ჩვენი მეგობრული ურთიერთობის სიცოცხლე. რა ნათელი იყო ეს დრო! ვრცელი საუბრები პოეზიისა და მშვენიერებათა შესახებ, საქართველოსა და მის წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე! საუბრები, რომელშიაც ბრწყინავდა ილიას მდიდარი სული,—როგორ აღვწერო ეს ყველაფერი!.. ჩემთვის დღესასწაული იყო, როცა ვესაუბრე-

ზოდი მას და ერთმანეთს აზრებს ვუზიარებდით. მაგრამ არა მარტო მისი მდიდარი აზრების პოეტური თვისება მხიბლავდა, მხიბლავდა აგრეთვე მისი ჰუმანური შეხედულება კაცობრიობის შესახებ. განა ილია ჭავჭავაძემ არ დაწერა „კაცია ადამიანი?!“ და „გლახის ნაამბობი“?

ის აზრი და გრძნობა, რომელმაც ეს მოთხრობები დააწერინა, მისი ორმოცდაათი წლის საზოგადოებრივი მოღვაწეობის საფუძველი და დევიზი იყო უკანასკნელ დღემდის. მას ამისათვის არ უღალატნია, მაგრამ ბოლო დროს ხშირად ხმარობდა სიტყვა „უმადურობას“. მეტად მძიმეა ყველა ამის შესახებ ლაპარაკი...

27 აგვისტოს, დილით, ილია, მისი მეუღლე ოლღა და მე უტლით თბილისში წამოვედით. ღრუბლიანი დილა იყო, ჩვენი წამოსვლის შემდეგ დიდი წვიმაც წამოვიდა. ეტლს ჩარდახი არა ჰქონდა, ყველანი დავსველდით და წვიმამ ძალიან შეგვაწუხა.

იმ ადგილას, სადაც სამი დღის შემდეგ სამინელი მკვლელობა მოხდა, გზის ორივე მხარეს თხელი ტყეა. იქ რომ გაშოვიარეთ, ტანში ჟრუანტელმა დამიარა, თუმცა მაშინ ფიქრადაც არ მქონია რაიმე უბედურება: ილია ხომ ჩვენთან იყო, როგორ წარმოვიდგენდი, რომ მოხუც პოეტს, ქართველი ხალხის სიამაყეს, ხელს შეახებდა ვინმე? ილია ჩემ პირდაპირ იჯდა ჩაფიქრებული. ერთხელ თუ ორჯერ თქვა, გაციების მეშინიაო. ოლღას ფერი არ ედო, დაღონებული იყო. საზოგადოდ, უკანასკნელად მოწყენილად ვიმოგზაურეთ. როცა რკინიგზის ხიდთან მივედით, ამინდი გამოკეთდა და ჩვენც უკეთეს გუნებაზე დავდექით.

დილმის დუქანში შევისვენეთ, რომ რამე გვეჭამა. ილია აქ ცოტათი გამხიარულდა და ლაპარაკის ხალისიც მიეცა. ვამოჩნდა მზე და გაანათა ნაცნობი არემარე, სადაც ხშირად ერთად გვივლია. სახელდახელო სუფრას გახალისებულები შივუსხედით და წარსულიც მოვიგონეთ.

ეს იყო ჩვენი უკანასკნელი საუბარი, გულითადი საუბარი. იმ დროს, როცა ილია იღიმებოდა, მეგონა, მისი გულიც მისცემოდა ლხენას, თუმცა ძველებური გამბედაობით აღარა

ერთი საათის შემდეგ ჩვენ ერთმანეთს დავშორდით. ოლღას ქუჩაზე.

— ვნახავთ ერთმანეთს! — მითხრა ილიამ.

ადგილს ვერ მოვშორდი, რატომღაც დიდხანს გავყურებდი მიმავალს, ვიდრე ეტლი მთლად არ მიიმალა ვერის დაღმართზე... განა წინასწარ გრძნობდა ჩემი გული, რომ ამის შემდეგ ვეღარ ვნახავდი მას, ეს იყო ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა!

მშვიდობით, მშვიდობით, ძვირფასო, დაუვიწყარო მეგობარო!..

ილიას დაბადების დღე უილიამდ

მეექვსედ აღვნიშნავთ განსვენებული ილიას დაბადების დღეს, სულ უფრო და უფრო ვშორდებით მას და მის დროს.

1907 წელს 7 ოქტომბერს, როდესაც პირველად შევიკრიბეთ თეატრში, ჩვენ შორის ყველა მისი მეგობარი იყო. ისე გვეჩვენებოდა, თითქოს კვლავ გრძელდებოდა ის დროება, რომელსაც მან და მისმა მეგობრებმა დააჩნიეს სვე და კვალი.

დავით სარაჯიშვილი, ნიკო ცხვედაძე, იაკობ გოგებაშვილი, ალექსანდრე ხახანაშვილი და სხვები ჯერ კიდევ ცოცხლები იყვნენ. თუმცა ილია აღარ იყო, მაგრამ მაინც გვეგონა, თითქოს მასთან მჭიდრო კავშირში ვიყავით. ახლა კი ყველამ დაგვტოვა და მათთან ერთად გაქრა წარსულიც. ისინი იყვნენ ტიპიური, მთლიანი ადამიანები, რომლებმაც თავიანთ სარბიელზე იმდენი გააკეთეს, რაც სხვებმა ერთად ვერ შესძლეს. და მერე რატომ? იმიტომ, რომ მათ ყველაზე უფრო მეტად შეეძლოთ მიზნების განხორციელებისათვის თავი დაედოთ, მათი ცხოვრება მუდმივი სწრაფვა იყო, რასაც ისინი სიკვდილამდე არ დაუღლია.

ჩვენს ხსოვნაში თითოეულმა მათგანმა თავისი მთლიანი ხასიათის სურათი დასტოვა; ყოველი მათგანი თავიდანვე რაიმე გარკვეულის განსახიერება იყო; როცა სარაჯიშვილს გაიხსენებთ, თვალწინ მისი სამრეწველო თაოსნობა, მისი ქველმოქმედება და საზოგადო საქმეებისათვის დაუღალავი

ზრუნვა წარმოგიდგებათ. ასეთივე იყო დანარჩენების მოღვაწეობა. ისინი სანახევროდ არაფერს აკეთებდნენ, ამიტომაც დასტოვეს ცოცხალი კვალი, თუმცა ცხოვრება შეიცვალა და სხვა სახე მიიღო. მაგრამ, დაე, უფრო მეტად შეიცვალოს! ეგი! ისინი მაინც არ დაიხოცებიან, ცოცხალ მაგალითებად დარჩებიან შთამომავალთათვის!

ლიდი საქართველო კოლაჟი

აკაკი წერეთელი

1884 წელს, როცა პირველად ვეწვიე საქართველოს, ბათუმიდან თბილისამდე ვაგონის ფანჯრიდან მთელი დღე გავყურებდი შორეულსა და თან სულისათვის მახლობელ არემარეს. მანამდე ბევრი რამ წამეკითხა საქართველოს შესახებ. ახლა კი მწყუროდა საკუთარი თვალით მეხილა იგი. გაზაფხული იყო და ბუნება მთელი თავისი მშვენიერებით წარმომიდგა. მაგრამ ბუნება იმდენად არ იტაცებდა ჩემს გონებას, რამდენადაც ადამიანები, რკინიგზის სადგურებზე რომ ვხედავდი. თვალს იზიდავდა აგრეთვე შენობები და ეკლესიები, სოფლები, მინდვრები და ბაღები, ურმები, საქონელი და ათასი სხვა რამ. ერთი სიტყვით, ახლო მსურდა გავცნობოდი საქართველოს. და მართლაც, თბილისში ჩამოსვლისას უკვე მქონდა საერთო წარმოდგენა საქართველოს ცხოვრების გარეგნულ მხარეზე. თვალის ერთი გადავლებითაც აშკარა შეიქნა ჩემთვის განსხვავება იმერეთსა და ქართლს შორის.

ჩამოსვლის მეორე დღესვე ილია ჭავჭავაძესთან გავიცანი აკაკი წერეთელი და რაფიელ ერისთავი. ეს სამი მგოსანი ერთმანეთს არც გარეგნობით, არც სხვა რამით არ ჰგვანდნენ. არც თუ ისე მაღალი, მაგრამ მკვრივი აგებულების ილია შე-

სახედავად მეტად მშვიდი იყო მაშინაც, როცა სული და გული ეწოდა. აკაკი სხარტი იყო, როგორც ნამდვილი იმერელი. ისიც მაგარი აგებულებისა იყო, მაგრამ შედარებით სუსტი ნებისყოფის, მისი ლაპარაკი ილიაზე უფრო სწრაფად მოსჩქეფდა...

მესამე მგოსანი, რაფიელ ერისთავი, უფრო მძიმე მეჩვენა: დინჯად, აუჩქარებლად ლაპარაკობდა.

ჩვენი გაცნობის პირველივე დღეს მივხვდი, რომ ეს ორი მწერალი — ილია და აკაკი — საქართველოს მთელ მაშინდელ გონებრივ ცხოვრებას განასახიერებდა.

იმ მწერლებზე, რომლებიც თავიანთი სამშობლოს ბეჭედს ატარებენ, გერმანელები იტყვიან ხოლმე: თავისი მიწის სუნი დაჰკრავსო. აკაკის ხომ მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე თან სდევდა იმერეთისა და იმერული მიწის სურნელება.

გლეხის ოჯახში ძიძასთან გატარებულმა ბავშვობამ ღრმა კვალი დააჩნია მას. ძლიერი შთაბეჭდილების ყმაწვილს, რომლის გონება ნაადრევ ბავშვობიდანვე ცხოვლად აღიქვამდა ყოველივეს, არაფერი რჩებოდა შეუმჩნეველი. მისი მშობლების ოჯახში ძველი ქართული ტრადიციების ნამდვილი სული ტრიალებდა. აკაკი ყოველდღე ხედავდა სურათებს, რომლებიც მისი სახლის გარეთ უკვე აღგვილიყო. მისი მშობლები დაიბადნენ და აღიზარდნენ მე-19 საუკუნის დამდეგს, როცა ჯერ კიდევ არ გამქრალიყო წინა საუკუნის კვალი; ამ სახლში ყველაფერი ქართული სულით სუნთქავდა. აკაკიც თუმცა ამ სულთან იყო მიჯაჭვული, გონებით უარყოფდა: მასში იგი თავისი სამშობლოს მომავლის შემფერხებელს ხედავდა.

ფეოდალად შობილმა ახალგაზრდობიდანვე მოიშორა თავადური შეხედულებები, გლეხებს იცავდა მემამულეთა უსამართლობისაგან, მაგრამ გრძნობებითა და ჩვეულებებით მთლიანად ვერ გათავისუფლებულიყო თავისი ოჯახის პირველი გავლენისაგან.

როგორც ილია ჭავჭავაძე, ისევე აკაკი, თავის დროზე მოწინავენი იყვნენ და ეხებოდნენ ისეთ საკითხებს, რომლებიც მათი ახალგაზრდობის დროს ქართველთა გონებაში ჯერ კიდევ არ იყო საკმაოდ მომწიფებული. ლიტერატურულ ას-

პარეზზე გამოსვლის პირველ დღიდანვე აკაკი ამცთრახებდა ყველაფერს, რაც არ მოსწონდა არსებულ ზნესა და ხასიათში. ყველაფრის იმის გაკიცხვამ, რასაც შეეძლო შეეფერხებინა საღი განვითარება ერის ორგანიზმისა, იგი სატირამდე მიიყვანა... ასეთი იყო მისი განწყობილება, ხოლო როდესაც რამე შემთხვევა ან მოვლენა გააღიზიანებდა და დაასევდიანებდა, მაშინ თავის სატირაში შხამ-სამსალასაც გაურევდა...

მახსოვს, როცა აკაკი „კრებულს" გამოსცემდა, ხშირად ბეჭდავდა თავის ისეთი ხასიათის ლექსებს, რომლებიც მხოლოდ მაშინ იყო გასაგები, თუ მკითხველი იცნობდა ამ ლექსების გამომწვევ გარემოებას. მე მივაქცევინე აკაკის ამ მხარისათვის ყურადღება და ვურჩიე, კვლავ აღარ დაებეჭდა კრებულში ასეთები. აკაკის გაეღიმა და მითხრა, არჩევანი ჩემთვისაც ძნელიაო. მაგრამ ნამდვილად კმაყოფილი დარჩა ჩემი აზრის გამო იმ ლექსებზე, რომლებსაც აღტაცებაში მოვყავდი მუდამ. დიდხანს ეგონა, რომ თავს ვაძალებდი მიუკერძოებელი ვყოფილიყავი და ამიტომ ვაქებდი მის ლექსებს. გულახდილად ვუთხარი, რომ, ჩემი აზრით, ის, როგორც ჭეშმარიტი ლირიკოსი, მაღლა დგას ილიაზე, რომ ის მომღერალია, ილია კი იდეური პოეტი.

ასეც არის, წმინდა გრძნობითი ლექსების გარდა, ილიაში მუდამ ჭარბობს აზრი, გრძნობა კი უფრო მკრთალად გამოსჭვივის.

აკაკი გავიცანი 1884 წელს, როცა იგი დაახლოებით 44 წლისა იყო. თმა წვერში ჭაღარა ეპარებოდა. პირველი პოეტური ძალა, რასაკვირველია, უკვე მიმქრალი თუ არა, მისუსტებული იყო, მაგრამ შემოქმედებით ძალას კიდევ შერჩენოდა ახალგაზრდული გატაცება. მაშინ, როდესაც ილიას პოეტური შემოქმედება ამ წლოვანებაში უკვე გაქრობას იწყებდა.

ჩვენი გაცნობის პირველ ორ წელს აკაკის ხშირად ვხედავდი ქართულ თეატრში. ეს დაწესებულება იმ დროს ყოველთვის როდი იყო საკვსე, თუმცა მაშინდელი მთავარი მსახიობები, რომლებმაც საძირკველი ჩაუყარეს ქართულ სასცენო ხელოვნებას, ბუნებრივი ნიჭით იყვნენ დაჯილდოებულნი.

ქართული თეატრალური საზოგადოება ჯერ კიდევ მცირე

იყო და რეპერტუარიც ღარიბი ჰქონდა. აკაკი ხშირად მარტო იჯდა. ხანდახან ვეწვეოდი ხოლმე. ის ჩემთან არ ფარავდა, რომ ქართული თეატრის სიღარიბე აწუხებდა, მაგრამ მარწმუნებდა, წლითიწლობით გაუმჯობესებასაც ვამჩნევო. იმედოვნებდა, რომ XIX საუკუნის მიწურულამდე ქართული თეატრი მომაგრდებოდა. ასეც მოხდა, მაყურებელი ყოველ წელს იზრდებოდა. როცა თეატრის შესახებ ლაპარაკობდა, ვხედავდი, რა ძლიერ უყვარდა აკაკის თავისი სამშობლო და როგორ ზრუნავდა მისი კულტურის ამაღლებისათვის. იგი მუდამ ახლო იდგა თეატრთან და მას რამდენიმე მაღალი ლიტერატურული ღირსების პიესაც მიაწოდა. გულმოდგინედ ამხნევებდა მსახიობებს. მისი პიესები, შესაძლოა, სავსებით არ ეთანხმებოდნენ სცენური ხელოვნების მოთხოვნილებებს, მაგრამ უხვად შეიცავდნენ ესთეტიკურ ღირსებებს. მათში იყო ადამიანის თავისებური განჭვრეტა და. სხვა. ყველაფერი ეს ბიამეს ჰგვრიდა მკითხველს. დიახ, ქართველები არასოდეს გაანებებენ თავს მის კითხვას, არა მხოლოდ იმიტომ, რომ მათში მდიდარი, ცოცხალი მომაჯადოებელი პოეზიაა, არამედ იმისთვისაც, რომ მათი შინაარსი არ არის მარტო უბრალო თხრობა ამბებისა—ის ნაყოფია მდიდარი მხატვრული წარმოსახვისა.

აკაკი თვითმპყრობელი მეუფე იყო პოეზიისა ხელოვნების სამკვიდროში.

ერთხელ, ოთხმოციან წლებში, აკაკის შევხვდი ქუთაისის ერთ-ერთ ქუჩაზე. თიბათვის მშვენიერი დღე იდგა, მზის სხივებით ნაფენი იყო ქალაქის ყოველი კუნჭული. დღისით გელათი მოვინახულე და ჯერ კიდევ გონებით იქ ვიყავი, ხილული ბუნების სიკეკლუცისა და სიძველეთა შთაბეჭდილებით დატვირთული.

აკაკი გაერთო და ენაწყლიანად, გატაცებით საუბრობდა გელათზე, ქუთაისზე, საქართველოსა და ქართველი ქალების სილამაზეზე. ჩვენ წყნარად მივდიოდით თბილისის ქუჩაზე გორაკისაკენ, სადაც მწვანეში კოხტად გამოიყურებოდა ბაგრატის ტაძრის ნანგრევები, ყოველ ხუთ წამში ჩაგვივლიდა აკაკის რომელიმე ნაცნობი ტურფა ასული და ჯადოსნური ღიმილით აძლევდა სალამს პოეტს.

— ბედნიერი კაცი ხართ! — ვუთხარი მე.

—ისინი მგოსანს აძლევენ სალამს და არა მე, — ღიმილით შენიშნა აკაკიმ და განაგრძო ამწვანებული სამშობლოს ქება.

მასთან საუბარში ისე არასოდეს მიგრძვნია ყველა მისი ბრწყინვალე მხარე, როგორც მაშინ.

დიახ, ის გახლდათ ჭეშმარიტი მგოსანი, მდიდარი ფანტაზიის პატრონი, ენაწყლიანობითა და გრძნობით აღსავსე, მხატვარი და ჭკუამახვილი მჭევრმეტყველი.

რომ ვუსმენდი და სახეში შევცქეროდი, უნებლიეთ მაგონდებოდა მისი რამდენიმე ლექსი და დრამა. უდიდეს სიამეს ვგრძნობდი, რომ ჩემ წინაშე ვხედავდი ამ მდიდარი პოეზიის წყაროს. სეირნობის დროს აკაკის ყველა დიდი პატივისცემით ესალმებოდა; მივხვდი, მას შეეძლო ეამაყა. აკაკი თავის საშშობლოს დიდი მგოსანი იყო, ისეთი დიდებული და ბრწყინვალე, რომ მისთვის შეგვეძლო გვეწოდებინა ახალი ცხოვრების გამომაფხიზლებელი. ბუნებამ მასში თავი მოუყარა გონების ყოველგვარ ღირსებას. თუმცა ბუნება ხომ არასოდეს ჰკოფს ადამიანს სრულყოფილად, იგი თავის რჩეულებსა და ნებიერებსაც უტოვებს ნაკლსა და სისუსტეს, მე მგონია აკაკი ბუნებისა და ბედის ნებიერი გახლდათ და, შესაძლოა ამიტომაც იყო დაჯერებული თავის უპირატესობებში.

აკაკიმ თავის ხალხს მისცა დიდი და მრავალრიცხოვანი ვანძი. წაართვით საქართველოს აკაკი და... დარჩება ლირიკის ადგილი, რომელიც ალბათ დიდხანს ვერ შეივსება.

ჩემი აზრით, აკაკი ყველა თავის პოეტურ თხზულებაში ლირიკოსი ანუ გრძნობის მგოსანი იყო. მისი დრამები და ეპიკური პოეტური თხზულებებიც ლირიკული ხასიათისაა. აკაკის ცოცხალი ბუნება ვერ იტანდა ეპიკური ობიექტურობის ბორკილებს და ამიტომ მისი პოემები და დრამები, ბაირონის თხზულებებივით, სავსეა ლირიზმით. ეს გრძნობებზე ძლიერად მოქმედი ლირიზმი მკითხველში არ ასუსტებს მოთხრობილი ამბის შთაბეჭდილებას, პირიქით, აცხოველებს კიდეც. როცა აკაკის პოეტურ ნაწარმოებს კითხულობ, განა შეიძლება ხელოვნების წესებზე იფიქრო? კითხვით გატაცებული ხარ, ვიღას ახსოვს ისინი.

რა შეიძლება კიდევ ითქვას აკაკის ლირიკულ პოეზიაზე? მისი პოეტური მემკვიდრეობა ქართველი ხალხის ძვირფას განძად იქცა და ბევრი დააკლდებოდა, ეს განძი რომ დაეკარგა. მე აკაკის ლექსების კითხვა დიდ სიამეს მგვრის, ამგვარია მისი გავლენა ქართველთა უმრავლესობაზეც. აკაკის პოეტური სული არა მარტო წიგნებში იცოცხლებს, იგი საქართველოს ყველა კუთხის შვილთა გულსა და გონებაშია დამკვიდრებული.

შევეცდებით პასუხი გავცეთ კითხვას: რა ქმნის აკაკის პოეზიის უდიდეს ღირსებას? ორიოდე სიტყვით ამ საკითხს ვერ ამოვწურავთ, ჩემი აზრით და გემოვნებით, აკაკი ყველაზე უფრო ლამაზად და ძლიერად საქართველოს სიყვარულს დამღეროდა; მის სევდიან ხვედრსა და მომავლის სასოებას ისეთი მომხიბვლელობით გამოხატავდა, რომ სულსა და გულს სწვდებოდა...

ბუნების მშვენიერების აღწერაში აკაკი მაღალ ხელოვნებამდე ადის. იგი არ მისდევს წვრილმანებს, ბუნების აღწერისას მას მთლიანობა ხიბლავს.

აკაკი არა მარტო სილამაზისა და სიყვარულის მგოსანი იყო, არამედ დაბეჩავებულთა, დამცირებულთა და შეურაცხყოფილ ძმათა მეგობარიც. იგი მეხად ეელინებოდა ფარისევლებს, მჩაგვრელებსა და კაცობრიობის სხვა მტრებს, გესლიანი დაცინვით ამათრახებდა მათ.

აკაკის თავის თხზულებებში დროშასავით მაღლა ეჭირა ზნეობრივი მხარე, ამით ის კიდევ უფრო მტკიცედ დარჩება თავისი ხალხის ხსოვნაში.

მოხუცებულობის ხანს აკაკი რამდენიმე ხნით საზღვარგარეთ გაემგზავრა, გერმანია და საფრანგეთი მოინახულა. დაბრუნების შემდეგ დაწვრილებით მესაუბრა თავის შთაბეჭდილებებზე და თან შენიშნა, მეტად გვიან მომიხდა მოგზაურობაო.

აკაკის რომ ოცი-ოცდაათი წლით ადრე ემოგზაურა გერმანიასა და საფრანგეთში, თავის დაკვირვებებს გამოიყენებდა ლიტერატურულ მოღვაწეობისათვის. იგი თვითონვე შენიშნავდა, რომ მას მხოლოდ ზოგადი წარმოდგენა ჰქონდა საზღვარგარეთზე.

როცა ქართველები აკაკის იუბილეს დღესასწაულობდნენ, მას უკვე ემჩნეოდა თავისი სამწერლო მოღვაწეობის შესუსტება. შემდეგ მან ნელა, მოხუცებულობის სნეულებასთან ბრძოლაში დაასრულა თავისი ხანგრძლივი სიცოცხლე. ის იმერეთში, თავის კუთხეში გარდაიცვალა, მაგრამ დედაქალაქში დაასაფლავეს თავისი დიდების რაყიფის ილია ჭავჭავაძის გვერდით.

მართლა იყვნენ ისინი რაყიფნი? დიახ, ეს ასე იყო, აკაკი და ილია ახლო მეგობრები არ ყოფილან, მაგრამ წინააღმდეგობის მიზეზებს აშკარად როდი ამჟღავნებდნენ. ამიტომ არიან ორთავენი პატივსაცემნი. ორთავეს კარგად ვიცნობდი და ვიცი, რომ ისინი მალავდნენ თავიანთ გრძნობებს. უნდა ითქვას, ორივე, როგორც ნამდვილი ფილოსოფოსები, ისე ეპყრობოდნენ ერთმანეთს.

ნახევარი საუკუნის განმავლობაში ისინი თითქმის მხარი მხარს იდგნენ ქართული გონებრივი ცხოვრების ასპარეზზე, მაღლა ეჭირათ და იცავდნენ მის იდეალებს! ორთავენი ერთნაირივე გულისწყრომითა და თავდავიწყებით ებრძოდნენ ყველას, ვინც კი ზურგი აქცია თანამემამულეებსა და სამშობლოს მომავლის რწმენას; თვით უმძიმეს დროსაც არ კარგავდნენ იმედს, თავიანთი ხანგრძლივი სიცოცხლის უკანასკნელ წლებშიც იმედიანად შეჰყურებდნენ ქართველი ერის კულტურული ცხოვრების მომავალ აღორძინებას.

აკაკის სოფელი

ოცდაათმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც აკაკის სოფელ საჩხერეში ვიყავი. ეს იყო 1887 წელს, ქუთაისში ორი კვირის ყოფნის შემდეგ, გიორგი წერეთელთან ერთად სოფელ რგანში წავედი, სადაც ნიკო ღოღობერიძემ მიგვიპატიჟა. სადგურ ზესტაფონიდან ჩვენ ცხენებით გავემგზავრეთ, რადგან ჭიათურის რკინიგზა ჯერ კიდევ არ იყო გაყვანილი.

ქვემო იმერეთის ერთფეროვანი მწვანე ველის მერე ეს ადგილები უმშვენიერეს სურათს წარმოადგენდა.

ამ აყვავებულ კუთხეში შავი უდაბნოსებრ გაჭიმულა ჭია-

თურის შავი ქვის მაღაროები, რომლის იქით იწყება ისევ ლამაზი სანახაობა საჩხერისა ანუ საწერეთლოსი.

და აი, აქ, დიდსა და დაჩრდილულ ბაღში, რომელიც ტყიანი ხეობის სათავეში მდებარეობს, თეთრი სახლი დგას, სადაც დაიბადა პოეტი აკაკი წერეთელი.

ამ სახლში რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ნელ-ნელა კვდებოდა ფეოდალიზმი და მისი რომანტიულობაც, მაგრამ იმ ცერემონიალური და ტრადიციული ლხინის წყალობით, რაც ძველ თავადობას მოსდგამდა, შეუძლებელი იყო ახალი დროის სულის დაფუძნება.

აკაკის დედ-მამა შთამომავლობით, მდგომარეობით, აღზრდითა და განათლებით ძველ დროს ეკუთვნოდნენ.

საჩხერის მშვენიერი მამული არ იყო პოეტისათვის ისეთი დასასვენებელი ადგილი, როგორც ილია ჭავჭავაძისათვის — საგურამო.

მიატოვა თუ არა აკაკიმ მშობლიური სახლი, მაშინვე გაეცნო ცხოვრების სინამდვილეს, რამაც მასზე უთუოდ იქონია ზეგავლენა. ის ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლაში იღებდა მონაწილეობას, სრულიად მიივიწყა ბავშვობის შთაბეჭდილებანი და გაჰყვა კაცობრიობის მაღალ იდეალებს. მისი ნაწარმოებები მძლავრად ეხმიანებოდნენ ცხოვრებას, თავის ხალხს, ახალ იდეალებს და მომავლის რწმენას ულვიძებდა, მათში პოეზიის დაუშრეტელი წყარო ჩქეფდა, მისი ბუნება გასაოცრად მდიდარი იყო.

აკაკის თხზულებები უძვირფასესი განძია ქართული ლიტერატურისათვის. მათი კითხვის დროს მე ვხედავ დიდ პოეტს, აღფრთოვანებულ ქართველს, რომელსაც თავდავიწყებით უყვარს თავისი სამშობლო.

ვაჟა-ფშაველა

მტერთან ბრძოლა, ველად გაჭრილთა თავგადასავალი და საქმენი საგმირონი მრავალი საუკუნის განმავლობაში მდიდარი მასალა იყო ფშაველთა სიმღერა-ლექსებისა. მდიდარია მათი ხალხური თქმულებები და ზღაპრები, მაგრამ ეს მხო-

ლოდ ზეპირი პოეზიის გამოუკოპიტებელი მასალაა. სამოციოდე წლის წინ ფშაველები ნაკლებად იცნობდნენ საზოგადოებრივ აზროვნებასა და მწერლობას. ამიტომ ვაჟა-ფშაველა არამც თუ იშვიათი, არამედ უმაგალითო მოვლენაა ქართველობის ისტორიაში. ამ შემთხვევაში ალექსანდრე ყაზბეგის მაგალითი არ გამოგვადგება შესადარებლად; ყაზბეგი იმ წრიდან გამოვიდა, რომლის რამდენიმე თაობა უმაღლესი კულტურისა და ცოდნისაკენ მიისწრაფოდა.

სულ სხვა იყო ვაჟა-ფშაველას წრე: ის დაიბადა სალ კლდეებს შუა მოქცეულ მიყრუებულ სოფელში, ერთ უბრალო სახლში, რომლის ყველა კარ-ფანჯარაში ქარი თავისუფლად შედი-გამოდიოდა, ხოლო კერის ბოლი კაცს თვალებს სჭამდა... აქ ცხოვრება უშუალო ბრძოლა იყო ბუნებასთან. ფშავეთში თითქმის ნახევარი წელი ზამთარია, ერთ სოფლიდან მეორეში გადასვლა თოვლით დაბარდნილი ბილიკებით თუ შეიძლება. ზამთარი აქ დასვენების დროა; გრძელ ღამეებში, როცა ნისლი ბურავს ფერდობებს ან ჰაერში ყინვის სუსხი იგრძნობა, მეზობლები თავს იყრიან სამასლაათოდ, და მათ შორის თუ აღმოჩნდება ხელოვანი მოამბე, ერთმანეთს გადაებმება თქმულებები გმირებზე, ყაჩაღებზე, მზეთუნახავებსა და ერეკლე მეორეზე, ლეკიანობაზე და სხვ.

ლუკა რაზიკაშვილი ბავშვობიდანვე გაჟღენთილი იყო ამ ამბებით. ალბათ ამან გამოაღვიძა მისი ცოცხალი ფანტაზია და მასალა მისცა წარმოსახვისათვის.

მრავალი პოეტის ცხოვრების აღწერა გვიმოწმებს, რომ ბავშვობაში გაგონილი ამბები და, საზოგადოდ, ბავშვობის შთაბეჭდილებები დიდ ზეგავლენას ახდენენ მათ განვითარებაზე. ეჭვი არ არის, მის სამშობლო კუთხეში გავრცელებულმა თქმულებებმა და ზღაპრებმა დიდი გავლენა იქონიეს ლუკაზე. ყრმის მახვილი გონება და გული მოსმენილსა და გაგონილს ამუშავებდა.

წლების განმავლობაში, გაზაფხულიდან შემოდგომის დამდეგამდე ლუკა ბუნების წიაღში ატარებდა, უკვირდებოდა მის მოვლენებსა და ცვლილებებს; იგი იცნობდა მთასა და ველს, ტყესა და ანკარა რუს, ხესა და ყვავილებს, კლდესა და თვალმიუბამ ხეობებს; მის თვალწინ იყო აღმართული

შორეული მყინვარის დიადი სურათი, რომელიც ელვარებდა ამომავალი მზის პირისფერი შუქით იმ დროს, როცა იქ, დაბლა, მთები და ველები ჯერ კიდევ ღამის წყვდიადში იყვნენ გახვეულნი; მთვარიან ღამეს, როცა არემარე სიჩუმით იყო მოცული, მის ყურს ხიბლავდა მთის ნაკადულის საიდუმლო რაკრაკი. პატარა ლუკა ხშირად ყოფილა მოწამე საშინელი ჭექა-ქუხილისა, როცა ელვა აპობდა სიბნელით მოცულ ველსა და ხეობას, როცა გრგვინვა მთიდან მთას აწყდებოდა. მას გამოუცდია წვიმის, ქარისა და თოვლისაგან მიყენებული ტანჯვა, მაგრამ გაზაფხულობით, როცა ლაქვარდოვან ცაზე მზეს კაშკაში გაუდიოდა, ბავშვი განიცდიდა განუსაზღვრელ სიხარულს. სიცოცხლით სავსე თვალები შეხაროდა ბუნების აბიბინებულ გულ-მკერდს.

ასე გაიზარდა მასში პოეტი. როცა ვაჟა სწავლა-განათლებას შეუდგა, ალბათ კარგად არც კი ჰქონდა შეგნებული თავისი ზეგარდმო ნიჭის ძალა. თუმცა არ შეეძლო არ ეგრძნო, რომ სამყარო მასზე ისე როდი მოქმედებდა, როგორც სხვა თანამემამულეებზე. დიახ, იგი ფიქრობდა და გრძნობდა ათასი ფშაველის ძალით. შემოქმედებითმა ძალამ ვაჟა მსოფლიო პოეზიის მწვერვალზე აიყვანა.

ვაჟა-ფშაველს კლასიკური განათლება არ მიუღია, თუმცა ბეჯითად მისდევდა თვითგანვითარებას. ჩემი აზრით, მისი განათლება საკმარისი იყო იმგვარი პოეზიისათვის, რომელიც თვითონ შეურჩია თავის ნიჭს. ამ შემთხვევაში მე ვგულისხმობ მის პოეზიას და არა სხვას. ჩემთვის ვაჟა-ფშაველა პოეტია და არა ეთნოგრაფი. ეს პატარა მხარე — ფშავეთი თავისი ხელშეუხებლობით საუკეთესო ნიადაგს წარმოადგენდა პოეტური შთაგონებისათვის. ფშაველებს საკმაოდ ბევრი და ვრცელი ხალხური სიმღერები აქვთ, უმთავრესად ეპიკური ხასიათისა. ვაჟა-ფშაველამ მათგან მხოლოდ მასალით ისარგებლა. თვითონ ვაჟაში პოეზიის ძლიერი წყარო ჩქეფდა, ხოლო მხარში კი მშობლიური ბუმბერაზი მთების ბუნება ედგა.

მთების სიმშვენიერე სიყრმიდან საფუძვლად დაედო იმ მომხიბლავ ჰანგებს, რომელთა ქღერას საუკუნეთა ცვლა ვერ შეანელებს.

წაიკითხეთ მისი მომაჯადოებელი სიმღერები, რომელთა მსგავსი არ მოიპოვება მსოფლიო ლიტერატურაში, ამ სიმღერებში მთელი ბუნებაა ჩაწნული... ვაჟა არ არის მარტო დიდებული მხატვარი, რომლის განკარგულებაში მოიპოვება ათასი ფერით მდიდარი პალიტრა, ის შემკულია ამ ბუნების შეგრძნებისა და შეთვისების ძალით. ესაა მისი ლირიკის სიდიადე.

ვაჟა-ფშაველას სიმღერებში ბუნება შედუღებულია ადამიანის სიცოცხლესთან. ასეთი ადამიანი, პირველად ყოვლისა, თვით ვაჟა არის. ადამიანის ტანჯვა-სიხარულს ვაჟა თანაუგრძნობს მთელი თავისი სულიერი სიღრმით. მისი სიმღერები, მიუხედავად მათი თავისებური მხატვრული ენისა, სავსენი არიან სადა, ბუნებრივი კილოთი, მსმენელს ხიბლავენ წყნარი სიამით, თანაგრძნობითა და აღტაცებით.

მის სიმღერებში შეუდარებელი ძლიერებით და უბრალოებითაა გამოსახული სიყვარულის გრძნობაც. მისი ლამაზი, უბრალო და ამასთანავე ძლიერი ლექსი — „შენმა სიყვარულმა დამლია“, შეუდარებელია! ვაჟა-ფშაველას სასიყვარულო ლექსებს ახასიათებს ზომიერების გრძნობა, ბუნებრივი კილო. ასევე ითქმის მის სიყვარულზე საქართველოსადმი, რომელსაც უძღვნა მთელი რიგი შინაარსიანი ლექსებისა, მიმართული აკაკის, ილიასა, ყაზბეგსა და ბარათაშვილისადმი.

ვაჟას ხშირად აფიქრებს ადამიანის ბედისწერა, ადამიანის არსებობის ხანმოკლეობა პოეტის სევდას იწვევს. ვაჟა მწუხარებას განიცდის არა მარტო ადამიანის, არამედ ყოველი სულიერისა და უსულოს ბედისწერის გამოც. ვაჟა, რა თქმა უნდა, ყოფიერების რთული საკითხის გადაწყვეტას არ კისრულობს... იგი პოეტია, რომლისთვისაც არსებობს მხოლოდ პოეზია, ყოველგვარი „იზმისაგან“ თავისუფალი.

ვაჟას მხატვრული სკოლა მისი დიადი ნიჭია, და ეს სრულიად საკმარისია. ყოველივე რაც იცოდა, წიგნიდან კი არ ჰქონდა წაკითხული — ეს იყო ბუნების უხვი ჯილდო, რომლითაც ისარგებლა ისეთი სიღრმითა და მგზნებარებით, რასაც ვერ დაიკვეხნის ვერც ერთი პოეტი და მხატვარი. მისი მხატვრული ნიჭი გასაოცარია. გარდა გრიგოლ ორბელიანისა,

არც ერთ ქართველ პოეტს არ შეუქმნია ბუნების ასეთი დიდებული მხატვრული სურათები. თვით გრიგოლ ორბელიანმა ქართულ ლიტერატურაში ბუნების მხოლოდ რამდენიმე სურათი შეიტანა, იმ დროს, როცა ვაჟამ შეჰქმნა მთელი გალერეა ამ სურათებისა. ეს გალერეა უდიდესი საუნჯეა არა მარტო ქართული, არამედ მსოფლიო ლიტერატურისა, სადაც ვაჟა უთუოდ დაიჭერს საპატიო ადგილს. ფშავეთის მიწის სურნელება, რომლითაც გაჟღენთილია ვაჟა-ფშაველას ლექსები, აასკეცებს მისი პოეზიით ტკბობას. გერმანელები ყველაზე მეტად იგრძნობენ ვაჟას, რადგან ისინი განსაკუთრებით ხვდებიან ხოლმე უხცო ერის თავისებურებას.

ვაჟას ყველა თხზულებაში გამოსჭვივის განსაკუთრებული სიყვარული ფშავეთისადმი, ეს სიყვარული ყველაზე მეტად ამშვენებს მის პოეზიას.

აი რას წერს ვაჟა თავის საშობაო მოთხრობაში: „უენოა ყველაფერი, რასაც ვხედავ, მაგრამ რამდენს რასმე ეუბნება ჩემს გულს ეს მთები, ეს ტყე გაბარდნული თოვლით.

აგერ ჩვენი საყდარი განმარტოებით გორაზე, დაღონებულად, მარტოდმარტო გადმოსცქერის არაგვის ხეობას.

აი იმედის კაკალიც, დამამშვენებელი მამულებისა, უზარმაზარი, გაბარჯღული.

დავინახე ჩვენი სახლიც: სვეტად ბუხრიდან მაღლა ადიოდა ბოლი.

...გული აღარ ითმენს, გავაჩქარე ცხენი... გორაზე ვიღაცა პატარა გამოდგა, გადმოგვხედა და სასწრაფოდ მიბრუნდა შინისაკე; ის ჩემი ძმა იყო, გვიცნო და გაექანა, რომ ჩვენებისათვის ეხარებინა. ყველაზედ უწინ დედაჩემი გამოჩნდა კარში და გამოგვეგება წინ. თვალებზე ცრემლი მოუვიდა.

— შეგცივდებოდა, შვილო, ვაი შენს დედას!

მკოცნა, ბევრი მკოცნა...“

ყოველივე, რასაც ვაჟა მოგვითხრობს თავის მშობლების სახლზე, თავის სოფელზე და სამშობლოზე, იკითხება არა მარტო სიამოვნებით, არამედ გულის ძგერით. საზოგადოდ, მის ლექსებსა და პროზაში ჩამარხულია რაღაც საიდუმლო ძალა, რომელსაც მოკლებულია ბევრი პოეტი და რისი გა-

მოთქმაც ერთი სიტყვით შეუძლებელია: ეს არის დიდი საიდუმლოება ჭეშმარიტი პოეტისა.

გავა დრო და მთის წყარო დაშრება ფშავეთში... მხოლოდ ვაჟა-ფშაველას პოეზია არასოდეს აღმოიფხვრება ლიტერატურის საგანძურიდან.

მთების პოეტი

ჩემთვის ვაჟა-ფშაველას მარტო სახელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს სახელი პოეტურ აზრს მინათებს მუდამ. როგორც ფრიგიის მეფე მიდასი ყველაფერს ოქროდ აქცევდა, ვაჟაც ყველაფერს პოეზიად აქცევს.

ვაჟას პოეზია არ არის სალონური, იგი იშვა ჩაჟანგებულ მთებში, შალდაყიანსა* და მუდამ ნორჩ ტყეებში. მისი შთამაგონებელი იყო ბუნება მშობელი ფშავეთისა, რომელსაც პოეტი ეკუთვნოდა სულითა და ხორცით. ცხოვრება ამ ბუნებისა, მისი სიტურფე და სიმკაცრე იყო მდიდარი ქარგა ვაჟას პოეზიისა, ფშავეთის ცხოვრება და წარსული იყო სული მისი პოეზიისა.

ვაჟა-ფშაველა მუდამ როდი უმღერის ადამიანს, იგი ხშირად მარტოოდენ ბუნების წიაღში რჩება. და მაშინ ყველაზე უდიდესი ფშაველი მძლავრ ფიქრს იკრებს და თავისი სულისკვეთება გადააქვს ჩონგურზე. მისი ღონიერი სიმი გამოსცემდა ომახიანსა და სადა ხმას. ეს ხმა პირდაპირ მისი მკერდიდან იღვრებოდა.

მთელი თავისი სისადავით ვაჟა-ფშაველას ენა იყო მეფური და ზარადიანი, რომელიც გაგონებიდანვე გიტაცებთ ორიოდე სტრიქონის უმალ, უკვე სხვა ფანტასტიკურ სამყაროში გადადიხართ...

ასეთია ჩემი აზრი ვაჟა-ფშაველაზე. რაც შეეხება უცხოელებს, შემიძლია ვთქვა: როცა დაიბეჭდა მეორე გამოცემა ჩემ მიერ თარგმნილი ქართველი პოეტების თხზულებებისა, ვაჟა-ფშაველამ ევროპაში აღტაცება გამოიწვია.

---

* მეტი სიხშირით ჩამუქებული ტყე (რედ.).

ილიას ჩემთვის უთქვამს, ვაჟა-ფშაველა არის გენიალური ფიგურა და ყველაფრით განირჩევა თანამედროვე პოეტებისაგანო.

ჩემი მოგონებები საქართველოში *

სული მიწუხს, როცა ვიგონებ უკვე მიცვალებულ მეგობრებს, როცა შორეული წარსულის გარემოება, სიხარული და სევდა კვლავ ცოცხლდებიან ჩემს მოგონებაში.

1884 წელს თბილისი ჯერ კიდევ ძალიან წყნარი და ნაკლებად დასახლებული იყო დღევანდელთან შედარებით; ცხოვრებას დარბაისლობის ელფერი ამშვენებდა. სასტუმროები და რესტორნები იშვიათად იყო და მხოლოდ ძველებური ქართული სტუმართმოყვარეობა აკავშირებდა მეგობრებს თავისი მყუდრო, შინაურული დროსტარებით. მოხუცი და ყრმა ნაცნობებთან იყრიდა თავს. სტუმრები მარტო ღვინითა და უბრალო სადილითაც კმაყოფილდებოდნენ და არ კარგავდნენ თავის მხიარულებას. დროს ატარებდნენ მუსაიფით, სმითა და, განსაკუთრებით, სიმღერებით, რადგან იმ დროს ფორტეპიანო ან სხვა ევროპული საკრავი იშვიათ სახლში თუ მოიპოვებოდა.

იმ სახლში, სადაც მე ვცხოვრობდი, ვანო მაჩაბელი და მხატვარი ბერიძე ცხოვრობდნენ. ორივე ახლად იყო ჩამოსული საზღვარგარეთიდან, სადაც ივ დროს ქართველი იშვიათად მიდიოდა. ბერიძემ რამდენიმე წელიწადი გაატარა იტალიაში, მხატვრობას სწავლობდა. ეს გულკეთილი, უზრუნველი ადამიანი იმ თაობისთვის პირველი მხატვარი იყო, მაგრამ ვერ გაამართლა ქართველების იმედი. ქართველების გულის დასაამებლად ოთხმოციან წლებში გიგო გაბაშვილი გამოჩნდა და პირველივე სურათებით დაამტკიცა, რომ ნამდვილი მხატვარი იყო. ტილოზე გადატანილმა ქართულმა ტიპებმა მისი ნიჭი გამოააშკარავა და მხატვრებს უჩვენა გზა ხელოვ-

---

* ამ მოგონების სათაური და პირველი აბზაცი ქართულად დაუწერია ლაისტს, რასაც უცვლელად ვტოვებთ (რედ.).

ნების დაუშრეტელი წყაროსკენ. ეს უკვდავების წყარო საქართველოში მდიდარია არა მარტო ადამიანების ტიპებით, არამედ ბუნების თავისებური სიდიადითა და მშვენებით. საქართველოს ბუნებაში ჩანთქმულია აუარებელი წმინდა ოქრო, რომელიც ქართველმა მხატვრებმა უნდა დაამუშაონ და ჩამოასხან ხელოვნების დიდებულ ძეგლებად.

ვანო მაჩაბელი სასახლის ქუჩაზე სარაჯიშვილის სახლში ცხოვრობდა იმ დროს. გარეგნობითა და ქცევით კარგ შთაბეჭდილებას ახდენდა, კარგი განათლება მაჩაბელს მეტი მუშაობის საშუალებას აძლევდა ლიტერატურაში, მაგრამ მეგობრებთან საუბარი ბევრ დროს ართმევდა. შექსპირის დრამების თარგმნისა და „დროების" რედაქტორობის შემდეგ ჩქარა გადავიდა სხვა საქმეებზე და რამდენიმე წელიწადში ჯანმრთელობაც დაკარგა. როგორც სხვა ბევრმა ნიჭიერმა ქართველმა, მაჩაბელმაც ვერ დაამთავრა თავისი საქმე და ბედმა შუა გზაზე უღალატა, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ის უკვალოდ დაიკარგა. დიდი გულშემატკივრობით შეხვდა ყველა ამ ნიჭიერი და კეთილშობილი ადამიანის ცხოვრების ტრაგიკულ დასასრულს.

ვანო მაჩაბელმა განათლება საფრანგეთსა და გერმანიაში მიიღო. შინ საქართველოსათვის მუშაობის აღფრთოვანებული სურვილით დაბრუნდა, აქ საქმეს მთელი თავისი ცოდნა და ახალგაზრდული ძალა შესწირა. რაკი დაინახა ილია ჭავჭავაძემ მისი ნიჭი და შრომის უნარი, თავისკენ მიიმხრო. ორივე ერთად მეგობრულად მუშაობდა იმ დრომდე, ვიდრე ქართველმა ზოილებმა მრუდე ლაპარაკით მათ შორის შური არ ჩამოაგდეს.

ვანო მაჩაბელთან გაცნობისთანავე გულწრფელი მეგობრობა ვიგრძენი. ჩვენ თითქმის ყოველდღე ვხვდებოდით ერთმანეთს. ქართულ თეატრშიც ერთად დავდიოდით, სადაც იმ დროს ამ საქმის ნამდვილი დამფუძნებლები თამაშობდნენ: ვასო აბაშიძე, მისი მეუღლე მაკო, ნატო გაბუნია, ვალ. გუნია, კოტე მესხი, ლადო მესხიშვილი და მათი თანამშრომელნი. ისინი ფრიად ნიჭიერი მსახიობები იყვნენ.

მაყურებელთა საზოგადოება შედგებოდა ნაწილობრივ თეატრის ნამდვილ მოყვარულთაგან და ნაწილობრივ გართო-

ბის მაძიებლებისაგან. პირველნი დაინტერესებულნი იყვნენ ქარგი თამაშით, ხოლო უკანასკნელნი — პიესის შინაარსით, რაზეც ხშირად მაღალი ხმით გამოთქვამდნენ თავიანთ უკმაყოფილებას. ასეთი იყო განსაკუთრებით „ქანდარის“ ხალხი. ზოგიერთი ღიმილითაც კი უყურებდა თავიანთ თანამემამულეების ამ პატარა, ერთგულ და მოუღალავ წრეს. ვერ წარმოედგინათ, რომ ამ პატარა, თითქმის საოჯახო სცენიდან შემდეგ დიდი ხელოვნების ნამდვილი ტაძარი აღმოცენდებოდა.

თუ არ ვცდები, ქართული თეატრის საქმე უკვე 1888 წელს გამოკეთდა ახალი, ლამაზი შენობის აგებით. ამ დროიდან მახსოვს ორი რეჟისორი — ვასო თუმანიშვილი და დავით ერისთავი — „სამშობლოს“ ავტორი. პირველი იყო წყნარი, დამთმობი, ხოლო მეორე — უფრო ენერგიული და განახლების მაძიებელი. ორივენი ჩიოდნენ, მსახიობები ნაკლებად გვემორჩილებიან და არ უყვართ დისციპლინაო.

იმ დროს წარმოდგენის შემდეგ საზოგადოების გასართობად ქართული სიმღერა და ცეკვა იმართებოდა ხშირად. გულახდილად უნდა ვთქვათ, რომ პირველ წელიწადს ეს „შინაურული“ წარმოდგენები და დამსწრე საზოგადოება ჩემზე ნაკლებ შთაბეჭდილებას სტოვებდა. შიშით ვუცქეროდი ქართული თეატრის მომავალს, მაგრამ შემდეგ თანამედროვე მოღვაწეთა და მწერალთა მიმართულებამ და მისწრაფებამ ჩემში ქართული ხელოვნების საბოლოო გამარჯვების ნდობა და იმედი ჩასახა. ადვილად გასაგებია, რომ იმ დროს თეატრი თავისი ზურნით, გაბუნიას მუდმივი ცეკვა-თამაშითა და სიმღერით ვერ დააკმაყოფილებდა მაღალი გემოვნების მაყურებელს. მაგრამ იმდროინდელ მაყურებელს ჯერ კიდევ არ შეეძლო ღრმად ჩაეხედა ვითარებაში, თუმცა მომავალი გამარჯვება თეატრისა მასში ეჭვს არ იწვევდა.

ოთხმოციანი წლების შუა ხანებში თეატრს ალექსანდრე ყაზბეგიც დაუახლოვდა. ის 1886 წელს გავიცანი. ყაზბეგი იმ დროს სრულიად დაუძლურებული ადამიანის შთაბეჭდილებას სტოვებდა — სახე მობერებოდა, თვალები დასუსტებოდა. იმ ხანებში მეუბნებოდა, უკვე მიმძიმს მოთხრობებზე

მუშაობაო. ამ ტანჯული ადამიანისადმი ეს დიდ სიბრალულს იწვევდა, ასეთი ნაადრევი დაუძლურება!

ქართულ თეატრთან პატარა ბაღი და რესტორანი იყო, სადაც საადგილმამულო ბანკის კრებების დროს ჩვეულებრივზე მეტი სტუმარი იყრიდა თავს. ყოველ წელს, ზაფხულის დამდეგს თბილისში ქართლ-კახეთიდან მემამულეები ჩამოდიოდნენ, ბევრ მათგანს ცოლ-შვილიც ჩამოჰყავდა. თბილისი საესე იყო სხვადასხვა ჯურის პროვინციელი ტიპებით. ხანში შესულები კაბა-ჩოხითა და სარტყელ-გულისპირით იყვნენ დამშვენებულნი, ახალ მოდას აყოლილი ახალგაზრდები კი უკვე „პარტნიხების“ გემოვნებაზე ჩაცმულნი. მოხუცებს მაშინ ჯერ კიდევ სავსებით შერჩენოდათ ძველებური ქართული შეხედულებანი, ჩვეულება და სიტყვა-პასუხი, ისე რომ ძველი საქართველოს ნიშანწყლის მაძიებელი მათთან ბაასით სავსებით დაიკმაყოფილებდა თავის ცნობისმოყვარეობას. ხანდახან ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს ბევრი მათგანი იმ აზრსაც შეჰგუებია, ძველი თაობის ადგილს ახალი თაობა დაიჭერს და მათი მატერიალური დოვლათის მემკვიდრე იქნება, მაგრამ მათ სულიერ განძს კი ვერ შეინარჩუნებსო. ბევრი მათგანი თავის ბედს ურიგდებოდა, ბევრი კი ებრძოდა თავის შვილებს, როცა ეს უკანასკნელები ახლის გავლენას გადაჭარბებით განიცდიდნენ. ამ ჭარმაგ მოხუცებში ჯერ კიდევ შერჩენილიყო ძველებური უწყინარი და უბრალო იუმორი. ბანკის კრებებს დიდძალი მემამულე ესწრებოდა. ბევრს მათგანს თბილისში გასათხოვრად ჩამოჰყავდა თავისი ასული; არ ვიცი, გამოიყენეს თუ არა თანამედროვე კომედიებში ეს ამბავი. აღარ არსებობს მოხუცებულთა ის თაობები, რომლებიც ჩამოდიოდნენ და თან ჩამოჰქონდათ ძველი ქართული ცხოვრების ნიშანწყალი. მე ყოველთვის უზომო სიამოვნებით ვიგონებ იმ დროს, რომელსაც დიდი უბრალოება ახასიათებდა. ვანო მაჩაბელსაც უყვარდა ამ ძველებურ მემამულეებზე დაკვირვება. ჩვენ ხშირად დავდიოდით ქართული თეატრის პატარა ბაღში ან მიხეილის ქუჩაზე, გერმანელების ყოფილი კოლონიის ადგილას. აქ იყო ქართული ბაღები უბრალო ხეებით, ვაზის თალარებით, ჟასმინის ჩირგვებითა და წითელი ვარდის ბუჩქებით გამიჯნული

ბილიკებით. ეს ბილიკები შორიშორს იყო ერთიმეორისაგან. ზურნა და საზანდარი უკრავდა, თბილ დღეებში აქ ძველებური ქართული ცხოვრება დუღდა. მე-18 საუკუნის ზოგიერთი მწერალი მოგვითხრობს, თბილისი გარშემორტყმული იყო ბაღებითო. ამ ბაღებს ვახუშტიც ახსენებს. ოთხმოციან წლებში ეს ბაღები ქართული ლხინის ბუდე იყო. ბაღის პატრონი სტუმრებს ღიმილითა და მოსწრებული სიტყვებით ხვდებოდა. აქ დილიდან მეორე დილამდე მხიარული სიმღერა გაისმოდა.

დიდი ხანია ეს მხიარული ხალხი გაქრა, სიმღერა განელდა, ვაზის თალარები და ვარდის ბუჩქები გაიკაფა, მათ ალაგას დიდი პირქუში სახლები აშენდა.

კულტურული მნიშვნელობა „ვეფხისტყაოსნისა“

ძველია პოეტური თხზულება „ვეფხისტყაოსანი“, ის იცოცხლებს მარად, როგორც უკვდავი ძეგლი საქართველოს ცხოვრებისა, როგორც სარკე რუსთაველის დროინდელი ქართველების მსოფლმხედველობისა და ზნეობისა, როგორც კულტურულ მისწრაფებათა შთაგონების წყარო.

ჩემი აზრით, როდის დაიწერა პოემა ან ვისგან ისეახა რუსთაველმა ტარიელისა და ავთანდილის თავგადასავლის არაკი, იმდენად მნიშვნელოვანი არ არის. „ვეფხისტყაოსნის“ მნიშვნელობა ზნეობრივ, გონებრივსა და მხატვრულ ღირსებაში მდგომარეობს. რაც შეეხება „ვეფხისტყაოსნის“ შექმნის დროს, საეჭვოა, რომ ასეთი უაღრესად განვითარებული, დახვეწილი ენით დაწერილი და უმაღლესი კულტურული ცხოვრების ამსახველი პოემა თამარ მეფის გარდაცვალებიდან დიდი ხნის შემდეგ შექმნილიყო, იმ დროს, როცა ქართველი ხალხი და მისი კულტურა უკვე დაცემული იყო.

ჩვენ არ გვაინტერესებს „ვეფხისტყაოსნის“ ამბავი. უნდა ვიფიქროთ, ასეთი იყო თვით რუსთაველის დამოკიდებულება პოემის ამ მხარისადმი. რუსთაველისათვის ფაბულას მეორე-

ხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა. „ამბავი“ მისთვის მხოლოდ ქარგა იყო, რომელშიც ავტორს შეეძლო ჩაექსოვა თავისი აზრები და შეხედულებანი. ეჭვს გარეშეა, ამ პოემას ავტორი თავის თანამედროვეთა ან მომავალი თაობის გასართობად კი არ წერდა, არამედ იმისთვის, რომ ზნეობრივად აემაღლებინა ისინი, განემტკიცებინა სახელმწიფო და, დასასრულ, გამოეთქვა თავისი შეხედულება ნამდვილ საკაცობრიო კულტურაზე. ჩემი ღრმა რწმენით, რუსთაველს უნდოდა, უწინარეს ყოვლისა, ყოფილიყო ზნეობის მქადაგებელი, ხოლო პოეზია მან გამოიყენა როგორც საუკეთესო საშუალება ამ აზრის განსახორციელებლად. შოთა, რა თქმა უნდა, უდიდესი პოეტია, მაგრამ არა იმ პოეტთაგანი, რომლებიც მღერიან „ვით ფრინველნი მგალობელნი“. მას უფრო დიდი საქმის ასრულება აქვს განზრახული. დაე, სხვებმა თქვან, თითქოს თამარი უყვარდა და მხოლოდ მისმა სიყვარულმა დააწერინა „ვეფხისტყაოსანი“, მე ამ აზრს არ ვიზიარებ და ამ პოემაში კიდევ უფრო ამაღლებულ აზრსა ვხედავ.

ლაიფციგის უნივერსიტეტის პროფესორი ჰოლდაკი თავის წიგნში „ორი ქვაკუთხედი საქართველოს სახელმწიფოებრიობისა“ გამოთქვამს მოსაზრებას, რომ „ვეფხისტყაოსანი“ თავიდან ბოლომდე მიმართულია მსხვილ ფეოდალთა წინააღმდეგ და დაწერილია სახელმწიფოს მთლიანობის დასაცავად.

ამ აზრს მეც ვიზიარებ, რადგან რუსთაველი ბევრგან ნათლად და გარკვევით ამბობს ამას. ყველამ ვიცით, რა ბოროტად იქცეოდნენ ფეოდალები დავით აღმაშენებლის დროსაც კი და რა გავლენა ჰქონდა ზოგიერთ მათგანს თამარის დროს. უნდა ვიფიქროთ, რომ თავისი ქვეყნის მოყვარულ პოეტს არ შეეძლო გულგრილად ეცქირა იმ მსხვილი ფეოდალების თავაშვებულობისათვის, რომლებიც ცდილობდნენ უფრო გაეძლიერებინათ თავიანთი გავლენა, ამით კი ხელს უწყობდნენ სახელმწიფოს დაშლა-დანაწილებას.

რუსთაველი ნათლად და გარკვევით ჩამოთვლის, რა თვისება და მოვალეობა უნდა ჰქონდეს ნამდვილ ვაჟკაცს. შუა საუკუნეებში, როცა „დღესა ყოველსა“ და „ჟამსა ყოველსა“ მტერი ესხმოდა მამულსა, ვაჟკაცი სამშობლოს დაცვისა და

ვანმტკიცების იდეის განხორციელება უნდა ყოფილიყო. რუსთაველის გმირები: ავთანდილი, ტარიელი და ფრიდონი ყველაფრად სრულნი არიან, სრული რაინდნი. ისინი დიდად აფასებენ მეგობრობას და თავიანთი საქციელით ამტკიცებენ, რარიგ მაღლა აყენებენ ამ გრძნობას. რუსთაველის თვალში მეგობრობა ადამიანთა ერთობის უმთავრესი კავშირია.

მეგობრობა, რომელსაც ადიდებს და რომლისკენაც მოუწოდებს პოეტი, უბრალო გრძნობა კი არ არის, არამედ კეთილშობილებამდე აყვანილი გრძნობაა კულტურული, კარგად აღზრდილი ადამიანისა. რუსთაველისათვის ზრდილობა ლიტონი სიტყვა როდია, მისი გმირები ურთიერთთან მეტად თავაზიანი, თავდაჭერილნი არიან, ერთიმეორის პატივისცემისათვის თავდადებულნი; ისინი ერთმანეთთან ბაასობენ, როგორც ზრდილი ადამიანები, თავიანთი გრძნობებისა და მეტყველების ბატონ-პატრონნი. ახლა თქვენ იკითხეთ, როგორია მათი დამოკიდებულება ქალების მიმართ! ქალები მათთვის აღმოსავლელი მხევლები, მდაბალი არსებანი კი არ არიან, მოკლებულნი ყოველგვარ საზოგადოებრივ უფლებას, ისე როგორც ძველ საბერძნეთში იყო, სადაც მათ უყურებდნენ როგორც მამაკაცის ტკბობისათვის გაჩენილ არსებათ. აქ ისინი თავისუფალი, მამაკაცის თანასწორნი, თავიანთი ვრძნობებისა და აზრების გამგებელი ადამიანები არიან. აღმოსავლეთში ქალი არსად ყოფილა ისეთი დიდი პატივისცემით მოსილი, როგორც საქართველოში.

თინათინს, ნესტან-დარეჯანს, ასმათსა და სხვა ქალებს მამაკაცები დიდი თავაზითა და პატივისცემით ეპყრობიან. ეს ზნეობრივი ზღუდე მათთვის ქმნის იმ ღირსეულ და საპატიო მდგომარეობას, რომელშიც ქართველი ქალები საუკუნეთა მანძილზე იმყოფებოდნენ.

ცხადია, „ვეფხისტყაოსანს“ დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ქალებისათვის; ამ პოემის აღზრდის იდეებს ითვისებდნენ ქართველი დედები და ხელმძღვანელობდნენ თავიანთი ასულების აღზრდაში.

„ვეფხისტყაოსანში“ ყველგან პლასტიკურად წინ არის გამოკვეთილი ქალის საპატიო მდგომარეობა. თვით ვაჭრის ცოლთან, მსუბუქი საქციელის ფატმანთანაც კი ავთანდილს

ზრდილობიანად და პატივისცემით უჭირავს თავი. კარგად აღზრდილი, მორალურად უმწიკვლო ქალი მუდამ ყოფილა და იქნება სანიმუშო ყოფაქცევისა და ზრდილობის საუკეთესო მზრუნველი და დამცველი. რუსთაველი, რომელიც კარგ ყოფაქცევასა და ზრდილობაში უმაღლესი კულტურის უმთავრეს დასაბამს ხედავდა, საგანგებოდ მოსავს ქალებს პატივისცემითა და ღირსებით.

მაგრამ არა მარტო ქალის ღირსება, საზოგადოდ ადამიანური ღირსებაც მის თვალში კულტურის უპირველესი პირობათაგანია. ავთანდილის ანდერძი როსტევან მეფის მიმართ აღსარებაა კეთილშობილი, სრულყოფისაკენ მსწრაფველი ადამიანისა, უმთავრესი მცნებაა მთელი საკაცობრიო კულტურისა. ანდერძი პოემას განსაკუთრებულ ელფერს აძლევს და ადიდებს მის მორალურსა და კულტურულ მნიშვნელობას. ზნეობის საკითხებში და კაცობრიობის სხვა მაღალი იდეალების წინაშე რუსთაველი არ სცოდავს მაშინაც კი, როცა ავთანდილი ფატმანთან დაიჭერს კავშირს. ჩვენ ვიცით, რომ ავთანდილი იძულებულია ასე მოიქცეს, რადგან მას სურს ფატმანისაგან გაიგოს ნესტან-დარეჯანის სამყოფელი ადგილი. ფატმანის საყვარელსაც ხომ იმიტომ კლავს, რომ ქალი ზნეობრივი განსაცდელისაგან იხსნას.

ყველა ეს გარემოება ნათელს ჰფენს „ვეფხისტყაოსანს“, რომელშიც, როგორც სარკეში, უპირველესად, იმდროინდელ ქართველთა კულტურა იხატება. ამავე დროს მასში მოცემულია ყველა ის მცნება, რომელიც საჭირო იყო ამ კულტურის განვითარებისათვის მომავალში. ამგვარად, რუსთაველმა გაუსწრო თავის დროს და თავის ერს საუკუნეთა განმავლობაში მოევლინა, როგორც ქართული კულტურის ზნეობრივი და გონებრივი ძალა.

„ვეფხისტყაოსანს“ ყოველთვის კითხულობდნენ ოჯახებში.

მე-18 საუკუნის შუა ხანებისთვის საქართველოში წიგნები ცოტა შემორჩა და რაც იყო, „ვეფხისტყაოსანს“ არ შეედრებოდა. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ რუსთაველის ეს თხზულება უდიდეს როლს თამაშობდა ქართველთა გონებრივ ცხოვრებაში. საუკეთესო ადგილებს ზეპირად სწავლობ-

დნენ. მკითხველები, ცხადია, აღტაცებაში მოდიოდნენ პოემით, მისი გმირების კეთილშობილი საქციელით. ეს სრულიად საკმარისი იყო იმისათვის, რომ განმტკიცებულიყო ამ თხზულების კეთილი გავლენა კულტურაზე და მის შემდგომ განვითარებაზე.

ჩემი აზრით, საჭიროა შევადგინოთ მოკლე კრებული, რომელშიც უნდა მოექცეს:

1) ზნეობრივი და ფილოსოფიური მნიშვნელობის ყველა აზრი.

2) სილამაზით სხვებში გამოსარჩევი ადგილები.

3) მაშინდელი კულტურის მდგომარეობის ამსახველი მომენტები.

დიდ მწერალთა ასეთ კრებულებს განსაკუთრებით ხშირად ფრანგები ბეჭდავენ. გერმანელები იშვიათად მიმართავენ ამდაგვარ პოპულარიზაციას. ქართველი პოეტების თხზულებათა კრებულის ჩემი გერმანული თარგმანის მესამე გამოცემისათვის ამოვკრიბე „ვეფხისტყაოსნის“ საუკეთესო ადგილები და ეს მეტად მიზანშეწონილად მიმაჩნია.

მ ც ხ ე თ ა

ხშირად ვყოფილვარ მცხეთაში, ხშირად გამივლია გზად საგურამოში მიმავალს და ყოველთვის, როცა ამ დიდებულ ტაძარს და სხვა ძველ ეკლესიებს დავინახავდი, ფიქრი წარსული საუკუნეებისაკენ გამიტაცებდა. ვცდილობდი, აღმედგინა გარდასული დროების სურათები. დიახ, თვით ცხოვრებაა საინტერესო და არა მარტო ისტორიის ნაამბობი, რადგან ისტორიის მიერ მოთხრობილი თითქო ამ სურათის მარტოოდენ ჩარჩოა.

ძველი მცხეთა და მისი ეკლესიები საქართველოს ცხოვრების უძველესი სცენაა. ვინ იცის, ორი ათასი წლისა და უფრო მეტი ხნის განმავლობაში რამდენჯერ გამოცვლილა ეს სცენა და მისი დეკორაციები...

ილია ჭავჭავაძესთან ერთად ხშირად გამომივლია მცხეთა პოეტს მეტად უყვარდა მცხეთის თავგადასავლისა და

მისი ისტორიის ზოგიერთი ამბების თუ ეპიზოდების მოყოლა. ქუთაისის ბაგრატის ტაძრის ნანგრევებისა და გელათის მონასტრის გარდა საქართველოში არც ერთი ადგილი არაა ჩემს თვალში ისე შარავანდედით მოსილი, როგორც მცხეთა. ილიაც ასეთივე მოწიწებით ეპყრობოდა საქართველოს ძველ დედაქალაქს. ამ ადგილას მტკვარსა და არაგვს ხშირად წმიდა მდინარეების მნიშვნელობა ენიჭებათ. ორი ათასი წლის განმავლობაში ორივე მოწამე იყო საქართველოს ისტორიული წარსულისა. ილიას ძალიან უყვარდა ეს ადგილები, მაგრამ როცა აქაურობას უჭვრეტდა, ისიც გლოვობდა. ამ შთაბეჭდილებით დაწერა მან ლექსები: „მტკვრის პირას“ და „არაგვს“.

როცა წარსულზე ვფიქრობ, იმას კი არ ვცდილობ, აღვადგინო ცალკეული ამბები, არამედ ცხოვრების მთელი სურათები, თქვენ ის იკითხეთ, რა ურიცხვი ცვლილება მოხდა ორი ათასი წლის მანძილზე. რა სხვადასხვაობა, რა მრავალფერადობა უნდა ჰქონოდა ცხოვრებას ამ დროის განმავლობაში!

წარმოიდგინეთ ძველი ქალაქი არმაზი კერპთაყვანისმცემელთა სამსხვერპლოებითურთ, როცა აქ დღესასწაულებზე ხალხი ყველა მხრიდან თავს იყრიდა. სამსხვერპლოები მახლობელ მთებზე იდგა და მათი ცეცხლის ალი შორს მოჩანდა, განსაკუთრებით ღამით. რა პოეტური და შთაბეჭდილებების მომგვრელი სურათები უნდა ყოფილიყო! მაგრამ, განა შეგვიძლია წარმოვიდგინოთ აუარებელი ხალხი, აქ რომ თავს იყრიდა?! უთუოდ ბუნებით ისინი ბუმბერაზები იქნებოდნენ.

ქრისტიანობის დამყარების შემდეგ ამ სურათების გარეგანი სახე, ალბათ არც ისე მალე შეიცვლებოდა. მას სხვაგვარი ცხოვრება მოჰყვა: კერპთაყვანისმცემლობისა და ქრისტიანობის მსოფლმხედველობათა შორის დაიწყო ბრძოლა. ჩვენ არ ვიცით, რამდენად ჰარბობდა სპარსული სული ქართულ კერპთაყვანისმცემლობაში. ამიტომ დაგვჭირდება გამორკვევა იმისა, თუ რამდენად პატრიოტები იყვნენ პირველი ქრისტიანები, ან რამდენად ცდილობდნენ ისინი ქრისტიანობის შემწეობით თავიდან აეცილებინათ სპარსეთის

გავლენა. რაკი ქრისტიანულმა სწავლა-მოძღვრებამ, რომელიც წმ. ნინომ შემოიტანა საქართველოში, სწრაფად მოიკიდა ფეხი, ჩვენ შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ქართველები ახალ მოძღვრებაში სასურველ საშუალებას ხედავდნენ სპარსეთის გავლენის წინააღმდეგ საბრძოლველად.

მირიან მეფე, წმ. ნინო და ბევრი სხვა ქრისტესათვის თავდადებული ჩვენ მხოლოდ პოეტური ლეგენდების წყალობით წარმოგვიდგებიან, რეალურ სახეს მოკლებულნი. სარწმუნოებრივი რუდუნებითა და თავგანწირვით ცნობილ დედათა და მამათა მთელი რიგი იღვწოდა ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში და ალბათ სათავეში ედგნენ არა მარტო სარწმუნოებრივ მოძრაობას, არამედ საზოგადოებრივ ცხოვრებასაც, რამდენადაც კი შესაძლებელი იქნებოდა ამგვარი ცხოვრების არსებობა მაშინ. ჩვენ თითქოს წყვდიადში ვხედავთ იმ გამოჩენილ პირებს, რომლებიც შეიძლება ვერც კი გრძნობდნენ, თუ რა დიდ საქმეს აკეთებდნენ ქვეყნის მომავალი აღორძინებისათვის.

მათ შეუერთდნენ „ათცამეტი ასურელნი მამანი", ეს ძველი დროის მისიონერები, მწერლობისა და სარწმუნოების მომფენნი.

ახლა ის ვიკითხოთ, როგორი იყო ეს პირველი მონასტრები იმ დროს, როგორი იყო მის მკვიდრთა ცხოვრება? აქ მარტოოდენ წარმოდგენით შეგვიძლია დავუახლოვდეთ მაშინდელ სინამდვილეს. ჩვენს დროშიც შემორჩენილა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში ძველისძველი მონასტრები.

ვახტანგ გორგასლის შემდეგ მცხეთა, როგორც საქართველოს დედაქალაქი, გაუქმდა, მაგრამ რაკი საპატრიარქო ტაძარი აქ იყო, ქალაქს თავისი მნიშვნელობა კიდევ შერჩენიადაგ დულდა აქ საეკლესიო ცხოვრება, მუდამ მრავლად იყვნენ სამღვდელონი და ეკლესიის მსახურნი.

თუ გვინდა ნამდვილი წარმოდგენა ვიქონიოთ იმდროინდელი მდგომარეობის შესახებ ცეცხლმსახურების დამხობისა და ქრისტიანობის გამარჯვების შემდეგ, მხედველობაში უნდა მივიღოთ ზოგიერთი მეფისა და მათ გარშემო მყოფ პიროვნებათა სულიერი განწყობილება.

დავით აღმაშენებელი თავისი ცხოვრების უმეტეს ხანს

ომებს ანდომებდა, მაგრამ ამავე დროს „დაბადების“ კარგ მცოდნედ ითვლებოდა და ჯარს რომ მიმართავდა სიტყვით, იტყოდნენ — მქადაგებელი ლაპარაკობს და არა მეფეო. უნდა ვიფიქროთ, ქამთა ვითარებაში სარწმუნოება ხალხში მკვიდრად იკიდებდა ფეხს. დავითი დიდი მორწმუნე კაცი იყო, ხშირად კითხულობდა „დაბადებას“, დიდი ყურადღებით ეკიდებოდა თავისი ერის ზნეობას. ამასთანავე ცნობილია, რომ დავითი არ სდევნიდა მუსლიმანებსა და სომხებს. სხვათა სარწმუნოებისადმი პატივისცემით მოპყრობა იმთავითვე დაჰყვა ქართველებს.

ბიზანტიის ეკლესიის გავლენით, ალბათ მცხეთაც ითვისებდა გარეგნულ მშვენებას. პირვანდელი საეკლესიო სისადავის ნაცვლად აქ შემოჰქონდათ დიდი ცერემონიები. დღესასწაულებზე საქართველოს ყოველი მხრიდან აუარებელი ხალხი აწყდებოდა აქაურობას. თუმცა ისიც კია, რომ „ქართლის ცხოვრება“ არ გვეუბნება, რა სახის საეკლესიო სანახაობანი იმართებოდა აქ. საზოგადოდ, ჩვენ დაწვრილებით არ ვიცით, რა ამბები ხდებოდა საშუალო საუკუნეების საქართველოში.

მე-14 საუკუნეში თემურ-ლენგის ურდოები შემოესივნენ საქართველოს და მცხეთის ტაძარი დაანგრიეს. ადვილი წარმოსადგენია, რა საშინელება განიცადა მაშინ მცხეთამ, რამდენი სისხლი დაიღვარა აქ და რა ძალმომრეობის მსხვერპლი გახდა ხალხი. ათასობით ცხენის ფლოქვებმა გათელეს საქართველოს მიწა-წყალი. თემურ-ლენგის შემოსევამ იავარქმნა ქვეყანა. საკვირველია, რომ მცხეთის მკვიდრებს არ დაუტოვებიათ აღწერა ამ დარბევისა.

თემურ-ლენგის ურდოებს სპარსნი მოჰყვნენ. ისინი მცხეთაში სეტყვის ღრუბლების მსგავსად გამოჩნდებოდნენ ხოლმე. საერთოდ, სპარსთა ბატონობა ყველაზე საშინელი და ხანგრძლივი იყო, ამის მსგავსი საქართველოს ორი ათასი წლის განმავლობაში არაფერი უნახავს, მაგრამ საქართველომ გაუძლო ამ ბრძოლას და თავდაცვისა თუ წინააღმდეგობის საოცარი ძალა გამოიჩინა. მისი სასიცოცხლო ძალღონე კი არ ქრებოდა, არამედ ღვიოდა უცხოთა კირთების ქვეშ, ნაცარში გახვეული ცეცხლის მსგავსად.

საუკუნეები გადიოდა და მყუდროება მეფდებოდა მცხეთაში.

ძველებურადვე იდგა ტაძარი, სალოცავად ქამიდან ქამს მოდიოდა ხალხი საქართველოს შორეული კუთხეებიდან, რამდენიმე დღით ახმიანდებოდა მტკვრისა და არაგვის ნაპირები. ჩვენამდე მოღწეულ ქრონიკებში აღბეჭდილია რამდენიმე ასეთი ამბავი.

საკალალო და თან დამახასიათებელ სურათს გვიხატავს გორგიჯანიძე: 1646 წელს ბატონიშვილ ოტიას გადმოსვენებისას მთელმა ქართლმა მოიყარა თავი გორში. ყოველივე ის, რაც აქ და მერე მცხეთაში მომხდარა, შესაძლებლობას გვაძლევს წარმოვიდგინოთ მაშინდელი ზნე-ჩვეულება და ყოფაცხოვრება. გავითვალისწინოთ, რა პირობებში მიმდინარეობდა ყოველივე ეს, დრო, რომელშიაც ჯერ ისევ ჭარბობდა შუასაუკუნეობრიობა. წარმოვიდგინოთ ისიც, რა დიდებული და ამავე დროს რა მძიმე შთაბეჭდილების მომხდენი იქნებოდა მიცვალებული ბატონიშვილის დატირება, რომელიც თორმეტ დღეს გაგრძელებულა... მომქანცველი ცერემონიალისათვის გორს შეიკრიბნენ: მეფე, დედოფალი, მთელი სასახლე, თავადნი და აზნაურნი თავიანთი ცოლებით. ბატონიშვილი მცხეთაში დასაფლავეს და აქაც რამდენიმე დღეს გაგრძელდა ცერემონიალი. ამ აუარებელი ხალხის გასამასპინძლებლად ყოველდღიურად იხარშებოდა აუარება ხორცი, ცხვებოდა პური, თბილისიდან და გარშემო სოფლებიდან ურმებით ეზიდებოდნენ ღვინოს. დედოფალი და მისი ამალა ორმოც დღეს დარჩნენ მცხეთაში. ეს გლოვა ალბათ თავისებური რამ იყო და არაჩვეულებრივ სურათს წარმოადგენდა. გორგიჯანიძე ზერელედ აგვიწერს გლოვას, ამ სახით მან ვერ დასტოვა მნიშვნელოვანი მასალა ქართული კულტურის ისტორიისათვის.

ღვინობისთვის პირველს, მცხეთობასაც, ალბათ დიდძალი ხალხი იყრიდა თავს ყოველწლიურად. ოღონდ დასანანებელია, რატომ არავინ გამოჩნდა მათში ისეთი, ეს მრავალფეროვანი დღეობა და გართობა რომ აეწერა.

ათასში ერთხელ თუ ვისმე მოაგონდებოდა ამისი მსგავსი

რამის აღწერა. თეიმურაზ II-ის გვირგვინის კურთხევა მცხეთაში მოხდა 1745 წლის ღვინობისთვის პირველს. პაპუნა ორბელიანმა ამ ამბის საკმაოდ ვრცელი და მეტად საინტერესო აღწერა დაგვიტოვა. ეს გვირგვინის კურთხევა, შეიძლება, უკანასკნელიც იყო, როგორც ძველებური ქართული სანახაობა, რომლის მსგავსის მოწამეც მცხეთის ტაძრის კედლები არა ერთხელ ყოფილა. კურთხევა მოაწყო ანტონ კათალიკოსმა, რომელიც ძველ წიგნებში საგანგებოდ წინასწარ გაეცნო გვირგვინის კურთხევის ძველ წესს. ნახევრად გასპარსელებული და გამუსლიმანებული მეფეების შემდეგ თეიმურაზი პირველი ეროვნული მეფე იყო და ამიტომ ყველანი ცდილობდნენ მისი კურთხევისათვის ეროვნული ხასიათი მიეცათ. ზეიმი რომ უფრო ბრწყინვალე ყოფილიყო, თეიმურაზმა კახეთიდან დაიბარა თავისი ძე ერეკლე II შეუღლითურთ. ერეკლე თბილისში რომ მოვიდა, ყველანი — მეფენი და დედოფლები, ოთხი დროშისგან შემდგარი ლაშქარი და სამღვდელოება, აზნაურნი და მდაბიონი მცხეთისაკენ დაიძრენ. გვირგვინის კურთხევის ცერემონიალი გრძელი იყო, ყოველ წესს უკლებლივ ასრულებდნენ.

ამ ამბების შემდეგ მცხეთას აღარ უნახავს ძველი ქართული ცხოვრების ასეთი სურათი, ყოველივე თანდათან კარგავდა თავის ძველებურ ეროვნულ იერს.

მცხეთის ტაძარმა ყველა ეს ცვლილება განიცადა. იგი ახლაც დიდებულად დასცქერის თავს აქაურობას, როგორც საქართველოს ძველი დროების ძეგლი; მისი საფლავების მრავალი წარწერა მოგვაგონებს წარსული დროების მოღვაწეთა ამბებს.

ქართული კულტურის ისტორია დღემდე არ არის დამუშავებული. მხატვრობა ყველაზე ნაკლებ შეხებია ამ გამჭრალ დროებას, მაგრამ ის მდიდარ მასალას შეიცავს მეცნიერთა და მხატვრებისათვის. როცა დაიწერება ქართული კულტურის სისტემატური ისტორია და ჩამოყალიბდება ისტორიული მხატვრობა, ყველა დაინახავს, რამდენ ძვირფას მასალას შეიცავდა საქართველოს წარსული თავისებურ დიად ნაწარმოებისთვისაც.

XVIII საუკუნის საქართველო

ბევრსა ჰგონია, რომ XVIII საუკუნეში საქართველოს კულტურას შუასაუკუნეობრივი აზია კვებავდა. ეს არ არის მართალი, პირიქით, წინა აზიაში საქართველო იყო ერთადერთი ქვეყანა, რომელიც გაბედულად იბრძოდა ევროპული კულტურის გადმონერგვისათვის. მართალია, ამ გეზით მუშაობას აწარმოებდნენ სომხებიც, მაგრამ ეს ხდებოდა არა სომხეთში, არამედ კონსტანტინეპოლში და სხვა ევროპულ ქალაქებში, განსაკუთრებით, ვენეციაში, სადაც მხითარისტებმა ბევრი რამ გააკეთეს სომხური სიტყვიერებისა და სწავლა-განათლების აღორძინებისათვის.

ევროპულ კულტურას ქართველებსა და სომხებს შორის ავრცელებდნენ რომის ეკლესიის აგენტები: ბერი-მისიონერები, მაგრამ მათი რელიგიური გავლენა ქართველებზე ნაკლები იყო, ვიდრე სომხებზე. თავისთავად ცხადია, რომ საქართველოში კათოლიკე-მისიონერების გარდა სხვა ძალებიც მოქმედებდნენ ქვეყნის კულტურით დაწინაურებისათვის. ეს ძალები თვითონ ქართველები იყვნენ, რომლებიც დამოუკიდებლად ცდილობდნენ სამშობლოს გაევროპელებას. საქმე ისაა, რომ საქართველოს ტრადიციაც უწყობდა ხელს კულტურული მუშაობის წარმოებისათვის. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ შოთა რუსთაველმა დიდი შემოქმედებითი სული შთაბერა საუკუნეთა მთელ წყებას და ქართველების მოწინავე შვილებს სამუდამოდ გაუკაფა გზა ახალი და ახალი ჰორიზონტებისაკენ. „ვეფხისტყაოსანი“ მორალური, კულტურული და სულიერი იდეალებით გაცილებით მაღლა დგას მისი დროის აღმოსავლეთის საუკეთესო პოეტურ ნაწარმოებებზე. მისი ღირსება მარტო ის კი არ არის, რომ თანამედროვეებს მთელი სიღრმით ასახავს, არამედ ისიც, რომ შეუნელებლად მოუწოდებს განსრულების მაღალი მიზნისაკენ. ამ მხრივ რუსთაველის უკვდავ პოემას ბევრი მსგავსება აქვს მისი თანამედროვე გერმანელი პოეტის ვოლფრამ ფონ-ეშენბახის „პარციფალთან“. მხოლოდ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პოეტი შოთა რუსთაველი შეუდარებლად უფრო

თავისუფალ შემოქმედად გვევლინება, ვიდრე ეშენბახი, რომელსაც. თავი ვერ დაუღწევია რელიგიურ დოგმებისა და საეკლესიო სწავლა-მოძღვრებათა ხლართისაგან.

ეჭვს გარეშეა, რუსთაველი ღრმად რელიგიური იყო, მაგრამ არასოდეს იმოსებოდა რომელიმე სარწმუნოების სამოსელში. იგი ხშირად ახსენებს ღმერთს, მაგრამ განსაზღვრულ სარწმუნოებას არასოდეს. შოთა იყო დეისტი და ამით საუკუნეებს გაუსწრო.

შოთა რუსთაველზე ადრე ცხოვრობდა სპარსელი პოეტი ომარ ხაიამი, რომელმაც უარყო დოგმატური სარწმუნოება, მაგრამ საეჭვოა, რომ ამ პოეტის ნაწარმოებებს იცნობდა რუსთაველი: იმ დროს საქართველოსა და სპარსეთს შორის ძალიან გაიშვიათებული იყო გონებრივ-იდეური ურთიერთობა.

შოთა რუსთაველის გავლენა საქართველოში არასოდეს შესუსტებულა. თუ სამღვდელოებამ აკრძალა მისი პოემა და მავნედ აღიარა, არა იმიტომ, რომ ის უზნეო იყო, არამედ, ალბათ, იმიტომ, რომ პოემის თავისუფალი აზრები შეუწყნარებლად მიაჩნდა ეკლესიას. უნდა ვიფიქროთ რუსთაველზე აღზრდილ ქართველობას არასოდეს დაავიწყდებოდა „ვეფხისტყაოსნის“ იდეალები და მაღალი კულტურისაკენ მისწრაფებას ვერ ჩაკლავდა მის გულში საქართველოს ისტორიის ისეთი უსაშინელესი პერიოდიც კი, როგორიც იყო მონღოლთა ბატონობის ხანა. მართალია, განათლება საერთოდ დაეცა, მაგრამ მაინც იყვნენ ისეთი ბრწყინვალე პიროვნებები, რომლებიც იცავდნენ ერის ღირსებას.

XVII და XVIII საუკუნეთა გარდამავალი ხანა დიდმნიშვნელოვანია საქართველოს კულტურის ისტორიაში, ამ დროს ჩაეყარა საფუძველი საქართველოში ახალი ევროპული კულტურის დამყნობას. ამ საქმის პიონერები ევროპელი ბერები იყვნენ. მათი გავლენა მოწინავე ქართველებზე დიდი იყო. ამასთან, ფრიად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველების მოგზაურობას ევროპასა და რუსეთში.

რა მოჰქონდა ევროპასა და რუსეთს საქართველოსათვის? იტალიელი ბერები, უწინარეს ყოვლისა, იცავდნენ თავიანთი ეკლესიის ინტერესებს და ცდილობდნენ, რაც შეიძლება, მეტი მიმდევარი გაეჩინათ საქართველოში. ამას კიდევაც

ახერხებდნენ. ცნობილია, რომ საქართველოში ვახტანგ VI-ის დროს ზოგი გამოჩენილი ქართველი ფარულად თუ ცხადად კათოლიციზმს მიემხრო. იტალიელი მისიონერები განათლებული ადამიანები იყვნენ, ქართველები სწორედ მათგან ითვისებდნენ ევროპულ კულტურას და ეცნობოდნენ ევროპულ აზროვნებას. მართალია, ბერები ამ შემთხვევაში რომის ეკლესიის ინტერესებს არ ივიწყებდნენ, მაგრამ არა მგონია, რომ ქართველებს მათ სწავლა-პროპაგანდაში არ გაერჩიათ ნამდვილი და საღი ევროპეიზმი კლერიკალიზმისაგან.

რუსეთის სკოლებში ამ დროს სქოლასტიკა ბატონობდა, სწავლა-განათლების საქმე სამღვდელოების ხელში იყო. რასაკვირველია, რუსეთიდანაც მოჰქროდა კლერიკალიზმის სუნი, მას გავლენა ჰქონდა მხოლოდ სასულიერო წოდებაზე, რომელიც აქაც, როგორც რუსეთში, სწავლა-განათლების საქმეს განაგებდა.

მიუხედავად ამ გარემოებისა, აღსანიშნავია, რომ ბესიკის, სულხან ორბელიანის, გაიოზისა და სხვათა საქართველო სრულიად არ იყო კლერიკალური. თუმცა შემოქმედებითი ძალების გაშლისათვის არ იყო შესაფერისი პირობები, კრიტიკული აზროვნება ღვიოდა მაინც, დიდი იყო ცოდნისა და უმაღლესი კულტურისაკენ მისწრაფებაც.

ვახტანგ VI-ის, ანტონ კათალიკოსის, გაიოზისა და სხვა მოღვაწეთა ცხოვრება იმას ამტკიცებს, რომ საქართველო XVIII საუკუნეში დიდად ცდილობდა კულტურით დაწინაურებული ქვეყნებიდან საჭირო ცოდნა შეეძინა და გონებრივად გათანასწორებოდა მათ. ეჭვი არ არის, რომ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში აღმოსავლეთ საქართველოში ამ მხრივ დიდი მუშაობა წარმოებდა. სამწუხაროდ, ამ მუშაობას აბრკოლებდა განუწყვეტელი ომები, როგორც შინაური, ისე გარეშე—თურქების, სპარსელების და ლეკების წინააღმდეგ. ამ შფოთს ერის საუკეთესო ინტელექტუალური ძალები ეწირებოდა. ეს არის მიზეზი, რომ მწერლებს იმ დროს მძიმე ნაღვლიანობა ახასიათებთ. არავინ იცოდა, რას მოიტანდა ხვალინდელი დღე — ანარქიასა და უიმედობას დასასრული არ უჩანდა.

ამ დროს ახალ ევროპულ მსოფლმხედველობასაც არ ჰქონდა მკვიდრი ნიადაგი მოპოვებული ქართველთა შორის, მას ძველი ტრადიციული, აზიური მიმართულება სდევნიდა. ამ ნიადაგზე აღმოცენდა ხასიათისა და სულისკვეთების ის თავისებურება, რომელიც დამახასიათებელია ხსენებული ეპოქისათვის.

ზაქარია გაბაშვილი, ბესიკი, კათალიკოსი ანტონი, გაიოზი, დავით გურამიშვილი—აი, ნამდვილი სახეები მაშინდელი დროებისა. კათალიკოსი ანტონი—ბერად აღკვეცილი ბატონიშვილი, როგორც პატრიარქი ბევრს იღვწის სწავლა-განათლებისათვის, მაგრამ ღალატობს ორთოდოქსალობას და კათოლიციზმის გავლენას განიცდის. აქ ადგილი აქვს ზემოაღნიშნული გარემოების ტიპიურ მოვლენას. ანტონ კათალიკოსში იბრძოდა ორი ორიენტაცია: ევროპული და აზიური.

შესანიშნავი პედაგოგი გაიოზი თავს ანებებს საყვარელ საქმეს, სტოვებს სამშობლოს და რუსეთისაკენ ილტვის. რატომ? აი, დავით გურამიშვილიც: განა მას არ შეეძლო სამშობლოში დაბრუნება მოზდოკიდან თუგინდ მერე, უფრო მოგვიანებით? მაგრამ არა! არ უნდოდა დაბრუნებოდა სათაყვანებელ სამშობლოს და უცხოეთში დალია სული. აქაც გაორებაა, გაურკვევლობა.

ასეთები იყვნენ თითქმის ყველა მაშინდელი გამოჩენილი ქართველნი. მათ შექმნეს XVIII საუკუნის საქართველოს თავისებური სული. იგი გამოიხატა ხასიათისა და ნებისყოფის გაორებაში და გაურკვევლობაში, ორი კულტურული ორიენტაციისათვის ბრძოლაში. მაგრამ საერთო და მთავარ ხაზად მაინც რჩება გაუნელებელი სურვილი მაღალი კულტურის გაზიარებისა, წყურვილი სამშობლოს აღორძინებისა ევროპეიზაციის გზით.

ქართველთა ცხოვრება XVIII საუკუნეში

მეთვრამეტე საუკუნეს დიდი ადგილი უკავია ქართველი ერის ისტორიაში. ამ დროს მრავალმა ისეთმა მოვლენამ იჩინა თავი, რომელშიაც წინა საუკუნეებზე უფრო მეტი სიძლი-

ერით მეღავნდება ქართველი ერის მრავალფეროვანი და ცხოველი ძალა: ფიზიკური, ზნეობრივი და გონებრივი ხასიათისა. ამათგან პირველი და უკანასკნელი იმ დროის ქართველთა სასარგებლოდ ღაღადებენ; ხოლო რაც შეეხება ზნეობრივს, მას დაქვეითების კვალი ემჩნევა. თუმცა უწინდელი გულადობა და მეომრული სული ამ დროის ქართველებში კვლავ მეტი სიძლიერით იჩენდა თავს.

ძნელია იმის გაგება, რამ გამოიწვია ეს მოვლენები — გარეშე ზემოქმედებამ თუ შიდა ეროვნულმა მოძრაობამ. იქნება ეს იყო ბუნებრივი დასკვნა-დასასრული ქართველი ერის მოწინავე ნაწილის კულტურული ცხოვრებისა. ისტორიული ბედი, რომელიც საქართველოს არგუნა მაჰმადიანური სამყაროს დაუცხრომელმა მოძალადეობამ, ყველაზე უფრო მეტად აიძულებდა ქართველ ერს გადახრილიყო ახალი ორგანიზაციისაკენ, ახალი ცხოვრებისაკენ, აზიური უმოძრაობიდან ახალი ევროპული ცივილიზაციისა და პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრებისაკენ. ამ მოძრაობას ხელს უწყობდა აგრეთვე ზნეობრივი მიდრეკილება იმ ცალკეული პირებისა, რომლებიც გარდა გარეშე ძალდატანებისა, თვით ერის განვითარების შინაგანი აუცილებლობის კარნახით მიისწრაფოდნენ გარდაქმნისაკენ. ამ თვითმოქმედი პროგრესისა და კულტურის მოღვაწეთა ზურგს უკან იდგა მამულიშვილთა წრე, რომელიც ერთგულად და სრული ნდობით მიჰყვებოდა მათ, როგორც თავის მოძღვრებს. ამასთან, მეთვრამეტე საუკუნეში ვხვდებით ისეთ მოღვაწეებსაც, რომელთა მოქმედება არ არის ერთსულოვანი. ეს დამახასიათებელია გარდამავალი ეპოქისათვის. ამის გამო მოძრაობა კულტურული აღორძინებისაკენ არ იყო თანაზომიერი, ხშირად იგი წყდებოდა და მიმართულებას იცვლიდა. ამგვარი მრავალფეროვანი მისწრაფების დროს, სხვადასხვა აჯანყებებისა და შეთქმულებების მიზნებისა და აზრის გამოკვლევით, ძნელია მეთვრამეტე საუკუნის საქართველოს ერთიანი, სრული სურათის აღდგენა. მოქმედებათა ძირითად ხაზებისა და მთავარ მოღვაწეთა დახასიათებით თუ შევძლებთ ამ ეპოქის სულისა და შინაარსის რამდენადმე გაშუქებას... სპარსეთის გავლენისაგან თავის დახსნის ცდას, სათავე ჯერ კიდევ წინა

საუკუნის მეორე ნახევარში ჰქონდა. თეიმურაზ პირველი, იოსებ თბილელი, არჩილი და პაშო ბერთაძეების მსგავსი ადამიანები თავის თხზულებებში არ მალავდნენ სპარსელ მტარვალთა მიმართ მტრულ დამოკიდებულებას. ისინი შაჰებისა და მათი ნაცვლების მფლობელობაში მყოფ ქართველთა ტანჯული ცხოვრების ამბავს ღაღადებდნენ და ამით ცდილობდნენ თანამემამულეთა გულში სამშობლოს სიყვარული გაეღვიძებინათ. თეიმურაზ პირველს სხვაზე უფრო მეტი მიზეზი ჰქონდა სპარსელთა სიძულვილისა, თუმცა, მგონი, ახალგაზრდობაში იგი სპარსულ ლიტერატურასა და კულტურას სიყვარულით ეპყრობოდა, ისპაჰანში დროებითი ცხოვრების დროს. შაჰის კარზე მას შეეძლო აღტაცებულიყო სასახლეების, მეჩეთებისა და სხვა შენობების სიმდიდრითა და მშვენებით, საუცხოო წალკოტებით, ძვირფასი სამკაულებითა და იმ დროის სპარსეთის სატახტო ქალაქის მცხოვრებთა ქეიფითა და ფუფუნებით, მაგრამ აღმოსავლურმა ბრეჟყვიალებამ დიდხანს ვერ აუბა თვალი თეიმურაზს. მან მალე იწვნია შაჰის უხეში ძალმომრეობა, რომლის მსხვერპლი შეიქნა მისი დედა—დედოფალი ქეთევანი. დედოფლის წამება ისპაჰანში ერთი თვალსაჩინო მოვლენათაგანი იყო მეჩვიდმეტე საუკუნეში. ამ ამბავმა გამოიწვია სპარსელებისადმი ქართველების მწვავე სიძულვილი. შაჰ-აბას პირველი, რომელმაც ბევრი რამ გააკეთა ირანის ცივილიზებისათვის, ქართველებს ბოროტ სულად მოევლინა ისევე, როგორც შემდეგ საუკუნეში ნადირ-შაჰი და აღა-მაჰმად-ხანი.

თეიმურაზის გავლენა ცხოვრების ახალ მიმართულებაზე თითქმის უმნიშვნელო იყო. მას განსაკუთრებული სიყვარული და მისწრაფება ჰქონდა ბერძნული კულტურისადმი. ეს თავის მხრივ გავლენას ახდენდა იმ პირებზე, რომლებიც განათლებისაკენ მიისწრაფოდნენ. არც თეიმურაზი, არც იოსებ თბილელი და არჩილი ნამდვილად აქტიურად მოქმედი მოღვაწენი არ ყოფილან. ისინი უფრო მწიგნობრობას მისდევდნენ. თუმცა ესეც მნიშვნელოვანი რამ იყო მაშინ... არჩილი და თბილელი თავის თხზულებებში სინამდვილეს ასახავ-

დნენ, ისინი არ დარიდებიან სპარსელთა დევნის გამოაშკარავებას.

ამ დროს მაჰმადიანთა ბატონობის დაღი ემჩნეოდა არა მარტო პოლიტიკურ ცხოვრებას, არამედ ქართველთა ზნე-ჩვეულებას, მის საზოგადოებრივსა და კერძო ცხოვრებას და ბოლოს თვით ეროვნულ თვითშეგნებასაც. საქართველო მაჰმადიანურ სამყაროში მომწყვდეული პატარა კუნძული იყო, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ აზიის მიჯნაზე მდებარეობდა, თავისი სულით, ზნე-ჩვეულებითა და სარწმუნოებით მაინც მკაფიოდ გამოირჩეოდა. სარწმუნოებრივი დაპირისპირების მიუხედავად, ქართველები ამ საქმეში ყოველთვის განსხვავდებოდენ სამაგალითო შემწყნარებლობით. სარწმუნოებრივი დევნა მათგან თითქმის არავის განუცდია. გულგაშლილობა, სხვისი ჩვეულებისა და რწმენის პატივისცემა ყოველთვის იყო ქართველთა თვისება. ამას მოკლებული იყვნენ სპარსელები, არაბები და ოსმალოები, რის გამოც ქართველ ერს საუკუნეების განმავლობაში უხდებოდა განუწყვეტელი ბრძოლა და დაცვა თავისი მეობისა...

ზოგიერთ პერიოდში — სპარსელთა მფლობელობის გაძლიერების დროს, ქართული სიტყვიერება სპარსულის გავლენას განიცდიდა... რაც შეეხება თვით ქართულ ორიგინალურ ლიტერატურას, XVII საუკუნის შუა ხანამდე მასაც სპარსული დაღი ემჩნეოდა. ეს გასაგები და ბუნებრივიც იქნება, თუ მხედველობაში მივიღებთ სპარსელთა ძლიერსა და ხანგრძლივ მფლობელობას. მაგრამ, ამასთან ერთად, უფრო ძნელად გასაგები და გასაოცარია ეროვნული აზროვნებისა და შეგნების ის ძალა, რომელმაც მიუხედავად ასწლოვანი უღლისა, შთამომავლობას. ქართული ლიტერატურის სული, ქართული ენა და ეროვნული თვითშეგნება შემოუნახა. თუმცა ეს ეროვნული თვითშეგნება ხშირად ირყეოდა და ილეწებოდა ქართული ციხე-კოშკების მსგავსად, მაგრამ ის არ გამქრალა და კვლავ მტკიცდებოდა.

ჩემი აზრით, ზნეობრივ და სულიერ საუნჯეთა შენარჩუნების უმთავრესი საფუძველი რუსთაველის პოემამ შექმნა. მასში ვპოულობთ ეროვნულ თვითშეგნებაზე აღმოცენებულ იმ ზნეობრივ პრინციპებს, რომლებითაც ხელმძღვანელობ-

ლნენ ქართველი მშობლები საუკუნეების განმავლობაში შთამომავლობის აღზრდისას. ვერავინ შესძლებს იმის უარყოფას, რომ „ვეფხისტყაოსანი“ თავისი სულით, მსოფლმხედველობით, ზნეობრივი პრინციპებითა და შეხედულებებით ქართული ქმნილება იყოს. ამიტომ გასაგებიც არის ის ადგილი, რომელიც მან მოიპოვა ქართველთა ცხოვრებაში.

ბევრი რამ იყო საქართველოს წარსულში ისეთი, რომლის ნიშანწყალიც კი არ დარჩენილა შემდეგდროინდელ ქართველებში. ეს იყო ამ ქვეყნის ცხოვრების ის პერიოდები, როდესაც ჩინგის-ხანის, თემურის და სხვა დამპყრობთაგან ფეხით გათელილს და ნანგრევებად ქცეულ ქვეყანას ნელ-ნელა და გაჭირვებით ააღლებდა კვლავ ქართველი. ამ ბურუსითა და ბნელით მოცულ დღეებში ნაწილობრივ მაინც გადარჩა გონებისა და ზნეობის მიერ მოპოვებული საუნჯე. ეროვნული კულტურის სხივი არ გამქრალა მთლიანად თვით უკიდურესი არეულობის დროსაც. ამ შემთხვევისათვის მეტად საგულისხმო საბუთი დაგვიტოვა კახამ. მან 1258 წელს ხოვლეს მამული იყიდა და შემდეგ რკონის მონასტერს შესწირა. კახას გუჯრიდან ჩანს, რომ იგი მოხერხებული მეურნე და კაცთმოყვარე ადამიანი ყოფილა. კახა მონასტრის წინამძღვარს სთხოვდა, მხნედ მოევლო მამულისათვის, მოსავლის ერთი ნაწილი ყოველთვის გადაენახა ცალკე ბეღელში მოუსავლიანი წლისათვის, ლმობიერად მოქცეოდა გლეხკაცებსა და არ შეეივწროებინა ისინი. მისი ზნეობრივი პრინციპები რუსთაველის შეხედულებებს მოგვაგონებენ.

მიუხედავად მონღოლთა შემოსევის დროინდელი პიროებისა, ცხადად ჩანს, რომ კახა მშობლების მიერ კარგად ზრდილი და კულტურული ადამიანი ყოფილა. ასეთი თვისების ადამიანები შემდეგ თაობებშიაც გვხვდებიან. ისინი შთამომავლობას მემკვიდრეობით კულტურას გადასცემდნენ.

ქართული კულტურა ძლიერ ზარალდებოდა მაჰმადიანური ერების ზეგავლენით, სპარსელების—აღმოსავლეთ საქართველოში და ოსმალოების — დასავლეთ საქართველოსა და საათაბაგოში. ქვეყანას სწორედ მაშინ მოევლინა ისეთი მწერლები, როგორიც იყვნენ: თეიმურაზ პირველი, თბილელი, პაშო ბერთაძე და არჩილი. მაგრამ ქართველთა ცხოვრებისა

და კულტურის დაცემა არა მარტო სპარსეთ-ოსმალოების შემოსევების, არამედ თვით საქართველოს ძეთა ერთმანეთში გაუთავებელი დავის შედეგი იყო. XV საუკუნეში საქართველოს ერთ ძლიერ სახელმწიფოდან სამი სამეფო და ხუთი სამთავრო გამოიჭრა, რომლებიც გაუთავებელ ბრძოლას აწარმოებდნენ ერთმანეთში. გარდა სამი მეფისა, ამ საქმეს ხუთი მთავარი, ძლიერი ფეოდალები, ერისთავები და ამილახვრები ეწეოდნენ. შემდგომ მდგომარეობა უფრო გართულდა, საქართველოს აღარა ჰყავდა მტკიცე ნების ხელისუფალი, რომელიც შესძლებდა შინაური ცეცხლის ჩაქრობას.

XVIII საუკუნის დამდეგს, 1703 წელს, შაჰმა ქართლის მმართველად ვახტანგ VI დანიშნა. იგი სპარსელებისათვის ოფიციალურად ჰუსეინ-ყული-ხანის სახელს ატარებდა. ვახტანგი იყო ჩინებული ადმინისტრატორი, კულტურის გატაცებული მოტრფიალე, მწიგნობარი. მაგრამ არ ყოფილა არც ჯარის სარდალი და არც სახელმწიფოს ისეთი მმართველი, როგორიც ეჭირვებოდა მაშინდელ საქართველოს...

ვახტანგ მეექვსის ცვალებადი ბედი ცხადად მეტყველებს, რომ საქართველოში იგი მხოლოდ და მხოლოდ შაჰის ხელქვეითი და მისი მოადგილის თანამდებობის ამსრულებელი იყო, თავისი ეპოქის სხვა ქართველი მეფეების მსგავსად განიცდიდა სპარსეთის თვითმპყრობელობის გავლენას. მან ისლამიც კი მიიღო. თავისი არამტკიცე მდგომარეობის გამო, ვახტანგი უძლური იყო საქართველოს მართვის საქმეში. მან ვერ შესძლო ქვეყნის ნივთიერი მდგომარეობის გამოსწორება. მიუხედავად ამისა, ვახტანგი გულით ქართველი და კულტურული ადამიანი იყო. იგი შეეცადა ისეთ საქმეებს მოჰკიდებოდა, რომელზედაც მისი .წინამორბედი გვირგვინოსნები არც კი დაფიქრებულან. ვახტანგ VI მიერ ქართული სტამბის დაარსება, კანონთა კრებულის დამუშავება და ქართული ქრონიკების შეგროვება უდიდესი საქმე იყო მაშინ. დაბეჭდილი წიგნების გამოცემას დიდი გავლენა უნდა ჰქონოდა გონებრივ ცხოვრებაზე, რომელიც XVIII საუკუნის დამდეგს ძალიან იყო მიყუჩებული. ადვილად გასაგებია, რა დიდი სიამოვნება უნდა განეცადათ სიტყვიერებისა და

პოეზიის მოყვარულებს, როცა დაბეჭდილი „ვეფხისტყაოსანი“ იხილეს, ანდა ჩვეულებრივი კანონების მაგიერ სისტემატიზებული და განმარტებული კანონთა კრებული, რომელიც, ვგონებ, არც ერთმა მოსამართლემ არ იცოდა ზეპირად.

ამ ახალმა საქმეებმა ახალ ცხოვრებას ჩაუყარა საფუძველი. ამიტომ ვახტანგ მეექვსე მართლაც ღირსია რეფორმატორის სახელწოდებისა. ვახტანგი, ისევე როგორც ანტონ კათალიკოსი, იყო კულტურის აღმავლობისა და რეფორმატორული სულის ეპოქის ადამიანი. მაგრამ ეს ქართული კულტურის მოღვაწე, მეფე და საქართველოს განმაახლებელი თავისი საუკუნის შვილი იყო იმითაც, რომ თუმცა ხანგრძლივი იმედი არ ჰქონდა, მაინც არ ესწრაფოდა დროს და ცხოვრებით ტკბობის გატაცებასაც არ დარიდებია.

სეხნია ჩხეიძის მიხედვით, ვახტანგის ცხოვრება ასე წარმოგვიდგება:

ვახტანგი ბედნიერად ცხოვრობდა, გულდინჯად განაგებდა სახელმწიფო საქმეებსა და ადგენდა თავის კანონთა კრებულს. ოთხშაბათობით და პარასკეობით ის ასამართლებდა. სამართლიანი იყო, როგორც მცირეთა, ისე დიდებულთა მიმართ. კვირაობითა და სამშაბათობით იყო დღე ქეიფისა და დროს ტარების. სასამართლოში სხდომებისა და დროს ტარების მერე სანადიროდ დადიოდა, ბურთს თამაშობდა, მიზანში სროლას ვარჯიშობდა და ამგვარად გაატარა თავისი სიცოცხლეო.

სხვათა შორის, ჩხეიძე მის ნადირობას ასე აღწერს:

ამ დროს მონაწილეობას იღებდა თურმე დიდძალი თავადაზნაურობა. რაკი სამოცამდე ირემს დახოცავდნენ, თევზის ჭერასაც მიაყოლებდნენ, რის შემდეგაც საწყლებს მრავალი ორაგულები ურიგდებოდათო.

იმ დროს, როდესაც ღარიბების მფარველობას და ქველმოქმედებას საგანგებო ორგანიზაციები არ ჰქონდა, მის მაგიერობას უხვი ხელგაშლილობა ეწეოდა. ჩხეიძე დიდი ქებით იხსენებს ვახტანგ მეექვსის ქველმოქმედებას.

საერთოდ, ვახტანგი მაინც დატვირთული იყო საზრუნავი საქმეებით. სხვა საალმშენებლო საქმეებთან ერთად მას ორი სარწყავი არხი გაუყვანია ზემო ქართლში.

XVIII საუკუნის საქართველო არ იცნობდა დასავლეთ ევროპაში შემოღებულ გასართობებს: თეატრს, კონცერტს, მეჯლისებს და სხვ. სამაგიეროდ, მას ნადიმობა და სხვა სახის გართობანი ჰქონდა წესად. დროსტარების სხვადასხვა წესთა შორის განსაკუთრებული ადგილი ეკავა ნადიმობასა და მოლხენას თარით, ჩონგურით, საზანდრითა და ცეკვა-სიმღერით. საზოგადოებრივი ცხოვრება დღევანდელი სახით ჯერ კიდევ უცხო იყო. თუმცა მაშინდელ ნადირობაში, ქორწილსა და ნადიმში რამდენიმე ასეული ადამიანი იღებდა მონაწილეობას. მთელ საქართველოში ჯერ კიდევ არ იყო განმტკიცებული ქალაქური ცივილიზაცია. თბილისის გარდა ნამდვილი ქალაქი არსად იყო. გორი, ქუთაისი, თელავი და სიღნაღი დიდი სოფლები იყო. ამგვარი ყოფის შესაფერისად მაშინდელი დროსტარება შინაური, არაოფიციალური ხასიათისა იყო და განისაზღვრებოდა სტუმართმოყვარეობის საზოგადო წესით. ამ მხრივ, ალბათ, ორი უკანასკნელი საუკუნის განმავლობაში ცხოვრება ძლიერ არ შეცვლილა. სამაგიეროდ, ქვეყნის ეკონომიური განვითარება უფრო სწრაფად იცვლებოდა. ამას მიჰყვებოდა მცხოვრებთა ზნეობრივი ცვლილებებიც.

ლეკიანობა და სპარსთა ხშირი შემოსევა, ამასთან, ველური ბახტიარების, ავღანელებისა და სხვათა თავდასხმები, სპარსელების მიერ ველური წესებით აკრეფილი არბაბი და ტყვეების წასხმა ანადგურებდა და ანგრევდა საქართველოს ეკონომიურ ცხოვრებას და ქართველთა ოჯახურ მყუდროებას. ყველა უბედურებათა შორის, რასაც საქართველო განიცდიდა საუკუნეთა მანძილზე, ყველაზე უმძიმესი ტყვეთა წასხმა იყო. ტყვეები უმეტეს შემთხვევაში სპარსეთის შორეულ პროვინციებში მიჰყავდათ. ხშირად მაშინდელ სპარსეთის სატახტო ქალაქ ისპაჰანამდე. ეს მოგზაურობა ისეთ მძიმე პირობებში ხდებოდა, რომ კაცი მას ახლა ადვილად ვერ წარმოიდგენს. ტყვე მძევალთა შორის ქალებიც იყვნენ, დედები და შვილები, თუმცა ტყვეთა რიცხვი მომეტებულად უფრო კაცებისაგან შედგებოდა. წარმოიდგინეთ ეს გულსაკლავი სურათი, როცა სპარსელი მოხელეების ბრძანებით ეს უბედურები თავის სახლიდან მიჰყავდათ; როგორი ყვირილი

და გმინვა იდგა, რამდენი მწარე ცრემლი იღვრებოდა, როცა დედა უკანასკნელად ეზვეოდა თავის ქალს ან ვაჟს, ქმარი— ცოლს, მამა — შვილს! ადვილად წარმოსადგენია, როგორ ეპყრობოდნენ ამ უბედურებს მხეცადქცეული ჯარისკაცები! ტყვეები მომეტებულ შემთხვევაში ფეხით მიჰყავდათ, განსაკუთრებულ შემთხვევაში კი ცხენით ან ურმით. ეს სატანჯველი მოგზაურობა თვეობით გრძელდებოდა, მთითა და ბარით, სპარსეთის უღელტეხილებზე. დღისით საშინელი სიცხე იდგა, ღამეს კი თითქმის ფარღალალა ქარვასლებში ატარებდნენ. მხოლოდ საჰხრეთთან მიახლოების დროს გზაზე შაჰაბას პირველის მიერ აშენებული ქარვასლები ხვდებოდათ... ეს გახლდათ ის დრო, როდესაც სპარსული კულტურა დაცემული იყო სრულიად... მისი ზეგავლენა გამხრწნელად მოქმედებდა ქართველებზე და აფერხებდა ეროვნული ცხოვრების აღორძინებას. ბევრი სპარსული ენის მცოდნე ქართველი გავლენიანი სპარსელის გულის მოსაგებად მათ ჩვეულებასა და, როგორც ცნობილია, ისლამსაც კი იღებდა. მიუხედავად ამისა, სპარსული კულტურის ზეგავლენა მხოლოდ ცხოვრების ზედაპირზე ვლინდებოდა. 1672 წელს თბილისი ფრანგმა მოგზაურმა მოინახულა. ამ დროს ქალაქში ქალები ჩადრს ატარებდნენ და კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდნენ. მისივე მოწმობით, ეს ჩვეულებები მხოლოდ თბილისში ყოფილა გავრცელებული, სოფელში კი ქალები მას არ მისდევდნენ. ცნობილია აგრეთვე, რომ სპარსულმა გავლენამ ღრმად გაიდგა ფესვები საქართველოს ადმინისტრაციულ ცხოვრებაში. მაგრამ იმ დროს სპარსეთი შინაური უთანხმოებით დაუძლურდა, საქართველო დროგამოშვებით სულს იბრუნებდა და მაშინ მაჰმადიანური კულტურის ზეგავლენაც ძლიერ უფერულდებოდა. ამასთან ერთად სრული რწმენით უნდა ითქვას, რომ სპარსული კულტურის, ენის და ზნე-ჩვეულებების გავლენა არასოდეს არ გასცილებია მაინც ერთგვარ საზღვარს, მან ვერასოდეს ვერ შესძლო აღმოეფხვრა საკუთარი ქართული ეროვნული კულტურა. მხოლოდ მისი ნაწილობრივი დამახინჯება მოახერხა, რასაც, სხვათა შორის, ვახუშტიც აღნიშნავდა.

საქართველოში მეორეგვარი ზეგავლენა სამხრეთ-დასავლე-

თიდან მომდინარეობდა. ოსმალეთის ზეგავლენა აღმოსავლეთ საქართველომდე ვერ აღწევდა, მისი ძალა თვით იმერეთსა და სამეგრელოზედაც კი სუსტი იყო. ოსმალეთის გავლენა ძლიერი და მეტად მავნე იყო ძველ მესხეთში — საათაბაგოში, სადაც უწინ ქართული ცხოვრება ჰყვაოდა. უკანასკნელი ქართველი ათაბაგის სიკვდილამდე ამ მხარეში ჯერ კიდევ ბოგინებდა ქართული სული, მაგრამ 1635 წლის შემდეგ, როცა ოსმალეთის ფაშები საქართველოს მმართველები გახდნენ, ნელ-ნელა გაქრა ამ მხარეში ქართული ენა, რაც იოლად შესასწავლმა ოსმალურმა შესცვალა. ოსმალეთის ზეგავლენა თვით XVIII საუკუნეშიაც არ გასცილებია მესხეთს, მაგრამ როგორც ოსმალეთის, ისე სპარსეთის მხრიდან შემოსევები უფრო გახშირდა და არ შეწყვეტილა მთელი ამ საუკუნის განმავლობაში. ამ დროს საქართველო-სპარსეთის საქმეებში ჰეტრე დიდი ჩაერია, რამაც შესამჩნევად გაამწვავა სპარსეთის მძულვარება ქართველებისადმი. მისი გაშმაგებული მტრობა საქართველოს მიმართ მთელი XVIII საუკუნის მანძილზე უმთავრესად რუსეთსა და საქართველოს დაახლოებით აიხსნება. სპარსეთ-ოსმალეთის ექსპანსიის გაძლიერებამ აუცილებლად დააჩქარა საქართველოს პოლიტიკური ნგრევა სწორედ იმ დროს, როდესაც ვახტანგ VI-დან დაწყებული, პოლიტიკურ მოღვაწეთა მთელი რიგი ქართული კულტურის და საზოგადოებრივი ცხოვრების გაუმჯობესებისათვის იღვწოდა.

თუმცა ქართველობა ჯერ კიდევ შორს იყო ევროპული ცხოვრების სინამდვილისაგან, მაგრამ საქართველო უკვე მაშინვე განიშჯვალა დასავლეთის ქვეყნების ცხოვრებისადმი ინტერესით. იტალიელ ბერებთან ურთიერთობას ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ეს უკანასკნელები აცნობდნენ ქართველებს ევროპელი ხალხების ცხოვრებას, მათ ზნე-ჩვეულებას, კულტურასა და მეცნიერებას. ქართველთა ცოდნისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბერების მიერ დაარსებულ სკოლებსაც. ყველაფერი ეს დასაწყისი იყო იმ წრის ადამიანების წამოწევისათვის, რომლებიც არა მარტო დაეწაფნენ ევროპულ კულტურას, არამედ საკუთარი მშობლიური კულტურის

აღორძინების საქმეს შეუდგნენ. თუმცა ამ ადამიანებს არც ლიტერატურასა და არც მეცნიერებაში თავი ჯერ კიდევ არ გამოეჩინათ, მაგრამ ისინი საკუთარი შეგნებით საზოგადოებაზე გავლენას ახდენდნენ მაინც. ნამდვილი მოღვაწეები მათ შორის ნელ-ნელა გამოჩნდნენ, უფრო გვიან კი მათი რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა.

ზემოთ თქმულთან ერთად საჭიროა ვიცოდეთ, რა კულტურული მემკვიდრეობა გადაარჩინა და გადმოიტანა აღმოსავლეთ საქართველომ XVII საუკუნიდან XVIII საუკუნეში. საქართველოს ეს ნაწილი მტრისაგან განუწყვეტლად ინგრეოდა. მის შვილებს მამა-პაპისაგან აშენებულის ხელმეორედ აშენება უხდებოდათ. ადამიანისაგან აშენებულს არაფერს არ ჰქონდა დიდი დღე; არამც თუ ქალაქები, სოფლებიც ხშირად იცვლიდნენ როგორც გარეგან, ისე შინაგან სახეს.

1671 წელს ფრანგი მოგზაური, ძვირფასი ქვებით მოვაჭრე შ ა რ დ ე ნ ი ჩამოვიდა თბილისში. აქ მან იხილა ლამაზი შენობები, მშვენიერი ბაღები, რამდენიმე დიდებული სასახლე, სუფთა ბაზრები და 21 ეკლესია. მისი თქმით, თბილისის მცხოვრებლები კარგად ყოფილან ჩაცმულნი და, საზოგადოდ, კარგად უცხოვრიათ. ამის შემდეგ კი საქართველო ვერ ცხოვრობდა მოსვენებულად. გიორგი XI და ერეკლე I შემდეგ. ერთი მხრივ, კახეთს სპარსელები ავიწროებდნენ, მეორე მხრივ, ქართველები ებრძოდნენ ერთმანეთს ფეოდალების წინამძღოლობით. ამ საქმეში განსაკუთრებული მოთავე არაგვის ერისთავი იყო. პირველობის სიყვარულმა, დოვლათის შეძენის დახარბებამ ბევრი ქართველი ჩაითრია საქართველოს მნგრეველთა რიგებში. სპარსეთის მფლობელობამ და მისი მოხელეების მმართველობამ ძლიერ შეარყია ქართველთა ზნეობა. ამან, სხვათა შორის, ავანტიურისტთა განსაკუთრებული ტიპებიც შეჰქმნა. ეს უკანასკნელნი დიდ როლს თამაშობდნენ XVII საუკუნის საქართველოში და მთელი XVIII საუკუნის მანძილზე არ მოშორებიან მისი ცხოვრების ასპარეზს.

ბევრმა ქართველმა ახალგაზრდობა სპარსეთის ტყვეობაში, ხანების ოჯახების წევრთა ამალაში და დიპლომატიურ მი-

სიაში გაატარა. ჩვეულებრივ, ისინი სპარსეთის მაშინდელ სატახტო ქალაქ ისპაჰანში მოდიოდნენ. აქ XVII საუკუნეში დიდი ფუფუნება, გარყვნილება და დარდიმანდული ცხოვრება იყო გამეფებული... უმეტესი ნაწილი იმ ქართველი ახალგაზრდებისა, რომლებიც ბედმა მზის, პოეზიისა და ფუფუნების სამეფოში წაიყვანა, ადვილად ეძლეოდა ასეთ ცხოვრებას და ნელ-ნელა შემთხვევათა მაძიებლად იქცეოდა. საქართველოდან დიდი ხნით დაშორება მათ სამშობლოს სიყვარულს უკარგავდა და დროებით ტკბობისა და მეოცნებე ცხოვრებას აჩვევდა. სამშობლოში დაბრუნებისას, უცხო გარემოებაში ცხოვრების მაღალი მიზნებისაკენ ლტოლვას გადაჩვეულნი, ისინი სიხარულით უერთდებოდნენ სპარსეთის შაჰის მფარველობისა და მოწყალების მაძიებლებს ან რომელიმე ბატონიშვილს, რომელიც სხვას ქართლის, კახეთის ან იმერეთის ტახტს ედავებოდა. ამ მფლობელობის მაძიებელთა უმრავლესობისათვის სამშობლოს სიყვარული უმნიშვნელო რამ გამხდარიყო. ბევრი მათგანი ნამდვილ მოხეტიალე ცხოვრებას ეწეოდა — უმიწაწყლოდ, უმიზნოდ და უმეგობროდ. სწორედ ამ დროს წარმოიშვა საქართველოში მრავალრიცხოვანი მოხეტიალე ადამიანის თაობა, რომლებიც დიდი ამალების სახით უმიზნოთ და უაზროდ აყრილიყვნენ და საქართველოს სხვადასხვა კუთხესა და სპარსეთში ატორღიალებოდნენ თავიანთ წინამძღვრებს. როცა განსაცდელის შემდეგ მოტყუებულები რჩებოდნენ, მაშინ რუსეთისაკენ გასწევდნენ ხოლმე და აქ ქართველ ემიგრანტების რიცხვს ამრავლებდნენ. ეს ახალგაზრდა თუ ხნიერი, რომელიც თავის ბედ-იღბალს ამ ტახტისა თუ ბატონობის მაძიებელს აბარებდა, სამუდამოდ ისპობდა სამშობლოში დაბრუნების გზას და ძალაუნებურად თავისი წინამძღვრის მოწინააღმდეგის მტრად ხდებოდა. ამგვარად, როცა სრულიად უნებურად, სამშობლოსა და მათი ინტერესები იყოფოდა, უპირატესობას წინამძღვრის მიზნებს აძლევდნენ, რომელიც მათ გამარჯვების შემთხვევაში სიმდიდრესა და დიდებას ჰპირდებოდა...

ვისაც უყვარდა თავისი სამშობლო და ზრუნავდა მისი კულტურის განვითარებისათვის, მისი ცხოვრება მეტად ძნელი და სევდით სავსე იყო, რადგან ყველა ცდა პირველობის

მაძიებელი ფეოდალებისა და ბატონიშვილების ერთმანეთთან ბრძოლაში იმსხვრეოდა.

რას წარმოადგენდა მაშინ ქვეყანა? კახეთში განუწყვეტლივ თარეშობდნენ ლეკები, მყუდრო ცხოვრებას არღვევდნენ, მცხოვრებლებს უსპობდნენ პურის მომკის, ვენახების კრეფის საშუალებას. პურის მოყვანა ძლიერ დაეცა. ამისი მიზეზი იყო, ერთი მხრივ, განუწყვეტელი არეულობა და, მეორე მხრივ, მოსახლეობის შემცირება. მოსახლეობის შემცირება იწყო XVI საუკუნიდან. თუმცა ამის შესახებ გარკვეული ცნობები არ მოიპოვება, ბევრი მთლიანად ან ნაწილობრივ განადგურებული და დანგრეული სოფელი მაჩვენებელია მოსახლეობის შემცირებისა არა მარტო კახეთში, არამედ ქართლსა და იმერეთშიც. რადგან ნგრევა და აოხრება პერიოდულად მეორდებოდა, აღმშენებლობაზე აღარავინ ფიქრობდა. მცხოვრებთა უდიდესი ნაწილი გაჭირვებას განიცდიდა... ლეკების შემოსევა და ძარცვა-გლეჯა საქონლის სინსილას აქრობდა.

როცა საქართველო განიცდიდა ამისთანა უკიდურეს მდგომარეობას, წამოიზარდა დავით გურამიშვილი, სევდის პოეტი, რომელმაც თავის „დავითიანში" საქართველოს უბედურებისა და მის მაცხოვრებელთა ზნეობრივი დაცემის სურათი მოგვცა. თავზარდამცემი იყო ამბები, რომელთა მოწამეც ის გახდა და მოისმინა თანამედროვეებსა და მნახველებისაგან; ეს ამბები სამუდამოდ ჩარჩა გულში. თვით ვახტანგ VI, რომელიც დაუღალავად იღვწოდა თავის ხალხში განათლების გავრცელებისათვის, მახვილით ხელში კახეთის მმართველის კონსტანტინეს წინააღმდეგ ილაშქრებს. ვინ იყო თვით კახთა შორის უმთავრესი შფოთის ამტეხი? — გამაჰმადიანებული ივსე, კათალიკოს ანტონის მამა...

აი როგორ იყო ამ ადამიანთა შორის ერთმანეთში არეული სხვადასხვა მსოფლმხედველობა, მისწრაფება, ხასიათი და განათლება! ვახტანგი დინჯი, მზრუნველი და მხიარული მმართველია, მწიგნობარი. ამავე დროს სპარსეთის შაჰის მონა, სპარსული კულტურის იძულებითი მოტრფიალე. კახეთის სუსტი მმართველი კონსტანტინე კი მშვიდობისმოყვარე, თავისი ქვეშევრდომების გავლენის ქვეშ მყოფი.

ამ ხალხის გარდა, რომლებიც უცხო ქვეყანაში, უცხო ხალხში გაიზარდნენ და ერთმანეთს ებრძოდნენ, ისეთებიც ერივნენ, ცხოვრებას რომ სოფელში ატარებდნენ და რამდენადაც გარემოება და დრო ხელს უწყობდათ, მეურნეობას მისდევდნენ. მიუხედავად სიღარიბისა, ისინი ქართული კულტურის ზოგიერთი მხარის დამცველნი იყვნენ. ვგონებ, მათი ცხოვრება XVIII საუკუნის დამდეგს ბევრად არ განირჩეოდა „კალმასობაში“ აღწერილ XVIII საუკუნის მიწურულის ცხოვრებიდან. ქართული ხასიათი, ქართული ზნეჩვეულება და ქართული ხალხური ფილოსოფია შენახული იყო მათ შორის, ვინც არ უერთდებოდა ამ ტახტისმაძიებელი ბატონიშვილების ამყოლ ხალხს. ავგვარი შეხლა-შემოხლის გავლენას, რა თქმა უნდა, შორეულ სოფლებშიაც განიცდიდნენ, მაგრამ ქართული სული მათში უფრო წმინდად შემოინახა.

ქართველების ერთი უმთავრესი თვისება ყოველთვის იყო სიტყვა-პასუხის სიყვარული, უყვარდათ საზოგადოება და სძულდათ უემური კარჩაკეტილობა. ეს თვისება მათში ავითარებდა საზოგადოებრივ კულტურას. ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პურმარილიანობას და წვეულებანადიმობას. იმ დროს სხვა სახის დროს ტარება არ არსებობდა, ასეთი ნადიმები სულიერი ცხოვრების თავისებურ ცენტრად გადაიქცა. სუფრაზე დიდხანს ისხდნენ, ბევრს მსჯელობდნენ, მღეროდნენ, ხუმრობდნენ, ქიშპობდნენ და პაექრობდნენ...

წელი წელს მისდევდა, დრო მიდიოდა ახალ მოვლენათა შესახვედრად, საქართველოსთვის კი ახალი მხოლოდ უბედურების მომტანი იყო. მიუხედავად ამისა, არ ცხრებოდა ცდა ცხოვრების აღდგენისა და აღშენებისა, თუმცა ეს მუშაობა ხშირად წყდებოდა. 1723 წელს ლეკები თბილისამდე მოვიდნენ, ხოლო მეორე წელს დედაქალაქი ოსმალოებმა დაიკავეს და რამდენიმე წლის განმავლობაში თარეშობდნენ აქ. საბედნიეროდ, მტრის შემოტევის დროს კვლავ მოიპოვებოდნენ ისეთი ძალ-ღონით სავსე ადამიანები, რომლებსაც ქედი არ მოუხრიათ უბედურების წინაშე და მტკიცედ დაიცვეს სამშობლოს კულტურა და კეთილდღეობა.

1724 წელს საქართველომ რამდენიმე ასეული მოღვაწე და მცოდნე კაცი დაკარგა: ვახტანგ VI, სპარსეთის შაჰის სამსახურით მობეზრებული და სასოწარკვეთილი, სტოვებს საქართველოს და უცხოეთში იხიზნება. მას თან მისდევს 1200 კაცი და ქალი, რომელთა შორის ბევრი განათლებული და დიდად საჭირო ადამიანი ერია. ეს საქართველოსათვის დიდი დანაკლისი იყო, მას რუსეთში გადახიზნულთა სახით წაერთვა საუკეთესო ძალები. ემიგრანტთა ნაწილი უკვალოდ დაიკარგა კიდეც. ასეთმა საბედისწერო სულმოკლეობამ მძიმე დაღი დასვა ქართველ ერს, შეანელა მისი ცხოვრება. რუსეთში გახიზვნა სენივით მოედო მომდევნო თაობასაც. მართალია, გარემოება ძალიან მძიმე იყო, მაგრამ ეს მაინც ვერ გაამართლებს იმათ, ვინც ამ უბედურ დროს სამშობლოს სტოვებდა.

XVIII საუკუნის საქართველოს ცხოვრების ზოგიერთი მხარე ერთგვარად ნაპოლეონ I-ის დროინდელი გერმანიის ცხოვრებას მოგვაგონებს. მიუხედავად იმისა, რომ პრუსიის სატახტო ქალაქში საფრანგეთის ჯარი იდგა, ფიხტე გერმანიის უნივერსიტეტში კითხულობდა თავის „სიტყვებს გერმანელი ერისადმი“, რომლითაც განამტკიცა ახალგაზრდობის სული და გააძლიერა სამშობლოსადმი სიყვარული. ასევე იყო საქართველოში: აქაც, მიუხედავად სპარსელების უღლისა, საზოგადოების მოწინავე ელემენტები ცდილობდნენ ახალგაზრდობა მშობლიური ქვეყნის დაცვის სულისკვეთებით აღეზარდათ.

სპარსელების და ოსმალოების ერთმანეთში ქიშპობას საქართველოსათვის მძიმე შედეგები მოჰქონდა; გამარჯვებული მხარე დამარცხებულის განდევნის შემდეგ ცდილობდა თავისი მოწინააღმდეგის კვალის განადგურებას და ამასობაში საქართველოს ანგრევდა. 1725 წელს ოსმალოებმა თბილისის დაპყრობის შემდეგ ვახტანგ VI-ის მშვენიერი სასახლეც კი დაანგრიეს, რადგანაც ეს უკანასკნელი აშენებული იყო სპარსულ ყაიდაზე და მის მაგიერ ორი ყოველგვარ არქიტექტურულ გემოვნებას მოკლებული ოსმალური მეჩეთი ააგეს.

აღმოსავლეთ საქართველოს უბედური მდგომარეობა ყვე-

ლაზე კარგად პაპუნა ორბელიანის ქრონიკის წინასიტყვაობაშია დახასიათებული: რადგანაც სეხნია ჩხეიძის ქართლის ისტორია აქ (1739 წლით) თავდება და მას შემდეგ მომხდარ ამბებზე არაფერია ნათქვამი. — მე, პაპუნა ორბელიანმა, — წერდა ის, — გადავწყვიტე, განვაგრძო ეს ქრონიკა, ჯერ ერთი იმისათვის, რომ ეს ამბები არ მიეცნენ დავიწყებას და მეორე, რომ გადავცეთ ჩვენს მომავალთ ეს უცნაური ამბები, როცა საქართველოს უნდა გადაეტანა იმდენი უბედურება, ხელმწიფეთა და მმართველთა ისეთი ხშირი ცვლა, ის მკაცრი და საშინელი შევიწროება, რომელიც ჩემი საკუთარი თვალით ვნახე ან გადმომცეს სარწმუნო პირებმა. მე არ შემეძლო არ ამესრულებინა ეს მოვალეობა, რომ მომავალში გადამერჩინა საქართველოს შვილები ამისთანა უბედურებისაგან. დაე, იცოდნენ იმათ, რა მიზეზით და ვისი ხელით ხდება ჩვენი ბედუკუღმართობა, რომელიც თავზე გვატყდებაო.

მომეტებულ შემთხვევაში ეს უბედურება წარმოსდგებოდა ტახტის მაძიებელ ბატონიშვილებისაგან.

რუსეთის ელჩის, ივანე ტოლსტოის მოხსენების თანახმად, 1723 წელს აღმოსავლეთ საქართველოს ჯარი შედგებოდა ოთხი სადროშოსაგან ანუ ნაწილისაგან, რომელიც ითვლიდა 9000 ან 10000 კაცს. მისი მომეტებული ნაწილი ცხენოსანი იყო. მართალია, ეს რიცხვი უცვლელი არ იყო. მათ მეთაურებსაც არ შეეძლოთ ეთქვათ მისი ნამდვილი რაოდენობა. ისინი არ იყვნენ კარგად შეიარაღებულნი, თუმცა წესრიგი კარგი ჰქონდათ და ბრძანებაც ყოველთვის სრულდებოდა. მაშასადამე, აღმოსავლეთ საქართველოს ყოველთვის შეეძლო გამოეყვანა 40000; ამას რომ მივუმატოთ იმერეთი, გურია და სამეგრელო, მთელი საქართველოს ლაშქარი 100000 კაცამდე აღწევდა. მაგრამ ერთმანეთში დავა და ურთიერთცილობა უშლიდა ხელს ამ შეერთებას; სწორედ ამ ქიშპობამ მიიყვანა საქართველო უძლურებამდე.

რაც უფრო ვუახლოვდებით XVIII საუკუნის შუა წლებს, მით უფრო მეტად ვხედავთ სამშობლოს განათლებისა და მეურნეობის აღორძინებისათვის მოღვაწე მუშაკებს. ალბათ მაშინდელ საქართველოში ბევრი კარგი, გამრჯე

მეურნე იყო. მიმოსვლის საშუალებათა უქონლობის გამო, საქართველო ყოველთვის მხოლოდ თავისი ნაწარმოებით იკვებებოდა. არც პური, არც ღვინო და არც ხორცი არ შემოდიოდა მეზობელი ქვეყნებიდან. ცუდი მოსავლის დროს საქართველოში გამეფებული იყო შიმშილი, თუ მას არ ჰქონდა გამოზოგილი სარჩო წინა წლების მოსავლიდან. გამოცდილებამ, როგორც საუკეთესო მასწავლებელმა, დიდი ხანის შეაჩვია ქართველები სიფრთხილეს და როგორც ზოგიერთი გუჯარი მოწმობს, ჭირნახულის ნაწილის დაზოგვა საქართველოში ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ეჭვს გარეშეა, მძიმე გარემოებამ ბევრი მიაჩვია ხანგრძლივ მუშაობას: პოეტი გურამიშვილი ლეკებმა მინდორში ხვნა-თესვის თვალყურის დევნების დროს დაიჭირეს.

მიუხედავად ამისა, მეურნეობა არ ვითარდებოდა და რჩებოდა ძველი სახით.

ქართული სკოლების როლს მაშინ, ალბათ, მონასტრები ასრულებდნენ, თუმცა მათაც არ ექნებოდათ დიდი გავლენა. სწავლა უთუოდ მიმდინარეობდა უმთავრესად შინაური აღზრდის სახით, განათლებულ პირთა ხელმძღვანელობით.

იმ დროს ერთ-ერთი ყველაზე განათლებული ქართველი საბა-სულხან ორბელიანი იყო. იგი 1716 წელს ევროპიდან დაბრუნდა და, როგორც კათოლიკობაში გადასული, მოკლებული იყო საქართველოში ფართო საზოგადოებრივ მოღვაწეობის სახსარსა და განათლების გავრცელების საშუალებას. იმასაც ამბობენ, რომ ის იძულებული გამხდარა თბილისში დამალულიყო. ორბელიანმა ერთი იეზუიტი და ორი კაპუცინი ჩამოიყვანა. ეს ფაქტი მაჩვენებელია იმისა, რომ მას სურვილი ჰქონდა განევითარებინა სასკოლო საქმე. იტალიელი ბერების მოგზაურობის მთავარი მიზანიც ყოველთვის თავისი სკოლების დაარსება იყო. სულხან ორბელიანი დაახლოებულ ცოდნისმოყვარე ახალგაზრდობას, ალბათ, იტალიის და საფრანგეთის კულტურულ ცხოვრებას აცნობდა.

სამწუხაროდ, ჩვენ ძალიან ცოტა ცნობები მოგვეპოვება იმ რვა წლის შესახებ, რომელიც საბამ თბილისში გაატარა მოსკოვში წასვლის წინ. მე მგონია, ორბელიანი ამ რვა

წლის განმავლობაში მუშაობდა ახალგაზრდობის განვითარებისათვის. ძნელი წარმოსადგენია, რომ ისეთი ნაწარმოებების ავტორი, როგორიცაა „მოგზაურობა“ და „სიბრძნე-სიცრუისა“, შეზღუდული ყოფილიყო მხოლოდ ლიტერატურული საქმიანობით. მთელი მისი ცხოვრება, მოქმედი არსება და მიდრეკილება გვიჩვენებს, რომ საბა ძალიან გულგაშლილი ადამიანი იყო და კარჩაკეტილი ყოფა მისთვის შეუძლებელი იქნებოდა. ის უთუოდ სხვებსაც უზიარებდა თავის ცოდნას და გამოცდილებას. აზრთა ასეთი გაცვლა-გამოცვლა ხომ საფუძველი იყო მაშინდელი ინტელიგენციის წრის გაფართოებისა. იმ დროს როდესაც ასპარეზზე კათალიკოსი ანტონი გამოდის, ეს წრე უკვე კარგა დიდია და თუმცა გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეთა რიცხვი ჯერ კიდევ მცირე იყო, ინტელიგენტთა წრის გავლენა საგრძნობი გახდა. ამ დროისთვის მეცნიერების მოყვარულთა წრეც გაიზარდა, რასაც მოწმობს ის მოთხოვნა, რომელიც ორბელიანს წამოუყენებია — ჩემს ლექსიკონს დაკლებული სიტყვები მიუმატეთო.

ორბელიანის თანამედროვე ახალგაზრდა ბატონიშვილი ვახუშტი, მგონი, არანაკლები განათლებისა იყო, ვიდრე თვით საბა ორბელიანი. ის იტალიელი ბერების ხელმძღვანელობით გაეცნო დასავლეთის კულტურას, ლათინურსა და იტალიურ ენას და ევროპულ მოაზროვნეებს. როცა ვახუშტიმ საქართველო მიატოვა, ოცდარვა წლისა იყო და ალბათ ჯერ კიდევ არაუვითარი განმანათლებელი გავლენა არ ჰქონდა ქართველ ახალგაზრდებზე, ანდა თუ ჰქონდა, ძალიან ნაკლები.

1724 წელს ვახუშტი მამასთან ერთად მოსკოვს გაემგზავრა. თავისი ნაწარმოებების უმთავრესი ნაწილი უცხოეთში დაამთავრა. ეს, სხვათა შორის, ჩვეულებრივი მოვლენა იყო ბატონიშვილებს შორის. ამ გარემოებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს: იმ დროს როცა ევროპელი პრინცები სრულებით არ ფიქრობდნენ მეცნიერების შესწავლაზე და დამამცირებლადაც კი მიიჩნევდნენ ასეთ საქმეს, ბაგრატიონები დიდი გულმოდგინებით ცდილობდნენ სწავლა-განათლება მიეღოთ. ვინ იცის, იქნებ დაკარგულ სამშობლოს დარდი და მის ბედზე ზრუნვა მოუწოდებდა მათ თავისი

ქვეყნისათვის სასარგებლო რამ გაეკეთებინათ. თეიმურაზის შემდეგ ლიტერატურისა და მეცნიერების სიყვარული ბაგრატიონების ოჯახში გადაიქცა საზოგადო მოვლენად, როგორც კაცების, ისე ქალებისათვის. ქვეყნიერებაზე არ მოიპოვება ისეთი სამეფო დინასტია, რომელშიც ყოფილიყოს იმდენი სწავლული, მწერალი, პოეტი და პოეტესა, რამდენიც ბაგრატიონების სახლში, სადაც ქალებიც კი დაოსტატებული კალმოსნები იყვნენ.

XVIII საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ეკონომიური და კულტურული მდგომარეობის შესახებ მცირე ცნობები გვაქვს. „აღწერა სამეფოსა საქართველოსა"-ს გადმოცემით, საქართველო უხვ მოსავალს იძლეოდა, ქვეყანაში დოვლათი ტრიალებდა, როცა ქვეყანა დაწყნარებული იყო და არ აძლევდა სპარსეთს ან ოსმალეთს დიდ ხარჯებს. პურის გარდა ბევრგან თესდნენ ბრინჯსაც; ხილი, ყოველგვარი ფრინველი, თევზი, მსხვილფეხა საქონელი, ცხვარი და ღორი ყველგან უხვად იყო. ვახუშტის თქმით, კახელ გლეხებს თითოს 200, 400 და 2000-მდე ღორიც კი ჰყავდათ. თუშები იმ დროსაც მისდევდნენ მეცხვარეობას და დიდ-დიდი ფარის მეპატრონეც იყვნენ. საქართველოში ბევრგან მოჰყავდათ ბამბა და აბრეშუმის ჭია, ისე რომ ნედლი მასალა: მატყლი, ბამბა, აბრეშუმი, ტყავი ყოველთვის საკუთარი იყო. ფართოლეულის უმეტესი ნაწილი შინ მზადდებოდა, ზოგან ფეიქრებიც იყვნენ. რასაც საქართველოში ვერ ამზადებდნენ, სპარსელ და ოსმალო ვაჭრებს შემოჰქონდათ... ამ უკანასკნელთ ხშირად სამეგრელოში შეჰქონდათ არა მარტო შალის ქსოვილები და სხვა საჭირო საგნები, არამედ ფუფუნების საგნებიც, რადგანაც მაშინდელი ნაწარმოები მეტად გამძლე იყო, ადამიანს თავის სიცოცხლეში ორი-სამი კაბის მეტი არ სჭირდებოდა. ვისაც კი მცირეოდენი ქონება გააჩნდა და კოხტაობა უყვარდა, შეეძლო ახლანდელზე არა ნაკლებ გამოწკეპილიყო, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მაშინდელ ტანსაცმელი ახლანდელზე უკეთ იყო მოკაზმული. დიდი ყურადღება ექცეოდა ცხენის საკაზმავს, რომელიც ლამაზად ჰქონდათ მორთული ძვირფასი ქვებით, ვერცხლითა და ოქ-

რომკედით. ყველა ეს ნივთიერი ცხოვრების თანდათანობით გაუმჯობესებისა და ფუფუნების მაჩვენებელია.

თბილისის ცხოვრება და გარეგანი სახე, რასაკვირველია, მაჩვენებელია მთელი საქართველოს მდგომარეობისა. ვახუშტის აღწერილობით, თბილისი უფრო მძიმე, მუქ ფერებშია წარმოდგენილი, ვიდრე შარდენის აღწერით, თუმცა ეს უკანასკნელი მხოლოდ ნახევარი საუკუნით ადრე იყო თბილისში. ეს გარემოება მოწმობს იმას, რომ თბილისი ოსმალოების და ლეკების შემოსევით დაზარალდა. ვახუშტი იხსენიებს ოსმალოების მიერ დანგრეულ ვახტანგ VI-ის სასახლეს, მაგრამ არაფერს ამბობს სხვა შენობებზე, ქარვასლებზე და საცხოვრებლებზე, რომლებიც XVII საუკუნეში იყო აშენებული. ალბათ იმათაც იგივე ბედი ეწია. ქალაქის სახლები ქვისა, ზოგი თიხისა იყო, შიგნით თეთრი თიხით * მოქანდაკებული სპარსული ან ქართული გემოვნებით. საზოგადოდ, ქალაქი სხვადასხვა გემოვნებით ნაშენი სახლებისაგან შედგებოდა და ქუჩებიც ულამაზო ჰქონდა. ასეთ აღწერას გვაძლევს ვახუშტი თავის „ქალაქის" შესახებ, რომელიც მას უყვარდა და იცნობდა. ამ დროს ზოგიერთ ეკლესიას გუმბათი არ ამშვენებდა, რაც სილამაზეს უკარგავდა ქალაქის საერთო სურათს.

XVIII საუკუნის ქართველი გეოგრაფი გორის შესახებ კარგი აზრის არის და ამ პატარა ქალაქს ასურათებს როგორც კარგად მოწყობილს: ქუჩები სწორი იყო, სახლები კეიტკირისა, ხალხი ზნედაცული და ზრდილი.

ვახუშტის დროს ქუთაისი მხოლოდ და მხოლოდ მეფის რეზიდენციას წარმოადგენდა. გარდა მეფისა, რამდენიმე თანამდებობის პირი და ვაჭარი უვარგის სახლებში ცხოვრობდა. მოსახლეობა იყო: იმერლები, ებრაელები და სომხები.

გარდა ამ სამი ქალაქისა, საქართველოში მხოლოდ სოფლები, ციხე-ქალაქები და რამდენიმე დაბა იყო: თელავი, თიანეთი და სხვა, იყო აგრეთვე მონასტრები. ციხე-სიმაგრე ბევრი იყო, მაგრამ მაშინ უკვე გაუქმებული, ნახევრად დანგრეული და თავმინებებული. მონასტრების მომეტე-

* თაბაშირით (რედ.).

ბული ნაწილი ბერებს მიეტოვებინათ და მათი მიწები თავადაზნაურობას ან მეფეებს ჰქონდათ დაჩემებული, რომლებმაც იქ ლტოლვილები დასახლეს. ეს იყო შინაგანი კოლონიზაცია, რომლითაც ორმოცდაათი წლის შემდეგ ერეკლე მეორეს უნდოდა გაეუმჯობესებინა შინაური ეკონომიური მდგომარეობა. ამ დროის საქართველოში მეტად ბევრი მღვდელი და ბერი იყო, უმეტესად ეს უკანასკნელები. ბერები უსაქმობაში ატარებდნენ დროს და წიგნების გადაწერასაც კი აღარ მისდევდნენ...

მიუხედავად არეული ცხოვრებისა, აღმოსავლეთ საქართველოში ვახტანგ VI-ის დროიდან დაწყებული განმანათლებელი მოძრაობა არ აღგვილა. 1735 წელს ქართლი დაიკავეს ოსმალოებმა. შაჰ-აბაასმა მე-17 საუკუნეში ხორასანს ათასობით ქართველი ტყვე წაიყვანა. ახლა საქართველოს კვლავ ეწია ის უბედურება, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში რამდენჯერმე აქრობდა ეროვნულ კეთილდღეობას და ანადგურებდა ათასობით ოჯახს. ისევ გაისმოდა შორეულ გზებზე ტირილი და გოდება ქართველი ტყვეებისა. სიცივის, შიმშილისა და ღონემიხდილობისაგან იხოცებოდნენ უცხოეთში ჭიმავალ გზაზე.

შაჰის ნაცვლების მმართველობის ქვეშ მყოფ ქართველთა ცვალებადი სვე-ბედი 1744 წლამდე გაგრძელდა. ქართლში თეიმურაზის გამეფების ხანს, სპარსეთის ზეგავლენა თითქმის გამქრალი იყო. თეიმურაზის მეფედ კურთხევა, რა თქმა უნდა, ბედნიერი მოვლენა იყო ქართველთა ცხოვრებაში. ხალხი ამ შემთხვევას სამი დღის განმავლობაში ზეიმობდა. ქართველი მეფის ტახტზე ასვლა განსაკუთრებული ზეიმით მოეწყო 1745 წლის პირველ ოქტომბერს მცხეთის ტაძარში...

სპარსელების შემდეგ წინა აზიის არც ერთ ერს წარსულში და არც აწინდელ დროში არა ჰქონია ისეთი დიდი გემოვნება, როგორც დღემდე შესწევს ქართველ ერს ზნე-ჩვეულებაში, ზეიმში, ტანსაცმელსა და ლიტერატურაში. რუსთაველის პოემა — ეს დიდებული ნაშთი შუა საუკუნეების ქართული კულტურისა, ამავე დროს ძვირფასი საბუთია კარგი გემოვნებისა. მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს თვისება ერთნაი-

რად არ შესწევს ყველა ქართველს. შეადარეთ კახელი ან ქართლელი გლეხი იმერელ ან გურულ გლეხკაცს, რომელიც ქალაქის პირობებში ადვილად იცვლის გარეგნობას და სწრაფად ითვისებს ქალაქის მიხრა-მოხრას. შეადარეთ გურული ან იმერელი ქალი კახელ ან ქართლელ ქალს და შეატყობთ საკმაოდ დიდ სხვაობას. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ასულნი მოკლებულნი იყვნენ კარგ გემოვნებას!.. არა, სრულებითაც არა! საკმარისია დაინახოთ მათი ტანსაცმელი, ხელსაქმე, შინაური მოწყობილობა, რომ დააფასოთ მათი გემოვნება, თუმცა ისინი მაინც ისე ადვილად არ ითვისებენ სიკეკლუცის კანონებს, როგორც დასავლეთ საქართველოს ასულნი. ყველა ეს, ალბათ, XVIII საუკუნეშიც ასე იყო, რადგან ქართველი ხალხის საერთო თვისებები ოდნავ თუ შეიცვალა. კაცები ორი ათასი წლის განმავლობაში მხედრულ ცხოვრებას ეწეოდნენ, ცხენოსნობდნენ, ნადირობდნენ, მტერს ებრძოდნენ, ბურთსა და სხვა თამაშს მისდევდნენ და ეს ავარჯიშებდა მათ სხეულს. დახშულ ოთახებში ისინი ნაკლებად ისხდნენ და ნაკლებად მისდევდნენ მწერლობას ან მწიგნობრობას. ახლანდელი სახის სკოლები მაშინ არ არსებობდა. ბავშვები წერა-კითხვას ან თავის დედასთან შინ სწავლობდნენ, ან დადიოდნენ რომელიმე მღვდელთან და ერის კაცთაგან გამოსულ მასწავლებელთან. სწავლა, რასაკვირველია, არ ატარებდა ისეთ საგანგებო ხასიათს; ვისაც წერაში კარგი ხელი ჰქონდა და არსებული წიგნების მცირე რიცხვი გადაეკითხა, შეეძლო თავისი თავი განათლებულ კაცად ჩაეთვალა და მიეღო მოხელის ან მოსამართლის თანამდებობა. სასამართლოს აპარატი არ იყო რთული, ბიუროკრატიული, საქმეები მომეტებულ შემთხვევაში წარმოებდა სიტყვიერად და არა წერილობით, რის გამოც მოხელეთა რიცხვი ძლიერ შეზღუდული იყო და მათი სამუშაო — უბრალო და სადა.

ასეთი იყო ქართველთა ცხოვრება XVIII საუკუნის შუა ხანებში, იმ დროს, როცა კათალიკოსი ანტონ I საეკლესიო, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოვიდა. ის იყო ყველაზე გამოჩენილი პიროვნება XVIII საუკუნეში არა მარტო თავისი მრავალფეროვანი ნიჭით, არამედ ნაყოფიერი

მოღვაწეობით, ცოდნით, დიპლომატიური სიმარჯვითა და ცხოვრების მრავალფერობით. სხვაგვარად არც შეიძლებოდა ყოფილიყო, ვინაიდან ანტონმა თავისი მშობლების სახლიდან გამოიტანა თავისებური გაორება: მამამისი, მეფე იასე, გამაჰმადიანებული და ყურმოჭრილი მონა იყო სპარსეთის შაჰისა. მის სახლში ირეოდა არა მარტო ქართველი თავადაზნაურობა და სამღვდელოება, არამედ სპარსელი სარდლები და მოხელეები. ანტონს—ერისკაცობაში თეიმურაზს—ბევრი ისეთი რამ სმენია და შეხვედრია, რაც მას სამშობლოსაგან აშორებდა, თავის მხრივ ანელებდა მასში ეროვნულ გრძნობას და საფუძველს უქმნიდა უცხო მიწა-წყალზე აღმოცენებული გემოვნება შეეთვისებინა. ეჭვი არ არის, ასე იყო: ახალგაზრდა თეიმურაზში გრძნობა იყოფოდა სამშობლოსა და სპარსეთს შუა, რაკი ამ უკანასკნელიდან იგი მეფის ტახტს ელოდა.

მაგრამ თეიმურაზს უმძიმესი უბედურება ეწია, რაც კი შეიძლება გადახდეს ახალგაზრდას: შაჰ-ნადირი თავის ჰარამ-ხანისათვის მის ლამაზ საცოლეს, გივი ამილახვრის ასულს მოითხოვს. როგორი დამცირება და გრძნობის შელახვაა უბედური მამისათვის, საქმროსათვის და თვით თავადის ქალისათვის, როცა ირანის გარყვნილი თვითმპყრობელი საქართველოს საუცხოო ყვავილს თავის მონების ბაღში გადასარგავად ისაკუთრებს! ტირილი, ვედრება, ჩხუბი და საყვედური გაისმოდა ამილახვრის ოჯახში... ნაზი ქალი საყვარელ ოჯახს გამოგლიჯეს და უცხო ქვეყანაში წაიყვანეს... მაგრამ მამა თავს იკავებს, რომ თავის ოჯახსა და მთელ საქართველოს სპარსეთის სასტიკი მფლობელის მრისხანება არ დაატეხოს. ვინ იცის, რამდენად სამართლიანად მოიქცა ამილახვარი ან რა განიცადა უბედურმა საქმრომ, რომლის ცხოვრებაც სრულიად შეიცვალა ამ ამბის შემდეგ. ერთი რამ არის უდავო: თეიმურაზი არ იყო ძველი დროის უშიშარი რაინდი. მას ძალით უნდა გამოეგლიჯა თავისი საცოლე და წაეყვანა იმერეთში, შორს სამეგრელოში ან გურიაში, სადაც შაჰის ხელი ვეღარ მისწვდებოდა. მაგრამ მან ეს არ გააკეთა, ბედს დაემორჩილა და ბერად აღიკვეცა. ამაშიც ცხადად გამოიხატა მისი მიდრეკილება: თანამედროვეებს შეეძლოთ შეემჩნიათ,

რომ მისი იარაღი ხმალი კი არა — კალამია. ამ ხნიდან მას აღარ უფიქრია არც მეფის გვირგვინზე და არც სარდლის სახელზე, ის მხოლოდ იმის ცდაშია, ქართულ ეკლესიას როგორმე სათავეში ჩაუდგეს.

1739 წელს ცხრამეტი წლის ანტონი გელათის მონასტრის წინამძღვრად დაინიშნა. მრავალი გადაყვან-გადმოყვანის შემდეგ იმერეთიდან ქართლში და ქართლიდან ისევ იმერეთში, 1744 წელს ბერი ანტონი სრულიად საქართველოს კათალიკოსი გახდა. მისი ნაწერებიდან ჩანს, რომ იგი ეკლესიის ჭეშმარიტი მსახური და მართლმადიდებლობისათვის მებრძოლი იყო. მაგრამ ეს ნაწერები მომეტებული შემთხვევაში იმ დროს ეკუთვნის, როცა ანტონი რუსეთიდან დაბრუნდა, სადაც ის რუსული ეკლესიის სქოლასტიკით განიმსჭვალა. ახალგაზრდობაში ანტონმა იტალიელი ბერების გავლენაც განიცადა, რაც ადვილად გასაგები და ბუნებრივია იმ დროის პირობებში. თითქმის ყველა გამოჩენილი ქართველი XVIII საუკუნეში კათოლიკე მისიონერების დახმარებით განვითარდა. კათოლიკობისაკენ მიდრეკილება პოლიტიკური მოსაზრებითაც იყო გამოწვეული, რათა ნიადაგი მოემზადებინათ ევროპის რომელიმე სახელმწიფოს პროტექტორატისათვის სპარსეთთან და ოსმალეთთან საბრძოლველად. ანტონი თავის კათალიკოსობის დროს ამ გზით მუშაობდა, თუმცა ამავე დროს კეთილგანწყობილებას არ წყვეტდა შაჰთან, მირზა-მაჰმად-შაჰს ანტონი თავის ერთგულებას ეფიცებოდა და როცა მისი შვილი იბრაჰიმი სპარსეთის ტახტზე ავიდა ,მან ანტონს ერთგულებისათვის „ფირმანი“ გამოუგზავნა, რითაც საქართველოს კათალიკოსად ამტკიცებდა.

ეს მოხდა 1747 წელს, საქართველოს იმ დროს გარეშე მტრების შემოსევა აღარ ემუქრებოდა. ანტონის მოწინააღმდეგეებმა საქართველოში მტრული მოქმედება დაიწყეს. ამ ინტრიგას საეკლესიო საქმეებთან საერთო არაფერი აქვს, უმთავრესი მიზეზი აქ სულ სხვაა. შესაძლოა, ამის მიზეზი კათალიკოსის ახალგაზრდობა იყო, რაც შურსა და ბოროტ განწყობილებას იწვევდა. ამას აძლიერებდა მისი მეფური ჩამომავლობა და არაჩვეულებრივი ნიჭიერება. ძნელი სათქმელია, როგორ დაიწყო ეს შეთქმულება, გაბაშვილსა და რამ-

დენიმე უკმაყოფილო ეპისკოპოსის გარდა ვინ იღებდა მონაწილეობას; ეპვს გარეშეა მხოლოდ ის, რომ ამ დიდ მოღვაწეს თვით სამღვდელოებაში ჰყავდა ბევრი მტერი, რასაც, სხვათა შორის, მოწმობს გაბაშვილის სატირული პოემა „კატიხ ომი“. თავისთავად ცხადია, ბევრისთვის ანტონის მკაცრი მმართველობა მძიმე იყო, განსაკუთრებით ფეოლის მოყვარულთათვის; ცხადად ჩანს, რომ თეიმურაზის კარის მოძღვარი ზაქარია გაბაშვილის ამ მოძრაობის სულისჩამდგმელი იყო, ხოლო სხვა თავაშვებული ადამიანები სააშკარაოზე მაშინ გამოვიდნენ როცა მოძრაობამ საეკლესიო ხასიათი მიიღო. ბოლოსდაბოლოს ანტონის მოწინააღმდეგეებმა 1755 წელს მცხეთაში საეკლესიო კრების მოწვევა მოახერხეს, რომელზედაც ანტონი კათალიკოსობიდან . გადააყენეს.

XVIII საუკუნის ქართველ მოღვაწეთა თითქმის ყველა წარმომადგენლის განსაკუთრებული თვისება ის არის, რომ დიდ ნიჭთან ერთად დიდი უარყოფითი მხარეებიც აქვთ. ზაქარია გაბაშვილი, რასაკვირველია, დიდად ნიჭიერი კაცი იყო, თუმცა მისი პოემები მაღალი ღირებულებისა არ არის. ამავე დროს, ეშმაკი კაცი იყო, ოსტატობით ტრიალებდა მეფის სასახლეში: ჯერ თეიმურაზ II-თან, მერე ერეკლე მეორესთან და იმავე დროს მის მოწინააღმდეგე — იმერეთის უკანასკნელ მეფე სოლომონთან. ზოგიერთი ფაქტი ცხადად ამტკიცებს, რომ გაბაშვილს დიდი გავლენა ჰქონია. საქართველოს ნგრევის მიზეზი მრავალმხრივი იყო: გარდა გარეშე მტრის შემოსევისა და შიგნით ფეოდალებისა და ბატონიშვილების ქიშპობისა, ეროვნულ სხეულს კიდევ ბევრი სხვა უბედურება ასუსტებდა. ერთი ასეთი შავი ჭირიც იყო, რომელმაც, ოსეშვილის გადმოცემით, 1736 წელს ნახევარი თბილისი გაწყვიტა. მაშინდელი ქალაქების ცუდ პირობებში, ექიმებისა და წამლების უქონლობის გამო, ასეთ საშინელ ავადმყოფობას ნივთიერ ზარალთან ერთად ზნეობრივი ნგრევაც მოჰქონდა: ხვალინდელი დღის გაურკვევლობა ყოველთვის აფუჭებს ადამიანის ზნეობას, აღვიძებს მის უარყოფით თვისებებს და აორკეცებს ქვენა გრძნობებს. იმდროინდელი ყოფის ბევრი მაგალითიდან ჩანს, რომ მომეტებული ნაწილი მაშინდელი ქართველებისა მოკლებული იყო

მაღალ იდეალებს და გატაცებული იყო ნივთიერი კეთილდღეობით. იდეურ მოღვაწეთა გავლენა არ ვრცელდებოდა მასაზე, ვისთვისაც სარჩოს იოლად მოპოვება ცხოვრების უმთავრესი მიზანი იყო. ილია ჭავჭავაძის ლუარსაბი და დარეჯანი ასი და ორასი წლით ადრეც ცხოვრობდნენ საქართველოში. XVII საუკუნეში იტალიელი ბერი ლამბერტი აღნიშნავს მეგრელების უზრუნველობას. ახი წლის შემდეგ რეინეგსი იმავეს ამბობს თბილისის მცხოვრებლების შესახებ.

XVIII საუკუნის შუა ხანებში, ანტონ I-ის კათალიკოსობის დროს, ახალი აზროვნება ჯერ კიდევ ვიწრო ფარგლებში მიმდინარეობდა. ამ საუკუნის დამდეგიდან განათლებულთა წრე ბევრად არ გადიდებულა. მათი რაოდენობის გამოკვლევა ძნელია. მხოლოდ ის შეგვიძლია ვთქვათ, რომ გარდა სამღვდელოებისა, ამ წრეში დიდგვაროვნებთან ერთად სხვებიც იყვნენ.

ქართველთა განათლების ცენტრად თბილისი თანდათან გადაიქცა. თუმცა ვახტანგ VI-ის წასვლის შემდეგ წიგნების ბეჭდვა ოცდაათი წლით შეწყდა, მაგრამ აზროვნების კერა მაინც არ ჩამქრალა, თითო-ოროლა ახალი წიგნი მაინც იწერებოდა და მათ შექმნას ახლა უწინდელზე მეტ ყურადღებას აქცევდნენ. ამ დროისათვის წიგნებში სურათებიც გამოჩნდა და რამდენადაც XVIII საუკუნეში გამოცემულ „ვეფხისტყაოსნიდან“ ჩანს, ეს ნახატები მოკლებულნი არ არიან ზოგიერთ მხატვრულ ღირსებას. განათლებულ ევროპიდან მოწყვეტილი საქართველო დამოუკიდებლად მიიწევდა წინ.

მამუკა ბარათაშვილის წიგნი „ჭაშნიკი“ ცხადად გვიჩვენებს, რომ სერიოზული დანიშნულების წიგნების მოთხოვნილება უკვე იყო. ცნობილია, რომ მამუკა ბარათაშვილმა მაშინდელ მწერლებს შინაარსიანი თემები მისცა. ეს იყო გამომხატველი არა მარტო პირადი გემოვნებისა, არამედ თანამედროვეთა მოთხოვნილებისაც. ამგვარი იყო მეფე თეიმურაზ II-ის თხზულებები. ისინი თუმცა მოკლებულები არიან მაღალ პოეზიას, მაგრამ მათში მარჯვედ არის მხილებული თანამედროვეთა ბევრი ნაკლი, რის წინააღმდეგაც ავტორი მკაცრად ილაშქრებდა. სხვათა შორის, თეიმურაზი

გვამცნობს, რომ ზაქარია გაბაშვილი ფულისმოყვარე, ფარისეველი, ინტრიგანი ყოფილა. ყველა ეს ემჩნევა ამ ღვთისკაცის მთელ მოღვაწეობას.

საზოგადოდ, XVIII საუკუნის ქართულ სიტყვიერებაზე აღბეჭდილია პროზის ხასიათი; თვით გურამიშვილსაც კი არ შეესწეოდა მგოსნის დამახასიათებელი აღფრთოვანება. ნამდვილი პოეტური ნიჭი შემდეგში ბესიკს, ორასამ სხვა მგოსანსა და მეფეთა გვარის მგოსან ქალებს ემჩნეოდათ. ცხოვრებიდან და პოეტური ნაწარმოებიდან უფრო და უფრო მეტად იკარგებოდა სიხარული, მასში ტკბობის წყურვილი რჩებოდა მხოლოდ. ამასთან ერთად იშვიათად ჩნდებოდნენ ძლიერი ნებისყოფის ადამიანები, ძლიერდებოდა ვნებიანობა, ფულის სიყვარული და მამულის შეძენის წყურვილი. ამ ანგარებისა და სიხარბისაგან ძლიერ იტანჯებოდა გლეხკაცობა, რომელიც ჯერ ისევ სრულ მონობაში იმყოფებოდა და თითქმის პირუტყვის ადგილი ეჭირა. საზოგადოდ, უბედურება უფრო მეტად გლეხკაცებს აწვა კისერზე, მტრისაგან დანგრეული სოფლების აღდგენა მათ უხდებოდათ. მთელი XVIII საუკუნის განმავლობაში ამ დანგრეული სოფლების სანახაობა გლოვის სახეს აძლევდა საქართველოს, რომელიც ლეკებმა ზემო ქართლამდე ცეცხლითა და მახვილით გაანადგურეს. 1735 წელს კი ნადირ-შაჰი თავისი ჯარებით ანანურამდე მივიდა.

საქართველოს სახეს უცვლიდა არა მისი მცხოვრებლები, არამედ მისი მტრები, რომლებიც ქვეყანას არბევდნენ ყოველ ხუთ-ექვს წელიწადში ერთხელ, ან უკეთეს შემთხვევაში, ყოველი ათი წლის შემდეგ.

XVIII საუკუნის შუა ხანებში თბილისს ჯერ კიდევ ემჩნეოდა სპარსული დაღი. სპარსეთის ქალაქების დარად თბილისი შემორტყმული იყო კედლით და შიგ სხვადასხვა ადგილას დატანებული ჰქონდა ალაყაფის კარი, რომელიც ღამით იკეტებოდა. ქალაქს გარს ერტყა კუკია, ჩულურეთი, სეიდაბადი (აწინდელი ვორონცოვის ქუჩის ახლო ადგილები), მეტეხი და ავლაბარი, თვითონ კი პატარა ადგილი ეჭირა. შიგ ქალაქში რამდენიმე სასახლე და ქარვასლა იყო, ამ უკანასკნელებში ჩამოსული ვაჭრები დგებოდნენ. მეფის

ხასახლე და სხვა საუკეთესო შენობები მტკვრის პირას იყო გაშენებული, სიონისა და ვანქის ტაძრებს შუა. კათალიკოსი ანტონიც მტკვრის პირას ცხოვრობდა. ანჩიხატის ეკლესიის ახლოს. ამ ადგილას იყრიდა თავს მთელი მთავრობა, ადმინისტრაცია, ვაჭრობა, საეკლესიო და საერო კულტურული ცხოვრება. ვიწრო ქუჩაზე მოთავსებული იყო სომეხი ვაჭრების უბრალო დუქნებიც — უფანჯრო, მოუწყობელი; საქონელს ყუთებში ან პარკებში ინახავდნენ, ღამით დუქნები ხის დარაბებით იკეტებოდა. ვაჭრები ფაფახებით, ძველებურ სომხურ ტანისამოსში გამოწყობილნი, დუქნების წინ ისხდნენ დილიდან საღამომდე, ქუჩის ცხოვრებას ადევნებდნენ თვალს და ყველა ამბავსაც პირველნი იგებდნენ.

თბილისში შეფის სანახავად ან სასამართლოს საქმისათვის ჩამოდიოდნენ აზნაურები მშვენივრად შეკაზმული ლამაზი ცხენებით, ზოგჯერ ფეოდალები დიდი ამალით ეახლებოდნენ ქალაქს და მაშინ მთელი ქუჩა დაედებოდა მათ. ისინი მშვენივრად იყვნენ მორთულნი, იარაღასხმულნი ძველებურ ქართულ ქულაჯებში. ჩამოდიოდნენ აგრეთვე მღვდლები ჯორ-ცხენებზე, ქალები საუცხოოდ მორთულ ცხენებზე. კარგი სანახავი იყო შეფე, როცა მონადირეებით გარშემორტყმული სანადიროდ გამოდიოდა თავისი ამალით. ხშირად გამოისეირნებდა აგრეთვე დედოფალი მშვენიერ სეფექალთა თანხლებით. ყველანი ამხედრებულნი იყვნენ, გარდა მოხუცებულებისა, რომელნიც ტახტრევანებში ისხდნენ. ცხენების მდიდრული მოკაზმულობა ქალების სირმა-ყაითნითა და ოქრომკედით ნაქარგ თაფასხურებს ეხამებოდა.

ახლანდელი ალექსანდრეს ბაღის ალაგას უწინ ყაბახი — სახალხო თამაშობისა და სავარჯიშო მოედანი იყო. ქართველები ძალიან გატაცებულები იყვნენ ეროვნული სპორტით: ჭიდაობა, ჯირითი, ბურთის თამაში, მიზანში სროლა და სხვა. ეს საუკუნეთა განმავლობაში ხელს უწყობდა ფიზიკურ განვითარებას, ღონესა და სილამაზეს ისევე, როგორც ანტიკურ საბერძნეთში. ისტორიულ საბუთებში ბევრჯერ არის მოხსენებული ეს ვარჯიში, რომელიც საყოველთაო იყო, მასში ყველა იღებდა მონაწილეობას ,როგორც ახალგაზრდა, ისე ხნიერი. ეს ვარჯიში იმავე დროს გასართობი და კარგი სანა-

ხაობაც იყო. შეჯიბრში ქალებიც იღებდნენ მონაწილეობას. XVIII საუკუნის ნახევარში სპარსული ჩვეულების გავლენა შესუსტებული იყო და ქალებს შეეძლოთ თავისუფლად გამოჩენილიყვნენ საზოგადოებაში.

1768 წელს თბილისში მყოფი კათოლიკე მღვდელი ღელაპორტი წერდა: ქართველ ქალზე უმშვენიერესი ჩემს თვალს არაფერი უნახავს. ყოველ ნაბიჯზე გვხვდება მშვენიერი ქალიო. როგორც ეტყობა, ქართველი ქალი იმდენად თავისუფლად დადიოდა გარეთ, რომ ყოველთვის შეიძლებოდა მისი სახის დანახვა.

. . . . . .

სასამართლო აღმოსავლეთ საქართველოში ბევრად უფრო ლმობიერი იყო, ვიდრე იმერეთში და მის მახლობელ პროვინციებში. ვახტანგ VI-ის მიერ გამოცემული კანონთა კრებული დიდი ნაბიჯია კულტურული ცხოვრებისა. საკუთრების გამო გამოწვეული დავა ბევრი იყო საქართველოში, განსაკუთრებით, მიწის საკითხზე. როგორც ოსეშვილის „ანდერძიდანაც“ ჩანს, თბილისის მოსამართლეებს აუარებელი საქმე ჰქონდათ და ხშირად უსამართლოდაც იქცეოდნენ. მაშასადამე, ჯერჯერობით ნაადრევი იყო ვახტანგის თანამშრომლის, ნიკოლოზის მოთხოვნილება კანონების შემცირების შესახებ იმგვარად, რომ მოსამართლის კეთილსინდისიერებაზე და ზნეობრივ გრძნობაზე ყოფილიყო დამყარებული და მინდობილი სამართალი. ბოროტმოქმედების რაოდენობისა და ხასიათის მიხედვით შეიძლება წარმოდგენა ვიქონიოთ ამა თუ იმ ერისა და ეპოქის შესახებ; მაგრამ, საუბედურო, მაშინდელი ქართველები ჯერ კიდევ შორს იყვნენ სტატისტიკის წარმოებიდან და არავითარი საბუთი არ დაგვიტოვეს, რის გამოც სხვა წყაროებს უნდა მივმართოთ.

ეკლესიებისთვის შეწირულ ხატებზე მინაწერები და სხვადასხვა აქტების ტექსტები კარგად აშუქებენ ქართველი ერის ზნეობრივ მხარეს. ხატზე ბევრი შემწირავი წერდა თავის საგმირო საქმეებს ან თავისი დროის მოკლე აღწერას, ან კიდევ აღიარებდა ცოდვებს, რომლებიც მისი შეხედულებით, თითქმის ყოველთვის უმნიშვნელო იყო. ამ შემწირავთა მომეტებული ნაწილი, განსაკუთრებით, იმერეთში და სამეგრე-

ლოში, დიდი სიმკაცრით უსწორდებოდა თავიანთ მოწინააღ-მდეგეებს და რაც უფრო მეტი ცოდვით დაიმძიმებდნენ სულს, იმდენად უფრო უხვად სწირავდნენ ეკლესიას. ერთი უპირველესი შემწირავი იყო ოდიშის მთავარი ლევან II დადიანი. ის, თუმცა XVII საუკუნეში ცხოვრობდა, მაგრამ მგონი XVIII-შიც არ მოკლებია წამბაძველები. ყველა ეს წარწერები და აქტები საკმარის წარმოდგენას გვიქმნის მაშინდელი ხალხის თვალსაზრისზე, მათ ცრუმორწმუნეობაზე და მოყვასისადმი გრძნობა-განწყობილებაზე. რაც უფრო მეტად ვუახლოვდებით XVIII საუკუნის ბოლოს, მით უფრო მეტად მოჩანს ამ ნაწერებში და აქტებში ადამიანის სიყვარული და ლმობიერება; დამნაშავეთა და ბოროტმოქმედთა რიცხვიც მცირდება განათლებულ ადამიანთა წრეში, თუმცა უზრუნველობა, ქარაფშუტობა და უზომო ვნების აყოლა ჯერ კიდევ მაგრად იყო ფესვგადგმული.

პატრიოტულად განწყობილ, დარბაისელ ადამიანისთვის სამშობლოს ბედი ბნელით იყო მოცული, გამოსავალს ისინი არსაიდან აღარ ელოდნენ. ბევრს სრულიად უტყდებოდა გული და დროს ტარებას ეძლეოდა... საუკუნის შუა ხანებში ასეთი გულგატეხილობა გამეფებული იყო განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში, რამაც გამოხატულება ჰპოვა ბესიკის ლექსში:

> გამტყორცნა სოფელმა, მოვშორდი მზესა,
> დღენი ჩემნი წარვლენ ბნელად და ბნელად!
> რაყიფად შემექნა ბედივე ჩემი,
> სიცოცხლესდა ვპოვებ ძნელად და ძნელად!

შისი ლექსის ეს პირველი სტრიქონები საკმარისად გამოხატავს ბევრი მაშინდელი ქართველის გულისნადებს. ასეთი ადამიანების გვერდით მტკიცე ნებისყოფისა და ძლიერი სულის ადამიანებიც ცხოვრობდნენ, რომლებიც არ ეძლეოდნენ სასოწარკვეთილებას და არ ჰკარგავდნენ სამშობლოს გადარჩენის იმედს; ყველა ისინი განათლებითა და ხასიათის სიმტკიცით მაღლა იდგნენ თავის თანამედროვეებზე.

ყველა ხანას თავისი მიმართულება აქვს ნივთიერ, პოლიტიკურ, გონებრივ თუ ზნეობრივ ცხოვრებაში. თეიმურაზ

მეორე იყო გატაცებული მწიგნობარი, მაგრამ სუსტი მმართველი. თანადროულობაზე თეიმურაზმა ნაკლები გავლენა იქონია; მეთვრამეტე საუკუნის მიწურული ოსმალოებისა და სპარსელებისაგან დამოუკიდებლობისათვის გამწვავებული ბრძოლის ხანა, აღბეჭდილია ერეკლე მეორის გმირული სულით. ამ ხანის გონებრივ ცხოვრებაზე არავის ჰქონია ანტონ კათალიკოსისოდენა გავლენა. გაზვიადებული არ იქნებოდა, თუ ვიტყოდით, რომ ანტონი კულტურული მოძრაობის უმთავრესი მოქმედი ძალა იყო. თუმცა, ცხადია, მთელი მისი მიმართულება და მოღვაწეობა უნაკლო არ არის: ის ჯერ კიდევ შორს იყო აზროვნების იმ თავისუფლებისაგან, რომელმაც მეთვრამეტე საუკუნეში გაიტაცა ევროპის საუკეთესო მოაზროვნეები. თეიმურაზის შემდეგ კათოლიციზმის საწინააღმდეგო ქარმა დაუბერა, მისიონერები საქართველოდან განდევნეს. ასეთი შეუწყნარებლობა გახშირდა... ეკლესიებში უცხოელთა წინააღმდეგ წირვა დაიწყეს. ეს აგრეთვე შეიძლება მიეწეროს რუსეთის ეკლესიის გავლენას. ასეთი გავლენის ქვეშ მყოფი ქართველი ემიგრანტები საქართველოში იმ მტკიცე განზრახვით ჩამოდიოდნენ, რომ თავიანთი ცოდნა ახალგაზრდობის აღზრდისათვის მოენდომებინათ. როგორც უწინ, ისე შემდეგაც სწავლის საქმე სამღვდელოების ხელში იყო. რუსეთიდან დაბრუნებული აზნაურის შვილებისა და ბატონიშვილების გავლენას ამ შემთხვევაში ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა; მათი ახალი საგანმანათლებლო როლი მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ სწავლებაში ახალი საგნები შეჰქონდათ, თუმცა მეტად შეზღუდულ ფარგლებში. ბერძნული ფილოსოფია, რომელსაც ქართველები წინა საუკუნეებშიც სწავლობდნენ, ხელახლა ყურადღების საგანი შეიქნა. ყველაფრის მიუხედავად, ამ გარემოებამ სწავლა-განათლების საქმე ვერ წასწია წინ. ამ საქმისათვის უფრო მეტი მნიშვნელობა ჰქონდა ქართულ ენაზე ევროპული სახელმძღვანელოებისა და სხვა წიგნების თარგმნას. მაგრამ ძნელია იმის თქმა, რამდენად გამოიყენეს ფართო წრეებში ეს თარგმანები. ერთი რამ კი შეიძლება ითქვას სრული რწმენით: ამ თარგმანებმა საკმაოდ გააფართოეს მოწინავე ადამიანების ზოგადი განვითარება.

ახალგაზრდათა შორის დიდი საგანმანათლებლო მოძრაობა დაიწყო 1762 წლის შემდეგ, მას შემდეგ, რაც ანტონ კათალიკოსი პეტერბურგიდან დაბრუნდა და თბილისსა და თელავში სასულიერო სემინარია გახსნა. ეს იყო ნამდვილი საზოგადო მოღვაწე, დიდი ორგანიზატორი, მასწავლებელი და მწერალი, რომელიც მიუხედავად შემოქმედებითი ნიჭის შეზღუდულობისა, ცდილობდა ყველგან შეევსო ეროვნული კულტურის ნაკლი. მისი საქმე ფრიად მძიმე იყო, რადგან მას გარშემო მტრები ეხვია, რომლებიც ცდილობდნენ შეეფერხებინათ მისი კეთილი ზრახვანი. ყველაზე მეტად მის წინააღმდეგ ილაშქრებდა სამღვდელოება ზაქარია გაბაშვილის მეთაურობით. ეს უკანასკნელი რუსეთიდან კათალიკოსის დაბრუნების შემდეგაც განაგრძობდა ინტრიგას და ბრძოლას დიდი მოღვაწის წინააღმდეგ. მაგრამ ახლა ამ ომში ისე ვეღარ იმარჯვებდა როგორც წინათ. 1767 წელს გაბაშვილი თბილისიდან განდევნეს, იგი იმერეთში მეფე სოლომონის— ერეკლე მეორის მტრის ფრთას შეეფარა. ეპოქის დამახასიათებელია ეს შემთხვევაც: გაბაშვილმა, რომლის ოჯახობაც მეფის სახლობასთან იყო დაახლოებული და თვითონ პირადად ერეკლე მეფისაგან მეგობრობისა და ნდობის მრავალი საბუთი მიიღო, ყველაფერი დაივიწყა და იმერეთში გადავიდა, რათა თავისი უწინდელი მფარველის, ერეკლეს წინააღმდეგ ემოქმედა მტრის ბანაკში.

მეფის ამ მოძღვარს ჰყავდა შვილი ბესარიონი. რომელმაც ერთგვარი გავლენა იქონია XVIII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის სულიერ ცხოვრებაზე. ბესარიონ გაბაშვილი თავისი ნიჭით მამაზე გაჯილებით უფრო მაღლა იდგა. ეს სიყვარულის, სევდისა და ვარამის, მსოფლიო ტკივილის, გმირი ერეკლესი და საბედისწერო მარცხთა ნიჭიერი მომღერალი ბესიკის ფსევდონიმით შეიქნა ცნობილი. კათალიკოს ანტონ I-ის შემდგომ ის უნდა ჩაითვალოს თავის თანამედროვეთა ყველაზე უფრო ტიპიურ გამომხატველად...

ბესიკი ცხოვრების ასპარეზზე მაშინ გამოვიდა, როდესაც საქართველოს მდგომარეობა მერყეევი იყო მტერთა შემოსევის გამო.

ამ უკუნ დროში, როცა ხსნის იმედი თანდათან ქრებოდა

ქეთილშობილ ადამიანებს ერთი მხრივ, სევდა და სასოწარ-
კვეთილება უცხო

ასულს სათანადო სიყვარულით? შეეძლო კია ამ ვნებიან, დაუდეგარ ყმაწვილს ღრმა, ხანგრძლივი სიყვარული? ბესიკი, მიუხედავად თავისი ძლიერი ლექსებისა, გრძნობებით თამაშობდა მხოლოდ. მისმა ყოფაქცევამ ბოლოს და ბოლოს მოთმინებიდან გამოიყვანა საზოგადოება. და თვით დიდსულოვანი მეფეც. ბესიკი იძულებული გახდა იმერეთში გაქცეულიყო.

სოლომონმა სიამოვნებით მიიღო დარდიმანდი პოეტი და ალბათ ხელი იმისათვის უფრო შეუწყო, რომ ერეკლე მეორის საწინააღმდეგო იარაღად გაეხადა.

მიუხედავად ზოგიერთი ღირსებისა, როგორც მაგალითად, ჯარის სარდლობა, სოლომონი სხვა დანარჩენ საქმეში ცოტათი განირჩეოდა იმერეთის სხვა მეფეთაგან. ჩვენს თვალში მისი მოპირდაპირე—მეფე ერეკლე მეორე ბევრად მაღლა დგას. ერეკლე მეორე არა მარტო დიდებული სარდალია, რომლის სახელი ცნობილი იყო თვით ევროპაში, ის იმავე დროს დაუცხრომელი მზრუნველი იყო თავისი ქვეყნის კეთილდღეობისათვის. გავიხსენოთ პრუსიის მეფის ფრიდრიხ დიდის სიტყვები: „მე ევროპაში და ერეკლე მეორე აზიაშიო“... ქართველ მეფეს ძეგლი დაუდგა აგრეთვე გერმანელმა მწერალმა ლესინგმა თავის კომედია „მინა ფონ-ბარნჰელმში“.

ექიმი იაკობ რეინეგსი საქართველოში პირველი გერმანელთაგანი იყო. იგი ექიმის მოვალეობას ასრულებდა ერეკლე მეფესთან. რეინეგსი ტექნიკოსიც იყო, ქართველებს მადნის გამოდნობას, თუჯის დამუშავებას, რკინის დასამუშავებელ ქურების აშენებას, ზარბაზნების კეთებას და ტყვია-წამლის საუკეთესოდ დამზადებას ასწავლიდა. იაკობ რეინეგსი ქება-დიდებით იხსენიებს მეფე ერეკლეს, მის მოღვაწეობას, კეთილ გულს, ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვასა და კაცთმოყვარეობას. მაგრამ, როგორც ვიცით, ის გარემო, რომელშიაც უხდებოდა მოღვაწეობა მეფე ერეკლეს, მეტად შეუფერებელი იყო მისი ფართო ნიჭისათვის და მის მოქმედებას სრული ნაყოფი ვერ მოჰქონდა. ალმოსავლეთის უწინდელ მმართველთა ჩვეულებისამებრ, ერეკლეს ხელში არა მარტო ძალაუფლება ეჭირა, არამედ

სამეფოს სამნეო ნაწილს და ყველა წვრილმან საქმეებსაც იგი თვითონ განაგებდა.

საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება ფრიად რთული იყო და მეფე ერეკლეს გამუდმებით დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა სპარსეთსა და ოსმალეთთან. იმავ დროს რუსეთის ფარული პოლიტიკისადმი ფრთხილად უნდა ყოფილიყო, რადგან ეს უკანასკნელი ამ დროს უფრო მეტ ანგარიშს სპარსეთსა და ოსმალეთს უწევდა. ასეთი სირთულე ვერაფერ სიმტკიცეს შექმნიდა თვით დიდი სამხედრო გამარჯვების დროსაც.

ერეკლე მეორეს ტახტზე ასვლისას ქართლი და კახეთი ძალიან დანგრეული იყო; 1780 წელს, როცა რეინეგსი საქართველოში მოგზაურობდა, ქართლში და კახეთში ყველგან ცარიელი სოფლები, ციხეები და დაბები ხვდებოდა. გრემი და მისი მეზობელი სოფლები ნახევრად ნანგრევებში იყო ჩაფლული. ქიზიყში მოსახლეობა მხოლოდ მთებში დარჩენილიყო. ლეკების შიშით, ვაკეში ცხოვრება აღარავის სწადდა. ყვარელში თუმცა ბევრი ქვიტკირის სახლი-ეკლესია იდგა, მაგრამ ისინიც დაცარიელებულიყო. საგურამო ლეკებისა და ყაჩაღების ბუდედ ქცეულიყო, მუხრანში ერთი კაციც აღარ მოიძებნებოდა... ამ კუთხის ასეთი დაცარიელების გამო ერეკლემ განიზრახა მოსახლეობის თვით საქართველოს მცხოვრებლებითვე გაზრდა. თავისი შვილი გიორგი ბორჩალოს მმართველად დანიშნა. რეინეგსი გიორგის კარგ ადმინისტრატორსა და ერის კეთილმზრუნველს უწოდებს.

ერეკლეს დროს მადნების დამუშავებაც სწარმოებდა. მან ერთ სომეხს, მიკირტუმა თაქუშვილს, სპილენძის მადნის დამუშავების საქმე ჩააბარა. მეორე სომეხი არუთინა ევროპაში წავიდა და ექიმობა შეისწავლა. საქართველოში დაბრუნებისას მან დიდძალი პაციენტები შეიძინა. არუთინა შემდეგ ერეკლე მეორისა და სოლომონ პირველის კარის ექიმად იყო. იტალიელი ბერების შემდეგ, რომლებიც ექიმობასაც მისდევდნენ, არუთინა, მგონი, პირველი ექიმი იყო, განათლება ევროპაში რომ მიიღო. ერეკლე მას დიდად აფასებდა და მადლობის ნიშნად თბილისში რამდენიმე დუქანიც

აჩუქა. მეფე ძალიან უხვად, მგონი, გადამეტებული ხელგაშლილობითაც კი აჯილდოებდა ყოველგვარ სამსახურს, რასაც ადასტურებს რამდენიმე გუჯარი. ასეთი ხელგაშლილობა ცუდად მოქმედებდა სახელმწიფო ხაზინაზე, რომელიც ხშირად უიმისოდაც განიცდიდა უფულობას. სხვათა შორის, მოხელე, რომელიც განაგებდა მეფისათვის მოტანილ „ფეშქაშებს", იქიდან მეათედ ნაწილს იღებდა. მოხელეები, საზოგადოდ, სხვადასხვა სახელმწიფო შემოსავლის მეათედს იღებდნენ. ამასთან მრავალი ბოროტმოქმედება იყო დაკავშირებული. მექრთამეობა „ფეშქაშების" სახით იმ დროს ძალიანაა გავრცელებული აღმოსავლეთში, ეს არაპირდაპირი გადასახადები სახელმწიფოს მმართველებთანაც მიდიოდა და ისინი ამას როდი იწუნებდნენ. ეს დღესაც მიღებულია სპარსეთში...

მაშინდელი ქართველი მოხელეების მოქალაქეობრივი კეთილსინდისიერების შესახებ ძნელია ახლა ვიმსჯელოთ საბუთების უქონლობის გამო. ოსეშვილი, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს საშუალო ქართველად, ე. ი. არც საუკეთესოდ და არც უკანასკნელად, არამცთუ ხარბობდა და ატყვევებდა გლეხკაცებს, არამედ სრული სიმშვიდით ბოროტმოქმედებდა თავისი მოსამართლეობის დროს...

ოსეშვილი სიონის ტაძრის დეკანოზის შვილი იყო; შვიდი წლიდან წერა-კითხვა და გალობა უსწავლია. იგივე პირველდაწყებითი განათლება მისმა შვილებმაც მიიღეს, რომლებიც მოქეიფე ახალგაზრდები დადგნენ და მთელ ღამეებს თბილისის ბაღებში ატარებდნენ. მაგრამ მათ დასახასიათებლად უფრო ნიშანდობლივი ამბავი მოვიტანოთ: ერთი მისი შვილი დაქორწინდა; მამამ დიდი ქორწილი გამართა და თვით ბატონიშვილებიც კი მოიწვია. ქორწილის მეორე დღეს სიძემ ერთი ვაჭარი გაქურდა!.. ასეთი მოვლენები გულს უკლავდა წესიერ ადამიანებს, ოსეშვილები ეკუთვნოდნენ გავლენიან საზოგადოების ნაწილს და თვით აწარმოებდნენ საზოგადო საქმეებს.

მეფე ერეკლეს დიდი ბრძოლა დასჭირდა აზნაურიშვილთა ასეთი სიმახინჯის გამოსასწორებლად. თვითონ მეფე ერეკლე სამაგალითო იყო თავისი მოქმედი, ზნეობრივი და სადა

ცხოვრებით, მაგრამ მას დიდი ხარჯი მოსდიოდა მრავალრიცხოვანი ოჯახის გასაძღოლად. გარდა ამისა, ოსმალეთის და სპარსეთის ფაშებთან და ხანებთან აუცილებელი ურთიერთობა მისგან ბევრ ზედმეტ ხარჯებსა და სასახლის სათანადოდ მოწყობას მოითხოვდა. საზოგადოდ, იმდროინდელი ცხოვრება ჯერ კიდევ მრავალმხრივ ჩამორჩენილია, მას აქლია ყოველივე ის, რასაც ჩვენ ახლა აუცილებელს ვეძახით. რეინეგსის გადმოცემით, ერეკლე მეფის დროს თბილისში ოთხი ათასამდე სახლი იდგა, მაგრამ მომეტებული მათგანი ძალიან ულამაზო ყოფილა და შიგნითაც სულ სადა მოწყობილობა ჰქონია. საკმარისია ითქვას, რომ საკვამური იშვიათად თუ ჰქონდა სახლს დატანებული. ფანჯრებშიაც იშვიათია მინები, მათ მაგივრად ერბოთი გაჟღენთილი ქაღალდი იყო გაკრული ფანჯრის ჩარჩოებში. ასეთი მოწყობილობა ბევრ ალაგას დარჩა XIX საუკუნის პირველ ათეულ წლებამდეც.

მეორე მხრივ, ნივთიერი ცხოვრების ასეთი ჩამორჩენილობის მიუხედავად, საგრძნობლად იზრდებოდა გონებრივი ცხოვრება, რასაც მოწმობს მაშინდელი მწერლების მოღვაწეობა, სასკოლო საქმის გაფართოება და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა მოვლენები. ბატონიშვილი იოანეს „ქალმასობა“ ბევრ ისეთ პიროვნებას გვაცნობს, რომელთა გონებრივი დონე მათ მომდევნო თაობაზე დაბლა არ იდგა. განა თელავის სემინარიის რექტორები — გაიოზი და დავით ალექსი-მესხიშვილები და მათი თანამედროვე მწერლების მთელი რიგი არ გამოდგებოდნენ XIX საუკუნის საქართველოს მშვენებად? დიახაც რომ გამოდგებოდნენ...

XVIII საუკუნის მოწინავე ქართველების ჩვეულებათა სისადავე, ხასიათის ეს მშვენიერი თვისება მათ შვილებსა და შვილიშვილებს დიდი ხნის მანძილზე შერჩათ.

ამავე დროს თავადაზნაურობა და დიდი ფეოდალები სრულიად სხვა თვისებებს ამჟღავნებენ: თავხედობას, თვითნებობას, უკიდურეს თავის დამცირებასა და ფულის სიყვარულს. რეინეგსი, რომელსაც ოსეშვილი „დოხტურ იაკობს“ უწოდებდა, ქართველი აზნაურიშვილობის შემდეგ დახასიათებას იძლევა: „აზნაურიშვილები ერთმანეთში ვერ რიგდე-

ბიან, ისინი ძალიან მრავალრიცხოვანნი არიან და ამის გამო ღარიბნი. ისინი საკუთარი ხელით მუშაობას თავიდან იცილებენ და მეზობლის საკუთრებას ხარბი თვალით უყურებენ. რამდენიმე აზნაურიშვილი ხშირად შეერთებული ძალით გამოდის სხვების წინააღმდეგ, ერთმანეთთან საბრძოლველად ლეკებსაც ქირაობდნენ. ამის გამო ეს უკანასკნელნი ისე კარგად ეცნობიან საქართველოს, მის გზებსა და ბილიკებს, რომ შემდეგში ადვილად შემოდიან და თვითონ აწიოკებენ ქართულ სოფლებსა და ქალაქებს".

XVIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ეს შინაური ბრძოლა ძლიერდება და ვრცელდება თვით მეფის სახლობის წევრთა შორისაც. მრავალრიცხოვანი ბატონიშვილები უწინდელზე მეტად ეცილებიან ერთმანეთს ტახტის მემკვიდრეობაში. მოხუცებული მეფე ერეკლე ვეღარ უძღვებოდა ამ დავიდარაბას. ეს დაუღალავი, გულადი და მზრუნველი მეფე, რომელიც განაგებდა კახეთს ნახევარ საუკუნეზე მეტი ხანი და ქართლში—ოცდახუთმეტი წელიწადი, გასაკვირველი ძლიერებით იბრძოდა სამშობლოს დაცვისა და აღორძინებისათვის. მაგრამ სათანადო ნაყოფი ვერ გამოიღო ვერც ასპინძის გამარჯვებამ ოსმალეთზე და ვერც მეფის კეთილშობილურმა და გულახდილმა დიპლომატიამ. გარეშე ძალა, რომელიც დაუცხრომლად უთხრიდა ძირს საქართველოს, სტიქიური სიძლიერით ამსხვრევდა მეფე ერეკლეს აღმშენებლობით მუშაობას.

როგორც „კალმასობიდან" ჩანს, ხალხის ერთი ნაწილი გულგრილად უყურებდა ყველა ამ მოვლენას, დაღონების მაგივრად აქა-იქ სრული დაუდევრობა, მცონარე, წუთიერ კმაყოფილებას მიცემული ყოფა სუფევდა: სმა-ჭამასა, ხუმრობასა და უთავბოლო მასლაათში ატარებდნენ წუთისოფელს.

იუმორი, მგონი, მაშინაც არ აკლდათ ქართველებს და ზოგიერთი გულდამშვიდებითა და უზრუნველობით უყურებდა მომავალს. თვითონ მეფე ერეკლე, თუმცა გულდათუთქული იყო, მაინც ცდილობდა არ დაეკარგა მხნეობა, ხშირად ხუმრობდა, მოსწრებული სიტყვა, ბესიკისა და საიათნოვას სიმღერები უყვარდა. საიათნოვას არ ჰქონდა ბესი-

კის დარი პოეტური აღმაფრენა და სულიერი სიძლიერე, მაგრამ აღმოსავლელი მომღერალი, სიყვარულის მოტრფიალე და ხალხური ყაიდის ბრძენი, თანამედროვეთა ესთეტიკურ გრძნობას აკმაყოფილებდა. „კალმასობა“ იხსენიებს აგრეთვე ქოროღლის სიმღერას, რომელიც მაშინ ძალიან უნდა ყოფილიყო გავრცელებული, მაგრამ ლიტერატურაში არ დასტოვა შესამჩნევი კვალი.

მაგრამ თუ მეტად დავუკვირდებით იმ ადამიანებს, გარეგნულად დარეჯანსა და ლუარსაბს რომ ჰგვანან, დავინახავთ, რომ მათ შორის სამშობლოს ბედზე ბევრი ღრმად ჩაფიქრებული მამულიშვილიც იყო. ისინი ჭმუნვით უყურებდნენ მომავალს. მომეტებული მათგანი ერისკაცი იყო, რამდენიმე სამღვდელოც, როგორც მაგალითად, ამბროსი კახეთში და ანტონ ჭყონდიდელი სამეგრელოში. მათ თავისი გონიერი ქადაგებით გავლენა ჰქონდათ ხალხზე. ამბროსი ცნობილია აგრეთვე თავისი ქველმოქმედებით. როგორც ჩანს, ანტონ ჭყონდიდელი ბევრს ზრუნავდა უბედურ თანამემამულეთა ცხოვრების გაუმჯობესებისათვის. ასეთი ბედი, როგორც ვიცით, მრავალ საუკუნეთა განმავლობაში თითქმის არასოდეს შეცვლილა. ანტონი ხალხის ერთგული იყო და მარტო სიტყვით როდი ემსახურებოდა მას, ჭყონდიდელის სადა და გონიერი ცხოვრება სამაგალითო იყო ყველასათვის. მისი ქადაგებები ეხებოდა თანამედროვე ყოფასა და მოვლენებს, ამ ქადაგებებში ბევრი სევდაც ერია, რაც, სხვათა შორის, XVIII საუკუნის პოეზიაში მთავარ ჰანგად გადაიქცა. ხშირად ეს სევდა სასოწარკვეთილებამდე მიდიოდა, როცა ასახავდა ყველა იმ პირთა სულიერ ტანჯვას, რომელნიც ფხიზლად უყურებდნენ სამშობლოს მდგომარეობას.

ვიდრე ერეკლე მეფე ჯანსაღი იყო და სიბერე ვერას აკლებდა მის ღონეს, ისა და მისი შვილი გიორგი დიდი ენერგიით ცდილობდნენ აღედგინათ სპარსეთის, ოსმალეთისა და ლეკების მიერ დარბეული საქართველო.

XVIII საუკუნის განმავლობაში ბევრი შავი დღე გამოიარა საქართველომ, მაგრამ ყველაზე მძიმე განსაცდელი დაატყდა მას თავს 1795 წელს აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს. ეს სასტიკი და ულმობელი დამპყრობელი რამდენი-

მე წლის განმავლობაში ცდილობდა, მაგრამ ვერ ბედავდა საქართველოში შემოსვლას. ამიერკავკასიელ თათართა ხანები (გარდა განჯელი ხანებისა) ფრიად მტრულად უყურებდნენ აღა-მაჰმად-ხანს და ამიტომაც მას არა ჰქონდა მტკიცე დასაყრდენი აზერბაიჯანში. აღა-მაჰმად-ხანი 1795 წელს თავისი მცირერიცხოვანი გუნდით ამიერკავკასიაში შემოიჭრა, განჯაში დაბანაკდა და აქედან ემზადებოდა საქართველოზე გამოლაშქრებისათვის.

სპარსელ ჯარებს აქ თათრების რაზმები და დაქირავებული ლეკები შეუერთდნენ. ეს ჯარები თავისი სამხედრო მომზადებითა და გულადობით ისე არ იყო საშიში, როგორც თავისი ველურობითა და სიხარბით. აღა-მაჰმად-ხანი აწამებდა და სიცოცხლეს უსპობდა თავის მოწინააღმდეგეს არა მარტო პირდაპირ, ხშირად ვერაგობის მოშველიებითაც; გატაცება და დარბევა მისი საქმე იყო, მას, რა თქმა უნდა, მხედრებიც არ ჩამორჩებოდნენ. ეს არ იყო რეგულარული ჯარი, არამედ მძარცველთა ბრბო, ცუდად ჩაცმული და შეიარაღებული, რომელიც ხშირად თავისი ნებით მოქმედებდა. როცა ეს სპარსული კალია სომხეთსა და თათრების ხანებს მიესია, მოსახლეობა შიშის ზარმა მოიცვა. ყველა, ვინც კი ქონების პატრონი იყო, ჰკრებდა, რაც რამ ძვირფასი ჰქონდა და იხიზნებოდა საქართველოში, რომლის ზურგს უკან რუსეთის მფარველობის ლანდი იდგა უკვე.

აღა-მაჰმად-ხანი საქართველოს საზღვართან შეჩერდა. ქალაქის დასაცავად ძალიან მცირე ჯარი შეიკრიბა, რადგან ერეკლემ მხოლოდ თხუთმეტ ათას კაცს თუ მოუყარა თავი. იმერეთის მეფემ სოლომონმა კი ორი ათას კაცამდე მოიყვანა. იმის მაგივრად, რომ მთელი საქართველო ამდგარიყო თავისი დედაქალაქის დასაცავად, თვით ბატონიშვილებმა და ნათესავებმა მიანებეს თავი ერეკლე მეფეს ასეთი გაჭირვების დროს. მისი უფროსი შვილი გიორგი არც კი დაემორჩილა მას და ოთხი ათასი კაცით სიღნაღში დარჩა.

თავად-აზნაურებისა და დიდ ფეოდალთა უმეტესობა, რომელთაც უწინ თავისი პირადი პოლიტიკისთვის შეეძლოთ შეეკრიბათ და შეეიარაღებინათ დიდი რაზმები, ახლა სამ-

შობლოს ამისთანა განსაცდელის დროს დუმდა და ადგილიდან არ იძროდა.

10 ენკენისთვეს აღა-მაჰმად-ხანის ცხენოსანი რაზმი თბილისს მიუახლოვდა. ქალაქში შეკრებილი ხალხი შიშისაგან აირია — აქ მყოფი ქართველთა ჯარი ძალიან პატარა იყო ქალაქის დაცვისათვის. ვერც მაგარი კედლები, ვერც ციხეები და მრავალი ზარბაზანი დაიფარავდნენ მცხოვრებლებს, მაშინ, როცა კრწანისის ველზე გმირულად მებრძოლი ჯარი შეირყა სახელოვანი ბრძოლის შემდეგ.

აქაც იჩინა თავი შეუთანხმებლობამ და შეუშალა ხელი გამარჯვებას, ქართველებმა უკან დაიხიეს. დედოფალი დარეჯანი შვილებითურთ ყაზბეგისაკენ მთებში წავიდა ახლანდელი საქართველოს სამხედრო გზით. თბილისიდან დაიძრა უთვალავი ურემი ბავშვებით, ქალებით, მოხუცებულებით და ბარგიბარხანით დატვირთული; გზაზე უბედური ლტოლვილების წივილ-კივილი, ტირილი და გლოვა ისმოდა. ურმები ნელ-ნელა მიიზლაზნებოდნენ მთებისაკენ, სპარსელები კი უახლოვდებოდნენ და იზრდებოდა ხალხში შიში და არევ-დარევა. დაღლილ-დაქანცული საქონელი გზაზე ეცემოდა. მომეტებული ნაწილი ცის ქვეშ ატარებდა ღამეს, ბევრი ცივდებოდა და ავად ხდებოდა. მაგრამ უფრო მეტი გაჭირვება მოელოდა მათ მთებში ასვლისას—აქ უკვე ციოდა და ამ აუარება ხალხისათვის თავშესაფარი არ იყო. პატარა მთიულურ სოფლებში, სადაც აქამდე მხოლოდ ათეული კომლი თუ ცხოვრობდა, ახლა ასეულობით კომლი მიაწყდა. უძლური ქალები და ბავშვები სიცივით იყინებოდნენ, ავადმყოფებს ხომ შველა არსაიდან ჰქონდათ; სანოვაგეც გათავდა, შიმშილი მოედო თითქმის მთელ ბანაკს იმ შეძლებული ხალხის მცირე ჯგუფის გარდა, რომელიც, რასაკვირველია, უკეთესად მოეწყო. ამ უთანასწორობამ გამოიწვია მშიერთა უკმაყოფილება და გაისმა საყვედური ამ უბედურების დამნაშავეთა წინააღმდეგ. თუმცა ლტოლვილების მდგომარეობა მძიმე იყო, მაგრამ ასეთი ბედი გაცილებით სჯობდა თბილისში და ახლომახლო სოფლებში დარჩენილ ხალხის ყოფას.

მეომარმა რაზმმა დაჰკარგა გამარჯვების იმედი... როცა

მეფე ერეკლე იქ ერთგულ ქართლ-კახელთა მცირე რაზმითლა დარჩა. ამაო იყო ყოველივე ცდა ქალაქის დაცვისათვის. სამოცდათხუთმეტი წლის მოხუცი გმირი, მრავალგან დაჭრილი, მრავალჯერ გამარჯვებული სახელოვან ბრძოლებში უძლური შეიქნა დედაქალაქის დაცვისას.

რა მწარე დაცინვაა ბედისა!

თორმეტი ბატონიშვილიდან არც ერთი, დავითის გარდა, არც ერთი თავკაცი ფეოდალთაგან არ მიეკარენ სამშობლოს კერის დაცვის საქმეს, მხნე მეფეს მარტოკა უხდებოდა ჯარის შეკრება. მოხუცმა ლომმა ერთხელ კიდევ უჩვენა სპარსელებს თავისი სიძლიერე კრწანისის ველზე, სადაც თავის შვილთან, დავითთან ერთად ქალაქში შესვლის წინ დიდებულად მოიგერია მტრის პირველი იერიშები. ამის შემდეგ თბილისს მოაწვა მტრის მთავარი ძალა და ქართველთა მცირე რაზმი გაიფანტა ქალაქისაკენ. თვითონ მეფე ერეკლე თავისი სპარსული შავი რაშით ყაზბეგის მხარეს, უბრალო ლტოლვილივით ტყავის ქურქში გახვეული გაემართა. თბილისში მშვენიერ სასახლეში მიატოვა მთელი თავისი ქონება, რაც კი რამ ძვირფასი ჰქონდა.

საზოგადოდ, საქართველოში ამ დროს ბევრი ძვირფასი ქონება დარჩა. ძველისძველ სკივრებში საუკუნეობით დაგროვილი. დედათა და დიდედათაგან გადმოცემული სკივრები თვალ-მარგალიტით, ძვირფასი სამკაულებით და ოქრომკედით მოქარგული სარტყელ-გულისპირით, ფარჩითა და დიბა-სტავრით იყო სავსე... ბევრ სახლში ინახებოდა ძველი ხელნაწერები, „ვეფხისტყაოსანი“ და სხვა ძნელად საშოვნი და ძვირფასი წიგნები.

ვინ იცის, რამდენი ძვირფასი ხელნაწერი დაილუპა ძველი საქართველოს საუნჯიდან აღა-მაჰმად-ხანის ჯარისკაცების ვერაგული ხელით!.. კაცობრიობის ისტორიისათვის ასეთი დანაკარგი ყველაზე უფრო საგრძნობი და დაუვიწყარია. ვის ძალუძს მათი აღდგენა ან განახლება. აღა-მაჰმად-ხანმა დიდი ზიანი მიაყენა ძველი საქართველოს ლიტერატურულ ძეგლებს. ჩვენ ვიცით, რომ XVIII საუკუნეში ქართულ მწერლობაში გამოცოცხლებული იყო არა მარტო პოეტური და სამეცნიერო თხზულებების, არამედ კერძო, მიწერ-მო-

წერის ჟანრიც. ეს კერძო წერილები დიდ ნათელს შეიტანდნენ მაშინდელი ცხოვრების გამოკვლევაში...

სპარსეთის ჯარისკაცებმა ნადავლი მოკრიბეს არა მარტო სასახლეებში და კერძო სახლებში, არამედ ბაზრებშიც, რომელიც მაშინ სავსე იყო ყოველნაირი საქონლით, რასაც, სხვათა შორის, „კალმასობაც“ მოწმობს. მრავალმხრივ დასტურდება, რომ მაშინ ევროპიდან ბევრი საქონელი შემოდიოდა, რაც ხელმეორედ ამტკიცებს მცხოვრებთა მოთხოვნილებების გაზრდას. დუქნებში ჩვეულებრივი საქონლის გარდა იყიდებოდა: ჯამ-ჭურჭელი, დანა-ჩანგალი, კოვზები, ლიტრები, ქილები, თუჯის ქვაბები, ნემსები, ძაფი, ჩითი, აბრეშუმი, შალი, ქსოვილები, ფეხსაცმელი, კლიტე-გასაღები, ლურსმნები და სხვა რკინეული, მუსიკალური საკრავები, სარკეები, ჭიქები და სხვა; გარდა ამისა აქ ფუფუნების საგნებიც იყიდებოდა: ოქრო-ვერცხლის სამკაული, ძვირფასი თვლები, სურნელოვანი წყლები, ხავერდი და ძვირფასი ქსოვილები ქალის კაბებისთვის, მშვენიერი უნაგირები და ცხენის საკაზმი, ბეწვის ქათიბები, ძვირფასი იარაღი და სხვა.

ბევრი არ გავიდა თბილისიდან მხოლოდ იმისთვის, რომ არ უნდოდათ დაეტოვებინათ თავისი ქონება, შეწყნარების იმედი ჰქონდათ. მაგრამ ასეთები მწარედ მოტყუვდნენ. სპარსეთის ცხენოსანი ჯარი არ შემოსულა თბილისში როგორც რეგულარული ჯარი: ისინი ნამდვილი ბარბაროსებივით შემოცვივდნენ, ცეცხლითა და მახვილით დაერივნენ მშვიდობიან მოსახლეობას და სიცოცხლეს გამოასალმეს რამდენიმე ათასი ქალი და ბავშვი, დაანგრიეს და დაარბიეს სასახლეები, შენობები და დუქნები, დასწვეს, რაც კი დაიწოდა, და წაიყვანეს ტყვედ ათი ათასი კაცი. სამი დღის განმავლობაში ქალაქი გადაიქცა ერთ მთლიან ნანგრევად და შავმა კვამლმა აცნობა ახლომახლო სოფლებს დედაქალაქის ბედი.

ტყვედ წაყვანილები გაგზავნეს განჯაში, სადაც დარჩნენ მეორე წლამდე, ვიდრე ერეკლე მეფემ არ გამოისყიდა. თბილისს გარდა მეზობელი სოფლებიც დაზარალდა.

აღა-მაჰმად-ხანი ერთი კვირა თარეშობდა თბილისში,

შემდეგ კი სახანოებისკენ გაეშურა. გახიზნულები ნელ-ნელა დაბრუნდნენ დანგრეულ, დამწვარ და გაძარცულ თბილისში. მათ ახლა უფრო გადაუწყდათ იმედი რაიმე სიკეთისა, რადგან დანგრეული ქალაქის აღდგენას მრავალი წელი სჭირდებოდა.

ყველა დაღონდა და გაბოროტდა მათ წინააღმდეგ, ვინც სულმოკლედ გასცა თბილისი და ჩაუგდო მტერს ხელში. ერეკლე მეფე დაბრუნდა კახეთში, სადაც სპარსეთის ჯარს ფეხი არ შეედგა.

ცუდ გუნებაზე იყო ხალხი აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის შემდეგ. თბილისი და სხვა ადგილები მთლად დაცარიელდა. ძველი კულტურა, რომელიც მომავლის საფუძველი უნდა ყოფილიყო, ჩაქრა. თბილისის სემინარია რამდენიმე წლით სრულებით დაიკეტა. ზოგი მწერალი განაგრძობდა წერას, მაგრამ ასეთი კანტიკუნტად მუშაობა ვერ აღადგენდა უწინდელ სიცოცხლეს.

წყალმანკისაგან დასნეულებულ ერეკლეს ნელ-ნელა უახლოვდებოდა სიკვდილი. მისი ავადმყოფობის ამბავი ლაჩვარივით ესობოდა ქართველთ გულს, განსაკუთრებით ჭმუნავდნენ კახნი, ვისთანაც ერეკლემ ორმოცდაცამეტი წელი გაატარა. მომეტებული ნაწილი მას როგორც მამასა და მფარველს ისე უყურებდა და თუმცა ზოგჯერ მოხუცმა ვერ ააცდინა ხალხს თავიდან უბედურება, ხალხის გულში მისდამი ნდობა არ შერყეულა და ვიდრე ის ცოცხალი იყო, უკეთესი მომავლის იმედი არ დაუკარგავთ.

ასე უახლოვდებოდა თელავის სასახლეს ტრაგედია, რომელიც შავი ღრუბლებივით ეფინებოდა საქართველოს ცას. ქართლში, განსაკუთრებით თბილისში, სადაც ჯერ კიდევ არ აღგვილიყო აღა-მაჰმად-ხანის დარბევის კვალი, უწინდელი ცხოვრება ჯერ არ აღმდგარიყო, ამ დროს ოსმალეთიდან შემოტანილმა შავმა ჭირმა მოიცა ძალი. კახელებმა სასტიკ კარანტინს მიმართეს ამ საშინელი სენის თავიდან ასაცდენად. ამისთანა მძიმე დროს ამ შეზღუდვამ, გარდა მიმოსვლის და ურთიერთობის დარღვევისა, საერთო დაღვრემილობა და დაღონება გააძლიერა. ნახევრად სიცოცხლეჩამკვ-

დარ თბილისში, სადაც აქა-იქ მოჩანდა საჰსახლისა და სხვა შენობების ნანგრევები, მცხოვრებთა რიცხვი განახევრებულიყო და ბევრი ოჯახი მხოლოდ ობლებისა და ქვრივებისაგან შედგებოდა; შავი ჭირი მუსრს ავლებდა მოსახლეობას. ჭირით ავადმყოფი განმარტოებით და უპატრონოდ რჩებოდა, ყველა გაურბოდა, ექიმობა არ არსებობდა, წამალი და მოვლა აკლდა; თავის ანაბარა დარჩენილი ავადმყოფი ან კვდებოდა, ან, იშვიათ შემთხვევაში, მოიკეთებდა ხოლმე განსაკუთრებული ჯანის წყალობით.

საზარელი სიჩუმე გამეფებულიყო ქუჩებში, სახლებსა და ბაღებში, სადაც უწინ ბესიკისა და საიათნოვას სიმღერა ისმოდა. პირველმა თავისი ხანმოკლე წუთისოფელი შორეულ, უცხო ბესარაბიაში დაასრულა, მეორე კი ოთხმოცი წლისა მოკლეს 1795 წელს სპარსელმა ჯარისკაცებმა.

ბესიკი სანთელივით სწრაფად ჩაქრა.

საიათნოვა იყო სომეხი ფეიქარი; თავისი ხელობითა და სოციალური წარმოშობით უფრო მაგარსა და ფხიზელ ფენას ეკუთვნოდა, ისიც სვამდა ღვინოს და მისდევდა გრძნობებს, მხოლოდ ზომიერად და ამგვარად შეინარჩუნა ჯანი და სიცოცხლე ღრმა სიბერემდე.

დიახ, თბილისში სევდიანი სიჩუმე მეფობდა და სოფელში გლეხკაცობა მემამულეების სამსახურის მძიმე უღელქვეშ იტანჯებოდა. იაკობ რეინეგსის მოთხრობით, ერეკლე მეფე ყოველთვის ცდილობდა შეემსუბუქებინა გლეხკაცის ჯაფა, მათი ნამდვილი მამა იყო. ფეოდალები და თავადაზნაურობა კი უწყალოდ ამუშავებდნენ მათ.

მეფის ავადმყოფობა დიდად აღონებდა ხალხს. თავადაზნაურობაც შედრკა, არ იცოდა, რა მოელოდა მათ ბატონიშვილების ურთიერთ ბრძოლისა და დედოფალი დარეჯანის მმართველობისაგან. მან ჩაიგდო ხელში ძალაუფლება და სამეფო ტახტი საყვარელი შვილის იულონისათვის უნდოდა გადაეცა. იმ დროს როცა ერეკლე მეფე, ლოგინში ჩავარდნილი ავადმყოფი, დღითიდღე სუსტდებოდა, მთელი სამეფოს მმართველობა დარეჯანის ხელში იყო და ამით უფრო ძლიერდებოდა ურთიერთბრძოლა და არევ-დარევა. დარეჯანი ჭკვიანი, მაგრამ უსაზღვროდ უფლებამოყვარული

იყო. და თავისი ეგოისტური მისწრაფებით ხალხის სიძულვილი გამოიწვია.

1798 წელს 11 იანვარს ერეკლე მეფე გარდაიცვალა, მისი ანდერძის თანახმად უფროსი შვილი გიორგი ავიდა ტახტზე. მიუხედავად მოწინააღმდეგე პარტიის ბრძოლისა. მეფის სიკვდილი ხალხს შეატყობინეს განცხადებით, რომელიც დაატარა შიკრიკმა ყველა კუთხეში და ისედაც დაღონებული ერი უზომო გლოვამ მოიცვა.

დაკრძალვა და ტირილი მოწყობილი იყო ძველებური წესით. თელავში დიდებული ცერემონიისათვის შეიკრიბა მთელი საქართველო: კახეთი, ქართლი, ფშავ-ხევსურეთი, თუშები და იმერლებიც კი. ამ უკანასკნელთა თავმოყრა ამტკიცებდა, რომ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს უთანხმოების მიუხედავად იმერლობის შეგნებულ ნაწილს მაინც დარჩენოდა ერთიანი სამშობლოსადმი სიყვარული.

თელავს თავის დღეში არ ენახა ამოდენა ხალხი. ოთხიხუთი კვირა გასტანა მოსამძიმრეთა მისვლა-მოსვლამ და დამარხვის ცერემონიამ. ეს იყო უკანასკნელი ძველ ქართული სამგლოვიარო ცერემონიალი, ფრიად თავისებური და საინტერესო საქართველოს კულტურის ისტორიისათვის.

წარმოიდგინეთ თელავში მიმავალი გზები ურმების განუწყვეტელი რიგით, ცხენოსანი და ქვეითი ხალხით სავსე. ყველა კუთხის მცხოვრებს ეცვა თავისებური ტანსაცმელი, განსაკუთრებით მთიელებს. დასაფლავებას დაესწრენ თბილისელი სომეხ-ვაჭრები და ბორჩალოს თათრები, რომლებიც მეფე ერეკლეს ომებში მონაწილეობას იღებდნენ და კარგი მეომრებიც იყვნენ. მთელი ეს აჭრელებული ხალხი თელავში წარსდგა და მათ სამგლოვიარო შავი ტანსაცმელი დაურიგეს. დარბაზში, სადაც ეს აპბავი ხდებოდა, შავი ქსოვილი ისე იყო მთლიანად გაკრული, რომ ეს შავით მოცული ხალხი და საგნები განსაკუთრებულ უცხო სურათს წარმოადგენდა.

ახლად მოსულნი პატარა ჯგუფებად მიდიოდნენ კუბოსთან და ტიროდნენ; ტირილი და გოდება არ წყდებოდა დილიდან საღამომდე.

დაიტირეს არა მარტო მხედარი, მისი იარაღიც, ტანსაცმელი და მისი საყვარელი ცხენი. სასახლის წინ ამაღლებულ ადგილზე ხალებით დაფენილ ტახტზე ელაგა ყველა ეს საგანი და უნაგირი, რომელზედაც მეფე ერეკლე იჯდა ინდოეთში ნადირ-შაჰთან ლაშქრობის დროს. ეს იყო ზამთარში, ყველასათვის არ იყო თავშესაფარი და ბევრი ღამეს ცის ქვეშ ატარებდა. ბუტკოვის გადმოცემით, აქ შეიკრიბა აგრეთვე ოცი ათასამდე ჯარი და ხალხის ამისთანა მოგროვებამ თელავში და ახლომახლო სოფლებში დიდი სიძვირე გამოიწვია. სამძიმრისთვის მოსული ბატონიშვილები და ფეოდალები შავად მოსილ დარბაზში მიიღეს, სადაც დედოფალი დარეჯანი იჯდა ხალზე მოკეცილი თავისი ამალით, ქალითა და კაცით გარშემორტყმული. ყველაზე მძიმე შეხვედრა მოხდა ბატონიშვილ მირიანთან, რომელიც დაბრუნდა თოთხმეტი წლის შემდეგ: ის წასული იყო სარდალ ციციშვილთან ერთად. ეს ციციშვილი თან ახლდა მეფე ერეკლეს ინდოეთში ლაშქრობისას. იგი თელავის ქვევით დახვდა მირიანს ტირილით და მოაცილა სასახლემდე, სადაც მას მოუთმენლად ელოდნენ დედა, ძმები და დები.

ექვსი კვირა გასტანა ამ ცერემონიამ.

ექვსი კვირის შემდეგ ჩამოვიდა კათალიკოსი ანტონი სამღვდელოებით ანდერძის ასაგებად. თოფ-ზარბაზნის გრიალით გამოასვენეს კუბო თელავის სასახლიდან. მიუხედავად იმისა, რომ ქართლში ჭირი მძვინვარებდა, სამგლოვიარო პროცესია მცხეთისაკენ დაიძრა. სამი დღის განმავლობაში მიაღწიეს მცხეთას. აქ მცხეთის ტაძარში დაკრძალეს ერეკლე. საფლავზე დადებულმა ქვამ დახურა ძველი საქართველოს ისტორია, გიორგი XIII ხანმოკლე მეფობა უკანასკნელი დღეები იყო საქართველოს სამეფოსი.

ამაო იყო ყოველი შემდეგი ცდა საქართველოს ხსნისა, მას უთვალავი გარეშე მტერი ესია. ქვეყანა დიდი ხნის მანძილზე გარეშე მტრის შემოსევისა და შინაგანი ურთიერთ ბრძოლებისაგან დაღლილ-დაქანცული და მოძაბუნებული იყო.

ბევრ რამეს გაუძლო ქართველმა ერმა, მრავალი ხნის

განმავლობაში უცხო მფლობელობაში ყოფნას, მაგრამ ვერც არაბებმა, ვერც სპარსელებმა და ოსმალოებმა ვერ გაანადგურეს მისი ეროვნული თავისებურება, თვისება და ენა. ყველა მათგანი ცდილობდა თავისი კულტურა დაემყნო და ძალით შეეტანა ისლამი, მაგრამ ეს გავლენა არ სწვდებოდა ღრმად ხალხის მასას. ოსმალოებმა მხოლოდ მესხეთში შესძლეს მაჰმადიანობის გავრცელება.

თუმცა XVIII საუკუნის კულტურულმა საქმიანობამ არ გამოიტანა დიდი ნაყოფი, მაგრამ საფუძველი მაინც დაუდო XIX საუკუნის აღორძინებას.

XVIII საუკუნესა და ილია-აკაკის ეპოქას შუა სამოცი წელი დევს, ეს ორი ხანა მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან. XIX საუკუნის მოწინავე მწერლები ყოველთვის სარგებლობდნენ ნაყოფით თავიანთი წინაპრებისა, რომელნიც ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ერთი საუკუნით ადრე.

XIX საუკუნის ქართველები

ერის ცხოვრებაში ერთი საუკუნის ზღვარს მნიშვნელობა არა აქვს, ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, ერთი საუკუნე არ არის გამმიჯნავი ზღვარი. საქართველოსთვის კი XIX საუკუნის დამდეგი აღსანიშნავია, რადგან ის მაშინ რუსეთის მმართველობაში შევიდა.

ძველი საქართველო კიდევ დიდხანს ცოცხლობდა.

დიდგვაროვანნი ამ დროს თითქოს გამოფხიზლდნენ დაუდევრობისა და გულგრილობის ძილისაგან, მაგრამ მალე ისევ ჩათვლიმეს და უქმ ცხოვრებას მისცეს თავი.

ასე მოხდა პოლონეთშიაც, სახელმწიფოს დაყოფისას პოლონელი მემამულე თავადაზნაურობაც მიეცა უქმსა და ამაო ცხოვრებას. ასე იქცეოდა ქართველი თავადაზნაურობის უმეტესობაც, ის მხოლოდ ქეიფსა და დროს ტარებაზე თუ ფიქრობდა. ხარჯები კი მალე მათ შესაძლებლობას აღემატა და ვალებში ჩააგდო ისინი. ამ ბრბოში, რომელიც

დღეს უმიზნოდ აღამებდა, ზოგი ისეთიც გამოერეოდა, სერიოზულად რომ ეკიდებოდა ცვლილებებს, რაც მათ ქვეყანაში ხდებოდა, და მის მომავალსაც. მაგრამ ასეთ გონიერ ადამიანთა რიცხვი დიდი არ იყო, უმრავლესობა საკუთარ ვიწრო ინტერესებსა და შეხედულებებს გაჰყვა.

შეცდომა იქნებოდა ვინმეს ეფიქრა, თითქოს აღმოსავლეთ საქართველო XIX საუკუნეს საკუთარი კულტურის გარეშე დახვედროდეს. პირიქით, აქაურებს აკლდათ მხოლოდ ისეთი სასკოლო განათლება, რომელიც წარმოიშვა დასავლეთ ევროპაში ახალ ევროპულ მეცნიერებათა განვითარების ნიადაგზე, ქართველები სულიერი განვითარების პატრონები იყვნენ. ასეთი რამ მათ შერჩათ თანდაყოლილი ნიჭისა და ძველი კულტურის წყალობით, რაც აღმოცენებული იყო ძველ ეთიკურ სისტემაზე; უმართებულოა ძველი მტკიცებანი იმის შესახებ, თითქოს აღმოსავლელი ქართველები რუსული ბატონობის ქვეშ მოექცნენ ვითარცა „ველურნი“. რუსული გავლენა თვით 1840 წლამდე თბილისით განისაზღვრებოდა და სოფელში ოდნავ თუ ატანდა; ცხოვრება იქ ჯერ კიდევ ძველი ქართული ზნე-ჩვეულების კალაპოტში მიმდინარეობდა. თუმცა აქაც იყო იმ ყაიდის ხალხი, რომელიც თბილისში ჩამოსვლის შემდეგ ადვილად ეგუებოდა ახალ ცხოვრებას.

პირველ ხანებში საზოგადოებრივ ცხოვრებაში გამორჩეულ პიროვნებათა რიცხვი, რომლებიც უსაქმურთაგან გამოირჩეოდნენ და ქართველთა საერთო მასის ტიპიურ ნიშნებს ატარებდნენ, არ იყო დიდი. ილია ჭავჭავაძემ თავის მოთხრობებში სინამდვილის სწორი ასახვით დაგვიხატა ამ გარდამავალი ეპოქის ადამიანები. ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ გლეხებზე დაყრდნობილი ცხოვრება მათთვის დაბადებით თანდაყოლილი და უცვლელი იყო...

ამ დროის ტიპიური შვილი იყო ალექსანდრე ჭავჭავაძე, მე-19 საუკუნის პირველი ქართველი მგოსანი. იგი ჯერ კიდევ ბავშვობაში გაამწესეს პეტერბურგს, სადაც სანახევროდ ფრანგულად აღიზარდა. მიუხედავად ამისა, მასში მაინც ცოცხლობდა მე-18 საუკუნისეული ქართველი. თითქ-

მის ყველა მისი ლექსი ძველი ქართული მსოფლმხედველობის გამომხატველია. ის მართლაც ჭეშმარიტი ქართველი იყო...

როცა ალექსანდრე ჭავჭავაძე თავის საზნეო ხასიათის ლექსებსა თხზავდა, ქართველი ქალ-ვაჟნი ჯერ კიდევ ქართულად ჩაცმულნი დადიოდნენ; ზოგიერთი ქალი ჩადრსაც კი ატარებდა. ჩადრი, როგორც ძველი დროის ნიშანი და სამოსის კუთვნილება, თანდათან გადავარდა. მაგრამ ას წელზე მეტი გავიდა, ვიდრე ქართული სამოსი გაქრებოდა. მას დღესაც ბევრი ქართველი ქალი ატარებს. ეს კარგი ნიშანია, ქართველი ქალები ცდილობენ შეინარჩუნონ თავიანთი ზნე-ჩვეულება. ეს თვისება უფრო მეტად გლეხობას შერჩა, რომელიც თავის ჩვეულებათა შეცვლაზე კი არ ფიქრობს, არამედ მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

ყოველი ადამიანისათვის თანამდევარი თვისებაა სიამოვნების ძიება, იგი ძველ ქართულ ცხოვრებაში განსაზღვრული იყო. ახლა კი დატკბობა-გართობის ახალ საშუალებათა წყალობით მეტად გაიზარდა და ახალი მიმართულებაც მიიღო. ამას თან მოჰყვა კარიერისტობა. დასაწყისში ახალი ყაიდის ცხოვრებამ მხოლოდ რამდენიმე ოჯახი მიიზიდა. მაგრამ რაკი ესენი ახალი, უცხო ცხოვრების სიამეთა და პირობების გამო გაბედნიერებულად მოჩანდნენ, მათ მალე სხვებიც მიჰყვნენ.

საერთოდ, თუ რა სწრაფად და ადვილად ვრცელდებოდა ასეთი ცივილიზაცია, საყოველთაოდ არის ცნობილი. კეთილშობილთა ნახევარმა თავადის წოდება მიიღო, ამ გზით კი წარჩინება და ჯილდოები. მალე ყველასთვის გასაგები გახდა, რომ ახალი პირობები თავადაზნაურობას მძიმე მდგომარეობაში აყენებდა. ამ უკანასკნელმა, იმის მაგივრად, რომ თავისი მძიმე მდგომარეობა სოფლის მამულების კარგი დამუშავებით გამოესწორებინა, ქონების გაფლანგვას მიჰყო ხელი.

მე-18 საუკუნის ყოფასა და იმ მდგომარეობას შორის, რომელიც საქართველოში მე-19 საუკუნეში შეიქმნა, ფართო და ღრმა უფსკრული იყო. ცხოვრების ახალ სამეურნეო წესებზე გადასვლა თითო-ოროლამ შესძლო. მაგრამ მე მგონია, ეს მაინც ასე უნდა მომხდარიყო. ქართველ თავადაზნა-

ურობას არ აღმოაჩნდა ახალი ცხოვრებისათვის შესაფერი ბრძოლის უნარი, რამაც მისი სხეული დაარღვია. მეურნეობის საქმეში საკუთარი უძლურების შეგნებისა და დალუპვის შიშის გამო ბევრმა მათგანმა დროზე მიაშურა ცარიზმის საფარველს, უმეტესობამ ოფიცრობას მიჰყო ხელი, ქართველი თავადაზნაურობისთვის ეს მიმზიდველი საქმეც იყო. მცირეოდენი მათგანი კი მოხელეებად გადაიქცა. მათ შორის კერძო ინიციატივას —კერძო თაოსნობას იშვიათი გამონაკლისი თუ იჩენდა.

მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში ბევრი როდი იყო ისეთი მოღვაწე, რომელიც გამოირჩეოდა თავისი თვალსაჩინო ნიჭით. ნიკოლოზ ბარათაშვილმა ალექსანდრე ჭავჭავაძესთან ერთად მიხედა მშობლიურ ლიტერატურას. ბარათაშვილს, ბედისგან ხელმოცარულს, ღარიბსა და ავადმყოფ კაცს, სამშობლოს მომწყდარ პოეტს განჯაში პატარა მოხელის სახსარით გაჰქონდა თავი. ქართველი მგოსანი სამშობლოს მონატრული, იტანჯებოდა, მაშინ როდესაც ადრე კი ყმაწვილკაცობა თბილისში გაეტარებინა. ბარათაშვილი სულ სხვაგვარი ადამიანი იყო, ვიდრე ალექსანდრე ჭავჭავაძე; ეს უკანასკნელი თავის ცხოვრებითა და გარემოთი სავსებით კმაყოფილი ჩანს. აქ არის მათ შორის განმასხვავებელი ნიშანი. რაც შეეხება ორი მგოსნის პოეზიის არსს, პირველი — ჭავჭავაძე, თავისი დროის ღვიძლი შვილია, მეორემ კი — მე-19 საუკუნის პირველ ნახევარს გაუსწრო.

გიორგი ერისთავის კომედიები ამ დროის მხოლოდ ცალკეული დამახასიათებელი სურათების ამსახველია და არა ცხოვრების ფართო სურათებისა. ამიტომ ისინი იგივე ძალით მე-19 საუკუნის მეორე ნახევრისთვისაც გამოდგებიან მცირეოდენი გარეგნული სახის შეცვლით.

ზედაფენების უფერული ერთგვაროვნობის მიუხედავად, ქართველებს შორის ბევრი იყო ისეთი ახალგაზრდა, რომელიც კვლავ მტკიცედ ატარებდა ქართველთა სულისკვეთების ბეჭედს. ჩვენ არ ვიცნობთ მათ, მაგრამ განა საინტერესო არ არის, რაგვარი იყო მათი სიყვარული ან სიძულვილი, სიხარული და სევდა, რას მღეროდნენ და სხვა? ამის შესახებ ცოტა რამ დარჩა. ილია ჭავჭავაძემ იმ დროის დასახა-

სიათებლად ორი ტიპი შეჰქმნა: ლუარსაბი და დარეჯანი. მაგრამ მათ გარდა ხომ სხვებიც იყვნენ, რომლებიც მათ არა ჰგვანდნენ.

1840 და 1850 წლებს შუა ახალი ადამიანები გამოჩნდნენ, ახალი გარეგნობით, ახალი აზრებითა და ჩვეულებებით. მათი საქმიანობაც ახლებური იყო. როგორც ცნობილია, საქმიანობის ცვლილებასთან ერთად ადამიანის გარეგნული ცხოვრებაც იცვლება, შინაგანი მხარე ამ შემთხვევაში უფრო ჩამორჩება ხოლმე, ამ დროს ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების წარმომადგენლებად პირველად ოფიცრობა, მოხელეები და მასწავლებლები გვევლინებიან. გლეხობა კი ქალაქურ ცხოვრებას ჯერ კიდევ ცერად უყურებდა. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ქალაქის ხელოსნების ცხოვრებაში გლეხები გამოჩნდებიან. პირველად ისინი ქალაქის ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს არ თამაშობდნენ და ჩაიკარგნენ ქალაქის მასაში.

ჯერ კიდევ თვლემდა ქართველობა ახალ დროში. იმ ეპოქაში ორი მგოსანი გამოჩნდა, მათ კვლავ გამოაცოცხლეს ქართული პოეზია და მშობლიური ენისადმი სიყვარული იმდროინდელ ქართველობაში. ესენი იყვნენ გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანები. ამ ორი მგოსნის ნაწარმოებებმა დიდი როლი შეასრულეს, ბარათაშვილთან ერთად მათ ქვეყანას დაუმტკიცეს, რომ ქართველ ერში შემოქმედების უდიდესი ძალაა ჩამარხული, რომელიც ძლიერებით გადმოსკდა და მშვენების ნათელი მოჰფინა მთელ საქართველოს. მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ეს პოეტური ნაწარმოებები ქართველი ერის სიცოცხლის ერთ-ერთი სხივი იყო. ქართველებისათვის ამ სამ მგოსანს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. სამწერლო შემოქმედების წყურვილი ძლიერ გამოვლინდა. ბევრი ახალი მოთხრობა გამოჩნდა. მაგრამ მათ როგორც პირველ ცდებს, ნაკლოვანებაც თან სდევდა, რადგანაც მოთხრობა, როგორც შემოქმედების ახალი სახე, საქართველოში ჯერ კიდევ ახალი იყო. კარგი მოთხრობები ცხოვრების ამსახველ სურათებს უნდა შეიცავდნენ. თუ ეს ასეა, მათ ერის ზნეობრივი განვითარებისათვის ჭეშმარიტი მნიშვნელობა ენიჭება, მაგრამ თუ ეს მოთხრობები სინამდვილიდან

არ არდან აღებული და უბრალო ფანტაზიის ნაყოფია, მათ მხოლოდ თავის შექცევის მნიშვნელობა აქვთ. კითხვა ისმის: ქართულ პროზაში რომელი მწერლისადმი უფრო მეტ მიდრეკილებას იჩენენ ქართველები? ამ კითხვას შემდეგ დავუბრუნდები.

ვიდრე ილია ჭავჭავაძე თავის პირველ მოთხრობებს დაწერდა, რომლებმაც ქართველთა ზნეობრივ ცხოვრებაზე დიდი ზემოქმედება იქონიეს, ქართული თეატრი დაარსდა. გიორგი ერისთავმა დადგა თავისი ნამდვილი ქართული ხასიათის პირველი კომედიები. ეს იმ დროს მოხდენილი შერჩევა იყო: გიორგი ერისთავი მასალას თავისი დროის ქართული ცხოვრებიდან იღებდა. ერისთავი ღიდხანს ცხოვრობდა პოლონეთში, სადაც ის გაეცნო პოლონურ თეატრსა და ალექსანდრე ფრედროს (Fredro) კომედიებს, რომლებიც მაშინდელი პოლონური ცხოვრების სარკეს წარმოადგენდა. გიორგი ერისთავის დრამატულ თხზულებებს იმ დროს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. პირველად ეს კომედიები სცენისმოყვარეებმა გაითამაშეს, შემდეგ მათ ნამდვილი მსახიობები მოჰყვნენ. ეს კარგი ნიშანი იყო ქართული თეატრის მომავლისათვის, რომელიც ის-ის იყო ფეხს იდგამდა. ეს დაწესებულება დამოკიდებული იყო ქართველი ერის ახალი დროისათვის შესაფერის განვითარებაზე. 80-იან წლებში (დაარსებიდან 30 წლის შემდეგ) ქართული თეატრი თბილისში ჯერ კიდევ ღარიბი იყო რეპერტუარით, მაყურებლებითა და ქართველი ხალხის ნივთიერი დახმარებით. საუკეთესო, რაც კი მაშინ თეატრს გააჩნდა — მსახიობები იყვნენ. ვინც მათ თამაშს უყურებდა და მხედველობაში მიიღებდა, რომ ისინი პირველი მსახიობები იყვნენ, მალე რწმუნდებოდა, რომ ეს ადამიანები უჩვეულო, თანდაყოლილი ნიჭის პატრონები იყვნენ.

ამ საქმისათვის საუკეთესო დრო დადგა, როცა ქართული თეატრი ქართველთა ცხოვრების მნიშვნელოვან დაწესებულებად გადაიქცა, მაგრამ მისი რეპერტუარი მაინც ღარიბი იყო ქართული ორიგინალური ნაწარმოებებით.

1850 წლიდან ქართული თეატრის განვითარებაში ქალებს დიდი ღვაწლი მიუძღვით. მათ უთუოდ ბევრი რამ

ვაკეთეს თავისი სამშობლოს დრამატული და სასცენო ხელოვნებისათვის, სადაც მუდამ მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ. ქართველი მსახიობი ქალები მაშინაც კი, როცა დიდი ნიჭით არ გამოირჩევიან, მიმზიდველობის იშვიათ ძალას ავლენენ. გარეგნულად ისინი უმეტესად სასიამოვნონი არიან, ძლიერ ხშირად ლამაზებიც. ქართველმა ქალებმა სილამაზის მოხდენაც იციან. მოქცევის აღმგზნებ სურათად გარდაქცევის უნარი ყოველი მსახიობი ქალისთვის მნიშვნელოვანი მადლია. ქართველ ქალში ეს მოცემულია ბუნებრივად, ამიტომ არიან ისინი ასე მიმზიდველნი.

ქართულ სცენას დაარსებიდან მოჰყვა მთელი წყება ქართველი ქალებისა. ისინი სასიამოვნო თამაშით გამოირჩეოდნენ, ქართულ თეატრს უკვე ჰყავდა როგორც შესამჩნევი ნიჭის ტრაგიკოსები და სახასიათო როლების შემსრულებლები, ისე კომიკოსებიც. ეს იმას ამტკიცებს, რომ ქართულ ეროვნულ ხელოვნებას ამ დარგშიც დიდი მომავალი აქვს. ქართული ხელოვნების დედაბოძი მე-19 საუკუნეში მაინც წყობილსიტყვაობა იყო, რომელიც ახალი სულით აღივსო ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის მეოხებით.

ილია ჭავჭავაძეს ასპარეზზე გამოსვლისას, მიუხედავად იმისა, რომ ის ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო, უკვე თავისი ჩამოყალიბებული მსოფლმხედველობა ჰქონდა. სამშობლოს მდგომარეობამ ღრმად დააფიქრა, სამწერლო მოღვაწეობის დაწყებისას გულს მტკიცედ ჩაინერგა, რომ ნიჭი და შრომა თავისი ერის ამაღლებისათვის შეეწირა. იგი ნათლად ხედავდა თავისი დროის თავადაზნაურობის სამეურნეო და ზნეობრივი ცხოვრების დაცემას და გრძნობდა, რომ მამულის გამოცოცხლება გლეხის მდგომარეობის გაუმჯობესებაზეა დამოკიდებული. მისი მოთხრობები: „კაცია ადამიანი?!“, „გლახის ნაამბობი“ და „ოთარაანთ ქვრივი“ სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდნენ. მის მიერ ამ პირველი თხზულებების დაბეჭდვა მაშინ მეტად გაბედული ნაბიჯი იყო, რასაც, ალბათ, ილიას მეტი ვერავინ გაბედავდა. ილია ჭავჭავაძის გარშემო ახალგაზრდები შემოიკრიბნენ, ისინი ახალი სოციალური და კულტურული ნაკადის მეთაურები იყვნენ მე-19 საუკუნის დასასრულამდე, მანამდე, ვიდრე უფრო დემოკრატი-

ული მიმართულება გაძლიერდებოდა და ახალი ბელადები გამოჩნდებოდნენ.

თითქმის ამავე დროს გამოვიდა აკაკი წერეთელი ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე; თავისი სულიერი ცხოვრებით ილია ჭავჭავაძის გვერდით იდგა, მაგრამ ეს ორი მგოსანი სხვადასხვა მსოფლმხედველობისა იყო. ეს ხდებოდა, მაშინ, როდესაც დასავლეთ საქართველო მჭიდროდ უკავშირდებოდა აღმოსავლეთ საქართველოს. ამ დროს უკვე ამჩნევდნენ, რომ იმერეთი, გურია და სამეგრელო საუკუნოებრივი ძილისაგან გამოფხიზლებულიყო და ემზადებოდა ქართლთან მჭიდროდ გასაერთიანებლად. როცა ქართლელი გლეხი ჯერ კიდევ თავის მიწას ჩაკირკიტებდა, მრავალრიცხოვანი იმერელი გლეხი აღმოსავლეთში ჩამოვიდა, განსაკუთრებით თბილისში და ქალაქის მცხოვრები გახდა.

ეს მოძრაობა ძლიერ გაძლიერდა 1875 წლის შემდეგ. იგი გამოხატავდა აღმოსავლეთ საქართველოსთან სულიერად და კულტურულად მტკიცედ გაერთიანების სწრაფვას. იმავე დროს დასავლეთიდან მოაწყდა მებაღეთა, მზარეულთა, მსახურთა და სხვათა ნაკადი.

თუ რას მოასწავებდა აღმოსავლეთ საქართველოს ასეთი შევსება, ამას ილია ჭავჭავაძე წინასწარ ხედავდა. ამის შესახებ მან 1889 წელს შემდეგი განაცხადა: „ეს შევსება აღმოსავლეთ საქართველოსი ჩვენთვის სასარგებლოა, რადგანაც იმერლები მკვირცხლნი არიან და ისეთი თვისებები შემოაქვთ, რომელიც ჩვენ გვაკლია... ჩვენი ერი ამ ერთობას დროის განმავლობაში განამტკიცებსო“.

დასავლელთა შორის საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის ვარგისი ბევრი იყო. იმ ადამიანთა შორის, რომელთა გავლენა საქართველოზე ვრცელდებოდა, ყველაზე უნიჭიერესი და სულიერად ყველაზე მაღლა მდგომი, ეჭვს გარეშეა, ნიკო ნიკოლაძე იყო. ეს მაღალნიჭიერი, ჭკვიანი და ევროპულად განათლებული ადამიანი — პირველი ქართველი ჟურნალისტია, ევროპული მნიშვნელობით. ნიკო ნიკოლაძემ მრავალი ათეული წლის განმავლობაში თავისი ერის ბევრი მნიშვნე-

ლოვანი საკითხი გადაწყვიტა და ნათელი გონებით განსჯვრიტა.

გიორგი წერეთელმა, როგორც მწერალმა და ჟურნალისტმა, მოღვაწეობა იმავე დროს დაიწყო. ლიტერატურაში მან დემოკრატიული კილო შემოიტანა. დემოკრატიული სული უკვე დიდი ხანია იყო დასავლეთის ქართველთა გულში ჩაშარხული.

გიორგი წერეთელი მკვირცხლი კალმოსანი იყო. ამ ჟურნალისტმა თავის დროზე დიდი სიცოცხლე შემოიტანა ქართულ ლიტერატურულ ცხოვრებაში. ის ლიტერატურული მანერა, რაც მან აირჩია, ახალი აღარ იყო საქართველოში. ქართველ მწერლებში ამ დროს ბევრნი ისეთებიც იყვნენ, რომელთა ქართული ცხოვრებიდან აღებული სურათების თემა გლეხთა ცხოვრებას და ზნე-ჩვეულებას ეხებოდა. ეჭვს გარეშეა, პროზაულ ლიტერატურას დიდი მნიშვნელობა აქვს ყოველი კულტურული ერისათვის.

თუ მე-19 საუკუნის ქართულ ცხოვრებას განვიხილავთ, დავინახავთ, რა სისწრაფით იცვლებოდა ზნე-ჩვეულებები, შეხედულებანი და მასთან ერთად ზოგიერთი სხვა მხარეც. მე-18 საუკუნესთან შედარებით, მე-19 საუკუნე სწრაფი ცვლილებების ხანა იყო. სიახლის ეს ძიება მე-18 საუკუნის შეორე ნახევრის ქართველებისათვის სრულიად უცნობი იყო. ცვლილებები ამ ეპოქაში მეტად ზანტად მიმდინარეობდა და თუ კი ასეთს ადგილი ჰქონდა, ეს გარეგანი ზეგავლენის შედეგად იყო გამოწვეული.

იმ ცვლილებათა შორის უდიდესი და უმნიშვნელოვანესი, რაც კი მოხდა მე-19 საუკუნეში, ევროპული ცივილიზაციის შემოჭრამ გამოიწვია. ამ ახალმა მოვლენამ მრავალგვარი სიამე, მოხერხებულობა და ცხოვრების შემსუბუქება მოიტანა. მაგრამ, სამაგიეროდ, ის შრომას მოითხოვდა იმისაგან, ვისაც თავისი საჩუქრებით აჯილდოებდა.

1875 წლამდე ქართველებში ცოტა იყო ექიმი, იურისტი, მხატვარი, მუსიკოსი, ინჟინერი, ტექნიკოსი, კარგი ხელოსანი და სხვა, მაგრამ საუკუნის მიწურულში მათი რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა.

1880—1890 წლებში თბილისისა და ბათუმის მოსახლე-

ობა მცირე იყო. 1900 წლის შემდეგ მეტად გაიზარდა ქალაქები: ხაშური, ზესტაფონი, ჭიათურა, ქუთაისი, სოხუმი და ფოთი. ყველა ესენი მომაგრებას იწყებენ და წმინდა ქართულ ქალაქებად იქცევიან.

1892 წელს, დასავლეთ ევროპაში სამი წლის მოგზაურობის შემდეგ, როცა ისევ თბილისში დავბრუნდი და ქართულ თეატრს ვესტუმრე, დავინახე, რომ ის სავსე იყო მაყურებლებით. მათი სახეები ჩემთვის მეტწილად უცნობი იყო. ხუთი-ექვსი წლის წინათ ძველი პატარა თეატრი ხშირად სანახევროდ ცარიელი იყო ხოლმე. ახლა კი ახალი მაყურებლები და ახალი მსახიობები ვიხილე. ევროპული ცივილიზაციის შემოჭრამ საქართველოში არა მარტო მატერიალური გარდატეხა მოიტანა, არამედ მორალურიც.

როგორ ვითარდებოდა ქართველი გლეხის ცხოვრება ბატონყმობისაგან განთავისუფლების შემდგომ? ცარიზმი სოფლის მეურნეობის ამაღლებისათვის სრულიადაც არ ზრუნავდა. მის დროს სასოფლო-სამეურნეო სკოლებსაც არ მოჰქონდა სარგებლობა. ყველაფერი ეს მოსახლეობის საერთო წინსვლას ძალიან აფერხებდა.

როგორი იყო ქართველი საზოგადოების სულიერი ცხოვრება? ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის დამდეგს მისი ყურადღება სერიოზულად მიპყრობილი იყო თავაშვებულობის პროცესის შესაჩერებლად. პირველად ქართული კულტურის გამოცოცხლებისა და მისი განვითარებისათვის საჭირო მასალის შექმნის ცდა მიმდინარეობდა. მაგრამ ეს ჯერ კიდევ სუსტი და მკრთალი იყო. თუ თვალს გადავავლებთ იმ პირველ მოღვაწეთა დაუცხრომელ ნებისყოფასა და სურვილს, შრომის უშრეტ ძალასა და იმედს, განცვიფრებული დავრჩებით. ივანე კერესელიძე, სერგეი მესხი და სხვები ქართული ჟურნალისტიკის ნამდვილი დამაარსებლები იყვნენ. დღეს მათ შორიდან ვუყურებთ და ამიტომ მოსალოდნელია ეს ადამიანები ბუმბერაზებად არ მოჩანდნენ, რაკი მათი მძიმე შრომა ჩვენთვის ჯერ კიდევ უცნობია. ისინი თითქმის მარტოხელებიც კი იყვნენ, არავითარი სახსარი არ გააჩნდათ.

ამასთან შედარებით პოეტებისა და პროზაიკოსების მო-

ღვაწეობა უფრო ადვილი იყო. ისინი მაშინ წერდნენ, როცა მოესურვებოდათ. მათი წრე უწყვეტლად იზრდებოდა. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში კი მათ დიდი დამსახურება მიუძღვით. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ქართული ლიტერატურა გაამდიდრეს, მეორეც იმიტომ, რომ თანამემამულეთა შორის ცოდნის წყურვილი და კითხვის ხალისი გააღვივეს. ყოველივე ეს მძიმე და ძნელად შესასრულებელ შრომას მოითხოვდა. ამან ფუჭად არ ჩაიარა და თავისი ნაყოფიც გამოიღო.

ქართველ პოეტთაგან განსაკუთრებით ორი გამოირჩეოდა, რომლებმაც საზოგადოებაში გამოსვლისთანავე მკითხველის ყურადღება მიიქციეს. მათ ქართულ პოეზიაში ახალი ქვეყანა, სახელდობრ, გლეხთა ცხოვრება შემოიტანეს. ესენი იყვნენ რაფიელ ერისთავი და ვაჟა-ფშაველა. რაფიელი, როგორც პოეტი, შედარებით სუსტი იყო, მაგრამ საჭირბოროტო საკითხებზე წერდა. ვაჟამ კი არა მხოლოდ ახალი ქვეყანა გადაშალა, არამედ ახალი პოეზიაც შექმნა. იგი ილიასა და აკაკის გვერდით დგას, თუმცა მათ სრულებით არა ჰგავს. ეს მგოსანი ქართული ხელოვნების სულის განსახიერებული გენიოსია. მის თხზულებებში ყველაფერი ქართულია და მხოლოდ ქართული. მან არ იცის მეთოდები, არ იცის ევრეთწოდებული „იზმები", კოჭლ მგოსანთა ეს ყავარჯენი, მან არც „მიმართულებანი" იცის, არც რეცეპტები, იგი ვაჟა-ფშაველაა, განუმეორებელი.

დასახელებულ მგოსანთა გარდა მე-19 საუკუნეში სხვაც ბევრი ყოფილა, ქართველი ერისათვის გრძნობა და აზრები ლექსებად გარდუქმნიათ და მკითხველთათვის მრავალი სასიამოვნო ან სევდიანი წუთები განუცდევინებიათ. მაგრამ ღრმად შეიჭრნენ კი იმათი ლექსები ხალხში, ღრმად გაიმსჭვალნენ კი მის სულსა და გულში, როგორც ვაჟას, აკაკის, ილიას და ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსები?

ლიტერატურის სიმდიდრეს სხვადასხვა ყაიდის თხზულებათა სიმრავლე კი არ ჰქმნის, არამედ ის რჩეული თხზულებები, რომელნიც მუდამ იცოცხლებენ. ყოველი კულტურული ერის სულიერი სალაროს ასეთი რჩეული თხზულებანი კაცობრიობის კულტურის ქვაკუთხედია.

ჩემს განხილვაში ბევრი ისეთი პიროვნებაც გამოეტოვე, რომლებსაც ღვაწლი მიუძღვით მე-19 საუკუნის ქართული კულტურის აღმავლობაში. ამ ვრცელი დროის მანძილზე ქალების როლი ნაკლებად დაფასდა. ქართველმა ქალებმა თანდათან იწყეს გამოსვლა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ქართველი ქალები სასიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებდნენ საერთოდ. თავი ზრდილად და თავაზიანად ეჭირათ, უცხოელი მნახველი მათში კეთილშობილი ერის ასულებს შეიცნობდა, ძველი კულტურის ერის შვილებს. დიახ, მათი კულტურა იყო ძველი და ასე გასინჯეთ, უძველესიც კი, და უცხოელი, რომელიც არ იცნობდა ძველს კულტურას და ზერელედ ჰქონდა შეთვისებული ახალი ევროპული კულტურა, ნაკლები პატივისცემით ეპყრობოდა ტურფასა და სანაქებო ქართველ ქალებს. მე-19 საუკუნის მეორე ნახევრამდე ევროპაში არა იცოდნენ რა ქართველი ქალების შესახებ, ევროპიელებს მხოლოდ მათი მშვენება გაეგოთ.

1875 წლიდან პირველი მწერალი ქალებიც გამოჩნდნენ, მათ არა მხოლოდ ლიტერატურული თხზულებანი შექმნეს, არამედ საფუძველიც ჩაუყარეს ქართველ ქალთა მომავალ მუშაობას.

მე ქართველ ქალებს დიდ პატივსა ვცემ და ვისურვებდი, რომ ისინი საზოგადოებრივ ცხოვრებაში სასარგებლო გარჯით ცნობილი გამხდარიყვნენ. ბევრმა მათგანმა ეს ლიტერატურაში უკვე შეასრულა, მაგრამ მათი რიცხვი მცირეა.

მე-19 საუკუნის სულიერ ცხოვრებაში ქალთა მონაწილეობა ჯერ სრულიად უმნიშვნელო იყო. წინსვლა მხოლოდ მამაკაცთა მიერ იყო დაწყებული და განგრძობილი. ილია ჭავჭავაძის მოთხრობების გამოსვლამ ქართულ ცხოვრებას დიდი სვე და კვალი დააჩნია და გლეხის უფლებების საკითხი მნიშვნელოვან სიმაღლეზე აიყვანა. ილია ჭავჭავაძის უმეტესი თანამოკალმენი სოციალური მოძრაობის პირველი პიონერები იყვნენ.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარი ქართველებისათვის მძიმე იყო, მაგრამ ამავე დროს, ეს იყო განვითარების უწყვე-

ტი პერიოდი. მისი მსვლელობა ისეთივე იყო, როგორც სხვა ქვეყნებში.

იმ დიდი მასისაგან, რომელიც მამა-პაპათაგან დატოვებული კულტურით ცხოვრობდა, თანდათან გამოეყო პიროვნებები, რომლებსაც ახალი დროის ქართული კულტურა უნდა შეექმნათ. ისინი პირველად მასწავლებლები და მწერლები იყვნენ. ილიასთან და აკაკისთან თითქმის ერთდროულად იაკობ გოგებაშვილი და ნიკო ცხვედაძე გამოჩნდნენ. ეს უბრალო ადამიანები, რომელთაც თავისი ერის განათლების მოგვარების გარდა სხვა საზრუნავი არაფერი გააჩნდათ. ორივე მტკიცე ხასიათისა და პრინციპების მქონე მოღვაწე იყო, ორი ბეჯითი მშრომელი. მთელი მათი მოღვაწეობა ქართული სკოლისაკენ და ქართული ენის შენარჩუნებისაკენ იყო მიმართული. გოგებაშვილი და ცხვედაძე არიან ახალი დროის ქართველი მასწავლებლების მამამთავრები. იმ დროს, როცა უკვე ბევრი მისდევდა მათ მაგალითს, მასწავლებლებისაგან ერთი ახალი, თავისებური წოდება შექმნეს. ზოგი მათგანი ლიტერატურაშიც მოღვაწეობდა, საგაზეთო წერილებსა და წიგნებს წერდა. დღეს თუ ბევრი გაწეული შრომა და შედეგი დავიწყებას არის მიცემული, თავის დროზე დიდი სარგებლობა მოუტანია. ეს ჯაფა და ნაყოფი მომავლის თესლი იყო და, რა თქმა უნდა, დიდი როლი შეასრულა.

იმ დროს სულიერი კულტურის უფრო მეტი მუშაკი მოიძებნებოდა და უფრო მეტი მშენებელი ახალი ქართული ცხოვრების კულტურის, ისინი ახალი ტალღის გავლენით თანდათან უფრო სწრაფად ვითარდებოდნენ. დიახ, რაც ხანი მიდიოდა, მით უფრო ინტენსიური იყო მუშაობა და მით უფრო დიდი იყო მისი ნაყოფი.

ქართველი პედაგოგების ეს საქმიანობა დიდ სკოლას დაემსგავსა, რომლის განუხრელი მიზანი და საქმიანობა ფართო განათლება იყო. უსაჭიროესი მასალა ტექნიკისა და მეცნიერების დარგში საზღვარგარეთიდან უნდა შემოეტანათ და ამას სწავლით მიაღწიეს. სწავლა-განათლებისადმი სწრაფვა უკვე ბევრი ქართველი ინტელიგენტის ძვალ-რბილში გამჯდარიყო. რატომღაც უცხო ტომის მასწავლებლები ქართველ მოწაფეებს ვერ აფასებდნენ. არც ერთ უცხოელს

არ წაეკითხა უმნიშვნელოვანეს ქართველ პოეტთა თხზულებანი.

მე-20 საუკუნის დამდეგს საქართველოში უკვე ბევრი ისეთი სწავლული მოსაქმე გამოჩნდა, რომლებმაც ძალუმად აამოძრავეს ქვეყნის საერთო ცხოვრება. ამ ახალი მოძრაობის შემდგომი განვითარება მე-20 საუკუნეს ეკუთვნის. ჩემი მიმოხილვა სწორედ ამიტომ აქამდე მოდის. რაკი ჩემი დახასიათება მე-19 საუკუნის ქართველთა ჯერ კიდევ არ არის სრული, ისევ მას დავუბრუნდები...

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ორი სახე ჰქონდა: ერთი მხიარული, მეორე კი დარბაისლური.

ამ საუკუნის პირველი ნახევრის შემდეგ ცხოვრება ოდნავ მიწყნარდა, რასაც მატერიალური და მორალური საფუძველიც ჰქონდა. ერთის მხრივ, თავადაზნაურობა, რომელიც იმ დროს ქართულ ცხოვრებაში ჯერ კიდევ ბატონობდა, უკვე მნიშვნელოვნად გაღარიბდა და იძულებული იყო თავისი სარჩო სახელმწიფო სამსახურში ეძებნა. მეორეს მხრივ ბევრი იყო ისეთი, რომელიც თავიანთი ერის მდგომარეობას უფრო საღი და სერიოზული თვალით სჭვრეტდა, ასე რომ ქართველი ერი ორ პარტიად იყო გაყოფილი. უმრავლესობა სერიოზული მისწრაფებებით ნაკლებად იწუხებდა თავს; მეორენი კი ისეთებისაგან შედგებოდა, რომელსაც ერის ბედი და იღბალი გულსა ხვდებოდა და მისი წინსვლისათვის ზრუნავდა.

ისინი, ვინც 1875 წლის შემდგომ ახალი კულტურული საქმიანობის უდიდესი ნაწილი დაასრულეს და ახალი ქართული ცხოვრებისათვის საძირკველი ჩაყარეს — მასწავლებლები, ჟურნალისტები, მწერლები, ექიმები, ინჟინრები, ხელოსნები, სოფლის მეურნე და სხვები იყვნენ. მაგრამ მათი რიცხვი საუკუნის დასაწყისში დიდი არ იყო. ამას მოსდევს შემდეგ (80—90-იან წლებში. თ. ფ.) სოციალური მოძრაობის ზრდა. მუშები და გლეხები ქართული ცხოვრებიდან მეტ შინაარსს მოითხოვდნენ. მაგრამ ამ საქმეს წინ ბევრი დაბრკოლება ეღობებოდა. მწერლებმა: დავითაშვილმა, ნინოშვილმა და სხვებმა, რომლებსაც საკუთარ თავზე გადაეტანათ სიღატაკე, ხმა აღიმაღლეს ძმათა დასაცავად. თანდა-

თან იზრდებოდა იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც მშრომელი კლასის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის იბრძოდნენ.

ამასთან ერთად ქართველთა შორის ეროვნული თვითშეგნება გაძლიერდა. ამის მაჩვენებელი იყო, ჯერ ერთი, პოეტ ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენება დიდუბეში (1893 წ. თ. ფ.) და შემდეგ პოეტ რაფიელ ერისთავის იუბილე (1895 წ. თ. ფ.), რომელსაც მთელი საქართველოს ურიცხვი წარმომადგენელი დაესწრო. ვინც ეს ორი დიდებული შეკრებილობა იხილა, დარწმუნდებოდა ქართველი ერის მოღონიერებაში და სასოებით გახედავდა მომავალს.

ჩემი მიმოხილვა (რომელიც 1900 წლამდე დროს შეეხება) ქართველი ერის ბედ-იღბლის ისტორია კი არ არის, არამედ მის შვილთა მოკლე დახასიათება.

რუსული გავლენა საქართველოში მე-19 საუკუნეში შემოიჭრა, ამ საუკუნის მეორე ნახევარში კი დასავლეთ ევროპულიც და ქართულ ცხოვრებას ახალი მიმართულება მიეცა. ეს მოხდა სამოციანი წლების რუს მწერალთა პროგრესული მოძრაობის წყალობით.

ბევრი ზრუნავდა ქართველი ერის ცხოვრების ახალი კულტურით გამდიდრებისათვის. თუმცა ისინი კარგა ხანია გაქრნენ, მაგრამ დიდია მათი მემკვიდრეობა.

მე-19 საუკუნის ლიტერატურის წამყვანი დარგი პოეზია იყო. პოეზია ქართულ ლიტერატურაში ყურადსაღებ სიმაღლემდე ავიდა და ევროპაში პირველად გააღვიძა ინტერესი ქართველებისადმი. ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გრიგოლ ორბელიანი და ვაჟა-ფშაველა, ქართული დიდების პირველი დამფუძნებელნი არიან ევროპაში და კვლავაც იქნებიან საქართველოს დიდების გამასხივოსნებელნი. ეჭვს გარეშეა, პოეტური შთაგონება და პოეტური მადლი ქართველთა შორის ხშირი მოვლენაა და ის არც მომავალში გაქრება.

პოეზიას გვერდში უდგას პროზაც, რომელშიაც ყაზბეგმა, კლდიაშვილმა, არაგვისპირელმა და სხვ. თავისებური ტალანტი გამოაჩინეს და შექმნეს ორიგინალური თხზულებანი. მათი ნაწარმოებები ქართული პროზისათვის მნიშვნელოვა-

ნია, მაგრამ უცხოეთში მათი პოპულარიზაციისათვის ჯერ კიდევ ვერ ჩაითვლება უმაღლესი ხელოვნების ნიმუშად.

რომანისა თუ მოთხრობის მწერალმა ჩვეულებრივ ცხოვრებაში თავისებური, კაცთა შორის ტიპიური უნდა იპოვოს და შესძლოს მისი თავისებურად დახატვა. ქართველი ერი მდიდარია ტიპიური სახეებით და ეს მდიდარი მასალა თვითონ წარმოშობს თავის ხელოვანს.

პროზის მშვენიერი სანელებელია იუმორი. ეს ქართველებს არ აკლიათ. ნამდვილი იუმორისტი ჩვეულებრივად დინჯია, ქართველები კი ფრანგებივით, უმეტესად მხიარული და მკვირცხლი არიან.

ქართველებს შეუძლიათ თქვან, რომ ისინი იუმორის განძის მქონენი არიან, მაგრამ ეს სიმდიდრე მრავალ პატარა უმნიშვნელო რამისათვის იხარჯება, ქუცმაცდება და იკარგება.

რა თქმა უნდა, გადაჭარბებული არ იქნება, თუ ქართველებს ბრწყინვალე მომავალს ვუწინასწარმეტყველებთ ხელოვნების შემდეგ დარგებში: მხატვრობასა, მუსიკასა და საზიობაში.

მხატვრობაში ქართველებმა უკვე განვლეს საკუთარი სკოლის შექმნის მძიმე წლები. ნიჭი, რომელიც მიძინებული იყო, ახლა იფურჩქნება და უფრო ძლიერად იჭრება ცხოვრებაში. გიგო გაბაშვილს, ახალი ქართული მხატვრობის დამფუძნებელს და ძველ ოსტატს, ორმოცდაათი წლის განმავლობაში შესაძლებლობა რომ ჰქონოდა ქართველი მხატვრების შემოქმედების განვითარებისათვის მიეხედა, დაინახავდა, რომ მისი პირველი ნაბიჯები ქართული ბუნებასა და თავისებურებათა ძიებაში სწორი იყო. ეს ქართველ ხელოვნებს იმ გზას უხსნიდა, სადაც ისინი დიდი სახელის მოხვეჭას შესძლებდნენ.

„ქართული მუსიკა?“—მკითხავენ ბევრნი. ჩემი, აზრით ქართულ ხელოვნებაში მუსიკა უმდიდრეს განძს წარმოადგენს...

ქართველები უკვე შორეულ საუკუნეებშიაც ესწრაფოდნენ სიმღერას, მუსიკას.

ტონების მელოდიურ ნაწარმოებად გარდაქმნის შესაფერი მუსიკალური გრძნობა და ნიჭი ქართველებში უკანასკნელი ოცდაათი წლის განმავლობაში მძლავრად განვითარდა, იგი

ბევრად უფრო სწრაფად შემოიჭრა, ვიდრე მოსალოდნელი იყო.

რაც შეეხება ქართული მუსიკის ხასიათს, ის ლირიკულია და იტალიურ მუსიკასავით ლირიკულადვე დარჩება; ეს შეიძლება ფსიქოლოგიურადაც ავხსნათ: ქართველები თავისთავად ლირიკული ბუნებისანი არიან.

ასეთი იყო ილია ჭავჭავაძის შეხედულებაც, მასაც სწამდა ქართველი ერის ნიჭი ხელოვნებაში და დღეს, მისი სიკვდილიდან ცხრამეტი წლის შემდეგ, ამ რწმენამ კიდევ უფრო მეტი გამართლება ჰპოვა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სხვებთან ერთად მეც მწამს, რომ ქართველები ხელოვნებაში უფრო შორს წავლენ, არა მარტო მხატვრობასა და მუსიკაში, არამედ პოეზიაშიც. მაგრამ არც მეცნიერება მოუხვეჭს ქართველებს ნაკლებ სახელს, რადგან ისინი ინტელიგენტი, სულიერად მკვირცხლნი და ნიჭით დაჯილდოებულნი არიან. ქართველობა, როგორც კულტურული ერი, სულ მალე, რამდენიმე ათეულ წელში საპატიო ადგილს დაიჭერს თანამედროვე დაწინაურებულ ევროპული ერების გვერდით.

აქ დავასრულებ ჩემს მიმოხილვას და ქართველებს ვუსურვებ, ასულიყვნენ საკაცობრიო კულტურის ასპარეზზე. თუმცა მწამს, რომ ხელოვნებაში ისინი უეჭველად უფრო მაღლა ავლენ, ვიდრე სხვა ევროპული ერები.

მეცნიერებანი

(წიგნიდან „Das georgische Volk“)

მეცნიერული მოღვაწეობა ქართველი ხალხისა ჯერ კიდევ არ გაშლილა მთელი ძალით. ამ ორმოცდაათი წლის წინ, როდესაც ამ ერმა ახალი გონებრივი ცხოვრებისაკენ გზის გაკაფვა დაიწყო, იგი მოკლებული იყო ყოველგვარ საშუალებას და საშუალო განათლებისათვის აუცილებელი სასკოლო სახელმძღვანელოებიც კი არ გააჩნდა. სკოლებში რუსული ენის შემოღებამ ახალგაზრდობის განათლებას რუსული

ლაღი დაასვა და საკუთარი მეცნიერული მოღვაწეობის გაშ-
ლა ქართველებისათვის გაძნელდა. რუსი მთარგმნელობითი
ლიტერატურა საშუალებას აძლევს მათ, გაეცნონ დასავლეთ
ევროპის ხალხთა მიღწევებს მეცნიერებაში. მათი კონტაქტი
სხვა კულტურულ ერებთან უაღრესად ფცირე მასშტაბისაა...
გერმანული ან ფრანგული ენა საფუძვლიანად ბევრმა არ
იცის.

ქართველები, სომეხთაგან განსხვავებით, მსოფლიო მოქა-
ლაქენი არ არიან, ისინი უფრო მჭიდროდ არიან დაკავშირე-
ბული სამშობლოსთან. მუდამ უხალისოდ სტოვებენ მას და
ძნელად ითვისებენ უცხო ხასიათს, რასაც ამ ხალხისათვის
ერთგვარი სარგებლობაც მოაქვს... მათი დამოუკიდებელი
მეცნიერული მოღვაწეობა დღემდე შემოსაზღვრულია ისტო-
რიითა და საკუთარი ხალხის ეთნოგრაფიით. ამ დარგებში
განსაკუთრებით უკანასკნელი წლების განმავლობაში, მნიშ-
ვნელოვან პროგრესს მიაღწიეს.

საქართველოს ისტორია, რომლის წყაროების შესახებაც
მე ზოგი რამ შევნიშნე განყოფილებაში — „კულტურული
ცხოვრება", მრავალი თვალსაზრისით ბუნდოვანი, არა ზუსტი
და ბნელიც კი არის. მისი საბოლოო კვლევა ჯერ კიდევ ხან-
გრძლივსა და დაუღალავ შრომას მოითხოვს. საქართველოს
ისტორიის კვლევის ფუძემდებელი იყო ფრანგი — პეტერ-
ბურგის აკადემიის წევრი მარი ბროსე, რომელმაც მთელი
სიცოცხლე საქართველოს ისტორიის შესწავლას მოანდომა
და შექმნა საფუძველი მუშაობის შემდგომი გაშლისათვის.
ესი მთავარი ნაშრომია იმ დროისათვის თითქმის ყველა ცნო-
ბილი ქრონიკის თარგმანი, რომელიც გამოვიდა 1849 წელს
პეტერბურგში სათაურით — „საქართველოს ისტორია"
(Histoire de la Georgie"). ამას მოჰყვა შემავსებელი
და კრიტიკული შრომები: „Additions et eclaircissements,"
Introduction à l'histoire de la Georgie და სხვა. დამსახურება,
რომელიც მიუძღვის ბროსეს საქართველოს ისტორიის კვლე-
ვის სფეროში, ფასდაუდებელია, და თუმცა მას ნაკლოვანე-
ბებიც გააჩნია, ერთი რამ კი ცხადია — ეს კვლევა საქართ-
ველოს წარსულისა, საქმიანი და ღრმად მეცნიერულია. ქარ-
თველი ხალხის არსებაში ბროსე ვერ შეიჭრა, მას თითქოს

არ ჰქონდა ხალხის ფსიქოლოგიის გაგების უნარი და თარიღებითა და სრულიად უმნიშვნელო პირთა კვლევით გართული ივიწყებდა ერის კულტურის შესწავლის საჭიროებას. იგი ძველი სკოლის დიდი მეცნიერი იყო, რომლისთვისაც წყაროების შემოწმება, მოვლენათა დადგენა და მათ გამოშვევ ფაქტორთა ზუსტი დეგიტიმაცია მთავარ საქმეს წარმოადგენდა.

ქართველი ხალხის ისტორიის ის მხარე, რომელსაც ბროსე არ შეხებია, სულ უფრო და უფრო მეტ ყურადღებას იპყრობს. ქართველი მწერლები დღეს ბროსეზე უკეთ წერენ.

უკვე ბროსეს თანამედროვე პლატონ იოსელიანი (1810—1875) ბეჯითად მუშაობდა სიძველეთა მეცნიერების დარგში. ამასთან, იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა საეკლესიო ამბებს, მან აღწერა, სხვათა შორის, მრავალრიცხოვანი ქართული მონასტრები და დაწერა — „საქართველოს ეკლესიის ისტორია". პლატონ იოსელიანის რუსულ ენაზე გამოქვეყნებულ შრომებში ფასეულია მხოლოდ აღებული მასალა. რაც შეეხება მის შეხედულებებს, ისინი ყოველგვარი კრიტიკის გარეშე დგანან და სხვას არაფერს წარმოადგენენ, თუ არა ფანტაზიის ნაყოფს.

უფრო სერიოზული მკვლევარი იყო დიმიტრი ბაქრაძე (1828—1890), რომელიც საქართველოს სიძველეებს იკვლევდა. მან დაწერა „საქართველოს ისტორია", გამოსცა ვახუშტი ბატონიშვილის „საქართველოს ისტორია", გარდა ამისა, დაწერა მრავალრიცხოვანი შრომები კავკასიისა და თავისი კუთხის ისტორიიდან და სიძველეთმცოდნეობიდან.

ცალკეული პერიოდების კულტურის ისტორიას მიუძღვნა ნიკო ხიზანიშვილმა (ურბნელმა) თავისი საფუძვლიანი შრომები „დავით აღმაშენებელი", „გიორგი ბრწყინვალე" და სხვ., აქვე შეეხო ქართული სამართლის წარმოშობას. ნაშრომებში იგი შეეცადა დაესაბუთებინა ბიზანტიურ, არაბულ და სპარსულ კულტურათა გავლენა თავისი ხალხის განვითარებაზე, ამ ბილიკით მიჰყვება იგი ნაციონალური ცხოვრების განვითარებას. ღირსშესანიშნავია თაყაიშვილის შიერ კრიტიკულად გამოცემული ქრონიკების ტექსტები. როგორც ბიზანტიური ისტორიის კარგი მცოდნე, თაყაიშვი-

ლი ცდილობს დაადგინოს ბერძნული გავლენის მნიშვნელობა; თედო ჟორდანიაც აგრეთვე სცემს ძველ ქრონიკებს და სხვა ისტორიულ წყაროებს, ხოლო ჯანაშვილი თავის მრავალრიცხოვან შრომებში აღწერს სხვადასხვა დროის კულტურულ ცხოვრებასა და ლიტერატურას...

ქართული ლიტერატურის ისტორია პირველად მეცნიერულად გამოიკვლია ალექსანდრე ცაგარელმა, პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართული ენის პროფესორმა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი შრომები შუა საუკუნეების საქართველოს ლიტერატურული ძეგლების შესახებ. თავისი შრომებით ცაგარელმა ბიძგი მისცა ქართული ეკლესიის ისტორიის კვლევის განვითარებას. დიდი ღირებულებისაა ნ. მარის ლიტერატურულ-ისტორიული გამოკვლევები, თუმცა მათ ცალმხრივი ფილოლოგიური ხასიათი აქვთ, რაც საყოველთაო ინტერესის გამოწვევას ხელს უშლის.

მეტად მნიშვნელოვანია ჯერ კიდევ ახალგაზრდა ალექსანდრე ხახანაშვილის შრომები. იგი ყველაზე უფრო გამრჯე და პროდუქტიული ქართველი მეცნიერია თანამედროვეთა შორის. მისი შრომები შეეხება არა მარტო ქართულ ლიტერატურას, არამედ ეთნოგრაფიას, მითოლოგიასა და ხალხურ პოეზიას. ამ გაფანტულობის გამო მისი თხზულებები ნაჩქარევია და სრულყოფილება აკლია. სასურველი იქნებოდა, რომ მრავლისმცოდნე მკვლევარი თავისი მოღვაწეობის დარგს უფრო ვიწრო საზღვრებს მოუნახავდეს. ხახანაშვილის მთავარი ნაშრომი არის ამ წიგნში მრავალჯერ დასახელებული „ქართული ლიტერატურის ისტორია", რომელიც მან რუსულად დაწერა; მასში მასალის სიუხვის მიუხედავად, საკმაოდ თანმიმდევრულად და ნათლად არ არის მოცემული კულტურული და სულიერი ცხოვრების განვითარება.

ხახანაშვილი ქართული სიძველეთმცოდნეობის სხვა დარგებშიც მუშაობს და, უნდა ითქვას, ყველა საკითხი, რომელსაც კი იგი ხელს ჰკიდებს, კარგ განმარტებას და ახსნას პოულობს. საყურადღებოა ხახანაშვილის შტუდიები ქართულ მითოლოგიასა და პოეზიაში. ზოგიერთი მათგანი ეხება საკუთრივ ეთნოგრაფიას, რაც უკანასკნელი ორი ათეული

წლის განმავლობაში მრავალი მწერლის: ურბნელის (ნიკო ხიზანიშვილის), რაფიელ ერისთავის, პეტრე უმიკაშვილის, აღნიაშვილის, როსტომაშვილის, სახოკიას, რაზიკაშვილისა და ნიჟარაძის მიერ იყო დამუშავებული. ამ შრომების უმრავლესობაში ჩანს აღწერილი კუთხეების საფუძვლიანი ცოდნა და მასალები, რომლებიც უკანასკნელ ხანს ქართულ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნდა და აუცილებლად საჭიროა ქართველი ხალხის ყველა მკვლევარისათვის. ამ წყაროების უხვად და ეფექტურად გამოყენების გარეშე შეუძლებელია სწორი წარმოდგენა შეიქმნას ქართველ ხალხზე. მწერლები, რომლებმაც ქართული ენა არ იციან, ამას ვერ შესძლებენ. მაგრამ სამწუხაროდ ჯერ კიდევ ბევრია ისეთი ავტორების შრომები, რომლებმაც ეს ენა არ იციან და საქართველოს შესახებ წერენ მეორე ან მესამე პირის გადმოცემით და ათ ასეთ წიგნს მეთერთმეტეს უმატებენ.

ჯერ კიდევ ღარიბულად გამოიყურება ქართული ენის კვლევის სფერო. ზოგიერთი ევროპელი მეცნიერი, რომელიც ამ ენაზე მუშაობს, თავის კვლევა-ძიებაში შორს ვერ წავიდა და ქართული ენის წესების დადგენაში ცოტა რამ გააკეთა. ჰუგო შუხარტი, რომლისაგანაც ბევრს ველოდით, ქართულ ენას მხოლოდ სხვათა შორის სწავლობდა, ისე რომ, ჭეშმარიტი მარცვალი ამ საქმისა, სახელდობრ, რთული ზმნა ჯერ კიდევ შეუსწავლელი დარჩა. ქართველთაგან ენის კვლევის დარგში ყველაზე მეტი გააკეთეს დ. ჩუბინაშვილმა და ალ. ცაგარელმა. პირველმა შეადგინა დღემდე სრულყოფილად მიჩნეული ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული ლექსიკონი, ხოლო ალ. ცაგარელმა გამოსცა გამოკვლევები მეგრული დიალექტის შესახებ და ძველი ტექსტები კომენტარებით. მეგრულ დიალექტს იკვლევდა აგრეთვე ჭარაია, სერებრიაკოვი, დოდაშვილი, დ. ყიფიანი, ქუთათელაძე, თ. ჟორდანია და სხვები. ისინი ქართულ ენას იკვლევდნენ ზოგადად, მათ ვერ შესძლეს ნათელი მოეფინათ ზოგიერთი ბუნდოვანი საკითხისათვის.

საბავშვო ლიტერატურა

საბავშვო ლიტერატურა, რომლის მნიშვნელობა მშობლიური ენის სიწმინდის დაცვისათვის ქართველობას დიდი ხანია შეგნებული აქვს, უკანასკნელ ხანს საკმაოდ განვითარდა. ახალგაზრდობისათვის დაწერილ ნაწარმოებთა უმრავლესობა თარგმანებია, მაგრამ ადგილობრივი პროდუქციაც იზრდება და ზოგიერთი წიგნი, როგორიც არის „დედაენა“ და „ბუნების კარი“ იაკობ გოგებაშვილისა, გამოირჩევა მაღალი ხარისხითა და ცოცხალი გადმოცემით. მშობლიურ პედაგოგიკას ამ მწერალმა თავისი მრავალრიცხოვანი შრომებით დიდი ღვაწლი დასდო. დაუღალავად შრომობს აგრეთვე როგორც სკოლათმცოდნე, თბილისის სათავადაზნაურო სკოლისა და ქართული საგანმანათლებლო საზოგადოების ხელმძღვანელი ნიკო ცხვედაძე. ამ ორ ვეტერანს ემატება გუნდი უფრო ახალგაზრდა მწერლებისა და მასწავლებლებისა, ისინი ანასტასია წერეთლის ხელმძღვანელობით გამოცემულ „ჯეჯილშიც“ თანამშრომლობენ.

ქართული ჟურნალისტიკა

ქართული ჟურნალისტიკა, რომელმაც მხოლოდ XIX საუკუნის მეორე ნახევარში ჰპოვა მტკიცე საყრდენი და საკმაოდ ნელა ვითარდება, საზოგადოებრივ ცხოვრებაში უკვე გარკვეულ როლს ასრულებს. ქართული ჟურნალისტიკის ჭეშმარიტი მამა იყო სერგეი მესხი, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში გასაოცარი ამტანობით ხელმძღვანელობდა ყოველდღიურ გაზეთ „დროებას“. აღტაცების ღირსია ეს უანგარო ადამიანი, რომელიც თავის წამოწყებას არა მარტო დროსა და გარჯას, ჯანმრთელობასაც სწირავდა. თუმცა მესხის გავლენის სფერო პატარაა, მის თავგანწირულ მოღვაწეობას ქართველები მუდამ კეთილად გაიხსენებენ. დღემდე ვერც ერთი ქართული გაზეთი ვერ უზრუნველჰყოფს თავის თანამშრომლებს მატერიალურად, ოცი წლის

წინათ კი, როდესაც მესხი ერთადერთ ყოველდღიურ გაზეთს „დროებას“ უშვებდა, შემოსავალი ბევრად უფრო პატარა იყო, ვიდრე ხარჯი.

იმ დროიდან ვითარება მნიშვნელოვნად შეიცვალა, მკითხველთა რიცხვი საკმაოდ გაიზარდა და პუბლიცისტების ადრინდელი პატარა, მაგრამ ერთსულოვან გუნდიდან სხვა მრავალრიცხოვანი გუნდები წარმოიშვა... და რადგან როგორც საერთო, ისე სპეციალური განათლება სულ უფრო ფართოვდება, ქართული ჟურნალისტიკის საქმეც თანდათან წინ მიდის. ყოველდღიური საზოგადოებრივი საქმეების განხილვისას ჩვეულებრივ პოლემიკური ტონი იჩენს ხოლმე თავს...

მრავალი კორესპონდენცია მოდის პროვინციებიდან, საზღვარგარეთიდან კი უფრო იშვიათად და ისიც უმეტესად სტუდენტებისაგან. ქართულ პერიოდიკაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ფელეტონი, იგი უპირატესად ლიტერატურულია. გარდა ქრონიკებისა ქართული ჟურნალ-გაზეთები თავის ფურცლებზე აქვეყნებენ ნოველებს, ლექსებს, სამეცნიერო სტატიებს და ამით საშუალებას აძლევენ მკითხველს, იყოს უახლესი ლიტერატურის კურსში.

სხვათა შორის, ქართველი განსაკუთრებული ხალისით კითხულობს ენამახვილურად დაწერილ სტატიებს. მისთვის ყველაზე უფრო დამახასიათებელია გულახდილობა და ირონია.

არქიტექტურა, თეატრი და მუსიკა

ძველი ქართველები ყველაზე მეტად მისდევდნენ საეკლესიო მშენებლობის ხელოვნებას, რომლის პირველი ნიმუშები მათ ბიზანტიელებისაგან გადმოიღეს. პირველადმა ბიზანტიურმა ფორმამ ქართველებთან მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა, რის შედეგადაც წარმოიშვა ქართული საეკლესიო სტილი. იგი თითქმის სომხურსა ჰგავს, ასე რომ ისმება კითხვა: თვითონ გამოიმუშავეს იგი ქართველებმა თუ სომხებისგან გადმოიღეს. სიძველეთა მცირე-

რიცხოვან მკვლევარებს, რომლებიც დღემდე ქართულ-სომხურ საეკლესიო არქიტექტურაში მუშაობენ, ეს საკითხი ჯერჯერობით არ გადაუწყვეტიათ. ქართველი მკვლევარები ამ სტილის გამომუშავებას თავიანთ წინაპრებს მიაწერენ, ამ მასალის საფუძვლიანი მცოდნე კონდაკოვი კი საბოლოო დასკვნის გამოტანისაგან თავს იკავებს და აღიარებს, რომ მან ვერ მოახერხა დაედგინა ადგილი ქართულ-სომხური საეკლესიო სტილის წარმოშობისა. ზემოთ მოხსენებული რუსი მეცნიერი ამ სტილში ხედავს რომანული მოტივების კვალს, მაგრამ ეს შეხედულება ძნელი დასამტკიცებელია, რადგან დადგენილი არ არის მისი ჩასახვის დრო. ძლიერ საფიქრებელია, რომ ქართული ეკლესიის ბიზანტიური პირველფორმიდან ჩამოყალიბების ხანებში ადგილი ჰქონდა სირიულ გავლენას, რასაც კონდაკოვიც აღიარებს.

ქართული ეკლესიის გეგმა, ისევე როგორც უფრო მოგვიანო ხანის ბიზანტიურისა, ოთხკუთხოვანია, უპირატესად მოგრძო... სხვაგან ჩვეულებრივ იგი შეცვლილია პორტალით. შიდა არე შედგება მთავარი ნავისა და მისგან ორი, მძიმე სვეტით გამოყოფილი გვერდითი ნავებისაგან, საკურთხეველიც ასევე სამი აფსიდისაგან შედგება. ქართულ ეკლესიას ყოველთვის ერთი გუმბათი აქვს, რომელიც ალმართულია შენობის ცენტრში. იგი შედგება მრავალკუთხა (და არასდროს მრგვალ) გუმბათის ყელისა და წვეტიანი სახურავისაგან, რომელსაც გუმბათის ყელის რაოდენობის სიბრტყე აქვს. ამგვარად გუმბათი ემსგავსება კოშკს და სწორედ ესაა ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი, რომლითაც ქართული საეკლესიო სტილი ბიზანტიურისაგან განსხვავდება. ამ თავისებურების წარმოშობის შესახებ კონდაკოვი, მართალია, გარკვეულ განმარტებას ვერ იძლევა, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ სხვა მკვლევარებივით ეს თავისებურება კლიმატურ და ტექნიკურ პირობებს მიაწეროს, სამართლიანად გამოჰყავს არქიტექტურის განვითარების საერთო კანონებიდან, მით უფრო, რომ ქართულ გუმბათს დასაბამიდან გარეგანი მორთულობის გაძლიერება ჰქონდა მიზნად. ქართული ეკლესიის შინაგანი მორთულობისათვის თავიდანვე ნაკლებად ზრუნავდნენ, სამაგიეროდ, ბევრს აკეთებდნენ ფასადის და გარეთა

გვერდითი კედლებისა და აფსიდის კედლების გასალამაზებლად. ის აზრი, რომ გუმბათიც ამ მისწრაფებას დაექვემდებარა და ამისდა შესაბამისად იცვლიდა სახეს, ვიდრე გვიანდელი კონუსის ფორმა არ მიიღო, უფრო სარწმუნოა. გუმბათის ეს მარტივი ფორმა იმდენად ლამაზია და გემოვნებით შესრულებული, რომ სრულიად გასაგები ხდება ის ინტერესი, რომელსაც იწვევს ხელოვნების მოყვარულთა შორის.

გარეთა კედლები ყველგან სამი ნაწილისაგან შედგება, სახელდობრ, მაღლა მიმართული შუა ან წინა ნაწილისა და ორი გვერდითი ფრთისაგან. შუა ნაწილს ყოველთვის აქვს წვეტიანი, სახურავიდან ამოშვერილი ფრონტონი... ფრთების მარტივი კარნიზი სახურავის ხაზს მიჰყვება; ფანჯრები გარედან ხშირად ნახევარსვეტებით არის გაყოფილი და ერთმანეთთან დაკავშირებულია კამარებით, ისევე როგორც გელათის ტაძარში. ეს კამარები და წვეტიანი ფრონტონები ქართულ ეკლესიას არაჩვეულებრივად სასიამოვნო შეხედულებას აძლევს, ყველგან გაბატონებულია სწორი ხაზოვანება. თვით ძალიან მდიდარი ორნამენტებიც კი ჩანს ხოლმე. ასეთი გვხვდება ქვაში ამოჭრილი ფანჯრებისა და კარების ბორდიურები და კამარები, უმთავრესად სწორი, დიდი გემოვნებით გადახლართული ხაზებისაგან შედგება. უფრო იშვიათია როზეტები და ფოთლოვანი სამკაულები. ეს ორნამენტები წარმოადგენს ქართული კულტურის ერთადერთ დარჩენილ კვალს. ხობის ეკლესია სამეგრელოში საერთოდ შეიძლება ჩაითვალოს ქართული ხუროთმოძღვრების უმშვენიერეს ძეგლად. შორეულ საუკუნეებში, როგორც ჩანს, კედლის მოხატულობა ჰყვაოდა, მაგრამ მან ნაკლებად განიცადა განვითარება და მასში რაც შემონახულა, დაქვეითებული ბიზანტიური სტილი ჩანს. კედლის მოხატულობაში (გელათი, მცხეთა და სხვა), ხშირია მეფეების, მათი მეუღლეების, ეპისკოპოსებისა და სხვათა სურათები, ასე რომ, აქ სასულიერო და საერო პირები ერთად არიან გამოხატულნი. ამ სურათებს წარწერების წყალობით ისტორიული ფასი ენიჭებათ. მთლიანად აღებული ქართული საეკლესიო სტილი სასიამოვნო, ნათელ შთაბეჭდილებას სტოვებს, მაგრამ იგი

ღარიბია და ყველგან ჩანს, რომ თავის განვითარებაში შეჩერებულა და მხოლოდ ნაწილობრივ მიუღწევია იმისათვის, რისკენაც, ალბათ, დასაწყისში მიისწრაფოდა. ამ შეფერხების მიზეზი, უეჭველია, განუწყვეტელი ომიანობა და ქვეყნის აოხრება იყო. რაც უფრო ძველია გადარჩენილი არქიტექტურული ძეგლი, მით უფრო დიდი ხელოვნებითაა იგი ნაგები. სახელმწიფოს დაუძლურებასთან ერთად მშვიდობიანი ცხოვრებაც ქრებოდა და ხელოვნებაც ქვეითდებოდა. აღარ იყო ხუროთმოძღვრები, არც დრო და მოსვენება. ახალი ეკლესიების აშენებისას იყენებდნენ დანგრეული შენობების ძველად აღსადგენ ნარჩენებს და ამგვარად, ნაცვლად იმისა, რომ შეექმნათ ახალი და სრულყოფილი რამ, შეკეთებით სამუშაოებს სჯერდებოდნენ. უკანასკნელ საუკუნეებში ძველი ნიმუშების მიხედვით აშენებდნენ. მშობლიური ხელოვნების გაგება დაიკარგა და არქიტექტორები, ნაცვლად ჭეშმარიტი ხელოვნების მსახურებისა, პედანტებად გადაიქცნენ. ნამდვილ შემოქმედ არქიტექტორთა ნაკლებობა დღესაც შეიმჩნევა.

დრამატურგია

დრამატურგია ქართველებისათვის XVIII საუკუნის დასასრულამდე უცნობი იყო. ევროპული კულტურის სამყაროს სიშორე და კარჩაკეტილობა მაშინდელ ვითარებაში შეუძლებელს ხდიდა ხელოვნების ამ დარგში დასავლეთის გავლენის შემოჭრას. ხალხის ცხოვრებაში მანამდე არავითარი სახის სანახაობრივი ხელოვნება არ იყო განვითარებული, რომელიც შეგვეძლო მიგვეჩნია სამსახიობო ხელოვნების ჩანასახად. თოჯინების თამაში, არლეკინადა, რომელიც სპარსეთში დღესაც იმართება ხოლმე, ქართველებისათვის უცნობი იყო. ორი სახის წარმოდგენა, რომლებიც ნიღბებით ტარდებოდა, დღევანდლამდეა შემორჩენილი. ერთი მათგანი (ყეენობა), ალბათ, XVIII საუკუნის დასასრულს წარმოიშვა, იგი სამსახიობო ხელოვნების ნედლ მასალას შეიცავს.

ყეენობა იმართებოდა ხოლმე დიდმარხვის პირველ ორშაბათს და, როგორც ჩანს, წარმოადგენდა ირანელების დაცინვას. ნაკლებად სარწმუნოა ხახანაშვილის აზრი, თითქოს ყეენობაში წარმართული დროის გადმონაშთებია შემონახული.

ამ წარმოდგენის მთავარი გმირია ყეენი, ანუ სპარსეთის შაჰი. ის სახე შემურული, გადმობრუნებული ქურქითა და ბეწვის ქუდით ზის ვირზე. თავისი ამალისა და მუსიკოსების თანხლებით იგი დადის ქუჩიდან ქუჩაში, იჭრება სახლებში ბავშვების შესაშინებლად და აგროვებს ამალისათვის სხვადასხვა საჩუქარს—პროდუქტებსა და ფულს. როგორც ხახანაშვილი მოგვითხრობს, წინათ ხანგრძლივი ხეტიალის შემდეგ ყეენს ყვირილითა და ხმაურით წყალში აგდებდნენ, სადაც პირის დაბანის შესაძლებლობა ეძლეოდა. მეორე ნიღბებიანი თამაში — „ბერიკობა“, ტარდებოდა ყველიერის კვირაში და მთელი ხუმრობა განისაზღვრებოდა ძალიან უბრალო მიხრამოხრითა და მიმიკური სცენის გათამაშებით.

XVIII საუკუნემდე ქართველებს, როგორც ჩანს, დრამატიული ხელოვნების შესახებ ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ. მხოლოდ 1791 წელს, როდესაც რუსეთიდან დაბრუნებულმა რამდენიმე ახალგაზრდამ მეფე ერეკლე II-ის კარზე წარმოდგენები გამართა, ეს იყო თეატრალური ხელოვნების გაცნობის პირველი შესაძლებლობა. პირველ ცდებს შედეგი არ მოჰყოლია და მომდევნო ექვსი ათეული წლის განმავლობაში არავინ ითავა მისი განმეორება, რადგან არ იყო არც შესაფერისი მოთხოვნილება და არც შესაძლებლობა.

ბოლოს, 1850 წელს ქართულ სასცენო ხელოვნებას გიორგი ერისთავმა ჩაუყარა საძირკველი. ამ მრავალმხრივმა მოღვაწემ თავის თანამემამულეებს სწორად აუღო ალღო. ერისთავმა პოლონეთში ყოფნის დროს ამ ქვეყნის დრამატული ხელოვნება და ლიტერატურა შეისწავლა, რაიც სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ძლიერ გამოადგა. თბილისში უკვე მაშინ ხშირად იმართებოდა რუსული წარმოდგენები და მაშინდელი კავკასიის მეფისნაცვალი — თავადი ვორონცოვი, ძალიან უწყობდა ხელს სასცენო ხელოვნების განვითარებას. ერისთავმა აქ საჭირო იმპულსი და შესაძლებლობა

ჰპოვა თავისი ჯერ კიდევ უცხოეთში შედგენილი გეგმების განხორციელებისათვის. დასახული მიზნის მიღწევა, რა თქმა უნდა, ადვილი არ იყო, რადგან პირველ რიგში საჭირო იყო რეპერტუარის შექმნა და პოვნა ხალხისა, რომელიც მსახიობებად გამოდგებოდა. ყველაფერი ამის გაკეთება მხოლოდ გ. ერისთავმა შეესძლო და, ამრიგად, გახდა პირველი ქართველი დრამატურგი და ქართველ მსახიობთა პირველი მასწავლებელი. რაც კი მან შექმნა, შექმნა თავისი სამშობლოს ცხოვრებიდან. მან ახალ სცენაზე უცხო, გაუგებარი პიესები კი არ გადმოიტანა, არამედ თავისი ქვეყნის ადამიანები და მოვლენები გამოსახა. უეჭველია, განთქმული პოლონელი კომედიოგრაფი ალექსანდრე ფრედრო მისთვის მისაბაძ მაგალითს წარმოადგენდა; ისევე როგორც მან განდევნა ფრანგული პიესები პოლონური სცენიდან და, სამაგიეროდ, პოლონური კომედია შემოიღო, ერისთავმაც უცხოეთიდან კი არ მოიყვანა იდეალური ადამიანები და თავისი გულწრფელი თანამოძმენი უცნობი გმირების საგმირო საქმეებით კი არ მოხიბლა, არამედ თავის ხალხს მისივე ცხოვრების ამსახველი სარკე დაუდგა წინ.

ტიპიური, თავისებური ფიგურები მან ბლომად იპოვა მრავალრიცხოვან სოფლის თავადაზნაურობაში, საიდანაც ნაშინ თეატრის ყველა მოყვარული და პირველ ხანებში მაყურებელიც გამოდიოდა. მის პირველ კომედიაში „გაყრა“, რომელიც 1850 წლის 2 იანვარს დაიდგა, მთლიანად კეთილშობილი საზოგადოების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ, რადგან ნამდვილი პროფესიონალი მსახიობები ქართულ სცენაზე მხოლოდ 70-იან წლებში გამოჩნდნენ.

გიორგი ერისთავმა სულ ექვსი კომედია და ერთი დრამა— „ყვარყვარე ათაბაგი“ დაწერა, რომლის მასალები მან ქართული ცხოვრებიდან აიღო. ეს პიესები დღესდღეობით ნაწილობრივ მოძველდნენ, მაგრამ ამით სრულიადაც არ მცირდება ერისთავის, როგორც ქართული თეატრისა და ლიტერატურის ახალი დარგის შემქმნელის დამსახურება, იგი იცოცხლებს თავის თანამემამულეების ხსოვნაში. ყველა მისი ცდის მიუხედავად, სცენამ მაშინვე ვერ გამოიწვია მოსალოდნელი გამოხმაურება, რადგან სცენის გაგება ძალიან ნე-

ლა იკვლევდა გზას და პირველ ხანებში მაყურებლის რიცხვი ძლიერ მცირე იყო. მხოლოდ წარსული საუკუნის უკანასკნელ ათეულ წლებში, როდესაც ბიურგერობის* წოდება თანდათან განმტკიცდა, თეატრი გახდა ჭეშმარიტად მნიშვნელოვანი ფაქტორი ქართველი ხალხის ცხოვრებაში. მის აღმავლობაში დიდი დამსახურება მიუძღვის გიორგი ერისთავის ვაჟს, დავითს, რომელიც თარგმნიდა და გადმოაკეთებდა ხოლმე უცხოურ პიესებს. დიდი წარმატება ჰქონდა მის დრამას „სამშობლოს", რომელიც დაახლოებით ოცი წელია სცენაზე ბატონობს.

მშობლიური ცხოვრება ხშირად პოულობდა თავის წარმოსახვას სცენაზე, ზოგიერთი პიესა კარგა ხანს იდგმებოდა და ინტერესი მშობლიური თემებისადმი სულ უფრო და უფრო ღვივდებოდა, მაგრამ ხელოვნებამ ამით მაინცდამაინც შესამჩნევად ვერ წაიწია წინ. ამ მდიდარი წიაღიდან ბაჯაღლო ოქროს გამოტანა დღის სინათლეზე ჯერჯერობით ვერავინ მოახერხა.

1902 წელს გარდაცვლილი ავქსენტი ცაგარლის დიდად მოსაწონ კომედიებს მხოლოდ ის უპირატესობა აქვთ, რომ ნამდვილად ხალხურ პიესებს წარმოადგენენ. ისინი ზემოქმედებას ახდენენ უფრო ხასიათებითა და სიტუაციებით, ვიდრე ნამდვილი ხელოვნებისათვის დამახასიათებელი წესებით.

ქართველი მსახიობები ცოცხალი, ბუნებრივი და საზრიანი ხელოვანები არიან, მათი თამაში ტემპერამენტიანია, სადა და ისე მრავალფეროვანი, რომ მეორეხარისხოვან როლებშიც კი საინტერესონი გვეჩვენებიან. სწორედ ქართველი მსახიობების ამ სიცოცხლესა და ძალდაუტანებლობაშია ქართული თეატრის ძალა, რომელიც დღემდე მეტწილად თარგმანებს იშველიებს. შექსპირი და შილერი დღემდე მოწონებას იმსახურებენ, რაც ქართველთა გემოვნებას ადასტურებს და ახასიათებს. შექსპირის დრამებიდან მხოლოდ რამდენიმეა

---

* იგულისხმება სამოქალაქო მოსახლეობაში ე. წ. 3-ე (სავაჭრო-სამრეწველო) კლასის ვაჭრობა. თ. ფ.

თარგმნილი; უმნიშვნელოვანესი და ყველაზე განთქმული მათ შორის ვანო მაჩაბელმა თარგმნა. მაჩაბელი ამავე დროს გერმანული ლიტერატურის საფუძვლიანი მცოდნე იყო...

უკანასკნელ წლებამდე გერმანული პიესები იშვიათად იდგმებოდა და მხოლოდ მაშინ, როდესაც გერმანულმა დრამამ კვლავ მოიკრიბა სასიცოცხლო ძალა და ჭეშმარიტებიდან გამომდინარე ეთიკა შეიძინა, ქართველებმა თავიანთი ყურადღება მიაპყრეს მას. ქართველების მიერ გერმანული დრამის გაგება მათ მაღალ სულიერ კულტურას ადასტურებს.

თავიანთი ხასიათისა და სულიერი მიდრეკილების შესაბამისად, ქართველებს ძლიერ უყვართ კომედია, რისთვისაც უფრო ნიჭიერი მსახიობები ჰყავთ, ვიდრე დრამისთვის. ბაზილიუს აბაშიძე* შესანიშნავი კომიკოსია, ასეთია იგი არა მარტო ტიპიურ ქართულ, არამედ საზოგადო ხასიათის როლებშიაც. ორი ათეული წლის განმავლობაში ეს ხელოვანი თბილისის ქართული თეატრის მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდა. მისი მეუღლისა და ქალბატონი გაბუნიას მოღვაწეობაც ასევე ხანგრძლივი და ნაყოფიერი იყო. ახალი თაობა მათი გავლენით ჩამოყალიბდა. დრამაში თავი გამოიჩინა მესაიშვილმა. საზოგადოდ კი ეს დარგი ძლიერ ჩამორჩება. ამჟამად ქართველებს მუდმივი სამსახიობო საზოგადოებები აქვთ თბილისსა და ქუთაისში, სხვა ადგილებშიც, მათ შორის სოფლებშიც კი დროდადრო იმართება წარმოდგენები, რომლებშიც ხშირად სცენისმოყვარეები იღებენ მონაწილეობას. სამსახიობო ხელოვნების გაგება უკვე ფართო წრეებში შეიჭრა, რადგან ქართველებს საამისოდ უეჭველი ნიჭი გააჩნიათ. მოსალოდნელია, რომ დროთა განმავლობაში ისინი დიდ წარმატებებს მიაღწევენ, მაგრამ ამისთვის მათ სჭირდებათ მეტი გულმოდგინება, სიბეჯითე და საკუთარ თავზე მუშაობა.

* * *

ქართული მუსიკა ისევე ძველია, ალბათ, როგორც თვით სიმღერა და უეჭველია, მისი პირველი, მკაცრი და ბობოქა-

---

* იგულისხმება ვასო აბაშიძე.

რი ტონები უკვე წინა ისტორიის გარიჟრაჟზე გაისმოდა ცეცხლთაყვანისმცემელთა საკურთხევლის წინ. იმ წარმარ-თული დროის ჰიმნებზე ახლა არავითარი ცნობა არ არის შემონახული. ამ პრეისტორიული ჰიმნების უკანასკნელ გად-მონაშთებს ზოგი ძველ ხალხურ მელოდიებში ხედავდა. მათ-თან ერთად უკვე იმ წარსულ დროში არსებობდა „ზარი“ მიცვალებულის დატირება სიმღერით, რომლის თავდაპირ-ველი ფორმები ფრაგმენტების სახით დღემდე შემონახუ-ლა. როგორც უკვე ავღნიშნეთ, ინსტრუმენტებზე დაკვრა სიმღერის გარეშე აღმოსავლეთში თითქმის უცნობი საქმეა. აღმოსავლეთს მხოლოდ სიმებიანი ინსტრუმენტები გააჩნია, რომლის სუსტი ტონები ვერ ფარავენ სიმღერას და არ აძ-ნელებენ ნამღერის სიტყვების მოსმენას. სხვა ინსტრუმენ-ტები, როგორიც არის სალამური, კლარნეტი, დოლი, ლიტავ-რა, (დიპლიპიტო), დაიკვრება ხოლმე მხოლოდ მარშებისა და ცეკვების დროს.

სიმღერისაგან დამოუკიდებელი მუსიკალური ნაწარმოე-ბი ისევე ნაკლებადაა საქართველოში განვითარებული, რო-გორც წინა აზიის სხვა ქვეყნებში. აქ სიმღერა და დაკვრა ყოველთვის ერთმანეთში იყო შერწყმული.

ბიბლიის გავრცელების უმალ სირიული და ბერძნული კულტის მსახურებთან ერთად საქართველოში საეკლესიო გალობა შემოვიდა, მაგრამ ამ უძველესი საფეხურის შესა-ხებ არ არსებობს რაიმე ცნობა.

X და XI საუკუნეებში საეკლესიო გალობამ მტკიცე წესები დაიმკვიდრა, რომლებიც პერგამენტებზე, ხელნაწე-რების სახით, ძვირფას ძეგლად გადაურჩენ საუკუნეებს. ერ-თი ასეთი დიდტანიანი ჰიმნების წიგნი, რომელიც 514 ფურ-ცლისაგან შედგება, შეიცავს საეკლესიო სიმღერების მნიშვნელოვან რიცხვს სანოტო ნიშნებით. სიძველეთა თანა-მედროვე მკვლევარი მოსე ჯანაშვილი მათ წარმოშობას X საუკუნეს მიაწერს და საკმაოდ დამაჯერებელი საბუთები მოჰყავს.

უეჭველია, დიდი ხნის განმავლობაში საეკლესიო გალო-ბა ნიმუში და საფუძველი იყო საერო მელოდიებისთვის,

რომლებიც საეკლესიოსაგან დიდად არ იყვნენ დაშორებულნი და სერიოზული, გაბმული ტონით ხასიათდებოდნენ. ძველი ქართული სიმღერის მელოდიები ნაღვლიანი და მგზნებარებით გაჟღენთილია. ის ძირითადი მარტივი ტონი, რომელიც ყველა სიმღერას მსგავსების ბეჭედს ასვამს, ალბათ მრავალი ისტორიული შეჭირვებისა და თავგადასავალთა შედეგად განვითარდა...

საზოგადოდ, ქართველი ხშირად მღერის, მაგრამ უმთავრესად მხოლოდ მამაკაცთა საზოგადოება, ქალების სიმღერას კი უფრო იშვიათად გაიგონებთ. კაცები და ბიჭები მღერიან ყველგან — მინდვრად თუ სახელოსნოში მუშაობისას, სიარულისა თუ მგზავრობის დროს, ქალები და ქალიშვილები კი —ჩვეულებრივ მხოლოდ სახლში, სიმებიანი საკრავების თანხლებით. ქართული მელოდიები მნიშვნელოვნად განირჩევიან ერთმანეთისაგან, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ერთნაირი გვარის მელოდიებს, ერთნაირი ძირითადი ტონი გააჩნიათ. ინსტრუმენტების თანხლებით მხოლოდ სასიყვარულო სიმღერები იმღერება. ესენი არიან ქართველებისათვის ისეთი სიმღერები, რომლებიდანაც დროთა განმავლობაში მელოდიების მდიდარი საუნჯე წარმოიშობა. ქართული მელოდიების ევროპული მუსიკალური ხელოვნების კანონების მიხედვით გადაკეთებას აქამდე წარმატება არ მოჰყოლია, მაგრამ ამ წარუმატებლობის მიზეზი მდგომარეობს არა თვით მელოდიებში, არამედ ხელოვანთა სისუსტეში. ქართულ მელოდიებს მარტივი ტონალობის მიუხედავად მდიდარი ლირიკა გააჩნია, ამის უარყოფა არავის შეუძლია...

ხალხური პოეზია

მდიდარი ფანტაზიის შესაფერისად მდიდარია და დიდებული ქართული ხალხური პოეზია. მისი საწყისები შორეულ წარსულში იკარგება. სიმღერის უძველესი ფორმა, უეჭველია, საქორწინო ხასიათის იყო, მოგვები ქმნიდნენ და მღეროდნენ ცეცხლის საკურთხევლის წინაშე ბუნების გაღ-

მერთებულ ძალებისადმი საღაღადებელ სიმღერებს. ეს პირველადი პოეზია მდიდარი იყო თუ არა, ჩვენ არ ვიცით, მაგრამ ცეცხლთაყვანისმცემლობა, ჩანს, ფანტაზიის დიდი მპყრობელი უნდა ყოფილიყო და მრავალრიცხოვანი კვალი დასტოვა წეს-ჩვეულებებში, თქმულებებში, პოეზიასა და თვით ენაშიც... მოგვური პოეზიის გვერდით ძლიერ ადრეულ ხანაში წარმოიშვა მკვდრის დატირება, რომელიც მცირეოდნად შეცვლილი ფორმით უახლოეს დრომდე იყო შემორჩენილი...

სახალხო მომღერლები, ისეთები, როგორიც წინა აზიის სხვა ხალხებს ჰყავდათ, ჩანს, საქართველოში ქრისტიანობის წინა ხანის გარდა არ იყვნენ მშობლიური წარმოშობისა. ის ცოტაოდენი, რომლებიც აქ მეთვრამეტე საუკუნეში გამოჩნდნენ, სომხები ან მუსლიმანები იყვნენ. ისინი, ჩვეულებრივ, სიყვარულსა და ცხოვრების ტკბობას უმღეროდნენ; რომელიმე ცნობილი რაინდის თვისებებსა და საქმეებს მოკლე სტროფებით ადიდებდნენ. მხოლოდ მაღალ მთებში მცხოვრებ ტომში — თუშებში თუ გვხვდება საგმირო სიმღერები, სადაც აღწერილია მათი ბრძოლები ლეკებთან, ქისტებთან და ჩეჩნებთან.

ქართული ხალხური პოეზიის უმდიდრესი სფეროა ლირიკა, რომელიც შეიცავს ძვირფას განძს ჭეშმარიტი პოეზიით სავსე სიმღერებისას. აქ პირველი ადგილი, როგორც ყველგან, სამიჯნურო სიმღერებს უჭირავთ. მათი ენა, როგორც საერთოდ ქართული ხალხური მეტყველება, ყვავილნარს ჰგავს. იგი აგრეთვე მდიდარია სიტყვებისა და სურათთა თამაშით. ეს სიმღერები არ არიან თავისუფალნი გადაჭარბებისაგან, რაც ძნელად მოსაცილებელია, რადგან ქართველებს ძლიერ უყვართ პოეტური შედარებები. სამიჯნურო სიმღერების უმრავლესობა უბიწო გრძნობით სუნთქავს; მგზნებარებით გადმოგვცემს ტკივილსა და სიხარულს...

წლის დროებიდან ქართული ხალხური სიმღერა თითქმის მხოლოდ გაზაფხულს იცნობს, ყვავილებიდან—მხოლოდ ვარდს და იას, ფრინველებიდან—ბულბულს. გრილი მორაკ-

რაკე წყარო, მთის ნაკადულების შორეული ჩხრიალი, მთის მწვერვალების მზის სხივზე აკიაფება, ტყის იდუმალი მშვენება და სხვა მრავალი მომხიბვლელობა შედარებით ნაკლებად გვხვდება ამ პოეზიაში. მაგრამ ბუნების სიყვარული მაინც იჩენს თავს ხალხურ შემოქმედებაში და მათ მაღალ მიმზიდველობის თვისებას ანიჭებს.

ქართველთა ხასიათი მჭიდრო კავშირშია ბუნებასთან. რბილი ჰავის წყალობით საქართველოს უმეტეს მხარეებში მცხოვრებლებს საშხრეთული სილაღის ნიშანწყალი დასდევს. წელიწადის მნიშვნელოვან ნაწილს ხალხი გარეთ ან სანახევროდ დახურულ სადგომებში ატარებს. აქ ყოველდღიურად ყველა ტკბება სუფთა ჰაერით, მზის ნათელი სხივებით და ლურჯი ცის ცქერით. ეს სხეულისთვის სასარგებლო ბუნებრივი ცხოვრება ახალისებს მის სულიერ განწყობილებას და უმაღლებს გარეგან შთაბეჭდილებათა ამთვისებლობის უნარს. ამიტომ ქართველი თვით უძძიმეს სამუშაოშიც მიმზიდველობას პოულობს, მუშაობისას იგი ყოველი საქმის შესაფერისს მღერის. ქართველი მღერის მიწის ხვნის, თესვის, თოხნის, მკისა და ლეწვის დროს. იგი თავისთვის ჩუმად კი არ ღიღინებს, არამედ ისე მაღლა უწევს ხმას, რომ შორს სივრცეში გაისმის. ამ სიმღერათაგან ულამაზესია „ურმული“ (სიტყვა დაკავშირებულია ურემთან, ორთვალა ფორანთან), რომელიც კამეჩებით ან ხარებით ნელი და მოსაწყენი მოგზაურობისას იმღერება. ქართველებს გააჩნიათ აგრეთვე მრავალი საქორწინო, სუფრული და სადღესასწაულო სიმღერები.

და ბოლოს, ქართულ პოეზიას პატარა იგავები ახლავს, ისინი ჩვეულებრივად რაიმე შედარებასთან დაკავშირებულ აზრს გამოხატავენ...

ქართველი ხალხის ფანტაზიამ მრავალგვარი გამოყენება ჰპოვა ზღაპრებში, რომლებიც სამყაროზე, ადამიანებსა და საგნებზე აღმოსავლური მრავალფეროვნებით მოგვითხრობენ; ამავე დროს, მათში შეიმჩნევა სიახლოვე ინდოევროპულ ზღაპრებთან.

მითოლოგიური ზღაპრები მზის, მთვარისა და ვარსკვლავების შესახებ მოგვითხრობენ საერთოდ ქართველი ხალხის ძველთაძველ კოსმოგონიაზე, რაც საკმაოდ გულუბრყვილოა. აქ გველეშაპები და ურჩხულები მთავარ როლს თამაშობენ. ძალზე მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანია ისეთი ზღაპრები, რომლებსაც საფუძვლად ხალხის ცხოვრება უდევთ. მაგალითად, ნახევარსულები*, ასეთები, პირველყოვლისა, დევები არიან, ისინი ადამიანებს ესხმიან თავს ყოველთვის. სპარსულ ზღაპრებში დევები სულებად გვევლინებიან, ქართულში კი ნახევრად ადამიანებად, გოლიათებად, რომლებსაც ხშირად ასამდე თავი აქვს. დევები მოკვდავნი არიან. მათი მოკვლა, მოტყუება, შეშინება კაცსაც შეუძლია. დევები ადამიანს უმეგობრდებიან კიდეც, მათ ქალებს შეიყვარებენ და ხშირად ცოლადაც ირთავენ. დევები გამოქვაბულებში, ტყეებში და ზოგჯერ შესანიშნავ ციხე-კოშკებშიც ცხოვრობენ; აუარებელ განძს: ოქროს, ვერცხლს, ძვირფას თვალს და მეფის მშვენიერ ასულებს ფლობენ ხოლმე.

ერთ მეგრულ ზღაპარში ციკლოპი ვვხვდება. ის თუმცა ტყისკაცია, მაგრამ ამავე დროს მამულისა და ფარის მფლობელიცაა. კუდიანთა და ჯადოქარ ქალთა თავისებურებანი ქართულ ზღაპარში მრავალგვარია, ისინი წარმოდგენილნი არიან კუდიანებად, ცხოვრობენ გამოქვაბულებში და ნანგრევებში, გვევლინებიან ადამიანის დამხმარედ ან მის ხელისშემშლელად. როგორც ყველგან, ქართულ ზღაპრებშიც მრავლად აქვს ადგილი დათმობილი სახეცვლილებებს. ამისათვის გამოიყენებიან ისეთი ჯადოსნური საშუალებები და საგნები, როგორიცაა უჩინმაჩინის ქუდი, მფრინავი სკივრი, ჯადოსნური ქვები და ა. შ. ჯადოსნობას, როგორც აღმოსავლურ და დასავლურ ზღაპრებში, აქაც ცენტრალური ადგილი უკავია.

---

* გერმანულ ფოლკლორში „ნახევარსულები" გვევლინებიან სანახევროდ ადამიანური თვისებების მატარებლად. (რედ.)

შორს, აღმოსავლეთისაკენ, კასპიისა და შავ ზღვას შუა, ძველი კოლხეთის ვაკეებზე პატარა ერი ცხოვრობს. ბევრმა არ იცის მისი წარსული. დასავლეთში არც ახლა ექცევა სათანადო ყურადღებით მისი თანამედროვე კულტურის განვითარებას. ეს ერი ქრისტიანი ერია — ქართველები (როგორც ისინი თავის თავს უწოდებენ). წარსულში მილიონამდე თუ აღწევდა, თუმცა მისი ისტორია დასავლეთ აზიის არც ერთი ტომის წარსულს არ ჩამოუვარდება თავისი მნიშვნელობით... ის ისტორიული როლი, რაც წილად ხვდა ქართველებს კაცობრიობის მიმართ ბაგრატიონთა დინასტიის დროს, რომელთა მფლობელობა კავკასიიდან არაქსამდე ვრცელდებოდა, ეს იყო ბრძოლა დასავლეთისაკენ ისლამის გავრცელების წინააღმდეგ. ქართველები მრავალი საუკუნის განმავლობაში იცავდნენ ევროპასა და აზიას შორის გადებულ ამ ბუნებრივ ხიდს სპარელთა, არაბთა და თურქთა წინააღმდეგ და ამ ბრძოლებში უფრო მეტი სიმტკიცე და გამძლეობა გამოიჩინეს, ვიდრე ევროპელმა ჯვაროსნებმა პალესტინაში. ამ ერის ბრძოლების ისტორია ეს არის ქრისტიანული რაინდობის ძლევამოსილების ისტორია... ძველი საქართველოს ბრძოლების უმთავრესი მიზეზი სარწმუნოება და მამულის დაცვა იყო. ამიტომ, სარწმუნოება და რაინდობა ორი დედაბოძი იყო შუასაუკუნეობრივი ქართული საზოგადოებრივი ურთიერთობისა.

სიმცირის გამო ამ ერის ისტორია სათანადოდ ვერ აისახა მსოფლიო ისტორიაში, თუმცა ეს ხალხი სახელოვნად ასრულებდა თავის მისიას კაცობრიობის წინაშე. ასეთივე ბედი ეწია მისი გონების ძვირფას ნაღვაწს კაცობრიობის საგანძურში. იგი არ აისახა მსოფლიო ლიტერატურის არც ერთ ისტორიაში. ასეთი რამ ერთი მხრივ შეურაცხმყოფელი უგულებელყოფაა ამ ერის ღირსი პოეტებისა და მწერლებისათვის, მეორე მხრივ, დანაკლისი ჩვენთვის იმ დროს, როდესაც დასავლეთში ესოდენ დაცემულა შემოქმედებითი

ძალები... ქართული ლიტერატურა რაც არ უნდა იყოს, იგი არა ერთსა და ორ ნამდვილად მშვენიერსა და თავისებური ღირსებებით შემკულ ობოლ მარგალიტს მაინც შეიცავს...

I

თუმცა ქართული ენის წარმოშობას გულმოდგინედ სწავლობენ, მაგრამ დღემდე ის მაინც გარკვეული არ არის. პეტერბურგის აკადემიის ახლახან გარდაცვლილი წევრი ფრანგი ბროსე, რომელმაც ზედმიწევნით იცოდა ქართული და ამ ენის განვითარების გზა ნათლად დაგვისახა, ფიქრობდა, იგი ინდოევროპულს ენათესავებაო, მაგრამ ამავე დროს, იმასაც დასძენდა, რომ ქართული ენის ძირს ზემოხსენებულ ენების ჯგუფიდან არაფერი აქვს საერთოო. სავარაუდოა, რომ ეს ენა ინდოევროპული წარმოშობისა არ არის. მის განვითარებაზე შემდეგ გავლენა იქონია სპარსულმა, ზენდურმა და სანსკრიტულმა...

ახლანდელი ქართული ენა მისთვის უცხო და სხვადასხვა მხრივ შემოსილი სიტყვებითაა აჭრელებული. მათი უმეტესობა სპარსულ და არაბულ ენებიდანაა შემოსული. ბოლო დროს ქართულში ბევრი ევროპული სიტყვებიც შემოიტანეს იმ განზრახვით, რომ ენა თანამედროვე ცივილიზაციას შეუფარდონ. ამგვარმა სიახლემ სრულიადაც არ დააშშვენა იგი. ასეთი სიახლე განსაკუთრებით ტექნიკურ თერმინოლოგიას შეეხო. ქართველი მწერლების უმრავლესობა უცხო სიტყვებს ქართულ დაბოლოებას უმატებს და არ ფიქრობენ, რომ ამის გამო ეს სიტყვები გაუგებარნი ხდებიან და მახინჯდებიან კიდეც.

ენაში უცხო სიტყვების შემოტანისა და ენის სიწმინდის წარყვნის წინააღმდეგ იბრძვის ზოგიერთი მწერალი. ბ. ყიფიანის მეთაურობით. მათ უფრო მიზანშეწონილად მიაჩნიათ უცხო სიტყვების ნაცვლად ჭშობლიური იხმარონ.

დამწერლობის შემოღებას საკუთარ ქვეყანაში ქართველები ალექსანდრე მაკედონელის თანამედროვეს ფარნაოზ მეფეს, მათი სახელმწიფოს დამაარსებელს მიაწერენ. ქართული დამწერლობა ზენდური წარმოშობისაა. მეოთხე

საუკუნეში საშღვდელოებამ კერპთაყვანისმცემლობის აღსაგველად ძველი ლურსმნული, ანუ ხაზობრივი დამწერლობის ნაცვლად მრგვლოვანი ხელი შემოიღო. ასოების ასეთი მოყვანილობა ოდნავ აძნელებს კითხვას. ამისი მიზეზი მათი სიმრავლეცაა. მათი რიცხვი დიდია—სულ 38. მაგრამ ასოების სიმრავლის გამო მართლწერა მაინც არ წარმოადგენს სიძნელეს, თუ კარგად იცით ასოების წაკითხვა და გამოთქმა, ადვილად შესძლებთ ქართულად წერასაც. ასეთი სიმარტივის გამო ასოების შესწავლასთან დაკავშირებული პირველი დაბრკოლება საძნელოდ არ უნდა ჩაითვალოს.

ჩვენამდე არც ერთ წინარე ქრისტიანულ ლიტერატურულ თხზულებას არ მოულწევია. საქრისტიანო საქართველოს უძველესი დამწერლობითი ძეგლებია თარგმნილი „დაბადება“ და რამდენიმე სასულიერო თხზულება.

როგორც ყველგან, ისე საქართველოშიც მწერლობა და მეცნიერება პირველ ხანებში სასულიერო წოდების ხელში იყო. ამ წრის მთავარი მიზანი კი საქართველოში ქრისტიანული სარწმუნოების დამკვიდრება იყო. ამისათვის ის ცდილობდა ქართულად თარგმნილიყო საუკეთესო სასულიერო-ქრისტიანული თხზულებები, უმეტესად ბერძნულიდან... ეს ვითარება გაგრძელდა იმ დრომდე, ვიდრე მოიხვეჭდა სიმძლავრესა და საბელს ბაგრატიონთა დინასტია და ვიდრე დაემხობოდა აღმოსავლეთის იმპერია... თუმცა ქართველი ახალგაზრდობა კვლავ განაგრძობდა სწავლას ათენსა და სხვა ბერძნულ ქალაქებში.

საერო ლიტერატურული თხზულებები საქართველოში პირველად მეთერთმეტე საუკუნეში გაჩნდნენ. ამ დროისათვის განსაკუთრებით ასეთი თხზულებების თარგმნა ხშირდება ბერძნულიდან და რომაული კლასიკური ლიტერატურიდან...

ქართულმა ლიტერატურამ თავის უმაღლეს განვითარებას მეთორმეტე საუკუნეში მიაღწია ამ ერის დიდი ძალმოსილების დროს, როდესაც ძლიერად სჩქეფდა ერის საზოგადოებრივი ცხოვრება. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამდროისათვის კლებას იწყებენ რაინდული ქველობა-ზნენი. მიუხედავად იმისა, რომ მათ მიერ გადახდილი საგარეო

ომები გამარჯვებით მთავრდებოდნენ, რაც შთამაგონებელი რამ იყო მეზობლებისათვის. ასეთი წარმატებანი ან მათი მეურნეობის და კულტურის უმაღლეს დონემდე მიღწევის, ან საზოგადოებრივ ორგანიზაციას, წესწყობილებას უნდა მიეწერებოდეს. ეს კი თავის მხრივ სამხედრო მოღვაწეობას აადვილებდა. ამ პირობებს თან ერთოდა მოსაზღვრე სახელმწიფოთა დაცემის ნიშნები, რომელთა მეოხებით ქართველებმა ყურადღება მიაქციეს შინაური ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებას. ცხადია, რაინდი ხალხისათვის ოჯახური მყუდროება უფრო სასარგებლო იყო, ვიდრე ძნელად ასატანი ლაშქრობები. ერის ზნეობა უფრო ამაღლდა და კეთილშობილური შეიქმნა. იგი თავს იჩენდა ეთიკაში— ურთიერთ დამოკიდებულებაში; განსაკუთრებით იმითი, რომ მშვენიერი სქესისადმი პატივისცემა უფრო ამაღლდა.

საქართველოსათვის ეს იყო სიუხვისა და ბედნიერების ხანა. ამას კარგად იფერებდა ქართველი, რომელსაც ამავე დროს არც გემოვნება, არც მშვენიერების გაგება, არც ესთეტიკური გრძნობა არ აკლდა. საქართველოს წარსულში, ვგონებ, არც ერთხელ არ მიუღწევია იმ წარმატებისათვის, რასაც მან თამარ მეფის დროს, მეთორმეტე საუკუნეში შიაღწია. თამარს აქებდა და ადიდებდა კავკასიის ყველა ხალხი, რომლებზედაც ვრცელდებოდა მისი ხელმწიფობა. ცხოვრების ყველა მხარეს დაეტყო მისი ლმობიერებისა და სინაზის გავლენა. გამარჯვებით დაგვირგვინებული საგარეო ომები, შინ სასიკეთოდ მოწყობილი წესწყობილება, მტრისგან აღებული დიდი ხარკი კეთილდღეობის განვითარებას ცოტას როდი უწყობდა ხელს. ცხოვრებასთან ერთად ძალუმად ჰყვაოდა კულტურა. ამდენი არქიტექტურული ნაგებობა საქართველოში არასოდეს აგებულა, ამას მრავლად დარჩენილი ეკლესია-მონასტრები და ციხე-კოშკები მოწმობენ. ყველა ეს ღირსსახსოვარი ძეგლი და სანახაობა ერთმანეთისაგან განსაკუთრებული ხასიათით განსხვავდებიან... მათ თავიანთი საკუთარი გემოვნება ამჩნევიათ და ამიტომ ეს ნაგებობები სიამოვნებას ანიჭებს კაცის თვალს. ქართული სტილი ყოველთვის . სადაა, თუმცა ქართველი, საერთოდ, მდიდარია წარმოსახვის ნიჭით... ისინი სივრცის გადაწყვეტისას

სისადავეს და ჰარმონიას იცავენ. ეს მათ მშვენიერ გემოვნებას მოწმობს.

ამ ეპოქაში პოლიტიკურ კეთილდღეობას სიმდიდრეც მოჰყვა... კეთილყოფას იშვიათად თუ შესწყვეტდა აბჯრისა და საჭურვლის ჟღრიალი, რომლის შემდეგ კვლავ იმძლავრებდა ბრძოლის ველზე გამარჯვებით კმაყოფილ რაინდთა შეწყვეტილი დროსტარებანი. გამარჯვებულთა ყოველი დაბრუნება დღესასწაული იყო. გამარჯვებულები ერთი მეორეს მოსდევდნენ. მათი ცხენები ქუჩაში დაგებულ ფიანდაზ-ხალიჩებზე მოროკავდნენ. ამ ქსოვილს როდი ჰქონდა დიდი ფასი ქართველებისათვის. იგი განუწყვეტლივ მოდიოდა საქართველოშა აღმოსავლეთის ქვეყნებიდან. ეს იყო დიდებული დრო. მაშინდელ თბილისთან შედარებით ახლანდელი მიყრუებული ვაჭრული თბილისი სულ სხვა სურათს წარმოადგენს. აქ ასობით და ათასობით მოისწრაფოდნენ სახელოვანი რაინდები ფუფუნებისა და სიამოვნების წყურვილის მოსაკლავად. გრძლად გაბმული ზღაპრული განძეულობით დატვირთული ქარავნები განუწყვეტლივ მოედინებოდნენ თბილისის ქუჩებისაკენ. თუმცა ეს ქვეყანა თვითონ იძლეოდა ყოველ საშუალებას სიცოცხლის ტკბილად გატარებისათვის... თუ წარმოიდგენთ ყველა ამას, თქვენ შესძლებთ დაახლოებით წარმოისახოთ იმდროინდელი საქართველოს ცხოვრების სურათი. ყველა ამასთან ერთად ეს იყო ქართველი ხალხის გონებრივი განვითარების სანეტარო დრო. ამ ნიადაგზე აღმოცენებულ პოეზიას სხვა უკეთესი რა უნდა აესახა, თუ არა ბედნიერებითა და სიამოვნებით სავსე ცხოვრების მშვენიერი სინამდვილე... ცხადია, რომ ვეთორმეტე საუკუნის ქართველთა გონების ნაღვაწში ცხადად იხატება თანამედროვე საზოგადოების ცხოვრება, გრძნობა-მისწრაფებანი და საერთოდ, იმდროინდელი ქართველების სულიერი ყოფა უფრო მეტად ლირიკულ პოეზიაში აისახა. სხვაფრივ არც შეიძლებოდა: როგორ უნდა გამოეხატათ მათ თავისი ზარზეიმული განწყობილებანი, ან მწუხარება იმ ქვეყანაში, სადაც ყოველივე პოეზიისაკენ გიზიდავთ, სადაც ყოველ ფეხის გადადგმაზე საუცხოო ბუნებაა, მოკრიალებული ცის კაშკაში და რბილი ჰავა თვით უბირ

კაცსაც პოეტად შეიქმს. იმდროინდელ საქართველოში ამიტომ უფრო მეტად ლირიკული პოეზია ჰყვაოდა და მეტადაც გამოირჩეოდა. იგი ბულბულივით დაკვნესდა და დაჰყეფდა საწუთროს წალკოტს. ლირიკულ თხზულებებიდან მარტოოდენ ნაწილიღა გადაეცა შთამომავლობას. ეს ბედი არ გაინაწილა ეპიკურმა თხზულებებმა. ამ თხზულებათა შორის განსაკუთრებულია „ვეფხისტყაოსანი“, პოემაში მოქმედება არაბეთშია გადატანილი. ვრცლად მოთხრობილი ამბავი სავსებით შეეფერება იმდროინდელ ქართველთა საზეიმო განწყობილებას.

პოემის შინაარსი ასეთია: არაბეთის დიდებული მეფე როსტევანი სამეფო ტახტს თავის ასულს — თინათინს ულოცავს. იგი, პოეტის სიტყვით, ბრწყინავს ვით აღმოსავლეთის მზე. გვირგვინის კურთხევის ლხინობასა და დარბაზობის დროს მეფე მოულოდნელად მოიწყენს. ჭმუნვის მიზეზი ჰკითხეს. მან პასუხად მოუგო: მაწუხებს, რომ ჩემს სამფლობელოში არავინ არის შესადარი ჩემი რაინდობისა და გულადობისაო. ამ დროს ერთი მის დაახლოებულთაგანი — ავთანდილი სთხოვს, ნება დართოს მას, დაუმტკიცოს ამ სიტყვების უსაბუთობა. მეფე ნებას აძლევს და ამ აზრის გამართლებისათვის ნადირობას გაშართავს. ნადირობის დროს მტირალ ახალგაზრდა ყრმას შეეყრებიან. მეფეს სურს გაიგოს მისი მწუხარების მიზეზი. გზავნის კაცებს, მაგრამ ყრმა რაინდი თავისი მერანის წყალობით გაქრება უეცრად. ეს შემთხვევა უფრო მეტ სევდას მოჰგვრის მეფეს, აღარაფერი ამხიარულებს მას. მისი ასული მამის მწუხარების განსაქარვებლად შორეულ ქვეყნებში გზავნის ავთანდილს ამ იდუმალი ყრმის მოსაძებნად. მას თავგადასავალთა ჯილდოდ ცოლობას ჰპირდება. ავთანდილი აღფრთოვანებულია მეფის ასულის სურვილის შესრულების წყურვილით. იგი რამდენიმე წლის განმავლობაში აღმოსავლეთის სხვადასხვა ქვეყნებში მოგზაურობს. ბოლოს მოსძებნის და შეეყრება ამ უცხო ყრმას, გაიგებს მის თავგადასავალს და ხვაშიადს. შეტად ვრცელი ოდისეა ბოლოს ქორწილით თავდება. ეს პოემის მხოლოდ მოკლე შინაარსია, რომელშიაც თხრობა დამშვენებულია წარმტაცი ეპიზოდებით.

ქართული პოეზიის ამ მარგალიტის შეფასება ჩვენთვის საძნელოა.... „ვეფხისტყაოსანი“ მართლაც რომ სულის წარმტაცად გვიხატავს ძარღვმაგარ და მჩქეფარე ცხოვრებას. მაგრამ ამავე დროს მისი პატრიარქალური ხასიათი კაცს გაფიქრებინებს, თითქოს იგი სხვა სრულიად გამქრალი ქვეყნის ცხოვრებას ეხებოდეს. აქ დიდი პოეტური შთაგონებითა და მომხიბლაობითაა დახატული სასახლის დარბაზობები. მეფური ნადირობა, მოქალაქეთა და რაინდთა მაღალი ზნენი, საუცხოო პეიზაჟები და შეყვარებულთა ცხოვრების სცენები. მარტივი სინამდვილე აქ ხშირად სურათობრივ მხატვრობას დაუთრგუნავს, თუმცა ყოფა ისევე ხშირად, ისე თვალსაჩინოდ და ნიშანდობლივადაა აღწერილი, და ისეთი თავისუფალი დამოკიდებულებით, რომ მკითხველი ძალუმად გრძნობს პოეტის დიდ სულს.

პოემაში ისიც ჩანს, რომ სიყვარულს აუმაღლებია ავტორი პოემის და განსაცვიფრებელი მხატვრობის შექმნისათვის. იმ დროს, როდესაც ის თინათინის სახეს ან ავთანდილის სასიყვარულო გატაცებას ასახავს, ეჭვი არ დაგებადებათ თქმულების სიმართლეში, რომელიც გადმოგვცემს, პოეტი თამარის სიყვარულს ატარებდა გულშიო. იგივეს თქმით თინათინის სახეში გამოხატულია თვით თამარი ავტორმა კი მხოლოდ მისი მეხოტბეობა იკისრაო.

პოემა „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის შესახებ არავითარი დაწვრილებითი ცნობა არ არსებობს. მხოლოდ ისღა ვიცით, რომ შოთა რუსთაველმა განათლება ათენში მიიღო. აქედან დაბრუნებულს თამარმა მეჭურჭლეთუხუცესის თანამდებობა უბოძა. ბოლოს იერუსალიმს წავიდა და იქვე გარდაიცვალა.

ქართული მუზა შემდეგ რუსთაველამდე აღარ ამაღლებულა. დიდი პოეტის დროის სხვა პოეტები ბევრად დაბლა მდგარან, მაგრამ, როგორც ძველი ქართულის მცოდნენი გვარწმუნებენ, მათ თხზულებებშიაც გვხვდება არა ერთი და ორი მშვენიერი ადგილი.

ძველი ქართული ლიტერატურის მცოდნეთა რიცხვი ძლიერ მცირე იყო აქამდე. ამ უკანასკნელ დროს კი დიდი მხნეობით მოჰკიდეს ხელი ძველი მწერლობის თხზულებათა

პოპულარიზაციას, რასაც ქართველები მათ კლასიკოსებად მიიჩნევენ. მათ პოპულარიზაციას შეუძლია დიდი სამსახური გაუწიოს ამჟამად მეტად დაქვეითებულ ქართულ ენას. კლასიკოსების თხზულებათა ბეჭდვას ზაქარია ჭიჭინაძე შესდგომია. კლასიკური ლიტერატურის ბიბლიოთეკის პირველი წიგნი ამ რამდენიმე კვირის წინ გამოვიდა უკვე. ეს არის ჩახრუხაძის პოემა — „თამარ მეფე და მისი მეუღლე დავითი“.

მეთორმეტე საუკუნის ეპიკურ თხზულებათა შორის „ვეფხისტყაოსნის“ შემდეგ „ბარამიანი“, „როსტომიანი“, სარგის თმოგველის „ვისრამიანი“ და მოსე ხონელის „დილარიანი“ ითვლებიან.

„თამარიანი“ თამარის ხოტბას წარმოადგენს, შინაარსის ღირსებით იმდენად არ გამოირჩევა, რამდენადაც გარეგნული ფორმებით. თამარ მეფის სახელი არა მარტო ქართველებში, არამედ კავკასიის ყველა ხალხის მეხსიერებაში რაღაც სულის მიმტაცებელი მომხიბვლელობით არის მოცული. თამარის სახე მათ წარმოუდგენიათ ყოველგვარი სახიერებითა და განუმეორებელი ქალური მშვენებით. ის მოწიწება, რომელსაც ავლენენ მისი სახელის ხსენებისას, რელიგიურ ხასიათს იღებს თითქოს. როგორც ვიცით, ისტორიას არც ერთი ხალხი არ ახსოვს, რომელსაც თამარ მეფის მსგავსად გაელმერთებინოს ქალი. ასეთი კერპის შექმნა არც თქმულების ფანტასტიკურობის, არც წარსულის გაიდეალებით, არც თვით თამარის პიროვნების ღირსებებთა გადაჭარბებით აიხსნება. თვით თამარის თანამედროვენი ვერ პოულობენ სიტყვებს მისი ხოტბისათვის. მის შესხმად დაწერილ ორი-სამი დიდი პოემის გარდა მრავალ მცირე ზომის ლექსში გაისმის იგივე ამაღლებული გრძნობა და აზრები. ჩვენი ფიქრით, ეს მოხდა იმით, რომ თამარს პატივს სცემდნენ, როგორც ხალხის მოკეთესა და გამაბედნიერებელს, მისი მმართველობა კაცთმოყვარეობაზე და სახელმწიფოებრივი ღვაწლი კი სახიერ სიმართლეზე იყო დაფუძნებული.

იმდროინდელ საქართველოში პოეზიასთან ერთად პროზასაც მისდევდნენ, მაგრამ ამ უკანასკნელს ზერძნული

ლიტერატურის კვალი ამჩნევია... ქართული პროზის თვალსაჩინო წარმომადგენლები იყვნენ: ეფრემ მცირე, იყალთოელი და პეტრიწი.

ქართველ პროზაიკოსთა შორის განსაკუთრებულად გამოირჩეოდა ფილოსოფოსად წოდებული ივანე პეტრაწი. მან თავი ისახელა არა მარტო პლატონისა და არისტოტელეს თხზულებათა თარგმანებით, არამედ ორიგინალური თხზულებებითაც. მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში მცხოვრები ანტონ კათალიკოსი პეტრიწიზე ამბობდა, მან არა მარტო ნივთების არსი, არამედ მისი საწყისი მიზეზი და ურთიერთდამოკიდებულება იცის, როგორც ჰეშმარიტმა ფილოსოფოსმაო.

ასეთი გონებრივი განვითარების შემდეგ, საქართველოს დაცემის დრო დაუდგა. თამარის ასულის — რუსუდანის გამეფებამდე საქართველოს მონღოლები შემოესიენ. მამულიშვილები თავგამოდებით იცავდნენ სამშობლოს მტრის ოხრებისაგან, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ვეღარ შესძლეს. ქართველთა გონებრივი აღორძინება ამ დროისათვის არა მარტო მტრის შემოსევამ, არამედ შინაურმა არეულობამაც შეაფერხა. შინაური არეულობა ხელს უწყობდა გარეშე მტერს, რამაც შეაჩერა საქართველოს შემდგომი განვითარება. შინაური უთანხმოება მეფის სასახლიდან დაიწყო, რის გამოც. აქ რამდენიმე დასად დაიყვნენ. ამ გარემოებამ გათიშვა საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც შეიტანა. რაინდობასა და საზოგადოების სხვა ნაწილს შორის კავშირი მოისპო. ასეთმა ვითარებამ სულ სხვა მიმართულება მისცა სახელმწიფო წყობილებას. ვეღარ მოიკიდა ფეხი ახალმა საზოგადოებრივმა ელემენტმა ცხოვრებაში, რამაც სახელმწიფო წყობილება ისე გახრწნა, რომ ვეღარაფერი აღადგენდა რაინდთა და მიწათმოქმედთა შორის საზოგადოებრივ ურთიერთობას. ასეთი ახალი ელემენტი, როგორც ცნობილია, ყველა ხალხების ისტორიაში, მერკანტილური კლასია. შუასაუკუნეების საქართველოში იგი საკმაოდ ძლიერი იყო. ახლა, ამ საუკუნეში მან კვლავ მოიკრიბა ძალა.

ქართველი ხალხის დაქვეითების რამდენიმე საუკუნის მანძილზე მეტად შესუსტდა ამ ხალხის ლიტერატურული

მოღვაწეობაც. დროგამოშვებით თუ გამოჩნდებოდნენ საღვთისმეტყველო თხზულებები, ისინიც სუსტი ანარეკლნი იყვნენ ძველი სასულიერო მწერლობისა. 1712 წელს საქართველოში პირველი სტამბის გამართვამ კვლავ გამოაცოცხლა გონებრივი ცხოვრება. ვახტანგ მეექვსემ, რომელიც თვითონ იყო მწერალი, მრავალი სასულიერო წიგნის ბეჭდვას მიჰყო ხელი.

ვახტანგ მეფეზე ცოტაოდენი ხნით ადრე მცხოვრებმა სულხან ორბელიანმა მშობლიური ქვეყნის ლიტერატურა რამდენიმე ისეთი თხზულებით გამდიდრა, რომელთა შორის ერთს უეჭველად დიდი ღირებულება აქვს. ეს არის „სიტყვის კონა.“ იგი ოცდახუთი ათასი სიტყვისაგან შედგება. საბას მისი მასალა ოცდაათი წლის განმავლობაში ამოუკრებია ძველი მწერლობიდან. სულხან ორბელიანის ცხოვრება ჭდიდარია თავგადასავლით; მან ბევრი იმოგზაურა ევროპაში, სადაც კათოლიკურ სარწმუნოებას ეზიარა, თუმცა ბოლოს უარყო იგი. ლექსიკონის გარდა მას ეკუთვნის „მოგზაურობა ევროპაში“ და „იგავთა კრებული“. მისი იგავები დიდი იუმორით გვიხატავს ავტორის თანამედროვე მემამულეთა ნაკლოვანებებს. მეთვრამეტე საუკუნის მოღვაწეს ანტონ კათალიკოსს ორბელიანი არ უყვარდა რჯულის გამოცვლის გამო, თუმცა ამბობდა, რომ საბას ყოველი თხზულება კარგიაო. ლიტერატურის აყვავება, რაც პირველი სტამბის დაარსებას მოჰყვა, სპარსელთა საქართველოში შემოსევამ დათრგუნა. მტერმა სტამბა ააოხრა და ცეცხლს მისცა გამზადებული წიგნები, ასეთივე ბედი ეწია მეორე სტამბასაც, რომელიც სპარსელთა უკანასკნელი შემოსევის წინახანებში დააარსა ერეკლე მეორემ.

ამგვარად, მეთექვსმეტე-მეთვრამეტე საუკუნემ ხვალინდელი დღისათვის ზრუნვასა და წუხილში გაიარა. მუსულმანთა გამუდმებულმა თავდასხმებმა და თავადთაგან გამუდმებული შინაური არეულობით გატანჯულმა ხალხმა თავი მიანება ყველაფერზე ზრუნვას. პიროვნების სიცოცხლეს ფასი დაეკარგა. გამუდმებულმა გაჭირვებამ ხალხი დააბეჩავა და საკუთარი ცხოვრების გაუმჯობესებისათვის მხნეობაც კი დაუკარგა, თუმცა, ვგონებ, დასავლეთთან გახშირებულ

ურთიერთობას ხელი უნდა შეეწყო ამისათვის. კათოლიკე მისიონერებმა, რომლებიც უმეტეს წილად იტალიიდან ჩამოდიოდნენ საქართველოში ცოტაოდენი საგანმანათლებლო ღვაწლი გასწიეს. მაგრამ ჯიუტი პროზელიტიზმი უშლიდა ხელს მათ საგანმანათლებლო საქმიანობას. კათოლიკეთა მიერ გამართულმა სკოლებმა უფრო მეტი გულგრილობა გამოიწვია, ვიდრე სარგებლობა. სასულიერო საეკლესიო ცხოვრებაში მისიონერთა მიერ გამოწვეულმა სარწმუნოებრივმა ინციდენტებმა მეფე თეიმურაზი აიძულა ისინი ქვეყნიდან მოეშორებინა და ხალხში განათლების გასავრცელებლად თელავში სასულიერო სემინარია და სხვა საერო სასწავლებლები დაეარსებინა.

მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს ყველაზე უფრო გამოჩენილი მწერლები იყვნენ: ვახუშტი, ვახტანგ მეექვსის შვილი და კათალიკოსი ანტონი, იგივე მეფის ძმა. ვახუშტის ხანგრძლივი ლიტერატურული ნაღვაწი ავტორის დიდ განათლებულობას მოწმობს. მან, სხვათა შორის, საქართველოს ისტორიაც დაწერა, რაც საქართველოს გეოგრაფიას და გეოგრაფიულ ლექსიკონსაც შეიცავს.

ანტონ კათალიკოსის თხზულებანიც აგრეთვე დიდი რაოდენობისა და სხვადასხვა ხასიათისანი არიან. რამდენიმე საღვთისმეტყველო თხზულებების გარდა მას საქართველოს ისტორია, ქართველ მეფეთა, წმიდანთა და მწერალთა მხატვრულად დაწერილი თხზულება ეკუთვნის, მისივეა ქართული ენის გრამატიკა. ეს იყო პირველი ცდა ამ დარგში სხვა მსგავს თხზულებათა შორის და ამიტომ, რასაკვირველია, ხარვეზოვანიც არის. ანტონ კათალიკოსმა გერმანულიდან გადმოთარგმნა ბაუმეისტერის ზოგადი ფილოსოფია, ვოლფის ფიზიკა, მხითარის რიტორიკა და სხვ. მისი თხზულებები ამაღლებული ლიტერატურული ენით არიან დაწერილნი, რომელშიც ადგილ-ადგილ ძველებური რიტორიკის გულუბრყვილობაც მოჩანს. ანტონს წერის ორგვარი წესი მიაჩნდა: ერთი მარტივი, მეორე კი სიტყვაკაზმული და კეთილხმოვანი. პირველი მისთვისაა „სახმარი, ვინც ხალხს მიმართავს, მეორე კი — პოეტისათვის, რადგან მისი ენა ამაღლებული უნდა იყოს. რაკი ამაღლებულია მისი

აღწერის საგანიც. ანტონის სწავლებას ბევრი მიჰყვა. ეხლაც ბევრი ქართველი მწერალი მისდევს მისებრ ამაღლებული კილოთი წერას. თუმცა ისინი უფრო გაზვიადების ჟინით არიან გატაცებული, ვიდრე კათალიკოსის რჩევით.

მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს მთავრდება საქართველოს დამოუკიდებლობის ხანა. საქართველო შედის რუსეთის მფლობელობაში. ამან შესწყვიტა სპარსელების და ოსმალოების შემოსევა და ამ ქვეყანას მშვიდობა და ევროპასთან ურთიერთობა გაუადვილა.

II

საქართველოსათვის მეცხრამეტე საუკუნიდან იწყება ახალი ხანა. ცივილიზებული მოძრაობა ამ ჯერზე ფეხს ნელ-ნელა იკიდებს. ჯეროვანი მსვლელობა მას ამ საუკუნის მეორე ნახევრიდან ეძლევა. ევროპული ყაიდის ცხოვრება ქართველთათვის პირველად ახალი და უცნობი რამ იყო. მას გულგრილად უყურებდნენ... მალე გაცხოველდა ცხოვრება და ახალ-ახალი საჭიროებანიც დაიბადა. ევროპულმა ცივილიზაციამ მიიზიდა, გაიტაცა ყველას ფიქრი და გონება. ეს გამოცოცხლება ისეთი სისწრაფით მოქმედებდა, რომ დაფიქრებისათვის დრო არავის რჩებოდა. ახლად შემოღებულ წესჩვეულებათა კრიტიკული ათვისებისათვის ვიღას სცხელოდა. ეს თავის მხრივ ცივილიზაციურ კომედიას ჰგავდა. ამ კომედიით თავბრუდახვეული ერი, ვიდრე ცივილიზაციის ნამდვილ შინაარსს შეიგნებდეს, შეიძლება გაკოტრდეს ზნეობრივად და მატერიალურადაც. სამწუხაროდ, ახალი ცივილიზაციის გარეგნული მხარითა და მისი სარგებლიანობით გატაცება ხშირად პროგრესის შეფერხების მთავარი მიზეზი გამხდარა. თბილისსა და ქუთაისში ნადიმი ნადიმზე, მეჯლისი მეჯლისზე იმართებოდა, დარდიმანდული ცხოვრება მხოლოდ რამდენიმე ათეულ წელიწადს თუ გაგრძელდა, იქამდე, ვიდრე სახსრების შესუსტებამ მოქეიფეთა რიცხვი არ შეამცირა. მაგრამ, ღვთის წინაშე, ისიც უნდა ითქვას, რომ მაშინაც იყვნენ ისეთები, ვინც ფიქრობდა, რომ გონებრივი გამოფხიზლებისათვის უპირველესად ყოვლისა, საჭიროა განათლება. საუ-

ჭედურად, მათმა ცდამ ამაოდ ჩაიარა. ასეთი ვითარებისას ძნელია ყოველი ახალი საქმის წამოწყება. ჯერ კიდევ ძნელი ვასარკვევი იყო, როგორ და საიდან დაწყებულიყო ის. მაგრამ ერთი კი უნდა ითქვას, რომ დროთა ვითარებაში საქმის დასაწყისი თავისთავად გამოიჩენს თავს. სკოლების გამართვაზე კიდევ ადრევე ზრუნავდნენ, როდესაც ჯერ კიდევ მასწავლებლები არა ჰყავდათ საკმაო რაოდენობით. ასეთი ვითარებისას შეფერხება სასარგებლოც არის ხოლმე. შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ საქართველო ბუნებრივ მსვლელობას მიჰყვა: რაკი ქეიფისაგან თავბრუდასხმული ქართველი საზოგადოება გამოფხიზლდა, ცხოვრების მიერ დაყენებულ უსაჭიროეს მოთხოვნილებების განხილვას მოჰკიდა ხელი. მან მალე ამისათვის მთელი დასი შეიძინა ხელმძღვანელებისა, რომლებიც მას არ ჰყავდა რამდენიმე ათეული წლის წინ.

გონებრივი ცხოვრების აღორძინებისათვის უპირველესად ჟურნალი დააარსეს, რომლის შემწეობითაც შესაძლებელი გახდებოდა ფართო საზოგადოებრივ წრეში, ყველა უმთავრესი საგნის განხილვა... ეს საქმე პირველად 1832 წელს წამოიწყეს. მაგრამ ცდამ ფუჭად ჩაიარა. ამგვარივე ბედი ეწია 50-ანი და 60-ანი წლების ჟურნალებს, რადგან მკითხველთა რიცხვი ძლიერ მცირე იყო. პირველი ქართველი პუბლიცისტების ღვაწლი დიდი იყო. მათ უნდა ებრძოლათ არა მარტო თანამემამულეთა კულტურისათვის, უნდა ეზრუნათ ენის რეორგანიზაციისათვისაც, რადგან იგი სუსტი აღმოჩნდა ახალი კულტურული იდეების გამოსახატავად. ბოლოს ქართულ ლიტერატურას უფრო კარგი დრო დაუდგა. 1866 წელს დააარსეს გაზეთი „დროება". იგი თუმცა პატარა ზომისაა, მაგრამ მას კარგი ხელმძღვანელობა ჰყავს. „დროება" განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს შინაურ საქმეებს და მათ შესახებ ძლიერ პრაქტიკულადაც სჯის. გაზეთის რედაქტორია მესხი. მეორე ასეთი ორგანო ქუთაისში იბეჭდება და არსებობს შეხედულება თითქოს იგი სხვა ბანაკს უნდა ეკუთვნოდეს, მაგრამ იმავე აზრს აღიარებს, რასაც პირველი. ამ ორი გაზეთის მიმართულებათა სხვადასხვაობა, რაც ხშირად შეინიშნება, საზოგადოებრივი აზრის განვითარებას შოწმობს. ამ ორი

პერიოდული გამოცემის გარდა ქართველებს სამი ყოველთვიური ჟურნალი აქვთ. მათ შორის საუკეთესოდ „ივერია“ ითვლება („ივერია“ ძველი სახელწოდებაა საქართველოსი). ამ ჟურნალს სცემს პოეტი და პროზაიკოსი ილია ჭავჭავაძე. „ივერია“ თავისი შინაარსით არ ჩამოუვარდება დასავლეთ-ევროპულ ჟურნალებს. მასში მონაწილეობას იღებენ საუკეთესო მწერლები. საერთოდ, ამჟამად საქართველოში გაცხოველებული ლიტერატურული მოძრაობაა და დღითიდღე მატულობს მწერალთა რიცხვი.

ქართული ლიტერატურის გაცნობისას უპირველესად ის კითხვა ისმის: თანამედროვე ქართული ლიტერატურა უფრო ცხოვრებასთანაა მჭიდრო კავშირში, თუ იგი მარტოოდენ მწერალთა საკუთარი გრძნობებისა და კერძო, ინდივიდუალური შეხედულებების გამომხატველია? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძლიერ ძნელია. ქართული ლიტერატურა ერთი მხრივ საკუთარ ნამდვილ ცხოვრებას ასახავს, მეორე მხრივ კი—მასში იგრძნობა შეუსაბამობა: ალაგ-ალაგ ევროპული გონებრივი მოღვაწეობის ფრაგმენტები და ხან კი—ავტორთა კერძო სუბიექტური შეხედულებებით გატაცებაც შეინიშნება.

აქვე ისმის კითხვა: ქართველთა გონებრივ ცხოვრებაში არის თუ არა გონებრივი მოძრაობის რაიმე გარკვეული საკუთარი გეზი და მიმართულება? წარმოდგენილი აქვს თუ არა ხელმძღვანელ საზოგადოებას ყველასაგან ცხადად ნაგრძნობი და შეგნებული იდეალები და მისწრაფებანი? — უნდა ითქვას, რომ ერთიც და მეორეც შეინიშნება, მაგრამ ის ცხადად არ არის გარკვეული და საფუძვლიანად დამუშავებული; როგორც ერთი, ისე მეორე საზოგადოების ერთობლივ კუთვნილებას არ შეადგენს, არც ხელმძღვანელი საზოგადოება არ იზიარებს მას ერთობლივად, რის გამოც ეს იდეალები და მისწრაფებანი, საზოგადოებრივ საქმეებზე ერთნაირად არ მოქმედებს. როგორც სხვაგან, ისე საქართველოშიაც, პროგრესთან ერთად შეინიშნება ცივილიზაციის შემაფერხებელი სხვადასხვა გარემოებანი, რომელთვისაც აქ ნიადაგი ბევრად უფრო ხელისშემწყობია, ვიდრე სხვაგან. მიუხედავად ამისა, იგი მაინც ვერ ახდენს იმდენ გავლენას ცხოვრების განვითარებაზე, რადგან მის საწინააღმდეგოდ კარგად

არიან შეიარაღებული პროგრესის მომხრე ის ახალი ადამიანები, რომლებსაც ხელში განათლების დროშა უჭირავთ.

ქართულ ლიტერატურაში, რასაკვირველია, ამ საუკუნეთა დიდი საკითხების გადაწყვეტას ვერ ნახავთ, მაგრამ აქ ხშირად შეხვდებით საღ მსჯელობას აწინდელ მდგომარეობასა და საჭართლიან წუხილს საზოგადოების განუვითარებლობაზე. ქართულ ლიტერატურაში, ამასთან ერთად, წარსულის შესწავლისადმი ლტოლვა შეინიშნება, რაც განათლებული მომავლის შინაგანი ზნეობრივი საჭიროებაა ხოლმე... ასეთი რამ ერთგვარად მოჩანს ლიტერატურის ყოველ სფეროში: პოეზიასა, პროზასა და დრამატურგიაში. ეხლანდელი ქართული პოეზია უფრო ლირიკულია, ამიტომ იგი არ შეიძლება ჩაითვალოს აწმყოს უფრო ბეჯით გამომხატველად. მისი საგანი უფრო ხშირად სიყვარული და საქართველოს მშვენიერი არემარეა. თუმცა, უნდა ისიც ითქვას, რომ მომაჯადოებელია ეს ლირიზმი. ქართველი ქალები განსაცვიფრებელი მშვენებისანი არიან და ბუნებას თავად ყოველი ძალა უხმარია, რომ აქ უფრო მეტად აეყვავებინა პოეზიის სხივით გაბრწყინვებული სიყვარული. აქ პოეტები არ საჭიროებენ, რომ მათმა ფანტაზიამ შექმნას და მოიგონოს რამე. მათ თვალწინ იშლება საუცხოო დეკორაციები, რომლებიც მათ ლექსებს ამშვენებენ. ბუნების ამგვარი პოეტური სიმდიდრე ჩვეულებრივად ძლიერ შველის ჭეშმარიტი ნიჭის პატრონებს, მაგრამ ის საშიშია საშუალო ნიჭის მქონეთათვის, რომლებსაც მისი ასახვისას ზომიერებას ამცდარი გადაჭარბებანი სჩვევიათ. ამას ადასტურებს თანამედროვე ლირიკის დიდი ნაწილი. აქ იგრძნობა ზედმეტი მგრძნობელობა, რომელსაც მრავალსიტყვაობის გადაჭარბებულობის კვალი ატყვია. მაგრამ ყველა როდია ამგვარი. გრ. ორბელიანს, ილ. ჭავჭავაძეს და აკაკი წერეთელს სრულიად არ ეტყობათ ეს ნაკლი. მათ უეჭველად მაღალი ადგილი უკავიათ ქართულ ლიტერატურაში და დიდი ოსტატებიც არიან ლირიკული პოეზიისა. ეს შწერლები ღირსნი არიან იწოდებოდნენ პირველხარისხოვნად უფრო იმიტომ, რომ ყოველი მათგანი თავისთავადი და თავისებურია.

გრიგოლ ორბელიანის როგორც ლირიკულ, ისე ეპიკურ

პოეზიას აღტაცებაში მოჰყავს ადამიანი თავისი მაღალი აზრით, ქეთილშობილური ენითა და მშვენიერების ღრმა გრძნობით. მის უტყუარ ღირსებას შეადგენს ბუნების უმშვენიერესი აღწერა... გრ. ორბელიანს გატაცებით უყვარდა თავისი სამშობლოს წარსული. ღრმა პატივისცემითა და შეუდარებელი სიყვარულით გამსჭვალულმა პოეტმა მრავალი ლექსი უძღვნა სამშობლოს. ერთი ასეთია:

რომელთა დასდევს სიცოცხლე მამულის ასამაღლებლად.

სხვათა შორის არა ერთი გრძნობით სავსე ლექსი უძღვნა მან ქართველების მიერ დაუვიწყარ მეფე თამარს. ამ მეფეს, რომლის მოგონება ხშირად აღელვებს ქართველ პოეტთა ჩანგს. გრ.. ორბელიანის ლიტერატურული მოღვაწეობა აგერ ამ უკანასკნელი ორმოცდაათი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა, მაგრამ ეს პოეზია არ არის აღმოცენებული ქართველთა ახალი ცხოვრების ნიადაგზე, რომელიც დაიბადა დასავლეთ ევროპის ახალი იდეების გაცნობით. ორბელიანი ქართველებისათვის ნამდვილი ვიკენტი პოლია. მას არა მარტო მდიდარი პოეტური აღმაფრენის უნარი, არამედ აღტაცებული თაყვანისცემისა და სიყვარულის უნარიც ახასიათებს. მის ლექსებიდან ცხადად გამოსჭვივის წარსულისადმი ისეთი აღტაცებული პატივისცემა, რაც მეტად ღრმად მორწმუნე კაცის ლოცვას უფრო ჰგავს. ორბელიანი გარდაიცვალა ამ მოკლე ხანში, 83 წლის მოხუცი. საქართველომ დაჰკარგა ჭეშმარიტი მამულიშვილი და წარსულის მგოსანი. მისი დასაფლავება იყო ღირსშესანიშნავი: ის მწუხარება, რაც გაიზიარა ყველა წოდებამ იმდენად ძლიერი იყო, რომ ვგონებ, კავკასიის არც ერთ პოეტს არ ხვდომია წილად მსგავსი დასაფლავება. პოეტის სიკვდილმა უცებ გამსჭვალა მწუხარებით ყოველი წრის და წოდების ადამიანები. მწარე გოდებით, გულწრფელი და ჭეშმარიტი სინანულით გაიმსჭვალა ყველა საყვარელი პოეტის დაკარგვის გამო. საქართველოს წარსული, ძველებური აზრი, მამაპაპეული დრო და ჟამი საქართველოისა თითქოს ჩაეშვა საფლავში სამუდამოდ დაუვიწყარ პოეტთან ერთად. ახლანდელ ქართველ ახალგაზრდობას სრულიად სხვაგვარი შეხედულებანი აქვს. იგი დიდი სიხარბით ეწაფება უცხო ხალხებისა

და უცხო ცივილიზაციის აზრს და იდეებს, რაც სამწუხაროდ, თრგუნავს ადგილობრივ ცხოვრების თავისებურებებს, განსაკუთრებულ ყოფას.

ახალ ცხოვრებას უფრო მეტად ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი შეეფერებიან. ეს ორი პოეტი თუმც ურთიერთისაგან ძლიერ განსხვავდება, მაგრამ ორივე ერთგვარი მხნეობით და ძალით მოღვაწეობენ და ცდილობენ თავიანთ თანამემამულეთა შორის გაავრცელონ პროგრესული აზრები და იდეები.

ილია ჭავჭავაძის პირველი თხზულებები ქართულ ლიტერატურას ამ 20 წლის წინ მოევლინენ და მაშინვე დაიჭირეს საპატიო და თვალსაჩინო ადგილი თანამედროვე ლიტერატურაში. მთავრობამ განიზრახა თუ არა გლეხების განთავისუფლება, ილია ჭავჭავაძემ თავისი ნაწერებით პირველმა დაიწყო საქართველოში ამ რეფორმის მისაღებად საზოგადოებრივი აზრის მომზადება. ორ პირველ თავის მოთხრობაში: „კაცია-ადამიანში?!“ და „გლახის ნაამბობში“ გლეხთა უბედური და ტანჯული მდგომარეობა იმგვარი სურათებით გამოსახა, რომ მათი წაკითხვა შეაძრწუნებს და ააღელვებს ყოველი ადამიანის კეთილშობილურ გრძნობას.

მოთხრობებში გამოყვანილი პირები შუასაუკუნეობრივი ენგით არიან გარემოცულნი. თუმცა ყოველი მათგანი აღჭურვილია დიდი გამძლეობით, რასაც ძვირად თუ შეხვდებით ხოლმე ჩვენს დროში და ჩვენს საზოგადოებაში. მართალია, მათ მუსულმანთა მსგავსად ბედისწერისა არა სწამთ რა, — ისინი ქრისტიანები არიან, მაგრამ მათ სიცოცხლეს მაინც ჰამლეტის „to be, or not to be“* პრინციპი უდევს საფუძვლად. სიცოცხლეს, მათი შეხედულებით, დიდი ფასი არ ადევს. მასზე გაცილებით მაღლა სიყვარულს, სიძულვილს, მადლიერების გრძნობას და სისხლის ზღვევას ანუ სისხლის ზღვას ადევს. ზემოდასახელებული ყველა მოთხრობა ხელოვნების შესანიშნავი ოსტატობით არის დამუშავებული. ჩვენ აქ ვხვდებით ვერაგ თავადს, რომელიც თუმც თავის წრეში, თანასწორებს კაცურად ეპყრობა, ხან დიდად პატი-

* „ყოფნა, არყოფნა“ (შექსპ.)

ოსნადაც, მაგრამ ყმების მიმართ იგი ყოველგვარ მსგავს ღირსებასა ჰკარგავს: მისი აზრით, გლეხი იმად არა ღირს, რომ მათ ჭირ-ვარამს მცირედი ყურადღება მაინც მიაქციოს კაცმა. ამ უბედურსაც დედის რძესთან ერთად ის აზრი შეუთვისებია, რომ განგებას ისინი ყმად გაუჩენია და რომ ვითარცა პირუტყვმა სიტყვის შეუბრუნებლად უნდა შეასრულოს ბატონის თუნდაც ის განკარგულება, რაც შეიძლება სულელური ჭკუის ნაყოფიც იყოს. თუმც ეს ასეა, მაგრამ, ჩვენ ისიც ვიცით, რომ მშიერი კაცის მოთმინებას საზღვარი აქვს. და თუ ვერაგი ბატონი შეეხება მას, რაც მისი რწმენით წმიდათა წმიდაა და ხელშეუხებელი, მაშინ ყმის გულში კაცური ღირსების გრძნობა იღვიძებს. ამ გაღვიძებას აღრეულობა, სისხლისღვრა და სხვა მოსდევს.

ჭავჭავაძე თავისი თანამემამულეების ხასიათისა და გულის დიდი მესაიდუმლეა. მისი მოთხრობები, რომელთა საგანი აწმყო ცხოვრებაა, ხშირად ქართველთა ცხოვრების უფრო ბნელ მხარეებს გვიხატავენ, ვიდრე ნათელს, მაგრამ სავსეა მაინც უმშვენიერესი სურათებით. ჩვენი ფიქრით, ქართულ ლიტერატურაში სხვა იმგვარი მოთხრობა არ მოიძებნება, რომელიც ისეთი სიმართლითა და სრულყოფით გვიხატავდეს ძველი დროის თავადობის ცხოვრებას, როგორც „კაცია-ადამიანი?!“ ეს მოთხრობა ყველაფერს შეიცავს, რაც საჭიროა ამ ყაიდის ადამიანების გასაცნობად. „კაცია ადამიანში?!“ ვხედავთ მდიდარ სოფლელ თავადს, რომლის სიცოცხლე მდორედ, ტბორედ, უზრუნველად, უსაგნოდ და უაზროდ მიედინება. იგი ოჯახსაც კი არ უვლის, შრომას არ არის შეჩვეული და სძულს კიდეც იგი. მისი ტრფიალების საგნებია: გემრიელი სადილი, მშვენიერი კახური და განცხრომით ძილი ქართულ ტახტზე. პროგრესი არა სწამს: სწავლას და ცოდნას უქმ ბარგადა სთვლის და წიგნიც სიკვდილებრ სძაგს. მის ნაცვლად იგი თავის წოდებრივ ღირსებებზე მტკიცედ დგას და დიდად აფასებს, რაც ღმერთს უბოძებია მისთვის. ეს, მისი აზრით, შეურყეველია სამარადისოდ: სხვა რომ არა, როგორ შეიძლება აეყაროს თავადიშვილს უფლებანი—ნაყოფნი იმ დამსახურებისა, რაც მამა-პაპას სამშობ-

ლოს წინაშე მოუპოვებია? საქართველოსა და საკუთარი გვარის წარსულზე ლაპარაკი ოდნავ გამოაცოცხლებს ხოლმე ჩვენს თავადს. ამაზე მანაც იცის ზოგი რამ. მისი ყოვლად პატიოსანი კნეინა დარეჯანი თუმცა ქმრის ყაიდის ადამიანია, მაგრამ წიგნის ცოტაოდენი ნაკითხობით წუთისოფლის ავ-კარგისა თითო-ოროლა რამ გაუგონია... მან წიგნების ყადრიც იცის, მაგრამ თავი მაინც ვერ დაუღწევია ცრუმორწმუნეობის მაჯლაჯუნისაგან, რასაც მთლად დაუმონებია მისი ქმარი—ლუარსაბი...

ილია ჭავჭავაძე საყვარელი სამშობლოს მათაყვანებლად გვევლინება მოთხრობებში. მწერალს გატაცებით უყვარს თავისი მამული. შემაძრწუნებელი კვნესა და ოხვრა გვესმის იმ ლექსებიდან, რაც მას სამშობლოსათვის მიუძღვნია, თუმცა მათში ბედნიერი მომავლის სხივიც გამოსჭვივის. ასეთია, მაგ:

გაზაფხული

ტყემ მოისხა ფოთოლი,
აგერ მერცხალიც სჭყივის,
ბაღში ვაზი ობოლი
მეტის ლხენითა სტირის.

აყვავებულა მდელო,
აყვავებულა მთები;
მამულო საყვარელო,
შენ როსღა აყვავდები?

ასეთივეა მისი

ელეგია

მკრთალი ნათელი სავსე მთვარისა
მშობელ ქვეყანას ზედ მოჰფენოდა,
და თეთრი ზოლი შორის მთებისა
ლაჟვარდ სივრცეში დაინთქებოდა.

არსაიდამ ხმა, არსით ძახილი...
მშობელი შობილს არას მეტყოდა,
ზოგჯერ-კი ტანჯვით ამოძახილი
ქართველის ძილშია კვნესა ისმოდა!

ვიდექ მარტოკა... და მთების ჩრდილი
კვლავ ჩემ ქვეყნის ძილს ეალერსება...
ოხ, ღმერთო ჩემო! სულ ძილი, ძილი,
როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?!

ილია ჭავჭავაძეს აკაკი წერეთელი უმშვენებს მხარს. წერეთლის პოეზიას დიდად აფასებენ ქართველები. მის ლექსებს ფრიად საყურადღებო აზრების გარდა მეტად მოხდენილი, გამართული ქართული და თავისუფალი ლექსწყობა ამშვენებს. აკაკი წერეთლის პოეზიის მთავარი თემა — თანამედროვეობაა. პოეტს კარგად ესმის თავისი დროის მაჯისცემა და ავ-კარგი. აკაკი წერეთელს დრამატიული თხზულებებიც ეკუთვნის.

ზემოხსენებული სამი მგოსანი თანამედროვე ქართული პოეზიის ფუძემდებელია. მათ მეორე და მესამე ხარისხოვანი პოეტები მოსდევენ... თანამედროვე პოეტებს ბარათაშვილი და რაფ. ერისთავი ეკუთვნიან. ერისთავი ქართული სოფლისა და საქართველოს განსაცვიფრებელი ბუნების მომღერალია. მისი პოეზიის უმთავრესი ღირსებაა წრფელი, თუმც მარტივი გრძნობა. ასეთია რაფ. ერისთავის პოეზიის ნიმუშიც.

სამშობლო ხევსურისა

სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ და მისროლია ისარი,
სად მამა-პაპა მეგულვის, იმათი კუბოს ფიცარი.....

* * *

პროზაული ლიტერატურა ახალი რამ არ არის საქართველოში. ამ ყაიდის ხელოვნება პირველად ძველ საქართველოში სპარსეთსა და არაბეთიდან გადმოუტანიათ. ასეთი მოთხრობების წერა ახლაც უსაყვარლესი საქმეა ქართველებისათვის. როგორც, საერთოდ, სხვა აღმოსავლეთის ხალხი, ქართველებიც დაუსრულებელი ფანტაზიის პატრონები არიან და ხარბად ეწაფებიან თავისი გემოვნების ხელოვნებას. სამწუხაროდ, ამ მოთხრობებს თუ ამბებს მაღალი ლიტერატურული ღირსებები არ გააჩნიათ. ისინი

ვრცელ იგავ-არაკებს უფრო წაგავენ და არ არიან ღირსი ყურადღებისა, რადგან უცხოეთიდან, აღმოსავლელ ხალხებიდან გადმოუტანიათ. საკუთარი, ნამდვილი ქართული ხალხური თხზულებები ჯერ კიდევ არ არის შეკრებილი. დიდი ხანი არ არის, რაც ალექსანდრე ცაგარელმა სამეგრელოში შეკრებილი ხალხური იგავებისა და ამბების კრებულის ორი ტომი გამოსცა.

თანამედროვე ქართულ პროზაულ თხზულებებს ცხადად ატყვიათ ხალხური ზეპირსიტყვაობისათვის დამახასიათებელი მრავალსიტყვაობისა და გაჭიანურების ბეჭედი... ევროპული ყაიდის პროზაული თხზულებები მხოლოდ ამ საუკუნის მეორე ნახევარში შეიქმნა. ისინი ცხოვრებიდან აღოღებულ ნამდვილ სურათებს გვიხატავენ.

თანამედროვე ქართული პროზაული ლიტერატურის ნამდვილი ფუძემდებელი ილია ჭავჭავაძეა. ამ მწერლის შესახებ ზევით უკვე მოგახსენეთ. ილია ჭავჭავაძემ ქართული ლიტერატურა გაამშვენიერა და გაამდიდრა მისი ფორმები. მწერალმა ფუჭ ოცნებათა სამაგიეროდ მოთხრობებში ისეთ საგნებზე დაიწყო სჯა, რაც აღელვებს საზოგადოებას. მის მაგალითს ბევრმა მიჰბაძა. რამდენიმე ქართველმა განათლებულმა ახალგაზრდამ სცადა ემუშავა ამ დარგში: კალამი სცადეს პროზაში, მაგრამ ჯერჯერობით მათი მოსავალი დიდი არა სჩანს.

ილია ჭავჭავაძის შემდეგ ქართულ პროზაში თვალსაჩინო ადგილი მოჩხუბარიძეს უკავია. ეს მწერალი ნამდვილ პოეტურობასთან ერთად დიდი არტისტულობით მთხრობელის ნიჭით არის დაჯილდოებული. მისი მოთხრობების საყვარელ საგანს მთიელთა ცხოვრების აღწერა წარმოადგენს. როგორც ვიცით, ის მეტად მდიდარია ვნებათა ღელვითა და დრამატული ეპიზოდებით. აქ სისხლის ღვრისა და ხშირად მთელი საგვარეულოს გაწყვეტის მიზეზი სარწმუნოებრივი ფანატიზმი, კდემამოსილება და აქამდე მოლწეული სისხლის აღების წესი გამხდარა ხოლმე. მათ ყოფაში პატარა ადგილი როდი უჭირავს გატაცებულსა და მხურვალე სიყვარულს, რასაც ათასგვარი წეს-ჩვეულება გადაღობებია. ძალოვანი ვნებათა ღელვა და უდრეკი წესები

სისხლის ზოლივით მისდევს მოჩხუბარიძის მოთხრობებს. მწერალს მკითხველი განსაცვიფრებლად მშვენიერ ბუნებაში გადაჰყავს: მას ხან განმარტოებით მდგომარე მთიულის ქოხში შეახედებს, ხან აქ ბუნების საოთხეში კალმით აუწერელ მთიულ ქალს აცნობს, რომლის მშვენება მყასვე ამონებს მას. მუხანათია წუთისოფელი: მთის ანგელოზი, მშვენიერების ქალღმერთი შავთვალა ციკო თუ ელისო, რომელთა სიყვარული არა ერთ ვაჟკაცს გიზგიზა ცეცხლში ჩააყენებდა და სიკვდილისათვის თვალს გაასწორებინებდა, ტანჯვისათვის ყოფილან თვით განწირულნი. აქ ამ მოთხრობებში ერთი მთიული ვაჟკაცის ქორწინებით მონიჭებული მცირე ხნის ბედნიერებას დაუსრულებელი ტანჯვა მოსდევს. იგი ამ ყმაწვილს მეშურნეობამ მიაყენა. დიდ ხანს გასტანა ამ ყოფამ, ვიდრე სისხლის ძიების ჟამი მოატანდა, ვიდრე მათ თავს არ დაადგება კვლავ შავი ავბედი—სიკვდილი.

ამ დრამატულ სცენებს და უბედურებას ავტორი ისეთი იშვიათი ძალითა და გატაცებით ხატავს, რომ თითქოს იგი მტანჯველ სიტკბოებას აეტანოს. ბუნების სურათები აოცებს და აღიტაცებს მკითხველს. ძალუმად გრძნობ, რომ ამ მწერალს საშვენიერის არტისტული გრძნობა ხვდომია წილად.

მოჩხუბარიძის გარდა უნდა მოვიხსენიოთ ა. ორბელიანი და ნ. ნიკოლაძე. თანამედროვე ცხოვრება აქვთ გამოსახული ამ მწერლებს თხზულებებში. საქართველოში ძლიერ უყვართ ისტორიული მოთხრობები და ამბები. ამ მხრივ დიდი ღვაწლი მიუძღვით იმავე ალექსანდრე ჭავჭავაძესა და გ. რჩეულიშვილს. ამ უკანასკნელის ისტორიული მოთხრობები: „თამარ ბატონიშვილი“, და „ანუკა ბატონიშვილი“ რამდენჯერმე დაიბეჭდა.

დრამატული პოეზია ქართული ლიტერატურის უმცროსი შვილია. იგი 1850 წელს დაიბადა ქართულ თეატრთან ერთად. მის მამამთავრად საქართლიანად ითვლება თავ. გიორგი ერისთავი. ერისთავი ათი-თორმეტი წლის მანძილზე პოლონეთში იყო. დაბრუნდა თუ არა თავის საშობლოში, ქართული თეატრის დაარსებისათვის დაიწყო ზრუნვა. მის კეთილ-

შობილურ მისიას, სამწუხაროდ, ბევრი დამაბრკოლებელი რამ გადაეღობა: ამ დროს ჯერ კიდევ არ იყვნენ რიგიანი არტისტები, სრულიადაც არ იყო რეპერტუარი. მაგრამ ამას თუ მოერეოდა ენერგიული კაცი, კიდევ რჩებოდა ერთი დიდი სიძნელე. ეს იყო მოძველებულ შეხედულებებთან ბრძოლა. კარჩაკეტილობას მიჩვეული ხალხი ეჭვის თვალით უყურებდა თეატრს. რეპერტუარის შედგენა არ გაძნელდებოდა, თუ გადმოითარგმნებოდა რიგიანი პიესები. გ. ერისთავი კარგად იცნობდა თავის თანამემამულეებს და გრძნობდა, რომ თარგმნილი პიესებით ვერ მიაღწევდა საწადელს. უცხო თხზულებები, უცნობ ცხოვრებიდან იყვნენ ამოღებული, საჭირო იყო სამშობლოს ნიადაგზე დაყრდნობილი, მის მასალაზე დაწერილი რამდენიმე დრამა. ამ მიზნით დაწერა ქართული თეატრის მესვეურმა კომედია „გაყრა" და მალე თბილისის სცენაზედაც დადგა. პირველმა ნაბიჯმა ქართული თეატრის ბედი გადაწყვიტა და რეპერტუარი გაივსო ქართული პიესებით. მათი უმრავლესობა თვით ერისთავის კალამს ეკუთვნის. ქართული თეატრის რეპერტუარიდან განსაკუთრებით გამოირჩევიან: „ძუნწი", „მინდა კნეინა გავხდე", „მზის დაბნელება", „ქმარი ხუთის ცოლისა", „ხევსურების ქორწილი", „განა ბიძამ ცოლი შეირთო?", „ლიტერატორთა მოგზაურობა".

ყველა ამ ნაწარმოებში ნამდვილი ქართული ცხოვრება და ქართული ხასიათებია ასახული. აქ ძველებურ თავადებს, იოთამ და სოლომონ გოდაბრელიძეებს, თბილისელ სომეხ ვაჭარს კარაპეტას, ნაციონალური-ეროვნული ხასიათის ქართველ ქალებს შეხვდებით და, ერთი სიტყვით, შესანიშნავი ტიპების მთელ დასს გაეცნობით. ამ დრამატულ თხზულებებს როდი აკლიათ ის იუმორი, რაც ქართველების განსაკუთრებულ თვისებას შეადგენს. სწორედ ამის გამო აუვავდა აქ პირველად კომედია, როცა დრამას ჯერ კიდევ ვერ აუდგამს რიგიანად ფეხი.

ერისთავის მიმდევრებია: მეფარიანი, თუთაევი, გარსევანიშვილი, შარვაშიძე და სხვანი. ასე რომ, ახლა ქართული თეატრის რეპერტუარში კაი ძალი ორიგინალური კომედიებია... თანამედროვე კომედიოგრაფთა შორის ცნობილი

არის აკაკი წერეთელი, რომლის თხზულებები გამოირჩევიან არა მარტო ცხოველი იუმორით, არამედ საინტერესო და სასიამოვნო შინაარსითაც, რაც ავტორს სინამდვილიდან, ცხოვრებიდან ამოუკრებია.

ქართული დრამატული ხელოვნების სათავე „ვეფხისტყაოსნის“ გადრამატიზებით იწყება, რასაც მოჰყვება ანტონოვის ტრაგედია „ქოროღლი“, ალექსანდრე ორბელიანის „მეფე ირაკლი“, ფურცელაძის „ავაზაკნი“ და სხვ. ყველა ამ თხზულებებს თავისი ისტორიულობის პრეტენზიის გამო უფრო სცენიური ღირებულება აქვთ, ვიდრე საკითხავი... ქართულ დრამატურგიულ ხელოვნებას უკანასკნელ დროს ორი ხელოვანი შეეძინა. ესენი არიან მოჩხუბარიძე და ავ. ცაგარელი, რომლებსაც ნიჭით ვერავინ შეეცილება. ორივე მასალას თანამედროვე ცხოვრებიდან იღებს. სწორედ ეს არის მიზეზი მათი თხზულების ღირსებისა. დრამებში ყურადღებას იქცევენ კ. მესხის „ბაგრატ IV“. აქ მკითხველის თვალწინ იშლება იმერეთის მეფის ბაგრატის ცხოვრების ამბები. უფრო მეტი ღირსებებისა არის დ. ერისთავის დრამა „სამშობლო“. თუმც იგი ავტორმა უცხოური ლიტერატურიდან გადმოაკეთა ქართულად.

თუ ახლა ჩვენ ქართული ლიტერატურის ორიგინალური თხზულებები განვიხილეთ, არ შეიძლება არ გავიხსენოთ თარგმნილი ლიტერატურაც. მათში პირველი ადგილი პროზას უჭირავს. რამდენიმე ახალგაზრდა ქართველმა ქალმა საზოგადოებაც შეადგინა და ქუთაისში ჟურნალ „ქართულ ბიბლიოთეკას“ ბეჭდავენ. აქ განსაკუთრებით ნათარგმნი მოთხრობები იბეჭდება. მწერალ ქალებს ჯერ კიდევ არ უთარგმნიათ ევროპული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშები. მომეტებული ნაწილი თარგმანებისა გადმოღებულია რუსულიდან, ეს ენა ყველა ნასწავლმა ქართველმა ზედმიწევნით იცის.

ქართული თეატრის დამაარსებელმა გ. ერისთავმა მიცკევიჩის რამდენიმე ლექსი თარგმნა, იგი ახლა ხელმეორედ იბეჭდება.

ქართული ბიბლიოთეკა ძლიერ ღარიბია სამეცნიერო

ლიტერატურით. ეს ორგვარი მიზეზით უნდა ავხსნათ: იგი უპირველესად დაუდეგარ ქართულ ტემპერამენტს უნდა მიეწეროს და ქართული სკოლების უქონლობასაც. ყველა საშუალო სასწავლებელში სწავლა რუსულ ენაზე წარმოებს.

უკანასკნელ დროს ქართველებმა დიდი ყურადღება მიაქცეს სამშობლოს ისტორიას. ახლა ჩვენ გვხვდება ისეთი თხზულებები, რომლებიც შუქს ფენენ ოდესღაც ძლიერი ერის წარსულს. ამ მხრივ ინტერესს იწვევენ თავისი მნიშვნელობითა და ამ დარგში გაწეული ღვაწლით დიმიტრი ბაქრაძის, ჯანაშვილის და მამა გვარამაძის შრომები. ამათ გარდა ქართულად მოიპოვება ბევრი ისეთი მონოგრაფია, რომლებიც მომავალში უთუოდ გამოდგებიან ისტორიის შესასწავლად. კერძო სახლებსა და მონასტრებში დაცულია ბევრგვარი საისტორიო ხელნაწერი და სხვაგვარი დოკუმენტები, რომლებიც ჯერჯერობით გამოქვეყნებული არ არიან. რაც შეეხება ძველი, შუასაუკუნეების საისტორიო მწერლობას, ესეთია — „ქართლის ცხოვრება". იგი შედგენილია მეფეთა ბრძანებით მემატიანეების მიერ.

სხვა მხრივ ჯერჯერობით ქართული ეროვნული მეცნიერებანი არ არიან თვითმყოფადი და თუ ამ მხრივ მათ რაიმე მოეპოვებათ, ისინი უთუოდ ან ნათარგმნი არიან, ან უცხო ორიგინალებიდან გადმოკეთებულები. ეს მდგომარეობა არ უნდა გვაკვირვებდეს, თუ წარმოვიდგენთ იმ მცირე დროის მანძილს, რაც გავიდა მათი აღორძინების შემდეგ. მეტი თუ არა, სრულიად საკმარისია, რაც მათ შექმნეს თავიანთ ლიტერატურაში ამ მოკლე ხნის მანძილზე. ასე რომ, შეგვიძლია დაბეჯითებით ვთქვათ, — ქართველების გონებრივი მოღვაწეობა არ ჩაივლის უკვალოდ. რამდენიმე ხნის წინ ქართველებმა დააარსეს „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება". მას დიდი რაოდენობითა ჰყავს უკვე წევრები. ეს საზოგადოება სანაქებო მოღვაწეობას ეწევა. მის კეთილ ნაყოფს ცოტაოდენი ხნის შემდეგ უთუოდ ყველა დაინახავს.

კოლხიდაში

(პირველად საქართველოში)

ღუზა ახსნეს, ჩვენი გემი ნაპირს მოშორდა და ბათუმი-საკენ გაემართა, სადაც ოთხ დღეში უნდა მივიდეთ. სულ მალე შუა ზღვაში აღმოვჩნდით, იმ თვალუწვდენ წყლის სივრცეზე, თიბათვის მზის შუქზე რომ ასე მომხიბლავად კიაფობს. ტალღები ოდნავ ირხევა, სიჩუმე დაბუდებულა ჰაერში, თვით ხომალდზეც, სადაც ორი დიდი კაიუტა რამ-დენიმე მგზავრს უჭირავს. პირველ კლასში რვა სული ვართ: ერთი ნამდვილი პრუსიელია, ერთი სპარსელი, ერთი ამერი-კელი, იგი სულ წერილებსა სწერს და თავისი ლაპარაკის ღირ-სად არავის თვლის, ორი პეტერბურგელი რუსია და ერთიც ახალგაზრდა ქალ-ვაჟი, ანუ ნუგბართა წყვილი. უკანმოუხე-დავად მივცურავთ მშვიდ ტალღებზე, მშვენიერ ცისფერ სივრ-ცეს გავცქერით და ერთმანეთს ვესაუბრებით. სპარსელი ბევრ რამეს გვიამბობს თეირანზე და ისეთი მშვენიერი ფრან-გულით ლაპარაკობს, კაცს ნამდვილად ფრანგი ეგონება, შავი პირისახე რომ არ ჰქონდეს...

მოსაღამოვდა. მთვარე ზღვიდან ამოცურდა და თავისი ვერცხლისფერი შუქი მოჰფინა არემარეს; ამ სანახაობამ

ოცნების გუნებაზე დაგვაყენა. ხომალდზე სიწყნარეა, ყველა თავისთვის რაღაცას ღიღინებს, ხმამაღლა თითქმის არავინ ლაპარაკობს. ამ სიჩუმეს მხოლოდ ორთქლის მანქანისა და ხრახნის ხმაური არღვევს.

დილით, როცა მზემ ცაზე კარგა მაღლა აიწია, სევასტოპოლის ნავსაყუდელში შევედით. აქ რამდენჯერმე ვყოფილვარ, ამიტომ ნაპირზე აღარ გადმოვედი, აქაური ქუჩების საშინელი მტვერი და სიცხე ვერაფერ სანახაობას წარმოადგენდა. სევასტოპოლში ხომალდი ექვს საათს დგას — სწორედ იმდენ ხანს, რაც უსაქმო მგზავრისთვის სრულიად საკმარისია, რომ სულ ერთიანად დაათვალიეროს ხომალდის ყოველი ლურსმანი და ჭუჭრუტანა... შუადღის პირველი საათი იქნებოდა, რომ მანქანამ კვლავ ქშენა დაიწყო და ისევ გზას გავუდექით. როცა ხერსონის ნახევარკუნძულს მივუახლოვდით, ჩვენმა ხომალდმა ერთი ისეთი ლაზათიანი ქანაობა დაიწყო, რომ ბევრ ჩვენგანს ზღვის ავადმყოფობა დაემართა... მალე ღამეც ჩამოწვა და ვეღარ დავინახეთ წარმტაცი ნაპირები, რომელიც ფეოდოსიამდე მშვენიერი სანახავია...

გუშინდელივით გაოცებულნი ვართ მთვარის შუქით, რომელიც ზღვის სივრცეზე კიაფობს. კაცს ეგონება, ოქროს ნაკადული მიცურავსო, ისე იცვლის ფერს და ბრჭყვიალებს, ხან კი უეცრად გაქრება, რომ კვლავ უფრო ძლიერ აელვარდეს.

ბალტაში ჩვენს საზოგადოებას ვიღაც სქელი ფრანგი მოემატა, რომელიც კავკასიაში მოდიოდა თავის სიძესთან.

— თქვენ განა არ იცნობთ ჩემს სიძეს? — ეკითხებოდა ის ყველას.

— დიახაც რომ ვიცნობთ, — ყურში ჩამჩურჩულა ჩვენ შორის მყოფმა ერთმა პეტერბურგელმა,—განთქმული მტარვალია, შეუბრალებლად ყვლეფს ხალხს.

მალე ფრანგსა და სპარსელს შორის დავა ატყდა.

— ჩვენ მალე წინ წაგიყვანთ თქვენცა და თქვენს ქვეყანასაც, — ეუბნებოდა ფრანგი, — მაგრამ ეს კია, თქვენმა შაჰმა მეტი თავისუფლება უნდა მოგვცეს.

— დიახ, დიახ, როგორ არა, — უპასუხებს სპარსელი, —

თქვენ მალე ტყავს გაგვაძრობთ და თქვენი დახმარებით მოწყალების საათხოვნელად წავალთ.

— ჰა, ჰა, ჰა! — იცინოდა ფრანგი, — თქვენ კიდევ ბევრი სიმდიდრე გაქვთ. საკმარისია, თქვენში მიწა ლურსმნით მოჩიჩქნოთ, რომ ყველაფერმა გაიხაროს ამ მიწაზე. დიახ, ჯერ შესაწყალებელი არაფერი გეჭირთ რა, გარდა განათლებისა, რომელსაც მარტო ევროპელები მოგცემენ.

— ეგ თქვენი განათლება მხოლოდ დაგვღუპავს, — უპასუხა სპარსელმა მწარე ღიმილით: — თქვენ განა ჩვენს განათლებაზე ფიქრობთ! ჩვენთან მოდიხართ მხოლოდ იმისთვის, რომ გამდიდრდეთ, როგორც კი ჯიბეს გაისქელებთ, დაბრუნდებით და გაიძახით: „ჩემს შემდეგ წყალსაც წაუღია ყველაფერიო“.

ფრანგი და სპარსელი კვლავ ბაასობენ, ჩვენ კი დასაძინებლად წავედით...

ქერჩში ჩვენი გემი რამდენიმე საათს იდგა. საღამოს ექვსზე ხელახლა გავუდექით გზას ჩრდილო-დასავლეთისაკენ... შორიდან ტამანის ნახევარკუნძული მოჩანდა, მისი ნაპირები დაბალია და თვალისათვის არაფერ სასიამოვნოს არ წარმოადგენს. დილით ჩემს კაიუტაში პრუსიელი შემოვარდა და მისაყვედურა:

— გრცხვენოდეთ, კავკასიის მთები მოჩანს და თქვენ კი გძინავთ, ეგ არ გეპატიებათ.

მაშინვე გემბანზე ავედი და, მართლაც, მშვენიერი სანახაობა წარმოიდგა: მთები, რომლებიც ნაპირზე ჯერ კიდევ მთლიანად არ მოჩანდა, ძლიერ მაღალი არ გეგონებოდათ, მაგრამ ჭოგრიტით შეამჩნევდით ამ თოვლით მოსილ ბუმბერაზებს.

...ეს მშვენიერი მხარე შავი ზღვის კავკასიონის ნაპირია, მაგრამ მის მწვანე, სამოთხისმაგვარ მინდვრებში საჩუმე მეფობს...

ბოლოს, მეოთხე დღეს, დღის ოთხ საათზე ბათუმის ნავსაყუდელში შევედით. იგი ერთი საუკეთესო პორტთაგანია მთელ შავ ზღვაზე... ჩვენთან ერთად შემოვიდა მარსელიდან მოსული ფრანგული გემი „სამეგრელო“.

მეტად გაცხოველებული საქმიანობაა ბათუმის პორტში,

ვაჭრობა აქ კარგად მიდის. ნაპირზე გადმოვედით თუ არა, მაშინვე მოგვცავენ ოსმალონი, რომლებიც ჩვენი სკივრების წაღების ნებასა გვთხოვდნენ. რაკი დროს დაკარგვა არ გვინდოდა, ჩვენი ბარგიბარხანა მაშინვე დავანებეთ მათ. ეს ბარგი თავის ღონიერ მხრებზე გაიდეს და ვაგზლისაკენ გავეშურეთ. ორთქლმავალი თბილისისაკენ მალე უნდა გასულიყო.

ბათუმი უფრო ოსმალური ქალაქია, თუმცა მას შემდეგ, რაც რუსეთის მფლობელობაში გადმოვიდა, შესამჩნევად იცვალა ფერი. აქ ევროპელები ბევრია, ისინი მომეტებულად ნავთით მოვაჭრენი არიან. ბათუმის მთელი ავლადიდება ნავთია, ამიტომ აქ სულ ნავთზე ლაპარაკობენ და რასაც მიეკარებით, ყველაფერს ნავთის სუნი ასდის. ვშიშობდი, ჩაის მაგივრად ჩემთვის ნავთი არ მოეტანათ, მაგრამ ჩემდა საბედნიეროდ, ამ ხიფათს გადავურჩი. ნავთის გარდა ბათუმს სხვა განსაკუთრებული თვისებაც აქვს — აქ დიდძალი ჭაობებია, რომლებიც ქალაქს გარს არტყია. ისინი კარგა მოზრდილები არიან; მათი წყალობით მთელი წლის ფანმავლობაში ციებცხელება არ ნელდება, იგი ერთგვარად მოქმედებს როგორც ადგილობრივ მცხოვრებლებზე, ისე მოსულებზე. ამის გამო მე ვამჯობინებდი პაცანოვკაში* მთელი ორი კვირა დავრჩენილიყავი, ვიდრე ბათუმში ერთი დღე, თუმცა უნდა გამოვტყდე, პაცანოვკას არემარე არასოდეს შეედრება ბათუმისას. მისი ნაპირები შემოსილია სამხრეთის ხეებითა და ბუჩქებით, რომლებიც გაუვალ ტყეს ქმნიან.

მაშ ეს არის კოლხიდა! — გავიფიქრე, როცა მე და ერთი სომეხი ვაგონში ჩავსხედით. მაშ აქ მოვიდა იაზონი ოქროს ვერძისათვის და გზად მიმავალმა მედეაც მოიტაცა, რადგან ოქრო და ლამაზი ქალი ორივე ერთად კარგი რამ არის. ქალებს უყვართ ოქრო, სომხებს კი უფრო მეტად. არგონავტების ეს მოგზაურობა, როგორც ჩანს, ზღაპარია და მეტი არაფერი. იაზონი სინამდვილეში ვაჭარა იყო უთუოდ. აქ ის სავაჭროდ იყო მოსული, მხოლოდ როცა ოქრო და ლამაზი ქალი შეიძინა, ისე საჩქაროდ გაიპარა, რომ, ვინ იცის, იქნებ სასტუმროს ფულიც არ გადაუხდია. ქართველე-

---

* ბოლონეთის სამეფოს მიყრუებული ადგილია (ავტორი).

ბი ამბობენ, მაგისთანა იაზონები დღესაც ბევრი მოდის ევროპიდანო..

რვა საათზე თბილისისაკენ გავემგზავრეთ. გზა ჯერ ქალაქის ძველ ოსმალურ ნაწილს გაივლის; აქ ძველი უხეირო სახლებია და არც არაფერს საინტერესოს წარმოადგენენ. ჩვენთვის უფრო საინტერესო თვითონ ოსმალონი იყვნენ, რომლებიც გაკვირვებით შემოგვცქეროდნენ. მათ შორის დავინახეთ ოსმალო ქალი, ის თავით ფეხამდე ჩადრში იყო გახვეული; ჩვენ მისი პირისახის ნახვა ძლიერ გვაინტერესებდა, მაგრამ, ვინ იცის, იქნებ მისი სილამაზე ერთ ფარადაც არ ღირდა.

ბათუმიდანვე აწყება მთები და ხშირი ტყეები... ამ უზარმაზარ ტყეში ადამიანის კვალიც კი არსად ჩანს. ალაგ-ალაგ მაღალ ბოძებზე შეყენებულ ქოხებს თუ შეხვდებით, რომლებიც ალბათ ნავისმკეთებელი მუშების ღამის თავშესაფარია, ბოძებს ასე მაღლა უთუოდ იმიტომ უკეთებენ, რომ გველები და სხვა მავნე ქვეწარმავალი აქ ბლომადაა.

პირველ სადგურზე ჩვენს ვაგონში ნაციონალურ ტანასამოსში გამოწყობილი ქართველი ქალი ჩაჯდა. მისი სახით პირველად შეგვხვდა კოლხეთის ასული... მასთან ერთად მეგრულად ჩაცმული ორი კაცი შემოვიდა. ჩვეულებისამებრ, ორივე შეიარაღებული იყო. მეგრელებს გრძელი ჩოხები აცვიათ, ტყავის ქუდები ხურავთ და ვერცხლის ქამრები და ქვირფას ქარქაშიანი ხმლები ამშვენებთ.

ორი საათის სიარულის შემდეგ ტყე დაილია... ლიანდაგის მარცხენა მხარეს რიონი მიედინება. ეს კავკასიის ერთ-ერთი ჩქარი მდინარეთაგანია. ახლა ის დიდხანს იქნება ჩვენი თანამგზავრი, რკინიგზის ლიანდაგი მას მისდევს, სხვა მხრივ გასავალი არა აქვს მთებში.

რამდენ ვერსსაც გავივლით, გარშემო არემარე უფრო და უფრო მშვენიერია, სხვადასხვაობით სავსე, სურათივით დახატული, თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ ეს გზა ერთი უმშვენიერესთაგანია მთელ ევროპაში. ძნელია, სადმე შეხვდეს კაცი ასეთი მოჰაჯადოებელი სიმწვანისა და სიმაღლის მთებს, ასეთ მშვენიერ ხეობებს, ასეთ უხვ მცენარეებს.

ჩვენს ვაგონში ახლა უკვე ოთხი ქართველი ქალია, მაგრამ ამაოდ ვეძებ იმ ლამაზებს, რომელთა ქება ქუხს მთელ

დედამიწის ზურგზე. სადგურებზე გლეხები ალუბალს, მარწყვსა და ვარიებს გვთავაზობენ, ბუფეტებში ბევრი კოხტად მორთული ადამიანია, ხმლისა და ხანჯლის ქარქაშება ბრწყინავენ, კუნაპეტივით შავ თვალებს ანათებენ ასულნი სამეგრელოსი, კახური ღვინო წყალივით ღვრება, თანდათან უფრო გრძნობ, რომ შედიხარ მშვენიერსა და რომანტიკულ საქართველოში, იმ მზიან ქვეყანაში, რომელიც სავსეა დაფნებით, რაინდებითა და ძველებური ციხე-დარბაზებით.

ქუთაისს — იმერეთის სატახტო ქალაქს რომ უახლოვდებით, დაცემულ მინდორს ხედავთ, რომლის აქეთ-იქით სულ მთები მოჩანს... რიონის სადგურზე კარგა ხანს ჩერდება მატარებელი, რადგან გზა აქედან ქუთაისისაკენ მიდის, იგი სულ შვიდი ვერსის მანძილზეა. ამგვარად ჩვენ ახლა იმერეთში ვიმყოფებით, საქართველოს გულში ჩასმულ მარგალიტში. ამ კუთხის მშვენებაა ვარდი და გონების წარმტაცი ქალები... თბილისისაკენ გავქანდით. რიონი ახლა მარჯვნივ მოგვექცა. კვლავ ვხედავთ მის ყვავილებითა და წყლის მცენარეებით შემოსილ ტურფა კლდოვან ნაპირებს. სასიამოვნოა ყურება ამ დიდებული მთების, ამ ხშირი ტყეების, ვეება კლდეებისა და მათ ძირში აქაფებული რიონის ზვირთებისა; საერთოდ, ამ სანახაობას ერთი ღიმილის, ერთი დიდებული მზის ბრწყინვალების ბეჭედი აზის და, ვგონებ, თვით ბულბულის სტვენაშიც, შორიდან რომ გვესმის თავისი ხმის სხვადასხვაგვარი მიმოხრით, მხოლოდ ერთი სიტყვა ღაღადებს: „სამოთხე, სამოთხეო“.

კვლავ ამ მთებში მივდივართ, რომლებიც უფრო და უფრო მაღლდებიან, მაგრამ მუდამ მშვენიერნი და ტურფანი არიან... ლიანდაგიც სულ მაღლა და მაღლა მიიწევს, ახლა ორ გვირაბში გავიდა და მთის წვეროზე ეგრეთ წოდებულ სურამის ალმართზე მიიკლაკნება.

ვისაც თვალი აქვს, უყუროს, ვისაც გული აქვს, იგრძნოს, მის წინ სიზმრადაც უნახავი, ყოველ ოცნებათა უმშვენიერესი წალკოტი იშლება, წალკოტი თვით შემოქმედისა, თავისი ყოველი სისრულით. გარშემო მესმის ღაღადება: რა სასწაულია, რა მთები, კლდენი, მინდორ-ველი, ტყე ჭალები... რა მზეა, რა ბრწყინვალება, რა შუქი!..

ფონის სადგურიდან ლიანდაგი კვლავ ძირს ეშვება და ნახევარი საათის მგზავრობის შემდეგ მინდორზე ვართ, სადაც ახლა ჩვენთან ერთად მტკვარი, კავკასიის მდინარეთა მეფე, მოგზაურობს. მტკვრის წყალი მღვრიეა და თუ ქართველი პოეტები მას უმღერიან, უთუოდ მისი მშვენიერი ნაპირების გამო და არა მისი ანკარა გამჭვირვალე ტალღებისთვის..

ვაკეზე მივქრიოვართ, იგი კვლავ მშვენიერი მოჩანს, მაგრამ უკვე ბინდში ეხვევა: ჩამოღამება აქ ერთბაშად იცის, ისე ნელ-ნელა არა, როგორც ჩვენთან ჩრდილოეთში. მზე ჩავა თუ არა, ღამე მთელ არემარეს მოიცავს.

შორს, ცის დასავალზე ელვა გაფანტავს ღამის სიბნელეს და გაანათებს ჯადოსნური ბრწყინვალებით, გაანათებს ამ მშვენიერ ჩაძინებულ მინდვრებს ძვირფასი საქართველოსას. ცაზე ვარსკვლავები ჰქრებიან და ცის ირგვლივ რაღაც ჯადოსნური სინათლე ჩნდება, ეს მოგაგონებთ იმ განთიადს, როდესაც რომეო და ჯულიეტა აივანზე ისხდნენ და თავიანთ უბედურ სიყვარულზე ლაპარაკობდნენ. ელვის კიაფზე ჩანან მწვანე ხეები და აყვავებული ვარდის ბუჩქები, მაგრამ ისინი თვალს ეფარებიან და მხოლოდ ცის მოკაკვამე ვარსკვლავებსღა ვხედავთ.

შემდეგ მუქ-ლაჟვარდ ცაზე დიდებულად ამოვა მთვარე, კაშკაშა სინათლეს მოჰფენს და გაანათებს მიდამოს.

უფრო სწრაფად მივქრიოვართ და თბილისს ვუახლოვდებით, ჩვენს ყურამდე აღწევს რაღაც გაუგებარი ყრუ ხმაური და გამოურკვეველი ჟივილ-ხივილი; ვხედავთ სინათლეებს და მივდივართ რაღაც სახლების გვერდით, ხმაურს უფრო ცხადად ვარჩევთ, სინათლე ემატება, ორთქლმავალი უსტვენს, ჩერდება... ჩვენ თბილისში ვართ.

თბილისს არასდროს არ სძინავს და თუ დაიძინებს, დაიძინებს შუადღისას, როცა მზე აცხუნებს მის ქუჩებს და როცა დასიცხვის შიშით ყველას ძალაუნებურად სახლში ამწყვდევს. ამ დროს სიჩუმე სუფევს მის ქუჩებში, ფანჯრები დახურულია, დუქნებს ფარდები აქვს ჩამოფარებული, ცხენები, ვირები და კამეჩები სადმე ჩეროში განისვენებენ, ბაზრებში სიარული და ვაჭრობა ისპობა, ვაჭრები თავიანთ

დუქნებში წვანან... საღამოს ექვს საათზე, როცა მზე გადიხრება, სიცოცხლე კვლავ გაიღვიძებს, ფანჯრები გაიღება, ქუჩებში მოსიარულენი და ეტლები გამოჩნდებიან, მათი მწკრივი მუშტაიდისაკენ ან მოსახლეობის სხვა საყვარელ განაპირა ბაღებისაკენ გაემართება. ამ დროიდან დაწყებული გათენებამდე არ წყდება ხმაური, ქუჩებში ყურთასმენა აღარ არის ეტლის ხრიგინისაგან, ბაღში განუწყვეტელი მუსიკისა და სიმღერის ხმა ისმის. ქართველებს უყვართ ქეიფი და თან ხანგრძლივადაც. ისეთი დიდი ამბით ქეიფობენ, რომ ზაფხულის მთვარიან ღამეებში სანთელი დილამდე არ ქრება ბაღებსა და სახლებში. მესმის ამგვარ ღამეში კაცი ავიდეს მაღლობზე და ამ სინათლეებას ზღვას დახედოს, მიხვეულ-მოხვეულ ქალაქის ქუჩებში მბრწყინავ, მრავალსა და მშვენიერ ბაღების ჩრდილში რომ ინთქმება. სანახაობა სწორედ მშვენიერია. მეტადრე, როცა მოწმენდილი ცა მთვარის შუქს აფრქვევს და ამ სურათს თავისი სიტურფითაც ავსებს.

საზოგადოდ, თბილისი ძალიან კარგი შესახედავია, მას მთაგორიანი ადგილი უჭირავს და დიდ სხვადასხვაობას წარმოადგენს. მშვენიერია მისი სასახლენი და საცხოვრებელი სახლები, ეკლესიები და ბაღები. ყველაფერი ეს სხვადასხვა სახეობას აძლევს ნაცრისფერ ამფითეატრს ქუჩებისას. სასახლეები და სახლები ევროპულ ნაწილშიაც კი, მომეტებულად, ქართულ გემოვნებაზეა აშენებული, ერთ სართულად; წინ და უკან მათ აივნები აქვთ, რომლებსაც საკმაოდ ლამაზი ჩუქურთმიანი მოაჯირები ამშვენებთ. ამგვარი ხის ჩუქურთმის ნიმუში, ვგონებ, წარსულიდან უნდა იყოს აღებული, იგი ძალიან აგონებს კაცს სპარსულ გემოვნებასა და ყაიდას, ისევე სხვადასხვა სურათების, არაბესკების, ფერადებისა, და ფოთოლ-ხეთაგან შედგება: აივნები გადახურულია: ზოგან მათი ბრტყელი ჭერი საკმაოდ მაღალ სვეტებზეა ღანდობილი, რომლის ლავგარდნები და კოზმიდები აგრეთვე ჩუქურთმით არის გამოყვანილი. ამ აივნებს სახლის ორთავე მხრით იმისთვის აკეთებენ, რომ მთელი დღის განმავლობაში ჩრდილი იყოს სადმე. საღამოობით აქ ბევრ ლამაზ ქალს ნახავთ. ამ დროს დაგოგმანებენ ის მოხდენილი ფეხები, რომლებსაც ოდესღაც ბოდენშტეტი ასხამდა ხოტბას. ამ

პოეტის სახელი ყველა განათლებულმა ქართველმა იცის, თუმცა ყველას არ წაუკითხავს მისი პოეტური ქმნილებანი. ქალთა შორის ბევრი პატივს სცემს ბოდენშტეტს, პოეტს, რომელმაც პოეზიის სავსე სიტყვებით აღწერა მათი მშვენება და სიტურფე.

ქართველთა სახლებას შინაგან მოწყობილობას აღარ ეტყობა თავისებურება, რადგან ცოტაოდნად შეძლებული ევროპული ყაიდის ცხოვრებას მისდევს და სახლიც ევროპულად აქვს მოწყობილი. მხოლოდ დაბალი ტახტები, რომლებზეც ცილინდრის მსგავსი ბალიშები (მუთაქა) აწყვია, სპარსული ხალიჩები, ავეჯის გადასაკრავი თავისი აჭრელებული ფერით, მოაგონებს კაცს, რომ აღმოსავლეთშია. როიალი — ეს სალონების ორღანი, როგორც ჰაინე ეძახდა, რასაკვირველია, ცოტად თუ ბევრად შეძლებული ქართველისა და სომხის ბინის აუცილებელი სამკაულია, შავგვრემანი ასულნი აღმოსავლეთისა საკმაოდ ოსტატურად უკრავენ როიალზე, მაგრამ მათ დაკვრას მხოლოდ მაშინ მოჰყავს ევროპელი აღტაცებაში, როცა როიალიდან ისმის სანახევროდ მწუხარე ხმები მათი ხალხური სიმღერებისა.

ძველებური ქართული სახლები ჩვეულებრივ ერთსართულიანია, მათში ორი ოჯახის მეტი არ ცხოვრობს; ამასთანავე თითოეულ სადგომს თავისი საკუთარი კარაბანი* აქვს ქუჩიდან, საკუთარი კიბე და აივანი.

მომეტებული ნაწილი ამ სახლებისა ძველ ქალაქშია, რომელსაც აზიურ ქალაქსაც ეძახიან. აქ ასი წლის განმავლობაში, ე. ი. საქართველოს რუსეთის მფლობელობაში გადასვლის შემდეგ, არაფერი შეცვლილა: სახლები ძველია, ქუჩები ვიწრო და მიხვეულ-მოხვეული, ამ ნაწილშა მართლაც რომ ჯერ ისევ აზია სუფევს მთელი თავისი სხვადასხვაგვარი, ჭრელი და გაქვავებული თავისებურებით. ამიტომ ევროპელი ძნელად შეიხედავს აქ და თუ შეივლის, მხოლოდ იმისთვის, რომ ცნობისმოყვარეობა დაიკმაყოფილოს. ძველ ქალაქს ყოველი მხრიდან მთა არტყია, რის გამოც დიდი სიცხე იცის. ქუჩები, რაც უფრო ზევით ადის,

* კარაბანი — სადარბაზო კარი (რედ.)

მით უფრო ვიწროვდება; სახლები ამფითეატრივით გაკვრიან კლდის გვერდებს და ერთმანეთზე ჭერეხივით მიყრილან. აქ საშინელი ვიწროობაა, არ ვიცი, ეს სახლები მერცხლის ბუდეებივით კლდეებზე რად მიუკრავთ მაშინ, როცა ძირს, დაბლობზე, სადაც ახლა ევროპული ნაწილია, ამდენი თავისუფალი ადგილია. ჰაერი ამ ნაწილში ევროპელისთვის ძნელად ასატანია. აქ 1797 წელს ჟამიანობამ დიდი ზიანი მიაყენა საქართველოს. ეს იყო მაშინ, როცა ქვეყანა შინაურმა არეულობამ შეაწუხა და სამეფო სახლშიც თანხმობა დაირღვა, როცა სპარსელნი განუწყვეტლივ თავდასხმით იმუქრებოდნენ და მშვიდობისა და პირადი უვნებლობის ადგილი შურმა და მოწინააღმდეგეთა შორის კინკლაობამ დაიპირა. სწორედ ამ საშინელ დროს ღვთის რისხვასავით მოევლინა საცოდავ საქართველოს ყოველ ომზე უფრო საშინელი ცეცხლი — ჭირი და გაწყვიტა მცხოვრებნი. რა საცოდაობა დატრიალდებოდა ამ მიხვეულ-მოხვეულ ვიწრო ქუჩებში მაშინ, ამ ხალხით მოფუსფუსე ხვრელებში, რომელსაც ცხარე მზე ცეცხლს უკიდებდა. ამას ვერავითარი კალამი ვერ აღწერს. იქვე მტკვრის ახლოს მდებარე ძველი ქალაქის ზოგიერთი ნაწილი უფრო საღია. მტკვარს მაღალი და ციცაბო ნაპირები აქვს, ისე რომ, ხშირად გეჩვენება, თითქოს სახლი ჰაერშია გადმოკიდებული. აქ ბაღებიც ბევრია და კარგი დეკორაციასავით შნოსა და ლაზათს აძლევს მტკვრის ნაპირს.

ქუჩის ცხოვრება თბილისის ძველ უბნებში, რასაკვირველია, ბევრად უფრო თავისებურია, ვიდრე ევროპულ ნაწილში, სადაც დასავლეთის ჩვეულება და ტანსაცმელი მეფობს. როგორც ყველგან აღმოსავლეთში, ისე თბილისშიც ხალხი ცხოვრობს და მუშაობს უფრო მეტად გარეთ, ცის ქვეშ, ისე რომ გამვლელ-გამომვლელს ადვილად შეუძლია დაათვალიეროს მცხოვრებთა მთელი ავლადიდება. კერავენ, რეცხავენ და დროს ატარებენ აივნებზე; პურსა სჭამენ ღია ფანჯრებიან ოთახში; ხელოსნები მუშაობენ ეზოებში ან ქუჩის პირას; ვაჭრები ალაგებენ თავიანთ საქონელს ქუჩაში გადმოდგმულ მაგიდებზე. ერთი სიტყვით, ყოველდღიური სამუშაო სრულდება ცის ქვეშ, გამვლელ-გამომვლელთა

თვალწინ. არავის რცხვენია აქ თავისი სიღარიბისა, რადგან ყველამ იცის, ვის რა აქვს; ისიც კი იციან, ვინ დადის მის მეზობელთან, ვინ რას ჭამს და სვამს, როგორა აქვს სახლი მოწყობილი და სხვ.

ხელოსანთა შორის ზოგჯერ შეხვდებით განსაკუთრებული სახის კაცს, რომელიც ხშირად, თავისი გამომეტყველებითა და წარმოსადეგობით, პოლონურ ტიპს მოგაგონებთ. ახალუხი და ჩოხა, რომელიც ჩამარვასა და კანტუშს წააგავს, ძალიან ამსგავსებს ქართველს პოლონელს, მეტადრე, თუ წვერს იპარსავს და მხოლოდ ულვაშს იტოვებს. რომ ვაცქერდებოდი ზოგიერთი ხელოსნის სახეს და ვხედავდი მის ცოცხალ, შავ თვალებსა და მომღიმარ ტუჩებს, უნებლიეთ მაგონდებოდა პოეტური ქმნილებანი ბოდენშტეტისა, რომელმაც ყველა ახალ პოეტზე უკეთ შეიგნო ძალდაუტანებელი იუმორი და მახვილგონიერება აღმოსავლეთის მცხოვრებლებისა. მას ლექსებში სჩქეფს ეს იუმორი...

ძველ ქალაქში ყველაზე მეტ ცნობისმოყვარეობას ბაზარი იწვევს. ბაზარში დილიდან საღამომდე განუწყვეტელი მოძრაობაა, იგი ნამდვილი სურათია თბილისის ცხოვრებისა. აქ შეიძლება ნახოთ კავკასიისა და დასავლეთ აზიის ყველა ტიპი, კაცს თავი მასკარადზე ეგონება: ყვირილს, ხმაურს, ქვევილ-ხვევილს ყურთასმენა მიაქვს. მკვიდრ მცხოვრებთა გარდა ბევრია სხვადასხვა მხრიდან მოსული ხალხი, სოფლებიდან გნებავთ თუ კავკასიის შორეული კუთხეებიდან. ვირები და ურმები, რომლებშიც საქონელია შებმული, აძლიერებენ ვიწროობას და ხანდახან სრულიად შეკრავენ გზას.

აქ ნახავთ თათრების ჯგუფს, რომელთაც უზარმაზარი ტყავის ქუდები ხურავთ, თითქო პირამიდები დაუდგამთ თავზეო; იმათ მიჰყვება თავით ფეხამდე იარაღში ჩამჯდარი ჩერქეზი. იგი ამაყად შესცქერის მონღოლებს, რომლებიც გზას აძლევენ მას; ჩერქეზს აცვია თავისი მოხერხებული ჩოხა-ახალუხი, კოხტა და საკმაოდ დაბალი ტყავის ქუდი ახურავს, წელში დამბაჩა აქვს გარჭობილი, ქამარზე კი ლამაზად ჰკიდია მშვენიერ ქარქაშში ჩაგებული ხანჯალი, მერე მოდის წვეროსანი ლეკი, რომელიც წარსულში პირ-

ველ მოწოდებაზევე მზად იყო თავს დასხმოდა კაბეთის სოფლებს, წაესხა საქონელი და ლამაზი, გასათხოვარი ქალები. აგერ დინჯად მოაბიჯებს ქართველი გლეხი, რომელსაც ხანჯლის გარდა სხვა იარაღი არა აქვს, იგი მუქარით უცქერის ლეკს, ამ თავის ძველისძველ შეურიგებელ მტერს. იქით ცხენებს მოერეკებიან ხმლებით შეიარაღებული ხევსურები სოსნისფერი ჩოხებითა და გაწეწილა ბეწვის ქუდებით; ეს ცხვრის ტყავის ქუდები განუშორებლივ ადევთ თავზე, თუნდაც ძალიან ცხელოდეს და სახეზე ოფლა წურწურით ჩამოდიოდეთ. თურქი ფაფახს ჩამოიფხატავს ღამღამობით და უკეთესი ბალიში აღარც უნდა. დარბაისელი და ცბაერი სპარსელიც, — რომელმაც ყველაზე უკეთ იცის, როგორ შეიტყუოს კაცი თავის დუქანში, შავ, მაღალ კრავეელის ქუდს იხურავს; უნდა ითქვას კი, იმას უფრო მელიის ბეწვის ქუდი მოუხდებოდა, რადგან ტკბილად მომღიმარი და კიდევ უფრო ტკბილად მოუბარი გაიძვერა დიდი ავაზაკი ხდება, როცა საქმე ფულს შეეხება; ამიტომ სპარსელთან თუ მეგობრობა გაქვს, მასთან ფულიან საქმეს უნდა ერიდო, ამ ჭრელი ტიპების რიცხვი ამით არ თავდება, ზემოჩამოთვლილთა გარდა სხვაც ბევრი დაეხეტება თბილისის ბაზრებში, კავკასიაში ხომ ბარემ ორმოცი სხვადასხვა ტომია დამკვიდრებული, ყველა ამათ წარმომადგენელს შეიძლება შეხვდეს კაცი თბილისის ქუჩებში. აქ არც ებრაელები აკლია, თუმცა საზოგადოდ ისინი ძალიან ცოტანი არიან კავკასიაში, მხოლოდ ქუთაისში აღწევს მათი რაცხვი საგრძნობ რაოდენობას, იქ ცალკე უბანიც კი აქვთ გაშენებული. თბილისში, კავკასიის მუზეუმში, კაცმა შეიძლება ყოველნაირი ტანისამოსი ნახოს ხსენებული ტომებისა.

ბაზარში მოვაჭრეთა მომეტებული წილი სომხები და სპარსელებია, ქართველები მათში ცოტა ურევია... ისინი უფრო ხელოსნობას მისდევენ, სამაგიეროდ სომხები და სპარსელები განსაკუთრებული ხალისით ეწევიან ვაჭრობას.

კაცების გარდა ბაზარში ქალსაც ბევრს შეხვდებით, მომეტებულად, ქართველ და სომეხ ქალებს. ტანსაცმელი ამათ ერთნაირი აქვთ და ერთმანეთისაგან მხოლოდ სახით განსხვავდებიან. დაბალი წოდების ქალებს თითქმის მუდამ

ფართო მუქი ან სულ თალხი კაბა აცვიათ, თავზე გვირგვინის მსგავსი სამკაული ადევთ უკანგადაგდებული რიდით, ხშირად რიდის ადგილს მუქი თავსაფარი იჭერს, რომელიც სრულიად არ შვენით. ზემოთ მე ვილაპარაკე ქართველი ქალების სილამაზეზე, ყველა ლამაზი ქალი აქ თითქო ერთმანეთს ჰგავს: თვალები ყველას შავი, დიდრონი და მიბნედილი აქვს, მიხრა-მოხრა მძიმე, სიცოცხლე აკლიათ თითქოს; მათი შავი თვალები ძალიან იშვიათად ბრწყინავენ იმ ცეცხლით, რომელიც ასეთ ეშხსა და სიტურფეს მატებს ყოველ ლამაზ სახეს! მაგრამ როცა ქართველი ქალი გამოცოცხლდება ცეკვა-თამაშის დროს, მაშინ იგი მშვენიერია.

ქართველი ქალის სილამაზე ძალიან ხანმოკლეა, იმათთვის მხოლოდ ცხოვრების გაზაფხული არსებობს, ზაფხული კი მაშინვე შემოდგომად გადაექცევათ — ოცდახუთ-ოცდაექვს წელს რომ მიაღწევს, ქართველი ქალი ჭკნობას იწყებს, ჭკნება სწრაფად, როგორც ყველა ლამაზი ყვავილი საქართველოს ცხარე მზის ქვეშ...

ჩრდილოეთიდან მოსულისთვის ბაზარზე არა ნაკლებ საინტერესოა ბაყლების დუქნები, სადაც მწვანილი და ხილი იყიდება. მართალი უნდა ითქვას, ძალზე სასიამოვნო სანახავია ამ ხილისა და მწვანილის ზვინები. იმისთანა ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, სადაც ჰავა ხელს უწყობს მცენარეულობას, მწვანილი და ხილი, რასაკვირველია, ყოველდღიურ და იაფ სანოვაგეს წარმოადგენს. ყოველივე ეს, როგორც წესი, ჩამოაქვთ ორთვალა ურმებით, ანდა გოდრებით, რომლებიც ვირებს ჰკიდია; წეროებივით ჩამწკრივებულ ვირებს ხშირად ერთი გამყოლი მისდევს. ეს პატარ-პატარა ქარავნები დატვირთული პირუტყვებისა რალაც უცნაურად გამოიყურება, მეტადრე სადმე მთებში, უდაბურ და უკაცრიელ ადგილას. მაგრამ თბილისის ქუჩებში ვირები ჩვეულებრივი სანახავია, გარდა ამისა, ვირებით მოაქვთ თბილისში თივა, ნახშირი, წყალი და შეშა, ისე რომ, შუადღემდე სავსეა ვირებით ქუჩები და მოედნები.

განსაკუთრებული სახისაა აქ მენახშირე, აქაური მენახშირე ნამდვილი მენახშირეა, რადგან არა თუ ტანისამოსი, თმა და პირისახის ფერიც კი შავი აქვს. მეორე განსაკუთრე-

ბული სახის არსება არის თულუხჩი, შავი, მზემოკიდებული, დამწვარი, გაბმით მყვირალი: წყალი, წყალიო! ისეთი ხმით ყვირის, თითქოს თავად იტანჯება წყურვილით. წყალი დააქვს დიდი ტყავის თულუხებით, რომლებიც გადაკიდებული აქვს ვირს ან ცხენს. თულუხჩის საქონელი, უნდა ითქვას, იაფი არ არის თბილისში, რადგან ვგონებ, შიგ ქალაქში არც ერთი ჭა არ მოიძებნება, ამიტომ არის რომ მეთულუხე უფრთხილდება თავის წყალს და ხშირად მოსდის ჩხუბი ქუჩის ბიჭებთან, რომელნიც ცდილობენ უფასოდ მოიკლან წყურვილი.

ამგვარივე თულუხებით ზიდავენ აქ ღვინოსაც. ეს ცხადია, უფუჭებს გემოს ღვინოს. თულუხებს ანუ ტიკებს და რუმბებს აკეთებენ ყოველთვის კამეჩის ან ცხვრის მთლიანი ტყავისაგან, ისე რომ თავისა და ფეხების ტყავიც ისევ ზედა აქვს; ამგვარად, ღვინით ან წყლით გავსებულ ტიკებსა და რუმბებს პირუტყვის სახე აქვს.

რაკი ქუჩის ტიპებზე ვლაპარაკობთ, მუშაზეც უნდა ვთქვათ რამე. მუშას თბილისში დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან აღმოსავლეთში, გაცილებით უფრო მეტად ვიდრე სხვაგან სადმე, იყენებენ კაცის ძალას ტვირთის გადასაზიდად. ტვირთის რაოდენობა და სიმძიმე ხანდახან გასაკვირია და მუშის ძალაც ხშირად საარაკო განვითარებას აღწევს. მუშა განხორციელებაა ფიზიკური ძალისა და ჯანმრთელობის, თუმცა მისი საჭმელი ფრიად მარტივია და ჩვეულებრივ პურისა და ხილისაგან შედგება; ასეთი უბრალო საჭმლით იკვებება და ნამდვილ ჰერკულესს კი ჰგავს. დადის საკმაოდ სწრაფად თავისი ტვირთით და თან ღიღინებს რაიმე სიმღერას, რომელიც, რა თქმა უნდა, სრულიად არ გამოხატავს სიხარულს. მუშებს აქ ყველგან შეხვდები, საქმის მოლოდინში ისინი ხშირად ჯგუფ-ჯგუფად სხედან ჩეროში ან დუქნის წინ.

ერთად შეკრებილი უბრალო ხალხის ნახვა შეიძლება ჭიდაობაზე, რომელიც უფრო ხშირად განაპირა ბაღებში იმართება. ჭიდაობის დროს ორი ძლიერი ფალავანი ერთმანეთის წაქცევას ცდილობს. თბილისში ჩემი ყოფნისას ყოველ ორ დღეში ერთხელ საჭიდაოდ გადიოდა მთელ საქართველოში განთქმული ფალავანი გლდანელი, და ყოველთვის გამარჯვებული

რჩებოდა. ხალხი ისეთი აღტაცებით ეგებებოდა გლდანელს, როგორც ვინმე გამოჩენილ არტისტს. მას დიდ ღონესთან ერთად სასიამოვნო შეხედულებაცა ჰქონდა, მართებული თავდაჭერით იფერებდა ამ თაყვანისცემას და მოხდენილი თავის დაკვრით მადლობას უცხადებდა ხალხს. ამგვარი ბრძოლა ანუ ჭიდაობა ძველი დროიდან არსებობს საქართველოში.

როგორც ყველგან, ისე თბილისშიც, საზოგადოებრივ ცხოვრებას თავისი განსაკუთრებული თვისება აქვს, რაც ემყარება მცხოვრებთა წოდებრივ სხვაობას; ამასთანავე აქ სხვა თვისებაც შეინიშნება, რომლის მიზეზი ორი სხვადასხვა, ერთმანეთისათვის უცხო ელემენტების არსებობა არის: ევროპული და აზიური ელემენტებისა. ეს უკანასკნელი ქალაქის ევროპულ ნაწილშიც კი განცალკევებულია, აქ არამც თუ ქუჩის ცხოვრებას, საცხოვრებელ სახლებსა და სასახლეების გარეგნობასაც კი ორგვარი ხასიათი აქვს. ბოდენშტეტი აქებს ძველ თბილისს, როგორც სასახლეების ქალაქს და აქ მართლაც უამრავი სასახლეა, რომლებშიც ყოველი მდიდარი მემამულე აუცილებლად ცხოვრობს წლის გარკვეულ დროს.

ეს სასახლეები, საზოგადოდ, საკმაოდ ლამაზად არის მოროთული, თუმცა ნამდვილ აღმოსავლურ სიმდიდრეს იშვიათად შეხვდებით. ქართველ მდიდართა საცხოვრებელ ბინებში ევროპული და აზიური ერთმანეთთან მაღალი გემოვნებით არის შეხამებული და მნახველზე კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს. უნდა ითქვას, დაბალი ტახტების, ხალიჩებისა და სხვა წვრილმანი ნივთების გარდა აზიას აქ არაფერი მოგაგონებთ. შადრევნები, რომლებსაც მაჰმადიანთა სახლების წინ ყოველ ნაბიჯზე ნახავთ, საქართველოში ჯერ საერთოდ არ არსებობს.

განაპირა ადგილებში კიდევ შენახულა სახლების ადგილობრივი მოწყობილობა, იქ ბევრი ქართველი ჯერ ისევ ძველებურად ცხოვრობს.

ქალაქის ევროპულ ნაწილში ახლა ძველი ქართული სახლების გვერდით მრავალი ევროპულ ყაიდაზე აშენებული სახლია, რომლებიც თავისი სილამაზით ბევრად სჯობს ძველ სასახლეებს. იგივე ითქმის საზოგადოებრივ სახლებზე, რომელთა შორის საუკეთესო აშენებულია ევროპული გემოვნებით. აქ შეიძლება სრულიად დაგავიწყდეს, რომ აღმოსავლეთში

იმყოფები, მაგრამ ამგვარი შენობები მხოლოდ ოაზისებს წარმოადგენს თბილისის უდაბნოში, სადაც ქალაქის ბაღებშიც კი აღმოსავლეთი ბრწყინავს თავისი ხატოვნებით.

მუშტაიდი და მის ახლომახლო მდებარე ბაღები ნამდვილი კერაა აქაური საზოგადოებრივი ცხოვრებისა. აქ ყოველ საღამოს ხუთი საათიდან შუაღამემდე გაცხარებული დროს ტარებაა, ჭეშმარიტად მხიარული და ხმაურიანი, რადგან ქეიფის დროს ქართველებს უყვართ მუსიკა, სიმღერა და ხმამაღალი ბაასი. მუშტაიდი ჰქვია მტკვრის პირას მდებარე ვრცელ და მშვენიერ ბაღს, დასერილს ხეივნებით, სადაც სეირნობენ ეტლით და ფეხით. ამ ხეივნებს ორსავე მხარეს ჩარიგებული აქვს ველურ ვარდთა და სხვა მცენარეთა ბუჩქები, ხოლო ზედ ხეებზე ყურძნის მტევნებით დახუნძლული ვაზი ადის. ამ ამწვანებულ, დაჩრდილულ ბაღში ყოველ საღამოს იკრიბება თბილისის საუკეთესო საზოგადოება. ხეივნებში ჰქრიან ეტლები, ცხენებს დააჭენებენ ვაჟები და ამაზონკებში გამოწყობილი ქალები.

ამ დროს აქ შეიძლება ყოველნაირი კავკასიური ჩაცმულობის ნახვა; რაინდული შეხედულების ჩაუქი ახალგაზრდობა დასეირნობს გრძლად ჩამწკრივებულ სკამებს შორის, რომლებზედაც თითქმის გაუნძრევლად სხედან საქართველოს მშვენიერი და წყნარი ასულნი. ბევრ მათგანს ლეჩაქი ხურავს, სხვები სრულიად ევროპულად არიან ჩაცმულნი, მათი გასაოცარი შავი თვალები ბრწყინავენ ახალმოდური შლიაპის ქვეშ. რომელიც არ ფარავს გველებრ გადმოყრილ კუპრივით შავ დალალებს. სეირნობა მუშტაიდში, ჩვეულებრივ, საღამოს ათი საათისთვის მიწყნარდება ხოლმე, მაგრამ სხვა ბაღებში გრძელდება—უკრავს ზურნა, გაისმის სიმღერა, ხარხარი, გაჩაღებულია ლეკური, ეს საყვარელი ცეკვა ქართველებისა. მთვარიანი ღამით ბაღებში დროსტარება უფრო საინტერესო ხდება.

ამგვარ ღამეში კარგია კაცი დადგეს მტკვრის ნაპირას, ბაღების გასწვრივ რომ მოდუდუნებს, და უცქიროს მთვარის შუქზე მის ჩქარ, ვერცხლისებრ ბრწყინავ ზვირთებს. გაღმა მთაზე ჩანს ნანგრევი ძველი ციხისა, რომელიც ოდესღაც ფარი იყო საქართველოს სამეუფო ქალაქისა, მოწამე მისი გან-

დიდების და თანდათანი დამხობისა. რამდენი ტრიუმფალური მსვლელობა უნახავთ ამ ძველ კედლებს, რამდენ დარბაზობას დასწრებიან აზიის ხალხებზე გამარჯვების გამო, რამდენი საპრაკო სიმდიდრე დაუცავთ თამარის რაინდულ დროს და რამდენჯერ დასტეხიათ თავს ყოველგვარი უბედურება, შიმშილი და აოხრება! ვინ იცის, იქნებ ამ ჩრდილოვან ბაღებში დასეირნობდა რუსთაველი, ეს ტორკვატო ტასო საქართველოსი, თვით უდიდესი მგოსანი კავკასიისა და მოტრფიალე მშვენიერი მეფის თამარისა?

რუსთაველი და თამარი — ეს ორი სახელი მესმოდა განუწყვეტლივ, თითქო ყურში ჩამჩურჩულებდა ვინმე, როცა ვიჯექი ამ ჩრდილოვან ხეივნებში და ზურნა უკრავდა მწუხარე, წარსულში გამტაცებელ ჰანგებს.

ქართველების საერო მუსიკა, რომელიც ძლიერ განირჩევა ევროპული მუსიკისაგან, შედგება ვიოლინოს მსგავსი ჩონგურისა და ზურნისაგან; ზურნას ზედ ერთვის დოლი და დუდუკი, ეს უკანასკნელი კლარნეტსა ჰგავს. პირველად ეს მუსიკა უბრალო ხმაურობად ეჩვენება კაცს, ხოლო თუ ჩაუკვირდება, ადვილად შენიშნავს, რომ ის ჰარმონიის თავისებურ კანონებს ემორჩილება და მტკიცედ გარკვეულ მელოდიებს შეიცავს. ეს მელოდიები თითქმის ყველა მწუხარე, ხანდახან უნუგეშოც კი და ერთკილოვანი არიან; ამ მელოდიების ნაკლად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ის, რომ ნელის ხმით არ თავდებიან, ხშირად სიმღერა წყდება მაღალ ხმაზე, რაც ევროპელზე უსიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს. აკომპანიმენტად ჩონგურს ხმარობენ, რადგან ეს საკრავი სხვაზე უფრო ნაკლებ მაღალხმოვანია და უფრო კარგად ითვისებს გულისთქმით სავსე და მელანქოლიურ მუსიკას ქართული სიმღერებისას. ზურნაზე, სხვათა შორის, უკრავენ ქართულ სამხედრო მარშს, რომელსაც თავისი მაღალხმოვანი, მეტად აღტკინებული მელოდიით ყველა აღტაცებაში მოჰყავს და ევროპელშიც რაღაც გასაოცარ ენთუზიაზმს აღვიძებს. ამ ხმის გაგონებაზე ყოველი ქართველი უკუაგდებს წლობით შეძენილ ევროპელობას და ერთი წუთით სულით აბორგებულ, გაბედულებით სავსე აზიის შვილად იქცევა; ამ დროს აელვარდება ხანჯლები, გაიზუზუნებს ჰაერში ტყვია, გრგვინავს ხმამაღალი, გრძნობით

საკსე, გულის წარმტაცი სიმღერა; თავდავიწყება მოიცავ-მთელ საზოგადოებას. წარმოითქმება სადღეგრძელოები, იგონებენ წარსულს და ვინც წარსული იცის, მხოლოდ მას შეუძლია იგრძნოს ამ სიმღერების ძალა. ამ ქვეყნის წარსული სავსეა დიდებით, ამავე დროს ვაგლახითა და მწუხარებით: ათჯერ და ოცჯერ გადაუბუგავთ თბილისი და სხვა ქალაქები, სოფლები ნაცარმტვრად უქცევიათ, დედაკაცნი ტყვედ წაუყვანიათ სპარსეთსა და ოსმალეთში, მამაკაცნი გაუწყვეტიათ, საცხოვრებელი წარუტაცნიათ, ყანები და ვენახები გაუნადგურებიათ. დამოუკიდებლობის უკანასკნელ ხანებში ამგვარი უბედურება საქართველოს ისე ხშირად ეწვეოდა, რომ ქვეყანა რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ძაძით იყო მოსილი და არავითარი სხივი სიხარულისა არ უნათებდა. აი, ამგვარ შავ დროს შეიქმნა ქართული სიმღერები ისეთი მწუხარე, რადგან სიმღერით მოსთქვამდნენ მაშინ დედანი შვილების დამკარგველნი, ქვრივნი და ობოლნი უპატრონოდ დატოვებულნი, სახლობანი, რომელთაც დაკარგოდათ ძმანი და დანი; მოთქვამდნენ დედაკაცნი თავიანთ სახლების ნანგრევთა შორის, საცა ვეღარ გაიგონებდნენ ბრძოლის ველზე დაღუპულთა—თავიანთ გულის საყვარელთა ხმას; ასევე მწუხარედ მოთქვამდნენ სპარსეთსა და ოსმალეთში ტყვედ წაყვანილი ქართველნი.

მწუხარეა სუფრული სიმღერებიც, თუნდა მათი შინაარსი სამხიარულოც იყოს. არც ერთი ნადიმი ქართველებისა უსიმღეროდ არ ჩაივლის. ჩვეულებრივ, სადღეგრძელოები ლექსად წარმოითქმის და ყველანი სვამენ. ნადიმის დაწყებამდე ირჩევენ ტოლუმბაშს ანუ უფროსს, რომლის მოვალეობაა შესაფერი სადღეგრძელო წარმოთქვას თითოეული სტუმრისთვის. ქართველები, თითქმის მუდამ, სუფრაზე ყველა დამსწრეთა სადღეგრძელოს სვამენ და ამიტომ, როდესაც სტუმარი ბევრია, დიდძალი ღვინო დაილევა ხოლმე. ამასთანავე ტოლუმბაში გულმოდგინედ ადევნებს თვალს, რომ ფიალა უსათუოდ დასცალოს ყველამ. თუმცა შეიძლება ჭიქა ნაკლულიც იყოს. როცა ყველა სადღეგრძელო მოთავდება, ტოლუმბაში უფლებას ჰკარგავს და ვისაც რა სადღეგრძელო სურს, იმასა სვამს—სუფრაზე ოთხ ჭიქას დადგამენ და

ოთხივეს ერთად დალევენ. დიდი ნადიმის დროს მთავარ სადღეგრძელოს სვამენ ყანწით, რომელშიც ხანდახან საბი-ოთხი ბოთლი ჩადის, მაგრამ ამას მხოლოდ გამოჩენილი მსმელი შესძლებს. საქართველოში მეტწილად კახურ ღვინოს სვამენ. ის კაცმა შეიძლება ბლომად დალიოს და არ ავნოს, რადგან გემო წმინდა აქვს და არც მაგარია. აქაური ჰავაც ხელს უწყობს ბლომად ღვინის სმას, იმის გამო, რომ ციებაა გავრცელებული, წყალი აქ მაწყინარია. მას მამაკაცთათვის შეუფერებელ სასმელად თვლიან და კახეთის ზოგიერთ ოჯახში სუფრაზე, საერთოდ, არც მოაქვთ.

ნადიმის დამთავრების შემდეგ კიდევ დიდხანს გრძელდება მხიარულება, მეტადრე როცა თარისა და დუდუკის ხმა სტუმრებს ეშხზე მოიყვანს.

სიმღერის შემდეგ იწყება ცეკვა-თამაში, მათ შორის ყველაზე მშვენიერია ლეკური. როგორც კი ლეკურს დაუკრავენ, ყველა ფეხზე დგება—ზოგი თამაშობს, ზოგიც შეხედვით ტკბება. ეს ცეკვა ყველაზე მეტად შეეფერება ქართველების ბუნებას.

ლეკურს ცეკვავს ქალ-ვაჟი, ოღონდ ხელი ხელს კი არ უკიდიათ; ცეკვა იწყება წყნარად, მერე თანდათან გაცხოველდება, აჩქარდება ზღვის ღელვასავით და ბოლოს ლაზათითა და სიმდიდრით სავსე გიჟმაჟურ როკვად იქცევა. ვგონებ, არც ერთი ცეკვა არ გვიჩვენებს ისე მკვეთრად და ლამაზად ადამიანის სიმარდეს, სხეულის მოქნილობას და სრული ჰარმონიით შეზავებულ მოძრაობას, როგორც ლეკური.

ცეკვის დროს ხალხი დგება და ტაშს უკრავს, ან კიდევ შეძახილებით აქეზებს მოთამაშეთ, რომელნიც ღიმილით და ოდნავი თავის დაკვრით მადლობას უხდიან; ამ მადლობას ისეთი კეთილშობილური მორცხვობითა და კდემით ჯამოხატავენ, ნამეტნავად ქალები, რომ ხშირად მხოლოდ ერთი ღიმილი ან თავის დაკვრა გამოიწვევს აღტაცებულ ტაშისცემას.

ლეკურს მთიელნი უფრო კარგად ცეკვავენ, ნამეტნავად ჩერქეზნი, რომელთა ქალებიც მთელ აღმოსავლეთში განთქმული არიან თავისი სილამაზით. ჩერქეზი ქალების ტანი-

სამოსი, მართალია, ულაზათოა, სამაგიეროდ, თვითონ ხიბლავენ თავისი სილამაზით კაცის გულს. მათი ბავშვური მორცხვობა სრულიად არ წარმოსდგება შიშისაგან: პირიქით, ჩერქეზის ქალი საოცრად გულადია და არც ერთი მათგანი არ შეშინდება, როცა ჩერქეზი მის წინ ხანჯლებით თამაშობს, ან ტყვია ზუზუნით გაუვლის გვერდით. ეს მთების შვილი მუდამ დღე ჩაბნელებულ უფსკრულებს უყურებს და ფიცხი ცხენით ხეობებში დაქრის, აკვნიდანვე შეჩვეულია გრიგალთ ქროლვას, ჭექა-ქუხილსა და ნადირთ ღმუილს; ამ მთის ვარდმა შიში არ იცის.

სალონებში დღეს ლეკურს ევროპული ცეკვები სცვლის და შეიძლება ისეთი დროც მოვიდეს, მისი ერთადერთი თავშესაფარი თეატრი გახდეს.

თბილისში თეატრი სამია, სახელდობრ: ქართული, რუსული და სომხური. მათ შორის ყველაზე მდიდარი რუსულია, ქართული და სომხური კი დიდ გაჭირვებას განიცდიან და თუ აქამდის კიდევ არსებობენ, ეს მხოლოდ კერძო პირთა შეწირულობის წყალობით. თბილისის ქართული თეატრი მთელ საქართველოში ერთადერთია; იყო დრო, როცა შეიძლებოდა თქმა, ქართული თეატრი კარგ ბედს შეესწრებაო, მაგრამ ეს იყო მხოლოდ წუთიერი იმედი უკეთესი მომავლისა. დღეს კი თეატრი ვერაფერ სახარბიელო მდგომარეობაშია. იგი პირველად 1852 წელს დააარსა თ. გ. ერისთავმა; ქართული კომედიების წერაც მან პირველმა დაიწყო და, საზოგადოდ, ბევრი იშრომა თავისი ქვეყნის დრამატული ხელოვნებისთვის. მთელი ოცი წელიწადი არსებობს ეს სცენა და თუმცა საკმაოდ მდიდარი რეპერტუარი მოეპოვება და რამდენიმე კარგი აქტიორიც ჰყავს, სულს მაინც ძლივს იბრუნებს. როგორც ეტყობა, ქართულ საზოგადოებას აკლია არტისტული გემოვნება, ხოლო სცენის მეთაურთ—ცოდნა დრამატული ხელოვნებისა...

თბილისი საქართველოს ძველი სატახტო ქალაქია. ახლა იგი წარმოადგენს ნახევრად ევროპულ ქალაქს, რომლის სიძველე კაცს მოასურვებს დათვალიეროს ნაშთი მისი წარსულისა. სამწუხაროდ, თბილისში საქართველოს სხვა ადგილებზე უფრო ნაკლებ არის დაცული ეს ნაშთები.

საქართველოს გულს მტერი ხშირად ესხმოდა თავს და აოხრებდა. თბილისს ყველაზე მეტად ოსმალონი და სპარსნი აწუხებდნენ, თუმცა მათ არც მეზობელი ხანები ჩამორჩებოდნენ. საქართველოს ყველა მტერი მაჰმადის სჯულისა იყო და ცდილობდა ქართველებიც გაემაჰმადიანებინა, მაგრამ, რადგან ეს უკანასკნელნი ყოველთვის მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ მომხდურთ, გაბოროტებული მტერი უფრო მეტად აოხრებდა და მიწასთან ასწორებდა ქვეყანას.

თბილისს ძველად განიერი ქვიტკირის გალავანი და მაღლობებზე აღმართული ციხეები იცავდა. ამ ციხეებს ხშირად მტერი იპერდა და ან აქცევდა, ანდა თავის გასამარჯვებლად კიდევ უფრო ამაგრებდა. ამგვარად, ეს დანგრეული ციხე-გალავანი მოწამეა მტერთა ძალადობისა, ქართველთა და მაჰმადიანთა შორის დიდი ომებისა, რაც მთელი საუკუნეების მანძილზე გრძელდებოდა და მათი ბედი თითქმის ყოველთვის აქ გადაწყდებოდა ხოლმე. დროს ჯერ კიდევ მთლად არ შეუმუსრავს ეს უზარმაზარი გალავანი, იგი უწინდელი დროის შენობის ნიმუშსაც წარმოადგენს და იმას მოგვითხრობს, თუ რა დიდი ბრძოლა უხდებოდა ქართველებს მტრების მოსაგერიებლად. ეს გალავანივე ამტკიცებს, რომ თბილისი ძველად ძლიერი და დიდებული სატახტო ქალაქი ყოფილა. საქართველოს უკანასკნელი ჰეფის ირაკლის სასახლისა და რამდენიმე ნაგებობათა გარდა თბილისში აღარაფერი გვიამბობს ქვეყნის სამხედრო და სახელმწიფო ძლიერების შესახებ. ირაკლის სასახლეში ამჟამად რაღაც სამხედრო დაწესებულებაა და ძველ მეფეთა ციხე-დარბაზისა ხომ კვალიც აღარსად ჩანს. ამბობენ, ამ ციხე-დარბაზში სამასამდე ოთახი იყო, გალავანში კი — ოთხი საყდარი, მხეცების სამწყვდევი და ბაღიო. ამის გარდა, ბევრი სასახლე ბაგრატიონთა გვარეულობისა უკვე აღარ არის, ისე რომ დღეს თბილისს ძველი დიდებისა აღარაფერი ეტყობა. ამის მიზეზია: დამოუკიდებლობის უკანასკნელ ხანებში ხშირი იყო შინაური არეულობა, თანაც სპარსელნი გამუდმებით ესხმოდნენ თავს თბილისს და მიწასთან ასწორებდნენ მის საუკეთესო ნაგებობებს.

გასული საუკუნის დასასრულს საქართველოში მშვიდობა დამყარდა, მაგრამ შენობათა მოშეტებული ნაწილი უკვე დანგრეული იყო და კაცს აღარაფერი მოაგონებდა ერთ დროს განთქმულ „სასახლეების ქალაქს". შემდეგ თბილისი ისევ განახლდა. ქუჩებში სიცოცხლემ გაიღვიძა, იქ, სადაც წინათ ერცელი ბაღები იყო, ევროპული სახლები აშენდა და ქალაქმაც ევროპული სახე მიიღო.

თავადებისა და საერო დიდებულთა სასახლეებზე უფრო მკვიდრი აღმოჩნდა ქართველთა სარწმუნოებრივი ძეგლები. თბილისის ზოგიერთი ეკლესია, რომელიც დღესაც არსებობს, აშენებულია ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში. მათ შორის ყველაზე უმშვენიერესი საკათედრო ტაძარია, აშენებული V საუკუნეში მეფე ვახტანგის დროს. ეს ტაძარი აგებულია ქართულ-ბიზანტიური გემოვნებით ყვითელი ქვისაგან და როგორც სხვა ქართულ ეკლესიას, ამასაც რვაკუთხიანი გუმბათი აქვს. ახლანდელი მისი არქიტექტურა და შინაგანი აღკაზმულობა დიდი ხნისაა, XII საუკუნეში იგი სულთან ჯალალედინმა დაანგრია, XVI საუკუნეში შაჰ-აბასმა თბილისთან ერთად აოხრა და ბრძანა მტკვარში გადაეგდოთ სასწაულთმოქმედი ღვთისმშობლის ხატი, რომელიც იმ დროს ტაძარში ესვენა. სიონში დღემდე ინახება ყველა ქართველისთვის ძვირფასი ჯვარი ვაზისა, რომელიც წმიდა ნინოსი ყოფილა და მისივე თმით არის შეკრული. ეს ჯვარი ემბლემაა ქართული ეკლესიისა, რომელიც აღმოსავლურ წესზე დაარსდა. იგი დიდი ხანია განთავისუფლდა ბერძენთა დამოკიდებულებისაგან და მრავალი საუკუნის განმავლობაში თავისი პატრიარქიც ჰყავდა, კათალიკოსად წოდებული. თუმცა მისი რიტუალები ბერძნული წესებისაგან არ განსხვავდებოდა. ამ დამოუკიდებლობის წყალობით ქართულ საეკლესიო არქიტექტურაში შემუშავდა განსაკუთრებული წესი შენებისა...

ამჟამად ქართველთა ეკლესია შეერთებულია რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან. მათ წესებს შორის შემორჩენილია ზოგიერთი ძველი განსხვავებულობანი. ამ საუკუნის ნახევარში თბილისის ტაძარი თითქმის მთლიანად გადაუკეთებიათ, რის წყალობითაც მას სრულიად დაუკარგავს

თავისი ძველი სახე. გარდა ამ ტაძრისა, თბილისში სხვაც ბევრია ძველი ქართული ეკლესია, მათ შორის წმიდა დავითისა აშენებული ამავე სახელწოდების მთაზე. ეს საყდარი თბილისის ყველა კუთხიდან ჩანს. იქვეა რუსი მწერლის გრიბოედოვის საფლავი და ძეგლი, რომელიც აგებულია მისი ცოლის, ქართველი ქალის სურვილით. გრიბოედოვსაც ლერმონტოვივით უყვარდა მშვენიერი საქართველო და ყველა მისი ოცნება სიცოცხლის უკანასკნელ ხანებში საქართველოსთან იყო დაკავშირებული.

დანარჩენი ქართული ეკლესიები ან დიდი ხნისანი არ არიან, ან მოკლებულნი არიან არქიტექტურულ მნიშვნელობას. თბილისში ბევრია სომხური ეკლესია. უნდა ითქვას, თავიანთი სამშობლოდან განდევნილი სომხები საქართველოში მოვიდნენ და, რაკი ნახეს სტუმართმოყვარე მხარე, იქვე დასახლდნენ, მეტწილად თბილისში, რომელმაც ხელი შეუწყო მათ მიდრეკილებას ვაჭრობისა და მრეწველობისადმი. ვაჭრობა ძველთაგანვე სომხების ხელშია და ეს არის მიზეზი, რომ ისინი უფრო და უფრო მდიდრდებიან, როდესაც საქართველო თავისუფალი სახელმწიფო იყო, სომხები მაშინ ქართველთაგან შევიწროებულნიც კი არ ყოფილან, ეს აშკარად ჩანს იქიდან, რომ სომხებს ეჭირათ თვალსაჩინო ადგილები სამსახურში, მათი და ქართველების ცხოვრება ერთნაირად მიმდინარეობდა და ბოლო დროს ქართველებს რამდენიმე მხრივ კიდეც გაუსწრეს. ხასიათით ისინი ძალიან განირჩევიან ერთმანეთისაგან: ქართველები შემკულნი არიან მრავალი რაინდული თვისებებით, სომხებს კი შრომა და მშვიდობიანი ცხოვრება უყვართ.

ამ ორი ხალხის ხასიათებს შორის ასეთი განსხვავება, უეჭველია, ბუნების ზეგავლენით აიხსნება.

საქართველოს ქება

ქ ა რ თ ლ ი

საყვარელო ქართლო! შენ სასტიკი ხარ და ნაზი, ცივი და მხურვალე, ნათელი და მწუხარე, უხვი და ღარიბი.

მდიდარი ხარ ნაყოფიერი ველებითა და მთებით, ტყეებით, მდინარეებითა და ბაღებით. შენ მრავალფეროვანი, დიადი ბაღი ხარ. ამ ბაღის მომხიბლავი სურათებით საუკუნეებით ტკბება ადამიანი. ყოველ გორაკზე, ყოველ ადგილას შენთა მშვენიერებათა, უხილავი წიგნის ახალ-ახალი სურათებია დამალული. მაგრამ შენ არა მარტო მთებისა და ველების სილამაზე გამკობს, არამედ შორეულ მყინვართა ჯადოქრული სანახაობაც—მაღალი კავკასიონის ქედის გიგანტური პირამიდები, რომლებიც თავისი სიდიადით ალპებსა და ევროპის ყველა სხვა მთას აღემატება. და აი აქ, ამ თითქოს მკვდარი სამყაროს გულში აღიმართება ამაყი ყაზბეგი, სადაც ილია ჭავჭავაძის პოეტურმა თვალმა უპოვნა ბინა თავის „განდეგილს“.

საყვარელო ქართლო! შენს წიაღში იშვა საქართველო და მრავალ საუკუნეთა განმავლობაში შენ აძლევდი სიცოცხლეს მთელ ივერიას. შენ იყავი მისი სული და გული, მისი სიმაგრე აღმოსავლეთის გააფთრებულ მტერთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ლამაზო ქართლო! ნაზია შენი გაზაფხული, როდესაც იასამნის სურნელი დაიღვრება ბაღებში, როდესაც სიმწვანით იმოსება ტყეები და რაკრაკით მორბის მთის წყაროთა ვერცხლისფერი ჩქერები.

მშვიდად და ნაზად მოდის შენი გაზაფხული, ნელ-ნელა იღვიძებს მისი სილამაზე, მაგრამ როდესაც აივსება სიცოცხლით მისი ახალგაზრდობა და ხმამაღლა გაისმის ბულბულის

სტვენა და გუგულის მწუხარე ძახილი, მაშინ მთები და ველები სამოთხეს დაემსგავსება! აგერ მოშხუის ამღვრეული მტკვარი და ვერცხლისფერი არაგვი, რომელთა ნაპირებზე ბევრჯერ გადაწყვეტილა საქართველოს ბედი. მტკვარო და არაგვო, რა მწუხარე ჰანგებს გიმღეროდათ ილია და ბარათაშვილი, რომელნიც მთელი თავისი სიცოცხლე საქართველოს ტრფიალით იყვნენ დაავადებულნი! მტკვარი და არაგვი, ქართლო, შენი წარსულის უკვდავი მოწმენი არიან, ეს ორი მდინარე ქართლის ხსენებისთანავე მოაგონდება ადამიანს. ისინი შეერთებულნი მორბიან ძველი თბილისისაკენ, საქართველოს გულისაკენ. საყვარელო ქართლო! ხშირად გინახავს მწუხარება, მაგრამ ხანგრძლივად არასოდეს დადარდიანებულა შენი მზე. ხშირად, ძალიან ხშირად ისმოდა თბილისში საზეიმო ჰანგები, აქ ჩაუყარა მაღალგონიერმა დავითმა სახელმწიფოს საძირკველი, ხოლო თამარმა ნაზი სიტყვით და კეთილი გულით შეაერთა ქართველნი.

კ ა ხ ე თ ი

ნათელო კახეთო! ტყიანი მთების გვირგვინი შემოვლებია შენს მწვანე ველ-ვინდორს! მზე და მთვარე შენი მეგობრებია, მათი სინათლე და ბრწყინვალება მომხიბლავად ამკობს შენს სურათს. ვისაც უნდა სასწაული იხილოს, მან კახეთში მზის ამოსვლას უნდა უცქიროს, როდესაც ოქროს სხივი ეხვევა მთელ ველს და ალაზანი ვერცხლისფერი ზონარივით ბრწყინავს.

ვისაც უნდა სასწაული იხილოს, მან საკვირველ მთვარიან ღამეში თელავიდან ალმოსავლეთით ალაზნის ველს უნდა უყუროს. კეკლუცო კახეთო! ოქროსფერი ღვინის, სიხარულისა და სიამის ქვეყანავ! შენს სამოთხეში იშვა ორი პოეტი, ერთი—ალექსანდრე ჭავჭავაძე, მეთვრამეტე საუკუნის დაგვიანებული პოეტი, რომელიც უმღერდა ქალებს, ღვინოსა და სიყვარულს, — ეს სიცოცხლით სავსე ნამდვილი კახელი;

ხოლო მეორე—ილია ჭავჭავაძე, ქართველი, რომელიც მთელ საქართველოსთვის ფიქრობდა. ილია აღტაცებული იყო კახეთის ბუნების სამოთხისებური სილამაზით...

ძვირფასო კახეთო! შენ უშრეტი სალარო ხარ პოეზიის, სინათლისა და სილამაზის. შენ ნაზ ქალთა სამშობლო ხარ, მოვა დრო და შენს საუნჯეთა სალაროდან გაიშლება მაღალი პოეზიისა და ხელოვნების ყვავილნი. კახეთო! სეტყვა აზიანებს შენს ვენახებს, გვალვისაგან შრება შენი მდინარენი, მაგრამ არასოდეს არ დაშრება შენი სილამაზის უკვდავი წყარო.

ი მ ე რ ე თ ი

მომჯადოებელო იმერეთო! ნაზი სამხრეთის საყვარელო, სადაც ჯერ კიდევ ზამთარში იღვიძებს გაზაფხული, შენს სილამაზეთა მრავალფეროვნებაში იკარგება თვალი. იმერეთო! ვისაც არ უნახავს შენი გაზაფხული, მას არ უნახავს სამოთხე.

რა სიამე და ბედნიერებაა შენი აყვავებული მინდვრების, მწვანე ბაღებისა და ტყეების ხილვა!..

შენ მდიდარი ხარ ძვირფასი მარგალიტებით, მაგრამ ყველაზე უმშვენიერესი—ქუთაისია. ის გარშემორტყმულია სიზმარებრ მშვენიერი მწვანე ბაღებით, სადაც ხარობენ სამხრეთის ნაზი ყვავილები და ხეები. მის სიმწვანეში ჩუმად დგანან ძველი ნანგრევები. რიონი მოშხუის ტყიანი ხეობით.

ვისაც ერთხელ მაინც უნახავს ქუთაისი, მის ხსოვნაში ზვანებად რჩება ამ ქალაქის ნაზი გაზაფხულისა და ლამაზი ქალების სურათი. მწვანე იმერეთო! საუკუნეებით ელერდა ჩონგური შენს სადიდებლად, მაგრამ მხოლოდ აკაკის ათქმევინა დიდი ქებათა-ქება. და იქამდის, ვიდრე შენი ლამაზი ასულნი ხიბლავენ შენს ვაჟებს, ვიდრე რიონი მოშხუის მწვანე ხეობით და მისი დაუდეგარი ტალღები მიისწრაფიან შავი ზღვისაკენ, ცოცხალი იქნება აკაკის სიმღერაც.

ქუთაისი

ფურცლები ქართული დავთრიდან

1888 წელს ჩვენა მეგობარმა ნიკო ღოღობერიძემ დაპპატიჟა თავის სოფელ რგანში. მაგრამ სანამ წავიდოდით, ორი კვირით ქუთაისში გავიარეთ.

ეხლა ეს ქალაქი ნამდვილი გულია საქართველოსი, როგორც თბილისი მე-18 საუკუნეში. მე დიდი ხანია სხვადასხვა გასართობები მიზიდავდა იმერეთის დედაქალაქისაკენ, უფრო კი ის შორიდან საქართველოს დასახასიათებლად შიყვარდა, ამასთან ერთმა ადამიანმა, რომელიც დაბადებული იყო ქუთაისში და ცხოვრობდა თბილისში, გამიღვიძა თავისი საყვარელი ქალაქის სიყვარული.

ცოცხალი იმერლისა და უფრო მძიმე ხასიათის აღმოსავლეთ საქართველოს მცხოვრებთა შორის არის დიდი განსხვავება. მათი ზნე-ჩვეულება ბევრად განსხვავდება ერთმანეთისაგან... ქუთაისში გაუფრთხილებლად წავედი და არ შევმცდარვარ. მაგრამ ამბობენ, პირველი შთაბეჭდილება ყოველთვის არ ჰრის მართალიო.

ქუთაისის საერთო სურათმა აღმაფრთოვანა. ბუნებამ, შდიდარმა მცენარეულობამ, რიონის მხატვრულმა მიდამოება ჩემში მეტად სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა. აქ არის ნამდვილი სამხრეთი, რომელიც აღბეჭდილია არა მარტო მცენარეულობაზე, არამედ ადამიანებზეც.

იმერლების დამახასიათებელი თვისებაა სიმარდე. ისინი მოქნილნი, ჭკუამახვილნი, კარგი მოლაპარაკენი, მაგრამ ამასთან ერთად ზარმაცებიც არიან, ეს სამხრეთის ხალხის დამახასიათებელი თვისებაა. იმერლები უფრო მხიარული ხალხია, ვიდრე აღმოსავლეთის მხრის ქართველები. იმერლებმა თავისი განმასხვავებელი თვისებები უსათუოდ თანდათანობით გადმოიღეს წარსულში ბერძენთა მცხოვრებლებისაგან. ვინც საბერძნეთში ყოფილა, განსაკუთრებით ათენში, და დაკვირვებია ბერძნების ცხოვრებას სხვადასხვა გარემოებაში, ის დარწმუნდება, რომ მათი ცხოვრება ძალიან ჰგავს იმერლების ცხოვრებას, ამითვე შეიძლება დამტკიცდეს იმერლების ნიჭი

ვაჭრობაში. ცოცხალი ტემპერამენტისა და ლაპარაკის უნარის მხრივ ბერძნებს და იმერლებს ბევრი საერთო აქვს. იმერული კილო გამოითქმება ჩქარა და ხშირად არ გვაძლევს დროს დაუფიქრდე მის აზრს.

იმერლები ძალიან ნიჭიერი მსახიობები არიან, როგორც ცხოვრებაში, ისე სცენაზეც, ამით აიხსნება ის შემთხვევაც, რომ მსახიობთა უმეტესი ნაწილი ქართულ სცენაზე იმერლები არიან. ასეთი შემთხვევა არ რჩება უშედეგო, რადგან მათ მოქნილობას აჩვევს და უნარს, შეეგუონ სხვადასხვა მდგომარეობას. ახალგაზრდა კაცს, ერთი დღის უკან მინდორში რომ ხნავდა, ეხლა ლაქიად ნახავთ სასტუმროში და ფრაკში დადის. რამდენიმე წლის შემდეგ ის გახსნის სასტუმროს და იჯრით რკინიგზაზე ბუფეტსაც მიიღებს. ასევე მიდიან იმერლები სხვა დარგებშიაც წინ. ოცი ან ოცდაათი წლის შემდეგ ისინი დაიპყრობენ სხვა პროფესიებსაც, რომელშიაც ჯერ არ არიან გაწაფული.

იმერეთმა ფაილვიძა, ამას მე ვხედავ და ახლა ვამჩნევ ქუთაისში. მოძრავი იმერლები თანდათანობით ვრცელდებოდა საქართველოს სხვადასხვა მხარეებში.

ქუთაისში ყველაზე უფრო გამიტაცა ბუნების სიმშვენიერემ. აქ სხვადასხვაგვარი სამოთხეა და ყოველ ადგილს თავისი სიმშვენიერე აქვს. რიონის ტყიანი მიდამოები თავისთავად ზღაპრულ ქვეყანას წარმოადგენდა. ოჰ! რამდენი სილამაზეა ამ საუცხოო ტყეში, ხმაურიანი მდინარის ნაპირზე; მოწამეთში ველური კლდეების სურათები ამხიარულებენ თვალს; გელათში კი ქვემო იმერეთის ნაზი ბუნებაა. გელათის მონასტრის აივნიდან თქვენ წინ იშლება მთელი დასავლეთი იმერეთი და ქვემო სამეგრელო შავ ზღვამდე, სადაც ეს მწვანე სამოთხე იფანტება შორეთში. გელათის მონასტერი არ არის უბრალო ქვის ძეგლი, როგორც სხვა მრავალი, რადგან აქ ისტორიამ დაასვა თავისი ბეჭედი და მის გონიერ მოღვაწეობით შექმნა თავისი თავი იმერეთის მანათობელად, სადაც მრავალი საუკუნის განმავლობაში წყვდიადი იყო გამეფებული. ერთმანეთს შორის სიძულვილი ანგრევდა ახლომახლო სოფლებს, მხოლოდ ცოტა ხნის განმავლობაში ანათებდა მკრთალი სინათლით გელათი

ქუთაისში ყვავილები შემოდგომაზეც ჰყვავიან, ჰყვავიან ოგრეთვე ლამაზი ქალები, ყველაზე უფრო ლამაზნი საქართველოში და მთელ კავკასიაში. ეს სახელი არ შეიძლება წაერთვას ქუთაისს, თუმცა შურიანი ადამიანები ამბობენ, ამ ლამაზ ქალებს არ აქვთ გულიო. ამაზე შეიძლება ვიდაოთ. მე იმერეთის დედაქალაქის არა ერთი ლამაზი ქალიშვილი ვიცი და ვამჩნევ მათ სიკეთეს და თბილ გრძნობასაც. თუმცა სინამდვილეში იმათაც აქვთ ნაკლი, ურომლისოდაც ეს ლამაზი ქალები ანგელოზები იქნებოდნენ და ანგელოზები კი ადამიანის ცხოვრებაში არ გამოდგებოდა.

სამწუხაროა, რომ ქუთაისში არ ჰყვავის ხელოვნება, არც მუსიკა და არც მხატვრობა, მიუხედავად იმისა, რომ განსაკუთრებით მხატვრობისათვის არის აქ უთვალავი მასალა. საკმარისია მიუთითოთ მხატვრულ ბუნებაზე.

ჩემი წასვლის წინ დღეობა იყო და საუცხოო ივნისის დღე იდგა. ქუჩაზე ყოველგან სეირნობდნენ ლამაზი ქალები. ციცინოდნენ, მხიარულობდნენ და ოქროსფერი მზის სხივები აბრწყინებდნენ მათ კეთილშობილ სახეებს, უბრწყინავდნენ ცოცხალი თვალები. ამბობენ, ვინც დალია მტკვრის წყალი, უსათუოდ დაბინავდება თბილისშიო. ასეთივე ანდამატის მიმზიდველობა აქვს ქუთაისის ქალებსაც.

საქართველოს სილამაზე

საქართველოს სიმშვენიერე ისევე ძნელი აღსაწერია და მიუწვდომელი, ვით უთვალავი თვალ-მარგალიტი აღმოსავლეთის საარაკო მფლობელისა. დიახ, ძნელია, მაგრამ ვისაც უყვარს საქართველო, მისთვის საამურია მის სილამაზეზე ლაპარაკი.

მისი მთლიანი სურათის დახატვა ჩემი მიზანი არ არის, მე მხოლოდ მინდა აღვნიშნო ამ სილამაზის მრავალფერადობა საქართველოს ზოგიერთ კუთხისა.

საქართველოს შორეულ წარსულშივე მოჰყავდა აღტაცებაში უცხოელები, განსაკუთრებით იტალიელი ბერები.

მაგრამ მეტად უფერულია მათი აღტაცების სიტყვიერი გამოხატვა, რადგანაც მათ შორის არ მოიპოვებოდა მხატვრული გრძნობითა და გემოვნებით სავსე მწერალი. მგონი ლამბერტი უწოდებს საქართველოს „თავის სატრფოს“.

ახლაც, ჩვენს დროში უცხოელები უხვად სწირავენ ქებადიდებას საქართველოს უმშვენიერეს ბუნებას, და თბილისი, რომლის მდებარეობაზე თვით ქართველები არ არიან დიდი აზრის, ბევრს მიუჩნევია ლამაზად. ჩავარდნილი ალაგი, სადაც გაშენებულია ქალაქი, მცირეა სიმშვენიერით, მაგრამ მისი შოლიანი სურათი სავსეა სილამაზით, განსაკუთრებით ნავთლუღიდან, საიდანაც კრწანისი და მამადავითის მთა მოჩანს; ნაზი და მხატვრულია ეს სურათი, როცა გაშუქებულია დილის მზის სხივებით. მე მახსოვს, სხვათა შორის, როგორ აღტაცებას ეძლეოდნენ უცხოელები მატარებლის ფანჯრებიდან ამ სურათის მზერის დროს...

წაკითხული მაქვს აგრეთვე სომეხი მწერლის ხაჩატურ აბოვიანის წერილი (1843 წ.), იგი თავის მეგობარ გერმანელს აუწერს თბილისის დილას და იმ განსაკუთრებულ სიამესა და სიხარულს, რომელსაც მას მთაწმინდა ანიჭებს. და მართლაც, ეს თითქმის ხრიოკი მთა თბილისს რაღაც განსაკუთრებულ მშვენებას სძენს მასზე დაცემული თავისებური მზის შუქის გამო. საღამოთი, როცა მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მდებარე ქალაქის ერთი ნაწილი უკვე გახვეულია ჩრდილში, მარცხენა ნაწილი კვლავ დიდხანს ელვარებს ჩამავალი მზის ოქროს სხივებში. მთაწმინდიდან თვალი სწვდება არა მარტო მთელ ქალაქს, არამედ მის მიდამოსაც, მარტყოფისა და საგურამოს მთებს.

ლამაზია აგრეთვე ვერის დაღმართის გადასახედი მტკვარზე და ყაზბეგისაკენ, რომლის სურათიც მზის სხვადასხვაგვარი გაშუქების გამო ცვალებადი ფერისაა ზამთარ-ზაფხულ. საზოგადოდ, თბილისი ღარიბია მწვანით, მაგრამ სამაგიეროდ მისა სამხრეთ-დასავლეთ და დასავლეთ მხარეს გადაჭიმულია ტყეთა უსაზღვრო სამეფო, საითაც ყოველთვის მიისწრაფოდნენ თბილისელები ზაფხულში. აქ ბევრგანაა მხატვრული ადგილები...

ალგეთის ნაპირები შედარებით ღარიბია სილამაზით.

თუმცა აქაც მოიპოვება თვალისათვის საამური და გასახარი ადგილები. თბილისის აღმოსავლეთის მხარეს ბუნება ძლიერ ღატაკია: კუმისის ტბა მოქცეულია ცარიელ, ხრიოკ ადგილას და დიდი ხნით არ იზიდავს მგზავრის თვალს; თელეთის მახლობელი მთა, შავნაბადა, გადაჰყურებს დიდ შიშველ მიდამოს, რომელზედაც მიიზლაზნება ამღვრეული მტკვარი ულამაზო რიყე-ნაპირებს შუა აღმოსავლეთის მიმართულებით; სამგორის ტრიალ მინდვრებს შუა გზა გომბორისაკენ მიდის, ეს ზურგუხტის სამოთხე თვით კახეთამდე გრძელდება. გომბორი საქართველოს მრავალ სამოთხეთა შორის პირველია. აქ მთელი დღე მოუღალავად შეიძლება ხეტიალი ბუმბერაზ ხეთა ჩრდილოვანი გუმბათის ქვეშ. ეს კახეთში მიმავალი გზატკეცილით გაპობილი ტყე თავისი პატარა მინდვრებით, ლამაზი ჭალებითა და ჩხრიალა რუებით მშვენიერ ხელოვნურ პარკს უფრო წააგავს. იქ მზის სხივი მხოლოდ ოდნავ გასჭვრეტს ატყორცნილი ხეების დაბურულ ტევრს, მთელი გზა მოცულია არა მარტო ჩრდილით, არამედ წყვდიადითაც. დიდ მანძილზეა გაჭიმული ეს ჩრდილოვანი გზა, მხოლოდ შუამთის მონასტრის შემდეგ უცებ ირღვევა ეს შეფოთლილი ფარდა და მთელი თავისი სიმშვენიერით, როგორც უზარმაზარ ფანჯრის ჩარჩოში, მოჩანს მზეში ჩანთქმული კახეთი. შუამთის მონასტრიდან თვალი ცივ-გომბორით სტკბება. ეს სურათი ისევ გომბორის ტყის სამეფოს გაგრძელებაა და იქ ჯერ არა ჩანს კახეთის ნარნარი და ნაზი ფერადები.

თუ გინდათ საკუთარი დატკბეთ კახეთის სიმშვენიერით, თელავში ნადიკვრის გორაკზე ადით ან ალაზნის მარჯვნივ ზოგიერთ მაღლობზე. გინდათ ნახოთ სიღნაღი და გარე კახეთი? — ადით ყვარლის ახლო პატარა აღმართზე და დასტკბებით ამ მომხიბლავი, ნაზი სურათის მშვენიერებით.

კახეთი ანუ ალაზნის ველი ერთი მთლიანი საოცნებო ბაღია, კავკასიონის მთაგრეხილის სალ კლდეებსა და გომბორის მთებს შორის აყვავებული მხარე; ეს კედელი თანდათან დაბლდება და თელავ-სიღნაღის გზის მახლობლად თავდება პატარა გორაკების ხაზით.

სურათხატოვანი ჰდებარეობისა და უხვი სიმწვანის გარდა

კახეთი შემკულია კიდევ მესამე სიმშვენიერით — განსაკუთრებული სინათლით, რომელიც აქ, გაორკეცებული კავკასიონის მთათა ბუნებრივი რეფლექტორის სიახლოვით, მეფური სიუხვით არის მოსილი მთელ ველზე. ეს სამი მშვენება შეადგენს კახეთის ზღაპრულ სილამაზეს.

საქართველოს ამ მარგალიტს ჯერ კიდევ მცირე ადგილი უჭირავს პოეზიაში. ილია ჭავჭავაძე, ვახტანგ ორბელიანი და ალექსანდრე შანშიაშვილი მას მხოლოდ რამდენიმე ლექსს უძღვნიან. მხატვრობაში მხოლოდ ერთმა რუსმა მხატვარმა ზანკოვსკიმ დიდი ნიჭით გადაიტანა ეს სიმშვენიერე ტილოზე იმ დროს, როცა ქართველი მხატვრები დღემდეც ძალიან მცირე ყურადღებას აქცევენ.

ალაზნის მარჯვენა მხარე, რა თქმა უნდა, გაცილებით უფრო ლამაზია, ვიდრე მისი მარცხენა ნაპირი. ციე-გომბორის ტოტის უკანასკნელი პატარა სიმაღლეები და შეფოთლილი ფერდობები წარმოადგენენ აქ მრავალფერად, კალმით აუწერელ სურათებს. თელავსა და სიღნაღს შუა მდებარე სოფლები ბორთულ-მოკაზმულია ნაირფერი მცენარეებით და ყველგან მომხიბლავი გადასახედი იტაცებს თვალს, ერთი მხრით — მთებისაკენ და მეორე მხრით — ალაზნის მოკრიალებული ველისაკენ. ალაზნის მარჯვენა ნაპირი კავკასიონის მწვანე გალავნის გასწვრივ მოიკლაკნება. ეს ერთფეროვანი და ვიწრო მხარე გადაჰყურებს მშვენიერ მარცხენა ნაპირს, სადაც მაღლობზე ერთ ბოლოს მოჩანს მწვანით მოსილი თელავი და მეორეს — სიღნაღი.

თუ გინდათ ნახოთ კახეთის ყველა სურათი, სიმაღლეთა შუა მოქცეულ პატარა ველებში უნდა შეხვიდეთ, რომელნიც ციე-გომბორის მთაზეა შეფენილი. აქ მოუყრია თავი ყველაფერს: უხვ მცენარეებსა და ნაკადულებს, პატარა ჭალებსა და ალაგ-ალაგ ტყიან ადგილებსაც კი.

დასავლეთით კახეთსა და ქვემო ქართლს შუა მდებარე ტყიანი მთებით შევდივართ ტყის ფართო სამფლობელოში და შემდეგ ერწოს მწვანე ველში. ეს ველი განივრად არის გაშლილი წინამძღვრიანთკარისაკენ, ზედაზნის ტყიან მთებისაკენ და ბრწყინვალე მზისაგან დაფერილ-შეევერცხლილ არაგვისაკენ. აქ არაგვი მომდინარეობს ვაკე ადგილას, გაშლილ

კალთაზე, რომლის ნაპირი შეფერილია მწვანით, ზევით და ზევით მისი მიდამო უფრო მეტად იმოსება სხვადასხვა მცენარეებით და ეს სილამაზე აღწევს უმაღლეს წერტილს არაგვის სათავეში, თუშეთში. გერმანელმა გეოლოგმა აბიხმა, რომელიც სახელოვანი მწერალიც იყო, ეს ხელშეუხები მთის სამეფო აღწერა, საცა არაგვი გაშმაგებული არღვევს სალ კლდეებსა და ციცაბო მთებს და აქაფებული ქვა-ქვიშას შიაქანებს. არაგვი მართლაც და საუცხოო მდინარეა. ბარათაშვილი ღირსეულად აღწერს მის სიმშვენიერეს, სადაც ცხენოსანი გამვლელი ქართველი სიამით ისვენებს მწვანე ხეებს შორის და სტკბება მისი წარმტაცი ბუნების მზერით. შევერცხლილი არაგვისა და ამღვრეული მტკვრის შეუღლების ადგილის ახლო საქართველოს წარსულის მნიშვნელოვანი ამბები დატრიალებულა უწინ, რის გამოც ეს ორი მდინარე სხვაზე უფრო ხშირად მოიხსენიება საქართველოს მატიანეს ფურცლებზე. ზედაზნის მახლობლად მთების ერთ-ერთ მწვერვალზე, მაღალი ხეებით შემორტყმულ ადგილას, ძველთაძველი მონასტერია აღმართული. იქიდან იშლება ფართო გადასახედი სამხრეთისაკენ, ირგვლივ კოჯრის მთები, თბილისი და ძირს ძველი მცხეთა მოჩანს. ქვემო ქართლის თავისებურება, ე. ი. შიშველი მთების, სალი კლდეებისა და მწვანე ველთა მთლიანობა აქ, ამ ადგილას, უფრო მკაფიოდ წარმოუდგება თვალს, ვიდრე სხვაგან; სამაგიეროდ, ჩრდილოეთისაკენ არაგვის ველი და მთები, ლაჟვარდ ცის კამარაში ატყორცნილ მყინვარამდე, დაბურული ტყით არის შემოსილი. ყველა ამაზე მბრძანებლობს ყაზბეგის გიგანტური პირამიდა, ეს ბუნებრივი სამიჯნო ზურჯი მზეცხოველ საქართველოსა და შოქუფრულ ჩრდილოეთს შუა. ვინც მოახერხა მზიან ამინდში მის მწვერვალზე ასვლა, ის მოწმეა დიდი სასწაულებისა ამ ქვეყანაზე. გერმანელმა მწერალმა, გოტფრიდ მერცბახერმა, ავტორმა წიგნისა „კავკასიონის მთების სიმაღლეზე“, მაღალმხატვრული აღწერა მოგვცა იმ პანორამისა, რომელიც იხილა ამ დიდებული მყინვარიდან. აქედან გადააავლო მან თვალი მთელ კავკასიას თვით არარატამდე.

ქართულ პოეზიაში ყაზბეგს ჯერ კიდევ მცირე ადგილი უჭირავს. მხოლოდ ილია ჭავჭავაძემ იპოვა ღირსეული

სიტყვები თავის პოემა „განდეგილში“ მისი დიდებული სილამაზის დასურათხატებისათვის. საზოგადოდ, ქართველი პოეტები ნაკლები ყურადღებით ეკიდებიან ყაზბეგს და ქართულ მხატვრობაში საქართველოს მთების მეფე თითქმის არ ასახულა. მარტო ეს მთა კი არა, მხატვრობისათვის უძვირფასესი მასალის მქონეა მისი მიდამოებიც. აიღეთ, მაგალითად, სადგურ ყაზბეგიდან წმიდა სამების ეკლესიისაკენ გადმოსახედი. განა ეს დიდებული და მომხიბლავი სურათი არ არის?..

ბუნებისა და არქიტექტურის შეხამება, განსაკუთრებით მთიან ადგილებში, დიდ ესთეტიკურ შთაბეჭდილებას ჰქმნის. ეს არ ითქმის მცხეთის ტაძარზე, ვინაიდან მისი მდებარეობა მტკვრის დაბალ ნაპირზე არ შეფერის მის სიდიადეს. დუშეთისა და ფშავ-ხევსურეთის მთების დიდებული და ჯერ სრულებით ხელშეუხებელი სილამაზე დიდი ოსტატობით აქვთ აღწერილი გერმანელ მეცნიერებს აბიხსა და მერცბახერს...

მცხეთის შემდეგ ქვემო ქართლის შესავალში მგზავრმა უნდა გაიხედოს სამხრეთისაკენ, მთების გასწვრივ, რადგანაც ჩრდილოეთის მხარე საკმაოდ ღარიბია მცენარეებით. ზოგიერთი სოფლის ხეხილის ბაღები და ქალაქის ხედი თუმცა ვერ შეედრება სილამაზით ტყიან მთებს, მაგრამ ყანით დაფარულ სახნავებთან ერთად შუა ქართლის ბუნებრივი სიმდიდრის სავსე სურათს წარმოადგენენ. ბუნებაში სიმდიდრე და სილამაზე ყოველთვის ერთად არ არსებობს და საქართველო, ეჭვი არ არის, უფრო მდიდარი იქნებოდა, რომ ლამაზი მთები ნაკლებად ჰქონოდა, ხოლო სახნავები კი უფრო მეტი.

შუა ქართლის უმთავრეს ადგილებს, მაგალითად, გორს, ახალქალაქს, კავთისხევსა და სხვა სოფლებს, არ შეიძლება ითქვას, რომ ლამაზი მდებარეობა აქვთ. ქართლის სილამაზე მხოლოდ შემდეგ დასავლეთისა და სამხრეთისაკენ იწყება. სამხრეთ ქართლის მთელი ნახევარი, მანგლისიდან დაწყებული ბორჯომის გასწვრივ, მთიანი ადგილია. ის მდიდარია ტყით, წყაროებითა და მდინარეებით. აქ თითქმის ყველგან

შეუძლია ადამიანს დასტკბეს მწვანით შეფენილი მთებისა და ველების მშვენიერი სურათებით.

სურამის ქედი ბუნებრივი მიჯნაა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოსი, შეიძლება კიდევ ითქვას — ორ სხვადასხვა მხარეს შუა. დასავლეთი ანუ ზემო ქართლი, ცივი მხარეა და მისი ზამთარი წააგავს ჩრდილოეთის ზამთარს. ტყიანი მთები და ველები სავსეა მომხიბლავი სილამაზით, ასეთია ის თვით ზამთარშიც, როცა მთები დაბარდნილია თოვლით, ამ ცივი მხარის სილამაზე იმ დროსაც საამურად აზარებს ადამიანის თვალს.

აუწერელია ქართლის მშვენიერი გაზაფხული, როცა მთების დაბლა კალთები და ველი აბიბინებულია ზურმუხტისფერი ნორჩი მწვანით და აქვე მთის მწვერვალები კი გახვეულია ბრწყინვალე თოვლის თეთრ სუდარაში. ზემო ქართლი ნამდვილი მთის სამოთხეა, სადაც ყოველ მოსახვევში ახალი საოცნებო სურათი იშლება. მაგრამ ეს უკვე აღარ არის ნაზი ბუნებისა და თბილი ჰავის საჰხრეთი და მისი ქალაქები ხაშური, სურამი და ბორჯომი მთელი ზამთარი რამდენიმე თვით გახვეულია თოვლში.

სურამის ქედი მართლაც და ნამდვილი მიჯნაა ორ მხარეს შუა. მთებს გადაღმა ნაზ იმერეთში ხალხიც სხვაგვარია. ყველა უცხოელი, რომელიც პირველად მოგზაურობს საქართველოში ბათუმიდან თბილისისაკენ, აღტაცებაში მოდის ზემო ქართლის საუცხოო სურათებით. და მართლაც, აქ იმდენგვარ სილამაზეს მოუყრია თავი, რომ ამ ზომით ძნელად მოიპოვება საქართველოს სხვა კუთხეში. ქართლი, რომელიც უწინდელ დროს ხშირად იყო საქართველოს პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ძარღვი და ცენტრი, თითქოს მართლაც რაღაც განცალკევებული ქვეყანა იყოს, იგი ბევრით განირჩევა საქართველოს სხვა მხარეებისაგან. ქართლი მრავალ საუკუნეთა განმავლობაში იყო მთავარი დედაბურჯი სპარსეთსა და ოსმალეთთან ბრძოლის დროს. მე-18 საუკუნეში ქართლმა შექმნა ახალი კულტურული ცხოვრება და ჩაუყარა საძირკველი საქართველოს ახალ ყოფას. მე-19 საუკუნეში ყოველივე ეს შექმნეს ცივი ქართლის

ცხოვრებლებმა, რომლებიც უკანასკნელ ათეულ წლებში წინ უძღვიან საქართველოს დანარჩენ მხარეებს.

დავუბრუნდები ზემო ქართლის ანუ საქართველოს პრუსიის ბუნებას, და დავძენ, რომ ეს ცივი მხარე გადასცქერის სხვა, უფრო ცივ მხარეს, კავკასიონის მთავარი ქედის შორეულ მყინვარებს. ადამიანის თვალს ყველაზე ფართო და დიდებული სურათი ეგრეთწოდებულ „ცხრაწყაროს“ მწვერვალიდან გადაეშლება, თუმცა ეს შეგვიძლია ვიხილოთ უფრო დაბალი ადგილებიდანაც: თუნდაც კავთისხევიდან; აქ ადამიანს შეუძლია დასტკბეს ამ მყინვარების დიდებული სურათით. მზიანი ადგილი დიდ მანძილზეა სოფლებითა და მწვანე ბალებით შეფენილი, რომლებიც თვით მთავარი ქედის ლურჯ მთებსა და მათ უკან აღმართულ თოვლით შემოსილ მწვერვალებს აღწევენ. ეს მწვერვალები ხშირად მკაფიოდ ბრწყინავენ ლაჟვარდ სივრცეში, როგორც მარმარილოს კოშკები და გიგანტური პირამიდები. მათი მეფური მშვენება ცვალებადია დილით, შუადღესა და საღამოს, მაგრამ ის დიადი და მომხიბლავია ყოველთვის.

სურამის მთები საკმარისი სიგრძისა და სიგანისა არის და ნამდვილი მთის სამოთხეს წარმოადგენს. მისი დასავლეთი ფერდობი თანდათანობით გადადის ნაზი ბუნებისაკენ და რამდენადაც უახლოვდება იმერეთს, იმდენად მეტად იგრძნობა სამხრეთი. რაც შეეხება ზემო იმერეთს, ამ ლამაზ, ღვთაებრივ ადგილს, ის ჯერ კიდევ ბევრით წააგავს ქართლს. ეს კუთხე მზიანია, მდიდარი სახნავ-სათესი ადგილებით.

ზემო იმერეთის სილამაზე მრავალფეროვანია. ადგილ-ადგილ მომჯადოებელია თვით შავი ქვის მაღაროების მახლობლადაც კი. ზემო იმერეთი ლამაზია არა მარტო თავისი მთებით, ველებითა და მდინარეებით, არამედ მდიდარია მცენარეებითაც, მთებისა და ველების მშვენიერი სურათები დაუშრეტელი მასალაა პოეტისა და მხატვრისათვის. აქ, ამ ნახევრად სამხრეთის კუთხეში, ქართველ ლირიკოსთა მეფე— აკაკი წერეთელი დაიბადა...

გარდა მთებისა, ზემო იმერეთის საუნჯეს ეკუთვნის მდინარე რიონი, რომელიც თავის სათავეში იშვიათი სიტურფით გამოირჩევა. მაშინ როცა სხვა მდინარეები ნაკლებად

განირჩევიან განსაკუთრებული სილამაზით, რიონის მიდამოები, ქუთაისის ზევით, ერთი განუწყვეტელი ტყის საბოთხეა. საზოგადოდ, საქართველოს მდინარეები მხოლოდ თავის სათავეში არიან შემკული დიდი სილამაზით.

ზემო იმერეთის მთების სილამაზეს არ დაუვარდება ქვემო იმერეთიც. მას ალტაცებაში მოჰყავს მნახველი. ეს ნამდვილი ტურფა სამხრეთია თავისი ორი მარგალიტით — ბათუმითა და ქუთაისით.* იმერეთის დედაქალაქი შემკულია სამოთხისებური ბუნებითა და მდებარეობით. ზემო იმერეთისათვის უცნობი ბევრი მცენარე აქ უხვად ხარობს, მისი დაუჭკნობელი ფოთლებით მოქარგულა საუცხოო ველები და გორაკები. მაღალი მთები გალავანივით აღმართულან ქვემო იმერეთის ერთ მხარეს, თუმცა შიგნითაც, აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის მხარეს, იგი მორთულია დაბალი მთების ტურფა გვირგვინით. გონიერად მოიქცა ის ხალხი, ვინც ათასი წლის წინ გააშენა აქ ქუთაისი, იმერეთის მომავალი დედაქალაქი. ჩრდილოეთიდან ქუთაისი სიცივისაგან მაღალი მთებითაა დაფარული, მეორე მხრიდან კი ნაყოფიერი და მდიდარი მიდამო აკრავს. რა ლამაზი იქნებოდა ეს ქალაქი უწინ, როცა აქ მთაზე აღმართული იყო ძველი სასახლე და ტაძარი, რომელთა მშვენებისაგან მარტოოდენ ნანგრევები დარჩენილა. აქ ყველაფერი ნაზი და კეკლუცია, თვალი და გული ვერ ძღება მისი მშვენებით... მის ახლო მდებარე ადგილები ღირსშესანიშნავია საქართველოს წარსულისა და არქიტექტურის ძვირფასი ნაშთებით: გელათი და მოწამეთა. გელათის მონასტერი აშენებულია ისეთ მარჯვე ადგილას, რომ მთელი იმ მხარის სამკაულია მართლაც. არქიტექტურა შეფარდებული უნდა იყოს ბუნებასთან და აძლიერებდეს მის სილამაზეს. გელათის მონასტრის აივნიდან გადასახედი დიდებული და მომხიბლავია. მრავალი საუკუნის განმავლობაში რამდენი თაობა ბერებისა გადაჰყურებდა აქედან მშვენიერ სურათს, მთელ ქვემო იმერეთზე და სამეგრელოზე გადაჭიმულს თვითშავი ზღვის ნაპირამდე!

---

* ძველი ჩვეულების თანახმად, ლაისტი ხშირად მთელი დასავლეთ საქართველოს აღსანიშნავად იმერეთს წერს.

დღევანდელ ქართველებს უფრო შესწევთ ბუნების სილამაზის განცდა, ვიდრე ბერებს იმ წარსულ საუკუნეებში, მაგრამ ისინი მაინც ჯერ კიდევ ნაკლები ინტერესით ეკიდებიან მას. ვერც პოეზიაში, ვერც მხატვრობაში ტურფა იმერეთმა ვერ მოიპოვა ღირსეული ყურადღება. კახეთისა და ქართლის მსგავსად იმერეთი ჩრდილოეთიდან კავკასიონის ქედის მაღალი ციხე-გალავნით არის შემოზღუდული. უმაღლესი მთების ზევით სვანეთი გაჭიმულა, ეს პატარა კუთხე, რომელიც თავისი ბუნებით და ხალხით სრულიად განსხვავდება იმერეთისაგან. სვანეთი ლამაზი და საინტერესოა. საქართველოს ქართველნი ძლიერ იშვიათად ესტუმრებიან ხოლმე ამ ცივ მხარეს; მგონი, ჯერ არც ერთი პოეტი და მხატვარი არ სწვევია სვანეთს. იალბუზსა და უშბას შუა სხვა მყინვარების გადასახედი შეუდარებელი და უმშვენიერესია მთელ კავკასიონის ქედზე და ეს კიდევ ბევრისათვის უცნობი სურათები ფოტოგრაფიულად გადაღებულია მერცბახერის მიერ ორასჯერ სხვადასხვა მხრიდან... კავკასიონის ქედის ზემო მთები, საქართველოს ჩრდილოეთით, აფხაზეთიდან ღაღესტნამდე წარმოადგენს სილამაზის და საზოგადოდ ბუნების საინტერესო მოვლენათა უმდიდრეს საუნჯეს. ამ მდიდარი მასალის დამუშავება და გამოქვეყნება ქართველებს დიდ სახელს მოუხვეჭდა.

იმერეთის ქედი არ არის ისე დაქანებული, როგორც კახეთში: აქ მთები ადის ტერასებად და ეს ტყიანი საფეხურები მეტად მრავალფეროვანი და მხატვრულია. ამგვარად, სამართლიანი იქნება, რომ იმერეთი საქართველოს ყველაზე ლამაზ და მხატვრულ მხარედ ჩაითვალოს. მაგრამ ამ ფერადმა და ლამაზმა ბუნებამ ჯერ კიდევ ნაკლებ გააღვიძა ქართველი პოეტებისა და მხატვრების შემოქმედებითი ძალა. მარტო აკაკი წერეთელი უმღერდა მეფური სიდიადის მშობელ ბუნებას. თუმცა, როგორც მე უკვე ვთქვი, ის არ აღწერს გარკვეულ ცალკე ადგილებს. ეჭვი არ არის, ამ სილამაზეს მომავალი თაობა დაეწაფება და დატკბება თავისი მხარის სილამაზით, რადგან სილამაზე ასაზრდოებს პოეტისა და მხატვრის ოცნებას. სად იპოვეს პუშკინმა და ლერმონტოვმა მასალა თავისი საუკეთესო პოემებისათვის, რუსეთში კი არა—

საქართველოში. სად წერდნენ ბაირონი და შელი თავის უკვდავ თხზულებებს, ნისლიან ინგლისში კი არა — კაშკაშა, სპეტაკ იტალიაში.

არავითარი ბუნებრივი მიჯნა არ არსებობს იმერეთსა და სამეგრელოს შუა. ძველი კოლხიდა ნესტის, ჭაობებისა და ტყეების მხარეა. მისი ტყეები XIX საუკუნის განმავლობაში თითქმის ნახევრად შემცირდა. უწინ სამეგრელო რაღაც საიდუმლოებით იყო მოცული ბერძნების თვალში, რადგან უჩვეული იყვნენ ამ უზარმაზარი ხეებითა და უთვალავი ყვავილებით დაბურულ ტყეებს, რომლითაც შემოსილი იყო სამეგრელო. მაღალ, ყინულით დაფარულ მთებს განცვიფრებაში მოჰყავდა ბერძნები. ყველა ეს შეუდარებელი იყო იმასთან, რაც მათ უნახავთ საბერძნეთში, საცა პატარა ოლიმპი მიაჩნდათ თავიანთი ღმერთების უმაღლეს სამფლობელოდ. დღეს სამეგრელომ დაჰკარგა თავისი საიდუმლოება, მთელი მისი ქვემოთა ნახევარი გაჩეხილია და თითქმის გაშიშვლებული. სამაგიეროდ, ამ ლამაზი მხარის მთიანი ადგილი ჯერ კიდევ ხელუხლებელია და სავსე მდიდარი ტყით. ზემო სამეგრელო მთებისა და ტყეების მშვენიერებით წააგავს ზემო იმერეთს, რომელსაც მხოლოდ თავისი მრავალი მდინარით სჭარბობს. საქართველოს არც ერთ მხარეში არ მოიპოვება იმდენი წყალუხვი მდინარე, როგორც სამეგრელოში. სამეგრელო ცხოვრობს რაღაც განსაკუთრებული ცხოვრებით და თავისი მცენარეულით დიდად განირჩევა უფრო მშრალი იმერეთისაგან. ქვემო სამეგრელო ჭაობებით მდიდარი ქვეყანაა, ეს არის მისი უმთავრესი დამახასიათებელი ნიშანი. შუა სამეგრელოში კი უფრო მეტი მაღლობებია. გერმანელმა მწერალმა სუტნერმა რამდენიმე მოთხრობა დაწერა სამეგრელოს ცხოვრებიდან, სადაც ნიჭიერად არის გადმოცემული შუა სამეგრელოს სურათები. ეს სურათები დახატულია ისეთი სიცხოველით, რომ მკითხველს ებადება მოუთმენელი სურვილი ამ ზურმუხტის კუნძულის ნახვისა. მეგრელთა არქიტექტურა სადაა. აქ არსად მოიპოვება ისეთი შენობა, გარემო ბუნებას სილამაზეს რომ მატებდეს. არც ზუგდიდი, არც ახალი სენაკი და არც თვით ფოთი არ შეინიშნება რაიმე თავისებურებით, რომელიც ბუნებას ერთგვარ ელფერს

მისცემდა. მთელი სამეგრელოს ერთადერთ არქიტექტურის საუნჯეს შეადგენს მარტვილის ტაძარი, რომელსაც მარჯვე მდებარეობა აქვს. ფოთი დაბალ, ულამაზო ადგილასაა, რიონის ულამაზო ნაპირზე და თვით ზღვის სიახლოვეც თითქმის არაფერს ჰმატებს მის შნოს. ეს ულამაზო ზღვის ნაპირი თითქმის ქობულეთამდე გაჭიმულა, საცა თავდება ჭაობიანი სამეგრელო და იწყება ბათუმის ედემი.

ამის შემდეგ სამხრეთ-აღმოსავლეთით პატარა გურიაა მოთავსებული — ნესტიანი დაბების, მშვენიერი მთების, ნაზი და ცოცხალი ქალებისა და მოქმედი, ცნობისმოყვარე მამაკაცების ქვეყანა. როგორც საზოგადოდ საქართველოს მხარეების მოჰეტებული რიცხვი, გურიაც იყოფა ორ სხვადასხვა კუთხედ: თავისი განსაკუთრებული მცენარეებით ქვემო და ზემო გურიად. ქვემო თბილია, ზემო კი—ცივი. გურიის მთების, ველებისა და მდიდარი მცენარეების საერთო სურათი ფრიად ლამაზია. გურიის ბევრ მხარეს მხატვრული გადასახედი აქვს ზღვისაკენ, რომელიც უხვად სთავაზობს მას წვიმას და ნესტს.

დასავლეთ საქართველოს დიდ ნაწილს მოსდევს და ამშვენებს შავი ზღვა. მაგრამ არსად მისი ნაპირი არ შვენის ისე, როგორც ბათუმის მხარეს: აქ ზღვა ამშვენებს დედამიწას და დედამიწა—ზღვას. ეს დიდებული სტიქია თითქოს უცხო იყოს ქართველთათვის. საზოგადოდ, მათ მეცნიერებაში, პოეზიასა და ხელოვნებაში ზღვას ნაკლები ადგილი აქვს დათმობილი.

ლამაზი ადგილები ბათუმის მიდამოში ქობულეთიდან იწყება. თუმცა ეს სოფელი არ გამოირჩევა არც განსაკუთრებული ლამაზი ადგილით, არც მდიდარი მცენარეებით, მაგრამ მაინც სასიამოვნო კუთხეა; აქ ზღვის ნაპირი გაშლილია. ბათუმთან ახლო იწყება სამხრეთის გაფურჩქნილი მცენარეები და პატარა მთები, ყველაფერი ეს შეადგენს ედემს, რომლის მზერითაც ვერ ძღება ადამიანის თვალი. ბაღები მორთულია კვიპაროსითა და დაფნით, პალმებითა და მაგნოლიით და სხვა იშვიათი მცენარეულობით; გვიან შემოდგომაზე, თვით შუა იანვარშიც კი განუწყვეტლად ჰყვავის ბევრი მათგანი. მთები მდიდრადაა შემოსილი ხეებით, ბუჩქებითა და ყვავილებით და ყველგან მოჩანს ზღვის

ზურმუხტოვანი სარკე. ხშირად, როცა მთელი კვირაობით მოდის განუწყვეტელი წვიმა და შავი ღრუბლები ეფარება ცის ლაჟვარდს, ზღვაც იღუშება, მისი სარკე იორთქლება მუქი ნისლით, თუმცა ის მაშინაც არ ჰკარგავს თავის სილამაზეს. ამ დროს მისი სურათი სავსეა სევდიანი პოეზიით. ასეთ ამინდში შავი კვიპაროსები უფრო მეტად ამშვენებენ ზღვის ნაპირს და მაღალი, თოვლით დაფენილი აჭარის მთები ნაღვლით დასცქერიან ამ დაბურულ სურათს. მახსოვს, ჩემი ბათუმში ყოფნის დროს ასეთ ამინდში ზღვის ნაპირი ცარიელი იყო, მე მაინც ხშირად მივდიოდი იქ და ვტკბებოდი მისი დიდებული სურათით. დიდი ხნის განუწყვეტელი წვიმის შემდეგ ღრუბელი ხშირად უცებ იფანტებოდა და გამოდიოდა კაშკაშა მხიარული მზე. ეს სანეტარო დღეებია, ლაჟვარდი ცა მოკრიალებულია და დაფერილი მზის ოქროს სხივებით, რომელნიც წყნარი ზღვის ლურჯ სარკეში კიაფობენ. ასეთ წყნარ დღეებში ამ ედემის სიმშვენიერე უფრო მკაფიოდ წარმოდგება მთელი თავისი სისავსით: საითაც არ უნდა მიბრუნდე, ყველგან თვალი ტკბება ლამაზ სურათთა სიუხვით. აჭარის მთები, ბათუმის უმშვენიერესი ჩარჩო, მზის შუქზე საუცხოო სურათს წარმოადგენს თავისი ტყით შეფენილი კალთებითა და შორსატყორცნილი თოვლიანი მწვერვალებით. ბათუმიდან სამხრეთით ნაზი ბუნება იცვლება, ჭოროხის მიდამო უკვე უფრო ძლიერსა და ლამაზ სურათს გვაძლევს.

საქართველოს ბუნებას ბადალი არა აქვს მთელ ქვეყნიერებაზე. საზოგადოდ, საქართველო ეკუთვნის უმშვენიერეს ქვეყანათა რიცხვს და წარმოადგენს დაუშრეტელ მასალას, როგორც ხელოვნების, ისე მეცნიერებისთვისაც.

ალაზნის ველი

თიბათვის თბილი ღამე მკრთალდებოდა... ალმოსავლეთით, იქ, სადაც კავკასიის მთებს შორის სიღნაღი მდებარეობს, ჰორიზონტი თავის მუქ პირსაბურავს იშორებდა და ალაზანსაც ედებოდა ელვარება.

როდესაც ისე განათდა, რომ შეიძლებოდა საგნების გარჩევა, მე ნელ-ნელა გავემართე წინანდლიდან მახლობელ მთისკენ.

ნეტარებაა ზაფხულში დილით მარტო სიარული, როცა ნათელი სამყარო წმიდათა წმიდად გეჩვენება!

ირგვლივ სიჩუმე სუფევდა, მხოლოდ ახლად გაღვიძებული ფრინველების გაუბედავი ჭიკჭიკი ისმოდა. იღვიძებდა სოფელიც, ნელ-ნელა ვიწრო ბილიკებით ზევით ავდიოდი.

აღმოსავლეთით ცა მთლად განათებული იყო, მხოლოდ ერთი შუაგულში მოხეტიალე პატარა შავი ღრუბელი აძლევდა მწუხარე იერს. ასეთივე მწუხარე და სევდიანი იყო კავკასიის მთების კედელი, დასავლეთი მხარე ალაზნის ველისა. აღმოსავლეთით ალაზანი უკვე ბრწყინავდა ვერცხლისფერ ზონარად და შორს, სადღაც აღმოსავლეთისაკენ მიეშურებოდა. ალაზნის მეორე ნაპირიდან სახლები და ვენახები შავ წერტილებად მოჩანდა.

ნელ-ნელა ავდიოდი სულ ზევით და ზევით. იქვე მახლობელი წყაროს ჩუხჩუხი ისმოდა. ახლო მივედი და ქვაზე ჩამოვჯექი. აღმოსავლეთით ცას ოქროსფერი ზეწარი გადაფარებოდა. ის-ის იყო, მზეც ამოსულიყო და ალაზნის მარცხენა ნაპირზე უფრო გარკვევით გამოჩნდა სახლები, საყდრები და ვენახები.

მოჩანდა ყვარლის სიმაგრე, ენისელის დაჩრდილული ბაღ-ბოსტნები და კავკასიის მთების მედიდური მწვანე კედელი. იქ, მაღლა, იღიმებოდა ნორჩი დილა, — უკვე სინათლეს გაემარჯვნა. ავდექი, დავლიე წყაროს ციივი წყალი და გზას შევუდექი. ჩემს თავზე, მაღლა, სიცოცხლით სავსე ტოროლები დასრიალებდნენ და გალობდნენ.

აღმოსავლეთი აინთო. მზემ ოქრო და ვერცხლით დაჰფარა ალაზნის ველი, სოფლები, ბაღები, ბოლოზე გაშენებული თელავი, ცივ-გომბორის მთა, დასავლეთით ტყიანი მთები, თიანეთს რომ მალავენ. მთელი ეს გრძნეული სურათი განათებული იყო ახალი ოქროს მზით.

სინათლეა და სიცოცხლე ყველგან, მაღლა თუ დაბლა, მიწაზე თუ ცაზე! ელავს ალაზანი თავის მწვანე ნაპირებს შორის და სადღაც, დასავლეთით იმალება ფერმკრთალი მთვარე.

კ ა ხ ე თ ი

კახეთის, ესე იგი, ალაზნის ველის ბუნება, შეიძლება საქართველოს ზოგიერთ სხვა კუთხეზე უფრო ლამაზი არ იყოს, მაგრამ მისი მდებარეობა, ერთი მხრით, კავკასიის დიადი მთაგრეხილის ძირთან და, მეორე მხრით, ციე-გომბორის თვალწარმტაცსა და ზოგან ტყით დაფარულ მთებთან — ოშვიათ სურათს წარმოადგენს. კავკასიონის მთაგრეხილი მოსხლეტილ მწვანე კედლად არის აღმართული . მაღლა, ჰაერის ზღვაში, იგი კახეთს სრულიად აშორებს ჩრდილოეთისაგან. იმავე დროს აღმოსავლეთის სხივმოსილი კარიბჭე ფართოდაა გაღებული. არა მარტო კარგ დარში, მთვარიან ღამეშიც კი სინათლე და ბრწყინვალება აქ თვალისმომჭრელი ძალით ავსებს ცის სივრცესა და დედამიწას. საერთოდ, თავისებური სინათლე ერთი უმთავრესი მშვენიერებათაგანია კახეთისა და ხშირად იგი ისეთი ჯადოსნური სიძლიერით მოქმედებს, ასურათხატებს ცას, ღრუბლებსა და ველს, შთლად აქაურობას, რომ ყოველივე ამას საუცხოო ხალიჩას ამსგავსებს.

თბილისიდან მიმავალ კაცს კახეთი თითქმის ერთბაშად, მოულოდნელად გადაეშლება წინ, როგორც სინათლის, ბრწყინვალებისა და ფერების მხარე. ვისაც სურს დასტკბეს კახეთის ყველა მშვენიერებით, გომბორზე უნდა ავიდეს აუცილებლად. ტრიალი ნაცრისფერი ველის შემდეგ, თბილისიდან იორისაკენ რომ მიიმართება, მთები იწყება, რომლებიც თანდათან მაღლდება. გზა შედის დიდ და ხშირ ტყეთა სამეფოში, სადაც იდუმალება და მარტოობაა გამეფებული. გომბორს რომ გადასცდებით, თითქოს ხელოვნური პარკი ტყემ შესცვალაო, მაგრამ აქაც ხევის ორსავ მხარეზე მთის კალთებს ჯერ კიდევ ფარავს ხშირი ტყე და ჩრდილი განუწყვეტელია. მხოლოდ შუამთის მონასტერთან სინათლე ცდილობს ტყის ჩრდილს შეატანოს.

აქ, თეთრ საყდარში ალექსანდრე ჭავჭავაძე განისვენებს, რომელთან ერთად თავდება მე-18 საუკუნისეული ქართული პოეზია... ალ. ჭავჭავაძე მართლაც უფრო ერეკლე II-სა და გიორგი XIII-ს დროს ეკუთვნის, ვიდრე XIX საუკუნეს.

შუამთის მონასტრის აივნიდან, როგორც ვიწრო ფანჯრიდან, ისე ჩანს ერთი მცირედი ნაწილი ნათელით მოსილი კახეთისა. ასე გგონიათ, ხევს იქით სულ სხვა, ახალი ქვეყანა არისო. მართლაც, ხეობიდან თელავისაკენ გზას რომ განაგრძობთ, თვალწინ წარმოგიდგებათ სულ სხვა სურათი, სანათლითა და ბრწყინვალებით სავსე. თელავიდან მოჩანს მთელი ალაზნის ველი და მისი სიმშვენიერე. გომბორის ბნელ ტყეთა შორის დიდხანს სიაურულის შემდეგ კაცს ეს ერთნაირად მატებს სიამოვნებას.

გადაჭარბებული არ აქნება რომ ვთქვა, კახეთში ერთი ადგილი მეორეზე უფრო ლამაზია. მაგრამ საერთო სურათი იშვიათი მშვენებისაა, მას იშვიათი რბილი ტონები და სინათლე აქვს. შორიდან მთელი ეს ალაზნის ველი ერთ დიდ მთლიან პარკსა ჰგავს, რომლის მწვანე ფონიდან გამოიყურება სახლების მოწითალო სახურავები და ეკლესიათა რვაკუთხა გუმბათები.

ისტორიული ადგილები კახეთში ბევრია. უმთავრესი მათგანია: თელავი, იყალთო და გრემი. მაგრამ შენობები, რომელნიც წარსულის მოწამენი იყვნენ, მხოლოდ თელავშია ჯერ კიდევ დაცული. თეიმურაზ პირველის სასახლე გრემში და აკადემია იყალთოში—გაქრა. დასანანია ეს ამბავი იმიტომ, რომ ამ შენობების საშუალებით. შეგვეძლო წარმოდგენა გვქონოდა მაშინდელ ხუროთმოძღვრებაზე საერთოდ. აქ წარსულის კვალი უფრო ცოტაა დარჩენილი. ეს არც გასაკვირია, რადგან კახეთს, როგორც საქართველოს აღმოსავლეთ განაპირა მხარეს, სულ მუდამ თავს ესხმოდნენ ლეკები, თურქები და სპარსელები.

საუკუნეთა განმავლობაში კახეთმა ალბათ მრავალგზის გამოიცვალა თავისი სახე, მრავალგზის იყო აოხრებული, მაგრამ მისი მდიდარი ბუნება ყოველთვის სწრაფად შეუკრავდა პირს მის ჭრილობებს და ეს მომჯადოებელი მადლით მოსილი მხარე ისევ იწყებდა აყვავებას.

დიახ, კახეთი მადლით მოსილი და მომჯადოებელი კუთხეა... წაბრძანდით თელავიდან ჩრდილო-დასავლეთით, გაიარეთ მწვანედ ახავერდებული ადგილები და შორიდან მალე იხილავთ ალავერდის თეთრ ტაძარს, იმის იქით მწვანე

მთებს, თიანეთს რომ ეფარებიან, ჩრდილოეთით გამოჩნდება მთები თუშეთისა, სამხრეთით აიმართება მწვანე ციე-გომბორის მთა. ასე რომ, თვალნი რბიან ერთი მშვენიერი სურათიდან მეორეზე და ვერ ძღებიან.

თელავის აღმოსავლეთით, კალმით დახატულ ადგილას, მდებარეობს სამშობლო ალექსანდრე ჭავჭავაძისა — წინანდალი... პოეტმა თავისი ცხოვრების უმეტესი ნაწილი აქ გაატარა, უმშვენიერეს ბუნების წიაღში და ყოველგვარ სავსება-კმაყოფილებაში.

ალექსანდრე ჭავჭავაძე პოეტი იყო, ნიჭიერი პოეტი, რომელსაც ძალუძდა აღმოეჩინა სიმშვენიერე და პოეზია გრძნობებისა და თან გამოეთქვა ეს გრძნობები სრული სიძლიერით. ახალგაზრდებისათვის მან შექმნა ლექსები, რომელთა ჰანგი და ხმა თვით ჩვენს დროშიაც ბევრს ხიბლავს და წარიტყვევს...

ალექსანდრე ჭავჭავაძის სიკვდილამდე ათი წლით ადრე კახეთშივე, მხოლოდ დაერცხლილი ალაზნის მეორე მხარეს, ბუნებით ნაკლებ შემკულ სოფელში და ნაკლებად მდიდარ სახლში, დაიბადა მეორე პოეტი ილია ჭავჭავაძე. მის თვალებს ბავშვობაში არ უხილავს ის სიმდიდრისა და ფუფუნების სურათები, რომლებიც გარს ერტყა ალექსანდრე ჭავჭავაძეს. ილია ჭავჭავაძის ყრმობის წლებმა განვლო ნახევრად ღარიბულ სახლ-კარში. ლეკიანობის შიშში ატარებდა ილია ჭავჭავაძე თავისი ცხოვრების პირველ ხანს. მისი საცხოვრებელი ადგილი სრულებით არა ჰგავდა გარსევან ჭავჭავაძის შვილის მდიდრულ სამყოფელს. იქ, წინანდლის ქედებზე, ცხრათვალა მზე სულ მუდამ დაქათქათებს მიდამოს, აქ კი, ყვარლის ვიწრო ხეევში, ტყით დაფარული მთების ძირას, ერთი მეორეს ჩიჩუჭყული ეზო-ყურე ხშირად დაბნელებულია. მაგრამ რაკი სოფლიდან გახვალთ ალაზნისაკენ ან ერთ-ერთ მახლობელ მთაზე ახვალთ, თვალწინ გადაგეშლებათ სინათლით გაშუქებული ქვეყანა, რომლისკენ ძალაუნებურად მიუბრის ადამიანს გული და თვალი. ამ სინათლისკენ, რომელიც შორს თითქოს უცნობ მხარეს რასმე გადაუშლის ადამიანს თვალწინ, ისწრაფოდა ყრმობის დროს ილ. ჭავჭავაძის თვალი, ხოლო შემდეგში მისი ფიქრები განუწყვეტლივ

ეძიებდნენ სინათლეს გონებრივს ქვეყანაში და თავის სამშობლოს მომავალში.

ალ. ჭავჭავაძე განუწყვეტლივ დამღეროდა ღვინოს, ქალებსა და სიყვარულს, ილია ჭავჭავაძემ კი თავის სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლისთანავე თქვა:

მისთვის არ ვმღერ,
რომ ვიმღერო,
ვით ფრინველმა გარეკანმა,
არა მარტო ტკბილ ხმათათვის
გამომგზავნა ქვეყნად ცამა.

აგრეც იყო, ილია მოხუცებულობამდე ერთგული დარჩა ამ აღთქმისა და თავის ერს მისცა არა მარტო ლექსები შვება-ლხენისათვის, არამედ ახალი აზრებიც.

იქ, სადაც კახეთი განზე იწევს და ნათელი ადგილები იწყება, სადაც მთაზე ბუდეების მსგავსად შეხიზნულა სიღნაღი,—ქიზიყში ცხოვრობს კიდევ ერთი პოეტი, ალექსანდრე შანშიაშვილი, თავმდაბალი მშრომელი, რომელიც ხვნა-თესვას მისდევს და მტკიცედ უდგას ფეხი თავის მშობლიურ კუთხეში. შედარებით ახალგაზრდაა, მაგრამ მის პოეზიას ახლავე ეტყობა ბეჭედი თავისი სამშობლოსი და ალბათ შემდეგში უფრო დაეტყობა მისი ელფერი.

მხატვრისათვის აქ აუარებელი მასალაა და საკვირველია, რომ ქართველი პოეტები და მხატვრები აქამდე ასე ცოტა ყურადღებას აქცევენ კახეთის ბუნებრივ სიმშვენიერეს.

საქართველოს ბუნება

ვინც ევროპიდან ბათუმს ჩამოვა, პირველად უეჭველად იფიქრებს, სამოთხეში მოვხვდიო. შავი ზღვის ნაპირი საოცრებაა. იგი დამშვენებულია მთებითა და ნაირ-ნაირი მცენარეებით, მზე თვალებს ჭრის, ფერადები—მუსიკალურ სიმფონიას ქმნიან. ბათუმის მიდამოები ტროპიკულია. საქართველოში ეს ერთადერთი კუთხეა ასეთი. გურია-სამეგრელოსა და

იმერეთში ტროპიკული ზონა აღარ გადადის, მაგრამ აქაც დიადი ბუნებაა და მისი მშვენება საოცარია. შეიძლება ითქვას, ვიდრე სურამის მთები დაიწყებოდეს, მთელი მხარე, შავი ზღვიდან მოკიდებული, ერთიანი ბაღია, ბუნებრივი, თავისთავად სასწაულებრივ გაშენებული. ქართლში ბუნება იცვლება, აქ იგი სხვაგვარად ლამაზია. საქართველოს გვირგვინი კი კახეთია, რომელიც არათუ მოგზაურებს, თვით მკვიდრ ქართველებსაც აჯადოებს. კახეთი უფრო მხატვრული ცნებაა — ფერი, პერსპექტივა, სინათლე, სინაზე ისე ეხმატკბილება ერთმანეთს, რომ ამ სურათს მაყურებელი ძნელად მოაშორებს თვალს... მთა კიდევ სხვა სურათს გაიგვიშლის: თუშეთს, ფშავს, ხევსურეთსა და სვანეთს. გერმანელმა გეოლოგმა აბიხმა ჩინებული აღწერა დაგვიტოვა თუშეთისა. მგონი, თუშეთის ბუნების განსაკუთრებული სილამაზე ამ მწერალმა აღმოაჩინა. ვაჟა-ფშაველამ ფშავეთის პოეზიის გვირგვინით შემოსა თავისი მაღალი შემოქმედება...

ერთი სიტყვით, საქართველოს ყველა კუთხე და, საერთოდ, მთელი ამ ქვეყნის ბუნება უმშვენიერესია დედამიწაზე.

საინტერესოა აღინიშნოს, როგორი დამოკიდებულება აქვთ თვითონ ქართველებს სამშობლოს ბუნებასთან. ქართველს უთუოდ უყვარს საქართველო და აღტაცებულია მისი ბუნებით, მაგრამ თითოეული მათგანი მხოლოდ თავის კუთხეს იცნობს და იმ ადგილებს, სადაც რკინიგზა გადის, ან სადაც შემთხვევით — მოხვდება ხოლმე. ეს ამბავი გაკვირვებას იწვევს. საქართველოს ბუნება რომ ერთნაირი იყოს ყველგან და ჩვეულებრივი, ქართველებს ეპატიებოდათ აღნიშნული გარემოება. მაგრამ როგორ უნდა ეპატიოს გულგრილობა ასეთი სიუხვით დაჯილდოებული ბუნებისადმი მის მკვიდრ შვილს? წარმოიდგინეთ, თვით პოეტები და მწერლებიც არ შეადგენენ გამონაკლისს ამ შემთხვევაში; ისინი, მართალია, ხშირად ასხამენ ქებას ამ ბუნებას, მაგრამ ცნობით კი... არ იცნობენ. ეს უნდა ითქვას, მაგალითად, ილია ჭავჭავაძესა და იაკობ გოგებაშვილზე. ილიას ახალგაზრდობაში უყვარდა ნადირობა და ყვარლის მიდამოებში ხეტიალი, მაგრამ მას შემდეგ, რაც კახეთი დასტოვა და საცხოვრებლად სხვაგან გადავიდა, ნადირობაც შეიტოვა და ექსკურსიებიც. საგურა-

მოში კი დადიოდა ხოლმე ახლომახლო, მაგრამ უფრო შორს წასვლაზე ერთხელაც ვერ დავითანხმე; მას სავსებით აკმაყოფილებდა მცირე ხნის სეირნობა და აივნიდან მზერა, თუმცა დიდი თაყვანისმცემელი იყო ბუნებისა და სილამაზის შეგრძნების დიდი უნარიც ჰქონდა...

თითქმის ყველა ქართველ მწერალზე იგივე ითქმის. საერთო სურათი, ყველას მიერ ცნობილი ადგილები როდი კმარა იმისთვის, რომ ამა თუ იმ ქვეყნის ბუნებას იცნობდე; ხშირად არის, რომ „უმნიშვნელო ადგილს", სადმე ხეკვთა შორის ან მთებს გადაღმა, მეტი მასალა მოუცია პოეტური ან მხატვრული შემოქმედებისათვის. რკინიგზიდან ან შარაგზიდან დათვალიერება რა შესწავლაა ბუნებისა?

პოეტებს შორის საქართველოს ბუნების ცოდნაში პირველი ადგილი უჭირავს: გრიგოლ ორბელიანს, ვახტანგ ორბელიანს, ვაჟა-ფშაველას, ილიასა და აკაკის. მათ შორის ვაჟა-ფშაველა უდიდესი პოეტია საქართველოს მთის ბუნებისა, როგორც ლექსში, ისე პროზაშიც. გრიგოლ ორბელიანი უმღერის სამშობლოს ბუნებას ისეთი აღფრთოვანებითა და ზეიმით, რომ ვის არ შეაყვარებს მას!.. ვახტანგი ჩამორჩება გრიგოლს ამ მხრივ, მაგრამ მისი „გელათი" ლოცვაა მშვენიერების წინაშე. ილია ჭავჭავაძეს არა აქვს ეს უშუალობა, რადგანაც ილიაში ყოველთვის გულთან ერთად გონებაც მეტყველებდა. რაც შეეხება აკაკის, ბუნება მისთვის პოეტური აღფრთოვანების წყარო იყო, მაგრამ ნამდვილ ბუნებას იგი არ იცნობდა და არც ფიქრობდა შეესწავლა; თავად მასში იყო ეს ბუნება მოცემული, აქედან იღებდა იგი უმთავრესად შთაგონებას.

ქართველ მხატვართაგან მხოლოდ ერთმა გიგო გაბაშვილმა დაგვიხატა ქართული პეიზაჟები, რომლებიც დასახელებული ქართველი პოეტების საუკეთესო ლექსებს შეედრებიან ბუნების გადმოცემის მხრივ. ფერთა პოეზიაში პირველობა საქართველოში გიგო გაბაშვილისაა და იგი ყოველთვის დარჩება მის მამამთავრად.

საქართველოს ბუნება როგორც მხატვრობის, ისე პოეზიისთვის ამოუწურავია. საჭიროა მასთან დაახლოება, რომ ქართულ ხელოვნებას დიდი მიღწევები ხვდეს წილად.

ზღვის სიმღერა

რა საყვარელია და საამო ზღვის ტალღების სიმღერა! მიყვარს ზღვის ნაპირას ყოფნა, საათობით შემიძლია ყური ვუგდო ტალღათა დუდუნს. ხშირად, ძალიან ხშირად მომისმენია ტალღათა სიმღერა ბათუმის ბულვარზე პალმებისა და კვიპაროსების ჩრდილში, კაპანდიდში, ქობულეთში, ჩაქვსა და ფოთში.

კარგია ბათუმის ბულვარი დილით ან გვიან საღამოთი, როცა ცოტაა მოსეირნე ხალხი და თავისუფლად შეიძლება დასტკბე ტალღების ღიღინით. მარცხენა მხარეს გაჭიმულია მთიანი აჭარა; მისი მედიდური მწვანე მთები გიგანტურ სვეტებადაა აზიდული მოლურჯო ჰაერში. როცა მზე ბრწყინავს, მთებიც მხიარულად გამოიყურებიან, მაგრამ როცა ღრუბლებით დაიჩრდილება ცა, მაშინ მწუხარეა მათი კალთებიც. ასევე ცვალებადია ზღვის სარკე, თუმცა ყოველთვის ისმის ტალღების სიმღერა და ნაპირებზე ხათქახუთქი. მაგრამ ყოველთვის ერთ ჰანგზე არ მღერის ზღვა, ის ათასნაირ სიმღერას მღერის და როგორც ქარის ხმა, ისე იცვლება ტალღების ხმაც.

ზაფხულში, როცა ბათუმს მთელი კვირაობით ანათებს მზე და ზღვა, როგორც უძრავი სარკე ისეა გაჭიმული შორეულ ჰორიზონტამდე, მაშინ ტალღები მშვიდ და წყნარ ჰანგზე მღერიან სულიერი სიმშვიდის სიმფონიას, რომელიც აწყნარებს ადამიანის აღელვებულ სულს და შეჰყავს იგი უხილავ ოცნებათა ციხე-სიმაგრეში. მაგრამ ხშირად ზღვას არა სძინავს მზის სინათლეზე, ამოვარდება ქარი, ცოცხლდება, ზღვა და პატარ-პატარა აქაფებული ტალღები ზევით სივრცეში იკარგებიან. ტალღები ხმას იმაღლებენ. — კარგია ასეთ დღეებში საღამოობით ზღვის ნაპირზე ყოფნა, როცა სუნთქავ სუფთა ჰაერით და ყურს უგდებ გაგიჟებულ ტალღებს.

შემოდგომით ბათუმი კარგავს თავის მომაჯადოებელ სიმწვანეს. მაგრამ მწვანედ რჩებიან ტანმაღალი კვიპაროსები. ეს მწუხარების კეთილშობილი ხეები, პალმები, ლიბანის ნაძვი, შორეული სამხრეთისა და სხვანი.

შემოდგომის და ზამთრის დარდიან დღეებში, რომლებიც

აჭარაში მთელი კვირაობით მისდევენ ერთმანეთს, ეს მუქი მწვანე ხეები წარმოადგენენ ნამდვილ შესაფერის დეკორაციას. ვისაც არ უნახავს ბათუმი და აჭარა ზამთრის სევდიან დღეებში, ვისაც არ უნახავს მუქი კვიპაროსები ასეთ ბნელ ამინდში, მას არ უნახავს და არ იცის, რა არის ბუნების მწუხარება!

მაგრამ განრისხებაც იცის ბუნებამ, ზღვამ, იგი ხანდახან რამდენიმე დღე შფოთავს და ხმაურობს, ქარიშხალი მაღლა სივრცეში ისვრის ტალღას. ლურჯი ტალღები ქრებიან, მათ ნაცვლად ახლა ზღვის თვალუწვდენ სივრცეზე უზარმაზარი აღმვრეული მთები ურთიერთს გააფთრებით ეჯახებიან. ეს აღარ არის ტალღების ნაზი სიმღერა, ეს ქუხილია, გაცოფებული ქუხილი ზღვისა, შემზარავი სურათი სტიქიის ძალთა შებმა-ჭიდილისა.

მაგრამ ეს იშვიათად ხდება. უფრო ხშირად შფოთიანი ღამის შემდეგ ცა მოწმენდილია, ქარი ნელდება, ზღვაც თანდათან მშვიდდება, მაგრამ ტალღათა ბობოქარი ხმა მაინც ისმის.

გაზაფხულობით, როცა ბათუმის ახლომახლო მიდამოები მწვანე სამოთხედ გადაიქცეოდა, ხშირად დავეძებდი მყუდროებას მახინჯაურსა და ჩაქვში და ვპოულობდი კიდეც. მთების კალთები დაფარულია მწვანე ხეებით, ჰყვავის შქერი და იელი, ქვევით ბაღებში ათასნაირი ვარდების სურნელია, სადმე მიყრუებულ ადგილას ბულბული უსტვენს, მთელი ბუნება ხარობს მზის თბილ სინათლეზე, ლურჯი ზღვა კი მშვიდად ლულუნებს მარადიულობის სიმღერას.

დიახ, ეს დამაამებელი ჰანგია, რომელიც ამშვიდებს ადამიანის სულსა და გულს! ვინც ბედნიერებას ეძებს, ის გაზაფხულზე უნდა მივიდეს ზღვის ნაპირას და უნდა დასტკბეს ბუნების სიმწვანით, ყვავილთა სურნელებით და ზღვის ზვირთების სიმღერით.

ეს არის ბედნიერება!..

ძართული ბაღი

ამბობენ, ლამაზი ქვეყნის მცხოვრებთ ნაკლებად უყვართ ბაღი, ვიდრე იმ ქვეყნისას, რომლის ბუნება შნოთი და სილა-

მაზით არ არის დაჯილდოვებულიო. ეს მართალი არ არის. მშვენიერ იტალიაში დიდად განვითარებულია „საბაღო ხელოვნება“, ასევეა ესპანეთშიც. კონსტანტინეპოლის მიდამოები და ბოსფორი განთქმულია ბაღებითა და პარკებით. სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ თურქებსაც უყვართ ლამაზი ბაღებით დამშვენება ბინებისა და ეზოების. კონსტანტინეპოლში მრავალია სამაგალითოდ მოვლილ-გაშენებული ყვავილნარი და სკვერი.

საქართველოში კი რასა ვხედავთ?! შეიძლება თქვან: რა საჭიროა საქართველოში ხელოვნური ბაღები, როცა თვით ქვეყანა ბუნებრივ ბაღს წარმოადგენსო! მაგრამ არა, მებაღეობა ეროვნული კულტურის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს. ბაღი არქიტექტურასთან ერთად მაჩვენებელია ერის გემოვნებისა, ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა... მაჩვენებელია იმ გარეგანი სახისა, რომელსაც უცხოელი პირველად მიაქცევს ყურადღებას. მოსახლეობა უბაღოდ—უშნო და ულამაზოა. მაგრამ ბაღიც სხვადასხვანაირია და სწორედ ამაზე მინდა მკითხველს ვესაუბრო.

თუ როგორი იყო ძველად ბაღი საქართველოში, ამის შესახებ ცნობა არა მაქვს. მართალია, „ვეფხისტყაოსანში“, მოიპოვება ადგილები ბაღის შესახებ, მაგრამ ყველგან ლაპარაკია ზოგადად, კონკრეტულად კი შოთა რუსთაველი არ აგვიწერს ბაღს. ნურავის გაუკვირდება, რომ კვლავ შოთა რუსთაველით ვიწყებთ საუბარს, ეს იმიტომ, რომ შოთა რუსთაველი საქართველოს დანტეა, მისი „ვეფხისტყაოსანი“ არა მხოლოდ პოემაა, იგი, ასე ვთქვათ, ხალხის სიბრძნის „დაბადებაა“, ისეთი ძეგლი, რომელიც ზედმიწევნით გვაცნობს წარსულ ცხოვრებას მთლიანად აღებულს. სამწუხაროდ, ჩემი წერილის თემისათვის რუსთაველი მცირე მასალას იძლევა.

თეიმურაზ I-საც არსად არა აქვს ბაღის აღწერა. მხოლოდ ერთ პატარა ლექსში გრემის სასახლეზე ამბობს, ბაღში „ჰყვაოდა ვარდი და გალობდა ბულბულიო“.

ვახუშტის თავის შესანიშნავ „საქართველოს აღწერაში“ ბევრგან აქვს ნახსენები ყვავილებით სავსე ბაღები, აგრეთვე „სავარდენი“, მაგრამ დაწვრილებით არც ეს მწერალი აგვი-

წერს ბაღს და უნდა ვიფიქროთ, რომ მისი „სავარდენი“ სხვა არაფერია თუ არა ხეხილის ბაღები. ამ ბაღებში გზების გაყოლებაზე დარგული იქნებოდა ვარდის ბუჩქები, რასაც ხშირად შევხვდებით ახლაც საქართველოს დაბებსა და ქალაქებში. ეჭვს გარეშეა, ვარდის გარდა ასეთ ბაღებში სხვა ყვავილიც იქნებოდა, მაგალითად, იასამანი და სხვ...

ერთი სიტყვით, მე-19 საუკუნემდე საქართველოში არ ყოფილა მებაღეობა, ამ სიტყვის არც ევროპული და არც სპარსული მნიშვნელობით.

მემამულეთა სახლები, უმეტეს შემთხვევაში, გაშლილ ადგილზე იყო გაშენებული. სახლის ახლოს იდგა ერთი ან რამდენიმე კაკლის ხე უფრო ჩრდილისათვის, ვიდრე დასამშვენებლად. გარეგანი დეკორაცია წინანდელ თავადთა სახლებს არ ახასიათებდა და ეს ნაკლად მიმაჩნია. ეს ნაკლი არც ახლაა შევსებული. გულახდილად ვიტყვი, რომ ყოველი ასეთი „შიშველი“ სახლი ცუდ შთაბეჭდილებას ტოვებს. მე-17 ს. ცნობილი მოგზაური შარდენი აღნიშნავს სამეგრელოს დედოფლის სასახლის ასეთნაირ სიშიშვლის შესახებ.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ქართველები უპირატესობას ისეთ ხეებს აძლევენ, რომლებსაც დიდი ჩრდილი აქვს, ამიტომ მათ ეზოებში ძვირად შეხვდებით ისეთ ხეს, როგორიც არის კვიპაროსი, ჭადარი, ლიბანის ნაძვი და სხვ.

მე-19 საუკუნის განმავლობაში საქართველოში ბევრ ადგილას გააშენეს ბაღი, მაგრამ საერთო სურათი ამით არ შეცვლილა. ქუთაისში ოცდაათი წლის წინათ გარდაცვლილი აბაშიძის ერთადერთი ბაღი გამონაკლისს წარმოადგენს. ეს ბაღი მართლაც სამაგალითო იქნებოდა, რომ უფრო ბოტანიკური ხასიათი არ ჰქონოდა.

ძველად და ახლაც ქართული ბაღის მაგიერი მეტწილად ვენახი ან სახეხილე არის. ამ შემთხვევაში ქართველები დიდი პრაქტიკული მოსაზრებით ხელმძღვანელობენ, თუმცა ასეთ ბაღებს ხშირად სხვადასხვა ყვავილის ბუჩქები და დიდრონი კაკლის ხეები ამშვენებენ, რომელთა ქვეშ დასასვენებლად გრძელი სკამებია დადგმული. საამოა ამ ხეების ძირას ჯდომა საღამოობით, როცა ჩამავალი მზე მოაოქროებს კენწეროებს და ქართული ბაღიც ათასნაირად აფე-

რადდება. იქვე, ღობის გასწვრივ, ჩაყოლებულია ახლად აყვავებული ლობიო, გვერდით მიწაზე ნებიერად გართხმული კიტრი, წითელ ვარდს დამსგავსებული მწიფე პამიდორი და ფოლადისფრად მოკიაფე ბადრიჯანი მოჩანს, კუთხეში კი ჩაყვითლებული გოგრის თავები ჰყრია...

ასეთია ქართული ბაღი... წარმტაცია მისი სურათი, განსაკუთრებით ზაფხულში.

საქართველოს ღვთით და ბუნებით ყველაფერი აქვს მომადლებული, რომ საბაღო ხელოვნება განვითარდეს. ვისაც მიწა აქვს, არ უნდა დაიშუროს შრომა და ხარჯი ბაღის გასაშენებლად, — იგი სახეა ყოფა-ცხოვრებისა, თავისებური არქიტექტურა, რომელშიაც სახიერდება გემოვნებისა და შრომის კულტურა.

რა თქმა უნდა, ბუნებრივი სილამაზე დიდი საქმეა ქვეყნისთვის, მაგრამ კულტურული სილამაზეც, რომელსაც შეიქმს გონება და შრომა, არა ნაკლებ დიდია და დასაფასებელი...

ქართული სახლი

ქართული სახლი ნელ-ნელა ქრება და არ ვიცი რადა. ჩვ ძველებურ სახლებზე კი არ მოგახსენებთ, არამედ სახლების იმ ტიპზე, რომელიც წარმოიშვა XIX საუკუნის პირველ ნახევარში ან, შესაძლოა, XVIII საუკუნეში. ამ ტიპის სახლს აქვს ფართო ოთახები. დიდბუხრიანი დარბაზი და განიერი აივანი სახლის კედლების გასწვრივ.

არ ვიცი, რად უნდა გამქრალიყო ეს ნათელი, საცხოვრებლად მოხერხებული სახლი და რად უნდა დაეთმო თავისი ადგილი ბნელ, ყაზარმულ, უაივნო სახლისთვისს.. რაკი გვაქვს ჩვენი საკუთარი ტიპის სახლი, უნდა შევინარჩუნოთ კიდეც, უნდა ვეცადოთ მის დახვეწასა და განვითარებას. მაშინ გვექნება ახალი ქართული არქიტექტურა, ისევე როგორც გვაქვს ქართული პოეზია და ქართული სათეატრო ხელოვნება, ქართული მხატვრობა და მუსიკა.

სოფლებში ქართული სტილი კიდევ დარჩენილია, ისე რომ თითქმის ყველგან შეხვდებით ამ სტილის სახლებს. როცა რკინიგზით მიდიხართ, თქვენ ხედავთ, რამდენად დაუცავს ქართულ სოფელს საკუთარი სახე. თავისებური სტილისაა აგრეთვე ეკლესია რვაკუთხოვანი გუმბათით. ხამწუხაროდ, ბევრგან სოფელში ეკლესიას ეს გუმბათი აღარა აქვს, რის გამო ქართული ეკლესია თავისებურ სახეს ჰკარგავს.

იმაზე სასიამოვნო სანახავი რა არის, როცა უყურებ ლამაზ სახლს, თუკი მას ლამაზი აივანიც აქვს გარსშემოვლებული. მე ყოველი აივანი განსაკუთრებული სილამაზისა მეჩვენება. ოდის აივანი განიერია, ლამაზი სვეტები და ლამაზად ნახარატევი მოაჯირი აქვს; როგორღაც უფრო მეტი ხალისით შევდივარ ასეთ სახლში და მგონია, ოთახებშიც კარგი, საამო სამყოფელი უნდა იყოს-მეთქი.

ხალიჩა-მუთაქები ქართული სახლის აუცილებელ სამკაულს შეადგენს, მაგრამ ჩვენს დროში ბევრ სახლში იმდენ უცხოსა და ზედმეტ ხარახურას ხედავ, რომ ოთახებს სრულიად ეკარგებათ თავისი ქართული ხასიათი. ძველად დარბაზები თითქმის ცარიელი იყო, რადგან მთელ მათ ავეჯს კედლების გასწვრივ მიდგმული ტახტები შეადგენდა. ამ ტახტებზე სტუმარ-მასპინძელნი ისხდნენ და მუთაქებზე იდაყვდაყრდნობილნი ხელში კრიალოსანს ათამაშებდნენ ზოგ სოფელში დღესაც შეხვდებით ასეთ ოთახებს, მაგრამ საერთოდ კი გაქრა, რადგან ასეთი მორთულობა ჩვენს დროს აღარ შეშვენის.

ეს კიდევ როდი ნიშნავს, ძველთაგან დარჩენილი ყოველი ავეჯი დღეს ზედმეტი იყოს, ანდა ჩვენს ცხოვრებას და ზნეჩვეულებას აღარ შეეფერებოდეს. პირიქით, ტახტები, ხალიჩები და მუთაქები ამ ნირშეუცვლელ მორთულობას, რომელიც თანამედროვე ცივილიზაციამ შექმნა, საამო სახესა და სტილს აძლევს. ჩვენ სწორედ ეს სტილი უნდა დავიცვათ, ეს შეადგენს ქართული არქიტექტურისა და სახლის მორთულობის მომავალი განვითარების საფუძველს. რაც უფრო მეტად შეინარჩუნებენ თავისებურებას ქართველნი, იმდენად უფრო მძლავრი და საინტერესო იქნება მათი მხატვრული

შემოქმედებაც. თავისებურების დაკარგვა და მიმბაძველობა ასუსტებს ყოველგვარ შემოქმედებას. მე რომ ქართველი პოეტი, მხატვარი ან არქიტექტორი ვყოფილიყავი, საქართველოს გარეთ კი არ დავუწყებდი ძებნას სხვადასხვა სახეებს ან მასალას, არამედ ჩემს სამშობლოში, რომელიც ესოდენ მშვენიერი, თავისებური და საინტერესოა.

ქართულ სახლს სილამაზესა და მომხიბლაობას უმთვარესად აივანი აძლევს. მაშინაც კი, როცა სახლი ისეთ ადგილას დგას, საიდანაც ბევრი არაფერი ჩანს, სასიამოვნოა აივანზე ჯდომა ზაფხულობით. მაგრამ განსაკუთრებულ ნეტარებას მაინც მაშინ განიცდით, თუ ამ აივნიდან ფართოდ იშლება ლამაზი სანახაობა. ასეთი ადგილები საქართველოში აუარებელია. მე მინახავს აივნები, რომელთა წინ გადაშლილი სურათი ისე ატყვევებდა მაყურებელს, რომ თვალის მოშორება უჭირდა. რა შეედრება დიდებულ სურათს, როცა გელათის მონასტრის აივნიდან სჭვრეტ იმერეთსა და სამეგრელოს ვიდრე შავ ზღვამდე!.. ეს დაუსრულებელი მწვანე სამოთხის ნამდვილი სურათია!.. ბათუმის მიდამოთა სახლებისა და აგარაკების აივნებიდან თვალწარმტაცი სურათები მოჩანს. ერთი მხრივ, თვალს საუცხოო მცენარეები და მარადიული ზღვის სარკისებური ზედაპირი იტაცებს, ხოლო მეორე მხრივ — აჭარის დიადი მთები და მათი თოვლით დაფარული მწვერვალები. ქართლ-კახეთშიაც ბევრია სახლი, საიდანაც მშვენიერი სურათი იშლება; არის ისეთი მონასტრებიც, რომელთა აივნებიდან შეგიძლიათ დასტკბეთ ვრცელი, კალმით დახატული დიდებული სურათით. მრავალ საუკუნეთა განმავლობაში მსხდარან ამ აივნებზე ბერების თაობები და დამტკბარან წლის სხვადასხვა დროს ბუნების სიმშვენიერით. ზაფხულობით ცა უმეტესად მოწმენდილი და უღრუბლოა, ხოლო ზამთრობით მოლუშული. ვინ იცის რას ფიქრობდნენ ეს განმარტოებით მცხოვრებნი... აივანი ოცნებას უღვიძებს ადამიანს, ზოგს ჭორაობისა და ლაქლაქის საღერღელსაც აუშლის.

აივნის მცონარენი და მოლაყბენი ქართულ ლიტერატურაში ჯერ არავის აუწერია როგორც რიგია, თუმცა კარგი იუმორისტული სცენების დაწერა შეიძლებოდა მათი

ცხოვრებიდან. როგორც ყველგან, საქართველოს ქალაქებშიც, შეხვდებით ეგრეთ წოდებულ „ბულვარზე“ ცუდუბრალოდ მოხეტიალე და აივნის უსაქმურ ხალხს. ისინი ღირსნი არიან, რომ ქართველმა მწერლებმა ყურადღება მიაქციონ და უკვდავჰყონ მათი „ფილოსოფიური“ ცხოვრება.

აივნის გარდა ქართულ სახლს ერთი რამაც აქვს ძველი დროიდან შემორჩენილი — ეს გახლავთ ბუხარი. მაგრამ სამწუხაროდ ისიც ქრება. ბუხარი შეიძლება ქართულ სტილზე შევამკოთ და თითოეული ოთახი საკუთარი ბუხრით დავამშვენოთ. ბუხარს ზოგიერთი უპირატესობა აქვს, მთავარი ის გახლავთ, რომ სასიამოვნოა მის ახლოს ჯდომა, როცა ცეცხლი მთელ ოთახს სითბოს ჰფენს, გარეთ კი ამ დროს ცივი ქარი ზუზუნებს ან თოვლი თუ წვიმა მოდის. სასიამოვნოა ამ დროს ბუხართან მიჯდომა, დაბალი ხმით მშვიდი ბაასი და ტკბილად, აუღელვებლივ წარსულის მოგონება. ბუხრის სითბო თითქო ამშვიდებს და ამხიარულებს სულს. რა საამოა, როცა მოპირდაპირე კედელთან ტახტი დგას, თანამოსაუბრესთან ერთად ამ ტახტზე ზიხარ და ბუხრიდან სითბო გწვდება. განსაკუთრებით სასიამოვნოა ეს საღამოს, როცა სახლში სიცოცხლე მიყუჩდება და სიჩუმე დაისადგურებს.

არქიტექტორის გარდა მხატვარსაც შეუძლია მონაწილეობის მიღება ქართული ბინის დამშვენებაში, თუ მას კარგი გემოვნება აქვს და გამოცდილიცაა ქართული თავისებური ხასიათების გამოყენების საქმეში.

თბილისის უნივერსიტეტის წიგნსაცავში „ვეფხისტყაოსნის“ ერთი XVIII საუკუნის ხელნაწერია. ხელნაწერს ბევრი კარგი სურათი აქვს დართული. ამ სურათებზე ნაჩვენებია ოთახების განლაგება, სახლის ავეჯი, ცხენის უნაგირ-მოსართავი, იარაღი და სხვ. მათში ყოველ მხატვარს ან არქიტექტორს თავისი სურათისათვის შეუძლია იპოვოს ბრავალი მოტივი და ნიმუში. მათ მნიშვნელობა აქვთ აგრეთვე საქართველოს კულტურის ისტორიისთვისაც.

კარები და რიკულები შეიძლება ქართული სტილით გავაკეთოთ და მაშინ როგორც ერთი, ისე მეორე ნამდვილი მშვენება იქნება სახლისა. აგრეთვე შეიძლება კედლებზე

ქართული ბუნების სურათები დავხატოთ, ანდა ეროვნული ხასიათის სხვა სურათები.

მაშინ საქართველო მოიპოვებს თავისი კულტურის ძვირფას ძეგლებს, რომელთაც უცხოელთა თვალშიც დიდი მნიშვნელობა ექნება და თავის დროზე ეროვნული სიამაყის საგნებად იქცევა. ჯერჯერობით კი ასეთი სახლი ერთადერთია, სახელდობრ — ყოფილი სათავადაზნაურო ბანკის შენობა, რომელიც საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს ახალგაზრდა არქიტექტორთათვის.

ძართული სოფელი

სოფელი ქართველთათვის წარსულში, მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ნამდვილი ასპარეზი იყო ეროვნული ცხოვრებისა და, საერთოდ, მეტი მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე ქალაქს. თბილისი სატახტო ქალაქი იყო, მაგრამ აქ მრავალრიცხოვანი მოსახლეობა არასოდეს არ ყოფილა, რადგან ამ ქალაქს მხოლოდ ადმინისტრაციული პუნქტის მნიშვნელობა ჰქონდა აღმოსავლეთ საქართველოსათვის, ამასთან ერთად, იგი ნაკლებ მნიშვნელოვანი სავაჭრო ადგილი იყო. დასავლეთ საქართველოში უფრო ქუთაისი იყო განთქმული, ისიც თამარ მეფის შემდეგ ძალიან დაეცა და ყოველგვარი მნიშვნელობა დაჰკარგა. გერმანელი ბუნებისმეტყველი გიულდენშტედტი, რომელიც იმერეთში მოგზაურობდა 1772 წ., ამბობს — ქუთაისი მაშინ უმნიშვნელო ქალაქი იყო, შიგ სულ ორმოცდაათი ოჯახი ითვლებოდა და მხოლოდ მრავალი ეკლესიისა და ქვითკირის სახლის ნანგრევები თუ მოწმობდა მის წარსულ დიდებასაო.

ცხადია, ეროვნული ცხოვრება ძირითადად სოფელში იყო თავმოყრილი და ძველად მემამულეებისა ან თავადების კოშკებში მიმდინარეობდა. ძალიან გაგვიჭირდება წარმოვიდგინოთ მაშინდელი სოფლის ცხოვრება. ამისათვის მეტად გულდასმით უნდა წავიკითხოთ „ქართლის ცხოვრება“, კარგად ჩავუკვირდეთ, გონების თვალით განვეჭვრიტოთ და

ისე წარმოვიდგინოთ ქართველთა დაუსრულებელი უბედურებანი, ლტოლვანი, ბრძოლები და დევნა, რომელნიც მატიანეთა მრავალ გვერდზეა მოთხრობილი. ჩვენს წინაშე ერთიმეორეს მოსდევს შიშიანობისა და ბრძოლის ამბები. ზოგი მათგანი შედარებით უმნიშვნელოა და იმდენად ვერ აგაღელვებთ, ზოგი კი მთლად აგაფორიაქებთ და შიშითა და ძრწოლით აგავსებთ. ყველა ეს ამბავი სოფლად ხდებოდა. „ქართლის ცხოვრება" ასობით ადგილებს ასახელებს და ათასობით ამ ბრძოლების მონაწილეთა და თავდადებულთა სახეებსა და გვარებს ჩამოგითვლით.

როგორც კი საქართველო გადახდილი ომებისაგან ოდნავ სულს მოითქვამდა და ჭრილობებს მოიშუშებდა, როგორც კი უხვი მოსავალი ადამიანის თვალს გაახარებდა, კვლავ მტრების ურდოები გამოჩნდებოდნენ და ყველა იმედიც მაშინვე ქრებოდა. მაგრამ საქართველო არა მარტო გარეშე მტერთაგან იჩაგრებოდა, არამედ განუწყვეტელი შინაური შუღლისაგანაც. „ქართლის ცხოვრების" კაბადონები სავსეა ამ დაუსრულებელი ტრაგედიით, რომელშიც ყველაზე საშინელი ბედი მაინც სოფელსა ჰქონდა. სახლები ისე იყო აშენებული, რომ თავიანთ ბინადრებს სრულებით ვერ იფარავდა. ადვილი იყო მათი აღება, გადაწვა და დაქცევა. თავდასხმების დროს თავის შველა მხოლოდ გაქცევით შეიძლებოდა; ისინიც მირბოდნენ: თავს მთებსა და ტყეებს აფარებდნენ, მაგრამ თუ ზამთარი შეესწრებოდათ, სულ ერთიანად იყუჟებოდნენ. როცა ლტოლვილნი თავიანთ სოფლებს უბრუნდებოდნენ, აღარაფერი ხვდებოდათ იქ დანგრეული სახლებისა და ახალი ტანჯვა-უბედურების შეტი. ზოგიერთ სოფელს ციხე ჰქონდა და მცხოვრებნი თავიანთ საქონელთან ერთად იქ აფარებდნენ თავს. მაგრამ, სამწუხაროდ, ყველგან ვერა პოულობდნენ უშიშარ თავშესაფარს. ციხე შეტწილად ვრცელი არ იყო, შიგ ყოფნა უჭირდათ და ძალიანაც იტანჯებოდნენ, განსაკუთრებით მაშინ, როცა შეფარებულთა რიცხვი დიდი იყო, შენობა კი ყველას ვერ იტევდა.

ამ ციხე-კოშკებს ერთგვარი სილამაზე აქვთ, ისინი წამომდგარი არიან თვალსაჩინო ადგილას ან მაღლობზე, ისე როგორც, მაგალითად, „მოდინახეს" ციხე საჩხერეში. ჩვენს

თვალში ეს მრავალმეტყველი ძეგლია წარსულისა, მაგრამ მაინც ვერ წარმოგიდგენია უბედურებისა და ტანჯვის ის სურათები, რომელთა მოწამეც იყო მისი კედლები.

განუწყვეტელ შიშიანობას უფრო მეტი გავლენა ჰქონდა ქართული სოფლის წარმოშობაზე და მისი გარეგანი სახის შექმნაზე, ვიდრე ჰავას. პირველად ერთი გვარის წევრები ყველანი ერთად ცხოვრობდნენ, ერთი მეორის ახლომახლო, რომ მტრის შემოსევის დროს ურთიერთის მიშველება შესძლებოდათ. ასე ცხოვრობდნენ შემამულენი და გლეხები, ვაფანტული მოსახლეობა საქართველოში არასდროს ყოფილა. ამიტომ თითქმის ყველგან შეგხვდებათ ერთმანეთს დიდი მანძილით დაშორებული საკმაოდ მოზრდილი სოფლები. ასეთი სოფლები დღესაც ხშირია და, მე მგონია, პატარა სოფლები მხოლოდ წარსულ საუკუნეში გაჩნდა, შიშიანობის კლებასთან ერთად. ძველი ქართული გვარების ერთად დასახლება შოტლანდიურ კლანებს მოგვაგონებს, სადაც ყველა, ვინც ერთ გვარს ან ერთ ოჯახს და მის ჩამომავლობას ეკუთვნოდა, ერთად ცხოვრობდა; ამ სახით, ერთად თავმოყრილ გვარს ავა თუ იმ სივრცის მიწაზე საერთო მფლობელობის უფლებები ჰქონდა და რადგან საადგილმამულო დავაშიაც ყველანი ერთად ღებულობდნენ მონაწილეობას, ამიტომ ცხოვრების ამგვარ წესს ადვილად მოჰყვებოდა უთანხმოება და ბრძოლა. ძველ გუჯრებსა და ადგილ-მამულის მფლობელობის სხვა საბუთებში ხშირად გვხვდება წყევლა-შეჩვენება მისი, ვინც სხვის უფლებას დაარღვევსო. ეს კიდევ იმას ამტკიცებს, რომ ადგილ-მამულისათვის დავა ჩვეულებრივი მოვლენა ყოფილა. საქართველო სულ მუდამ იჩაგრებოდა ამგვარი სენისაგან, წვრილ აზნაურებს ერთი მტკაველა მიწის გამო დავიდარაბა ჰქონდათ, ფეოდალები კი სულ იმის ცდაში იყვნენ, ვრცელი მამულები ჩაეგდოთ ხელში...

ჩვენს დროში ქართულ სოფელს საერთო ტიპი არა აქვს და ალბათ არც წარსულში ექნებოდა. ცხოვრება და ცხოვრების გარემო პირობები საქართველოში თითქმის ერთგვარია, ბარდა თუშ-ფშავ-ხევსურეთის, აჭარისა და ოდნავ სამეგრე-

ლოსი, სადაც სინესტე და მკაცრი ჰავა დიდ გავლენას ახდენდა მცხოვრებთა ყოფა-ცხოვრებაზე.

სამეგრელო საქართველოს ერთგვარი ჰოლანდიაა: აქ მცხოვრებნი განუწყვეტლივ ებრძვიან წყალს, ეს ბრძოლა განამტკიცებს მათ ნებისყოფას. სამეგრელოში წყალთან ბრძოლა ჯერ კიდევ არ დაწყებულა ისე, როგორც ჰოლანდიაშია, მაგრამ მისი მკვიდრნი მკვირცხლნი არიან და საქმეში ბეჯითნი.

ვინც უფრო ნიჭიერი და მარჯვეა, სოფლიდან ქალაქს მიდის, იმერლებისა და გურულების მსგავსად. ეს გარემოება, მართალია, ერთი მხრივ, აფერხებს სოფლის მეურნეობის აღორძინებას, მაგრამ, მეორე მხრივ, ხელს უწყობს საზოგადოებრივი კულტურის განვითარებას.

ქართული სოფლების გარეგნული სახე გარშემო ბუნებასთან შეფარდებით მეტად მიმზიდველია. როგორც ყველგან, ქართულ სოფელსაც თავისი პატარა განკერძოებული სამყარო აქვს, თავისი საკუთარი სახე და თავისი ტიპებიცა ჰყავს. ამ ტიპებიდან ზოგი ძველია და ზოგი კი ახალი, თანამედროვე. ძველ ტიპებს ეკუთვნიან მოურავები და სხვადასხვაგვარი მემამულეები, ხოლო ახლებს ისინი, ვინც სოფლიდან გასულან და ქალაქისათვის შეუფარებიათ თავი, მაგრამ საბოლოოდ მაინც არ დაუნებებიათ თავი სოფლისათვის და ხშირად უბრუნდებიან კიდეც.

მოურავი ოდითგანვე თავისებური წარმომადგენელი იყო ყოველი სოფლისა, მაგრამ ეს რამდენიმე ათეული წელიწადია უბრალო, ძველებური მოურავის გვერდით ჩნდება განათლებული აგრონომიც. პირველმა თვითონ, თავისებურად ისწავლა თავისი ხელობა; ის ყოველთვის საკუთარი გამოცდილებით ხელმძღვანელობდა და არა წიგნებიდან ამოკითხული ცნობებით. წიგნი ძველებურ მოურავს მაინცდამაინც არ უყვარდა, მის ოთახში ორიოდ-სამიოდე წიგნს თუ ნახავდით: აკაზბეგის, ილია ჭავჭავაძის ან კლდიაშვილის მოთხრობებს. ამ წიგნებს გასართობად კითხულობდა, თუმცა ისიც უნდა ითქვას, მოურავს გართობა იშვიათად თუ დასჭირდებოდა, რადგან დილიდან საღამომდე გარეთ დადიოდა, არა იმისთვის, რომ მთელი დღის განმავლობაში ოჯახისა და კარ-მიდამოსთვის

ეგდო ყური, არამედ დრო სასიამოვნოდ რომ გაეტარებინა, გამვლელ-გამომვლელთან ან მუშებთან ეგბაასა და ენახა რა ხდებოდა გარშემო; სოფლის ახალი ამბები პირველად მას უნდა გაეგო, რომ მერე თავის ბატონისათვის ან მეზობლისათვის ეამბნა. როცა სოფელზე გაივლის, უეჭველად უნდა მიაშუროს ან ერთს, ან მეორე მეგობარს და დარჩეს მასთან ერთს საათს მაინც, ცოტა რამ წაიხემსოს და ორიოდე ჭიქა ღვინოც დააყოლოს... მოურავი უდარდელად ატარებს დროს, მხიარულია, უყვარს ხუმრობა, მოსწრებული სიტყვა-პასუხი და „მრავალჟამიერის“ შემოძახება. გლეხებთან თავი კარგად უჭირავს და მათ შორის კარგი მეგობარიცა ჰყავს. თუკი შეუძლია რჩევა-დარიგებასაც აძლევს მათ მეურნეობისა და სხვა საქმის შესახებ, რადგან გამოცდილ კაცად ითვლება, ჭკუა ეკითხება, ცოტაოდენი ექიმობისა და ბეითლობისა გაეგება, დარ-ავდრის გამოცნობა საუკეთესოდ იცის და ხშირად მას ისეთებიც მიმართავენ, ვისაც სახლში ბარომეტრი აქვს. მეურნეობას თავისი გამოცდილებით, ძველებურად უძღვება. როცა ბატონი ეტყვის მამული ცოტა შემოსავალს იძლევაო, ის გულკეთილად უპასუხებს: „ღმერთმა ჰქნას, რომ ყველა ჩვენს მეზობელს ასეთი შემოსავალი ჰქონდეს. აი თუნდა ახალსოფელში როსტომს ნასწავლი აგრონომი ჰყავს, მაგრამ რა გამოვიდა!... ყველაფერი თავდაყირა დააყენა. აუარებელი ხარჯი მიაყენა მემამულესა და შემოსავალი კი არაფერი დაუნახვებია...“

დიახ, ძველებურ მოურავს არ უყვარს აგრონომი.

აგრონომის გარდა სოფელში ბევრი ახალმოდის ხალხი გაჩნდა. ესენი უმეტეს წილად გლეხთაგანნი არიან, ქალაქში მოქალაქეებად გამხდარან, მაგრამ სოფელთან კავშირი არ გაუწყვეტიათ. ამ ყაიდის ადამიანები ბევრით განსხვავდებიან თავის სოფლელ ნათესავებისაგან და შეადგენენ იმ წრეს, რომელიც ქალაქის ინტელიგენციას გლეხკაცობასთან აერთებს. მათ შორის არიან აგრეთვე „არისტოკრატები“, განსაკუთრებით ქალთა შორის, რომლებსაც უყვართ კარგად ჩაცმა-დახურვა და თავიანთი სახლის მორთულობით თავის მოწონება. პატივმოყვარეობა, რომელიც კაცობრიობის კულტურის ერთგვარი იმპულსიც არის და ურომლისოდაც

შეჯიბრება თავს ისეთი სიძლიერით ვერ იჩენს, დიდ როლს თამაშობს სოფლის ცხოვრების სოციალურ ევოლუციაში მაშინ, როცა ქალაქი ძლიერად მოქმედებს სოფელზე.

აი, ეს ახალმოდის ხალხი, რომელიც ცალი ფეხით სოფელში დგას და ცალით ქალაქში, შეადგენს საკმაოდ საინტერესო, გარდამავალ ტიპს...

სოფლის ტიპების გალერეა ამით არ თავდება, მაგრამ მე მგონია, რომ ქართულ ლიტერატურაში ამ ტიპებს ჯერ კიდევ არა აქვთ სათანადო ადგილი. მოხუც გლეხთა შორის ადამიანი არა ერთ მეტად სიმპათიურ ტიპს შეხვდება, რომელსაც ღირსებით უჭირავს თავი, საკუთარი მტკიცე შეხედულება აქვს გამომუშავებული ცხოვრებასა და ადამიანებზე, ბევრი ანდაზა იცის და ლაპარაკის დროს ზოგიერთ ადგილებსაც ჩაურთავს ხოლმე „ვეფხისტყაოსნიდან"...

მე მგონია, ქართველ გლეხებს შორის პოეზიის მოყვარული ან პოეტური ნიჭის მქონე კაცი იშვიათი მოვლენა არაა, მაგრამ ისეთი იდეალური ტიპები, რაფიელ ერისთავს თავის ლექსებში რომ ჰყავს გამოყვანილი, არა მგონია საქართველოს სოფლებში არსებობდეს სადმე. ქართველ გლეხთა შორის ადამიანი ხშირად შეხვდება ძალუმი პოეტური ნიჭით შემკულს, ამას გვიმტკიცებენ ძმები რაზიკაშვილები — ვაჟა-ფშაველა და ბაჩანა, შემდეგ არა ნაკლებ ცნობილი ჭოლოლომთათიძე და აგრეთვე თვით მდიდარი ქართული ხალხური პოეზია.

ვაჟა-ფშაველას პოეტური შემოქმედება, პირდაპირ გასაოცარი მოვლენაა. ვაჟას შეგვიძლია დავუპირისპიროთ მხოლოდ რობერტ ბერნსი.

ხალხურ პოეზიასთან ერთად საქართველოში ძალიან გავრცელებულია ხალხური სიმღერები, რაც აიხსნება უფრო სულიერი, ვიდრე პოეტური განწყობილებით. საკვირველია, სიმღერის ან რომელიმე მუსიკალური ინსტრუმენტის შესრულების დროს დუქანში თავს არ იყრიან საცეკვაოდ, როგორც ეს სხვა ქვეყნებში ხდება ხოლმე. ქართულ დუქანს საზოგადოებრივი მნიშვნელობა არა აქვს. წინათ მხოლოდ მეურმენი ან ქვეითი მგზავრი თუ გაჩერდებოდნენ შიგ ღამის გასათევად. დუქანში ან დუქნის წინ თავს განსაკუთრებით

კვირაობით იყრიან, აქ მასლაათში ატარებენ დროს, ერთმანეთს ახალ ამბებსა და სხვადასხვა ჭორებს უზიარებენ. თვითონ მედუქნე სასმელებისა და სხვა საქონლის გაყიდვის გარდა, თვითონ ყიდულობს პურს, საქონელს, ფრინველსა და ხილს. ფულს სესხადაც აძლევს. ის ხშირად ულმობელი მევახშეა და გლეხებს ცხრაპირ ტყავს აძრობს სოფლის სხვა წურბელებთან ერთად. დუქნის გარდა სოფლის ცხოვრებაში წისქვილსაცა აქვს ერთგვარი როლი. ის ხშირად სოფლის ბოლოს ან მის დაშორებითაა. გარშემო ხეები აქვს შემორიგებული და სასიამოვნო სურათს წარმოადგენს. წისქვილის თვლების რაჯრაჯი შორიდან ისმის ხოლმე და თუ წისქვილი დიდია, შიგ ყოველთვის შეგხვდებათ რამდენიმე გლეხი, რომლებიც ჯერს ელიან და ამასობაში ერთმანეთს გაუზიარებენ ხოლმე სოფელში მომხდარ ამბებს. წისქვილიდან საფქვავთან ერთად ყოველ მათგანს მიაქვს ხოლმე რაიმე ახალი ამბავი. არიან ისეთი ცუდმოყიალენიცა, რომელნიც ისე, უსაფქვავოდაც შედიან წისქვილში სალაყბოდ, რომ ყური მოჰკრან რასმე. როცა ზემო ქართლში ზამთრობით წყალი გაიყინება და წისქვილი გაჩერდება, ეს არა მარტო საფქვავის პატრონს აწუხებს, არამედ ახალი ამბების და მასლაათის მოყვარულებსაც.

სოფლისანი არიან მღვდელი და მასწავლებელიც. თუმცა ისინი უმეტეს შემთხვევაში ქალაქიდან მოდიან და სოფლის ტიპიურ წარმომადგენლებად არ ჩაითვლებიან. მათ შორის, რა თქმა უნდა, სოფლიდან გამოსულები, თვით სოფლის შვილებიც გამოერევიან ხოლმე და ასეთები ხშირად ერთგულები და დაუღალავი მუშაკებიც არიან.

ჩვენს დროში სოფელს ქართველი ხალხის ცხოვრებაში ჯერ კიდევ უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც საქართველოში კეთილად შეზავებული ჰავის წყალობით მცირე მიწაზე შეგიძლიათ მოაშენოთ ძვირფასი კულტურული მცენარენი, როგორც, მაგალითად, ვაზი, ბამბა, გააჩაღოთ მეაბრეშუმეობა, ჩაის ბუჩქები, მოვიყვანოთ აუარებელი ხილი, ზეთისხილი, სამკურნალო მცენარენი აფთიაქებისათვის და სხვ. ეს წლითიწლობით გააძლიერებს სასოფლო მეურნეობის

მნიშვნელობას საქართველოში და მომავალში მტკიცედ უზრუნველყოფს მის კეთილდღეობას.

ქართული იუმორი

ბუნებით ქართველი ხალხი მხიარული და ოხუნჯია, უყვარს ლაღობა, „ამხანაგთა თრევა," ნაკვესების სროლა. თამამად შეიძლება ითქვას, იუმორს საქართველოში დიდი გასავალი აქვს. ყოველდღიურ ცხოვრებაში იუმორი აქ უფრო ხშირია, ვიდრე სხვა ხალხში. ქართველთა რომელი წრეც არ უნდა აიღოთ, ხუმარა და დამცინავი ურევია! უცნობ-ნაცნობთა ნაკლი, ქცევა, ჩვეულება, აზრი და გრძნობა — ყველა დაცინვის საგანი ხდება, რასაც სხვისი ხარჯით მხიარულებას ეძახიან. ქართველს დაუცინავი არ გადარჩება სხვადასხვა ამბავი, შემთხვევა, თვით ცხოველები და უსულო საგნებიც კი.

იუმორი და მოსწრებული სიტყვა-პასუხი ბუნებით აქვს ადამიანს, ყველას კი არ შეუძლია ლაზათიანი ოხუნჯობა!.. ვისაც ბუნებით არა აქვს ეს ნიჭი, ოხუნჯობა ნაძალადევი გამოდის, ტლანქი, უგერგილო. ქართველთა შორის ბუნებით ნიჭიერი ოხუნჯი საკმაოდ ბევრია და ოხუნჯობის მარილიც საკმაო აქვთ.

ბუნებრივი იუმორისა და ოხუნჯობის განხორციელებად ბევრს მიაჩნია თბილისელი კინტო. ეს სახელი კინტოს შეიძლება იმიტომაც ჰქონდეს დამსახურებული, რომ მისი ხელობა აიძულებს გამოექომაგოს თავის საქონელს ძუნწი მყიდველების წინაშე. კინტოს ერთგვარი მჭევრმეტყველება და მოხერხება სჭირია — აქოს თავისი საქონელი და მიაჩეჩოს მყიდველს. მაგრამ თბილისელ კინტოს აქვს თავისი, ოდითვე შემუშავებული ენა, მემკვიდრეობით გადმოცემული ოხუნჯობა და მოსწრებული სიტყვები, რომელთაგან ყველას კი არ შეუძლია ძველი ახლისაგან გაარჩიოს. ყველა კინტოს კი არ შეუძლია თავისი ჭკუითა და მიხვედრილობით დასცინოს მუშტარს, რომელსაც იაფად უნდა საქონლის ყიდვა, ამიტომ

ასეთი კინტო ძველ გაცვეთილ ფრაზებსა და ოხუნჯობას მიმართავს ხოლმე.

საერთოდ თბილისელი კინტოების შორსმჭვრეტელობა მეტად შეზღუდულია, ახალი ოხუნჯობა მათ შორის იშვიათად ჩნდება და ნამდვილი იუმორის მაგიერ უმეტეს შემთხვევაში მუშტარს ლაზღანდარობით უმასპინძლდებიან. მეორე მხრივ, კინტო თავისთავად კარგ მასალას წარმოადგენს იუმორისთვის, რადგან მისი ხერხი ლაპარაკისა, ქცევა და ზნე-ჩვეულება ხშირად მეტად სასაცილოა. აღმოსავლეთ საქართველოში ამჟამად კინტოს გარდა ძალიან ცოტაა იუმორისათვის გამოსადეგი ტიპი.

გიორგი ერისთავი თავის კომედიებს რომ წერდა, კომიკურ მხარეებს ადვილად პოულობდა ქართლის მებატონეთა ცხოვრებაში, იმიტომ რომ იმ დროს ძველი მდგომარეობიდან ახალში გადადიოდნენ და სხვა რომ არ ყოფილიყო, მარტო ამ გარემოებას შეეძლო გამოემზევებინა მრავალი სასაცილო მხარე ცხოვრებისა. მაგრამ ნამდვილი იუმორი ერისთავის კომედიებში მაინც ცოტაა, კიდევ უფრო ცოტაა შიგ გამოყვანილი ნამდვილი კომიკური ტიპები, თუმცა ასეთები მის დროს, უეჭველია, იქნებოდნენ და ერისთავს რომ ასეთი ტიპები მოხერხებულად გამოეყვანა, მისი კომედიები დღესაც მიიზიდავდნენ მაყურებელს, როგორც იზიდავს ხალხს კომედიები მოლიერისა საფრანგეთში და გოლდონისა იტალიაში. მაგრამ ერისთავის გმირები მეტად თანამედროვე ტიპისანი, შემთხვევითნი და თან მოძველებულნიც არიან. იმდროინდელ მებატონეთა შორის ერისთავს, უეჭველია, შეეძლო უფრო მკაფიო და დამახასიათებელი ტიპები აღმოეჩინა. ეს ტიპები თავიანთი კომიზმით ულეველ მასალას მისცემდნენ იუმორისტიკას. მებატონეთა გვერდით მთელი გალერეა არსებობდა სხვა ტიპებისა, რომლებიც ღირსნი იყვნენ კომიკური დამუშავების, როგორც მაგალითად — მოურავები, სხვადასხვა ჯურის მუქთახორები, ყოველ შეძლებულ მებატონეს გარს რომ ეხვევნენ, და ათასი სხვა მსახური. საკმარისია წუთით წარმოიდგინოთ შეძლებული მებატონის სახლი წარსული საუკუნის მეორე ნახევრის დამდეგს და თვალწინ გადაგეშლებათ ბევრი საინტერესო, თუმცა შეიძლება უმე-

ტესწილად საცოდავი პიროვნებები, რომელნიც მაშინ ყოველ ფეოდალს თან ახლდნენ. ვინ ჩამოთვლის რამდენი ლაქუცა, ხუმარა, მასხარა, მოლაყბე, მეჭორე, მომღერალი, ზარმაცი და სხვა ჯურის ხალხი ეხვია გარშემო მებატონეს!..

ჭეშმარიტად დასანანია, რომ ყველა ეს ფიგურა ისე გაქრა ქართულ მწერლობაში, მათი კვალიც კი არ დარჩენილა. იმათ ქართული კულტურის ისტორიისთვისაც დიდი მნიშვნელობა ექნებოდათ. ილია ჭავჭავაძემ თავის „კაცია ადამიანში?!“ ლუარსაბი და დარეჯანი დაგვიხატა და ეს ორი ტიპი ნათელსა ჰფენს მთელ მაშინდელ ცხოვრებას. ორივე, ლუარსაბი და მისი ცოლი, უაღრესი კომიზმით არიან აღვსილნი, თუმცა მოთხრობას დიდი სერიოზული ხასიათი აქვს. თვითონ ილია ჭავჭავაძე, როცა კარგ გუნებაზე იყო, ბევრს ოხუნჯობდა და იუმორით სავსე ლაპარაკით ართობდა მსმენელს. ლიტერატურაში იუმორის მნიშვნელობის შესახებ ილია ჭავჭავაძეს მეტად გარკვეული და მკაფიო წარმოდგენა ჰქონდა. სულ მუდამ იმას ნატრობდა, საქართველოში დაბადებულიყო მწერალი, რომელიც შესძლებდა ამა თუ იმ თხზულებაში თავი მოეყარა საქართველოს ყველა კომიკური ტიპისათვის. როგორცა ვთქვით, ილიას ოხუნჯობა ძალიან უყვარდა და თანაც დასძენდა, ჭკვიან ადამიანს კარგი დაცინვა ან ნაკვესი თავის დღეში არ ეწყინებაო; სიამოვნებით უსმენდა ხოლმე ნიკო ხიზანიშვილის (ურბნელის) სიტყვამოსწრებულ ლაპარაკს, რომელსაც თავის დღეში არ გამოელეოდა საოხუნჯო სიტყვები და თავის დროზე საქართველოში ბადალი არა ჰყავდა, როგორც მოსწრებული სიტყვა-პასუხის პატრონს. ლაპარაკის დროს ხიზანიშვილი ხშირად ხმარობდა სიტყვას „ქართული ლობიო“, რაც ადამიანის ერთგვარ სიტლანქესა და სიზანტეს ნიშნავდა. ვინ გამოიგონა ეს სახელი, ვერ ვიტყვი, მაგრამ ის კი მახსოვს, რომ მას ხმარობდნენ ქართლელის ან კახელის დასახასიათებლად.

ხიზანიშვილი დიდი დაკვირვებისა და მიხვედრილობის კაცი იყო, სიზარმაცე უშლიდა, თორემ სწორედ მას შეეძლო დაეწერა რამე ქართველი დონ კიხოტების შესახებ, რომელთა

ასახვას ასე ნატრობდა ილია ჭავჭავაძე. თავისი ენამოსწრებულობით ხიზანიშვილს ეშმაკი ანგელოზად გადაექცია, მაგრამ ამავე დროს თავისი გესლიანი ენით დაასამარებდა, რაც უნდა ძლიერი მტერი ყოფილიყო...

...იმერეთმა მოგვცა მწვავე იუმორისტული ნიჭის პოეტი და მწერალი — ეს გახლდათ აკაკი წერეთელი. მაგრამ, სამწუხაროდ, აკაკი თავისი იუმორით თვითონ ერთობოდა, კერძო ცხოვრებაში ლევდა ამ ნიჭს „სალაღობოდ, მეგობართა სათრეველად" და ვერ გამოიყენა მთლიანი ლიტერატურული ნაწარმოებისათვის. ყველამ იცის, რომ აკაკი მეტად ენაკვიმატი გახლდათ და მისი ნაკვესები ხშირად ძალიან მოსწრებული იყო. მაგრამ აკაკი ნაკვესებს შუშხუნასებრ უშვებდა და მწერლობაში მის ოხუნჯობას რაიმე კვალი არ დაუჩნევია. ეს მით უფრო საოცარია, რომ აკაკი ერთი მათგანი იყო, რომელნიც ამტკიცებდნენ, ძალუმ ჭკუას თან უნდა სდევდეს გონების სიმახვილეო. მაშასადამე, ამ დიდს, მაღალნიჭიერ მწერალს დიდი დანაშაული მიუძღვის თავისი ერის წინაშე, რადგან სავსებით არ გამოიყენა ბუნებისაგან მომადლებული ტალანტი. ისიც ყველამ ვიცით, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არც ერთ ქართველ მწერალს არ უვლია იმდენი, რამდენიც აკაკის, იმასავით სხვას არავის ჰქონია შემთხვევა ახლო გასცნობოდა ქართულ ცხოვრებას. ეს ხომ ასე იყო, მაგრამ აკაკი მაინც თითქოს საჭიროდ არა სთვლიდა ყველა ეს ცნობა, დაკვირვება და შემთხვევა ერთიანი ლიტერატურული ნაწარმოების სახით აეკინძა.

დავით კლდიაშვილი, რომელსაც ბედმა გაცილებით მძიმე ცხოვრება არგუნა და, როგორც სამხედრო პირს ძალიან იშვიათად ეძლეოდა შემთხვევა თავის სამშობლოს ცხოვრებას დაკვირვებოდა, მაინც ახერხებდა თვალ-ყური ედევნებინა ამ ცხოვრებისათვის და მხატვრული კალმით დაესურათებინა ქართველთა ყოფა თავის მოთხრობებში.

კლდიაშვილი მშვენიერი აღმწერია ყოფა-ცხოვრებისა, მაგრამ ნამდვილი იუმორისტის ღირსება მაინც აკლია და მის მოთხრობებში იმერული იუმორის გამომხატველნი ნაკლებად გვხვდებიან. ასე რომ, ეს მდიდარი განძი ჯერ ისევ დამარხუ-

ლია და ქართველი სერვანტესი, რომელმაც ეს განძი უნდა გამოამზეუროს, ჯერ კიდევ არ მოვლენილა.

თეატრიო?—შეიძლება იკითხოთ. დიახ, ქართული თეატრი თავისი გაჩენის დღიდანვე იუმორისა და ენამახვილობის მცველი ყოფილა და თავისებური ნიჭის მსახიობებს ყოველთვის გაუცხოველებიათ ქართულ სცენაზე დადგმული კომედიები კომიზმის, იუმორისა და მოსწრებული სიტყვების მჩქეფარე ნაკადულით. მაგრამ ის ტიპები, რომლის გამომხატველნიც ქართველი არტისტები ყოფილან, სხვა ერებს ეკუთვნოდნენ, ასე რომ ქართული კომედიების რიცხვი ჯერ კიდევ მეტად მცირეა. მარტო ავქსენტი ცაგარელმა შეისწავლა თავისი დროის ქართული ცხოვრება და შესძლო გამოერჩია რამდენიმე სახე, რომელთაც დღესაც არ დაუკარგავთ სიმშვენიერე და მომხიბვლელობა.

მე მგონია, რომ ხალხში, სადაც იბადებიან ასეთი საუცხოო კომიკოსები, დაიბადება საუცხოო კომედიების შემოქმედიც და, ბოლოს, — ქართველი სერვანტესიც. მით უფრო, რომ საქართველოში ჯერ კიდევ ცოცხლობენ დონ კიხოტები და მოუთმენლად მოელიან თავიანთი მხატვრის გამოჩენას.

პ უ რ ა დ ო ბ ა

ორმოცდაათი-სამოცი წლის წინათ საქართველოში ჯერ კიდევ ჰყვაოდა სტუმართმოყვარეობა. ეს ერთი უმთავრესი შემაკავშირებელი საშუალება იყო შინაური და არასაზოგადოებრივი ცხოვრებისა, იმ აზრით, რა აზრითაც დღეს ესმით სიტყვა „საზოგადოებრივი“. სტუმართმოყვარეობა და პურადობა აკავშირებდა ერთიმეორესთან ოჯახებს. ამნაირი პურადობისათვის საჭიროა ერთგვარი სისადავე ჩვეულებებისა, ერთგვარი უზრუნველყოფა და თავმდაბლობა. ორმოცდაათი-სამოცი წლის წინათ ყოველივე ეს საქართველოში ჭარბად იყო, დაახლოებით ეს მაშინ, როცა ილია ჭავჭავაძე თავის მოთხრობა „კაცია ადამიანს“ წერდა. ათი-ოცი წლით გვიანაც კი მხოლოდ თბილისსა და ქუთაისში იყო გამართული სასტუმროები, მანამ-

დე კი ვინც მოგზაურობდა, ღამე უეჭველად ნაცნობთან ან კიდევ უცნობთან უნდა გაეთია.

მაშინდელი ზნე-ჩვეულება სულ სხვა იყო, ვიდრე ახლანდელი, თუმცა ცივილიზაცია მაშინაც კი ბევრ რამეს აფუჭებდა. ევროპულ კოსტიუმსა და კაბას ჯერ თითო-ოროლა თუ ატარებდა, საერთოდ კი ქართულსა სჯერდებოდნენ. ქართული ტანისამოსი გამძლე იყო... და გაცილებით იაფი ჯდებოდა, ვიდრე ახლანდელი, ფაბრიკაში დამზადებული დამპალი ჩითეულობა, რომელიც მალე ცვდება და ერთი წლის შემდეგ სხვა ახალმოდის ტანისამოსი უნდა ჩაიცვას ადამიანმა.

მაშინდელი საჭმელი უფრო სადა და, შეიძლება, უფრო გემრიელიც იყო, ვიდრე ახლა. იმ დროის კაცი თავის ოჯახში მოწეულსა სჯერდებოდა, არ სვამდა უცხოეთიდან მოტანილ სასმელებს, არ ჭამდა საკონდიტროებში დამზადებულ ტკბილეულობას და პაპიროსსაც ნაკლებად ეწეოდა. ერთი სიტყვით, ცხოვრება მაშინ გაცილებით უფრო იაფი იყო—განსაკუთრებით სოფლად, და სტუმართმოყვარეობა, მასპინძელს საგრძნობ ხარჯში არ აგდებდა.

სტუმართმოყვარეობას მისდევდა არა მარტო თავად-აზნაურობა, არამედ გლეხობა და სამღვდელოებაც.

აი თვით ქართველი ხალხი რას ამბობს ლექსად სტუმართმოყვარეობაზე:

> არ ვარგა უსტუმრო სახლი,—
> ცალ ფულად არ გამოდგება,
> ვისაც სტუმარი არ უყვარს,
> ღმერთი სულ არ ეყვარება.

სტუმართმოყვარეობა, რა თქმა უნდა, შეძლებისგვარად, ყველასათვის არა მარტო სავალდებულო, არამედ ამავე დროს გართობისა და ცხოვრების დასამშვენებელი საშუალება იყო.

დიდ სახლებს განა მარტო თავიანთი საჭიროებისთვის აშენებდნენ, ამ სახლების შენების დროს სტუმარზეც ფიქრობდნენ. ზოგი ისეთი დარბაზი იყო, ას კაცზე მეტს დაიტევდა. ვინც ამდენ ხალხს უმასპინძლდებოდა, ამ ხალხის დაპატიჟებასაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევდა.

სტუმართმოყვარეობასა და გულუხვობას ოდითვე დიდად

ფასებდნენ საქართველოში. ეს ისტორია ლიტერატურიდანაც ჩანს. „ვეფხისტყაოსანში“ სტუმრებს არათუ კარგ პატივს სცემენ, არამედ ძვირფას საჩუქრებსაც უბოძებენ. სიუხვე-სიქველის თანაბრად საქებარია, განსაკუთრებით — სიუხვე მეფეთა. ამ მხრივ განთქმული იყო თამარ მეფე, რომელსაც „ქართლის ცხოვრება“ ადიდებს ამის გამო. ისეც მოხდებოდა, ნადირობისა ან თევზაობის შემდეგ მეფეები მთელ ნანადირევს გლეხებს ურიგებდნენ.

რა თქმა უნდა, პურადობა ზოგჯერ ქველმოქმედების ვრძნობით არის გამოწვეული, მაგრამ ძველთაგან გადმოცემულ ჩვეულებას თავისი გავლენა ჰქონდა და მდიდარი მემამულენი სავსებით იცავდნენ მას.

წინა საუკუნის ოთხმოციან წლებში სტუმართმოყვარეობამ უკვე იკლო. ეს საერთო გაღარიბებამ გამოიწვია. ყველანი, ვინც ცოტათ თუ ბევრად ფხიზლად უყურებდნენ ცხოვრებას, ცდილობდნენ ხშირი დაპატიჟებისთვის თავი მოერიდებინათ. მაგრამ ისიც კია, ამ ჩვეულებაზე ხელის აღება საერთო მოვლენად არ ქცეულა. იმიტომ, რომ სტუმართმოყვარეობა მეტისმეტად ჰქონდა ქართველ კაცს ძვალსა და რბილში გამჯდარი და ისე ადვილად ხელს ვერ იღებდა მასზე.

სტუმართმოყვარეობის დაცვას ერთი გარემოებაც უწყობდა ხელს, სახელდობრ ის, რომ თეატრების, ორიოდ-სამიოდე კლუბისა და რამდენიმე რესტორანის გარდა თბილისში გასართობი ადგილი არ არსებობდა და ეგრეთ წოდებული ქუჩის ცხოვრებაც თითქმის არ იყო. მხოლოდ წინა საუკუნის ოთხმოციანი წლების ბოლოს გამოიცვალა ქალაქი. ამ დრომდე ჯერ კიდევ ოჯახური ცხოვრება ჭარბობდა. ახალგაზრდა გასათხოვარი ქალები, თუ მშობლები ან მახლობელი ნათესავები არ ახლდნენ, არ დადიოდნენ არც თეატრებში, არც კლუბებში, არც მეჯლისებზე, არც რესტორანში. დღისით ქალები უმთავრესად ქუჩებში სეირნობდნენ, მაგრამ უეჭველად მშობლების ან ნათესავების თანხლებით. დღეს რომ ახალგაზრდა ქალებს ვხედავთ მარტოდმარტო მოსიარულეთ, იმ დროებაში ეს არ შეიძლებოდა. ზნეობა მეტად იყო დაცული, განსაკუთრებით სოფლებში. ასეთ ვითარებაში საზოგადოებას წევ-

რებს ერთიმეორესთან მეტად აკავშირებდა სტუმარმასპინ-ძლობა.

სტუმართმოყვარეობა თავისთავად კარგი რამ იყო, მაგრამ ერთი ცუდი გარემოება სდევდა თან: სახელდობრ ისა, რომ წვეულებას ხშირად ქეიფი მოჰყვება და ხელს უწყობს ლოთობას. არ ვიცი, როგორ იყო წარსულ საუკუნეებში, მაგრამ მე მგონია, ხშირი და ხანგრძლივი ლაშქრობა, დიდი ხნობით დარჩენა მტრის მხარეში და აგრეთვე თვით მტრის შემოსევა საქართველოში ქეიფსა და დროს ტარებას ხელს უშლიდა, ან კიდევ სრულიად შეუძლებელს ხდიდა. მშვიდობიანობის დროს ქართველები თითქმის სულ ნადირობდნენ. „სამეგრელოს ალწერაში“, რომელიც 1654 წ. ნეაპოლში გამოვიდა, იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი ამბობს, სამეგრელოში ყველა მდგომარეობისა და ხნის ადამიანს უყვარს ნადირობა და მეგრულად ამის შესახებ ასეთი თქმაც კი არისო: „ბედნიერი კაცი ისაა, ვისაც ჰყავს კარგი ცხენი, კარგი ძაღლი და კარგი შევარდენიო“. ალბათ, საქართველოში სხვაგანაც ასე იყო. ცხადია, დიდი ხნით გარეთ, ჰაერზე ყოფნა ჯანმრთელობას ამაგრებდა და მაშინდელი ქართველები ახლანდელებს არ ემგვანებოდნენ. ჭირის გაძლება ძველებს უფრო შეეძლოთ, ვიდრე ჩვენს თანამედროვეებს, რომლებიც უმეტეს ხანს სახლებში ატარებენ. „ვეფხისტყაოსნიდან“ ვიცით, რომ ქართველებს ნადირობის შემდეგ ლხინი და ნადიმი უყვარდათ, ნადიმის დროს კი ხანგრძლივი ბაასი, ვინ რა ნადირი მოკლა და როგორ. მაგრამ ეს ლხინი გარეთ, ჰაერზე იმართებოდა და ომით, ცხენოსნობით, ნადირობითა და ბურთაობით გამოწრთობილ, მაგარ აგებულებაზე ღვინო ისე ვერ მოქმედებდა.

საზოგადოდ, „ქართლის ცხოვრებიდან“ და ზოგიერთი ქრონიკიდან ჩანს, რომ ქართველები ძალიან მოძრავ ცხოვრებას ეწეოდნენ და მათ ძალ-ღონეს სულ მუდამ ჰქონდა საავარჯიშო.

ვახტანგ მეექვსის შესახებ სეხნია ჩხეიძე თავის ქრონიკაში მოგვითხრობს, რომ ოთხშაბათობითა და პარასკეობით მეფე ყველას საჩივრებს მოუსმენდა და ასამართლებდა, ვინც კი მიმართავდა; კვირაობითა და სამშაბათობით ნადირობდა და სხვა გასართობებსა მართავდა; გასამართლებისა და გარ-

თობის შემდეგ სანადიროდ მიდიოდნენ, ბურთაობდნენ, ან ნიშანში ისროდნენო.

ყოველივე აქედან ჩანს, რომ წინანდელი ცხოვრება ქართველთა ბუნების მოთხოვნილებას შეეფერებოდა და ალბათ მათ სტუმართმოყვარეობასაც საზღვარი ჰქონდა, თუმცა გამონაკლისსაც უეჭველად, ხშირად ექნებოდა ადგილი.

სტუმართმოყვარეობას ძველად ერთი მხარეც ახლდა, — ეს იყო ქვეითისა თუ ცხენოსანი მგზავრის პატივისცემა. ეს მხარე ძველებურ სტუმართმოყვარეობას დიდი ხანია ჩამოეცალა. ეს სიმპათიური ჩვეულება მთელ საქართველოში იყო გავრცელებული: მგზავრს ყველგან სცემდნენ პატივს და ღამით გაუჭირვებლად, ადვილად დააბინავებდნენ. იაკობ რეინეგსი, რომელიც საქართველოში ერეკლე II-ის დროს ცხოვრობდა, ძალიან აქებს იმერთა სტუმართმოყვარეობას. ისინი ყველა ნაცნობ მგზავრს პურს, ხილს, ღვინოსა და სხვას შესთავაზებდნენო. სტუმართმოყვარეობით ყველაზე მეტად ნაჭები იყვნენ მეგრელები...

საერთოდ, სტუმართმოყვარეობა საქართველოში ყველგანაა დარჩენილი, მაგრამ იმ ზომით არა, როგორც წინათ. ეს ჩვეულება ქართველი ხალხის ერთი საუკეთესო და სიმპათიური მხარეთაგანია და სასურველი არ არის, რომ მოისპოს და მის მაგიერ შემოვიდეს საჯარო ადგილებში დაპატიჟება, რესტორნებსა და სასტუმროებში. ოჯახში დაპატიჟებას, თქმა არ უნდა, თავისი უპირატესობა აქვს: ასე თუ ისე შეინახავს და განავითარებს ოჯახებსა და ნაცნობებს შორის კავშირს, ამასთანავე გავლენა ექნება გასართობთა გაკეთილშობილებაზე.

ქართული მუსიკა

1891 წ. რომში, რომელიღაც პატარა ბაღში, ერთ უბრალო მგმუსიკესა და სამხრეთ იტალიის ხალხური სიმღერების მომღერალს მოვუსმინე. ნაღველი იღმეძრა, რატომ საქართველოში არა ვარ-მეთქი. ასეთივე გრძნობა განვიცადე სტამბოლში 1892 წ. ზურნის ხმის გაგონებაზე. რა თქმა უნდა, ეს გრძნობა

ამ პირველყოფილმა მუსიკამ კი არ გამიღვიძა, არამედ ამ მუსიკის მოტივმა. დიახ, მოტივმა მომხიბლა, რადგან მომაგონდა მისი მსგავსი ჰანგები საქართველოში რომ მსმენია, და ჩემთვის უცხო, შორეულ ქვეყანაში საქართველოს მაგონებდა. ყოველ ერს აქვს ასეთი მოტივები, მისი გრძნობების, გულისთქმისა და ტემპერამენტის გამომხატველი; ყველა ისინი ერთად შეადგენენ მის ხალხურ მუსიკას. ამ მუსიკით, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, ამ ხალხური, უბრალო, სადა სიმღერებით ხალხი ცხოვრობდა საუკუნეთა განმავლობაში და თავისას სჯერდებოდა, სხვას არა ნდომულობდა.

ძველ ბერძნებს, ებრაელებსა და სხვებს თავისი ხალხური სიმღერები ჰქონდათ, ამ სიმღერებს მღეროდნენ ქორწილში, ლხინში, მუშაობის, მოგზაურობისა და მარტოობის დროს, ან საყვარელს მოშორებულნი, მღეროდნენ ათას სხვა შემთხვევაში. ხალხური მოტივებისაგან ნელ-ნელა გაჩნდა ეგრეთ წოდებული ლირიკული მუსიკა, ის, რაც საძირკვლად დაედო მუსიკალურ ხელოვნებას. ეს კი ძალიან გვიან, ხელოვნების სხვა სახეთა გაჩენის შემდეგ მოხდა. მთელი პირველდაწყებითი იტალიური მუსიკა მარტოოდენ გადამუშავება იყო ხალხური მოტივებისა, რომლებიც აგრეთვე დიდი განძია იტალიელთა საოპერო მუსიკისათვის. ლირიკული მუსიკა ხომ ამა თუ იმ ერის გრძნობათა მუსიკაა!

ეს საგანძური ზოგი ხალხისა მეტად მდიდარია, ზოგისა კი შედარებით ძალიან ღარიბი. იტალიელები, გერმანელები, პოლონელები, რუსები, ფრანგები მეტად მდიდარი არიან ამ მხრივ, ინგლისელები, ჰოლანდიელები და სხვანი კი გასაოცრად ღარიბნი. ბაირონმა ზიზღით მოიხსენია ის ადამიანები. რომლებზედაც მუსიკას ან ბგერათა პოეზიას არავითარი გავლენა არა აქვს, და მე მგონია, პოეტმა ეს თქვა უმთავრესად ინგლისელებზე, რომელთაც დღემდე ვერ წარმოუშვიათ თუნდაც ერთი ნიჭიერი კომპოზიტორი.

მხოლოდ XIX საუკუნეში დაიწყო მუსიკალური ხელოვნების საფუძვლიანი და საყოველთაო განვითარება. სხვადასხვა ქვეყანაში სწორედ ამ დროს გაჩნდნენ დიდი კომპოზიტორები, რომელთა ძლიერება უმთავრესად ხალხური მოტივების დამუშავებაში გამოიხატება. ფრანც ლისტმა თავის საუკეთესო ნა-

წარმოებები უნგრულ ხალხურ მოტივებზე ააგო, შუმანი და შუბერტი გერმანული ხალხური მოტივებით სარგებლობდნენ, შოპენი და მონიუშკო კი—პოლონურით და სხვ.

ეს მაგალითები გვიჩვენებს, რომ ამგვარ ხალხურ მოტივებში ხშირად დიდი სილამაზე იმალება და რომ იმ ხალხს, რომელსაც ხალხური სიმღერების მდიდარი საგანძური აქვს, შეუძლია შექმნას თავისებური, მგრძნობიარე ეროვნული მუსიკა.

ასეთ ხალხს, ჩემი ღრმა რწმენით, ქართველებიც ეკუთვნიან უცილობლად. ქართველები სულ მღეროდნენ, მათს სულსა და გულში მუდამ ყოფილა მუსიკის სიყვარული და იგი დარჩა. როგორც ჩანასახი პოეზიისა. ქართველები მღეროდნენ სხვადასხვა კილოებისა და სხვადასხვა შინაარსის სიმღერებს. დავით აღმაშენებელს, რომელიც მისტიკოსი იყო და ზნეობრივ საკითხებში სიმკაცრეს იჩენდა, აუკრძალავს უწმაწური შინაარსის ლექსები. აქედან ჩანს, რომ ჯერ კიდევ მაშინდელი ქართველები სხვადასხვა სახის სიმღერებს მღეროდნენ. თამარის დროს სიმღერა გაისმოდა ყველგან და ყოველთვის: ნადიმის დროს, ომიდან გამარჯვებით დაბრუნებისას. „ვეფხისტყაოსანში“ მღერიან ნადიმების დროს სიმებიან საკრავთა ხმაზე. ავთანდილი უკრავს და მღერის, ხოლო ოდეს მარტოდმარტო მიდის ტარიელის საძებრად, ნანობს, მოვცდი ნადიმებს, არ შემიძლია დავუკრა სიმებზედაო. ავთანდილი და ტარიელი რომ გაიგებენ, სად იმყოფება ნესტან-დარეჯანი, ორივენი ხმამაღლა მღერიან. ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის ქორწილში გამოდიან დარბაზში მგოსნები და ისმის „ხმა სიმღერისა ტკბილისა“.

ყოველთვის, საუკუნეთა განმავლობაში, ქართველებს სიმღერა და მუსიკა ჰყვარებიათ. 1672 წ. ფრანგი მოგზაური შარდენი თბილისში იყო და ვახტანგ მეხუთემ დაპატიჟა თავისი ძმისწულის ქორწილში. შარდენი აგვიწერს სასახლეში გამართულ ამ ქორწილს და ამბობს: სადღეგრძელოების სმა რომ დაიწყეს, გაისმა სიმღერა და სიმებიან საკრავთა ხმაო. პოეტ ბესიკი (ბესარიონ გაბაშვილი) არა მარტო თხზავდა სიმღერებს, ამღერებდა კიდეც ამ სიმღერებს ჩონგურზე და აღტაცე-

ბაში მოჰყავდა თავისი თანამედროვენი, განსაკუთრებით ახალგაზრდობა.

ამავე დროს თბილისში ცხოვრობდა საიათნოვა, ერეკლე მეორის სასახლის აშუღი, პოეტი და დამკვრელი, რომელსაც ქორწილში ხშირად პატიჟებდნენ.

ერთი სიტყვით, ქართველებისათვის განუყრელი იყო სიმღერა და მუსიკა. მაგრამ ისიცაა, მათი მოტივები რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ალბათ მხოლოდ ოდნავ შეიცვალა. თუმცა ეს მაინცდამაინც არაფერს ნიშნავს, რადგან სხვა ქვეყნებშიაც ასევე იყო და დიდი ხანი არ არის, რაც მათი მუსიკა განვითარების გზას დაადგა.

XIX საუკუნის დასაწყისიდან ორი-სამი მოდგმა გამოიცვალა, ვიდრე ქართველები შეითვისებდნენ ევროპულ მუსიკას და მის კანონებს, რამაც გააღვიძა მათი ნიჭი. უკანასკნელ წლებში გამოჩნდნენ კომპოზიტორები, რომლებიც ნიჭს იჩენენ და ხალხსაც დიდად მოსწონს. მათ ნაწარმოებებს შეიძლება ზოგი ნაკლი ჰქონდეს, მაგრამ ეს არაფერია. ქართველთა მუსიკალობა ახლა ყოველ ეჭვს გარეშეა. ვინც შემოქმედებითს ნიჭს გრძნობს და შეუძლია განავითაროს ის, იგი ალბათ შესძლებს შექმნას ნაწარმოები, რომელიც ამ მხრივ პროგრესის მომასწავებელი იქნება. მაგრამ ასეთ ნაწარმოებთა შინაარსი უნდა მოქმედებდეს არა მარტო სმენაზე, არამედ მაყურებელთა გრძნობაზედაც, უნდა გაიტაცოს მსმენელი თავისი ორიგინალობით ისე, როგორც გვხიბლავს და გვიტაცებს შუმანის, შუბერტის, ლისტისა და შოპენის მუსიკა.

მთელი ეს ქართული მუსიკა იქნება და უნდა იყოს ლირიკული, ვინაიდან ქართველებმა, უწინარეს ყოვლისა, უნდა გამოიყენონ თავისი ხალხური მოტივები და, ჩემი აზრით, დიდ ხასაც ეყოფათ ეს მდიდარი წყარო. ორიგინალობაში დიდი სიძლიერეა და მას შეუძლია ქართულ მუსიკას მიმადლოს ის სიმშვენიერე, რომელიც სახელსა და დიდებას მოახვეჭინებს.

დიახ, მშობლიურ ხალხურ მუსიკაზე უნდა აშენდეს და განვითარდეს ქართული სამუსიკო ხელოვნება კარგა ხნის განმავლობაში. შორეული მომავალი კი რას მოითხოვს, ჯერ არ ვიცით,—ამას თვით მომავალი გვიჩვენებს.

ჩ ო ნ გ უ რ ი

ჩონგურს ბევრი ქართველი პოეტი უმღეროდა, განსაკუთრებით აკაკი წერეთელი და ნიკოლოზ ბარათაშვილი. ჩონგური ქართული ეროვნული საკრავია და ამიტომ ქართველთა თვალში თავისი სიმშვენიერე აქვს. მაგრამ, გარდა ამისა, ჩონგური ქალებისა და სიყვარულის საკრავია; ნაზი თეთრი თითები აჟღერებენ მის სიმებს და ზედ სააშიკო ლექსებს დაამღერებენ. დიახ, ჩონგურს, მგონი, მხოლოდ სიყვარულზე დაამღერებენ და ამიტომ ჩონგურის ჟღერა ყოველთვის სევდიანი და მწუხარეა.

წელთა განმავლობაში, ვინ იცის, რამდენჯერ მოვისმენია ჩონგურის ხმა! ეს ხმა და ის ქალებიც, ჩონგურზე რომ უკრავდნენ, უკვალოდ გაქრნენ ერთი-ორის გარდა, ხოლო ისინი, ვინც ცოცხალნი დარჩნენ, დიდი ხანია დარწმუნდნენ, რომ ცხოვრება ხუმრობა არ არის, არც სიზმარი და ნეტარება, როგორც ახალგაზრდობაში ეგონათ; წუთისოფელი ულმობელი დედინაცვალია და განსაკუთრებით ლამაზ ქალებს ემტერება.

სად არის ის საუცხოო თამარი, იმერეთის მშვენიერი ასული, რომელიც ბევრს წარიტყვევდა თავისი სიმღერითა და მომჯადოებელ თვალთა ელვარებით! მისი წკრიალა ხმა უმეტესად სალამოობით და ზოგჯერ ღამითაც გაისმოდა, ჩვენ კი თვალს ვერ ვაშორებდით მის ლამაზ სახეს და სულგანაბულნი ვუსმენდით მის სიმღერას. ნელა, სევდიანად ისმოდა ამ დროს ჩონგურის ხმა და რაც უფრო ვუსმენდით, მით უფრო გვაწვებოდა სევდა გულზე. როცა თამარი მღეროდა, ჩონგურს დასცქეროდა, მკრთალ სახეზე მოქანცულობა ეხატებოდა და თითქოს სულ ერთი იყო მისთვის, ვინ უგდებდა ყურს. მაგრამ ის, ვინც მას უყვარდა, ჩვენ შორის იყო, მან ულალატა ქალს და რამდენიმე წლის შემდეგ ქალიც ჭლექმა გადაიტანა. ამისი თქმა ადვილია, მაგრამ საცოდავმა ქალმა, ვინ იცის, რამდენი ტანჯვა განვლო თავისი ავადმყოფობის დროს!.. თამარი ხორციელად იტანჯებოდა და უფრო კი სულიერად, რადგან ღალატზე უარესი ხორციელი ტანჯვა არ არის. ყინვისაგან დამზრალ გაზაფხულის ყვავილივით დაი-

ლუპა ნორჩი თამარი, რადგან თავისი სიყვარული შესწირა კაცს, რომელიც მისი ღირსი არ იყო.

ჩვენი აზრი, ისე როგორც გრძნობა, ხშირად ცდება და ეს შეცდომა ჩვენი გულისა მთელი ათასი წლის განმავლობაში გაისმის სიმღერებში, ჩონგურზე რომ დაამღერებენ ხოლმე.

საღლაა რუსუდანი, ეს მომხიბვლელი, ნაზი ასული გურიისა? ოცდაათი წლის წინათ ხშირად დავუტკბივართ თავისი სიმღერებით ჩონგურზე.

ტკბილი და საამოა ჩონგურის ხმა, მომთხრობი სიყვარულისა... მაგრამ ვაი მას, ვისთვისაც ეს ხმა ყოველდღიურ სიტკბოებად იქცევა, ვინც ამ ხმის გულისთვის ყოველდღიური ცხოვრების მოთხოვნილებას ივიწყებს.

წ ყ ა რ ო

საქართველოში ყველგანაა წყარო: მთებსა თუ ტყეში, ბარად თუ ხეობებში, გზის პირებზე, სოფლებსა და ბაღებშიც კი.

ვიშ, ამ საუცხოო მრავალფერობასა და მშვენიერებას! წყაროს მნიშვნელობა აქვს არა მარტო წყლის ღირსებითა და რაოდენობით, არამედ მის გარშემო მდებარე ბუნებითაც, რომელიც უმეტეს შემთხვევაში მეტად თვალწარმტაცი რამ არის. მხატვრებმა რომ შეკრიბონ ნახატები ქართული წყაროსი, მშვენიერ სურათთა მრავალფეროვანი კოლექცია გამოუვიდოდათ.

მშვენიერი წყაროები ზოგჯერ, კარგ ადამიანთა მსგავსად, უცნობ, დაფარულ ალაგასაა.

მაგონდება ერთი წყარო ზემო ქართლში, გაშლილ, კალმით დახატულ მინდორში, ტყით დაფარულ მთის კალთაზე. გარშემო სამოთხისებური იდუმალება სუფევს, არც სოფელი ჩანს სადმე, არც ადამიანი. წყაროსთან ტყე-ტყე პატარა საცალფეხო ბილიკი მიდის; რომ მიუახლოვდები, მოგესმის წყლის ჩხრიალი, დაევრცხლილ ნაკადად რომ გადმოსჩქეფს პატარა კლდის ხვრელიდან. წყაროს გარშემო პატარა გაშლილი მოლია. აქ ქვაზე ჩამომჯდარს შემეძლო დავმტკბარიყავ

ჩემ წინ ამართული მთებით, სადაც ცხვრების თეთრი ფარაა მოფენილი. ცხვრისა და მწყემსების მოძრაობა აქედან გარკვევით ჩანს, ისინიც შემხედავენ და უკვირთ, ეს უცხო სტუმარი ვინ მოსულა აქ ამ განმარტოებული მთების საყურებლადო. ისინი შეჩვეული არიან მათ გარშემო მდებარე ბუნების სურათებს და ალბათ აღარც კი ესმით, რომ ამ სურათების სანახავად შეიძლება ადამიანი შორი სოფლიდანაც მოვიდეს ამ წყაროსთან.

მთებსა და ტყეებში აუარებელი წყაროა განმარტოებით. ბევრმა არც კი იცის მათი არსებობა. მათი ჩხრიალის ხმაც არავის ესმის, მსგავსად განდეგილის ხმისა ან ტყის ფრინველთა ჭიკჭიკისა. მაგრამ არის ისეთი წყაროები, რომელთა სანახავად ჟამდაჟამ მოდიან თითო-ოროლანი, რომ დასტკბენ წყაროს გარშემო მდებარე ბუნების სილამაზით.

ზედაზნის მონასტრის მახლობლად, ტყით დაფარულ მთის თხემზე, საგურამოდან მომავალი გზის პირას ერთი წყარო გამოდის ბუმბერაზ ხეთა ჩრდილში. წყაროს ცოტა იქით, თხემის ორსავ მხარეზე, ტყე თხელდება და თვალწინ იშლება შორი მიდამო. ჩრდილოეთით მოჩანს მყინვარი მთელი თავისი სიდიადით, მასთან ერთად მახლობელი ყინულიანი მთები, სამხრეთით კი — თბილისი და ძველი მცხეთა, რომელსაც თავს დაჰყურებს ტაძარი.

მეორე მხრით, ძირს, საგურამოს ბაღშიცაა წყარო. ამ წყაროს ლუკლუკზე ხშირად უოცნებია ილია ჭავჭავაძეს. უბრალო მჭადა ქვებისაგან აქ ამოშენებულია მხვიარა მცენარეებით დაფარული შადრევანი. მაღალი, განიერტოტებიანი კაკლის ხეები ქოლგასავით თავზე ეხურება ამ თავისებურ, ისტორიულ წყაროს.

ან რა საამოა, ზაფხულის პაპანაქებაში გზაზე წყაროს რომ დაინახავთ! ოსმალეთში ასეთ ადგილას ლამაზ შადრევნებს აკეთებენ, წარწერებიანს. საქართველოში მსგავსი შადრევანი მხოლოდ ერთგან მინახავს და ჭეშმარიტად დასანანია, რომ ასეთი კარგი ჩვეულება აქ ფეხს ვერ იკიდებს.

თუ საქართველოს სიგრძეზე გაივლით, შავი ზღვიდან მოკიდებული აღმოსავლეთ საზღვრამდე, სიღნაღს იქით, შეამჩნევთ სხვადასხვა სანახაობას, წყაროებს რომ არტყია გარშე-

ვო. ბუნება იცვლება და მასთან ერთად ეს სურათებიც იცვლება: ხან შიშველი კლდეებია ამართული წყაროს გარშემო, ხანაც წყაროა მწვანე ხავერდით მოსილი მთის ძირას, ხოლო ახლომახლო — მაღალი მაყვლის ბუჩქები. ბაღებშიაც ნახავთ წყაროებს, აქ იგი გარშემო შემორგულ მცენარეებს აცხოველებს. წყაროსთან ხალხი მიდის არა მარტო წყურვილის მოსაკლავად, არამედ ზაფხულის სიცხეში შუბლის გასაგრილებლადაც. ან რა სჯობს ასეთ წყაროსთან პირის დაბანას!

სოფლის წყარო სოფლის ცხოვრებაში გარკვეულ როლსაც ასრულებს, უმეტესწილად წყაროზე ქალები და ბავშვები დადიან, დილაადრიანად და საღამოობით აქ იმართება ტკბილი საუბარი, აქ გაიგონებთ ახალ ამბებს, — საუბრობენ, ბჭობენ სოფლის სხვადასხვა საჭიროების შესახებ და სხვ. მაგრამ ხშირად უსიამოვნო ამბებსაც აქვს ადგილი. როგორც მოგეხსენებათ, ქალებს შორის სრული მშვიდობა იშვიათად არის და, რა თქმა უნდა, ერთმანეთს გადაკიდებული მეზობელი ქალები აქ ძალაუნებურად შეიყრებიან, — წყალზე ყველამ უნდა იაროს. აბა წარმოიდგინეთ ორი დედაკაცი, სხვადასხვა მიზეზით წაჩხუბებული, რომელთაც თითქმის ყოველდღე უხდებათ წყაროსკენ მიმავალ გზაზე ერთმანეთის შეხვედრა.

მაგრამ წყარო შეყვარებულთა შესახვედრი ადგილიცაა! დიახ, წყარო ფრიად მნიშვნელოვანი ადგილია და ყოველი სოფლის ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობაცა აქვს. ვის შეუძლია გვიამბოს ამა თუ იმ წყაროს ისტორია ორმოცდაათი წლის განმავლობაში? არავის, რადგან არავის ძალუძს გაიგონოს და დაიხსომოს წყაროზე ნალაპარაკევი, ჩხუბი, სულთქმა, ფიცი, წყევლა, — ყოველ დღე და ყოველ ჟამს ბაგეთაგან რომ აღმოხდებათ წყაროზე მოსულთ; არავის ძალუძს შეამჩნიოს მათი თვალები, ღიმილი ან ცრემლები და, დასასრულ, შეყვარებულთა ხვევნა-კოცნა ბინდისას, მთვარის სინათლეზე ან დილაადრიან რიჟრაჟისას... განთიადის ამ საუცხოო ჟამს, როცა ცაზე უკანასკნელი ვარსკვლავი ქრება, როცა გარშემო ვამეფებულია სამოთხისებური დუმილი და მარტოოდენ წყაროს კეთილხმოვანი და დაუსრულებელი ლუკლუკი ისმის.

ურემი

დიდი ხანია, რაც ურემი არსებობს საქართველოში: ის არსებობდა მირიანის, თამარის, რუსუდანისა და ერეკლე მეორის დროს — რაც იყო იმათ დროში, იგივეა დღესაც — ტვირთის გადასაზიდი და ხალხის გადასაყვანი, უმეტესად ქალებისა და ბავშვების.

საუკუნეთა განმავლობაში ურემი არ გამოცვლილა, არ გაუმჯობესებულა და დღესაც ის პირველყოფილი სახე აქვს შერჩენილი.

მთაგორიანი ადგილებისათვის, სადაც გზა ვერ უდგება, ურემი, რასაკვირველია, მისწრებაა. მაგრამ წარსულშიაც კი, როცა ცხოვრება ზანტი და მდორე იყო, უჩიოდნენ ურმის პირველყოფილობას. ქართული ქრონიკებიდან ვიცით, რომ სპარსთა, ოსმალოთა ან მონღოლთა წინააღმდეგ ბრძოლების დროს სალაშქრო სურსათს — ღვინოს, პურს, ქერს, ბზეს და სხვ., ურმებით ეზიდებოდნენ ხოლმე. რადგანაც საქართველოს ჯარი უმეტესად ცხენოსანთაგან შედგებოდა, ურმის ზანტი და ნელი სვლა, ცხადია, მებრძოლთ ძალზე აბრკოლებდა და ხშირად სულ უსურსათოდაც სტოვებდა. ჩვენთვის ახლა ძნელია სავსებით იმ დაბრკოლებათა წარმოდგენა, რასაც ძველად ლაშქარი განიცდიდა მოძრაობის დროს.

მაგრამ ურემი უფრო მხიარულ მოგონებასაც აღგვიძრავს. ცნობილია, რომ ქართველთა ლაშქარი საღამოთი, დაბანაკებისას, ძველ ჩვეულებათა თანახმად მხიარულობდა, მას თან ახლდა ურმები ღვინის რუმბებითა; გაისმოდა ზურნისა და სიმღერების ხმა, თითქო მტრის სიახლოვეზე არავინ ფიქრობდა.

ამგვარად, ურემი დიდი ხნის განმავლობაში საიშვიათო. უსაჭიროესი საგანი იყო და ეს მნიშვნელობა ქართველთათვის დღესაც არ დაუკარგავს. შეუძლებელია წარმოვიდგინოთ ქართული სოფელი უურმოდ. სოფლის ცხოვრების რომელი ხანაც არ უნდა აიღოთ, ურემი ყველგანაა. ასევეა პოეზიაშიც.

„ურმული“ პირდაპირ მშვენებაა ქართული მუსიკისა. მოიგონეთ ილია ჭავჭავაძის „კაკო ყაჩაღიდან“ ის ადგილი, სადაც ურმის ჭრიალი ალაზნის მძინარე ველს აღვიძებს:

ყველას ეძინა, დღით ჰფეთქავს რაცა,
თითქო დაღლილა მიწაც და ცაცა!..
მხოლოდ კი ერთგან ურემი მძიმე
მიჭრიალებდა, გზას აღვიძებდა
და ნაღვლიანად მასზე მეურმე
მწუხარ სიმღერას დაღუღუნებდა.
ღუღუნი იგი ჩამრჩენია გულს,
მწუხარე არის, ვით გლოვის ზარი,
მაგრამ თუ ნაღველს მოჰბერს დაჩაგრულს,
უკუჰყრის კიდეც, ვით ღრუბელს ქარი.

ეს ბშვენიერი სტრიქონები მკითხველს გულში აწვეთებენ რაღაც წყნარ სევდას, ისევე როგორც გოეთეს პატარა ლექსი „მთათა მწვერვალნი.“ რა შეედრება, როცა ღამის მყუდროებას ნაღვლიანი და წყნარი „ურმული“ შორიდან არღვევს!..

ილია ჭავჭავაძესთან ყოფნისას ხშირად მომისმენია ღამით „ურმული“, როცა ერთად ვმსხდარვართ საგურამოს სახლის აივანზე. მხოლოდ არაგვის შორეული დუდუნი ანელებდა ხმებს. ღამეს ყველასათვის იდუმალი ძალა აქვს, „ურმულის“ ხმები კი ამ იდუმალებას უფრო ზრდის.

მაგრამ როცა „ურმულს“ ყურს ვუგდებთ, მისი მომღერალი მეურმეც არ უნდა დავივიწყოთ. სიმღერის დროს იგი მარტოა, ამხანაგებს ან სძინავთ, ან საუბრობენ თავისთვის. მას კი, ვინც საათობით მღერის ამ ნაღვლიან სიმღერას, თავს ფიქრები დასტრიალებს, იგი ალბათ რაღაცაზე ოცნებობს და თუ ამასთან ჭაბუკიცაა და შეყვარებულიც, ცხადია, თავის მიჯნურს შეჰკვნესის.

ჩემი აზრით, კამეჩი უფრო შეჰფერის ურემს, ვიდრე ხარი, იგი უფრო მსუბუქი, უფრო ძლიერი და მაინც ნაზი ცხოველია. მას შავ ფერს და შავ თვალებს რაღაც კეთილშობილება მოსდგამთ, თანაც რაღაც ტიპიური.

მიყვარს ეს ზანტი ცხოველი. ილია ჭავჭავაძესაც უყვარდა კამეჩები, უალერსებდა ხოლმე და ხშირად აღტაცებაში მოდიოდა მათი შავი თვალებისაგან.

მერე რა დაუღალავი რამ არიან! ხშირად მიუვალ, ციცაბო ადგილებზედაც არ უმძიმთ ურმის ატანა!

მთაწმინდა

მთაწმინდა არა მხოლოდ მშვენიერებაა თბილისისა, არამედ მისი ისტორიული ძეგლიც. მამადავითის ეკლესია ქალაქს ზევიდან დაჰყურებს, ყოველი მხრიდან მოჩანს — დასავლეთიდან, ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან. რა ხაამო და ტურფა სურათი იშლება მოპირდაპირე მხრიდან დილით, მზის ამოსვლისას ან კიდევ საღამოთი, როცა მთაზე და ქალაქში ჯერ ისევ დღის ნათელია.

რა თვალწარმტაცი სურათია! და მაინც რამდენად უფრო ლამაზია ქალაქის ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის შემოგარენი. გზა მთის თავქვე მეტად დაქანებულია, მაგრამ საამოა, ყოველ მოსახვევზე სანახაობა თანდათან იშლება და ფართოვდება. ეს მთა ჩვეულებრივი როდია, მას „წმინდა“ განა ტყუილად უწოდეს! მისი ტაძარი, მისი სასაფლაო, მისი სანახაობა სერიდან ან მისი ზედა მოედნიდან — ყოველივე ერთად შეადგენს რაღაც საერთო მშვენებას, რომელიც მნახველს ხიბლავს და გულს სასოებით უვსებს.

მთაწმინდის ბუნება ღარიბია, მის ქედებზე თითო-ოროლა ბუჩქი და ხე თუ ხარობს, მათ შორის მხოლოდ ერთ ადგილას, ეკლესიის აღმოსავლეთით რამდენიმე კვიპაროსი მოჩანს. ჯერ კიდევ არვის მოსვლია ფიქრად აქ ქოლგისებური ლიბანის ნაძვი დაერგო, რომელიც ასე ამშვენებს მთებისა და გორაკების ქედებს ყველგან—იტალიასა, საბერძნეთსა თუ ანატოლიაში.

გაზაფხულზე მთაწმინდა მომჯადოებელია. მისი კალთები მწვანით იმოსება და ყველგან ჰყვავის უბრალო ველის ყვავილები, ამწვანებულია ბუჩქები და მისი თითო-ოროლა ხე, ლაჟვარდი ცა ბრწყინვალებას აფრქვევს მთას და წარუტყვევს მაყურებელს თვალსა. ამ საუცხოო ცის ხატებას ბარათაშვილი თავის გულში ატარებდა. ბარათაშვილისათვის მის მიერ განდიდებულ მთაწმინდას იგივე მიმზიდველობა ჰქონდა, რაც უბრალო მოკვდავთათვის, მაგრამ ის, რასაც სხვები გრძნობენ და გამოხატვა კი არ შეუძლიათ, პოეტმა გამოთქვა აღფრთოვანებული სიტყვებით. მისმა ლექსმა „შემოღამება მთაწმინდაზედ“ კიდევ უფრო გააძლიერა გრძნეული ზემოქ-

მედება ამ ისტორიული მთისა, რომელთანაც მრავალი და ძველი მოგონებაა დაკავშირებული. ნ. ბარათაშვილი აგვიწერს მთაწმინდის ძველად შესაცნობ მშვენებას, მის იდუჰალგბას, რომელიც აქ მაისის ღამეს ისადგურებს, და, დასასრულ, მთვარის დავერცხლილ სინათლეს, ცასა და დედამიწაზე მიმობნეულს.

რა იცოდა ბარათაშვილმა, რომ მის შემდეგ მალე გამოჩნდებოდა ორი დიდი ქართველი პოეტი, რომლებიც ვ. ბ. ალ. ჭავჭავაძის მიერ დაწყებულ ახალი ქართული პოეზიის შენობას საუცხოო სასახლედ აქცევდნენ და თავიანთი ღირსეული საქმის აღსრულების შემდეგ აქ, ამ თეთრი ეკლესიის გვერდით განისვენებდნენ. ორივე — ილიაც და აკაკიც, ბიბლიური ხნისა მოიყარნენ, თითოეული მათგანი ორმოცდაათ წელზე მეტს ემსახურა თავის სამშობლოს, მაშინ როცა მათმა ავადმყოფმა და ცხოვრებაზე იმედგაცრუებულმა წინამორბედმა ოცდაათ წელსაც ვერ მიაღწია.

ბარათაშვილი უცნაური მოვლენაა ქართულ ლიტერატურაში. ეს პოეტი მაშინ გამოჩნდა, როცა, საზოგადოდ, ჯერ კიდევ არც კი იყო ჩამოყალიბებული ახალი ქართული ლიტერატურა, როცა XVIII საუკუნის უკანასკნელი ბუმბერაზის შემდეგ სიჩუმე ჩამოვარდა, შესუსტდა ყოველგვარი გონებრივი და ზნეობრივი ძალა და დადგა ხანა ძილისა. ასეთმა სიჩუმემ რამდენიმე ათეულ წელს გასტანა. ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ თითო-ოროლამ თუ გამოამჟღავნა სიცოცხლის ნიშანწყალი და ისიც თითქმის მხოლოდ სამხეცრო სამსახურში. ეს ადვილი ასახსნელიცაა, რადგან XVIII საუკუნის დასასრულამდე ქართველები მხოლოდ მეომრები იყვნენ, ამ გარდასულ რაინდთა შვილებიც ცდილობდნენ სამხეცრო სამსახურში შესულიყვნენ. თვითონ ნ. ბარათაშვილსაც სურდა მხედრობა და ფეხი რომ არ მოეტეხა, ვინ იცის, იქნებ შამილთან ბრძოლაში კიდევ უფრო ადრე დაღუპულიყო და მხოლოდ რამდენიმე ლექსი დაეტოვებინა. ლენაუსა და ლეოპარდის მსგავსად, პოეტს ამძიმებდა თავისი უბედური სიცოცხლე და ფიზიკური ნაკლოვანება. უბედურებამ გაუღვიძა შემოქმედებითი ნიჭი და თავის თითო-ოროლა ლექსს ის დროს წერდა, როცა მის გარშემო არარაობა მეფობდა და არც

არავინ ფიქრობდა ქართული მწერლობის განახლებაზე. სულიერად ბარათაშვილი თითქოს უცხოა თავისი დროისათვის და საერთო არაფერი აქვს მოქეიფე და მამულ-დედულის გამნიავებელ ყმაწვილებთან. მამამისმაც გაანიავა თავისი ქონება და მამის სახლიდან პოეტი ცარიელ-ტარიელი გამოვიდა, ცხოვრების სახსარს მოკლებული.

ბარათაშვილი მგოსანი-განდეგილია; იგი განდეგილი იყო მაშინდელ ქართულ საზოგადოებასა და მწერლობაშიც, განმარტოებით მდგარი დაცარიელებულ და დაშორებულ გზაზე, XVIII საუკუნეში შეწყვეტილ ძველსა და XIX საუკუნის მეორე ნახევარში ფეხადგმულ ახალ ლიტერატურას შორის.

ის სიმღერა, რომელიც ბარათაშვილმა მთაწმინდას უძღვნა, განდეგილის სიმღერაა, სიმღერა მარტვილისა, ავადმყოფი მოგზაურისა. მისი სიმღერის ხმა სუსტად გაისმის, მგლოვიარედ, ავადმყოფურად, ბოროტებას და მძულვარებას მოკლებული, თითქოს ცხოვრების გარეშე დგასო, ადამიანთ იშვიათად მიმართავს და თითქმის განუწყვეტლივ ემდურის ბედს, ან ებრძვის მას.

დიახაც, ბარათაშვილი უცნაური მოვლენაა ქართულ ლიტერატურაში, მარტოდმარტო დგას უკაცურ გზაზე და ჩუმი, სევდიანი ჰანგების კვნესა ისმის მისი ჩონგურიდან. მხოლოდ თითო-ოროლა მის თანამედროვეს თუ გაუგონია ეს ჰანგები, მხოლოდ თითო-ოროლა მიხვდა, რომ სწორედ ეს კვნესა-გოდება აღმოხდებოდა გულიდან ქართველობას XVIII საუკუნეში, როდესაც მოზღვავებულმა მტერმა მას სამშობლო დაუღუპა. ბარათაშვილის მთელ პოეზიას შეიძლება ვუწოდოთ „ბედი ქართლისა“.

ბარათაშვილი 1845 წ. გარდაიცვალა. დადუმდა მისი ჩონგურის ტკბილი ხმა. მას შემდეგ ოც წელიწადსაც არ გაუვლია და გაისმა ხმა ორი პოეტისა, რომელთაც ახლა საუკუნო ძილით სძინავთ თეთრი ეკლესიის გვერდით, მათ საყვარელ მთაწმინდაზე. ეს ხმა არ იყო გამომხატველი მწუხარების ან სასოწარკვეთილებისა, მათი ხმა ხალხს მოუწოდებდა ცხოვრების, შეშაობისა და სამშობლოს აღორძინებისაკენ. განმარტოებული არც ილია ჭავჭავაძეა და არც აკაკი წერეთელი, ისინი ცხოვრების შიგ შუაგულში დგანან, ებრძვიან ცხოვრე-

ბას და ყველას, ვინც ხელს უშლის ამ ცხოვრებისა და სამშობლოს განახლება-აღორძინებას. ბარათაშვილის სულისკვეთებას მათ სულისკვეთებასთან საერთო არა აქვს რა და, ვფიქრობ, ბარათაშვილს არავითარი გავლენა არ მოუხდენია მათს შემოქმედებაზე. ეს კია, ორივე აღტაცებაში მოაყავდა პოეტის ლექსთა სიმშვენიერეს. ეს მშვენიერება ჩვენზედაც მოქმედებს, ჩვენც გატაცებით ვკითხულობთ მის ლექსებს...

არტურ ლაისტი

მოყვარე მინდა მოყვარული
და აღმპყრობელი ხელისა,
ომში უდრეკი მღერალი,
გადამწყვეტელი ძნელისა...

„საქართველო შემთხვევით, მარცხით კი არ გამიცვნია. ამ გრძნობას მცირე რამ ისტორია აქვს ჩემს აზრ-გრძნობასთან დაკავშირებული", — წერდა სიცოცხლის დასასრულს ქართველი ხალხის გულწრფელი მეგობარი არტურ ლაისტი, რომელსაც ილიამ „შორეული თვისიანი", ხოლო სხვებმა „ჩვენი აბო" და „კარგი ევროპელი" უწოდეს.

არტურ ლაისტს ყველა ქართველი და პოლონელი სცემს პატივს, ვისაც ცოტაოდენი რამ წაუკითხავს თუ გაუგონია მისი ან მის შესახებ უნდა აღინიშნოს, რომ თავისი დროის საკმაოდ ცნობილ მებრძოლ პუბლიცისტზე და თვალსაჩინო მოქალაქეზე ბოლო დროს ბევრი რამ დაიწერა პოლონურად, გერმანულად და ცოტაოდენი ქართულადაც. თუმცა ეს უკანასკნელი უფრო საიუბილეო ხასიათისაა. აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ 26 წლის შემდეგ ლიტერატურაში „საქართველოს გულის" ავტორი, პირველად გერმანელმა მეცნიერებმა გაიხსენეს. ეს გახლდათ 1954 წელს, საბჭოთა კავშირ-გერმანიის მეგობრობის ერთთვიურის საზეიმო დღეებში. ამჟამად არტურ ლაისტის სიმპატიური სახელი სამუდამოდ დაუკავშირდა ხალხთა მეგობრობის გაგებას სამივე ხალხის მხატვრული და მეცნიერული ლიტერატურის ისტორიაში შუხარტთან, ლემან-ჰაუპტთან, მეკელინთან, ზაბოლოცკისთან, ლაფჩინსკისა და სხვათა სახელთან ერთად.

არტურ ლაისტი დაიბადა 1852 წელს სამხრეთ სილეზიის ქალაქ ეროცლავში. აქ, ამ ძველ ციხე-ქალაქში, სადაც ბიურგერისტულმა ყოფამ საქსოვი დაზგების ხრიალად შეცვალა აბჯართა ჟღარუნი, არტური იზრდებოდა გარდასულ დროთა პოეზიის და რომანტიკის პატივისცემის ატმოსფეროში. მამამისს „კეთილგონიერების გამო" არტურისათვის უნდოდა იურიდიული განათლება მიეცა, ამას ღარიბ მამას მერკანტილისტური მიზანი კარნახობდა. მაგრამ, როგორც ჩანს, შვილი საკმაოდ გულისხმიერი მოწაფე იყო ეულმართალი მამისა და დროის სულიერი ცხოვრებისა. ის ერთ ხანს მართლაც სწავლობდა. ვროცლავის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, მაგრამ იმ დროს, როდესაც ახალი სოციალური ქარტეხილის

გრძნობა ძაბავდა გონებიფხიზელ ადამიანებს, არტურმა მიწისგან აღგვილ ხახელმწიფოთა მკვდარი სამართლის სწავლას ,ყოველად ცოცხალი პუბლიცისტური მოღვაწეობა ამჯობინა.

იქნებ არტურ ლაისტი იმიტომ დაუმეგობრდა ქართველ ხალხს, რომ მათებრი ხასიათი შეუმუშავა თავისმა მშობლიურმა სილეზიამ—კუთხემ, რომელიც გამუდმებული მოწილადეობის, ბრძოლის ასპარეზი იყო. მისი ღედაქალაქი ბრესლაველი ბალკანეთის ომის დასაწყისამდე ორმხრივ შოვინიზმის გავრცელების ბუდედ იქცა. ქალაქის მრავალეროვან მოსახლეობაში საპასუხო რეაქციად მებრძოლი ეროვნული სამართლიანობა მეფობდა. ბალკანეთის ომის დაწყებამდე აუტანელი პოლიტიკური და ეკონომიური პირობების ხელოვნური შექმნის მიზეზით, 1871 წელს დიდი საფეიქრო ქალაქი ვროცლავი თითქმის გაუკაცრიელდა. ჩვენ არ ვიცით ნამდვილად, მაგრამ ვვარაუდობთ, რომ ერთ-ერთი მიზეზი სრულიად ახალგაზრდა ლაისტის წასვლისა სამშობლო ქალაქიდან შეიძლება ესეც იყო. ასე ღაიწყო მან XIX საუკუნის რეაქციის ხანის მებრძოლი პუბლიცისტისათვის დამახასიათებელი ცხოვრება—ერთი ბეჭდვითი ორგანოდან მეორეში გადადიოდა, ერთი ქალაქიდან სხვა ქალაქში მიეშურებოდა.

თავისუფლების საკურთხეველისადმი ანთებული ლაისტის „სანთელსაკმეველი თავის გზას არ ჰკარგავს". მრავალი ენის მცოდნეს და განათლებულ პუბლიცისტს მალე პირველხარისხოვანი პოლონური და გერმანული გამოცემები მიიწვევენ. ეს იყო დრო, როდესაც თვით ყველაზე უფრო ფრთხილი ლიბერალური გამოცემებიც კი მკითხველთა წინაშე თავს იწონებდნენ ორჭოფად ნათქვამი რადიკალური ფელეტონებით, თავისუფლების იდეებისადმი ყურადღების დათმობით. ამიტომ პატარა ჰონორარის ფასად ტირაჟის და ხელმომწერთა გაზრდისათვის ახალგაზრდა და „ჭკუამახვილ ნიჰილისტ" მწერლებს იკრებდნენ რედაქციის კულუარებში. არტურ ლაისტი პეტერბურგულ გაზეთ „St-Peterburger Herolde-ში, პოლონურ „Athenoium"-სა და სახელგანთქმულ გერმანულ „Allgemeine Zeitung"-ში მიიწვიეს თანამშრომლად. ბოლოს იგი ამ დიდი გერმანული გამოცემის მუდმივი თანამშრომელი გახდა, მას უგზავნიდა პოლონელი ხალხის კულტურული ცხოვრების მიმოხილვებს.

1876 წელს ლაისტი ლოძში გადასახლდა—პოლონეთის დიდ სამრეწველო და რევოლუციური ტრადიციების ქალაქში, რომელიც სამწუხაროდ ამ ეროვნისათვის საერთო ევროპული საზოგადოებრივი ცხოვრების გარეშე იდგა. პოლიტიკურ და სოციალურ მეშჩანობაში ჩაფლული ინტელიგენცია „რომანტიკულ ნაციონალიზმს" გადაპყვა. ეს განსაკუთრებით პრესისა და უნივერსიტეტის ცხოვრებაში იგრძნობოდა. ასეთი თავისებური სეპარატიზმი შორს იყო ახალგაზრდა პოლონეთის ცხოვრებიდან. პოლონელი ახალგაზრდობა ვრუბლევსკის, დომბროვსკის, სალტიკოვ-შჩედრინის, ნეკრასოვის და სხვათა ნაწერებით იყო გატაცებული. ლოძის „საზოგადოებრივი აზრის" შემქმნელი საზოგადოება, მისი მესვეურები: სტანისლავ კოზმიანი, ისტორიკოსი იოზეფ შუისკი, პროფ. სტანისლავ ტარნოვსკი და სხვ. შლიახტიჩური რეტროგრადიზმის შხამს ავრცელებდნენ. წარმოშობით გერმანელისათვის

და, მით უფრო, პროგრესულად განწყობილი ახალგაზრდისათვის. ძნელი იყო ასეთ გარემოში დიდხანს დარჩენა.

70-იან წლებში ვარშავას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო პოლონელებისათვის, არამედ რუსეთის იმპერიის განათლებულ ქალაქთა შორის. „ვარშავა" ეს საოცნებო სიტყვა იყო ყველა საღად მოაზროვნე ახალგაზრდისათვის. აქ ახლებურად ფეთქდა ცხოვრების მაცოცხლებელი ჭავლი. მთელი სიცოცხლის განმავლობაში გატაცებით უყვარდა უცხოობაში მყოფ ლაისტს ეს ქალაქი. აქ შეუერთდა ის „დიდ პოლონურ პრესას". იგი დაიახლოვა ბოლესლავ პრუსმა, ვიქტორ გომულიცკიმ და თვით ჰენრიკ სენკევიჩმაც.

ლაისტის ამდროინდელ კალამს ეკუთვნის პოლონური საზოგადოებრივი ცხოვრების ვრცელი კრიტიკული მიმოხილვები. ამ დროს ეკუთვნის მისი საყურადღებო წიგნი: „Das heutige Polen" (ვარშავა, 1879 წ.).

მაგრამ ენთუზიაზმით ცნობილი ადამიანი მარტოოდენ გარეშე მაყურებელი როდი ყოფილა. ის გახდა ცნობილი პოლიტიკური და საზოგადოებრივი წრის — „ვარშაველ პოზიტივისთა" წევრი. ეს საზოგადოება მოღვაწეობის პირველ პერიოდში პროგრესულ როლს ასრულებდა. იგი აღუდგა წინ ნაციონალურ შეზღუდულობას, ე. წ. „წმინდა პოლონური ინტერესების" სპეკულიაციით შლიახტიჩური რეტროგრადიზმის გავრცელებას. ამავე დროს ეკუთვნის არტურ ლაისტის დაახლოება ისეთ პოლონურ გამოცემასთან, როგორიც იყო „Atheneium". მისი გამომცემელი სპასოვიჩი ერთ ხანს ერთა კულტურული დაახლოების პოზიციაზე იდგა. ასეთი გზა ფაქტიურად იმ პოლიტიკური კონსოლიდაციისაკენ მიდიოდა, რაც ერთი ძირითადი სიმპტომი იყო ინტერნაციონალიზმის იდეების გავრცელების წინ, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ სიმპატიურმა გამოცემამ ვერ გაუძლო ნაციონალური ბურჟუაზიის მიერ „პოლონური განსაკუთრებულობის" რესტავრაციის ცთუნებას.

ლაისტი ერთ ხანს „ათენაიუმში" ათავსებს წერილებს მცირე ერთა კულტურული ღვაწლის შესახებ საკაცობრიო კულტურის საგანძურში. მოწინავე პოლონური საზოგადოებრივი აზრი კი ამ დროს უპყრიათ ისეთ ადამიანებს, რომლებსაც პირადად გაეცნო არტურ ლაისტი. ელზე ოქეშკო აღფრთოვანებულ წერილებს წერდა სალტიკოვ-შჩედრინს რუსული პრესის გამარჯვებათა გამო, ვრუბლევსკიმ დაჰგმო ნაციონალური სეპარატიზმი და პოლონელ ხალხს რუს ხალხთან პოლიტიკურ თანამშრომლობისაკენ მოუწოდა, ბოლესლავ პრუსი თავს ჩერნიშევსკის მოწაფედ სთვლიდა.

მართლაც და განსაკუთრებული იყო პრესის ისტორიაში 70-იანი წლები. ბეჭდვითი სიტყვა უხილავი ძაფებით იყო დაკავშირებული ხალხთან. რუსეთი ირწეოდა ყრუ გუგუნით. რეაქციის შემოტევას საზოგადოებრივი აზრი რთული ტაქტით—შეტევით უპასუხებდა. ეპოქის ცნობილი პუბლიცისტი წარმოშობით პოლონელი — გრადოვსკი ასე ახასიათებს ამ ხელჩართულ ბრძოლას: „Мы постоянно были в наступательном положении относительно цензуры и под этим напором.

случалось, что она уступала сегодня то, что считали невозможным вчера" (Градовский, „Итоги", Киев, 1908 г. стр. 256),

მეტად საინტერესოა ცნობილი საზოგადოებრივი მოღვაწის გ. ზ. ელისეევის დღიურები. სიკვდილის სარეცელს მიჯაჭვული პუბლიცისტი აღფრთოვანებული იყო ჭეშმარიტი საზოგადოებრივი აზრის გამარჯვებით, რასაც გამოხატავდა ეზოპური ენის ლეგალური პრესა.

თუ მთავრობამ 1873-76 წლებში კონსტიტუციონალისტური კომედიის გათამაშებისას დაუშვა პრესის ერთგვარი შეღავათები, 1877-1878 წლებში იგი მთელი სიძულვილით უტევს მას, მაგრამ მონარქიზმი თავს ვერ ართმევდა ვერც საგარეო და ვერც საშინაო აწეწილობას. ამას კარგად გრძნობდა რუსეთის იმპერიის ყველა საღად მოაზროვნე მოვალაქე. საერთო სახალხო ოპოზიცია თავის უპირატესობებს არ სთმობდა. 1877 წლის 24 იანვარს სუსტი გოგონას—ვერა ზასულიჩის მიერ გასროლილმა რევოლვერმა გამოაფხიზლა რუსეთის მდუმარე წინააღმდეგობანი. ერთი წლის შემდეგ მთელ იმპერიას მოედო კვლავ ერთი სენსაცია. თბილისში მცხოვრებმა გამოჩენილმა პუბლიცისტმა ნიკო ნიკოლაძემ არც ერთი პირობა არ შეასრულა რეაქციის ეპოქის ცენზურისა: არ გამოაქვეყნა გარდაცვლილი დედოფლის აღსანიშნავი წერილი და არც შავი არშია შემოავლო თავის გაზეთს „ობზორს". ეს გაზეთი მან მრავალი ხერხით აქცია თამამი პროგრესული აზრების ტრიბუნად. გაზეთის თანამშრომლებად შემოკრიბა საფრანგეთიდან —ანრი როშფორი, პოლონეთიდან დარი ბაგნიცკი. დიდი ორგანიზატორული ნიჭის, პუბლიცისტური ავტორიტერის წყალობით ეს ორგანო აქცია ერთ ყველაზე უფრო თვალსაჩინოდ მთელ იმდროინდელ ლეგალურ პრესაში, რასაც აღიარებდნენ იატაკქვეშა გამოცემები ლონდონში და ციურიხში. ეპოქის სახელმოხვეჭილი პუბლიცისტი ნ. ნიკოლაძე 1878 წელს მთავრობამ განსაკუთრებული დანაშაულისათვის საველე სასამართლოს გადასცა. აქ ნიკოლაძემ სიტყვა წარმოთქვა, იგი არალეგალურმა მუშაკებმა ბროშურის სახით მთელ იმდროინდელი რუსეთის იმპერიის ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებს მოსდეს გადასაბეჭდად. ნიკოლაძის სიტყვა არსებითად თვითონ იყო უმჭევრმეტყველესი ბრალდება ძირმომპალი სახელმწიფო კანონმდებლობათა წინააღმდეგ. მთავრობა გრძნობდა, რომ ნიკოლაძის დასჯა ახალ აღელვებას გამოიწვევდა ხალხში. იგი დროებით იზოლირებულყვეს. გადასახლებაში მყოფ პუბლიცისტს აღფრთოვანებით სავსე წერილები მოსდიოდა ახალგაზრდობიდან, ნაცნობ და უცნობ მოღვაწეებიდან, შორეულ კუთხეებში მცხოვრები პუბლიცისტებიდან და სხვ. თანამგრძნობთა შორის ერთ-ერთი შორეულ პოლონეთში მყოფი პუბლიცისტი არტურ ლაისტი იყო. იგი წერდა ნიკო ნიკოლაძეს:

„ბატონო!

რამდენიმე ხანია ჩემი ყურადღება დაპყრობილია ქართველებისა და სომხების ინტელექტუალური ცხოვრებით. ამ ერების ლიტერატურამ აღმაფრთოვანა. მე ვარ თანამშრომელი რამდენიმე პირველხარისხოვანი გერმანული გაზეთისა: „Algemeine Zeitung", „St.-Pet. Herold" და სხვ. მეტად კმაყოფილად ჩავთვლიდი ჩემ თავს, რომ გერმანელებს,

ე. ი. ჩემს თანამემამულეებს, გავაცნო ქართული და სომხური ლიტერატურა...

მე თქვენ გთვლით ქართული პრესის ღირსეულ წარმომადგენლად და ქართველთა შორის ერთ-ერთ პირველ მწერლად. იმედი მაქვს, დახმარებას გამიწევთ ჩემი სურვილების ხორცის შესასხმელად... ამის გარდა, ძლიერ გამაბედნიერებთ, თუ გამომიგზავნით თქვენს ჟურნალს „ობზორს".

1880 წელს არტურ ლაისტი მეგობრების რჩევით ვარშავას გაეცლება. „საშიში მჩხრეკელობით დაავადებული" პუბლიცისტი ვარშავის სასწავლო ოლქის „მზრუნველის" და პოლიციის მეთვალყურეობის ორბიტში ექცევა. ის ვინც გაეცნობა წიგნს: Г. Ленский es Wanderers" რომელიც ამ დროიდან იწერებოდა, აშკარად დაინახავს, თუ რაოდენ ისტორიული, პოლიტიკური ალეგორიანობით აღსავსეა ლაისტის იმდროინდელი შეხედულებები. ნიჭიერი პუბლიცისტი იძულებული იყო ნებით გადასახლებულიყო ვოლინის გუბერნიის მიყრუებულ სოფელში. იგი აქ ერთ მემამულეს გაჰყვა შვილების აღმზრდელად. მდიდარ მემამულეს (რომელსაც ლაისტი თავის დღიურებში მხოლოდ და მხოლოდ "Z"-თი მოიხსენიებს) კამინკისეულ სასახლეში მეტად მდიდარი უცხოური ბიბლიოთეკა ჰქონდა. „ეს იყო ჩემი ცხოვრების საუკეთესო დრო" — წერდა ერთგან ლაისტი. აქ შეეძლო მას შეევსო და გაეფართოებინა თავისი ცოდნის სამყარო. კამინკისეულ პერიოდში მას კიდეე უფრო გაუცხოველდა ინტერესი აღმოსავლური კულტურისადმი და კერძოდ ქართული კულტურისადმი. ეს ინტერესი, როგორც თვითონ ლაისტი წერდა, ფრიდრიხ ბოდენშტეტმა გამოძღიერაო. სახელმოხვეჭილი გერმანელი პოეტი ფრიდრიხ ბოდენშტეტი ახალგაზრდობისას საქართველოში ცხოვრობდა. იმ დროს ეს იყო პატივითა და დიდებით მოსილი, ერთ-ერთი უპოპულარეს მგოსანთაგანი არა მარტო გერმანიაში, არამედ სხვა ქვეყნებისათვისაც. საკმარისია გავიხსენოთ, რომ მისი „მირზა შაფის სიმღერებმა" და „ათას ერთმა დღემ აღმოსავლეთში" პოეტის ცხოვრებაშივე გამოცემის საარაკო ციფრს მიაღწია. იკითხებოდა ყველა ევროპულ ენაზე. სახელმოხვეჭილ გერმანელ მგოსანს ლაისტი პირადად გაეცნო 1881 წელს იტალიაში მოგზაურობისას. მოხუცმა პოეტმა გაიზიარა ახალგაზრდის აღფრთოვანება საქართველოთი და ქართველი ხალხით, ურჩია საკუთარი თვალით ეხილა „XIX საუკუნემდე მოღწეული რაინდი ხალხი", გააცნო მათი პოეზია.

ამავე წელს ლაისტი ქართული ენის სწავლას იწყებს ჩვეული ენთუზიაზმით. ერთი წლის შემდეგ იგი ქართულ ტექსტებს კითხულობს, თვალს ადევნებს ქართულ პრესას, რომელიც მას მეგობარ ქართველებიდან მოსდის. ერთი ახლად შეძენილი ქართველ მეგობართაგანი იყო დავით ერისთავი.

დავით ერისთავს არტურ ლაისტი ჯერ კიდეე ადრე იცნობდა თბილისურ და პეტერბურგულ გაზეთში მოთავსებული შესანიშნავი ფელეტონებით. ქართველმა დრამატურგმა აღუთქვა ლაისტს დახმარებოდა ქართული კულტურის გაცნობის საქმეში. დავით ერისთავი ცდილობდა ლა-

ისტი პირადად გაცნობოდა გამოჩენილ ქართველ მოღვაწეებს. ლაისტი იმავე ხანებში (1882 წლის 24 იანვარს) წერილს უგზავნის აკაკი წერეთელს:

„ჩემო ბატონო!

ბატონმა დავით ერისთავმა სიკეთე მოიღო და მომწერა თქვენი მისამართიც. ვსარგებლობ, რათა გთხოვოთ დახმარება ზოგიერთ ლიტერატურულ საქმეში; რაც შეეხება თქვენს მშვენიერ სამშობლოს, უკვე რამდენიმე ხანია თვალყურს ვადევნებ თქვენი თანამემამულეების გონებრივ მოძრაობას; ვეცნობი თქვენს ისტორიას და მომავლისათვის თქვენს ღონისძიებასაც...

მე მხატვრული სიტყვის მსახური ვარ, ვწერ გერმანულად და პოლონურად. მინდა ვიტვირთო ინტელექტუალური ურთიერთობის დამყარება ამ ორ ერსა და თქვენს თანამემამულეთა შორის... ამ შრომისათვის გასაღები—ქართული ენის ცოდნაა. თუმცა მე უკვე დავიწყე მისი სწავლა, მაგრამ, მგონია, ეს დააგვიანებს ჩემს მუშაობას...“

არტურ ლაისტი აკაკის შემდეგ მოუთხრობს, რომ ის მუშაობს ტრაგედიაზე, რომელიც მიუძღვნა თამარ მეფეს.

ქართველი მოღვაწეების დახმარებამ არტურ ლაისტს გააბედინა გერმანულ და პოლონურ ენებზე გადაეთარგმნა ქართული პოეზიის ნიმუშები და შეედგინა მათგან ალმანახი, რამაც შემდეგ საკმაო გამოხმაურება გამოიწვია სხვადასხვა ევროპულ ენებზე. 1883 წელს გერმანელმა მწერალმა მშობლიურ ენაზე, ჟურნალ „Magazin für Literatur“ გამოაქვეყნა ვრცელი წერილი ქართული ლიტერატურის შესახებ. სტატია და წერილი აკაკის გამოუგზავნა. ამის შესახებ ქართულმა პრესამ ვრცელი წერილები და თარგმანიც მოათავსა. ლაისტმა იმხანად ქართველი ხალხის საზოგადოებრივი ცხოვრების მანათობლის—ილია ჭავჭავაძის საქართველოში მიწვევის წერილი მიიღო. საქართველოში ჩამოსვლამდე ხელმადლიანმა პუბლიცისტმა კიდევ რამდენიმე წერილი მოათავსა გერმანულ და პოლონურ პრესაში. მაგრამ ეს საკმარისი არ იყო... იგი ფიქრობდა თავისი ალმანახის დასრულებას, ამას გარდა, საქართველოზე დიდი წიგნის დაწერას. საამისოდ კორესპონდენციებით სარგებლობა საკმარისი არ იყო...

1884 წლის 1/VI არტურ ლაისტი თბილისის სადგურის ბაქანზე პირველად მიუახლოვდა და ხელი ჩამოართვა მოწიწებით ქართველი ხალხის დიდ შვილს ილია ჭავჭავაძეს, რომელსაც გარს ეხვია სტუმრის დასახვედრად მოსული ქართველ მოღვაწეთა გუნდი. ამ პატივმა დიდად აღელვა გერმანელი ახალგაზრდა, რომელმაც თავისი სათქმელი ისევ ილიას ცნობილ სტრიქონებს მიანდო:

სამშობლო საყვარელო,
შენ როსღა აყვავდებიო...

სთქვა თავისებური, არტურისეული ქართულით, რომელმაც ერთბაშად და სამუდამოდ გაფანტა უცხოობის უხერხულობა მოსულსა და დამხვდურთა შორის...

ლაისტს ძლიერ აფიქრებდა თავისი როლი ქართველ მოღვაწეებთან და თვით ილიასთან შეხვედრა. ბუნებრივია, რომ ეს მისთვის უცხო ხალხი იყო. მას განსაკუთრებით ილია აინტერესებდა.

ლაისტი თავის დღიურებში იწერდა:

„პირველად ილია, თითქოსდა, ჩვეულებრივ მემამულედ მეჩვენა, ხოლო, როცა ახლოს გავიცანი, იგი ჩემს თვალში გაიზარდა: მე შევეგენი, თუ რაოდენი სულისა და ჭკუის კაცი იყო. ხალხში ჩვეულებრივად სიმშვიდეს იცავდა: არასოდეს არ ცდილობდა ვინმე თავისი ცოდნითა და გონებით მოეხიბლა..."

თბილისში დიდხანს არ დაუყოვნებია სტუმარს, თუმცა შეხვედრის დღეების შთაბეჭდილებანი მეტად მკვეთრი იყო.. ილიამ სტუმარი საგურამოში წაიყვანა. აქ ილიასთან საუბრებსა და მომავალი წიგნისათვის მასალების მომზადებას ასე იხსენებს არტურ ლაისტი:

„რა ნათელი დრო იყო: ხანგრძლივი საუბრები პოეზიასა და მშვენიერებათა შესახებ, საქართველოსა და მისი წარსულის შესახებ: საუბრები, რომლების დროს ბრწყინავდა მისი მდიდარი სული".

პოლონეთში დაბრუნებულმა ლაისტმა გერმანელ გამომცემელს გაუგზავნა თავისი პირველი დიდი წიგნი საქართველოზე: „Georgien, Natur, Sitten und Bewohner" (ლაიფციგი, 1885). როგორც მეუნაგიასადმი მოწერილი წერილებიდან ჩანს, ლაისტი ამავე ხანებში ამთავრებდა „ქართველი პოეტების" სასტამბოდ გამზადებას. ამავე წელს (1885) დაიბეჭდა ლაისტის მოგონებები საქართველოში ჩასვლის პირველი შთაბეჭდილებების შესახებ — „კოლხიდაში".

1885 წელს 5 აგვისტოს არტურ ლაისტი საქართველოშია კვლავ. მას სიხარულით შეეგება ქართველი ხალხი. პრესამ ვრცელი წერილები მოათავსა ქართული კულტურის ელჩის შესახებ. ლაისტს ამ ჯერზე განზრახული ჰქონდა განუსაზღვრელი დროით დარჩენილიყო საქართველოში, მას ხომ ბევრი ჰქონდა კიდევ გასაკეთებელი: რუსთაველის პოემა, ქართველი პროზაიკოსები, ქართული კულტურის სხვადასხვა დარგები.. ყველა ამათი გაცნობისათვის სტუმრობა არ იყო საკმარისი.

ლაისტი ჩვეული ხელმარჯვეობით შეუდგა განზრახულის შესრულებას: იგი უპირველესად „ქართველ პოეტებს" მიუბრუნდა. ილიას, მაჩაბლის და მეუნარგიას დახმარებით დაიწყო რუსთაველის პოემის ტექსტის შესწავლა. ამასობაში იგი გულმოდგინედ ეცნობოდა ხალხის ცხოვრებას. აკაკისთან და დავით ერისთავთან ერთად თითქმის ყოველ შაბათს ესწრება ქართული დასის წარმოდგენებს. მალე იგი ქართული წარმოდგენების მთავარი მონაწილეების—ვ. აბაშიძის, საფაროვას, გუნიას და სხვათა განუყრელი მეგობარი და აღფრთოვანებული თაყვანისმცემელი გახდა.

1887 წელს დაიბეჭდა „ქართველი პოეტები". ამ ალმანახს საკუთარ გაზეთში გამოეხმაურა ვრცელი წერილით გამოჩენილი გერმანელი პოეტი ფრიდრიხ ბოდენშტეტი. თითქოს ამ ჟესტით მან თანაგრძნობის ხელი გა-

მოუწოდა ახალგაზრდობის დროის მის პოეტურ ნავსაყუდარ თბილისში მყოფ თანამემამულეს.

ლაისტი ბოლოს და ბოლოს თავისი მუყაითობით და ყურადღებიანობით აუცილებელი წევრი გახდა თვით ქართული საზოგადოებისთვისაც. ყველასათვის სასურველი სტუმარი, მეგობარი და თანამშრომელი. „ივერიის“ სხდომათა აუცილებელი მონაწილე, „ვეფხისტყაოსნის“ კომისიის წევრთაგანი, რაფიელ ერისთავის იუბილის, ლიტერატურულ საღამოთა საპატიო დამსწრე—იგი ყველგან არის, სადაც არიან მისი დიადი მეგობრები: ილია, აკაკი და სხვები. აი როგორ იგონებს ლაისტს მანსვეტაშვილი: „ლაისტი გერმანელი იყო. კარგი განათლებული... რამდენი ცოდნა შეგვიძენია რედაქციის თანამშრომლებს იმისაგან. დაუღალავი მუშაკი, მედგარი მშრომელი. რა საქმესაც დაადგებოდა, მტკიცედ ადგა და მანამ მიზანს არ მიაღწევდა, გზას არ გადაუხვევდა. სულ ორსამ წელიწადში საფუძვლიანად შეისწავლა ქართული, თავისუფლად ლაპარაკობდა, თავისუფლად წერდა...“

არტემ ახნაზაროვი „ივერიის“ საღამოებზე დამსწრე მუდმივ წრეში არტურ ლაისტსაც ასახელებს. ქართველი მწერლები უომისოდ როდი მიდიან ქალაქგარეთ სანადიმოდა და სასეირნოდ. ტკბილმოუბარ ადამიანს ილიასთან ერთად საგურამოში მგზავრობისას დასტა-დასტად გერმანული და სხვა ევროპული წიგნები მიჰქონდა, რომელსაც ორნი მეორე კვირამდე საგზლად იზოგავდნენ. „ნეტარი იყო ის დღეები“ — იხსენიებდა ხშირად ილიას შემდეგ ლაისტი.

1889 წელს არტურ ლაისტი თავისი წიგნების გამოცემის მოგვარების მიზნით ევროპაში მიემგზავრება. ერთ ხანს ის პოლონეთშია, შემდეგ გერმანიაში. „ქართველი პოეტები“ თავის გამომცემელს—პიერსონს ჩააბარა, საიმედოდ დაიგულა „ვეფხისტყაოსნის“ საქმეც, გერმანულ ჟურნალებში დაიწყო ქართული ლიტერატურის შესახებ წერილების წერა. მას არ ავიწყდება საქართველოში წერილების გამოგზავნაც. სწორედ ამ დროიდან დაიწყო „ივერიამ“ დასავლეთ ევროპის ცხოვრებისა და ხელოვნების შესახებ ლაისტის სტატიების იმ ვრცელი სერიის ბეჭდვა, რომელიც გაგრძელდა 1906 წლამდე. ხელხვავიანი მწერალი უცხოეთში იწყებს თავის ავტობიოგრაფიული ხასიათის თხზულების: „Rudolf Bolts Wanderleben“ -ის წერას. ევროპაშივე იბეჭდება მისი „სომეხი პოეტები“, „ლიტერატურული ესკიზები“. დაუღალავი ადამიანი მოგზაურობს ავსტრიაში, იტალიაში, თურქეთში და სამი წლის შემდეგ (1892 წ.) ისევ საქართველოს უბრუნდება. საქართველოში ჩამოსული არტურ ლაისტი განაგრძობს მუშაობას ევროპაში დაწყებულ თავის შესანიშნავ წიგნზე—„Tagebuch eines Wanderers“, („მოგზაურის დღიურები“).

იტალიაში მყოფი გერმანელი მწერალი აღშფოთებულია პრუსიელი რეჟიმის მძიმე ქუსლის შედეგებით.

„დიდებული და ხალისიანი, ხანდახან ამაზრზენი ამბებით სავსე ქალაქი ვენეცია ახლა დადუმებულა... როგორ იბოგინებს ხელოვნების მშვენიერების განცდა და სიცოცხლის ხალისი ამ რკინისებრი ჩაგვრისას?“—

კითხულობს წარმოშობით გერმანელი მწერალი გერმანულ ლანდსკნეხტებისაგან უზარმაზარ ყაზარმად ქცეულ ხელოვნების ქალაქის შესახებ.

„ნაღვლიანად გავცქერი მომავალს, — წერს ის თავის დღიურებში ვენეციას ყოფნისას, —სულ სხვა ადამიანებს მოველი აქ მომავალში, ისინი დღევანდელზე უფრო საზრიანი საქმოსნები იქნებიან, მაგრამ მათში ჩამქრალი იქნება ჭეშმარიტი ხელოვნებით გატაცების უნარი. საით მივყავართ ჩვენს ცივილიზაციას?

— უდაბნოსაკენ, სადაც ერთფეროვნება, ერთგვარი აზრები დაისადგურებენ...“

ასეთია არც თუ ისე ცნობილი გერმანელი მწერლის ჭეშმარიტად მეტად მახვილი ისტორიული ალღოიანობით ნაკარნახევი აზრი, იმპერიალიზმის კარიბჭეზე მდგარ ევროპის შესახებ.

„რომში, რომელიღაც ბაღში, ერთ უბრალო მემუსიკესა და სამხრეთ იტალიური სიმღერების შემსრულებელს მოვუსმინე. ნაღველი აღმეძრა საქართველოზე“—წერდა ის და ახსენდებოდა ქვეყანა, რომელშიაც მან იგრძნო სიმწარე და სიტკბო სამკვიდროს სიყვარულისა.

„სამშობლოს ქონება ადამიანში იწვევს რიგ კეთილშობილურ თვისებებს. ადამიანები, რომლებიც წყდებიან სამშობლოს და წუთისოფელს ატარებენ, თანდათან ჰკარგავენ სიკეთის იდიალებს. მათი მისწრაფებანი მკვეთრად მერკანტილური ხდებიან“ წერდა ის ადამიანებზე, რომლებსაც ხედავდა შორეული ქვეყნების დიდ სავაჭრო ქალაქებში, რომლებისთვისაც ერთადერთი საკურთხეველი ეგოისტური ყოფა დარჩენილიყო ამქვეყნად.

არტურ ლაისტი, რაკი გული საგულეს დაიგულა, შეუდგა თავისებურ ხელსავიან შრომას. ასეთი იყო 1892—1900-იანი წლები. ამ დროს დაიწყო თავისი დიდი შრომის „ქართველი ხალხის“ წერა („Das georgische Volk“ დრეზდენი, 1903 წ.) ამ ხანებში გამოსცა ხელმეორედ შეესებული „ქართველი პოეტები“ (გამოვიდა 1900 წელს დრეზდენში) და „საქართველო“ („Georgia, Natur, Sitten....“) გამოდის „რუდოლფ ბოცის მოგზაურობანი“ (დრეზდენი-ლაიფციგი. 1897) „სომეხი პოეტები“ (დრეზდენი-ლაიფციგი, 1898), ამავე ხანებში დაამთავრა თავის მოქალაქეობრივი სითამამითა და სხვა მრავალმხრივ საინტერესო „მოგზაურის დღიურებიც“.

საქართველოში მყოფ ლაისტს განსაკუთრებით აინტერესებდა ქართული პროზის განვითარების საკითხები, ქართული ბიბლიოთეკის ევროპული კლასიკური ლიტერატურის ნიმუშებით შევსების ამბავი. ამ საქმის აგიტაციის მიზნით ის „ივერიაში“ ათავსებს ვრცელ წერილებს „ფრიდრიხ შილერი“, „იტალიის ხელოვნება და ლიტერატურა“, „ცხოვრება და მწერლობა სკანდინავიაში“, „ჰენრიკ სენკევიჩი და პოლონელები“ და სხვ.

1906 წელს ლაისტი თბილისელ განათლებულ გერმანელებთან ერთად აარსებს „გერმანელ-ქართველთა საკულტურო საზოგადოებას“, ამავე წელს მისი ხელმძღვანელობით გამოდის გაზეთი „Kavkasische Post“,

ჯარასავით ტრიალებდა წახალისებული გერმანელი მეგობარი: აქ

ქართველთა შორის ევროპული ტექნიკის გავრცელებისათვის იბრძვის, იქ სახელოსნო კურსებს აარსებს—გერმანელ ოსტატებს იწვევს თავის სამშობლოდან. აქედან გერმანიაში გასაგზავნ ქართველ სტუდენტებისათვის სახსრებს ეძებს. საამისოდ წინასწარ წერილებს სწერს თავის მეგობრებს გერმანელ ორიენტალისტებს. არ გადის ერთი კვირა, რომ თავისი დიდი მეგობარი ილია არ მოინახულოს. მათ ახლა უფრო მეტი შინაური საერთო საქმეებიც აქვთ. მოხუც ილიას არტურთან ერთად თუნდაც მდუმარედ ყოფნა დიდ სიამესა ჰგვრიდა.

1907 წლის 21 აგვისტოს ლაისტი ჩვეულებისამებრ ესტუმრა ილიას. ეს იყო უკანასკნელი ხანგრძლივი ყოფნა ერთად. უხალისოდ გრძნობდა ილია თავს.

ერთი კვირის ერთად ყოფნის შემდეგ ილია, ოლღა და ლაისტი თბილისში დაბრუნდნენ. ვერის დაღმართზე დაემშვიდობნენ ერთმანეთს მეგობრები.

„—ვნახავთ ერთმანეთს!—მითხრა ილიამ,—წერდა ამ უკანასკნელი სიტყვების შესახებ ლაისტი, — მითხრა ილიამ, მაგრამ რაღაც დიდხანს ვუცქეროდი მიმავალს, სანამ მისი ეტლი მთლად არ მიიმალა ვერის დაღმართზე... განა წინასწარ გრძნობდა ჩემი გული, რომ ამის შემდეგ ვეღარ ვნახავდი, ეს იყო, უკანასკნელი ნახვა?

მშვიდობით, მშვიდობით, ძვირფასო, დაუვიწყარო მეგობარო!..“

სამი დღის შემდეგ ილია საბედისწეროდ დაბრუნდა საგურამოსაკენ.

მთაწმინდამდე მოაღწია საზარელმა ამბავმა „ილია მოკლესო“. ილიას განუყრელი მეგობარი პირველსავე ეტლით გაემართა მკვლელობის ადგილისაკენ...

• • •

ღამდებოდა... არაგვის ხეობიდან მწუხრი ისმოდა სვეტიცხოვლის ზარებისა, ილიას წმინდა შუბლიდან დანათხევ სისხლის ნაკვალევთან მუხლებზე დამხობილ ნაცნობ „ლემენცს“ შორიახლო მდუმარედ დაჰყურებდნენ გულმდუღარე, გულმართალი საგურამოელი გლეხები.

9 სექტემბერს სიონის ტაძრისაკენ გათენებიდანვე აუარება ხალხი დაიძრა. ეკლესიიდან ილიას წმინდა ცხედარი ცხვედაძემ, ანტონ ფურცელაძემ და არტურ ლაისტმა გამოასვენეს. უკან მისდევდა გულმდუღარე ხალხი. ერთი გრძნობითა და აზრით გაერთიანებულ ქართველთა ასეთი თავყრილობა ას წელზე მეტი ხანია სიონის ეკლესიის გალავნის კედლებს აღარ ენახა—წერდა პრესა.

• • •

ილიას სიკვდილის შემდეგ ლაისტმა იგრძნო, რომ სულ სხვაგვარად შეცვლილიყო ცხოვრება... ათი წელი დუმდა ილიას მეგობარი. აღარა დაუწერია რა მის კალამს. მაგრამ მეგობრის სახელისათვის ზრუნვაზე ხელს რა ააღებინებდა...

1917 წელი... ყველაფერი დაიძრა ადგილიდან. ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ძველი ფორმების სავარძელზე წამოდგნენ ეპოქის ზარზეიმიანი მსვლელობის შესახვედრად ქართველი ხალხის შვილები. სამწუხაროდ, მათ ნაცვლად პირველ რიგებში საქართველოს უღირსნი— მენშევიკები გამოჩნდნენ, მაგრამ მათი პანტომიმა მალე ჩამოეცალა ერის მომავალ, ტრიუმფალურ მსვლელობას.

საქართველოს ერთგულ მეგობარს ბევრჯერ ასმინეს მენშევიკებმა ილიას აუგად ხსენება. მან პირველმა აღიმაღლა მათ წინააღმდეგ ხმა და დაიწყო ჟურნალ „განათლებაში“ დიდ ეროვნულ მოამაგეზე მოგონებების წერა.

„საგურამოს სახლებში, დიდი ხანია, რაც სიწყნარეა და სიცარიელე, მაგრამ XIX საუკუნის მეორე ნახევრის ლიტერატურასა და საზოგადოებრივს ცხოვრებაში ეს კუნჭული უდიდეს როლს თამაშობდა და მისი მოგონება სამუდამოდ შეერთებულია საქართველოს ახალს გონებრივ ცხოვრებასთან“.

ამ სიტყვებს წერდა ლაისტი ილიას დაბადების დღეებში; წერდა მაშინ, როდესაც მეგობრებმა გააფრთხილეს, ხელი აიღო ილიას სახელზე. „მეტისმეტი ზრუნვისაგან“ საშიშ დროს.

1919 წელს „საქართველოს რესპუბლიკის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ ლაისტმა სთხოვა დაებეჭდათ მისი მოგონებები. ამ ?ერზე ვერ შეუსრულეს თხოვნა მას. ქართული საზოგადოებრივი ცხოვრება კვლავ ძველს დიდსა და დარბაისლურ ჩვეულ გზას გაჰყვა. ქართველი მწერლების ინიციატივით 1922 წლის 12 სექტემბერს ილიას გარდაცვალებიდან 15 წლისთავი გადაუხადეს. ქართველი მწერლების მადლიერ გუნდთან ერთად იყო ამ შემთხვევის გამო გახარებული ილიას მეგობარიც.

ამ ხანებში ქართული კულტურის პოპულარიზაციის მოამაგეს ხელი გაუწოდეს თედო სახოკიამ და ალექსანდრე აბაშელმა. გამოვიდა პირველი წიგნი ლაისტის „საქართველოს გულისა“.

მოხუცებულობისას კვლავ ხალისიანად დასტრიალებდა ქართულ საზოგადოებრივ საქმეებს. ის „სრულიად საქართველოს ხელოვანთა და მწერალთა კავშირის“ საპატიო წევრთა რიგს ეკუთვნოდა. ქართული გაზეთებში: „ქართული სიტყვა“, „ბახტრიონი“, „ილიონი“, „რუბიკონი“, „ლომისი“, „თემი“ გამუდმებით იბეჭდებოდა ქართველი ხალხის ერთგული მეგობრის წერილები.

1922 წელს პრესამ საზოგადოებას აუწყა XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების მოწამისა და თანაზიარის იუბილეს გადახდის შესახებ. გაზეთების ფურცლებზე დაიბეჭდა ვალერიან გუნიას, თ. სახოკიას, კონსტ. გამსახურდიას, ხომლელის და სხვების გულთბილი წერილები.

22 ოქტომბერს დიდძალი ხალხი შეიკრიბა კონსერვატორიის დარბაზში ილიას განუყრელი მეგობრის და ქართული მადლიანი სიტყვის კიდით

ვიდემდე გამავრცელებლის 40 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავ საღამოზე. ზეიმში მონაწილეობა მიიღეს უცხოელებმაც. სიტყვები, მოლოცვები აღელვებდა მოხუცს. ამ საღამოზე უწოდეს მას სწორედ „ჩვენი დროის ბბო“.

„ქართველმა იცის თავისიანის დაფასება“—გაახსენდა არტურს ილიას, ბიერ 40 წლის წინათ ნათქვამი სიტყვები მასთან პირველი შეხვედრისას.

• • •

მთაწმინდაზე, ძველისძველი სვეტებიანი სახლის ფანჯარასთან მოგონებების წერაში აღამდებოდა არტურ ლაისტს. მოკრძალებული არტურ ლაისტი მოხუცებულის სუსტი ხელებით მოწიწებით ტოვებდა მოგონებებს რედაქციების მაგიდაზე. „ქართველები და ზღვა“, „ქართველი ქალები“, „საქართველოს სილამაზე“, „ჩემი მოგონებები საქართველოში“, „ქუთაისი“, „ვაჟა-ფშაველა“, „ქართული ბაღი“ და სხვ. კვლავ ახარებენ მკითხველის გულსა და გონებას თავისებური, არტურისეული კალმის მადლით.

დღესაც ახსოვთ მთაწმინდელებს საღამოობით 7-8 საათზე დასასვენებლად „სასამართლოს“ ეზოს „ტროტუარზე“ გამოსული გამხდარი, მუდამ გაბრთულად მოსიარულე მოხუცი. ახლომყოფებს ისიც ახსოვთ, რომ მასთან საღამოობით მოდიოდნენ ხშირად თედო სახოკია, გერონტი ქიქოძე, ალექსანდრე აბაშელი, ილიასა და მისი პირადი მეგობარი, კარის მეზობელი და ექიმი ტიტე ქიქოძე და სხვ. დიდი მეგობრის გარდაცვალებიდან 22 წლისთავი სრულდებოდა იმ წელს. მოხუცი ცოლ-ქმარი ლაისტები ჩვეულებისამებრ შაბათ დღეს ავიდნენ საგურამოში მისახედ-მოსახედად.

გაზაფხულის დამდეგს არტურ ლაისტს ფილტვების ანთება დაემართა, ლოგინად ჩავარდა და აღარც ამდგარა. გონს მოსულს თავთ მეგობრები ედგნენ. მათ პირველი ის სთხოვა „ნაწერები შემინახეთო“. მთელ ევროპაში ნამყოფ ფურცლებს შორის, რომელიც იხსენიებდნენ მის შორეულ მოგზაურობას და მის კარგ ახალგაზრდობას, ტკბილად მოსაგონარს მოხუცისათვის, ერთი ახალი ფურცელი ერია. აქ ასეთი რამ იყო ქართულ ენაზე არტურის ნაცნობი ხელით წარწერილი:

„მაპატიე ჩემო პატარა, სამშობლოსნაცვალო — საქართველო, თუ ჩემი მცირი (მწირი) ღვაწლით ღირსი არა ვარ შენს წმინდა მიწაზე დასაფლავებისა“. ეს ხომ არ იყო ავტოეპიტაფია დიდი ქართველების სახელს შებერებულ უცხოშობილ მეგობრისა?

თეიმურაზ ფირალიშვილი

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

გვ. 3. ლ ა ი ს ტ ი ამ მოგონებებს წერს სიცოცხლის ბოლო ხანებში. გაზეთ „თემის", „საქართველოს", „ქართული სიტყვის", „ბახტრიონისა" და სხვებისათვის. მოგონებათა ერთი ნაწილი, როგორც ქართველი მოღვაწეები (თ. სახოკია, გ. ლეონიძე და სხვ.) პირად საუბარში აღნიშნავდნენ, დაიწერა სახელდახელოდ, თვით რედაქციის მაგიდაზე. რამაც გამოიწვია როგორც გამეორებები, ისე ფაქტობრივი შეცდომები. პირველ მოგონებაში („პირველად ილიასთან", გვ. 3) ილიასთან შეხვედრას ათარიღებს 1885 წლით, მეორეში კი („ილიას ახლობლები", გვ. 6) 1886 წლით. ლაისტი საქართველოში პირველად ჩამოვიდა 1884 წლის ივნისის დამდეგს. მაშინ ილია ორმოცდაშვიდი წლისა იყო და არა ორმოცდახუთისა. საქართველოში ლაისტი ხელმეორედ 1885 წელს ჩამოვიდა და სამუდამოდ დასახლდა აქ.

გვ. 3 „დ რ ო ე ბ ა" დაიხურა 1885 წლის 16 სექტემბერს (ძველი სტილით) შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებით მთავრობის საწინააღმდეგო მიმართულების გამო. მართალია, ამ პერიოდში „დროება" და „ივერია" საკუთარი პროგრამით გამოდიოდნენ, მაგრამ პირველის დახურვის გამო „ივერია"-„დროების" თანამშრომლები ერთ ორგანოში— ახალ „ივერიაში" გაერთიანდნენ.

გვ. 4. ლ ა ი ს ტ მ ა ქართული პოეზიის ალმანახის „Georgi che Dichter" შედგენისათვის მუშაობა დაიწყო ჯერ კიდევ ადრე 1880-81 წლებში. საქართველოში მან ილიას უშუალო დახმარებითა და სხვა ქართველ მოღვაწეთა (ი. მეუნარგია, რ. ერისთავი და სხვა) შემწეობით შეამოწმა და შეავსო თავისი თარგმანები. გამოსცა 1887 წლის ლაიფციგში „ქართველი პოეტების" სახელწოდებით.

გვ. 6. ნ ი კ ო ც ხ ვ ე დ ა ძ ე (1845—1911) —ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი. „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" ერთ-ერთი დამფუძნებელი.

გვ. 9. ვ ა ლ ე რ ი ან გ უ ნ ი ა (1864—1938)—ქართველი თეატრალური მოღვაწე და ლიტერატორი, მისი რედაქტორობით გამოდიოდა „საქართველოს კალენდარი", რომელშიაც მან აღნიშნა არტურ ლაისტის საქართველოში მოღვაწეობის ოცი წლის თავი. ვ. გუნია 1884 წლიდან

მუშაობდა ილიას „ივერიაში". ამ დროიდან გუნია უახლოესი მეგობარია არტურ ლაისტისა.

გვ. 9. **დავით ერისთავი** (1817—1890)—გამოჩენილი ქართველი კომედიოგრაფის გიორგი ერისთავის ვაჟი, ცნობილი ქართველი მოღვაწე, ჟურნალისტი, დრამატურგი და მწერალი. 70-იანი წლებიდან მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა ნიკო ნიკოლაძის გარშემო შემოკრებილ იმ პუბლიცისტთა საქმიანობაში, რომლებიც რუსული პრესის ფურცლებზე გამოდიოდნენ ქართული კულტურის პრესტიჟის ღაცვის დროშით. ლაისტი მას უახლოვდება ჯერ კიდევ 1881 წელს პეტერბურგში. ერისთავი 1886 წლიდან ახლო დგება „ივერიასთან".

გვ. 10. **ვასო თუმანიშვილი** (1857—1912)—ცნობილი ქართველი რეჟისორი და ლიტერატორი, ქართველი პოეტისა და საზოვადო მოღვაწის მიხეილ თუმანიშვილის ვაჟი, ძმა ქართველი პუბლიცისტების—გიორგი და კონსტანტინე თუმანიშვილებისა. თეატრისადმი ინტერესი თუმანიშვილს ადრეევ გამოუმჟღავნებია. ჯერ კიდევ გიმნაზიაში სწავლის დროს მას მონაწილეობა მიუღია როგორც სცენის მოყვარეთა, ისე პროფესიონალთა მიერ გამართულ წარმოდგენებში. გიმნაზისტ ვასოს მოსკოვის მცირე თეატრის ცნობილმა მსახიობმა პრავდინმა „რეპეტილოვის ბრწყინვალე შემსრულებელი" უწოდა. 70-წლებში ვ. თუმანიშვილი მოსკოვის პოლიტექნიკურ სასწავლებელში სწავლობდა, შემდეგ კი — პეტროვ-რაზუმოვსკის აკადემიაში ამ პერიოდში იგი მეტი ყურადღებას ეკიდებოდა თეატრალურ განათლებას, ვიდრე საინჟინრო საქმეს. საქართველოში ჩამოვიდა როგორც უკვე განათლებული რეჟისორი. 1886—88 წლებში თუმანიშვილი ხელმძღვანელობდა ქართულ დასს.

გვ. 10. **წერილი დაიწერა გაზეთ „თემისათვის" 1912 წელს.** ამ დროს გამოჩენილი ქართველი მოღვაწე ილია წინამძღვრიშვილი ცოცხალი იყო და განაგრძობდა თავდადებულ მუშაობას. ლაისტი აქ წერს, თითქოს წინამძღვრიანთკარის გარდა მსგავსი ტიპის სკოლა იმ დროს საქართველოში არ არსებობდა. ეს არ არის სწორი. ამგვარი სკოლა იყო სოფელ ავლევში (გორის რაიონი), იგი დააარსა განათლებულმა აგრონომმა კონსტანტინე ამირეჯიბმა.

გვ. 12. **კონსტანტინე მუხრანბატონი** — სამხედრო პირი, ილიასთან დაახლოებულთაგანი. კ. მუხრანბატონმა რუსეთ-თურქეთის ორივე ომის დროს დიდად გამოიჩინა თავი, მას არა ერთხელ უბოძეს მაღალი ხარისხის ჯილდო. 80-იან წლებში იგი პენსიაზე გადავიდა და სამოქალაქო საქმიანობაში ჩაება, რამდენიმეჯერ იყო არჩეული თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღვრად.

გვ. 12. **ბურსაკი**—ბურსა თავისებური პანსიონი იყო უკრაინაში. მისი აღზრდილები, როგორც გოგოლი აღნიშნავს, თავნება და აღვირახსნილი ხასიათის ყმაწვილები იყვნენ. ხიზანიშვილის ბურსაკობაში იგულისხმება მისი დაუდგრომელი ხასიათი და ცინიკური გულახდილობა.

გვ. 15. **გაბაშვილი გიგო** (1862—1936)—ქართული ფერწერის გამოჩენილი ოსტატი. 1888 წელს დაამთავრა პეტერბურგის აკადემია.

ამავე წელს დაბრუნდა საქართველოში. გაბაშვილის შემოქმედებაში ქართულ თემაზე დაწერილი ტილოებია: „მძინარე ხევსური“, „მოდარაჯე ხევსურები“, „ალავერდობა“, რომლებშიაც უკვე ნათლად გამოიკვეთა ავტორის განთავისუფლება ადრინდელ ბურჟუაზიულ-სალონური უიდეო ხელოვნების თემატიკიდან. ცხრაასიან წლებში გაბაშვილმა დახატა რამდენიმე ცნობილი მოღვაწის პორტრეტი, მათ შორის, ილია ჭავჭავაძისაც. ეს პორტრეტი მან დაიწყო ილიას სიცოცხლის უკანასკნელ წელს და დაასრულა წიწამურის ტრაგედიის შემდეგ. 1922-31 წლებში გაბაშვილი თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორად მუშაობდა. გამოჩენილ ქართველ მხატვარს ორასამდე სურათი ეკუთვნის, რომელთა საგრძნობი ნაწილი ქართული ფერწერის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს.

გვ. 15. ი ლ ი ა ო ქ რ ო მ ჭ ე დ ლ ი შ ვ ი ლ ი (სერებრიაკოვი) — ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე, ლიტერატორი და ფილოლოგი, მოსკოვის ლაზარევის ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის პროფესორი. ოქრომჭედლიშვილი ილიასთან დაახლოებული პიროვნება იყო. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ დიდ მონაწილეობას ღებულობდა ქართულ საზოგადოებრივ საქმიანობაში. მის კალამს ეკუთვნის ბევრი პუბლიცისტური წერილი, რომლებიც გაბნეულია ქართულ პერიოდულ გამოცემებში.

გვ. 16. გ ო ტ ფ რ ი დ მ ე რ ც ბ ა ხ ე რ ი (1863—1926)—გერმანელი გეოლოგი და მწერალი, გულმოდგინედ შეისწავლა ტიან-შანის და კავკასიის მთიანეთი, რომლის მწვერვალებზე არა ერთხელ ასულა იგი. 1890-91 წლების ალპინისტური გადასვლების დროს მან ინახულა საქართველოს მთიანეთი, რომელსაც უძღვნა ლაისტის მიერ დასახელებული წიგნი „კავკასიონის მაღალ მთიანეთიდან“. მერცბახერმა მეტად მდიდარი მასალა დატოვა კავკასიის გეომორფოლოგიიდან, კარტოგრაფიიდან და სხვა დარგებიდან.

გვ. 17. გ ი გ ო ყ ი ფ შ ი ძ ე (1859—1923) ცნობილი ქართველი პუბლიცისტი. 1886 წლიდან ილიას მოწვევით „ივერიის“ რედაქციაში იწყებს მუშაობას რედაქტორის თანაშემწედ. ლაისტი თავის მოგონებებში არა ერთხელ აღნიშნავს, გ. ყიფშიძე ილიას მარჯვენა ხელი იყოო „ივერიის“ გამოცემაში. 80-იანი წლების მანძილზე რამდენიმე წერილი დაბეჭდა ისტორიის და ხელოვნების საკითხებზე „ივერიაში“. მის კალამს ეკუთვნის თარგმანებიც.

გვ. 17. ი ლ ი ა ბ ა ხ ტ ა ძ ე (ხონელი) (1858—1900) — ქართველი პუბლიცისტი, სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტში. ამ დროს მონაწილეობდა ქართულ და რუსულ პერიოდულ გამოცემებში. 1886 წლიდან რეგულარულად თანამშრომლობდა გაზეთ „კავკაზში“, ამავე ხანებში „ივერიაში“ და თითქმის ყველა ადგილობრივ გამომცემლობაშიაც იწყებს თანამშრომლობას.

გვ. 17. ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ნ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი — ქართველ ხალხსანთა მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, განათლებით

ექიმი. 80-იან წლებში იწყებს პუბლიცისტურ მოღვაწეობას. თანამშრომლობდა „იმედში“, შემდეგ „ივერიაში“. 1883 წელს მთავრობამ სხვა ხალხოსნებთან ერთად გადაასახლა ციმბირში, საიდანაც დაბრუნდა 1887 წელს. ამის შემდეგ ნანეიშვილი უმალ ჩაერთო ქართველ პუბლიცისტთა წრეში. მისი წერილები იბეჭდება „ივერიაში“, „ნოვოე ობოზრენიეში“ და სხვ. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ნანეიშვილი მუშაობდა ქუთაისის ბანკსა და შავი ქვის მრეწველთა საბჭოში.

გვ. 19. **დ ა ვ ი თ მ ი ქ ე ლ ა ძ ე** (მეველე) (1844—1918) — ცნობილი ქართველი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე. უმაღლესი განათლება საფრანგეთში მიიღო, საიდანაც გაზეთ „დროებისათვის“ კორესპონდენციებს აგზავნიდა. 1873 წელს მან ნიკოლაძესთან და სხვებთან ერთად ჰექტოგრაფიული ჟურნალი „დროშა“ გამოსცა. საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ მიქელაძე თანამშრომლობდა „დროებაში“, რომლის დახურვის შემდეგ (1885 წ.) „ივერიაში“ გადავიდა. 90-იან წლებში მიქელაძე „ივერიის“ რედაქციის გამგე და ფაქტიური რედაქტორიც იყო.

გვ. 19. **ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ს ა რ ა ჯ ი შ ვ ი ლ ი** (1851—1914) — ქართველი საზოგადო მოღვაწე. უმაღლესი განათლება ქენევაში მიიღო, საიდანაც „დროებას“ აწვდიდა წერილებს. საქართველოში დაბრუნებისას ჟურნალ „მოამბეში“ დაბეჭდა წერილები „ევფხისტყაოსნის“ ყალბი ადგილების შესახებ, რამაც საკმაოდ სერიოზული ლიტერატურული რეპუტაცია შეუქმნა ქართველ საზოგადოებაში. 1884 წელს სარაჯიშვილმა ილია ჭავჭავაძესა და პ. უმიკაშვილთან ერთად გამოსცა „ეისრამიანი“.

გვ. 20. **ე კ ა ტ ე რ ი ნ ე გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი** — იყო პირველთაგანი, რომელიც გაიცნო არტურ ლაისტმა მასთან (ლაისტთან) შეხვედრის გამო მოწყობილ სადილზე ილია ჭავჭავაძესთან 1884 წლის პირველ ივნისს. ეს იყო პირველი სტუმრობა მწერალი ქალისა ილია ჭავჭავაძის სახლში, რასაც ის სიცოცხლის დასასრულს იგონებს.

გვ. 20. **სტ ე ფ ა ნ ე ჭ რ ე ლ ა შ ვ ი ლ ი** (1859—1917) — ქართველი ხალხოსანი, მიშა ყიფიანთან, ალ. ნანეიშვილთან, ალ. ჯაბადართან და ეასილ ცეცხლაძესთან ერთად იგი მონაწილეობას ღებულობდა თბილისის არალეგალურ პოლიტიკურ წრეში. სხვა წევრებთან ერთად ისიც გააციმბირეს 1883 წელს. ჭრელაშვილი ილიას უახლოვდება 1888-89 წლებში. სტეფანე ჭრელაშვილი ქართულ პუბლიცისტიკაში ცნობილია როგორც ჟურნალ „იმედის“ თანამშრომელი. 1883 წელს ციმბირში გადასახლებული „ივერიას“ სამოსა და ატალას ფსევდონიმებით წერილებს უგზავნიდა.

გვ. 20. **ლ ე ვ ა ნ ჯ ა ნ დ ი ე რ ი** — ილიას სკოლისდროინდელი ამხანაგი და შემდეგ უახლოეს მეგობართაგანი. ჯანდიერი მსახურობდა თბილისის მაზრის და შემდეგ სოხუმის ოლქის უფროსად. ცხრაასიან წლებში სამრეწველო საქმიანობას ეწეოდა. ჯანდიერი ილიას ოჯახის ხშირი სტუმარი იყო. სახელგანთქმული კახური სიმღერების შემსრულებელი ბევრჯერ იყო ილიას დღეობის დამამშვენებელი.

გვ. 20. **დ ა ვ ი თ ს ა რ ა ჯ ი შ ვ ი ლ ი** (1848—1911) — ცნობილი ქართველი მრეწველი და საზოგადო მოღვაწე. 1871 წელს დაამთავრა

ჰაიდელბერგის უნივერსიტეტი, იქვე დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. სარაჯიშვილი სამშობლოში დაბრუნებამდე უცხოეთში მეღვინეობის საქმეს სწავლობდა, საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ აქაც მეღვინეობას მიჰყო ხელი. დავით სარაჯიშვილის სახლი 1880—90-იან წლებში ქართველ მოღვაწეთა საკრებულო იყო, აქ 1882 წელს ილიამ წაიკითხა თავისი „განდეგილი“ და 1887 წელს „ოთარაანთ ქვრივი“. დ. სარაჯიშვილმა პირველმა დაამინავა არტურ ლაისტი უფასოდ თავის სახლში, რასაც გერმანელი მწერალი მრავალგზის იხსენებს თავის მოგონებებში.

გვ. 22. პ ე ტ რ ე მ ი რ ი ა ნ ა შ ვ ი ლ ი (1860—1940) — მრავალმხრივი ქართველი საზოგადო მოღვაწე: ლიტერატორი და სწავლული ფილოლოგი, ჟურნალისტი და პედაგოგი. იგი წარსული საუკუნის 90-იანი წლებიდან 1930 წლამდე მხარდამხარ მისდევდა ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებას. პ. მირიანაშვილი სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტში. 1884 წელს სწავლა განაგრძო სორბონის უნივერსიტეტში, სადაც დაამთავრა ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი. მისი ლიტერატურული მოღვაწეობა იწყება 1880 წლიდან გაზეთ „დროებაში“. შემდეგ გამუდმებით მონაწილეობს „ივერიასა“, „მწყემსსა“, „შრომასა“, „სახალხო გაზეთსა“, „მოამბესა“, „თემსა“ და სხვ. მრავალში. პ. მირიანაშვილმა ქართველ მკითხველს მიაწოდა, გარდა თავისი მეტად სერიოზული მეცნიერული შრომებისა, გოეთეს „ფაუსტი“, ჰომეროსის „ილიადა“ და „ოდისეია“, ევრიპიდეს „მედეა“, ესქილეს „მიჯაჭვული პრომეთე“ და სხვათა მთლიანი თუ ნაწილობრივი თარგმანი. ქართული საზოგადოების უფართოესი წრეებს იცნობს როგორც ოპერა „აბესალომ და ეთერის“ ლიბრეტოს ავტორს.

გვ. 23. „ ო თ ა რ ა ა ნ თ ქ ვ რ ი ვ ი ს“ შემოქმედებითმა ისტორიამ და ილიას საუბრებმა ახალი ქართული პროზის განვითარების გზების შესახებ, ძლიერი გავლენა მოახდინა არტურ ლაისტზე. ეს კარგად მოჩანს მოთხრობებში „ვარო“, „ნინო ვარაპანიძე“, ეს ორივე დაწერილია „ოთარაანთ ქვრივის“ პრობლემებთან დაკავშირებით. მოთხრობები გერმანულიდან ვანო მაჩაბელმა თარგმნა. ქართულად გამოქვეყნებულ „ნინო ვარაპანიძეს“ (იხ. ჟურნალი „მოამბე“, 1885, 1—2—3—4) გამოეხმაურა ცნობილი ქართველი კრიტიკოსი კიტა აბაშიძე („ივერია“, 1895, № 211—212). თხზულების ნაკლთან ერთად იგი აღნიშნავდა ამ ქართულ ოვაზე დაწერილ მოთხრობის „ახალი სულის“ შესახებაც. კიტა აბაშიძე გულისხმობდა სოციალური კრიტიკის გამახვილებას.

გვ. 31. ს ტ ა რ ო ს ე ლ ს კ ე ბ ი — სტაროსელსკებთან ილიას მოყვრობა ჰქონდა. დიმიტრი სიმონის ძე სტაროსელსკი — 70-იან წლებში საქართველოში მეფისნაცვლის მოადგილე —ილიას ქვისლი იყო და მამულებიც ახლოს ჰქონდა. ლაისტის მიერ ნახსენებ დროს კი დ. ს. სტაროსელსკი ბაქოში ცხოვრობდა. მამულის მართვა მთლიანად მოურავზე ჰქონდა მინდობილი.

გვ. 36. ვ ლ ა დ ი მ ე რ მ ი ქ ე ლ ა ძ ე — 1880 წლიდან თანამშრომლობდა რუსულ და ქართულ პრესაში — „დროება“, „ივერია“, „ტიფ-

ლისსკი ვესტნიკ"-ში და სხვ. ათავსებდა წერილებს, ფელეტონებს, ლიტერატურულ ნარკვევებს და ლექსებსაც. პროფესიით მასწავლებელი იყო, ასწავლიდა მსოფლიო ისტორიას. ქართულ საზოგადოებაში ცნობილი იყო თავისი ორატორული ნიჭით.

გვ. 36. ანდრია ღულაძე (1858—1920) — ჟურნალ „ნობათის" რედაქტორი; ერთ ხანს თანამშრომლობდა „ივერიაში" და „პიესებსაც თარგმნიდა ქართული სცენისათვის.

გვ. 40. თავისი წიგნების „საქართველოს" და „ქართველი ხალხის" მასალების შეკრების მიზნით არტურ ლაისტმა 1887 წელს ზაფხულში დასავლეთ საქართველოში იმოგზაურა. მას თან ახლდა ლავრენტი მგელაძე — ფოტოგრაფი. ერთ ხანს გერმანელ მეგობარს მოგზაურობაში ამხანაგობა გაუწია გიორგი წერეთელმაც.

გვ. 40. პროფესორი ბერტელიონი—აქ უთუოდ იგულისხმება ფრანგი მეცნიერი ბერტელო. ბერტელო საქართველოში სწორედ ამ დროს იყო. მისი სამეცნიერო შრომებით დაინტერესებულა ქართველი პედაგოგი ლუარსაბ ბოცვაძე. ბერტელოს ეკუთვნის მეცნიერული გამოკვლევა „ბუნება და ზეობა", რომელიც თარგმნილია ქართულადაც (იხ. „განათლება", 1916, № 11).

გვ. 40. ვასილ ველიჩკო (1860—1903) — რუსი პოეტი, 90-იან წლებში საქართველოში ცხოვრობდა, აქ ცოტა ხანს გაზ. „კავკაზს" რედაქტორობდა. ეს ადამიანი მთელი თავისი ენერგიით ემსახურებოდა გარუსებისა და ასიმილაციის საქმეს, ამისათვის, უპირველესად, ილვწოდა ქართული სკოლებიდან მშობლიურ ენის განდევნისათვის. ვორონცოვ-დაშკოვის დანიშვნის შემდეგ ველიჩკო რუსეთში გადავიდა, სადაც გაზეთ „ნოვოე ვრემიას" საშუალებით კვლავ განაგრძო კავკასიის ერებზე „ზრუნვა".

გვ. 41. კარლ ლემან-ჰაუპტი — გამოჩენილი გერმანელი ორიენტალისტი, არმენოლოგი და ქართველოლოგი, ავტორი წიგნისა: „Armenien einst und jetzt", სადაც, როგორც ლაისტიც აღნიშნავს, აღწერილია ილია ჭავჭავაძესთან სტუმრობა. ლემან-ჰაუპტი გრაცის უნივერსიტეტის პროფესორ შუხარტთან და სხვებთან ერთად სიცოცხლის ბოლომდე დიდი პატივისმცემელი იყო ილიასი, რომლის სიკვდილის გამო მან სხვა ქართველოლოგების კვალად უცხოურ პრესაში ვრცელი ნეკროლოგი მოათავსა.

გამოჩენილი ორიენტალისტი ლემან-ჰაუპტი 1936 წელს საქართველოში ჩამოვიდა და თბილისის უნივერსიტეტში წაიკითხა მთელი სერია ლექციებისა.

გვ. 56. „დროება" ვ. მაჩაბელის რედაქტორობით გამოდიოდა 1883—1885 წლებში. „დროება" დაარსდა 1866 წელს და პირველად გამოდის გ. წერეთლის რედაქტორობით. 1869—1873 წ. წ. მას რედაქტორობდა სერგეი მესხი, 1880—1881 წლებში — კირილე ლორთქიფანიძე, 1874—1883 წლებში კი — კვლავ სერგეი მესხი. სერგეი მესხის გარდაცვალების გამო 1883 წელს გაზეთს სათავეში ჩაუდგა ვანო მაჩა-

ბელი. გაზეთი დაიხურა 1885 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროს ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტის განკარგულებით. ამის შემდეგ გამოცემის შენარჩუნების მიზნით იგი ყოველკვირეული ორგანოს სახით გამოდის.

გვ. 57. „ოთარაანთ ქვრივის“ შემოქმედებით ისტორიას განსაკუთრებული ადგილი უკავია ლაისტის მემუარებში. ლაისტი თავის მოგონებებს ამ ნაწარმოების შექმნის შესახებ აქვეყნებს საგანგებოდ მიძღვნილ წერილში, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „ბახტრიონში“ (1912, 11/I). „ოთარაანთ ქვრივი“ არტურ ლაისტს ახალი ქართული პროზაული ლიტერატურის ქვაკუთხედად მიაჩნდა და დიდი გულისხმიერებით განიხილავს მას როგორც უცხოეთში გამოქვეყნებულ ცალკეულ წერილებში, ისე გერმანულად გამოქვეყნებულ თავის დიდ შრომაში — „ქართველი ხალხი“.

გვ. 76. მხატვარი ბერიძე (1858—1917) — ცნობილი ქართველი ფერწერის ოსტატი. სწავლობდა პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში 1877—1882 წლებში.

ხალხის დაბალი წრიდან გამოსული ბერიძე, იყო ქართველ მხატვართა შორის პირველი, რომელმაც თავისი რეალისტური ყალმით ასახა უბრალო ადამიანების ბრძოლა მკაცრ ცხოვრებასთან. ქართულ ფერწერისა და გრაფიკულ ხელოვნებაში მან პირველად შეიტანა ღრმა შინაარსიანი სოციალურ-ფსიქოლოგიური სცენები, ასეთებია: „მწყემსი“, „მოხუცი“, „ჩვენი ცხოვრებიდან“, „ჩალანდრები“ და სხვ. ბერიძე პირველი პროფესიონალი ქართველი თეატრალური მხატვარია. ამას გარდა მან შექმნა მთელ რიგ ქართველ მოღვაწეთა შესანიშნავი პორტრეტები: ილია ჭავჭავაძის, საფაროვა-აბაშიძის, გრიგოლ ორბელიანისა და სხვ.

გვ. 77. „ზოილი“ და „დავით სოსლანი“ — დავით კეზელის (1854—1906) ფსევდონიმებია. კეზელი ერთ დროს კავკასიის რუსულ და ქართულ პრესაში მოღვაწეობდა. ახალგაზრდობაში, როგორც თვითონ ამბობდა, ნიჰილისტობდა. 1873 წელს ყოფილ ალექსანდრეს ბაღში მას, სტ. ჭრელაშვილს და ალ. მაჭარაშვილს კავკასიის მეფის ნაცვალი შემოჰყრიათ, რომელსაც ყმაწვილებმა საკადრისი სალამი არ მისცეს. ამ ამბის გამო ზოილი ამხანაგებზე უფრო სასტიკად დაისაჯა: რეა თვის პატიმრობა და რუსეთში გადასახლება მიუსაჯეს, როგორც „პოლიტიკურად არაკეთილსაიმედოს“.

რუსეთში ყოფნის პერიოდში, 1881—1883 წლებში „არაგველის“ ფსევდონიმით გაზ. „შრომაში“ ათავსებდა წერილებს და მონაწილეობას იღებდა კავკასიაში გამოსულ თითქმის ყველა ცნობილ ორგანოში.

გვ. 77. ლაისტი თავის გერმანულად დაწერილ რომანში „Das georgische Volk“ დიდ შეფასებას აძლევს ქართული დრამატული თეატრის თავისებურ სკოლას, რომელიც ლაისტის აზრით, ჩასწვდა ახალი გერმანული დრამატურგიის სულსა და გულს (იხ. „არქიტექტურა, თეატრი და მუსიკა“, გვ. 307—320). ამის საფუძვლად ის ასახელებს „ახალი ჭეშმარიტებიდან“ გამომდინარე „ეთიკის“ გაგებას. ამ სიტყვებში ლაისტი გულისხმობს ღრმა სოციალურ შინაარსს, გერმანელების და ქართვე-

ლების მიერ სოციალურ წინააღმდეგობათა ჭეშმარიტების შეგნებას და მისგან გამომდინარე ეთიკას.

გვ. 78. ახალი ქართული თეატრის აგება — იგულისხმება „ახალი სახაზინო თეატრის“ აგება 1880—1896 წლებში. ამ შენობაში ამჟამად ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრია.

გვ. 82. პროფესორი ჰოლდაკი — ლაიფციგის უნივერსიტეტის პროფესორი, თავისი შრომა „ორი ქვაკუთხედი საქართველოს სახელმწიფოებრიობისა („Zwei Grundsteine zu einer grusinischen Stats und Reichtgeschichte“ მიუძღვნა ქართული სახელმწიფოებრივი სამართლის ისტორიას. ამ შრომასთან დაკავშირებულ ცალკეულ პრობლემათა საილუსტრაციოდ ჰოლდაკი იყენებს „ვეფხისტყაოსანს“. ჰოლდაკს რუსთაველის შესახებ ამ შრომაში გამოთქმული აქვს საკმაოდ პროგრესული აზრი.

გვ. 87. ათანამეტნი ასურელნი მამანი — მეექვსე საუკუნის საეკლესიო მოღვაწენი: იოანე ზედაზნელი, დავით გარეჯელი, სტეფანე ხირსელი, ზენონ იყალთოელი, ანტონ მარტყოფელი, აბიბოს ნეკრესელი, იასე წილკნელი, შიო მღვიმელი და სხვ.

საეკლესიო მწერლობის ტრადიციის მიხედვით — ზემოხსენებული პირები საქართველოში ასურეთიდან (სირიიდან) მოვიდნენ ქრისტიანობის განმტკიცების მიზნით.

გვ. 90. პაპუნა ორბელიანი — მე-18 საუკუნის ქართველი ისტორიკოსი. პ. ორბელიანი თეიმურაზ II კართან დაახლოებული პიროვნება იყო. მის საისტორიო თხზულებებში აღწერილია თეიმურაზის ლაშქრობისა და მშვიდობისდროინდელი ამბები, მანვე აღწერა თეიმურაზ II გვირგვინის კურთხევის ცერემონიალი, რომელიც 1745 წელს მოხდა. პაპუნა ორბელიანი თავის ისტორიულ თხზულებებში ეხება არა მარტო თეიმურაზ II და მის სახელოვანი ვაჟის ამბებს, არამედ მთელი აღმოსავლეთ საქართველოს ხალხის ცხოვრებას.

გვ. 90. ანტონ კათალიკოსი (1719—1788) მე-18 საუკუნის გამოჩენილი სახელმწიფო და საეკლესიო მოღვაწე, შვილი ვახტანგ VI ძმის იესესი. ანტონი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწეობის პირველ პერიოდში ორიენტაციას იღებს დასავლეთ ევროპის განვითარებული კულტურის ქვეყნებზე. ამ მიზნით მან კათოლიკობა აღიარა. ანტონ კათალიკოსი განსაკუთრებული ღანათლების, ნიჭისა და მდგომარეობის გამო ზოგიერთებში შურს იწვევდა. ანტონის საწინააღმდეგო ინტრიგას სათავეში ჩაუდგა ზაქარია გაბაშვილი (პოეტ ბესარიონ გაბაშვილის მამა).

გვ. 91. მხითარისტები — მხითარისტების სახელით ცნობილი არის სომეხ კათოლიკეთა კონგრეგაცია, რომელიც ჩამოყალიბდა 1701 წელს. მისი სახელწოდება დაკავშირებულია მხითარ სებასტიანცის სახელთან. 1717 წელს მხითარისტების ერთმა ჯგუფმა თავისი სამყოფელი ვენეციაში წმიდა ლაზარეს კუნძულზე გადაიტანეს. მისი ნაწილი

მოგვიანებით ვენაში დამკვიდრდა. მხითარისტებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს სომხური ლიტერატურის განვითარების საქმეში, უმეტესად თარგმნისა და ლექსიკოგრაფიის საქმეში.

გვ. 91. ფონ-ეშენბახი ვოლფრამ — მეცამეტე საუკუნის გერმანელი პოეტი. 1210-11 წლებში გერმანულად გადააკეთა კურტუაზული ეპოსი „პარციფალი". ეს პოემა მიეკუთვნება მეფე არტურისა და მისი რაინდების შესახებ შექმნილ თხზულებათა ციკლს.

გვ. 98. საათაბაგო — იგულისხმება XIII—XVI-ე საუკუნეების სამხრეთ საქართველოს (ტაო-კლარჯეთი, მესხეთ-ჯავახეთი და სხვ.) ადმინისტრაციული სახელწოდება. ათაბაგობის ინსტიტუტი ჩამოყალიბდა თამარის მეფობისას.

გვ. 98. პაშო ბერთაძე — დამახინჯებულია XVII საუკუნის მეორე ნახევრის პოეტის ფეშანგი ხითარიშვილის ნართაული სახელი „ფაშვიბერტყაძე".

ფეშანგი საისტორიო პოემის „შახნავაზიანის" ავტორია, მასვე ეკუთვნოდა არჩილ მეფის ბრძანებით შესრულებული „ფირმალიანი", რომელსაც ჩვენს დრომდე არ მოუღწევია. ფეშანგი საკარო მოლექსეა. თავისი პოლიტიკური მრწამსით და განწყობილებით—ქართველი პატრიოტი და საქართველოს გაერთიანების მესიტყვე. ფეშანგი ხითარიშვილი წარმოშობით გორელი სომეხი იყო, ალექსანდრე III — არჩილისა და შახნავაზის კარის მდივან-მწიგნობარი. მონაწილეობას იღებდა დიპლომატიურ საქმიანობებშიც.

გვ. 101. „არბაბი" — სახელმწიფო გადასახადის სახე გვიან ფეოდალურ საქართველოში.

გვ. 102. ჟან შარდენი (1643—1713) — XVII საუკუნის ფრანგი მოგზაური-მემუარისტი. იგი ხელობით ცნობილი იუველირი ვაჭარი იყო. ამ საქმის კარგი წარმოებით თავისი ეპოქის დიდ სახელმწიფოთა კარს დაუახლოვდა, მათ შორის შაჰ-აბასსაც. სპარსეთში მან საქართველოს გავლით ორჯერ იმოგზაურა; უკანასკნელად 1672—1673 წლებში. აღწერა საქართველო და სასახლის საქორწინო მეჯლისი თბილისში.

გვ. 109. ივანე ტოლსტოვი — 1723 წელს საქართველოში იყო მოვლენილი. ივანე ტოლსტოვი საქართველოში იყო მაშინ, როდესაც ვახტანგ VI ამაოდ ელოდა რუსეთის გალაშქრებას სპარსელების წინააღმდეგ.

გვ. 114. ლაისტი აქ სცდება: ქართლში 1735 წელს თურქები კი არა სპარსელები შემოიჭრენ.

გვ. 117. ზაქარია გაბაშვილი — მამა გამოჩენილი ქართველი ლირიკოსის ბესარიონ გაბაშვილის (ბესიკის). იგი თეიმურაზე II კარის მოძღვარი იყო. ზ. გაბაშვილი ანტონ კათალიკოსთან ბრძოლაში ბერძნულ-მართლმადიდებლური ეკლესიის ორთოდოქსალურ დამცველად გვევლინება. თავისი ზრახვანი მან 1755 წლის საეკლესიო კრებაზე გამოაცხადა, სადაც თავს დაესხა კათოლიკობაზე გადასულ ანტონ კათალიკოსს. ამის გამო კათალიკოსი საქართველოდან განიდევნა. 1762 წელს

ხატირული პოემის „ქატის ომის“ ავტორი და რეაბილიზებული კათალიკოსის (ანტონის) წინააღმდეგ ინტრიგების მწარმოებელი ზაქარია გაბაშვილი იმერეთში განდევნეს.

გვ. 130. დ ა ვ ი თ რ ე ქ ტ ო რ ი—ალექსი-მესხიშვილი დავით (1745—1824) თელავის სასულიერო სემინარიის დამაარსებელი. თავისი ეპოქის გამოჩენილი ლიტერატორი. მან შეადგინა ქართული ლიტერატურული ძეგლების კატალოგი და ქართველ მწერალთა ანთოლოგია.

გვ. 130. გ ა ი ო ზ რ ე ქ ტ ო რ ი, გ ა ი ო ზ მ ო ძ ღ ვ ა რ ი (1746—1821) ქართველი საზოგადო მოღვაწე-პედაგოგი. „ქართული ღრამატიკის“ ავტორი, ბასილი დიდის „ქადაგებანის“, მარკ ავრელიუსის „ზნეთასწავლულობის სჯათას“-სა და სხვათა მთარგმნელი, 1765 წელს გაიოზ მოძღვარი ანტონ კათალიკოსს ბერად გაუმწესებია. 1772 წ. ის მონაწილეობას იღებს პეტერბურგში წარგზავნილ დიპლომატიურ მისიაში. 1775 წელს შეეიდა მოსკოვის სასულიერო სემინარიაში. 1788 წელს იწყება მისი პედაგოგიური მოღვაწეობა თბილისში. აქ ის აარსებს რუსული ენის შემსწავლელთა სკოლას. 1782 წელს იგი იყო თელავის სემინარიაში, 1783 წელს მან მონაწლეობა მიიღო „გეორგიევსკის ტრაქტატის“ შედგენაში. 1784 წელს პეტერბურგში დედოფლის დასწრებით არქიმანდრიტად აკურთხეს. ამის შემდეგ ის რუსეთში მოღვაწეობს.

გვ. 135. დ ა ვ ი თ ბ ა ტ ონ ი შ ვ ი ლ ი (1767—1819) — საქართველოს უკანასკნელი გვირგვინოსანის გიორგი XIII-ის ძე. საქართველოს ტახტის მემკვიდრე და რუსეთთან შეერთების ხანს რეგენტად დატოვებული მცირე ხანს. დავით ბატონიშვილი თავისი დროისათვის თვალსაჩინო სამხედრო, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეა. მან საფუძვლიანი განათლება მიიღო პირად გამზრდელ — „ლალასაგან“ — დავით რექტორისაგან, შემდეგ — 1791 წელს დაასრულა თელავის სემინარია. აქ ეზიარა იგი დასავლეთ ევროპაში იმქამად მეტად გავრცელებულ იდეებს ფრანგი ენციკლოპედისტებისას. განიცადა ვოლტერის მოძღვრების ზეგავლენა ,რის გამოც მას გვირგვინოსანი და მართლმორწმუნე მამა ძლიერ საყვედურობდა.

რუსეთში განწესებულ დავითს გენერალ-ლეიტენანტის ჩინი და მამულების შეძენის უფლება უბოძეს.

დავით ბატონიშვილს ეკუთვნის პოეტური და სამეცნიერო თხზულებები. სატირა — „ლომნი ქატურად გარბიან“, „რა იქნება ჩვენც ვიყოთ სენატორი“ და „ეშიკაღას მობრძანება ჩინითა“. მისი საისტორიო თხზულებებია: „ნადირ-შაჰის ისტორია“ (გადმოკეთებული), „ცნობა ისტორიული და ღეოღრაფიული“, „მსოფლიოს ისტორია“ (თარგმანი). დავითის კალამს ეკუთვნის განმანათლებელთა ზოგიერთი თხზულების გადმოთარგმნა ფრანგულიდან.

გვ. 141. ა ღ ნ ი ა შ ვ ი ლ ი ლ ა დ ო (1860—1904) — ქართული კულტურის ერთ-ერთი მოღვაწე. 1881 წელს დაასრულა გორის საოსტატო სემინარია. იმავე წელს დაინიშნა თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. მას ეკუთვნის

შრომები პედაგოგიკიდან (რუსული ენის სწავლების შესახებ), ლექსიკოგრაფიიდან („უბის ლექსიკონი“, 1887), ფოლკლორიდან („ქართული ზღაპრები“ 1890), მისივეა „ახალი ანბანი“, რომელიც სერიებად გამოდიოდა. აღნიაშვილი ეწეოდა ფართო საზოგადოებრივ მოღვაწეობას: საგამომცემლო, პუბლიცისტიკისა და სხვა დარგებში. მისი შრომები ეთნოგრაფიაში, ფოლკლორში და სხვ. დღესაც იქცევენ ყურადღებას.

ლადო აღნიაშვილის სახელთან არის დაკავშირებული ქართული ხალხური სიმღერების გუნდის დაარსება.

გვ. 141. **როსტომაშვილი ივანე** (1852—1924) — გამოჩენილი ქართველი ჟურნალისტი, პედაგოგი, მკვლევარი. 1874 წელს დაამთავრა თბილისის მასწავლებელთა ინსტიტუტი. ამავე წლიდან იწყებს მოღვაწეობას ქართულ პრესაში. 1882 წელს მისი ინიციატივით თელავში გაიხსნა „დეპო“ — საზოგადოებრივი სავაჭრო, სახალხო ბანკი, საკვირაო სკოლები. ასეთი საქმიანობისათვის მთავრობამ მას დევნა დაუწყო.

როსტომაშვილს დიდი ღვაწლი მიუძღვის მესხეთ-ჯავახეთის შესწავლაში. ქართულ ენას მან მიუძღვნა „ნერგი, ანუ ანბანი“.

როსტომაშვილის საზოგადოებრივი მოღვაწეობა მრავალმხრივია, ასეთივეა მისი შრომებიც. ისინი მიეძღვნა სოფლის მეურნეობას, პედაგოგიკას, ფსიქოლოგიას და სხვ.

გვ. 141. **ნიჟარაძე ბესარიონ** (თავისუფალი სვანი) — ცნობილი ქართველი ეთნოგრაფოსი და საისტორიო წერილების ავტორი, პუბლიცისტი, პედაგოგი. სწავლობდა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში 1868—74 წლებში. 1874 წელს შედის თბილისის სასულიერო სემინარიაში. 1878 წელს იგი დაუბრუნდა თავის სამშობლო კუთხეს — სვანეთს, სადაც საბოქაულო კანცელარიაში საქმის მწარმოებლად მუშაობდა ერთ ხანს, მაგრამ ამას მალე თავს ანებებინებენ და გადაჰყავთ ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში აღმზრდელის თანამდებობაზე. 1886 წლიდან ქართულ პრესაში „თავისუფალი სვანის“ ფსევდონიმით იბეჭდება ვრცელი წერილები სვანეთის ისტორია-ეთნოგრაფიის და ფოლკლორის საკითხებზე. უკანასკნელად იგი უფრო მუყაითად ფოლკლორს ეკიდება და საპატიო ადგილს იკავებს ამ დარგში. მისი მოღვაწეობა ამ მხრივ ინტენსიური იყო 1902—1905 წლებში. სიცოცხლის ბოლო წლები მან სვანეთში გაატარა და აქვე გარდაიცვალა 1919 წელს.

ნიჟარაძის წერილების კრებული გამოვიდა 1962 წელს „ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილების“ სახელწოდებით (ტ. I, თბილისი, სახ. უნ-ტის გამომცემლობა).

გვ. 141. **შუხარტი ჰუგო** — ცნობილი ქართველოლოგი და არმენოლოგი, გრაცის უნივერსიტეტის პროფესორი. იგი პირადი მეგობარი იყო თვით არტურ ლაისტისა და დიდი პაციენტმცემელი ილია ჭავჭავაძისა, რომლის სიკვდილს ვრცელი ნეკროლოგით გამოეხმაურა ევროპულ პრესაში.

გვ. 141. **ჩუბინაშვილი დავით** (1814—1891) — ცნობი-

ლი ქართველი ლინგვისტი-ლექსიკოგრაფი და ლიტერატურათმცოდნე. დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტი. 1844 წლიდან მუშაობდა ამავე უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრის დოცენტად, შემდეგ — პროფესორად. 1863 წლიდან განაგებდა ქართული და სომხური ენების კათედრას. დავით ჩუბინაშვილს ეკუთვნის მრავალი შრომა ქართული და სომხური ენებსა და ლიტერატურის დარგში. 1870 წელს პეტერბურგში აღინიშნა მისი მეცნიერული მოღვაწეობის იუბილე, რომელზედაც მას მიენიჭა დამსახურებული პროფესორის წოდება.

გვ. 141. ჭ ა რ ა ი ა პ ე ტ რ ე (1861—1919)—პედაგოგი, ლინგვისტი, მწერალი და პუბლიცისტი. მასვე ეკუთვნის შრომები საქართველოს ისტორიაში, ეთნოგრაფიაში, ლიტერატურასა და სხვ. ჭარაიას სახელი ცნობილია, როგორც გულმხურვალე პატრიოტი-სწავლულისა, იგი ბეჯითად იბრძოდა სამურზაყანოსა და აფხაზეთში ქართული ენის დევნის წინააღმდეგ რეაქციის გაძლიერების ხანს. მისი შრომები სწორედ ამ პერიოდს ეკუთვნის. ასეთები იყო: „ედა-ენის ზოგიერთი განმარტება“: (1910), „ქართული ენისა და მართლწერის შესახებ“ (1895) და სხვ. ჭარაიას შრომები გაბნეულია ქართულ პერიოდიკაში.

გვ. 143. ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს „ს ა ზ ნ ე ო ლ ე ქ ს ე ბ ი“. ლაისტი ალ. ჭავჭავაძის ლექსებისადმი ასეთი კვალიფიკაციის მიცემისას კვლავ ამეღვნებს, ერთი მხრივ, ბიურგერისტულ-უტილიტალისტურ მიდგომას, მეორე მხრივ, „ვარშაველ პოზიტივისტთა“ ზეგავლენას. როგორც შესავალში აღვნიშნეთ, პოლონეთში ცხოვრების პირველ წლებში ლაისტმა გაიზიარა ამ უკანასკნელთა შეხედულებები. „ვარშაველმა პოზიტივისტებმა“ სოციალ-ისტორიული ცვლილებებისა და 63—64 წლის ნაციონალური აჯანყების შედეგების გამო დაჰგმეს შლიახტიჩურ-მაგნატური რეაქციული ნაციონალიზმის ყოველგვარი გამოვლენა, მისი რეტროგრადული რომანტიზმის ნაცვლად ლიტერატურაში აღიარეს პრაქტიკული — „ეშმარიტებისაგან გამომდინარე“ ხელოვნების უტილიტარული იდეა. ლაისტი მთელი ცხოვრების მანძილზე განიცდიდა ასეთ შეხედულებათა ზეგავლენას, რამაც მკვეთრი კვალი დააჩნია მის ნაწერებს ქართული ლიტერატურის შესახებ.

გვ. 143. ა ქ ი გ უ ლ ი ს ხ მ ე ბ ა შ ე მ დ ე გ ი: ქართველ კეთილშობილთა მიერ წარსული საუკუნის პირველ ნახევარში ახალი რუსული ყაიდის წოდებრივი ტიტულაციის დამტკიცებამ დიდი შეხლა-შემოხლა გამოიწვია. ქართული აზნაური საკუთრებით როდი შეესაბამება რუსულ „დვორიანინს“ და „კნიაზი“—ერისთავსა და თავადს.

გვ. 146. ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ფ რ ე დ რ ო (Fredro) —(1793—1876) გამოჩენილი პოლონელი დრამატურგი. ფრედრო განმანათლებელთა ეპოქის ტიპიური წარმომადგენელია პოლონეთში. მის შემოქმედებაში რეალისტურად არის ასახული პოლონური შლიახტის ცხოვრება. პროგრესული მწერალი დაუნდობელი სისასტიკით ამათრახებს ამ წრის ადამიანების ბნელ მხარეებს. მისი კომედიებია: „პან ოვი-

ალსკი", „ჰუსარები და ქალბატონები", „შურისძიება" და სხვ. ფრედ-როს შემოქმედებას ლაისტმა მიუძღვნა არა ერთი წერილი, როგორც გერმანულ და პოლონურ, ისე ქართულ ენაზე.

გვ. 148. ლ ა ი ს ტ ი ხშირად, როცა ეხება იმ გარდატეხას ქართული საზოგადოებრივი და სოციალ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, რაც ხდებოდა ახალ „ბიურგერულ" წესებზე გადასვლის გამო, სამიჯნო და გადამწყვეტ წელად ასახელებს 1875 წელს. ეს წელი ხშირად გვხვდება 70-იანი და 80-იანი წლების პუბლიცისტთა მემუარულ ნაწერებშიც. საქმე შემდეგ-შია: ძველ პროგრესულ ბურჟუაზიულ პუბლიცისტთა და ისტორიკოსთა შეხედულებით, ეს წელი იყო დასაწყისი „დიდ რეფორმათა" ეპოქისა. 1875 წლის რამდენიმე რეფორმატორულმა ყაიდის „შეღავათმა" ხალხში უნებურად გამოაღვიძა მოქალაქეობრივი თვითშეგნება და ცხოვრების საშუალებათა ძიებისადმი ლტოლვა.

გვ. 148. მ ა რ ი ბ რ ო ს ე (1892—1880)—გამოჩენილი ფილოლოგი, საქართველოს ისტორიის, ლიტერატურის და ქართული ენის მცოდნე და მკვლევარი, სენ-მარტენის საქმის გამგრძელებელი ფრანგ ორიენტა-ლისტთა შორის. დაუახლოვდა ქართველ სწავლულებს, მათ შორის თეი-მურაზ ბატონიშვილს, რომელსაც მასწავლებელს უწოდებდა. დას. ევრო-პულ სამეცნიერო წრეებში ყურადღება მიიპყრო მისმა „ქართულმა ქრო-ნიკებმა". 1835 წელს უვაროვმა იგი მიიწვია რუსეთის აკადემიის ქარ-თულ-სომხური ფილოლოგიის კათედრის გამგედ, რაც მან მიიღო 1836 წელს.

მარი ბროსეს ეკუთვნის 270 სამეცნიერო შრომა, მან თავი გამო-იჩინა, როგორც ჩინებულმა კომენტატორმა და გამომცემელმა. არტურ ლაისტი ხშირად ახსენებს გამოჩენილ ფრანგ სწავლულს.

გვ. 159. პ ლ ა ტ ო ნ ი ო ს ე ლ ი ა ნ ი (1809—1875)—არტურ ლა-ისტის განცხადება პლატონ იოსელიანზე წინასწარგანსაზღვრულ ტენდენ-ციას არ არის მოკლებული. პლ. იოსელიანი ეკუთვნის წარსული საუკუ-ნის ქართველ სწავლულ მოღვაწეთა იმ პლეადას (დიმ. ბაქრაძე, სოლ. დოდაშვილი, ჩუბინაშვილი და სხვ.), რომლებმაც ქართველმცოდნეო-ბა დიდ სიმაღლეზე აიყვანეს. პლ. იოსელიანს ეკუთვნის საკმაოდ სერი-ოზული მნიშვნელობის შრომები საქართველოს ისტორიისა და ქართუ-ლი ფილოლოგიის დარგებში. ასეთებია: „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა" (1836), „ქართული ეკლესიის მოკლე ისტორია" (რუსულად, 1841), „ქარ-თველთა ძველი სახელები" (რუსულად 1843), „ქართული ეკლესიის წმინდანთა ცხოვრება" (რუსულად, 1850) და სხვ. მათი საერთო რიცხვი 70-მდე აღწევს. ესენი შეიცავენ მეტად მდიდარსა და მნიშვნელოვან მასა-ლას საქართველოს ისტორიიდან, ლიტერატურიდან, ხელოვნების ის-ტორიიდან და სხვ.

გვ. 159. დ ი მ ი ტ რ ი ბ ა ქ რ ა ძ ე (1809—1875)—ცნობილი ქარ-თველი ისტორიკოსი და არქეოლოგი. დაამთავრა მოსკოვის სასულიერო სემინარია. მისი შრომებია „საქართველოს ისტორია", „Кавказ в древних памятниках христианства" და სხვა. მრავალი საქართველოსა და კავკა-

სიის ისტორიიდან. მისი ინიციატივით გამოვიდა კავკასიის არქეოლოგიური კომისიის კრებულები „აქტები". დიმიტრი ბაქრაძე თავისი დროის ისტორიკოსთა შორის სარგებლობდა დიდი რეპუტაციით. მისი შრომები იბეჭდებოდა როგორც ქართულად, ისე რუსულად და უცხოურ ენებზე.

გვ. 160. ე ო რ დ ა ნ ი ა თ ე დ ო (1855—1934)—გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, პუბლიცისტი და პედაგოგი. დაამთავრა თბილისის სემინარია. რევოლუციამდე ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას.

გვ. 160. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი მ ო ს ე (1855—1934)—გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, პუბლიცისტი და პედაგოგი. მან დაამთავრა თბილისის სემინარია. ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას. ჯანაშვილს ეკუთვნის დიდი რაოდენობით შრომები ქართულ ლიტერატურაში, ენაში, საქართველოს ისტორიასა და ნუმიზმატიკაში. მათ იცნობენ, როგორც რუსეთში, ისე ევროპაშიც. ესენია: „საქართველოს ისტორია" (1906), „თამარ მეფე" (1917), „საინგილო" (1910), „საქართველოს დედაქალაქი თბილისი" (1899), „ქართული მწერლობა" (1909).

გვ. 160. პ რ ო ფ. ა ლ. ც ა გ ა რ ე ლ ი (1844—1929)—სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტში, 1871 წელს ქართულ-სომხურ ფილოლოგიაში ჩააბარა გამოცდები ხარისხის მისაღებად. 1872 წელს კი დაიცვა დისერტაცია კავკასიის იბერული ენების შესახებ. მიიღო პრივატდოცენტის ხარისხი. 1874 წელს დაიცვა მაგისტრის ხარისხი. ცაგარელს ეკუთვნის „О грамматической литературе груз. языка", „Мингрельские этюды", „Опыт фонетики мингрельского языка" და სხვა მრავალი ორიგინალური შრომა და მეცნიერული პუბლიკაცია. ცაგარელი ჩუბინიშვილის შემდეგ განაგებდა პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრას.

გვ. 160. პ რ ო ფ. ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი (1866—1918 წ.) — ცნობილი ორიენტალისტი-ქართველოლოგი. დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტი. პირველი შრომა მიუძღვნა ბერძნულ-ბიზანტიური ეკლესიის ისტორიას, რისთვისაც ის დაჯილდოვეს.

1900 წელს იგი პრივატდოცენტი იყო. ამ ხანებში შექმნა მან თავისი ცნობილი „ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან". ხახანაშვილი ამის შემდეგ მიწვეული იყო ლაზარევის ინსტიტუტში. მისი შრომები შემდეგ ეხებოდნენ ბატონყმობის ისტორიას და ქრისტიანობის გავრცელების ისტორიას საქართველოში და კავკასიათმცოდნეობის საკითხებს. მასვე ეკუთვნის ძველი ლიტერატურული ძეგლების პუბლიკაცია.

გვ. 162. ც ხ ვ ე დ ა ძ ე ნ ი კ ო ზ ე ბ ე დ ე ს ძ ე (1845—1911)—ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი და პუბლიცისტი. 1870 წელს დასრულა მოსკოვის სასულიერო აკადემია და დაიცვა მეცნიერების კანდიდატის ხარისხი. ამავე ხანებში დაბრუნდა სამშობლოში და შეუდგა პედაგოგიურ მოღვაწეობას. მის სახელთან არის დაკავშირებული ორი დიდი ქართველი ეროვნული დაწესებულების დაარსების ისტორია.

პირველი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, მეორე—ქართული უნივერსიტეტი.

ცხვედაძის შესახებ იხ. ვ. ჯიქიას მონოგრაფია, ჟურნ. „განათლება“, 1911, № 7, მანსვეტაშვილის „მოგონებანი“, 1936, გვ. 216—221.

გვ. 170. „ე თ ი კ ა“—ლაისტი ცენზურული მოსაზრებებით ამ ტერმინს ხმარობს არა ფილოსოფიური მნიშვნელობით, არამედ პოლიტიკური შინაარსის გამოხატვით. იგი ხმარობდა „ახალი ეთიკა“, „სოციალურ ჭეშმარიტებათა ეთიკა“. და სხვ. სადაც იგულისხმება ადამიანთა ისეთი ურთიერთობა, სადაც განმსაზღვრელია სოციალური უთანაბრობა.

გვ. 198. მ ე ი ფ ა რ ი ა ნ ი — 50-იანი წლების ქართული თეატრის ერთ-ერთი მოღვაწეთაგანი, წარმოშობით გორელი სომეხი, გ. ერისთავის თეატრის მსახიობი. მასვე ეკუთვნის კარიაგინის ფრანგულიდან გადმოთარგმნილი კომედიის „ქმრები გავაბათ მახეში“-ს ქართულად გადმოკეთება, რომელიც შევიდა ქართული სცენის რეპერტუარში.

გვ. 198. თ უ თ ა ე ვ ი ა ღ ა ლ ო—თბილისელი მეწარმე, თეატრალური მეცენატი, პუბლიცისტი და დრამატურგი. მან. 80—90-იან წლებში დიდი შემწეობა გაუწია სახალხო თეატრებს ფინანსიურად და კალმით. მისია კომედიები: „ცოლი ვიტირო, თუ ფული“, „რძალი, მული და მაშენიკები“, „უმანკო პატარძალი“, „უმარილის ბრალია“ და სხვ. ა ღ ა ლ ო თუთაევის წერილები გაბნეულია ქართულ პრესაში.

საკუთარ სახელთა საძიებელი

ა

აბაშელი ალექსანდრე 296, 297.
აბაშიძე ვასო 9, 77, 170.
აბაშიძე კიტა 302.
აბიხი ჰერმან 233, 234, 247.
აბოვიანი ხაჩატურ 230.
ავრელიუსი მარკ 307.
ალექსანდრე III 306.
ალექსანდრე უფლისწული 121.
ამბროსი 132.
ამილახვარი გივი 116.
ამირეჯიბი კონსტანტინე 299.
ანტონ I კათალიკოსი 90, 93, 94, 100, 106, 111, 115, 116, 117, 118, 119, 121, 124, 125, 140, 186, 187, 305, 306, 307.
ანტონოვი ზურაბ 199.
არაგვისპირელი შიო 155.
არისტოტელე 184.
არტურ მეფე 306.
არუთინა (ექიმი) 128.
არჩილი 96, 98, 306.
ასათიანი 57.
აღა-მაჰმად-ხანი 96, 132, 133, 134, 135, 136, 137.
აღნიაშვილი ლადო 161, 308.
ახნაზაროვი არტემ 293.

ბ

ბაგნიცკი დარი 289.
ბაგრატ მეოთხე 86, 199.
ბაგრატიონი ოტია 89.
ბაირონი ჯორჯ 23, 43, 67, 238, 273.
ბარათაშვილი დავით 20.
ბარათაშვილი მამუკა 119.
ბარათაშვილი ნიკოლოზ 73, 144, 145, 151, 155, 195, 225, 233, 276, 282, 283, 284, 285.
ბარიატინსკი 22.
ბასილი დიდი 307.
ბატონიშვილი გიორგი 128, 139.
ბატონიშვილი დავით 135.
ბატონიშვილი თეიმურაზი 310.
ბატონიშვილი იოანე 130.

ბატონიშვილი იულონი 138.
ბატონიშვილი ოტია 89.
ბაუმეისტერი 186.
ბაქრაძე დიმიტრი 57, 159, 200.
ბაჩანა (რაზიკაშვილი) 17, 43, 50, 56, 262.
ბახტაძე ილია (ხონელი) 17, 36, 56, 300.
ბეთუთოვი 43.
ბერთაძე პაშო 96, 98, 306.
ბერიძე 76, 304.
ბერნსი რობერტ 262.
ბერო (ილიას მსახური) 31.
ბერტელიონი 40, 303.
ბესიკი (ბესარიონ გაბაშვილი) 93, 94, 120, 123, 125, 126, 127, 131, 138, 274, 305, 306.
ბიზე 50.
ბოდენშტეტი ფრიდრიხ 208, 209, 211, 215, 290, 292.
ბოკაჩიო ჯიოვანი 126.
ბოსკო 40.
ბოცვაძე ლუარსაბ 303.
ბოცი რუდოლფ 294.
ბრანდი 15.
ბროსე მარი 158, 159, 177, 310.
ბუტკოვი 140.

გ

გაბაშვილი გიგო 15, 53, 76, 248, 299, 300.
გაბაშვილი ზაქარია 94, 117, 118, 120, 125, 305, 306, 307.
გაბაშვილი ეკატერინე 20, 21, 301.
გაბუნია ნატო 9, 23, 37, 77, 170.
გაიოზ რექტორი 93, 94, 130, 307.
გამსახურდია კონსტანტინე 296.
განდეგილი (დომინიკა ერისთავი) 37.
გარეჯელი დავით 305.
გარსევანიშვილი 198.
გვარამაძე 200.
გიორგი (ილიას უფროსი მუშა) 31.
გიორგი მეთერთმეტე 104.
გიორგი მეცამეტე 140, 243, 310.
გიულდენშტეტი 257.
გლდანელი კულა (ფალავანი) 214, 215.
გოგებაშვილი იაკობ 7, 8, 20, 21, 27, 28, 37, 56, 61, 153, 162, 247.
გოგოლი 299.
გოეთე 32, 33, 43, 47, 51, 281, 302.
გოლდონი 265.

გომულიცკი 288.
გორგასალი ვახტანგ 87.
გორგიჯანიძე 89.
გრადოვსკი 288, 289.
გრიბოედოვი 223.
გუნია ვალერიანი 9, 36, 77, 292, 298, 299.
გურამიშვილი დავით 94, 106, 120.

დ

დადიანი ლევან 123.
დავითაშვილი იოსებ 154.
დავით რექტორი (ალექსი-მესხიშვილი) 130, 307, 308.
დავით აღმაშენებელი 82, 87, 88, 225, 274.
დანტე 251.
დარეჯან დედოფალი 134, 138.
დელაპორტი 122.
დოდაშვილი 161.
დომბროვსკი 287

ე

ევრიპიდე 302.
ელისეევი გ. ზ. 289.
ერეკლე I 104.
ერეკლე II 27, 71, 90, 114, 118, 124, 125, 127, 128, 129, 130, 131, 132, 133, 135, 136, 137, 139, 140, 167, 185, 221, 243, 272, 275, 280.
ერისთავი გიორგი 144, 146, 167, 168, 169, 197, 198, 199, 220, 265, 299.
ერისთავი დავით 9, 17, 23, 56, 57, 78, 169, 199, 290, 291, 292, 299.
ერისთავი რაფიელ 18, 28, 36, 42, 50, 56, 57, 63, 64, 151, 155, 161, 195, 262, 293, 298.
ესქილე 302.
ეფრემ მცირე 184.
ეშენბახი ვოლფრამ ფონ 91, 306.

ვ

ვაჟა-ფშაველა 17, 28, 42, 43, 50, 56, 70, 71, 72, 73, 74, 75,76, 151, 155, 247, 248, 262, 297.
ვახტანგ V 274.
ვახტანგ VI 93, 99, 100, 103, 106, 108, 114, 119, 122, 185, 271, 305, 306.
ვახტანგ მეფე 222.
ვახუშტი 80, 102, 111, 112, 113, 186, 251.
ველიჩკო ვასილი 40, 303.
ვიკენტი პოლ 191.

ვოლსკი გრიგოლ 13, 14, 18, 20.
ვოლტერი 307.
ვოლფი 186.
ვორონცოვ-დაშკოვი 120, 167, 303.
ვრუბლევსკი 287, 288.

ზ

ზაბოლოცკი 286.
ზასულიჩი ვერა 289,
ზანოვსკი 232.
ზედაზნელი იოანე 305,
ზუბალაშვილი 6.

თ

თამარ მეფე 81, 82, 179, 182, 183, 191, 217, 225, 257, 270, 274, 276, 280, 291, 306, 311.
თაქუშვილი მიკირტუმა 128.
თაყაიშვილი ექვთიმე 159.
თბილელი იოსები 96, 98.
თეიმურაზ მეორე 90, 114, 116, 118, 119, 124, 186, 305, 306.
თეიმურაზ პირველი 96, 98, 112, 251.
თემურ-ლენგი 88, 98.
თმოგველი სარგის 183.
თუთაევი აღალო 198, 312.
თუმანიშვილი ანასტასია წერეთლისა 20, 22, 162.
თუმანიშვილი გიორგი 299.
თუმანიშვილი ვასო 9, 78, 299,
თუმანიშვილი კონსტანტინე 299.
თუმანიშვილი მიხეილ 299.

ი

იაზონი 204.
იასე მეფე 116, 305.
იბრაჰიმი 117.
იოსელიანი პლატონი 159, 310.
იყალთოელი არსენ 184.
იყალთოელი ზენონ 305.

კ

კარიაგინი 312.
კახა 98.
კეზელი დავით 304.
კერესელიძე ივანე 150.
კლდიაშვილი დავით 155, 260, 267.
კოზმიანი სტანისლავ 287.

კონდაკოვი 164.
კონსტანტინე კახეთის მმართველი 106.

ლ

ლამბერტი არქანჯელო 119, 230, 271.
ლაფჩინსკი 286.
ლეიდენი 41.
ლემან-ჰაუპტი კარლ 41, 45, 286, 303.
ლეონიძე გიორგი 298.
ლერმონტოვი 223, 238.
ლესინგი 127.
ლისტი ფრანც 273.
ლომთათიძე ჭოლა 262.
ლორთქიფანიძე კირილე 303.

მ

მაკედონელი ალექსანდრე 177.
მანსვეტაშვილი 293, 312.
მარტყოფელი ანტონი 305.
მაჩაბელი ვანო 8, 9, 10, 11, 15, 20, 22, 23, 28, 29, 36, 56, 57, 76, 77, 79, 170, 292, 302, 303.
მაჭარაშვილი ალ. 304.
მგელაძე ლავრენტი 22, 303.
მედია 204.
მეიფარიანი 198, 312.
მეკელაინი 286.
მერცბახერი გოტფრიდ 16, 233, 234, 300.
მესხი კოტე 9, 37, 77, 199.
მესხი სერგეი 150, 162, 163, 188, 303.
მესხიშვილი ლადო 77, 170.
მეუნარგია იონა 36, 292, 298.
მიდასი მეფე 75.
მირზა-მაჰმად-შაპი 117.
მირიან მეფე 87, 140, 280.
მირიანაშვილი პეტრე 22, 302.
მიქელაძე დავით (მეველე) 19, 301.
მიქელაძე ვლადიმერ 36, 302.
მიცკევიჩი 199.
მოლიერი 265.
მონიუშკო 274.
მუხრანბატონი კონსტანტინე 12, 15, 299.
მღვიმელი შიო 305.

ნ

ნადირ-შაპი 96, 116, 120, 140, 307.
ნანეიშვილი ალექსანდრე 17, 300, 301.
ნაპოლეონ პირველი 108.
ნეკრასოვი 287.
ნეკრესელი აბიბოს 305.
ნიკოლაძე ნიკო 148, 197, 289, 299, 301.
ნინოშვილი ეგნატე 154.
ნიჟარაძე ბესარიონ 161, 308.

ო

ოჟეშკო ელიზე 288.
ორბელიანი ალექსანდრე 197, 199.
ორბელიანი გრიგოლ 73, 74, 145, 155, 190, 191, 248, 304.
ორბელიანი ვახტანგ 145, 232, 248.
ორბელიანი პაპუნა 90, 109, 305.
ორბელიანი სულხან-საბა 93, 110, 111, 185.
ოსეშვილი იესე 118, 122, 129, 130.
ოქრომჭედლიშვილი ილია (სერებრიაკოვი) 15, 53, 300.

პ

პეტრე დიდი 103.
პეტრიწი იოანე 184.
პიერსონი 293.
პლატონი 184.
პრუსი ბოლესლავ 288.
პუშკინი 238.

ჟ

ჟორდანია თედო 160, 161, 311.

რ

რაზიკაშვილი თედო 50, 161.
რეინეგსი 119, 127, 128, 130, 272.
როსტომაშვილი ივანე 308.
როტშილდი 13.
როშფორი ანრი 289.
რუსთაველი შოთა 11, 41, 81, 82, 83, 84, 91, 92, 97, 98, 114, 182, 217, 251, 292, 305.
რუსუდან მეფე 184, 280.
რჩეულიშვილი გიორგი 197.

ს

საგინაშვილი ელისაბედი 19, 53.
სალათნოვი 131, 138, 275.

სალტიკოვ-შჩედრინი 287, 288.
სანდრო (ილიას მეღორე) 31.
სარაჯიშვილი ალექსანდრე 19, 301.
სარაჯიშვილი დავით 16, 20, 25, 26, 41, 61, 77, 301, 302.
სარაჯიშვილი ეკატერინე 25, 41.
საფაროვა-აბაშიძისა მაკო 9, 77, 170, 292, 304.
სახოკია თედო 161, 298.
სებასტიანცი მხითარ 186, 305.
სენკევიჩი ჰენრიკ 288, 294.
სენ-მარტენი 310.
სერვანტესი 268.
სოლომონ მეფე 118, 125, 127, 128, 133.
სპასოვიჩი 288.
სტაროსელსკი 31, 302.
სუტნერი 239.

ტ

ტარნოვსკი სტანისლავ 287.
ტორკვატო ტასო 217.
ტოლსტოვი ივანე 109, 306.

უ

უმიკაშვილი პეტრე 11, 20, 29, 36, 50, 51, 57, 161, 301.

ფ

ფალიაშვილი ზაქარია 305.
ფარნაოზ მეფე 177.
ფირდოუსი 43, 44.
ფიხტე 108.
ფრედრო ალექსანდრე 146, 168, 310.
ფრიდრიხ დიდი II 127.
ფურცელაძე ანტონ 20, 23, 24, 29, 199, 295.

ქ

ქეთევან დედოფალი 96.
ქიქოძე გერონტი 297.
ქიქოძე ტიტე 297.
ქუთათელაძე 161.

ღ

ღოღობერიძე ნიკო 20, 21, 22, 57, 69, 227.
ღულაძე ანდრია 36, 303.

ყ

ყაზბეგი ალექსანდრე (მოჩხუბარიძე) 9, 71, 78, 155, 196, 197, 199, 233, 260.

ყიფიანი დიმიტრი 161, 177.
ყიფიანი კოტე 9.
ყიფიანი მიშა 301.
ყიფშიძე გრიგოლ (გიგო) 17, 19, 28, 36, 56, 57, 300.
ყოფშიძე ალექსანდრე 36.

შ

შანშიაშვილი ალექსანდრე 232, 246.
შარაძე მაქსიმე 19.
შარდენი 104, 113, 252, 274, 306.
შარვაშიძე 198.
შახნაზაზი 306.
შაჰ-აბასი 96, 102, 114, 222, 306.
შელი 238.
შექსპირი უილიამ 9, 44, 52, 169.
შილერი 43, 52, 169, 294.
შოპენი 274, 275.
შუბერტი 274, 275.
შუისკი იოზეფ 287.
შუმანი 274, 275.
შუხარტი ჰუგო 161, 286, 303, 309.

ჩ

ჩახრუხაძე 183.
ჩერნიშევსკი 288.
ჩინგის-ხანი 98.
ჩუბინაშვილი დავით 161, 309, 311.
ჩხეიძე სეხნია 100, 109, 271.

ც

ცაგარელი ავქსენტი 36, 169, 199.
ცაგარელი ალექსანდრე 160, 161, 196, 311.
ცეცხლაძე ვასილ 301.
ციცერონი 32.
ციციშვილი 140.
ცხვედაძე ნიკო 6, 7, 20, 27, 28, 37, 57, 61, 153, 162, 295, 298, 312.

წ

წერეთელი აკაკი 20, 21, 29, 36, 39, 63, 64, 65, 66, 67, 68, 69, 70, 73, 141, 147, 148, 151, 153, 155, 190, 192, 195, 199, 226, 236, 238, 248, 267, 276, 283, 284, 291, 292, 293.
წერეთელი გიორგი 11, 12, 20, 22, 69, 149, 303.
წერეთელი ელისაბედი 23.

წერეთელი სანდრო 23.
წილკნელი იასე 305.
წინამძღვრიშვილი ილია 10, 36, 161, 299.

ჭ

ჭავჭავაძე ალექსანდრე 142, 143, 144, 197, 225, 243, 245, 246, 283, 309.
ჭავჭავაძე გარსევან 245.
ჭავჭავაძე ილია 3, 4, 5, 6, 7, 8, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20 21, 22, 25, 28, 29, 30, 31, 32, 33, 34, 35, 36, 37, 38, 39, 40, 41, 42, 43, 44, 45, 46, 47, 48, 49 50, 51, 52, 53, 54, 55, 56, 57, 58, 59, 60, 61, 63, 64, 65, 69, 70, 76, 85, 119, 141, 142, 144, 146, 147, 148, 151, 153, 155, 157, 189, 190, 192, 193, 194, 195, 196, 224, 226, 232, 233, 245, 246, 247, 248, 260, 266, 268, 280, 281, 283, 286, 291, 292, 293, 294, 295, 296, 297, 298, 300, 301, 302, 303, 304, 309,
ჭავჭავაძე ოლღა 6, 13, 22, 35, 55, 60, 295.
ჭარაია პეტრე 161, 309.
ჭიჭინაძე ზაქარია 183.
ჭრელაშვილი სტეფანე 20, 301, 304.
ჭყონდიდელი ანტონი 132.

ხ

ხაიამი ომარ 92.
ხახანაშვილი ალექსანდრე 61, 160, 167, 311.
ხიზანიშვილი ნიკო (ურბნელი) 11, 12, 13, 17, 20, 24, 36, 50, 51, 159, 161, 266, 267, 299.
ხირსელი სტეფანე 305.
ხომლელი 296.
ხონელი მოსე 183.

ჯ

ჯაბადარი ალ. 301.
ჯალალედინი 222.
ჯანაშვილი მოსე 160, 171, 200, 311.
ჯანდიერი ლევან 20, 301.
ჯიქია ვ. 311.

ჰ

ჰაინე 209.
ჰოლდაკი 82, 305.
ჰომეროსი 302.

ს ა რ ჩ ე ვ ი

მოგონებები ილია ჭავჭავაძეზე

პირველად ილიასთან 3
ილიას მახლობლები 6
ილია წინამძღვრიშვილი 10
პეტრე უმიკაშვილი, ნიკო ხიზანიშვილი და გიორგი წერეთელი 11
გრიგოლ ვოლსკი 13
ერთი დღე სოფელში 14
„ივერიის“ რედაქციაში 16
ისევ ერთი დღე სოფელში 26
ილია და გლეხობა 30
ილია საგურამოში 32
ილიას პირადი ცხოვრება 42
ილიას გარეგნობა და ხასიათი 47
ილიასთან საუბარი 48
„ივერიის“ გაზეთად გამოშვება 56
„ოთარაანთ ქვრივი“ 57
უკანასკნელი დღეები ილია ჭავჭავაძისა 59
ილიას დაბადების დღე უილიაოდ 61

დიდი ქართველი პოეტები

აკაკი წერეთელი 63
აკაკის სოფელი 69
ვაჟა-ფშაველა 70
მთების პოეტი 75
ჩემი მოგონებები საქართველოში 76

ისტორიული და მხატვრული ნარკვევები

კულტურული მნიშვნელობა „ვეფხისტყაოსნისა“ 81
მცხეთა 85
XVIII საუკუნის საქართველო 91
ქართველთა ცხოვრება XVIII საუკუნეში 94
XIX საუკუნის ქართველები 141
ჩეკნიერებანი 157

საბავშვო ლიტერატურა	162
ქართული ჟურნალისტიკა	162
არქიტექტურა, თეატრი და მუსიკა	163
დრამატურგია	166
ხალხური პოეზია	172
ქართული ლიტერატურა	176

საქართველოში

კოლხიდაში	201
საქართველოს ქება	224
ქართლი	224
კახეთი	225
იმერეთი	226
ქუთაისი	227
საქართველოს სილამაზე	229
ალაზნის ველი	241
კახეთი	243
საქართველოს ბუნება	246
ზღვის სიმღერა	249
ქართული ბაღი	250
ქართული სახლი	253
ქართული სოფელი	257
ქართული იუმორი	264
პურადობა	268
ქართული მუსიკა	272
ჩონგური	276
წყარო	277
ურემი	280
მთაწმინდა	282
არტურ ლაისტი—(ბოლოსიტყვაობა თ. ფირალიშვილისა)	286
შენიშვნები (თ. ფირალიშვილისა)	298
საკუთარ სახელთა საძიებელი	313

Артур Лейст

Сердце Грузии

(На грузинском языке)
Издательство „Литература да Хеловнеба"
Плехановский, 181
19 Тбилиси 63

* *

რედაქტორი თ. კოპლატაძე
მხატვარი ირ. ჯანაშვილი
ტექრედაქტორი რ. იმნაიშვილი
კორექტორი გ. თათიშვილი

*

ხელმოწერილია დასაბეჭდად 21/IX-1963 წ.
ანაწყობის ზომა 5,5X9
ქაღალდის ზომა 84X108
საღ. საგამომც. თაბახი 14,72
სასტამბო თაბახი 20,25
ტირაჟი 30.000
შეკვ. № 158

ფასი 1 მან. 3 კაპ.

*

გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნების" სტამბა.
თბილისი, პლეხანოვის, 181

Типография издательства „Литература да Хеловнеба"
Тбилиси, Плехановский, 181